


მეცნიერების წიგნების კოლექცია – 60

ქართული საზოგადოების
 ჯერმანიის მეცნიერების აკადემია



მეცნიერების წიგნების კოლექცია – 60



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ეჰვთიგე თაყანიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია

ფუნქციონირება - 60

ქართული ენა და ლინგვისტიკის მეცნიერება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი – 2010-2013

კრებული ეძღვნება, ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ პაპასქირის დაბადებიდან 60 წლისთავს. მასში შესულია მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები; სამეცნიერო პუბლიკაციები საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის, აგრეთვე არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტურის ისტორიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ პრობლემებზე.

ნიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები:

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ლია ახალაძე**
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა**
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი **კახა კვაშილავა**



ნიგნი გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა („აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.



ს ა რ ჩ ე ვ ი C O N T E N T

ზურაბ პაპასკირი 60 წლისაა ZURAB PAPASKIRI IS 60

ჯონი აფაქიძე. მილოცვა რექტორისაგან	8
ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა. სამშობლოს სიყვარულში გაფრენილი 60 წელი ...	10
მარიამ ლორთქიფანიძე. ნიჭიერი და არაორდინალური მკვლევარი	16
როინ მეტრეველი. წინ კიდევ დიდი გზაა	21
ბორის კვარაცხელია. ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიერ ღირსეულად განვლილი 60 წელი	23
ტიტე მოსია. ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შარავანდედში	26
ნიკო ჯავახიშვილი. გულისხმიერებით გამოჩენილი	32
ჯამბულ ანჩაბაძე. ღირსეული იუბილარი	33
Гиви Цулая. Несколько слов о Зурабе Папаскири	36

სამეცნიერო საქმიანობა SCIENTIFIC ACTIVITY

ლია ახალაძე, ია ჯიჭონაია. ზურაბ პაპასკირის ისტორიული მემკვიდრეობა	43
Lia Akhaladze, Ia Jichonaia. Zurab Papaskiri's Historiographical Heritage	69
ზურაბ პაპასკირის სადოქტორო დისერტაციის „შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე (X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები)“ განხილვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების სხდომაზე	70
როინ მეტრეველი. რეცენზია ზურაბ ვალერიანის ძე პაპასკირის სადისერტაციო ნაშრომზე „შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“	79
ოთარ ცქიტიშვილი. მონოგრაფია საქართველოს ერთსაუკუნოვან საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებზე	85
გიორგი ჰაიჭაძე. რეცენზია ზურაბ პაპასკირის სადისერტაციო ნაშრომზე „შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70-XI ს. 80-იანი წლები)“	94
ედიშერ ხომტარია-ბროსე, ელენე ცაგარეიშვილი. რეცენზია ზურაბ პაპასკირის სადისერტაციო ნაშრომზე „შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70 – XI ს. 80-იანი წლები)“	98
დავით მუსხელიშვილი. დასკვნა ზურაბ პაპასკირის სადისერტაციო ნაშრომზე	102
ნოდარ ასათიანი. დასკვნა სადისერტაციო ნაშრომზე: შუა საუკუნეების	

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა X ს. 70 – XI ს. 80-იანი წლები“	104
ნოდარ ლომოური. გამოჩენილი ისტორიკოსი, მოქალაქე, პიროვნება და აფხაზეთის ისტორიის საკითხები	107
თეიმურაზ მიზჩუანი. ნაშრომი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ	117
პროფესორ ზურაბ პაპასქირის სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების სრული სია	121

**ასი მძიმე დღე...
ONE HUNDRED HARD DAYS ...**

ალეკო ასლანიშვილი. ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე	142
ლალი პაპასქირი. აფხაზი ოპონენტების მიერ გადარჩენილი ქართველი ისტორიკოსი	148
დოკუმენტები	156

**ისტორია
HISTORY**

კახაბერ ფიფია. კოლხები კერკირასა და ფარსალოსში	162
Kakhaber Pipia. Colchians in the Kerkyra and Pharsalos	175
ვალერი სილოგავა. მანუჩას უცნობი წარწერა X საუკუნისა ბანას ტაძარზე ..	176
Valeri Silogava. Manucha’s Unknown Inscription of 10 th Century on Bana Cathedral	185
გიორგი ოთხმეზური. ეპიგრაფიკული ძეგლები შოთა მესხიას სამეცნიერო მემკვიდრეობაში	186
Giorgi Otkhmezuri. Epigraphic Monuments in Shota Meskhia’s Scientific Researches.....	200
Виталий Виноградов. О реальности грузинского влияния на северо-западном Кавказе в X-XIII вв.	201
თამარ შინჯიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით	210
Tamar Shinjiashvili. The Number of Georgia’s Population According to the Georgian Historical Sources	219
ელდარ მამისტვალიშვილი. თეიმურაზ I-ის დიპლომატი ნიკიფორე ბერძენი ..	220
Eldar Mamistvalishvili. Nikiphoros the Greek, the Diplomat of King Teimuraz I	242
გიორგი სოსიაშვილი. ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან	243
Giorgi Sosiashvili. The Relationship between Nikozi Eparchy and the Jvari (Holy Cross) Monastery in Jerusalem	255

ნოდარ ასათიანი. საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან. <i>საქართველო და რუსეთი XV საუკუნეში</i>	256
Nodar Asatiani. From the History of Georgia's Foreign Political Relations: Georgia and Russia in 15th Century	267
ჯემალ გამახარია. სამეგრელოს სამთავროს ფარგლებში რუსი ელჩების მოგზაურობის მარშრუტის დაზუსტებისათვის (1639-1640 წლები)	268
Jemal Gamakharia. To the Clarification of Russian Ambassadors' Route During Their Journey within the Samegrelo Principality (1639-1640)	282
იოსებ ალიმბარაშვილი. „ლექიანობა“ და ქართლ-კახეთის საფორტიფიკაციო სისტემა	283
Joseb Alimbarashvili. „Lekianoba“ and the Fortification System of Kartli-Kakheti ...	299
ზაზა წურწუშია. ოსმალეთის იმპერიის ქართველი დიდგვებირები	300
Zaza Tsurtsumia. Georgian Grand Viziers of the Ottoman Empire	313
ოთარ გოგოლიშვილი. ფრანგები ბათუმში	314
Otar Gogolishvili. The Frenchmen in Batumi	319
დიმიტრი შველიძე. ანარქო-სინდიკალიზმის ისტორიიდან საქართველოში	320
Dimitri Shvelidze. From the History of Anarcho-Syndicalism in Georgia	327
ჯამბულ ანჩაბაძე. ევროპელი სოციალისტების მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში	328
Jambul Anchabadze. European Socialists' Visit in Western Georgia	337
თამაზ ბერაძე, ბეჟან ხორავა. როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე	338
Tamaz Beradze, Bezhan Khorava. When did Psou Become Georgia's Frontier River	352
თეიმურაზ პაპასკირი. იაპონიის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე და ბირთვული დიპლომატიის გამოყენების პირველი მცდელობა	353
Teimuraz Papaskiri. The Japanese Question at the Potsdam Conference And the First Attempt of Nuclear Diplomacy	360

არქეოლოგია, ეთნოლოგია
ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY

რევაზ ხვისტიანი. აქილევსის გამოსახულებიანი ინტალიო თაგილონიდან	361
Revaz Khvistani. A Seal-Ring With the Image of Achilles From Tagiloni	366
ვახტანგ ჯაფარიძე. ფაზის-რიონზე ნაოსნობისა და ქართული წყაროების „ვარანგთა“ ბაში დაბანაკების საკითხისთვის (ბაშის არქეოლოგიური მონაცემების შესახებ)	367
Vakhtang Japaridze. Towards the Questions of Navigation on the River of Phazisi-Rioni and the Settlement of “Varangs” According to Archaeological Data from Bashi	381
როზეტა გუჯეჯიანი. რელიგია და ტრადიციული ქართული სამართალი	382

Rozeta Gujejiani. Religion and Georgian Traditional Law	394
როლანდ თოფჩიშვილი. სად მოხდა ალან-ოსთა ეთნოგენეზი: კავკასიასა თუ შუა აზიაში?	395
Roland Topchishvili. Where Did the Ethnical Genesis of Alan-Ossetians Take Place: In the Caucasus or Central Asia?	417
Саломэ Бахиа-Окруашвили. Политеистические верования и представления абхазов в контексте этнической истории	418
Salome Bakhia-Oqruashvili. Polytheistic Beliefs and Conceptions of the Abkhazs in the Context of Ethnic History	444

პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები
POLITICAL SCIENCES, INTERNATIONAL AFFAIRS

დაზმირ ჯოჯუა. 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე	445
Dazmir Jojua. Overturn of June 24, 1918 in Georgia and Its Impact on the Country's International Situation	463
ომარ არდაშელია. საქართველოში არსებული კონფლიქტები აფხაზურ-რუსული რაკურსით	464
Omar Ardashelia. The conflicts in Georgia from Abkhazian and Russian Point of View	474
Намик Алиев. О «легитимности непризнанных государств на постсоветском пространстве»	475
Namik Aliev. On the "Legitimacy of Unrecognized States in the Post-Soviet Area"	479
ნიკო ჯავახიშვილი. საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.)	480
Niko Javakhishvili. Admission of Georgia And Baltic Countries Into the League of Nations	485
ნოდარ დარსანია. ოტო ფონ ბისმარკი: პოლიტიკა მეცნიერება არაა, ეს ხელოვნებაა	486
Nodar Darsania. Otto Von Bismarck: Politics Is Not a Science, But an Art	494

ფილოლოგია, კულტურულ-ისტორიული კვლევები
PHILOLOGY, CULTURAL AND HISTORICAL RESEARCHES

ტიტე მოსია. ღვთისმშობლის წარმოსახვისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში ...	495
Tite Mosia. To the Image of Virgin Mary in the Georgian Hagiography	503
ნესტან სულავა. სახისმეტყველებითი ასპექტები წმ. გიორგი მთაწმიდელის წმ. იოანესა და წმ. ეფთვიმეს „ცხოვრებაში“	504
Nestan Sulava. The Literary Aspects in the Lives of Saint Ioan and	

Saint Efvtime by St. Giorgi Mtatsmindeli	528
რუსუდან ფიფია. იოანე მინჩხის საგალობლები და ქართული ლიტურგიკული აზროვნება	529
Rusudan Pipia. Ioane Minckhi's Chants And Georgian Liturgical Thought	536

სამეცნიერო ფორუმები
ACADEMIC FORUMS

Владимир Бесолов. Научная и социальная миссия кавказоведов в священной столице современной Грузии	537
---	-----

კრიტიკა – ბიბლიოგრაფია
CRITIQUE – BIBLIOGRAPHY

კახა კვაშილავა. რეცენზია პროფესორ ლეონიდე ჯახაიას კრებულზე „ტრაგიკული წლების პუბლიცისტიკა“	555
Kakha Kvashilava. Review on Professor Leonid Jakhiaia's Book: “The Essays of the Tragic Years”	562
ავტორები	563
Authors	566

ზურაბ პაპასკირი 60 წლისაა
ZURAB PAPASKIRI IS 60

ჯონი ავაქიძე

მილოცვა რეპტორისაგან

ბატონ ზურაბ პაპასკირს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად ვულოცავ დაბადებიდან მე-60 წლისთავს!

ზურაბ პაპასკირი არის გამორჩეული და ბრწყინვალე ისტორიკოსი, სამეცნიერო წრეებში მისი ავტორიტეტი ფრიად მაღალია! ის არის მრავალრიცხოვანი მონოგრაფიებისა და სტატიების ავტორი როგორც ქართულ, ისე – უცხო ენებზე. მას აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების – კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების – მუშაობაში.

ბატონი ზურაბი არის ბრწყინვალე ორატორი, ლექტორი და პედაგოგი. მისი ლექციები და მოხსენებები ყოვლთვის დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს როგორც სტუდენტებსა და ისტორიკოსებს, ისე – მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებსა და საზოგადოების ფართო სპექტრშიც.

გასოცარია ის შედეგები, რასაც ბატონმა ზურაბმა, როგორც მეცნიერმა, განსაკუთრებით უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე მიაღწია. მან შექმნა ახალი მონოგრაფიები, სოლიდური ნაშრომების ციკლი, რომლებშიაც აფხაზეთის თემატიკა უმთავრესია. ამ ყველაფრის მიღწევისათვის კი ბატონი ზურაბის მიერ ტიტანური მუშაობაა განეული, რაც ყოველდღიურად დაძაბულ და მიზანმიმართულ მუშაობას გულისხმობს.

ბატონ ზურაბს საკუთარი სიცოცხლე და პირადი კეთილდღეობა საქართველოს ნათელი მომავლისათვის ხშირად შეუგდია სასწორზე, ის ვერ იტანს უსამართლობასა და სიყალბეს და ყოველთვის მონოდების სიმაღლეზე დგას. ის არის კოლეგიალური და სამართლიანი თანამშრომლებთან, მეგობრული და მამა-შვილური სტუდენტებთან. მას უხარია სხვების წარმატებები და ამიტომაც მას ღმერთი ბევრ რამეს აძლევს. სწორედ ასეთ ადამიანებზე ბრძანა ჩვენმა მაცხოვარმა: „*რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს...*“ (მათე 25,29). ბატონი ზურაბის მთელი სიცოცხლე ამ სახარებისეული ჭეშმარიტების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია: ამ ადამიანს სულ ემატება და არფერიც არ აკლდება, ის უხვად გაცემს სხვა ადამიანებისათვის და ამით კიდევ უფრო მეტი სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

ბატონი ზურაბ პაპასქირი არამარტო ცნობილი პროფესორი, საზოგადო მოღვაწე და საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერ-ისტორიკოსია, არამედ ის ბრწყინვალე მეოჯახეცაა. მას ჰყავს დიდებული მეუღლე ქალ-ბატონი ნონა (პროფესიით ექიმი), წარმატებული შვილები – თეიმურაზი (თსუ სრული პროფესორი, არაერთი საერთაშორისო სტიპენდიების მფლობელი, საქართველოს ინტელექტუალთა კლუბის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი) და ნათია (ჩვენი უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული), რძალი და სიძე, შვილიშვილები, ანუ ბატონი ზურაბი დიდი ოჯახის პატრონია. და ბოლოს, აქ ბატონ ზურაბის კიდევ ერთ ძალიან დადებით თვისებაზე: მას აქვს იმისი დიდი უნარი, რომ იყოს არამარტო თვითკრიტიკული, არამედ ყურადღებით მოისმინოს სხვების კრიტიკაც და თავის სამეცნიერო მუშაობაში ისინი შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს კიდევც.

სწორედ ისეთი მაღალი დონის მკვლევრები, როგორც ბატონი ზურაბია აერთიანებენ და ახალ იმპულსებს აძლევენ მეცნიერების განვითარებას. და სწორედ ბატონი ზურაბისთანა მეცნიერებს მიესადაგება ეს ბრწყინვალე ფრთოსანი სიტყვები, რომლითაც ნებისმიერი კრეატიული მეცნიერი იამაყებდა: **“Science without Borders!”**

ვუსურვებთ პროფესორ ზურაბ პაპასქირს ახალ წარმატებებს საუნივერსიტეტო საქმიანობასა და საზოგადო მოღვაწეობაში, ჯანმრთელობას, დიდ სიკეთესა და შემდგომ ოჯახურ ბედნიერებას!

რის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. **ზურაბ ანჩაბაძის** უშუალო ინიციატივითა და თაოსნობით, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა *საქართველო-აფხაზეთის ისტორიის* (ოფიციალური სახელწოდება: *სსრ კავშირის ისტორიის №2*) კათედრა, რომელსაც სათავეში თვით ზ. ანჩაბაძე ჩაუდგა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო თსუ-ს შემდეგ საქართველოს ისტორიის მეორე კათედრა. ამ საქმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ზ. პაპასქირი, რომელსაც, როგორც საქართველოს ისტორიის წამყვან სპეციალისტს, უშუალოდ დაევა მოსამზადებელი საორგანიზაციო სამუშაოს შესრულება. ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაინიშნა კათედრის გამგის მოადგილედ.

ზურაბ პაპასქირის სახელს უკავშირდება აფხაზეთის სინამდვილეში საქართველოს ისტორიის სწავლების თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანა. მან საქართველოს ისტორიის სალექციო კურსს გამოკვეთილი ეროვნულ-პატრიოტული დატვირთვა მისცა, რამაც იმთავითვე გამოიწვია სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა გაღიზიანება. მათ პირველი დარტყმა ახალგაზრდა მეცნიერს ჯერ კიდევ 1977წ. მიაყენეს, როდესაც ზ. პაპასქირმა, აფხაზეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთაგან ერთადერთმა, ოფიციალურად, საჯაროდ გააკრიტიკა ცნობილი აფხაზი მეცნიერის, სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, პროფ. **შალვა ინალ-იფას** აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი გახმაურებული მონოგრაფია. 1982-1983 წლებში კი გაჩაღდა ცილისმწამებლური კამპანია ზ. პაპასქირის წინააღმდეგ, რომლის დროსაც სეპარატისტებმა ზემდგომი ორგანოების (თვით სკკპ ცკ-ს) წინაშე დააყენეს მისი სამსახურიდან დათხოვნისა და აფხაზეთიდან გასახლების საკითხი. ამჯერად სეპარატისტთა რისხვა ზ. პაპასქირის მონოგრაფიის – **«У истоков грузино-русских политических взаимоотношений»** (რომელშიც ასევე მოცემული იყო ზემოთხსენებული შ. ინალ-იფას თვალსაზრისის საფუძვლიანი მეცნიერული კრიტიკა) – გამოსვლამ გამოიწვია. აღნიშნულმა მონოგრაფიამ და 80-იან წლებში გამოქვეყნებულმა სტატიებმა ზ. პაპასქირს დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა სამეცნიერო წრეებში. ამის გამოხატულება იყო მისი არჩევა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საპატიო თანამდებობაზე ახალგაზრდა მეცნიერის არჩევა მოხდა უშუალოდ საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის მაშინდელი თავმჯდომარის, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. **გიორგი ძიძარას** რეკომენდაციით.

1991 წელს ზურაბ პაპასქირმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტო-

რო დისერტაცია თემაზე: „**შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები**“. ეს იყო მეცნიერის მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი, რომელიც სრულად აისახა აღნიშნულ პრობლემაზე მის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში (**„ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი“**, თსუ გამომც. თბ., 1990; **„შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“**, გამომც. „მეცნიერება“. თბ., 1991). 1994 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. 2001 წელს გამოვიდა ზ. პაპასქირის წიგნი რუსულ ენაზე (**«От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.»**. Тб., 2001), რომელიც ზემოთ დასახელებული მონოგრაფიების მოკლე რუსულ ვარიანტს (ზოგიერთი დამატებით) წარმოადგენს.

ზ. პაპასქირი არის აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ის ჩართულია აქტიურ იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიულ „ომში“ და ამხელს აფხაზური სეპარატიზმის „მამების“ ძირგამომთხრელ საქმიანობას. მისი პუბლიკაციები ამ მიმართულებით შეჯამდა 1998 წელს გამოცემულ წიგნში **„აფხაზეთი საქართველოა“**, რომელიც სრულიად დამსახურებულად აღინიშნა კიდევ გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიით. ზ. პაპასქირის უშუალო ინიციატივით 1989 წლის გაზაფხულზე დაფუძნდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარის მოადგილედაც ის აირჩიეს. ის იყო 1989 წ. აპრილ-მაისში სოხუმში მიმდინარე ქართველთა საყოველთაო საპროტესტო აქციის ხელმძღვანელი შტაბის წევრი. ამ დროიდან დაწყებული დღემდე არ ყოფილა არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა აფხაზეთში, რომლის ეპიცენტრშიც ზ. პაპასქირი არ ყოფილიყო.

რუსეთ-საქართველოს 1992-93 წლების ომის პერიოდში თადარიგის კაპიტანი ზ. პაპასქირი უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ერთიანობის სადარაჯოზე. მან, როგორც საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის აღმზრდელითი სამსახურის უფროსმა ოფიცერმა თავისი წვლილი შეიტანა ქართულ ჯარში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამალღების საქმეში. ზ. პაპასქირს ერთი წუთითაც არ დაუტოვებია სოხუმი. უფრო მეტიც, მან ვერ მოახერხა „დროულად“ გამოეღწია ალყაშემორტყმული „ახალი რაიონიდან“ და ტყვეობის სიმწარეც იწვნია. სწორედ ამას მოჰყვა ზ. პაპასქირის 100 დღიანი პატიმრობა სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლაციაში. მეცნიერის წინააღმდეგ სეპარატისტული აფხაზეთის „გენერალურმა პროკურატურამ“, მაშინდელი მისი შეფის **ანრი ჯერგენიას** ხელმძღვანელობით, შეთითხნა საქმე შემდეგი ბრალდებებით: ერთა შორის შუღლის გაღვივება

და ომის პროპაგანდა, – რომლითაც, მას სულ ცოტა, 8 წლის პატიმრობა ემუქრებოდა. ამ ანგარიშსწორებისაგან ზ. პაპასქირი გადაარჩინა საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო წრეების, მათ შორის, აკადემიკოსების **როინ მეტრეველის, მარიამ ლორთქიფანიძის**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების წევრთა (აკადემიკოსების **ივანე კოვალჩენკოსა და სერგეი ტიხვინსკის** მეთაურობით) ჩარევამ და თანადგომამ.

აფხაზეთიდან გამოსვლის შემდეგ ზ. პაპასქირმა გააგრძელა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის იდგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი სათათბიროს შექმნის სათავეებთან. 1996წ. მისი აქტიური მონაწილეობით მონვეულ იქნა დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა დიდი ფორუმი, რომელზედაც ოფიციალურად გაფორმდა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა: „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“. ზ. პაპასქირი გახდა ამ ახალი ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, საინფორმაციო-ანალიტიკური კომისიის ხელმძღვანელი, „კავშირის“ პერიოდული ორგანოს – გაზ. „დევნილის“ სარედაქციო რედკოლეგიის წევრი. ის არის ავტორი და რედაქტორი „დევნილთა კავშირის“ სახელით გამოქვეყნებული განცხადებებისა და მიმართვების, სხვა ოფიციალური დოკუმენტებისა, რომლებშიც მოცემულია აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამონვლილვითი ანალიზი, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების კრიტიკული შეფასებები, დასახულია კონფლიქტის და-რეგულირების გზები. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ვრცელი მოხსენება: „აფხაზეთის ტრაგედია. მიზეზები და გაკვეთილები“, რომლითაც ის წარსდგა დევნილთა ყრილობის (1996 წ. აპრილში) წინაშე (სრულად დაიბეჭდა წიგნში: „აფხაზეთი საქართველო“, თბ., 1998. აქვეა გამოქვეყნებულია „დევნილთა კავშირის“ მასალები და დოკუმენტები).

1998 წელს ზ. პაპასქირის უშუალო ინიციატივითა და თაოსნობით ქ. თბილისში აღსდგა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარედაც ის აირჩიეს. ამავე დროს, ზ. პაპასქირი არის ამ საზოგადოების პერიოდული გამოცემის – წელიწდეულის – „საისტორიო ძიებანის“ მთავარი რედაქტორი. უკვე გამოიცა „საისტორიო ძიებანის“ 9 ტომი, რომლებმაც აკადემიური წრეების დიდი მონონება დაიმსახურეს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ აღნიშნული გამოცემა შეტანილი იყო სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაში.

2004 წელს ზ. პაპასქირი დაინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. ამ დროიდან ის კურირებს სოხუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას – ამჟამად უკავია უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის უფროსის თანამდებობა, არის **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების** მთავარი სარედაქციო

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და *ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერიის* მთავარი რედაქტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა ამ სერიის 3 (I – 2007 და V – 2008, VIII – 2010-2011) სქელტანიანი ტომი.

პროფ. ზურაბ პაპასქირის წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ საქმიანობას *ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში* (ხელმძღვანელი – აკად. **როინ მეტრეველი**). იყო აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; არის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის (ნელინდეულის) – **„ქართული დიპლომატიის“** სარედაქციო კოლეგიის წევრი. ზ. პაპასქირი არის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ცენტრის მიერ მოზადებული **„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“** ორტომეულისა (თბ., 1998) და **„ქართული დიპლომატიის ისტორიის“** პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსი (მთავარი რედაქტორი **რ. მეტრეველი**). ზ. პაპასქირის მიერ მოზადებული მასალები შესულია ისეთ სოლიდურ გამოცემებში, როგორცაა: **„ქართული დიპლომატიის ლექსიკონის“** ორტომეული (ტ. I. თბ., 1997, ტ. II. თბ., 1999), **ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი** (თბ., 2002). მონაწილეობდა ამავე ცენტრის მიერ მოზადებული **„ქართული დიპლომატიის ისტორიის“** ქრესტომათიის შექმნაშიც. 1994-2006 წლებში დიდ მუშაობას ეწეოდა ზ. პაპასქირი აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოში. ამ ხნის მანძილზე ზ. პაპასქირი, როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრი, იყო 14 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

აფხაზეთის ისტორიის პრობლემებს მიუძღვნა მკვლევარმა ნაშრომები: **«О национально-государственном облике Абхазии/Грузия»**. Тб., 2003, **„ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიის წარსულიდან“**. ნაკვ., I. თბ., 2004; ნაკვ. II. თბ., 2007. 2009-2010 წლებში გამოვიდა აღნიშნული ორტომეულის რუსული შევსებული და განახლებული ვარიანტი – **«Абхазия. История без фальсификации»**-ის პირველი და მეორე გამოცემა.

პროფ. ზურაბ პაპასქირი 180-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის, მათ შორის 11 მონოგრაფიისა და წიგნის, ავტორია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე 150-ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია და 200-მდე ენციკლოპედიური ხასიათის სტატია. ზ. პაპასქირის ნაშრომები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ (მათ შორის, უცხოურ) სამეცნიერო გამოცემებში, განთავსებულია ინტერნეტში. 2009 წელს გამოიცა ზ. პაპასქირის სქელტანიანი წიგნი: **„და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“**, რომელშიც შევიდა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი (20) ნაშრომები. ეს არის მეცნიერის 35 წლიანი ნაყოფიერი კვლევითი საქმიანობის ერთგვარი შეჯამება, რომელშიც მეტ-ნაკლებად სრულადაა წარ-

მოჩენილი ზურაბ პაპასქირის, მრავალფეროვანი წარმატებული მოღვაწეობა ეროვნული ისტორიის მეცნიერული შენაწლის საქმეში. სწორედ ამ მოღვაწეობის დაფასებაა ის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულმა რუსთაველის ფონდმა მას მიანიჭა (2010 წ.) **რუსთაველის სტიპენდია**. ზ. პაპასქირი არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად; არის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრი; დაჯილდოებულია (2013 წ.) ღირსების ორდენით.

პროფ. ზურაბ პაპასქირს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. მისი ვაჟი – **თიმიურაზ პაპასქირი**, ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსთა შორის არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მკვლევარი, რომელმაც სამეცნიერო კვლევითი და უმაღლეს სკოლაში მუშაობის გამოცდილება დააგროვა აშშ-სა და გერმანიის წამყვან ცენტრებში. თ. პაპასქირი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი (2000-2003 წწ.), მოპოვებული აქვს (2009 წ.) ახალგაზრდა მეცნიერთათვის საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი.

ასეთია მოკლე ბიოგრაფია ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშობლიური ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და საუკეთესო მომავლის ძიებაში გაატარა. მარად ახალგაზრდა, შემართულ და მუდმივად ძიების პროცესში მყოფ მეცნიერს 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მასწავლებელსა და უფროს კოლეგას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ საქართველოს გამთლიანებასა და გაძლიერებას, დიდ ადამიანურ ბედნიერებას, რომელსაც სამშობლოს სიყვარულში გაფრენილი 60 წლის ჯილდოდ ნამდვილად იმსახურებს.

დან საგანგებოდ ჩამოსული დისერტანტი. სხდომამ დადებითი შეფასება მისცა დისერტაციას და დაამტკიცა დადებითი დასკვნა, რომელსაც ხელს ვანერდით მე და ნოდარ ასათიანი. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, როდესაც ეს დისერტაცია წიგნად¹ გამოვიდა, მან სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის, კერძოდ პროფ. შ. ინალ-იფას რისხვა გამოიწვია, როგორც შემდეგ გავიგე მისი უკმაყოფილების მიზეზი აღმოჩნდა ახალგაზრდა დისერტანტის მიერ პროფ. შ. ინალ-იფას წიგნის «*Вопросы этнокультурной истории Абхазов*»² კრიტიკა ტერმინ «Обези»-ს ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. 1977 წლის გაზაფხულზე სოხუმში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ინსტიტუტში გაიმართა შ. ინალ-იფას წიგნის განხილვა. სადაც ზ. პაპასქირმა არგუმენტირებულად დაასაბუთა თავისი კრიტიკის სისწორე. მოგვიანებით, ჩვენ ამ გამოსვლის ტექსტს გავეცანით თბილისში და დავრწმუნდით რომ ეს არგუმენტაცია ობიექტური იყო. 1978 წლის 11 აპრილს დავესწარი ზ. პაპასქირის საკანდიდატო დისერტაციის დაცვას მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე, სადაც წაკითხულ იქნა წამყვანი ორგანიზაციის, ანუ ჩვენი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დასკვნა.

ამის შემდეგ მუდმივი კონტაქტები გვქონდა ზურაბთან. 1977-1988 წლებში რამდენჯერმე ვიყავი სტუმრად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1978 წლიდან მას აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერქვა) და ჩემი მასპინძელი პროფ. ზურაბ ანჩაბაძესთან ერთად მუდმივად იყო ზურაბ პაპასქირი. ამ პერიოდში ზურაბს გაუმწვავდა ურთიერთობები სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ზოგიერთ წარმომადგენელთან. მიუხედავად იმისა, რომ მას პროფ. ზურაბ ანჩაბაძის სახით სოხუმის უნივერსიტეტში დიდი დამცველი ჰყავდა, ვგრძობდით, რომ მას მხარდაჭერა თბილისიდანაც სჭირდებოდა. განსაკუთრებით დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 1982 წელს გამოქვეყნებულმა ზურაბის რუსულენოვანმა წიგნმა «*У истоков грузино-русских политических взаимоотношений*». ბუნებრივია, ზურაბს თავისი მოსაზრებები მკაცრად ჰქონდა არგუმენტირებული და მისი უარყოფა ძალიან უჭირდა სეპარატისტულ ისტორიოგრაფიას, მათი მცდელობა მთლიანად ისტორიის ფალსიფიკაციაზე იყო აგებული, ამას კარგად ხედავდა პროფ. ზურაბ ანჩაბაძეც, რომელიც ამ დაპირისპირებაში ახალგაზრდა მკვლევარს უჭერდა მხარს. რასაკვირველია, ჩვენც ვცდილობდით მის მხარდაჭერას და ვეხმარებოდით სეპარატისტების შემოტევების მოგერიებაში.

1980-1981 წლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა

¹ **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982.

² **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории Абхазов. Сухуми, 1976.

საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრა (კათედრის გამგე: პროფ. ზ. ანჩაბაძე, გამგის მოადგილე დოც. ზ. პაპასქირი), რომელსაც ფორმალურად ჩემთვის მეტად უცნაური, თუმცა ეპოქის სულისკვეთებიდან გამომდინარე სახელი – **სსრკ ისტორიის №2 კათედრა** – ერქვა. კათედრის სასწავლო-მეთოდური მუშაობის გამართვის თაობაზე ზ. ანჩაბაძის ინიციატივით ახალგაზრდა ზ. პაპასქირი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში კონსულტაციებისთვის. ამ პერიოდიდან ზ. პაპასქირი იყო **საქართველოს ისტორიკოსთა ბორჯომის ყოველწლიური ფორუმების** უცვლელი მონაწილე, სადაც არაერთხელ მომისმენია მის მიერ წარმოადგენილი საისტორიო მოსაზრებები ქართულ-აფხაზეთურ ურთიერთობებზე.

გარდა ამისა, მამინ ძალზე აქტიუალური იყო სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციები, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით ტარდებოდა ზ. პაპასქირი ამ საკითხებზეც სისტემატურად თანამშრომლობდა მშობლიურ უნივერსიტეტთან და არაერთი აფხაზი და ქართველი სტუდენტი ჩამოიყვანა სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე თბილისში. ამ პროცესში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აფხაზი სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალს და ცდილობდა მათ სწორედ თბილისში გაეკვაღათ გზა მეცნიერებაში.

მალე ზურაბ პაპასქირმა ხელი მოკიდა სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „*შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. X ს. 70-იანი XI ს. 80-იანი წლები*“,¹ რომლის კონსულტანტი მე გახლდით. სადოქტორო დისერტაცია მომზადდა 1985-1991 წლებში და დაცული იქნა 1991 წლის 24 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოზე, რასაც დიდი პერიპეტეიები მოჰყვა დაცვის მასალების მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნასთან დაკავშირებით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, დისერტანტმა უარი განაცხადა მოსკოვში გაეგზავნა მასალები, რასაც მოჰყვა ისტორიის დარგში მეცნიერების დოქტორის ხარისხის პირველი დამტკიცება საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ. აღნიშნული სადოქტორო დისერტაცია მთლიანად აისახა მისი მონოგრაფიებში,² რომელთა რედაქტორი, ბუნებრივია მე ვიყავი.

1991 წელს გამოქვეყნდა სეპარატისტთა ცნობილი მხარდამტყერისა

¹ **3. В. Папаскири.** Международное положение средневековой Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). – Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада. Тб., 1991.

² **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იანი წლებში. თბ., 1991; **3. В. Папаскири.** От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X-80-е годы XI вв. Тб., 2001.

და იდეოლოგიის ი. ვორონოვის პასკვილი, რომელსაც ზურაბ პაპასქირმა საკადრისი პასუხი გასცა გაზ. „აფხაზეთის ხმაში“.¹ მოგვიანებით ეს წერილი გამოქვეყნდა ზურაბის წიგნში „აფხაზეთი საქართველოა“.

1993 წელს, ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის დროს ზ. პაპასქირის სოხუმში ყოფნისას, თსუ-ს სადისერტაციო საბჭომ იგი საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოს წევრად დაამტკიცა. ზურაბის ასდღიანი ტყვეობის გამო, ოფიციალურად თავის მოვალეობას 1994 წლიდან შეუდგა და საბჭოს უცვლელი წევრი იყო 2006 წლამდე. ამ პერიოდში ზურაბი 10-ზე მეტი სადისერტაციო ნაშრომის, მათ შორის 5 სადოქტორო დისერტაციის (იგულისხმება მხოლოდ ჩვენს საბჭოში დაცული დისერტაციები) ოფიციალური ოპონენტი იყო. აღნიშნული რეცენზიების ერთი ნაწილი დაბეჭდილია სამეცნიერო კრებულში „საისტორიო ძიებანი“², ხოლო მთლიანად ვიხილეთ 2009 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.³

აღბათ, ცალკე უნდა ვისაუბრო ზურაბის ტყვეობაზე სეპარატისტული რეჟიმის ციხეში. ეს იყო წარმოუდგენლად მძიმე მისი ოჯახისთვის და ბუნებრივია, ჩვენთვისაც. ზ. პაპასქირის ტყვეობიდან გამოსხნის საკითხზე არ დაუშურებიათ ძალა და ენერგია, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს, ასევე თსუ სოხუმის ფილიალის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის) რექტორს პროფ. ოთარ ჟორდანიას. მათ

¹ **ზ. პაპასქირი.** ინტერფერონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“, ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზეთი და აფხაზეთი“. – გაზ.: *აფხაზეთის ხმა*. 16-17.08. 1990; იხ. აგრეთვე: წგნ.: **ზ. პაპასქირი.** *აფხაზეთი საქართველოა*. თბ., 1998, 56-75.

² **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლის ისტორიიდან. რეცენზია **გიორგი მჭედლიშვილის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (სპეციალობა 24.00.02 ისტორიული კულტუროლოგია) წარმოდგენილ ნაშრომზე: „*შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“*“. – საისტორიო ძიებანი. VIII-IX. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2006; **ზ. პაპასქირი.** საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე რეცენზია **შალვა გლოველის** საკანდიდატო დისერტაციაზე: „*აფხაზთა სამეფო*“ – საისტორიო ძიებანი. VII. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თსუ სოხუმის ფილიალის გამომც. თბ., 2004; **ზ. პაპასქირი.** ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. რეცენზია **გურამ გაბუნას** სადოქტორო დისერტაციაზე: „*საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI ს. დასაწყისში. საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემური საკითხები*“. – საისტორიო ძიებანი. VI. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2003.

³ **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009.

ხმა მიაწვდინეს თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც ხელწინაობა აქვს ამ საკითხის მოგვარებაში. ამ პერიოდში მეც ვიყავით ჩართული. 1993 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მოსკოვში გამართულ ისტორიკოსთა შეხვედრებში მე რამდენჯერმე მომიწია გამოსვლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კონფიდენციალურად შევხვედი ცნობილ უფლებადამცველ ვალერია ნოვოდვორსკაისაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩემი ყველა გამოსვლა და შეხვედრა მოსკოვში მიმართული იყო იქეთკენ, რათა სამეცნიერო საზოგადოება დამერწმუნებინა, რომ საქმე ეხებოდა ახალგაზრდა მეცნიერის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას და რომ ეს საქმე გადაუდებლად სასწრაფო იყო და დრო არ ითმენდა.

ერთი მხრივ სასიხარულო და მეორე მხრივ ძალიან ძნელი იყო ტყვეობიდან გათავისუფლებულ ზურაბ პაპასქირთან შეხვედრა. მას შემდეგ ჩვენ ვთანამშრომლობდით, როგორც სადისერტაციო საბჭოს, ასევე საქართველოს ისტორიის კათედრის მუშაობის პროცესში. ძალიან ნაყოფიერი გამოდგა აკად. როინ მეტრეველის თაოსნობით თსუ-ში ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობა, რომელმაც არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა. აღნიშნულ პროექტებზე¹ მუშაობისას ზურაბ პაპასქირის საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით, საქმისადმი ღრმა ცოდნითა და აკადემიურობით. იგი დღესაც გამოირჩევა განსაკუთრებით ნაყოფიერი მოღვაწეობით ქართულ მედიევისტკაში, ამავე დროს, აქტიურად არის ჩართული ისტორიოგრაფიულ ომში ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ და იგი დაულალავად იღწვის ამ ფრონტზე.

XXI საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსთა შორის ზურაბ პაპასქირი გამოირჩევა დიდი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და ამავე დროს არაორდინალური გადაწყვეტილებებით. ვულოცავ მას დაბადებიდან 60 წლის იუბილეს და ვუსურვებ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას.

¹ მათგან გამოვარჩევდი: „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულს (ტ. I-II. თბ., 1998), „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ საუნივერსიტეტო სახლმძღვანელოს (თბ., 2003); აგრეთვე ენციკლოპედიურ ლექსიკონებს „ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“ (ტ. I. თბ., 1997, ტ. II. თბ., 1999); „ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (თბ., 2002).

როინ მატრეველი

ინ კიდევ დიდი გზაა

ჩემი უმცროსი კოლეგა და მეგობარი ზურაბ პაპასქირი სამოცი წლისა შესრულდა. გულწრფელად მიხარია, რომ იგი ამ თარიღს წარმატებული ხვდება. მისი შემოქმედებითი შრომის შედეგები საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანია.

ზურაბმა, როგორც ნიჭიერმა მკვლევარმა, ადრეული ახალგაზრდობიდან მიიქცია კოლეგებისა და ზოგადად ისტორიული საზოგადოების ყურადღება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ისწავლა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. პრობლემა მეტად აქტუალური იყო – საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ურთიერთობების საკითხები შუა საუკუნეებში (XI-XIII სს). ეს მნიშვნელოვანი განაცხადი იყო – ზურაბ პაპასქირმა კვლევის ასპარეზად მედიევისტიკა აირჩია. მას შემდეგ, რაც ზურაბმა სოხუმში დაიწყო საქმიანობა, მე ინტენსიური ურთიერთობა მქონდა მასთან. გულწრფელად ვიტყვი – მომწონდა ახალგაზრდა კაცის სერიოზული ინტერესები ჩვენი შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის საქმეში. თანაც აშკარად ჩანდა მისი მეცნიერული კონტაქტების ძალა – ზურაბ პაპასქირის ხელიდან გამოსული მასალა ღრმა ისტორიზმით და საერთაშორისო პრობლემებთან კავშირით გამოირჩეოდა.

ზურაბ პაპასქირმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, როგორც რეალურად მოაზროვნე, ობიექტურმა საზოგადო მოღვაწემ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. მისი პოზიცია სწორი და სამართლიანი იყო. ჩემთვის თავზარდამცემი იყო ზურაბის დაპატიმრება აფხაზი სეპარატისტების მიერ. პირდაპირ ვიტყვი, არ დამიშურებია არც ერთი საშუალება, რომ ზურაბი ამ საშინელებიდან დაგვეხსნა. რამდენიმე დეპეშა მე (იმხანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი) ვლადისლავ არძინბას გავუგზავნე (მას ადრევე ვიცნობდი და სამსახურეობრივი ურთიერთობაც მქონდა) ზურაბ პაპასქირის განთავისუფლების მოთხოვნით, შემდეგ ერთ-ერთ პროფესორს ვ. არძინბას თანამოაზრეს და გარკვეული გავლენის მქონეს, ვთხოვე პირადად გადაეცა ჩემი თხოვნა აფხაზეთის ლიდერისათვის... საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა – ზურაბი მშვიდობით დაუბრუნდა თავის საქმეს, მაგრამ უკვე თბილისში.

1994 წელს ბატონი ზურაბი მოვიწვიე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის ახლადგახსნილ საქართველოს სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის კვლევით ცენტრში (ამ

დროს იგი უკვე თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მუშაობდა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ) უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ბატონმა ზურაბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო **„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“** (ორტომეული), **„ქართული დიპლომატიის ისტორიის“** (სახელმძღვანელო), **ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონის** შექმნასა და ბევრი სხვა საკითხის შესწავლა დამუშავებაში. იგი აქტიური იყო **„ქართული დიპლომატიის“** წელიწდეულის გამოცემაშიც (გამოვიდა 14 ტომი).

ჩემთვის ძალიან ფასეულია, რომ ზურაბ პაპასქირმა დიდი ამაგი დასდო აფხაზეთის ობიექტური ისტორიის შესწავლის საქმეს, რითაც იგი სათანადო პასუხს აძლევს ამ საქმეში მოძალებულ ფალსიფიკატორებს. ბატონი ზურაბის წიგნი **„აფხაზეთი. გაუყალბებელი ისტორია“** არის ნიმუში ერთის მხრივ ღრმა მეცნიერული კვლევისა, მეორეს მხრივ კი ესაა საკმაოდ პოპულარული პასუხი აფხაზეთის ისტორიის ყოველგვარი დამახინჯების მცდელობაზე.

ზურაბ პაპასქირი დღესდღეობით თავისი შემოქმედებითი საქმიანობის ზენიტშია. წინ დიდი საქმეებია. მინდა წარმატებები ვუსურვო სამოცი წლის შემოქმედს დასახული მიზნების შესრულებაში.

ხაზ მეცნიერთა გალიზიანება და მათ დაინყეს ყოვლად გაუმართლებელი ცილისწამებლური კამპანია ზ. პაპასქირის წინააღმდეგ. მაგრამ ის როდი შეუშინდა ამ ინსინუაციებს, პირიქით, უშიშრად, თუმცა რისკის ფასად, ამხილა აფხაზური სეპარატიზმის შორს მიმავალი მიზნები, რაც საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრივ ერთობას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა აფხაზეთში გაძლიერდა სეპარატისტული გამოსვლები, რამაც გამოკვეთილი ანტიქართული ხასიათი მიიღო, ზ. პაპასქირმა სწორი არჩევანი გააკეთა, იმთავითვე ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და მისთვის ჩვეული გამბედაობით, როგორც სამშობლოს პატრიოტი, ერთგულად ემსახურა ქართულ საქმეს.

1992-1993 წლებში რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, რომელმაც ათასობით უდანაშაულო სიცოცხლე შეინირა, ზ. პაპასქირმა, ზუგდიდელმა კაცმა, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცერი.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ეს იყო ყველაზე ტრაგიკული დღე ზურაბის ცხოვრებაში. აფხაზეთის უშიშროების სამსახურმა მასზე ძებნა გამოაცხადა ერთა შორის შუღლის გაღვივებასა და ომის პროპაგანდის ბრალდებით. ის დააპატიმრეს და ასე დაიწყო მისი ასდღიანი ტყვეობის მეტად მძიმე პერიოდი. ზ. პაპასქირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. მისი ტყვეობიდან გამოსახსნელად დიდი ძალისხმევა გამოიჩინა საქართველოს სამეცნიერო ინტელიგენციამ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების წევრებმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამეცნიერო საბჭომ მოწოდებით მიმართა მსოფლიოს საზოგადოებას, ყველა მეცნიერს, გამოეჩინათ მხარდაჭერა ზ. პაპასქირის გასათავისუფლებლად. მახსენდება ასეთი შემთხვევა, მე, თსუ-ს სოხუმის ფილიალის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, ვენზეი საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ **გიგა ლორთქიფანიძეს**, რომელიც იცნობდა ზ. პაპასქირს. ვესაუბრე მისი დაპატიმრებით შექმნილ რთულ მდგომარეობაზე. ბატონი გიგა შენუხდა, დაგვპირდა, რომ მიიღებდა სათანადო ზომებს ზ. პაპასქირის გასათავისუფლებლად.

გადავწყვიტე მოსკოვში პროფ. **გივი წულაიასთან** დამერეკა. ბატონი გივი სოხუმელია, ცნობილი ეთნოგრაფი, მუშაობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, სადაც წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელია, ავტორიტეტით სარგებლობს მოსკოვის მეცნიერთა შორის. ვთხოვე მას ხმა მიენვდინა რუსეთის დედაქალაქში მოღვაწე სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რათა გამოეჩინათ თანადგომა ზ. პაპასქირის გადასარჩენად.

მინდა, ამ სტრიქონების მკითხველმა სწორად გამიგოს, ზ. პაპას-

ქირის ტყვეობიდან განთავისუფლება ჩემი დამსახურება არ არის, მე მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო ნვლილი შევიტანე ამ საქმეში. ხშირად ვამბობ, რომ მისი გადარჩენა უფალმა იწება, სიცოცხლე შეუნარჩუნა და უვნებელი დაუბრუნა თავის ოჯახს.

იმ დროს მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ აღმოჩნდა ზ. პაპას-ქირის ოჯახი. მე მოვინახულე მისი მეუღლე ქალბატონი ნონა, რომელიც ბავშვებთან ერთად ზუგდიდში იმყოფებოდა. ის მეტად დათრგუნული მეჩვენა, რაც არ გამკვირვებია. დამშვიდობებისას სინანული დამეუფლა, ვინაიდან ვერავითარი ფინანსური დახმარება ვერ აღმოვუჩინე.

მინდა შევეხო ზ. პაპასქირის ცალკეულ ადამიანურ თვისებას. ის იშვიათად საუბრობს თავის წარმატებებზე, არ ჩვევია მათი ხაზგასმა, რაც მის თავმდაბლობაზე მეტყველებს. ფართო განათლება, ნათელი და მასშტაბური აზროვნება, დიდი შრომისმოყვარეობა მისი ცხოვრების მახასიათებელია.

და, კიდევ ერთი, აღვნიშნავ მისი ხასიათის გამორჩეულ შტრიხს. საქმე იმაშია, რომ მე ზოგიერთ საკითხზე ზ. პაპასქირისგან განსხვავებული მოსაზრება გამაჩნია, რის გამო მასთან არაერთხელ მომიხდა პრინციპული, პირუთენელი კამათი, მაგრამ ამას ჩვენი მეგობრული ურთიერთობა არ გაუნელებია, არ დაუჩრდილავს. რასაკვირველია, ეს მისი დამსახურებაცაა, რამეთუ ის ბუნებით სულგრძელი ადამიანია და არ არის ღვარძლიანი.

გულწრფელად ვულოცავ ჩემს უმცროს მეგობარს სამოცი წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, დიდ შემოქმედებით ენერგიას, რათა მომავალშიც მისთვის ჩვეული შემართებით იღვანოს ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ, აფხაზეთში დაბრუნების რწმენით და იმედით.

ტიტა მოსია

ნიჭისა და შრომისმოყვარეობის პარაკანდელო

დრო სწრაფად გადის. არ ვიცი, წლები გარბიან თუ ჩვენ მივარბენინებთ მას. უღმობელია ჟამთასვლა. უკან მოხედვას ვერ ვასწრებთ. დღეთა ასეთ სრბოლას უნდა მივანეროთ, რომ პროფ. ზურაბ პაპასქირს უკვე ბროლის მარცვლებივით მოუგროვებია 60 წელი. არადა თითქოს გუშინ იყო: ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ვმორიგეობ ლაბორანტის რანგში. ჩემთან შემოვიდა ჩემთვის მუდამ უსაყვარლესი პიროვნება, ქართული ენის კათედრის ლაბორანტი ქ-ნი **თინა ჯიქია** და მეუბნება: „გასახარებლ ამბავს გეტყვი – ამჟამად სსრკ ისტორიის კათედრაზე იმყოფება ვილაც სრულიად ახალგაზრდა სიმპათიური ვაჟკაცი და პროფ. ირაკლი ახალაიას ელაპარაკებაო; ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ იგი წარმოშობით ზუგდიდელია, დაუმთავრებია მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა და თბილისიდან ჩვენთან გაუმწესებიათო სამუშაოდ“.

ძალზე მესიამოვნა ქალბატონ თინასთვის ჩიტის მიერ უწყებულ ამბავი. ერთად გამოვედით კათედრიდან და ფეხაკრეფით ჩავუარეთ სსრკ ისტორიის კათედრას, რომლის კარი ნახევრად გაღებული იყო. ცნობისმოყვარეობამ იძალა, კათედრის წინ შევყოვნდით და გვარიანად ავათვალიერ-ჩავათვალიერეთ სტუმარი. ვერ მოვისვენე, ვიდრე არ გამოვეცნაურებოდი მას. ეს ჟამიც რამდენიმე წუთში დადგა. ასე გავიცანი ბატონი ზურაბ პაპასქირი. ეს იყო 1976 წელს. ეს გაცნობა ილბლიანი აღმოჩნდა ჩვენი ურთიერთობისთვის დღემდე.

აკი მოგახსენებდით, წლები უსწრაფესად გარბიან-მეთქი. თურმე იმ გაცნობიდან სრულიად შეუმჩნევლად 34 წელიწადს გაურბენია. დამეთანხმებით, ეს დრო სრულიად საკმარისია ადამიანის, მითუმეტეს მეცნიერის, საფუძვლიანად შესასწავლად. უფსკრულიაო ადამიანის გული, – უთქვამს ნეტარ ავგუსტინეს. პირსაბანზე შეუსრულებიათ ერთი ძველთაძველი ჩინური წარწერა: „ადამიანის გულში ჩაძირვას უფსკრულში დანთქმა სჯობს: უფსკრულს დანთქმული იქნებ კიდევ ამოხვიდე, ადამიანის გულში ჩაძირული ხსნას ველარ ჰპოვებ“. არ არის „უფსკრული“ ზურაბ პაპასქირის გული. მასში დანთქმულს ამოსვლაც არ გაგიჭირდება. „გულის“ თანხლების გარეშე მის დასახასიათებლად ეპითეტებს ძნელად შეარჩევ: გულთბილი, გულკეთილი, გულწრფელი, გულახდილი, გულისხმიერი; გულითადი, გულჩვილი, გულუბრყვილოც კი. ვინც ზურაბ

პაპასქირს ძალზე ახლოს იცნობს. ვერ შეძლებს ამ მსაზღვრელებიდან რომელიმე ამოგდოს, ან ხაზი გადაუსვას.

60 წელი წუთისოფლის სტუმრებისთვის, ერთი შეხედვით, არც ისე ცოტაა, თუმცა არც ისე დიდი. ჩვენი იუბილარის შემხედვარისთვის იგი ნამეტნავად გამოიყურება. მისი ახალგაზრდული შემართება, მოქნილობა, მოხდენილობა, ელეგანტურობა ნაკლებად თუ დაგაჯერებთ, რომ თურმე იგი უკვე სამოცისა გამხდარა. ამაზე განგებ ვაკეთებ აქცენტს: 1992-1993 წლების აფხაზეთის პროვოკაციულ ომში, ხოლო სოხუმის დაცემის შემდეგ მთელი 100 დღის მანძილზე აფხაზთა ტყვეობაში ყოფნამ ვინ იცის მისი რამდენი წლის სიცოცხლე შეინირა. რაინდულად გაუძლო ძნელებდობას, ფიზიკურად არ გატეხილა, არც სულიერად დაცემულა, არც მორალურად გაჩანაგებულა. ჭირსა შიგან გამაგრების მოტივით და მომავლის რწმენით იავარყო მელანქოლიური განწყობილება და სხვებსაც ამით მისაბამ მაგალითად გვექცა. ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ზურაბ პაპასქირი ცხოვრების სცენაზე მუდამ ხმალშემართულის როლს თამაშობს, მუდამ ფრონტის წინა ხაზზეა. მისთვის უკანდასახევი ყველა ხიდი აფეთქებულია. არის პრინციპული, პირუთენელი, დაუდგარი პოლემისტი, მუდამ ობიექტურად განმსჯელი. არასდროს გვინახავს იგი დავრდომილი, დაჩაჩანაკებული, გულამომჯდარი, გულმოცემული, გულჩახვეული, გულამოსკვნილი (ისევ „გულმა“ შემახსენა თავი). პესიმისტებს მუდამ ოპტიმისტურად განგვანყოფს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დედისერთა შვილი ყალიბდება ამპარტავნად, თავხედად, ეგოისტად... ზურაბ პაპასქირი აქაც გამოჩნკლსია. მისაბაძია მისი თავმდაბლობა, თავაზიანობა, მოკრძალება, ზნეკეთილობა. მას არასოდეს მიუწვდომელისთვის ხელი არ წაუპოტინებია, საკუთარი თავისთვის სიკეთის მდომს, სხვისთვისაც სიკეთე უნატრია, სხვისი მიღწევები არასდროს შემურებია, პირიქით, უზომოდ გახარებია. დისტერვეგისა არ იყოს, მან საუკეთესოდ იცის, რომ ადამიანია მისი სახელი. ადამიანური თვისებებისთვის არასდროს უღალატნია. ასე მოვიდა დღემდე, ასე ივლის მომავალშიც.

ბიბლიაში ნათქვამია: „ჭალარას ნამოუდექი ფეხზე“ (ლევიაანი, 19, 32). ზურაბ პაპასქირი შრომაში, გარჯაში, წვა და წვალეობაში გაჭალარავდა. თუმცა პაოლო იაშვილსაც დაეჯერება: „თმაში ჭალარა, ეს სითეთრეა სიყვარულს რომ შემატებია“. ეს ის კაცია, რომელიც, ბიბლიისა არ იყოს, მუდამ მახვილებისგან სახნისებს ჭედავს და შუბებისგან – ნამგლებს. ბრძენთა ნათქვამთა ციტაციათ ამიტანა და ვახტანგ მეექვსესთან მასტუმრა: „ადამიანს ამაღლებს არა გვარი და აზნაურობა ან სიმდიდრე, არამედ ცოდნა მეცნიერებისა და კარგი აღზრდა“. სწორედ კარგმა აღზრდამ მიიყვანა ზურაბ პაპასქირი ცოდნის წყარომდე და აზიარა მეცნიერების სიმაღლეს.

რომენ როლანი იტყოდა: „სიცოცხლის მთელი სიხარული შემოქ-

მედებაშია, ქმნიდე... ნიშნავს, მოკლა სიკვდილი“. სწორედ მეცნიერულ შემოქმედებაში პოულობს ჩვენი იუბილარი უდიდეს სიხარულს და სიამოვნებას. იგი დღესაც ჭაბუკური ენერგიით აგრძელებს კვლევა-ძიებას. თითოეული ჩვენთაგანი დიდი ინტერესით ელოდება მისი ახალი ნიგნის თუ სამეცნიერო ნარკვევის გამოქვეყნებას. ინტერესით ელოდება იმიტომ, რომ ავტორი გვანებივრებს მეცნიერული სიახლეებით, კვლევის თავისებური მეთოდით და სტილით. ზემოთ ვახსენეთ, ზურაბ პაპასქირი შეუპოვარი პოლემისტია-თქო. მან კარგად უწყის მეცნიერული ენით, ისტორიული არგუმენტებისა და დოკუმენტების ენით ვის ეპაექროს, ვის ეკამათოს; გაშინაგანებული აქვს გოეთეს შეგონება:

*„ბრძენი რომ სულელს ეპაექრება,
თვითონაც იმის დონეზე დავა...
მცოდნე უმეცარს მაშინ ედრება,
როცა უმეცარს უმართავს დავას“.*

ზურაბ პაპასქირი მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე იკვლევს საქართველოს ისტორიის და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიას, აფხაზეთის ისტორიას და ერთიან ქართულ სახელმწიფოში მისი სტატუსის გარკვევასთან დაკავშირებულ საკითხებს. მის მეცნიერულ საქმიანობაში თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ დაკვირვებებს, გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს.

როდესაც ზურაბ პაპასქირის სამუშაო კაბინეტში შევდივარ, მუდამ სულიერ იდილიას ვგრძნობ. იქ ნაკლებად მახსოვს საუბარი რალაც ნვრილმანებზე. მუდამ საქმიანი მსჯელობა საქართველოს ისტორიაზე, აფხაზეთ-ქართული ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივებზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალზე. შესვენების პერიოდშიც კი მისი კარი ღიაა, მუდამ კომპიუტერთან ზის, ან ნიგნშია თავჩარგული. ამიტომ შევდივარ მასთან ხშირად სულის მოსაათქმელად. ზოგჯერ მოვუბოდიშებ კიდევ, მუშაობაში ხელს ხომ არ შეგიშლი-თქო. ნებისმიერ საკითხზე მას ახასიათებს ლოგიკური მსჯელობა, სათქმელის დამაჯერებლად გადმოცემა, მის სიტყვებს ყოველთვის აზრი უსწრებს ნინ. ერთი სიტყვით, ეს არის კაცი, რომელიც მეცნიერებით ცოცხლობს და სუნთქავს, დღე და ღამ ფუტკარივით შრომობს.

ზურაბ პაპასქირის 60-წლიანობამ ნაზონის სიტყვები გამახსენა: „ნელთა თვლა ზედმეტი ჯაფაა. ადამიანის ყამი გრძელია, მაგრამ მთავარი ნლები კი არა, საქმეებია და ისინი თვალე“. 60 წლის შეკრება თუ დათვლა კი არ არის მთავარი, არამედ რა მიღწევებით ეგებები მას, საკითხავი სწორედ ეს არის. მოდით, ერთად დავითვალოთ კვლავ ზურაბ პაპასქირის მეცნიერული „მოსავალი“: 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრო-

მი, ნარკვევი, სტატია, მათ შორის 11 მონოგრაფია თუ წიგნი; მეცნიერული ნაღვანის პუბლიკაციები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და თურქულ ენებზე; მონოგრაფიისათვის – „**აფხაზეთი საქართველოა**“ – დამსახურებულად მინიჭებული გიორგი შარვაშიძის პრემია; ასევე 1982 წელს – საქართველოს კომკავშირის პრემია, რაც იმ დროისათვის ერთობ პრესტიჟული პრემია იყო. ეს პრემია ავტორს მოუპოვა ნაშრომთა ციკლმა – *XI-XII საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე*. 2010 წელს მეცნიერული მიღწევებისათვის ზურაბ პაპასქირს მიაკუთვნეს შოთა რუსთაველის სტიპენდია. მას აღიარება მოუპოვა წიგნებმა: „**საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების სათავეებთან**“; „**ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი**“, „**აფხაზეთი საქართველოა**“, „**ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან**“, (ნაკვ. I. თბ., 2004; ნაკვ. II. თბ., 2007), „**და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე**“ (თბ., 2009), „**აფხაზეთი. გაუყალბებელი ისტორია**“ და ა.შ.

ზურაბ პაპასქირი ამჟამად არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის უფროსი. იგი ამ საქმეს წლების მანძილზე უძღვება. მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო შრომების რამდენიმე ტომი გამოიცა მაღალ დონეზე. იგი არის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამავე ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „*საისტორიო ძიებანი*“ მთავარი რედაქტორი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. პარალელურად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის ცენტრში, იყო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე.

როდესაც ზურაბ პაპასქირის დიდ მეცნიერულ მიღწევებზე ვსაუბრობთ, უსამართლობა იქნებოდა მისი მეუღლის, ქ-ნ ნონას ამაგისტვის ნაყრუება. იგი პროფესიით ექიმა. ისინი, როგორც იტყვიან, ღმერთმა შეაუღლა, ალბათ. ამ მშვენიერ ოჯახთან სოხუმის პირობებში ძალზე ახლო ურთიერთობაში ვიყავი. მათთან სტუმრობისას მუდამ სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობდი. მათი მეუღლეობრივი დამოკიდებულება, ტაქტიანი მოპყრობა, მისაბაძი შინაგანი ოჯახური კულტურა მუდამ მხიბლავდა. ქალბატონმა ნონამ ექიმობას უარი უთხრა, ერთობ საპატიო სამსახურს დიასახლისობა და შვილების აღზრდა არჩია, ასევე თავისი მეუღლისთვის ყოვლისმომცველი ხელშეწყობა მეცნიერული მოღვაწეობისათვის. ასე რომ, როცა ზურაბ პაპასქირის წარმატებებზე ვსაუბრობთ, ქალბატონ ნონას ღვაწლიც უნდა გვახსოვდეს, რომელიც მუდამ მოქმედებდა შეგონებით: „**კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს**“.

ბიბლიაში ვკითხულობთ: „ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს“. ჭეშმარიტად! ნონას და ზურაბის მიერ შვილების მიმართ გამოყენებულმა აღზრდის მეთოდმა სანაქებო შედეგს გვაზიარა. 38 წლის თეიმურაზ პაპასქირი საქართველოში (და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში) აღიარებული და პოპულარული ახალგაზრდა მეცნიერია. ამჟამად იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. თავის დროზე თეიმურაზ პაპასქირი იყო თსუ-ს „ევროპა—ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის“ კათედრის ასპირანტი. ასპირანტურაში სწავლების მეორე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: **„მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943)“**. ასპირანტურის დამთავრებამდე წელიწადნახევრით ადრე დისერტაციის დაცვა ჩვენს სინამდვილეში იშვიათი მოვლენა იყო და ეს შეძლო ჩვენმა საამაყო თემურმა. მან 2006 წელს გამოაქვეყნა ფრიად საყურადღებო მონოგრაფია – **„დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე**“. უკვე გამოცემული აქვს 40-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო წიგნი – **„ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945“** (ნაკვეთი I. თბ., 2009). თემურ პაპასქირი აშშ-ში კითხულობდა ლექციების კურსს („მეორე მსოფლიო ომის ისტორია“) ვისკონსინის უნივერსიტეტში – ოკლერი. ის ფლობს ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. ასე რომ, „ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს“.

დაბოლოს: ზურაბ პაპასქირის მიერ განვლილი ცხოვრების წიგნის ერთი ფურცელი მინდა გადავშალო: 1983 წ. თებერვლის დასაწყისში, თოვლ-ჭყაპიან ამინდში, სოხუმში მოულოდნელად ჩემს პატარა და უბრალო ოჯახში მესტუმრა დიდი პიროვნება **ზვიად გამსახურდიას** სახით. გამიმხილა: „ამალამ შენთან ვაპირებ დარჩენას, ახლა კი აფხაზეთის არქივში წამომყევი, მთელი დღე იქ უნდა ვიმუშაო რალაც მასალების მოსაძიებლად“.

არქივიდან მობრუნებულზე მეუღლესთან ერთად შევუდექი სამზადისს განუმეორებელი სტუმრისთვის საკადრისი სუფრის გასაშლელად. შევადგინე 10-კაციანი სია, რომელიც ბატონი ზვიადისთვის უნდა დამეხვედრებინა. თუმცა მასთან შეთანხმების გარეშე ვერ „გავრისკე“ მათი მონვევა. ვეახელი ნაშუადღევს ბატონ ზვიადს და მორიდებით შევბედე: „ამალამ ჩემს უმნიშვნელო ოჯახში თქვენისთანა პიროვნების სტუმრობა, ქართული ტრადიციის თანახმად, სუფრის გარეშე არ ჩაივლის და მინდოდა ჩემთან ერთად ეს ადამიანებიც გაგმასპინძლებოდათ თქვენ-მეთქი“. სია გავაცანი. ხმადაბლა მეუბნება: „ეს სია ოთხ კაცამდე შევამციროთ, სიაში დატოვე: მგალობლიშვილი, გვარამია, მიბჩუანი და პაპასქირი. მიბჩუანის და პაპასქირის ახლოს გაცნობა ჩემს ინტერესში შედისო“.

ნუგზარ მგალობლიშვილი სოხუმში არ აღმოჩნდა, ანზორ გვარა-

მიას ასავალ-დასავალი ოჯახმაც არ იცოდა. თემურ მიზჩუანი და ზურაბ პაპასქირი მოწვევას აღფრთოვანებით შეხვდნენ. დღევანდელი გადასახედიდან ადვილი სათქმელია, მაგრამ მათი „თანხმობა“ იმ დროისათვის გმირობის ტოლფასი იყო. ზვიად გამსახურდიას სასტიკად ავიწროებდა ხელისუფლება, მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა სუკი. მასთან ურთიერთობაშიც მყოფნი „აღრიცხვაზე“ ჰყავდათ აყვანილი. მაგრამ ამისი არც თემურს შეეძინებია და არც ზურაბს, თუმცა ჩემთან ერთად კარგად იცოდნენ თუ რა რისკზე მიდიოდნენ. იმ საღამოს საუბრის მთავარი თემა აფხაზეთი იყო. ზურაბ პაპასქირის მსჯელობებს ბატონი ზვიადი ყურადღებით უსმენდა და მოწონების ნიშნად ზოგჯერ თავსაც უქნევდა.

კიდევ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: 1989 წლის მაისში (ნაცხრააპ-რილარს) სოხუმში დაგეგმილ მრავალათასიან მიტინგზე მონაწილეობის მისაღებად აკაკი ბაქრაძე ჩამოვიდა. ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას შემდეგ იმხანად ბატონი აკაკი საქართველოში ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო. მიტინგის დასრულების შემდეგ მან ზურაბ პაპასქირის ოჯახში არჩია წასვლა. რამდენიმე საათი დავყავით იქ. სახელდახელოდ გამართულ ტრაპეზზე „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ავთანდილის მიხედვით პირველად მონათლა ზურაბმა აკ. ბაქრაძე გონების სიმბოლოდ და ჩვენი დროის ავთანდილი უწოდა. წალენჯიხაში გველოდა დიდი მიტინგი, ჩვენც იქითკენ მივეშურებოდით. ვიმგზავრეთ ზურაბ პაპასქირის „ჟიგულით“. როცა მანქანაში ვჯდებოდით, კარი გამოვალე და მძღოლის (ბატონი ზურაბის) გვერდით შევთავაზე აკ. ბაქრაძეს დაბრძანება, იუარა. იქ შენ, 120-კილოგრამიანი კაცი უნდა დაჯდეო (ზუსტად მიხვდა ბატონი აკაკი ჩემს იმჟამინდელ „წონას“). საინტერესოა, რომ წალენჯიხის დიდ მიტინგზე ჩვენი ჩასვლის შესახებ როცა გამოაცხადეს, აკაკი ბაქრაძესთან ერთად ზურაბ პაპასქირის გამოჩენას ოვაციებით შეხვდნენ.

ბეთჰოვენს უთქვამს: „არ არსებობს დაბრკოლება მისთვის, ვისაც აქვს ნიჭი და შრომისმოყვარეობის უნარი“. სწორედ ხალასი ნიჭითა და უბადლო შრომისმოყვარეობის წყალობით დაძლია ზურაბ პაპასქირმა ყოველგვარი დაბრკოლება და სასახელოდ შეეგება 60 წლის იუბილეს.

ვულოცავთ! ვულოცავთ! ვულოცავთ!

ნიკო ჯავახიშვილი

ბულისხმიერებით გამორჩეული

პროფესორ ზურაბ პაპასქირს, როგორც ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერს და საქართველოს ისტორიის საიმედო მკვლევარს – სათანადოდ იცნობს და აფასებს სამეცნიერო საზოგადოება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ვინაიდან მისი სოლიდური სამეცნიერო მემკვიდრეობის სათანადოდ დახასიათებას ხანგრძლივი დრო და ადგილი დასჭირდება, წინამდებარე წერილში მოკლედ მოგითხრობთ მისთვის დამახასიათებელ იმ ფრიად დადებით თვისებებზე, რომლებითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ახლა უკვე შუახნის, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდული შემართების მქონე მეცნიერი.

ბატონი ზურაბივით გულისხმიერი და პასუხისმგებლობის უაღრესად მაღალი გრძნობის მქონე ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ეს თვისებები მის პიროვნებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის. იგი განსაკუთრებული სიყვარულითა და ერთგულებით გამოირჩევა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, რომელშიც ხანგრძლივად, ნაყოფიერად მოღვაწეობს და უდიდესი მზრუნველობით ეკიდება ახალგაზრდა კადრების პროფესიულ აღზრდა-დაოსტატებას, რაც ყველა პედაგოგი-სათვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

ვისაც უნახავს მისთვის დამახასიათებელი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტილი, დამეთანხმება, რომ შეუძლებელია ეს საკმაოდ რთული საქმე ვინმემ უფრო მეტი მონდომებითა და თუ გნებავთ თავდადებით გააკეთოს. ენერგიით აღსავსე, მაძიებელი სულის მქონე მკვლევარი იმავდროულად უაღრესად დინჯი და ობიექტურია სხვათა ნაშრომ-ნაღვანის შეფასებისას, რაც მის ავტორიტეტს ერთი-ორად ამაღლებს.

გულითადად ვულოცავ ბატონ ზურაბ პაპასქირს 60 წლის იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა ქართული ისტორიოგრაფია კიდევ მრავალი ღირებული სამეცნიერო ნაშრომით გაამდიდროს.

წარსულის პრობლემები.

ზურაბ პაპასქირს დიდი პოპულარობა მოუტანა მონოგრაფიებმა: «*У истоков грузино-русских политических взаимоотношений*» (თბ., 1982); «*ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი*» (თბ., 1990); ხოლო წიგნისთვის «*აფხაზეთი საქართველოა*» (თბ., 1998), მას მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. ის არის თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი თსუ სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ მომზადებული გამოცემებისა: «*ქართული დიპლომატიური ლექსიკონი*» (ორ ტომად. თბ., 1998-1999); «*ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევი*» (ორ ტომად. თბ., 1998); «*ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი*» (თბ., 2002); «*ქართული დიპლომატიის ისტორია. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო*» (თბ., 2003).

ზურაბ პაპასქირის ნაშრომები შესულია, აგრეთვე, ისეთ სოლიდურ კრებულებში, როგორიცაა «*Разыскания по истории Абхазии/Грузия*» (თბ., 1999), «*ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა*» (თბ., 2003).

საქართველოს სამეცნიერო წრეებში, მთელ ქართულ საზოგადოებაში და მის ფარგლებს გარეთაც დიდი რეზონანსი გამოიწვია ზურაბ პაპასქირის უმაღლეს დონეზე შესრულებულმა მონოგრაფიებმა: «*ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან*» (ორ წიგნად. თბ., 2004-2007); «*Абхазия. История без фальсификации*» (თბ., 2009); მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ., 2010). დასახელებულ ნაშრომებში წარმოჩენილია რეგიონის სრული და ყოვლისმომცველი ისტორია, სადაც პირველწყაროების და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ისტორიულად აფხაზეთი იყო ერთიანი ეთნო-კულტურული და პოლიტიკური ქართული სამყაროს ორგანული ნაწილი.

ზურაბ პაპასქირი არის თავის პროფესიაზე უაღრესად შეყვარებული პიროვნება. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და კოლეგებისგანაც ამას მოითხოვს. მის გვერდით უქმად ყოფნა თვითონ შენში იწვევს უხერხულობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მეცნიერებთან მისი მუშაობის სტილი. პროფ. ზურაბ პაპასქირის ხელმძღვანელობით საქართველოს ისტორიის კათედრაზე აღიზარდნენ უკვე ქვეყნის მასშტაბით ცნობილი ახალგაზრდა მკვლევრები. მას თბილი ურთიერთობა აქვს სტუდენტებთანაც, ახლოს მიდის მათთან, კარგად ესმის მათი, იოლად წვდება ახალგაზრდების სულიერ სამყაროს. ამიტომაც გამორჩეულად უყვართ იგი სტუდენტებს, როგორც პიროვნება, აღმზრდელი და, რა თქმა უნდა, ქვშმარიტი პროფესიონალი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობისას ზურაბ პაპასქი-

რი ლექციებს კითხულობდა აფხაზურ სექტორზეც. აფხაზეთის ისტორიის მრავალი საკითხის შესახებ მას ჰქონდა (და დღემდე აქვს) სწორი მეცნიერული და, იმავედროულად, მამულიშვილური და ტოლერანტული პოზიცია, რაც, ბუნებრივია, არ მოსწონდა აფხაზი სტუდენტებისა და პროფესორთა რადიკალურად განწყობილ ნაწილს. მიუხედავად ამისა, აფხაზი სტუდენტები მის პიროვნებას პატივისცემით ეპყრობოდნენ, რასაც განაპირობებდა ბატონი ზურაბის უდავო პროფესიონალიზმი და თბილი, ადამიანური თვისებები. აფხაზი სტუდენტების მიმართ მისი ობიექტური, სამართლიანი, მზრუნველი დამოკიდებულება გახდა, უპირველესად ის ფაქტორი, რამაც, მნიშვნელოვან წილად, უზრუნველყო მისი სიცოცხლის უსაფრთხოება აფხაზეთში პატიმრობისას. სწორედ „განაწყენებულმა“ სტუდენტებმა თუ სტუდენტყოფილებმა დიდი წვლილი შეიტანეს ბატონი ზურაბის სამშვიდობოს გამოსამგზავრებლად. ეს ეპიზოდი მისი ცხოვრებისა, საკმაოდ მძიმეა, მაგრამ გულწრფელად ტკბილად მოსაგონარიც, რადგან იძლევა იმის რწმენასაც, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არაა დაკარგული.

ყოველივე ზემოთქმული ერთი მხარეა ზურაბ პაპასქირის, როგორც მოქალაქისა და მეცნიერის მოღვაწეობისა, რაც ასე სახელდახელოდ და უაღრესად ზოგად შტრიხებში წარმოვადგინეთ. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ზურაბი არის დიდებული ოჯახის მესვეური. ქალბატონი ნონა უზომოდ და შეყვარებული მეუღლესა და ოჯახზე. ზურაბის მეცნიერული მიღწევები ქალბატონი ნონას თბილი, მზრუნველი, ადამიანური მხარდაჭერისა და თანადგომის დამსახურებაცაა. ზურაბ პაპასქირის, როგორც მამისა და მეცნიერის, პედაგოგის ღირსებაცაა მისი ძე და ასული. ვაჟი – თეიმურაზი – თსუ-ს სრული პროფესორია, ქალიშვილი – ნათია – ინგლისური ენის შესანიშნავი სპეციალისტი. ორივე დაოჯახებულია, ჰყავთ შვილები, რომლებსაც უზომოდ უყვართ ბაბუა. სწორედ ასეთ კაცზე იტყვიან – ბედნიერ ვარსკვლავზეაო დაბადებული.

ზურაბი და მე მეგობრები ვართ. ჩვენ საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის კათედრის დამფუძნებელი წევრებიც ვიყავით. მოვდივართ ერთად, ათეული წლებია; ერთ საქმეს ვაკეთებთ; ერთად განგვიცდია წარმატების სიხარული, ერთად დავმდგარვართ ავადსახსენებელი აფხაზეთის მოვლენების დროს უკიდურესი სიძნელეების წინაშე, მაგრამ არ გავმტყდარვართ. დღემდე მოვალნიეთ ღირსეულად. ზოგჯერ სხვადასხვა პოზიციაზე დამდგარვართ, მაგრამ მეგობრებად დავრჩენილვართ.

ვულოცავ ზურაბ პაპასქირს 60 წლისათვის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებსა და ბედნიერებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ГИВИ ЦУЛАЯ

НЕСКОЛЬКО СЛОВ О ЗУРАБЕ ПАПАСКИРИ

О Зурабе Папаскири впервые узнал где-то в конце 1975г. Помню, как однажды со мной связался уже известный в ту пору учёный-историк, кавказовед (да и востоковед довольно широкого профиля), старший научный сотрудник Института Истории СССР АН СССР, доктор исторических наук, к тому же и профессор кафедры Истории СССР периода феодализма **Анатолий Петрович Новосельцев** (впоследствии директор того же института, чл.-корр. АН СССР), с которым меня связывали тёплые дружеские отношения. Так вот, Анатолий Петрович мне сообщил, что его аспирант в МГУ (грузин, уроженец Зугдиди) завершил работу над кандидатской диссертацией по истории взаимоотношений Грузии с Древней Русью в XI-XIIвв., в которой отдельная глава посвящена и истории грузино-северокавказских и грузино-половецких взаимоотношений указанного периода.

Учитывая то обстоятельство, что я являюсь специалистом истории и этнологии народов Северного Кавказа, да и проблема грузино-русских взаимоотношений не была далека от моих научных интересов (накануне, как раз, вышла моя статья о значении термина «Обезы» в русских письменных памятниках,¹ тематика которой непосредственно соприкасалась с одним из ключевых вопросов, затрагиваемых в диссертации З. Папаскири), А. П. Новосельцев предложил мне стать официальным оппонентом его аспиранта. При этом он добавил, что другим официальным оппонентом намечается видный учёный-византист, проф. **Генадий Григорьевич Литаврин** (впоследствии Академик РАН). Так как я высоко ценил научный авторитет А. П. Новосельцева, да ещё и знал об его непримиримости к халтуре, без лишнего колебания принял данное предложение. Через некоторое время я уже лично познакомился с Зурабом.

Это было уже в моём родном городе – Сухуми – в мае 1976г. В ту пору скончался мой отец. Естественно, в наш дом по ул. Ал. Казбеги на соборезнование приходили родственники и друзья. Среди них был мой преподаватель и старший друг, известный историк, зав. кафедрой истории СССР Сухумского государственного педагогического института им. А. М. Горького, доктор исторических наук, проф. **Ираклий Дмитриевич Ахалаиа**. Он пришёл не один, а в сопровождении молодого человека. Это и был Зураб Папаскири,

¹ Г. В. Цулая. Обезы по русским источникам. – *Советская этнография*. № 2. 1975, с. 99-105.

который, как оказалось, к тому времени приступил к работе в моём Alma mater – пединституте. Он сразу же оставил на меня весьма приятное впечатление, в первую очередь, своей интеллигентной внешностью и скромностью. Позже, когда я уже ознакомился с диссертацией Зураба, передо мной предстал сложившийся учёный, с которым приятно было разговаривать на многие темы истории и источниковедения средневековой Грузии.

Кандидатская диссертация З. Папаскири,¹ которая позже вышла отдельной книгой,² представляла собой солидное научное исследование. В нём основательно были рассмотрены вопросы взаимоотношений единого грузинского государства с народами и политическими образованиями Северного Кавказа, Половецкой степью и, главное, с Киевской Русью и на этом фоне дана общая картина северного направления грузинской внешней политики, показана роль и место Грузии в политической и культурной жизни северных соседей.

Конечно, нельзя сказать, что до З. Папаскири эта проблематика была не изучена и что он начинал с нуля, наоборот, в этой сфере, в грузинской историографии к тому времени, было сделано немало. Среди научных работ, посвящённых взаимоотношениям Грузии с северными странами и народами в XI-XII вв., особо следует выделить труды Я. З. Цинцадзе, Ш. А. Месхия, З. В. Анчабадзе, М. В. Цинцадзе, Д. К. Степнадзе, М. П. Мургулия и др. Заслуга З. Папаскири заключается в том, что он критически осмыслил всё историографическое наследие и впервые на русском языке представил обобщающую монографию, в которой к тому же выдвинул ряд новых гипотез по тем или иным вопросам грузино-русских, грузино-половецких и грузино-овских взаимоотношений изучаемого периода.

Это, прежде всего, уточнение текста анонимной грузинской хроники: «Летопись Картли» о пребывании 3-х тысячной дружины «варангов» (варягов) в Грузии и рассмотрение данного сообщения в качестве доказательства существования антивизантийского военно-политического альянса между Грузинским государством и Киевской Русью ещё в середине XIV в.³ Это и первая попытка уточнения даты женитьбы Давида Строителя на дочери «главнейшего над кипчаками» Атрака Шараганис-дзе – 1007-1009 гг. Также впервые предпринята попытка объяснения весьма странного сообщения той же

¹ **З. В. Папаскири.** Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. Из истории международных отношений. Автореферат кандидатской диссертации. М., 1978.

² **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Изд. ТГУ. Тб., 1982.

³ Следует отметить, что этот фрагмент монографии З. Папаскири, отдельной статьей был опубликован в головном периодическом научном органе по проблемам истории СССР. См.: **З. В. Папаскири.** «Варанги» грузинской «Летописи Картли» и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XIV в. – *История СССР*, №3. Изд.: «Наука». М., 1981, с. 164-172.

«Летописи Картли» о «второй жене» второго царя объединённой Грузии – Георгия I-го, овсской царевне Альде. По мнению З. Папаскири, в данном сообщении грузинского летописца отражен реальный исторический факт – политически мотивированная женитьба Георгия I на овсской царевне, направленное на установление военно-политического союза с Овским царством, с целью вовлечения этого, довольно мощного объединения на Кавказе, в антивизантийскую коалицию. И наконец, особо следует выделить параграф, посвящённый значению термина «Обезы» в русских письменных памятниках, в котором, З. Папаскири дал достойный ответ отдельным исследователям, совершенно необоснованно воспринимавших «Обезы» и «обезов» как Абхазию и абхазов в современном понимании этих терминов.

Я хорошо помню защиту кандидатской диссертации Зураба в МГУ им. М. В. Ломоносова – в главном вузе СССР. Она состоялась 11 апреля 1978г. в аудитории им. акад. М. Н. Тихомирова истфака МГУ. Председательствовал известный русский историк, чл.-корр. АН СССР (с 1987г. академик), зав. кафедрой Источниковедения истории СССР и одновременно гл. редактор журнала *История СССР*, проф. **Иван Дмитриевич Ковальченко**. Защита прошла на высоком уровне, без всяких лишних эксцессов. Решение Совета было единодушным. На защите присутствовали и некоторые мои друзья из Сухуми (вышеупомянутый И. Д. Ахалаиа, декан исторического факультета Сухумского госпединститута **Мурман Бериа**, сотрудник того же института **Георги Сахеишвили** и др.), а также **Мариам Лордкипанидзе**.

После защиты Зураб устроил банкет в ресторане «*Метрополь*», однако, в те времена оппонентам и членам диссертационного совета строго запрещалось принимать участие в таких «торжествах» и я, несмотря на уговоры со стороны Зураба и его отца, всё же решил не искушать судьбу и не пошёл на банкет, хотя страшно хотелось быть там. Позже, несколько дней спустя, мы всё же отметили это важное событие, но это было куда более скромное застолье (в ресторане «*Черёмушки*») и в узком кругу. На нём присутствовали Зураб вместе с отцом, научный руководитель диссертации, проф. А. П. Новосельцев и мы «невинно пострадавшие» официальные оппоненты – Г. Г. Литаврин и я. С того вечера и началась наша с Зурабом дружба.

Я, как правило, летний отпуск проводил дома – в Сухуми. В каждый мой приезд я, естественно, общался с друзьями из пединститута (с 1979г. уже преобразованного в университет). Зураб приходил ко мне. Помню, как он восхищался моей библиотекой. Какие книги только у меня там не были (эту библиотеку уничтожили абхазские боевики). Кстати, Зураб бывал в моей московской квартире, где его также поразило разнообразие тамошней библиотеки и особенно то, что у меня одни и те же книги были и в Сухуми и в Москве.

Со временем познакомился я и с семьёй Зураба, его супругой – Нонной, которую я по сей день зову – Нани (она не обижается) и малолетним

сыном – Теймуразом (ныне уже довольно известный учёный-историк, профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили). Не раз бывал я у них дома, как на ул. Кирова, где они снимали однокомнатную квартиру, так и в «Новом районе» – уже в собственной квартире. Я ещё тогда понял, какой Зураб примерный отец. Вспоминаю, как-то, во время одной из наших встреч, Зураб заторопился. Я попросил остаться, но он, извинившись, сказал, что не может, так как обещал сыну быть дома – видать, у них были какие-то планы на вечер.

Эти встречи нередко носили и деловой характер, и они переросли в плодотворное творческое сотрудничество. Началось это где-то в конце 70-х годов прошлого столетия. Тогда был опубликован мой перевод фрагментов из сочинения Леонтия Мровели.¹ Я любезно попросил Зураба сверить русский перевод с древнегрузинским оригиналом. Он выполнил эту мою просьбу и буквально за несколько дней подготовил довольно пространственный отзыв на мой труд. В нём была дана высокая оценка выполненному мной переводу и книге в целом. Но наиболее ценным для меня было, то, что Зураб обнаружил – по-моему, в 2-х или 3-х местах – некоторые текстологические расхождения между оригиналом и переводом.

Я даже припоминаю, что мы разошлись во мнениях в понимании содержания одного из этих мест и для уточнения обратились ректору Сухумского госпединститута (тогда уже университета), чл.-корр. АН Грузии, проф. **Зурабу Анчабадзе** – видному учёному-историку, прекрасному знатоку грузинских средневековых источников. Зураб Вианорович, просто глянул на древнегрузинский текст и моментально подтвердил правоту интерпретации Зураба. Это было ещё одним доказательством высокого профессионализма молодого историка и в моих глазах он ещё больше вырос как историк-медиевист широкого профиля, с солидной источниковедческой подготовкой, знаток летописей «*Картлис цховреба*». Тогда я и решил мою дальнейшую работу в этом направлении вести в тесном контакте с Зурабом. Вот и пошло. Зураб был первым, кто прочёл мой перевод «*Летописи Картли*»,² сверил его с грузинским оригиналом и дал весьма полезные советы. Аналогичную работу он проделал и в отношении моего перевода сочинения Джуаншера Джуаншериани: «*Жизнь Вахтанга Горгасала*».³ Неслучайно, что З. Папаскири является одним из рецензентов этих изданий.

Как я уже отметил, З. Папаскири имеет весьма основательные познания в области источниковедения, особенно по «*Картлис цховреба*». У него

¹ **Леонти Мровели.** Жизнь Картлийских царей. Извлечения об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана. Перевод с Древнегрузинского, предисловие и комментарии **Г. В. Цулая.** М., 1979.

² *Летопись Картли.* Перевод, введение и примечания **Г. В. Цулая.** Тб., 1982.

³ **Джуаншер Джуаншериани.** Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания **Г. В. Цулая.** Тб., 1986.

имеется ряд интересных публикаций в этой сфере.¹ Я был свидетелем, с каким интересом слушали ведущие грузинские (и не только грузинские) историки источниковедческий доклад Зураба на Всесоюзной научной сессии в Сухуми в 1982 году, которая была посвящена как раз некоторым конъюнктурным правкам текста «*Летописи Картли*».² Помню и то, как поздравляли Зураба участники сессии с присуждением (это как раз произошло в те дни) Премии комсомола Грузии (по тем временам высшая награда республики для молодых учёных) за цикл работ по истории международных отношений Грузии в XI-XII вв. Хотя, как оказалось, поздравление не всех наших абхазских коллег были искренними.

Позже я узнал, как обрушились некоторые наши «друзья» из Абхазского государственного университета и Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа АН Грузии, на факт присуждения Зурабу высокой награды. Причиной послужило то, что в своих публикациях и, особенно в монографии о грузино-русских отношениях в XI-XII вв., о которой говорилось выше, он подверг абсолютно справедливой критике необоснованные утверждения одного из «столпов» абхазской сепаратистской историографии по вопросу понимания термина «Обезы» в древнерусских письменных памятниках (кстати, это было сделано весьма тактично и с полным соблюдением научной этики). Подумать только, группа профессоров-преподавателей АГУ пожаловалась даже в ЦК КПСС – высший политический орган страны и потребовала чуть ли ни выдворения З. Папаскири из Абхазии.

Я, как мог, поддерживал Зураба в то время. Помню, это было летом 1983 г. – в самый разгар клеветнической кампании против него – он пригласил меня и своего научного руководителя А. П. Новосельцева (в тот период он находился в Сухуми – на отдыхе, гостил у второго своего бывшего аспиранта, ныне кандидата наук, зав. кафедрой АГУ **Резо Кацья**) к себе и мы за приятным дружеским обедом (с нами был и Резо Кацья) обсуждали возникшую непростую ситуацию. Анатолий Петрович пообещал Зурабу, что посетит заведующего отделом науки и учебных заведений Абхазского обкома КП Грузии В. Е. Александрова (ему было поручено разобраться с «делом Па-

¹ Среди них особо следует отметить вышеуказанную статью о текстологических проблемах сообщения о «варангах» «*Летописи Картли*», а также статью о необходимости внесения конъюнктуры в текст той же «*Летописи Картли*» в пассаже об «Эриставе Чиха». См.: **З. Папаскири**. Кто был «Эриставом Чиха». О целесообразности внесения одной конъюнктуры в текст «*Летописи Картли*». – *Грузинское источниковедение*. XI, Тб., 2006, с. 64-71 (на груз. яз.). Эту публикацию см. также в кн.: **З. Папаскири**. И восстала Грузия от Никопсии до Дарубанда. Тб., 2009, с. 371-380. Интернет-версию см.: <https://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-russian>.

² **З. В. Папаскири**. К толкованию одного сообщения «*Летописи Картли*». – *Актуальные проблемы изучения и издания письменных источников*. Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Изд. «Мецниереба». Тб., 1982.

паскири») и выскажет своё возмущение по поводу травли его ученика. Он сдержал слово и, действительно, имел предметный разговор с партийным «боссом» местного масштаба.

Раз уж зашёл разговор об отношении к взглядам З. Папаскири по вопросам истории Абхазии со стороны сепаратистски настроенных абхазских историков и представителей интеллигенции, скажу, что мы с Зурабом единомышленники и отстаиваем магистральную линию грузинской исторической школы – Абхазия исторически всегда была органической частью общегрузинского политико-государственного и культурного пространства и абхазы (в этноязыковом отношении оставаясь представителями абхазо-адыгского мира) такие же созидатели общегрузинской цивилизации, как и жители других регионов: картлийцы, кахетинцы, имеретинцы, месхетинцы, мегрелы, сваны и т. д. (Н. А. Бердзенишвили). Более того, Абхазия в лице своих вождей была одной из активнейших собирательницей грузинских земель.

Вот уже более 35 лет как Зураб ведёт активную пропаганду этого единственно правильного и научно обоснованного взгляда на историческое прошлое современной Абхазии и не только в студенческой аудитории. Его публикации в этом направлении и особенно обобщающие исследования последних лет¹ являются этапными и вносят большой вклад в дело правильного понимания исторического пути грузинского и абхазского народов. Вот эта идеология шла наперекор сепаратистскому произволу, потому и ополчились на Зураба наши абхазские братья и фактически объявили его «персоной нон грата». Но тогда всё обошлось и в этом была огромная заслуга ректора университета З. В. Анчабадзе, который не допустил «расправу» над своим учеником (по проблемам Абхазии Зураб считает его своим учителем).

Но наиболее критический момент в жизни Зураба наступил позже, по окончании братоубийственной войны в Абхазии, когда он оказался «в абхазском плену» – он своевременно не смог выбраться из окружённого «Нового района» и его арестовала Служба безопасности сепаратистской Абхазии. Как известно, в заключении он провёл сто дней, и вызволить оттуда удалось благодаря усилий научных кругов Грузии и России. Я был непосредственно подключен к этой кампании. Весть об аресте Зураба дошла до меня где-то в начале декабря 1993г. – мне позвонил из Тбилиси наш общий друг, профессор Сухумского государственного университета **Борис Кварацхелиа**. Я сразу же спохватился. Тогда в Москве находилась Мариам Лордкипанидзе. Мы с ней обсудили ситуацию. Было решено использовать

¹ **З. Папаскири**. Очерки из истории современной Абхазии. Ч. I: *С древнейших времён до 1917 года*. Тб., 2004; Ч. II: *1917-1993*. Тб. 2007 (на груз. яз.). Электрон. версия: <https://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian>; **З. Папаскири**. Абхазия: *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010 (резюме на английском языке). Электрон. версия: <https://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-russian>.

авторитет А. П. Новосельцева, через него выйти на ведущих российских учёных-историков и приобщить их к кампании по спасению Зураба. Анатолий Петрович, естественно, принял близко к сердцу трагическую участь своего ученика и поставил этот вопрос на заседании Отделения истории АН РАН. Было подготовлено официальное обращение к Владиславу Ардзинба, в котором всемирно известные учёные, академики и члены-корреспонденты АН РАН, директора институтов Академии наук (во главе с академиком-секретарём Отделения истории РАН **И. Д. Ковальченко** и Председателем Национального комитета российских историков, академиком **С. Л. Тихвинским**) просили лидера сепаратистов проявить милосердие в отношении З. Папаскири. Я почти уверен, что именно это обращение сыграло не последнюю роль в освобождении Зураба.


Сегодня Зураб Папаскири успешно продолжает свою весьма плодотворную научно-педагогическую деятельность в родном ему Сухумском государственном университете, где он вокруг себя собрал своих учеников – талантливых молодых учёных-историков уже внесших весомый вклад в разработку кардинальных вопросов истории Грузии-Абхазии. У Зураба большой авторитет в научном мире и не только в масштабах Грузии. Он автор свыше 180 печатных работ (среди них более десяти монографий и книг). Его труды опубликованы на грузинском, русском, английском, немецком, турецком языках. Большинство из них помещены на разных интернет-сайтах. Помимо этого, он автор до 200 энциклопедических материалов и столько же газетных статей. Признанием его научных заслуг было присуждение ему премии им. Георгия Шарвашидзе (в 1998г.), а также Стипендии Руставели в области – Истории Грузии (за 2010г.).

Зураб Папаскири большой организатор науки. Его талант на этом поприще особенно проявился на посту руководителя службы координации научной работы Сухумского государственного университета и председателя возобновлённой по его же инициативе (в 1998г.) Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такашвили. Он примерный редактор, наглядным свидетельством чего, в первую очередь (наряду множества монографий, книг), являются объёмистые и весьма содержательные тома серии гуманитарных и социально-политических наук «Трудов Сухумского государственного университета» (т. I. Тб., 2007, т. V, Тб., 2008, т. VIII, Тб., 2010-2011.) и периодического научного издания, ежегодника – *Исторические разыскания* (издано 10 томов), главным редактором которых он является.

И наконец, Зураб отзывчивый друг и товарищ, который всегда готов прийти на помощь ближнему и поддержать его. Я никогда не забуду, как он и его ученики в 2010г. организовали в Сухумском государственном университете встречу со мной.



ზურაბი მშობლებთან ერთად.
მამა ვალერიან (ვალიკო) პაპასქირი, დედა –
პარასკევა (ცუცა) კვარაცხელია



სკოლის მოსწავლე



ახლადშეუღლებული ზურაბი და ნონა
(ლენინგრადი, 1974წ.)



პაპასქირების ოჯახი (სოხუმი)




ინტელექტ-კლუბის „რა? სად? როდის?“ წევრი თეიმურაზ პაპასქირი „ბროლის ბუს“ მფლობელია (2010წ.)




პაპასქირების ოჯახი



თეიმურაზ პაპასქირი ოჯახით



ნათია პაპასქირი ოჯახით



პატარა ნიკოლოზი მოსწავლე გახდა



ქალბატონი ნონა და მარიამი



ზურაბ პაპასქირის შვილიშვილები:
მარიამ პაპასქირი და ნიკუშა ეხვია

იასე ცინცაძის მონოგრაფიაში,¹ მაგრამ დასაზუსტებელი და გასარკვევი მაინც საკმაოდ აღმოჩნდა. სწორედ ეს გაკეთდა ზ. პაპასქირის ნაშრომში. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია, მეცნიერის დაკვირვებები „ვარანგთა“ (ვარიაგთა) სამათასიანი რაზმის საქართველოში ყოფნის შესახებ XI ს. ანონიმური ქართული ქრონიკის „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაზე.

გაამყარა რა ახალი არგუმენტებით ამ წყაროთმცოდნეობით-ტიქს-ტოლოგიური თვალსაზრისით ურთულესი პასაჟის ი. ცინცაძისეული წაკითხვა, მკვლევარმა წამოაყენა სრულიად ახალი თვალსაზრისი ამ რაზმის კიევის სახელმწიფოდან მოსვლის შესახებ და მოცემული ფაქტი მიიჩნია ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ქართულ-რუსული სამხედრო-პოლტიკური ალიანსის შექმნის მცდელობად.² ამით ზ. პაპასქირმა სულ ცოტა ერთი საუკუნით დააძველა საქართველო კიევის რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ 1981 წელს მონოგრაფიის ეს პარაგრაფი ცალკე სტატიის სახით გამოქვეყნდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ პერიოდულ სამეცნიერო ორგანოში: «История СССР»-ში³ და მან იმთავითვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება.⁴

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეცნიერის მიერ ყურადღების გამახვილება ძველი რუსული წერილობითი ძეგლების «Обези»-ს გაგების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ ტერმინს ცალკეულ შემთხვევებში არასწორად იაზრებდნენ როგორც აფხაზეთსა და აფხაზებს ამჟამინდელი მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემის გარშემო იმავე ი. ცინცაძემ გააკეთა ცალკეული მეტად საჭირო კომენტარები,⁵ ეს სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი პრობლემის მოსახსნელად, მით უფრო, რომ

¹ ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVI სს). თბ., 1956.

² ზ. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических..., გვ. 32-46.

³ ზ. В. Папаскири. «Варанги» грузинской «Летописи Картли» и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI в. – *История СССР*, №3. М., 1981, გვ. 164-172.

⁴ ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ზ. პაპასქირის ამ თვალსაზრისს და ფაქტობრივად გაიზიარა ის, იყო აკად. რ. მეტრეველი (იხ.: რ. მეტრეველი. „და მოვიდეს ვარანგნი“. – *ლიტერატურული საქართველო*. №41, 1981. აღნიშნული ნაშრომი იხ. აგრეთვე: წგნ.: რ. მეტრეველი. „და მოვიდეს ვარანგნი“. *ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები*. თბ., 1988, გვ. 76). ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ბატონმა როინმა საქართველოსა და ძველი რუსეთის ურთიერთობებისადმი მიძღვნილი განმარტოვებული ნაშრომის სათაურად სწორედ ვარანგებზე „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის ფრაგმენტი – „და მოვიდეს ვარანგნი“ გაიტანა. ზ. პაპასქირის ამ მიგნებას გამოეხმაურა ცნობილი რუსი მეცნიერი-კავკასიოლოგი ვ. ვინოგრადოვი, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა, რომ ზ. პაპასქირმა საბოლოოდ მოჰფინა ნათელი «в трактовку вопроса о «варангах» в Грузии» (იხ.: В. Б. Виноградов. О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X-XII вв. – *მაცნე*, ისტორიის... სერია. №2. 1988, გვ. 164).

⁵ ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან..., გვ. 65-67; ი. ცინცაძე. ძველი რუსული მასალები (XI-XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 15-26.

ღვანღმოსილ მეცნიერს გამორჩა ამ კუთხით ზოგიერთი ძალზე გამომწვევი ანტიქართული შინაარსის პუბლიკაცია.¹

ზ. პაპასქირმა შეავსო ეს ხარვეზი, სრულად წარმოაჩინა პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, მკაფიოდ აჩვენა ცალკეულ რუს და აფხაზ მეცნიერთა მცდელობების – მიეჩნიათ რუსული წყაროების «Обези» თანამედროვე აფხაზეთისა და აფსუა-აფხაზეთის აღმნიშვნელ ტერმინად – სრული უსაფუძვლობა და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ძველი რუსული წერილობითი ძეგლების უკლებლივ ყველა ცნობაში «Обези» ნიშნავს აფხაზეთსა და აფხაზეთს მხოლოდ და მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ საქართველოს მთლიანად და მის მოსახლეობას.² განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველივე ეს გაკეთდა რუსულ ენაზე და აღნიშნული დასკვნა ხელმისაწვდომი გახდა სპეციალისტთა ფართო წრისათვის. სხვათა შორის იმ გარემოებამ, რომ წიგნი გამოქვეყნებული იყო რუსულ ენაზე და მასში მოცემული იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთ რუს მეცნიერთან ერთად ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის შ. ინალ-იფას დასკვნების საკმაოდ მწვავე კრიტიკა, დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია აფხაზურ სეპარატისტულ წრეებში და ის გახდა მათი მხრიდან ზ. პაპასქირის დევნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

აღნიშნულ მონოგრაფიაში ზ. პაპასქირმა საგანგებოდ შეისწავლა და პირველად ისტორიოგრაფიაში მოგვცა ყივჩაყურ სამყაროსთან საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობების სრული სურათი XII საუკუნეში. გარდა ამისა, მან დააზუსტა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული არა ერთი საკითხი, რომელთაგან განსაკუთრებით გამოსაყოფია ყივჩაყთა „უმთავრესის“ ასულზე დავით აღმაშენებლის დაქორწინების ისტორიული ფონის სკრუპულოზური ანალიზი და ამ მოვლენის დათარიღების მცდელობა (ასევე პირველად). ზ. პაპასქირის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1107-1109 წლებში.³

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეცნიერის დაკვირვებები საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობებზე XI-XII საუკუნეებში. აქაც ზ. პაპასქირმა ახლებურად გააშუქა და დააზუსტა საქართველო-იმეერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების მთელი რიგი საკითხები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეცნიერის ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც „მატიანე ქართლისაჲს“ მეტად უცნაურ ცნობაში გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის ე.წ. „მეორე ცოლის“, ოვსთა მეფის ასულ აღდას შესახებ, უნდა დავინახოთ

¹ მაგ., **Л. И. Лавров.** «Обезы» русских летописей. – *Советская этнография*, №4, 1946, გვ. 33-40; **М. О. Скрипиль.** Сказание о Вавилоне граде. – *Труды отделения древнерусской литературы*, т. IX. М., 1953, გვ. 130-135 და სხვ.

² **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 116-123.

³ **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 85-89.

რეალური ფაქტი – საქართველო-ოვსეთის სამეფოს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრისა და ამ პოლიტიკური ერთეულის ანტი-ბიზანტიურ კოალიციაში ჩართვის მცდელობა.¹

მეცნიერის მთელ ამ ანალიზს საქართველოს ერთიერთობებზე ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან და ხალხებთან, აგრეთვე ყივჩაყურ სამყაროსთან აგვირგვინებს სავსებით დასაბუთებული დასკვნა საქართველოს სახელმწიფოს პრიორიტეტულ როლზე რეგიონში.² აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ შევნიშნოთ, რომ ზ. პაპასქირის კვლევის შედეგებმა მოცემული მიმართულებით ფართო გამოხმაურება ჰპოვა დარგის წამყვანი სპეციალისტების მხრიდან. საკმარისია ითქვას, რომ ზემოთხსენები თვალსაჩინო რუსი ისტორიკოსი-კავკასიოლოგი ვ. ვინოგრადოვი XI-XII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის ჩვენებისას მთლიანად სწორედ ზ. პაპასქირის აღნიშნულ კვლევასა და მიღებულ დასკვნებს დაეყრდნო,³ რაც უდავოდ ქართველი ისტორიკოსის მეცნიერული ავტორიტეტის აღიარების ნათელი დადასტურებაა.

შუა საუკუნეების ხანის საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება ზ. პაპასქირის სადოქტორო დისერტაცია „შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები“, რომელიც 1991 წელს დაიცვა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის შინაარსი სრულადაა გადმოცე-

¹ **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений, გვ. 49-51. წარმოდგენილ ნაშრომში ყოველივე ეს მოცემული იყო ზოგადი ჰიპოთეზის სახით სათანადო არგუმენტაციის გარეშე. მოგვიანებით ზ. პაპასქირმა საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მოგვცა თავისი დასკვნის ამომწურავი არგუმენტაცია. დაწვრილ. იხ.: **З. В. Папаскири.** Некоторые вопросы внешней политики Грузинского царства в I трети XI в. – *Сборник научных работ молодых ученых и специалистов Абхазии.* Сухуми, 1980, გვ. 64-74; **ზ. პაპასქირი.** „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. I. თსუ გამომცემლობა. თბ., 1983, გვ. 136-144; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 123-138.

² საქართველოს საერთაშორისო როლის ჩვენება გასდევს წითელ ზოლად ზ. პაპასქირის სტატეიას, რომელიც მან ჯერ კიდევ ასპირანტობის პერიოდში მოამზადა. იხ.: **З. В. Папаскири.** К вопросу о международной роли Грузии в XI – первой половине XII вв. – *Проблемы истории СССР,* V. Изд. МГУ. М., 1976, გვ. 115-128. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე თბ., 2009, გვ. 196-208 (ელექტრონ. ვერსია იხ.: <http://sites.google.com/site/zpapasiki/publications-georgian>).

³ **В. Б. Виноградов.** О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X-XII вв., გვ. 164-166.

მული ზ. პაპასქირის ორ მონოგრაფიაში: „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1990) და „შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“ (თბ., 1991).

პირველი გამოკვლევა წარმოადგენს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის მონოგრაფიული შესწავლის ცდას საქართველოს გაერთიანებისა და მისი შემდგომი განვითარების გზაზე X ს. მიწურულსა და XI ს. 60-იან წლებამდე. მართალია, მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანად იყო დამუშავებული ცალკეულ ქვეყნებთან და ხალხებთან საქართველოს ურთიერთობები XI-XII საუკუნეებში,¹ მაგრამ ზ. პაპასქირამდე არავის უცდია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ყოველმხრივი, მონოგრაფიული შესწავლა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება-განმტკიცების პერიოდში და ამ ფონზე საერთაშორისო არენაზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს როლისა და ადგილის დადგენა.

სწორედ ამ ხარვეზის შევსება დაისახა მიზნად მეცნიერმა აღნიშნულ გამოკვლევაში. ნაშრომში ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ფუნდამენტალურადაა შესწავლილი დასახელებული ეპოქის საერთაშორისო ვითარება, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები როგორც ამიერკავკასიის ქვეყნებთან, ასევე ბიზანტიის იმპერიასთან, ეგვიპტის ფატიმიდების სახალიფოსთან და ა.შ. იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო ურთიერთობები სიღრმისეულად იყო შესწავლილი, იყო საფრთხე წინამორბედ მკვლევართა კვლევის უბრალო ტირაჟირებისა. ზურაბ პაპასქირის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ამ საფრთხეს და არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზის მონაცემთა ორიგინალური ინტეგრეტაციის საფუძველზე შეძლო საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური იერ-სახის ახლებური თვალთახედვით წარმოჩენა. მეცნიერმა სამაგალითოდ აჩვენა, თუ როგორ შეიძლება გამიზნული მეცნიერული კვლევის შედეგად, საკმაოდ კარგად დამუშავებული თემების აქტუალურ პრობლემატიკად ქცევა და ადრე არსებული მოსაზრებების გადასინჯვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს გაერთიანების საქმეში დავით კურაპალატის გადამწყვეტი როლის დასაბუთებული შეფასება; გიორგი I-ის, როგორც ანტიბიზანტიური ფრონტის ლიდერის საერთაშორისო მასშტაბის სახელ-

¹ იხ.: ვ. კობალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969; პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975; ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები კავკასიის ხალხებთან XII ს. თბ., 1974; შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984; ა. აბდლაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988 და ა.შ.

მნიფო მოღვაწედ წარმოჩენა და სხვ.

ნაშრომში მკაფიოდაა ნაჩვენები ერთიანი ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პოტენციალი და ის საგარეო-პოლიტიკური გარემო, რომლის პირობებშიც მიმდინარეობდა ქვეყნის გაერთიანების რთული პროცესი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლადგაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ბრძოლას ბიზანტიის „მფარველობიდან“ გამოსვლისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად XI ს. I ნახევარში. ზ. პაპასქირის მიერ, აღნიშნული პრობლემის წინ წამოწევა (ბიზანტიის იმპერიის „მფარველობიდან“ გამოსვლა და სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლა X-XI საუკუნეების მიჯნაზე – ქართული სახელმწიფოს გაერთიანების სანყის ეტაპზე) სიმბოლურად ემთხვევა XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ბრძოლას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის – საბჭოთა კავშირის „მფარველობიდან“ თავის დაღწევას და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების პროცესს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მონოგრაფიაში არგუმენტირებულადაა დასაბუთებული დავით კურაპალატის წარმართველი როლი და მნიშვნელობა საქართველოს სამეფოს გაერთიანების პროცესში X ს. მიწურულსა და XI ს. დამდეგს; გაცემულია პასუხი აკად. გიორგი მელიქიშვილის მიერ შემოთავაზებულ ნოვაციებზე დავით კურაპალატის პიროვნების ირგვლივ. როგორც ცნობილია, გ. მელიქიშვილმა პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ეჭვს ქვეშ დააყენა მანამდე ერთხმად აღიარებული თვალსაზრისი,¹ დავით კურაპალატის, როგორც ქართული მიწების გაერთიანების ინიციატორისა და ორგანიზატორის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. მისი აზრით, დავით კურაპალატს არ შეეძლო „გამოსულიყო საქართველო-კავკასიის ფარგლებში დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ინიციატორად და განმახორციელებლად“.²

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II. – თბილისი, 1983, გვ. 123-128; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1958, გვ. 132-133; ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ., 1965, გვ. 23-24; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973, გვ. 476-489 და ა.შ.

² გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 4-24. ნაშრომში ავტორის მიერ ახლებურადაა დასმული და გადაჭრილი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ქვეყანაში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

გ. მელიქიშვილის მტკიცებით, საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოსვლა შეეძლო ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა კონსტანტინოპოლისაგან (საქართველოს გაერთიანება უნდა მომხდარიყო ბიზანტიასთან ბრძოლაში), ასეთ ძალად კი მისი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს დავითი, იმიერ-ტაოს მმართველი, ბიზანტიის საიმპერატორო კარის კურაპალატი.¹ ტაოს მმართველის პოზიცია 975 წელს შეესაბამებოდა ბიზანტიის პოლიტიკურ კურსს და შეიძლება სანქცირებულიც კი ყოფილიყო საიმპერატორო კარის მიერ. რაც შეეხება 978 წელს ბაგრატის აფხაზეთში² გამეფებას, გ. მელიქიშვილის შეხედულებით, იმპერიის მმართველ წრეებში სერიოზული შეშფოთება უნდა გამოეწვია, და გამორიცხული არ არის, დავით კურაპალატის მიერ ბაგრატის აფხაზეთში გამეფების სანაცვლოდ მძევლების აყვანა ბიზანტიელთა მოთხოვნა ყოფილიყო. ანუ ავტორის აზრით, დავით კურაპალატი საქართველოს გაერთიანების გზაზე ბიზანტიის იმპერიის კონტრაგენტის როლს ასრულებდა.

ამ მოსაზრების განსამტკიცებლად გ. მელიქიშვილს მოჰყავს რამდენიმე არგუმენტი: 1. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ტენდენციურია დავით კურაპალატის მიმართ და განადიდებს მას, რადგან წარმოშობით ქართლიდანაა; 2. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, ძირითადად გადმოგვცემს ქართლის ამბავს, ხოლო საქართველოს სხვა მხარეების ისტორია იმდენად ფიგურირებს, რამდენადაც ის დაკავშირებულია ქართლის ამბებთან; 3. რატი ბაგრატიის გამო ბაგრატ III-სა და დავით III-ს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება; 4. ბასილი კეისარსა და დავით კურაპალატს შორის 989 წელს დადებული შეთანხმება, რომლის თანახმად კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სამფლობელო გადადიოდა არა მისი შვილობილის, არამედ არამედ ბასილი II-ის ხელში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ პაპასქირი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მოგვცა აკად. გ. მელიქიშვილის მონოგრაფიაში მოცემული ამ³ და ზოგიერთი სხვა

¹ გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური..., გვ. 12-17.

² იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფოში ბაგრატ III-ის გამეფება 978 წელს.

³ ზ. პაპასქირმა (იმჟამად სრულიად ახალგაზრდა ისტორიკოსმა) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს მოამზადა ვრცელი კრიტიკული წერილი, რომელშიც ნაჩვენებია იყო აკად. გ. მელიქიშვილის მიერ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში დავით კურაპალატის როლის იგნორირების უსაფუძვლობა, მაგრამ არსებული კონიუნქტურის პირობებში მისი სრული სახით გამოქვეყნება ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, მეცნიერის დასკვნები ამ საკითხთან დაკავშირებით, ოდნავ მოგვიანებით, მაინც გახდა ხელმისაწვდომი სპეციალისტებისათვის. იხ.: **3. В. Папаскири. О некоторых вопросах политической деятельности Давида Куропалата. – V (XLII) научная сессия профессорско-преподавательского состава Абхазского государственного университета им. А. М. Горького. Тезисы докладов. Сухуми, 1984; ზ. პაპასქირი. დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. – ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თსუ გამომცემლობა. თბ., 1986.**

საკითხების¹ ამომწურავი კრიტიკა.² მეცნიერმა სამართლიანად უარყო გ. მელიქიშვილის კატეგორიული მტკიცებები „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ტენდენციურობასთან დაკავშირებით. ზ. პაპასქირის სწორი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ „მატიანე ქართლისაჲში“ (ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ქრონიკებში) ყურადღების ცენტრში მოქცეულია საკუთრივ ქართლი, რომლის ირგვლივ იკრიბებოდა მთელი საქართველო, ... აღნიშნულ წყაროში მეტ-ნაკლებად აისახა სხვა პოლიტიკური ერთეულების, კერძოდ, კი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიული წარსულიც“.³ იქვე მკვლევარი მართებულად მიუთითებს, რომ „VIII-XI სს. დასავლეთ საქართველოზე ჩვენ საერთოდ არ გავვაჩნია „მატიანეზე“ ვრცელი და მდიდარი წყარო“.⁴

თავის მსჯელობას ზ. პაპასქირი ამყარებს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობილი მკვლევრის გივი წულაიას არგუმენტირებული დასკვნით იმის შესახებ, რომ „მატიანის“ ავტორი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად იცნობს არა მარტო ქართლს, არამედ სხვა მხარეებსა და ოლქებსაც, და რომ საკუთრივ ქართლის დაწვრილებით აღწერა აიხსნება არა მხოლოდ ავტორის გათვითცნობიერებით, არამედ ამ მხარის განსაკუთრებული მნიშვნელობით IX-X სს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁵ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ამ დებულებას და ასევე ვთვლით, რომ „მატიანის“ ყურადღება ქართლისადმი, გამონეწეულია არა მისი ქართლელობით, არამედ ქართლის მნიშვნელობითა და როლით, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში.

ქართლი მართლაც იყო ეპიცენტრი ყველა იმ ძირითადი მოვლენისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქედან დაიწყო ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, აქ იყო თბილისის

¹ ამ მხრივ აღსანიშნავია ზ. პაპასქირის შენიშვნები XII ს. 80-იანი წლების შიდა-პოლიტიკური პროცესების გ. მელიქიშვილისეულ ხედვაზე, რომელიც მოცემული იყო მის საკანდიდატო დისერტაციაში. ამის შესახებ იხ.: **З. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений**, გვ. 142, 144.

² როგორც ირკვევა, თავის დროზე (XX ს. 70-იან წლებში), კრიტიკული წერილი გ. მელიქიშვილის მონოგრაფიაში განვითარებულ დებულებებზე (ძირითადად ფეოდალური ურთიერთობების საკითხებზე) მოუმზადებია ცნობილ ისტორიკოსს კ. გრიგოლიას, მაგრამ იმჟამად (ასევე კონიუნქტურული მოსაზრებებით) ვერც ამ წერილის გამოქვეყნება გამხდარა შესაძლებელი (პირველად ეს წერილი გამოქვეყნდა 90-იან წლებში). ერთადერთი მეცნიერი, რომელმაც შეიტანა კორექტივები აკად. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისში (ღია კრიტიკის გარეშე) და მოგვცა დავით კურაპალატის როლის სწორი შეფასება, იყო აკად. მ. ლორთქიფანიძე. იხ.: **М. Д. Лордкипанидзе. Возникновение новых феодальных государств. – Очерки истории Грузии**, т. II. Тб., 1988, გვ. 327-339.

³ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს., გვ. 16.

⁴ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს., გვ. 16-17.

⁵ **Г. В. Цулая**. Источниковедческие проблемы «Летописи Картли». – *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания **Г. В. Цулая**. Тб., 1982, გვ. 28.

საამირო, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სრული გაერთიანების პროცესს, და რაც მთავარია, აქ გადიოდა მაშინდელი მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები, რომლის ფლობა ფაქტობრივად, განაპირობებდა ამიერკავკასიაში პოლიტიკური პირველობის საკითხს. სწორედ ამან განაპირობა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის მუდმივი ბრძოლა და წინააღმდეგობები რეგიონის დაუფლებისათვის, რასაც „მატიანის“ ავტორმა „ბრძოლა ქართლსა ზედა“ უწოდა. ვფიქრობთ, ეს ფაქტორებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გამორჩეული ავტორის ყურადღებას ქართლისადმი.

გარდა ამისა, ჩვენ საერთოდ, მიგვაჩნია რომ შუა საუკუნეების ქართული ნარატიული ძეგლების ავტორებს, გარდა საგვარეულო მათიანებისა (მათ შორის, უდავოდ, გამონაკლისია სუმბატ დავითის ძის თხზულება) არ ახასიათებთ კუთხურობა და საკუთრი წარმომავლობის ხაზგასმა. მიუხედავად გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მოშლისა, მსგავსი აზროვნება არ ჩანს არც ფარსადან გორგიჯანიძის, არც სეხნია ჩხეიძის, არც პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებებში. ის ფაქტი, რომ ეს ავტორები არ იძლევიან საკმარის ცნობებს დასავლეთ საქართველოზე, არ შეიძლება ჩაითვალოს მათი კუთხურობის ან მიკერძოების დამადასტურებელ საბუთად, უბრალოდ ისინი შედარებით ზედაპირულად იცნობენ ამ რეგიონს, და, შესაბამისად, გადმოსცემენ მხოლოდ იმ ისტორიულ მოვლენებს, რომელთა შესახებ მეტ-ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ. აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ ჩვენი აზრით, კუთხურობის სენმა საქართველოში, XIX ს. მიწურულს იჩინა თავი და მას შემდეგ, გარედან ხელშეწყობით გაფართოვდა და გაიზარდა, განსაკუთრებით XX საუკუნეში. შესაბამისად, XX საუკუნის გადასახედიდან (გ. მელიქიშვილის წიგნის 1973 წელს გამოქვეყნდა) შეუძლებელია „მატიანის“ ავტორის შეფასება ამ კუთხით, მით უფრო, რომ მისი ისტორიული აზროვნება შორსაა მსგავსი მსოფლმხედველობისაგან.

„მატიანის“ ავტორის შეფასებაში გ. მელიქიშვილისეულ მტკიცებას ზ. პაპასქირმა დაუპირისპირა, თამამი, მაგრამ მკაცრი და ლოგიკური არგუმენტაცია, რის საფუძველზე ავტორმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ გაუმართლებელია ლაპარაკი იმაზე თითქოს „მატიანის“ ავტორს ანუხებდეს „ანტიაფხაზური“ (დასავლურ ქართული – ლ.ა., ი.ჯ.) განწყობილება, ან გაზვიადებული იყოს მისი მონაცემები დავით კურაპალატის გამაერთიანებელ მოღვაწეობაზე. საქართველოს გაერთიანების იდეა, უეჭველად „აფხაზთა“ სამეფოს ინიციატივა ჩანს, მაგრამ მისი განხორციელების გზაზე დავით კურაპალატი ხდება ცენტრალური ფიგურა. ჩვენი აზრით, აკად. გ. მელიქიშვილის შეფასებას დავით კურაპალატის გამაერთიანებლური საქმიანობისადმი, უარყოფს დავითის ფრთხილი, მაგრამ სამეფო ტახტზე ბაგრატის განმტკიცებისათვის გამიზნული ნაბიჯები, როგორც 978 წლის აქტამდე, ასევე მის შემდეგ. კერძოდ, „მატიანის“ ცნობით, სა-

ნამ „ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა“ არ „გამოითხოვეს ბაგრატი მეფედ დავით კურაპალატისაგან“, მანამდე იგი დიდი სიფრთხილით ცდილობს არ იჩქაროს და დასავლეთ საქართველოს მესვეურთაგან მიიღოს დასტური ბაგრატის გამეფების შესახებ.¹

საქართველოს გაერთიანების გზაზე დავით კურაპალატის საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით საყურადღებოა „მატიანის“ მეორე ცნობაც, „გამოგზავნა თეოდოსი მეფე, დედის ძმა მისი, ტაოს წინაშე დავით კურაპალატისა, რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად, რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, გინა შიში უნესოებისათვის მისა მიმართ აქუნდეს“.² ცხადია, ბაგრატის მიერ თეოდოსის ტაოში გაგზავნა დავით კურაპალატთან შეთანხმებული აქტი იყო და ბუნებრივია, დავით კურაპალატმა ეს მისია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იტვირთა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ორი მეფე ყოფილიყო გამგედ, რომელთაგან ერთი უსინათლო იყო. ვითარცა უსინათლო იგი თვით-ნება მოხელეთა სათამამოდ იყო ქცეული და მისი მოქმედება წინ გადაელობებოდა ბაგრატის პოლიტიკას.³

ზ. პაპასქირმა ასევე არგუმენტირებული პასუხი გასცა გ. მელიქიშვილის მოსაზრებას თითქოს დავით კურაპალატის პიროვნების ყოველმხრივ განდიდებას აქვს ადგილი სომხურ წყაროებშიც.⁴ ამ შემთხვევაში მკვლევარი ეყრდნობა ა. აბდალაძის დამაჯერებელ არგუმენტაციას, რომლის მიხედვითაც დავით კურაპალატის განდიდება სომხურ წყაროებში არ შეიძლება უსაფუძვლო იყოს და რომ, როგორც ეტყობა, დავით კურაპალატს მართლაც, დიდი ღვაწლი უნდა მიუძღოდეს სომხეთში უცხოელ დამპყრობთა თარეშის ალაგმვის საქმეში, რითაც მას დიდი გავლენა უნდა მოუპოვებინა სომხეთში, თორემ სხვანაირად „სომხური რჯულისადმი, მშობლიური სომხობის სარწმუნოებისადმი“ თავდადებული სომეხი მემატრიანეების მიერ დავით კურაპალატის განდიდება, მისი ლამის გაღმერთება გაუგებარი იქნებოდა.⁵

ზ. პაპასქირმა გ. მელიქიშვილის მოსაზრებებში გაზვიადებულად მიიჩნია ბიზანტიის იმპერიის იმდროინდელი საგარეო-პოლიტიკური პოტენციალი და არგუმენტირებულად აჩვენა რომ X ს. 70-იან წლებში ბიზანტიის იმპერიის რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება გამორიცხავდა იმპერიის აქტიურ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში. იმ დროს, როცა იმპერია ვერ ახერხებდა დამოუკიდებლად გადაეჭ-

¹ შდრ. მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., 2012, გვ. 28-29.

² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955. გვ. 275-276

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II., გვ. 126

⁴ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს., გვ. 19.

⁵ ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 173.

რა ის პოლიტიკური გართულებები, რომლებიც ბასილი II-ის მთავრობის წინაშე წამოიჭრა, ბუნებრივია, იგი ვერ შეძლებდა ხელი შეეშალა დავით კურაპალატისათვის.

ნაშრომში ავტორი დასახელებული ეპოქისათვის არაერთ საყურადღებო ისტორიულ ფაქტსა და მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას, რითაც ცდილობს მეტი დამაჯერებლობა შეიტანოს როგორც წინა პერიოდის მკვლევართა შეხედულებებში, ასევე მოგვცეს ცალკეულ საკითხთა ახლებური შეფასება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ავტორის არგუმენტაცია ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის დროს დავით კურაპალატის როლის მიჩქმალვის მცდელობასთან დაკავშირებით;¹ ბაგრატ III-სა და დავით კურაპალატს შორის არსებული დაპირისპირების რატი ბაღვაშის ავანტიურით გამოწვეულ გაუგებრობით ახსნა;² ქართლის აზნაურთა ამბოხის დროს (X ს. 80-იანი წლების დამდეგი) გურანდუხტ დედოფლის პოზიციაზე ყურადღების გამახვილება – ზ. პაპასქირის აზრით, ამ ბრძოლის მიზანი უნდა ყოფილიყო აფხაზეთისაგან შიდა ქართლის ჩამოცილება და აქ თავისი მარიონეტული სამეფო ხელისუფლების შექმნა გურანდუხტ დედოფლის მეთაურობით;³ ბაგრატ III-ის მიერ „ქართუელთა“ მეფის ტიტულის მიღება პაპის – ბაგრატ II „რეგვენის“ გარდაცვალებისთანავე 994 წელს⁴ და ა. შ.

შევჩერდებით ამ ბოლო დასკვნაზე. ბაგრატ III-ის მიერ „ქართუელთა“ მეფის ტიტულის მიღების დროსთან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში სამი მოსაზრებაა გამოთქმული. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ბაგრატ III-მ ეს ტიტული მიიღო 1008 წელს, მამის – გურგენ „მეფეთმეფის“ გარდაცვალების შემდეგ⁵, მ. ლორთქიფანიძის, ნ. შოშიაშვილისა და ვ. სილოგავას⁶ მტკიცებით, ამ ტიტულს ბაგრატი დავით III ტაოელის გარდაცვალების შემდეგ – 1001 წლიდან ფლობდა. ზ. პაპასქირი „მატიანე ქართლისაჲს“, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და სხვა საის-

¹ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 28-29.

² **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 40-43.

³ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 70. საგულისხმოა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვის დროს **ზ. პაპასქირმა** ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა გაიზიარა **ზ. ალექსიძის** დასაბუთება ბაგრატ III-სა და დედამისს შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც ემყარება ატენის სიონზე ამოკვეთილი გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზს (**ზ. ალექსიძე**, ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 52).

⁴ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 82.

⁵ **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II. გვ. 130-131.

⁶ *ქართული წარწერების კორპუსი*. ტ. I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ნოდარ შოშიაშვილმა**. თბ., 1980, გვ. 56; *ქართული წარწერების კორპუსი*, ტ. II. ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველო (IX-XIII სს) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ვალერი სილოგავამ**. თბ., 1980, გვ. 52-53.

ტორიო წყაროებზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბაგრატ II „რეგუენის“ გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა“ მეფედ იწოდა არა მისი ძე გურგენი, არამედ ამ უკანასკნელის ვაჟი ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე: ეს გაკეთდა ბაგრატ III-ის ლეგიტიმური უფლებების განსამტკიცებლად ტაო-კლარჯეთში. ზ. პაპასქირის აზრით, ამ ღონისძიების ინიციატორად უნდა მივიჩნიოთ თვით გურგენი (შეიძლება დავით კურაპალატიც), რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი ვაჟის პოლიტიკური აქციების ასანეგად საქართველოში. თავის მხრივ, ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის გზაზე.¹

მონოგრაფიაში ცალკე თავადაა გამოყოფილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ხანაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სუვერენიტეტის ცნება საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ისტორიოგრაფიაში პირველად სწორედ ზ. პაპასქირმა შემოიტანა. ნაშრომის ამ ნაწილში დაყენებულია და ორიგინალურადაა გაშუქებული საკვლევი პერიოდის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი; მოცემულია ქართული და უცხოური წყაროების ცალკეული მონაცემების ახლებური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ინტერპრეტაცია.

კერძოდ, გამოწვლილვითაა განხილული 1021-1022 წლების ბიზანტია-საქართველოს ომის პერიპეტეიები და ამ ფონზე წარმოჩენილია გიორგი I-ის, როგორც ანტიბიზანტიური ფრონტის მთავარი ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის ჰეგემონური როლი. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი საგანგებოდ ჩერდება საქართველოს მეფის აქტიურ პოლიტიკაზე სომხეთის მიმართულებით. XI ს. ცნობილი სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის მეტად სანდო მასალებზე დაყრდნობით, ზ. პაპასქირი აკეთებს სავსებით დასაბუთებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფე მთლიანად აკონტროლებდა „პოლიტიკურ სიტუაციას მეზობელ სომხეთში“ და რომ „სუმბატ ანისის მეფის მონაწილეობა ბიზანტიასთან ომში გიორგი I-ის მხარეზე საქართველო-ანისის ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობით იყო განპირობებული“.²

კავკასიის მასშტაბით საქართველოს სახელმწიფოს ჰეგემონური როლის ერთგვარ დემონსტრაციად ზ. პაპასქირს მიაჩნია აგრეთვე ანტიბიზანტიურ კამპანიაში ოვსეთის ძლიერი სამეფოს შესაძლო ჩართვის მცდელობა. მეცნიერის ეს თვალსაზრისი დაფუძნებულია გიორგი I-ის ე.წ. „მეორე ცოლის“ შესახებ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის ინტერპრეტაციაზე, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, განხილულია

¹ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 82.

² ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 108-109.

საქართველოს მეფის ანტიბიზანტიური პოლიტიკის ქრილში. მეცნიერის დაკვირვებით, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაში გიორგი I-ის მეორე ცოლის – ოვსთა მეფის ასულ აღდას შესახებ ასახულია რეალური ფაქტი, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა... საქართველოს მეფის ცდა დინასტიური ქორწინების საშუალებით დაახლოვებოდა ოვსთა სამეფო სახლს და გამოეყენებინა ოვსთა სამხედრო ძალა ბიზანტიელთა წინააღმდეგ“. ზ. პაპასქირი პარალელს ავლებს დავით აღმაშენებლის დინასტიურ ქორწინებასთან „ყივჩაყთა უმთავრესის“ ასულზე. მეცნიერი იზიარებს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ თვალსაზრისს (ზ. ავალიშვილი), რომლის მიხედვით „ეს ქორწინება მიჩნეულია ყივჩაღთა მმართველ წრეებთან პოლიტიკური კავშირის დამყარების საშუალებად.¹ ამ პოლიტიკური აქტის მსხვერპლი კი შეიქნა დავით მეფის პირველი ცოლი, „რომელმაც მოლოზნობა მიიღო“.²

ზ. პაპასქირის მიხედვით, „დაახლოებით ამგვარ ფაქტს უნდა ჰქონოდა ადგილი გიორგი I-ის ხანაშიც. საქართველოს მეფეს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ წარმატებით ომის საწარმოებლად შეეძლო ეძებნა გზები ოვსთა ძლიერი მეფის გადმოსაბირებლად. ამ მიზნით კი შესაძლებელია მან (ისევე როგორც დავით აღმაშენებელმა თავის დროზე ყივჩაღებთან) დააპირა დინასტიური ქორწინების მეშვეობით ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ოვსთა სამეფო სახლთან. მაგრამ თავისი უძლეველი შვილთაშვილისაგან განსხვავებით, ეტყობა, გიორგი I-მა ვერ შეძლო განქორწინება დედოფალ მარიამთან, რომელსაც გარკვეული ავტორიტეტი ჰქონდა მმართველ წრეებში. გიორგი I-მა, ალბათ, ვერ მიაღწია იმას, რომ ოვსთა მეფის ასული ოფიციალურად ეცნოთ მის მეუღლედ. ფაქტია, რომ მეფემ ვერ შეძლო აღდას გადედოფლება“.³

მეცნიერის დასკვნით, საქართველოს მეფის „ეს ჩანაფიქრი მიმართული იყო როგორც ძლიერი ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნისაკენ, ისე იმ ძალების დათრგუნვისაკენ, რომლებიც გამოდიოდნენ იმპერიის მიმართ აქტიური პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ. უდროო სიკვდილმა არ მისცა საშუალება გიორგი I-ს ბოლომდე მიეყვანა დანყებული საქმე – ექცია ოვსთა მეფე თავის მოკავშირედ. ის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა როგორც დედოფლის მხრიდან, ისე ოფიციალური ეკლესიის მხრიდანაც“.⁴ ზ. პაპასქირი უფრო შორს მიდის და გამოთქვამს მოსაზრებას იმ პერიოდში საქართველოს მმართველ წრეებში ორი ურთიერთდაპირისპირებული – პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური – ბანაკის არსებობის შესახებ. მისი აზრით, პრობიზანტიურ ბანაკს სათავეში ედგნენ

¹ ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, (4 ისტორიული ნარკვევი). პარიზი, 1929, გვ. 26.

² ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 26.

³ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 126-127.

⁴ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 137.

მარიამ დედოფალი და მელქისედეკ კათალიკოსი. სწორედ პოლიტიკური ორიენტაცია უნდა ყოფილიყო „მეფესა და დედოფალს შორის ოჯახური კონფლიქტის საგარაუდო მიზეზი“.¹ მეცნიერს „დედოფალ მარიამის ვიზიტი კონსტანტინოპოლში და მის მიერ ბიზანტიასთან ერთობის აღიარება გიორგი I-ის პოლიტიკური კრედოს“ კრახად მიაჩნია² და არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს 1030-1031 წლების კონსტანტინოპოლის შეთანხმება ქართული დიპლომატიის გარკვეული წარმატება იყო.³ ზ. პაპასქირის დასკვნით, „საქართველო-ბიზანტიის 1030-1031 წლების ზავის დადება უფრო პრობიზანტიური ძალების გამარჯვებას მოასწავებდა, ვიდრე საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიურ წარმატებას საერთოდ“.⁴

XI ს. 20-30-იანი წლების დამდეგის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ფონზე ასევე პირველად გამახვილდა ყურადღება შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის სუმბატ დავითის ძის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. „მატიანე ქართლისაჲს“ და სუმბატ დავითის ძის თხზულების შესაბამის პასაჟების შეჯერების საფუძველზე მეცნიერმა სავსებით დამაჯერებლად დაასკვნა, მოცემულ პერიოდში და შესაძლებელია ადრეც „საქართველოს სამეფო კარზე ნამდვილად იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო (ანტიბიზანტიური და პრობიზანტიური – **ლ.ა., ი.ჯ.**) დაჯგუფება ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით“ და რომ „ამ ორ დაჯგუფებას შორის მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც ხან ერთი მხარის, ხან კი მეორის გამარჯვებით მთავრდებოდა“. ზ. პაპასქირს მიაჩნია, რომ „ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი და, ეტყობა, სამეფო კართან დაახლოებული პირი, ამ ბრძოლაში იცავდა პრობიზანტიური ძალების ინტერესებს“.⁵

ამასთან, მკვლევრის აზრით „ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს „ბაგრატიონთა ცხოვრების“ ავტორი ამართლებდეს ბიზანტიის იმპერატორების დაპყრობით პოლიტიკას საქართველოს მიმართ... სუმბატის (და არა მარტო მისი, არამედ, საერთოდ, პრობიზანტიური ორიენტაციის მომხრეთა) „ბიზანტოფილობა“ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში – XI ს. 20-იანი წლების საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის ვითარებაში – ის მხარს უჭერს ბიზანტიის კეისართან გარკვეული დათმობების (ტაოს მიწებზე უარის თქმის, კონსტანტინოპოლის უზენაესობის აღიარების) გზით მორიგებას და გამოდის იმპერიის წინააღმდეგ გიორგი I-სეული აქტიური

¹ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 137.

² ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 138.

³ ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობების ისტორიიდან (XI-XII სს.). – XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები. ტ. 125. თბ., 1968, გვ. 69.

⁴ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 138.

⁵ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 148.

პოლიტიკის გატარების კრიტიკით“.¹

უალრესად მნიშვნელოვანია ზ. პაპასქირის დაკვირვებები ბაგრატ IV-ის საგარეო-პოლიტიკის სომხურ მიმართულებაზე, რომელიც ასევე საქართველო-ბიზანტიის გამწვავებული ურთიერთობების ქრილშია განხილული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მკვლევრის მიერ ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის (კ. იუზბაშიანი) ცალკეული დებულებების არგუმენტირებული კრიტიკა და ამ ფონზე საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო როლის წარმოჩენა. მკვლევარი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის მერ ანისის შემოერთების მცდელობა იყო საქართველო-ბიზანტიის კონფრონტაციის მორიგი გამოვლინება და რომ ამ პერიოდში სწორედ ერთიანი ქართული სახელმწიფო და მისი ლიდერი უქმნიდა ყველაზე დიდ პრობლემებს იმპერიას აღმოსავლეთში. ამიტომაც იბრძოდა კონსტანტინოპოლი ასე თავგამოდებით ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ XI ს. 30-50-იან წლებში თავისი აგენტის კლდეკარის უძლეველი ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით. ამ ბრძოლამ მნიშვნელოვანწილად შებოჭა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის აქტიურობა საგარეო-პოლიტიკურ არენაზე და არ მისცა საქართველოს სახელმწიფოს რეგიონში გავლენის შემდგომი განმტკიცების შესაძლებლობა. სწორედ ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ლიპარიტის მიერ (უშუალოდ საიმპერატორო კარის სანქციით) ანისიდან საქართველოს მეფის წარმომადგენელთა გამოძევება და, ფაქტობრივად, ყველაზე მძლავრი სომხური პოლიტიკური ერთეულის ლიკვიდაციისა და მისი ბიზანტიის იმპერიასთან მიერთებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.²

ნაშრომში არანაკლებ საყურადღებო დაკვირვებებია ბაგრატ IV-ის ბიზანტიის სამეფო კარზე „გამოცხადებისა“ და იქ მიმდინარე დიპლომატიური „ბატალიების“ ირგვლივ, რომელიც საბოლოო ჯამში ბიზანტიის საიმპერატორო კარის უკანდახევით და ბაგრატ IV-ის სრული პოლიტიკური „რეაბილიტაციით“ დასრულდა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით თავის შემაჯამებელ დასკვნაში ზ. პაპასქირი მართებულად აღნიშნავს, რომ მიუხედავად მწვავე შიდაპოლიტიკური დაპირისპირებისა, რომელიც მთლიანად იმპერიის ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული და მხარდაჭერილი და რომელმაც ნამდვილად „ხელი შეუშალა ბაგრატ IV-ს გადაეჭრა უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა — თავი დაეღწია ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობისაგან და მოეპოვებინა ეროვნული სუვერენიტეტი საერთაშორისო არენაზე... XI ს. 50-იანი წლების მიწურულისათვის ამ მიმართულებით მაინც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ფეოდალურ ოპოზიციასზე გამარჯვების შემდეგ ბაგრატ IV-მ მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი მდგომარეობა და თანდათანობით ბიზანტიის იმპერატორის თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა, რისი

¹ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 148-149.

² ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 160-176.

დადასტურებაც იყო საქართველოს მეფისთვის ჯერ ნოველისიმოსისა და შემდეგ კი სევასტოსის ნოდებების მინიჭება“.¹

ნიგნში: „შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“, რომელიც ზემოთგანხილული მონოგრაფიის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, უკვე მომდევნო პერიოდის – XI ს. 60-80-იანი წლების – საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებია შესწავლილი. ნაშრომში ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენები და ახლებურადაა წარმოჩენილი საქართველოს სამეფოს როლი ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ მოვლენებში თურქ-სელჩუკთა შემოსევების პერიოდში. ზ. პაპასქირის დასკვნით, მართალია, საქართველოს სამეფომ პრაქტიკულად გაინთავისუფლა თავი ბიზანტიის უზენაესობიდან და მის თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა, მაგრამ ამას ვერ მოჰყვა ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე. ამჯერად, საქართველოს სახელმწიფოს ეს გზა თურქ-სელჩუკებმა გადაუკეტეს. „დიდი თურქობის“ დამყარებამ საქართველო გადააქცია სელჩუკთა სულთნისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად. ამ დროიდან საქართველოს მესვეურთა მთავარ ამოცანას თურქ-სელჩუკთა ბატონობის ულლიდან გამოსვლა წარმოადგენდა, საგარეო-პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებაც სწორედ ამ ამოცანის შესრულებას დაუკავშირდა, რაც საბოლოოდ განხორციელებული იქნა კიდევ XII ს. I მეოთხედში დავით აღმაშენებლის მიერ.²

ამ ნაშრომშიც არის არაერთი მეტად საინტერესო მიგნება, დაზუსტებული და ახლებურადაა შეფასებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების მთელი რიგი საკითხები. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მეცნიერის დაკვირვებები საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებზე მანასკერტის ომის (1071 წ.) წინ. ზ. პაპასქირმა ისტორიოგრაფიაში პირველად გაამახვილა ყურადღება „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაზე სულტან ალფ-არსლანის მიერ ბაგრატ IV-ისათვის ციხე-ქალაქ გაგის გადაცემის (საქართველოს მეფის მიერ დატყვევებული განძის ამირა ფადლონის – სამხრეთ კავკასიაში სელჩუკთა მბრძანებლის მთავარი დასაყრდენის – გათავისუფლების სანაცვლოდ) მოტივებზე და მოუძებნა ახსნა ამ მეტად უცნაურ ფაქტს. მისი აზრით, სელჩუკთა მრისხანე სულტნის ლმობიერება და გულუხვობა ამ შემთხვევაში გამოწვეული მისი სურვილით ბიზანტიის იმპერიასთან გენერალური შეტაკების წინ უზრუნველყო ბაგრატ IV-ს ნეიტრალიტეტი.³ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ზ. პაპასქირი კიდევ ერთხელ მოუბრუნდა

¹ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს..., გვ. 209-210.

² ზ. პაპასქირი. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იანი წლებში. თბ., 1991, გვ. 49.

³ ზ. პაპასქირი. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო..., გვ. 20-24.

ამ საკითხს და სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა მას, რომელშიც ახალი არგუმენტებით შეამაგრა 1991 წელს წამოყენებული თვალსაზრისი.¹

არანაკლებ საყურადღებოა ზ. პაპასქირის მსჯელობა XI ს. 70 – 90-იანი წლების დამდგენის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებზეც, კერძოდ, ამ ურთიერთობების კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმზე გადასვლაზე, მას შემდეგ, რაც იმპერიის მმართველობაში უშუალოდ ჩაერთო საქართველოს მეფის (ბაგრატ IV-ის) ასული, მარიამი – ორგზის ბიზანტიის დედოფალი, ჯერ მიხეილ VII დუკას (1071-1078 წწ.), ხოლო შემდეგ ნიკიფორე ბოტანიატეს (1078-1081 წწ.) თანამეცხედრე. ზ. პაპასქირმა პირველად შემოიტანა ისტორიოგრაფიაში ე.წ. „ქართული პარტიის“ ცნება, რომელშიც მეცნიერი მოიაზრებს ბიზანტიური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელ კონსტანტინოპოლელ ქართველთა გუნდს მარიამ დედოფლისა და გრიგოლ ბაკურიანის ძის მეთაურობით. სწორედ ამ გუნდის ლობივებით უნდა მომხდარიყო გიორგი II-ის აღზევება კესარიოსის – იმპერიის უმაღლეს საკარისკაცო ტიტულამდე, აგრეთვე „*კარის ციხე-ქალაქისა და მისი მიმდგომი ქვეყნის*“ გადმოცემა საქართველოს სახელმწიფოსათვის.² მეტად საინტერესოდ მოჩანს აგრეთვე ზ. პაპასქირის შიშოთეზა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ (XI ს. 90-იანი წლების დამდგენს) ბიზანტიურ ტიტულებზე უარის თქმის საბაზად შეიძლება ქვეყლიყო აღექსი კომნენოსის მიერ მარიამ დედოფლის დევნა და კონსტანტინოპოლში „ქართული პარტიის“ კრახი.³

ზ. პაპასქირის კვლევამ X-XI საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობების სფეროში შემდგომი გაგრძელება ჰპოვა მის რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელიც წარმოადგენს მის მიერ 1991 წელს დაცული სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი (სრული ტექსტი, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულია ზემოგანხილულ მონოგრაფიებში) მოხსენების გაფართოებულ და გადამუშავებულ ვერსიას,⁴ აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო

¹ **ზ. პაპასქირი.** მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი XI ს. 60-იანი წლებსა და 70-იანი წლების დამდგენს. – *საისტორიო კრებული*. გამომცემ.: „მხედარი“. ტ. I. თბ., 2011, გვ. 26-45. ამ თემით წარსდგა ზ. პაპასქირი ქ. კაისერში (თურქეთის რესპუბლიკა) გამართულ სელჩუკთა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე: „*სელჩუკური პერიოდი ისტორიის სარკეში*“. იხ.: **З. В. Папаскири.** Манцикертское сражение и некоторые аспекты грузино-сельджукских взаимоотношений в начале 70-х годов XI века. – *Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu*. 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi. Kayseri, 2010, მოხსენებათა თეზისები, გვ. 227-228. **Z. Papaskiri.** Malazgirt Muharebesi 11. Yüzyılın 70'li yıllarında Selçuklu-Gürcü İlişkileri – *Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu*. 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi. Kayseri, 2010, მოხსენებათა თეზისები (თურქულ ენაზე), გვ. 228.

² **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო., გვ. 36-38.

³ **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო., გვ. 40-42.

⁴ **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-ы X 80-е годы XI вв. Сухумский Филиал ТГУ. Тб., 1998, 7,25 ნაბ./თაბ.

ურთიერთობებისა და დიპლომატიისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ გამოცემებში, რომლებიც მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.¹ ცალკე აღნიშვნის ღირსია მეცნიერის ვრცელი ნარკვევი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ღვანლზე დიპლომატიის,² აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის პრობლემაზე არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მიმოხილვა.³ ზ. პაპასქირი დღესაც წარმატებით აგრძელებს კვლევით საქმიანობას შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. სისტემატიურად ქვეყნდება მისი ნაშრომები ამ მიმართულებით როგორც ქართულ,⁴ ისე

ელექტრონ. ვერსია: <http://sites.google.com/site/zpapakiri/publications-georgian>.

¹ **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX-X ს. I ნახევარი). – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. თსუ გამომცემლობა, ტ. I. თბ., 1998, გვ. 183-206; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. თსუ გამომცემლობა, ტ. I. თბ., 1998, გვ. 206-225; საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში. – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. თსუ გამომცემლობა, ტ. I. თბ., 1998, გვ. 226-262; **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** შესავალი. – ქართული დიპლომატიის ისტორია, თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 3-21; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო VIII ს.-ში. – ქართული დიპლომატიის ისტორია. თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 98-109; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX-X ს.-ის I ნახევარი). საშინაო დიპლომატია. – ქართული დიპლომატიის ისტორია, თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 109-131; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა. – ქართული დიპლომატიის ისტორია, თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 132-152; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ბრძოლა საერთაშორისო არენაზე სრული სუვერენიტეტის მოპოვება-განმტკიცებისათვის XI ს.-ის 20-80-იან წლებში. – ქართული დიპლომატიის ისტორია, თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 152-182.

² **ზ. პაპასქირი.** ბაგრატიონები საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე. – კრებ.: „ბაგრატიონები. სამეცნიერო-კულტურული მემკვიდრეობა“, გამომც. „ნეოსტუდია“. თბ., 2003, გვ. 118-143.

³ **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის ისტორიოგრაფია. – საქართველოს ისტორიის კათედრა. გამომცემლობა: „არტანუჯი“. თბ., 2010, გვ. 193-208.

⁴ **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2008. ელექტრონული

– რუსულ¹ და ინგლისურ² ენებზე. ამ პუბლიკაციებში დაზუსტებულია და ახლებურადაა გადაჭრილი VIII-X ს. I ნახევრის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ცალკეული საკითხები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზ. პაპასქირმა პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში წამოწია წინა პლანზე საკითხი ქართული პოლიტიკური ერთეულების როლისა და ადგილის შესახებ ე.წ. „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“. მეცნიერის დაკვირვებით, ქართული პოლიტიკური სამყარო მოცემულ პერიოდში საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან და სულ ცოტა ოფიციალური კონსტანტინოპოლის მხრიდან მაინც ნამდვილად განიხილებოდა ერთგვარი ბიზანტიური „ოიქუმენის“, ანუ „ბიზანტიური თანამეგობრობის“ ნაწილად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიის კვლევისას ზ. პაპასქირი არ ერიდება მწვავე პოლემიკას ცალკეულ საკმაოდ ავტორიტეტულ მკვლევრებთან, რომელთა პუბლიკაციებში არის საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო როლის იგნორირების მცდელობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი პოლემიკური წერილი, რომელიც ეძღვნება ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსის რაუფ შუსეინ ზადეს ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში³ ჩამოყალიბებული მცდარი დებულებების მწვავე კრიტიკას.

კავკასია-სელჩუკების ურთიერთობების ამსახველ ამ გამოცემაში სრულიად იგნორირებულია საქართველოს სახელმწიფოს, როგორც წამყვანი ანტისელჩუკური ძალის როლი XII-XIII საუკუნის დამდეგის კავკასია-ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებში და ეჭვს ქვეშაა დაყენებული მისი ჰეგემონობა იმჟამინდელ კავკასიაში. ვითარება ისეა წარ-

ვერსია: <http://metsniereba.webnode.com/products/product-2/>; **ზ. პაპასქირი**, ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IX ს. I მეოთხედში. ტაოკლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა, კრებული: საქართველო და მსოფლიო. ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2009; **ზ. პაპასქირი**, ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. გამომც. „არტანუჯი“. თბ., 2009, გვ. 158-180.

¹ **З. Папаскири**. Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2011. Т. 5. Вып. 3-4, гв. 147-168.

² **Z. Papaskiri**. The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sveden. 2011. Vol. 5. Issue 3-4, гв. 126-144.

³ **Р. А. Гусейн-заде**. Кавказ и сельджуки. Баку, 2010.

მოჩენილი, რომ მთავარ პოლიტიკურ ფიგურანტს რეგიონში წარმოადგენდა ილდენიზიდების აზერბაიჯანის ათაბაგთა სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად ცვლიდა სელჩუკთა დიდ სულტანატს და, რომლის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული საქართველოს სახელმწიფო. ზ. პაპასქირმა სათანადო პირველწყაროებისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის, მათ შორის, პირველ რიგში, გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერის აკად. ზ. ბუნიატოვის კაპიტალურ გამოკვლევაზე დაყრდნობით, მთლიანად გააქარწყლა აღნიშნულ ხანაში რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს სამეფოს წამყვანი როლის დაკნინების ჰუსეინ-ზადესეული მცდელობა და დამაჯერებლად აჩვენა აზერბაიჯანელი მეცნიერის შორსმიმავალი დასკვნების სრული აბსურდულობა.¹

ზურაბ პაპასქირის მეცნიერული მოღვაწეობის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულის კვლევა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მეცნიერმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების II ნახევარში გადადგა, როდესაც ის ღიად დაუპირისპირდა აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის სულიერ მამას, ცნობილ ისტორიკოსსა და ეთნოლოგს, პროფ. შალვა ინალ-იფას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ზ. პაპასქირი – მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ფაქტობრივად, დამწყები მეცნიერი – იყო ერთადერთი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1977 წ. მარტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში გამართული დახურული სხდომის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა შ. ინალ-იფას გახმაურებული მონოგრაფიის² განხილვას.³ თავის გამოსვლა-

¹ **ზ. პაპასქირი.** XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. – *საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერესპექტივები*. აჭმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, 21-24 ივნისი, 2012) *მასალები*. თბ., 2012, გვ. 161-170; **3. Папаскири.** Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: «Кавказ и Сельджуки». – *Кавказ и мир*. Международный научный журнал. №14. Тб., 2012, гв. 60-83. ელექტრონ. ვერსია: <http://iberiana2.wordpress.com/caucasus/papaskiri>.

² **Ш. Д. Инал-ипы.** Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976.

³ ამის შესახებ დაწვრ. იხ.: *За глубокое научное изучение истории Абхазии*. – გაზ.: «Советская Абхазия», 14.05.1977 (იმავე დღეს გაზეთებში: „საბჭოთა აფხაზეთსა“ და „აფსნი-ყაფშ“-ში გამოქვეყნდა აღნიშნული წერილის ქართული და აფხაზური ვერსიები). ეს არის ერთგვარი სარედაქციო წერილი მომზადებული ზემოხსენებული სხდომის წამყვანების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების **ზურაბ ანჩაბაძისა** და **გიორგი ძიძარას** მიერ (ეს მასალა იხ. აგრეთვე წიგნში: **3. Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и Размышления. Тб., 2012, გვ. 586-592).

ში, რომელიც აუდიტორიაში შეკრებილმა სეპარატისტულად განწყობილმა ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ცნობილი აფხაზი მოღვაწის, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგის თამარ შაყრილის მეთაურობით) სამჯერ შეაწყვეტინეს, ზ. პაპასქირმა მწვავე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა აფხაზურ ნაციონალისტურ წრეებში უწყვე ავტორიტეტად მიჩნეული შ. ინალ-იფას ცალკეული დასკვნები შუა საუკუნეების საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პრინციპულ საკითხებზე.

XX ს. 80-90-იანი წლების დამდეგს ზ. პაპასქირი, როგორც თავის სააუდიტორიო გამოსვლებში ისე საგაზეთო პუბლიკაციებში, დაუფარავად ამხელდა აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა ფალსიფიკატორულ ინსინუაციებს ისტორიოგრაფიის სფეროში და მედგრად იდგა ეროვნული ისტორიოგრაფიის სადარაჯოზე. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი პოლემიკური წერილები სოხუმში მოღვაწე ცნობილი რუსი არქეოლოგის იური ვორონოვის თავხედურ გამოხდომებზე.¹ აღსანიშნავია, რომ მეცნიერის ეს პუბლიკაციები, ფაქტობრივად, იქცა თითქმის მთავარ „სამხილად“ სეპარატისტების „გენერალური“ პროკურატურის ხელში, როდესაც „აღძრეს“ საქმე ზ. პაპასქირის წინააღმდეგ 1993 წ. მიწურულს. აფხაზეთიდან გამოსვლის შემდეგ, მეცნიერმა წარმატებით გააგრძელა ისტორიოგრაფიული კონტრპროპაგანდა და გამოაქვეყნა არაერთი წერილი საქართველო-აფხაზეთის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. მეცნიერის ეს ისტორიოგრაფიულ-პუბლიცისტური ხასიათის შრომები შევიდა 1998 წელს გამოცემულ წიგნში „აფხაზეთი საქართველოა“, რომლისთვისაც მეცნიერს დამსახურებულად მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზ. პაპასქირის მონაწილეობა წამყვანი ქართველი მეცნიერების მიერ აფხაზეთის ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილ ისეთ სოლიდურ კრებულში, როგორიცაა «*Разыскания по истории Абхазии/Грузия*», რომელშიც დაიბეჭდა მისი ვრცელი ნარკვევი თანამედროვე აფხაზეთის იერ-სახეზე XI-XV საუკუნეებში.²

¹ **ზ. პაპასქირი.** ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“, ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“. – გაზ.: *აფხაზეთის ხმა*. 16-17.08. 1990. იხ. აგრეთვე: წგნ.: **ზ. პაპასქირი.** *აფხაზეთი საქართველოა*. თბ., 1998, 56-75; **ზ. პაპასქირი.** „უმეცრობის ფართი-ფურთი“, ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა. – გაზ.: „აფხაზეთის ხმა“, 21.11.1992, 26.11. 1992. იხ. აგრეთვე: წგნ.: **ზ. პაპასქირი.** *აფხაზეთი საქართველოა*. გამომც. „აღმაშენებელი“. თბ., 1998, გვ. 76-101.

² **ზ. Папаскири.** Парад невежества. Или очередной вымысел известного фальсификатор. – გაზ.: «*Демократическая Абхазия*», 26.02.1993, 3.03.1993, 7.03. 1993. იხ. აგრეთვე: წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 224-246, ელექტრონული ვერსია: <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/nevejestva/>.

1999-2003 წლებში ზ. პაპასქირს აფხაზეთის რადიოში (საქართველოს რადიოს I არხზე) რუსულ ენაზე მიჰყავდა ლექციების კურსი აფხაზეთის ისტორიაში. ამ ლექციების საფუძველზე მეცნიერმა შექმნა და ქართულ¹ და რუსულ² ენებზე გამოსცა განმაზოგადებელი და ამავე დროს სიღრმისეული ნაშრომი, რომელშიც პირველად ისტორიოგრაფიაში წარმოჩენილ იქნა აფხაზეთის ისტორიის ერთიანი ხედვა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ზ. პაპასქირს ეს ფუნდამენტური ნაშრომი საეტაპოა ისტორიოგრაფიაში. მასში სათანადო საისტორიო წყაროებისა და არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული გააზრების საფუძველზე გადმოცემულია აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან 1993 წლამდე და ნაჩვენებია რეგიონის ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახე; წინა პლანზეა წამოწეული და ყურადღება საგანგებოდაა გამახვილებული საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სადავო“ საკითხებზე; საკადრისი პასუხია გაცემული სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ისტორიკოსთა თუ პოლიტიკოსთა მცდელობებზე, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, აფხაზეთი ისტორიულად ჩამოაშორონ ერთიან ქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროს, რომლის ორგანულ ნაწილსაც ის წარმოადგენდა დასაბამიდან დღემდე.

თემატურად ამ ციკლის უშუალო გაგრძელებაა სულ ახლახან (რუსულ ენაზე) გამოცემული სქელტანიანი წიგნი „ჩემი აფხაზეთი. ფიქრები და მოგონებები“.³ წიგნი შედგება 2 ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს მემუარული ხასიათის ვრცელ ნარკვევს, რომელშიც ავტორის ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდების ფონზე გაანალიზებულია XX ს. 70-იანი წლების II ნახევრისა და 90-იანი წლების დამდეგის აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები.

წიგნის ამ ნაწილის ქვეთავებიდანაც („აფხაზური ეპოპის“ დასაწყისი, 1982-1988 წლების ბატალიები, 1989-1992 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, საომარი დაპირისპირება 1992-1993 წლებში და ასი დღე „აფხაზურ ტყვეობაში“) კარგად ჩანს, რომ ავტორის პირადი ცხოვრება ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ-პოლი-

¹ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. გამომც.: „მერიდიანი“, თბ., 2004, ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007. – <https://sites.google.com/site/zpapakskiri/publications-georgian>.

² თავდაპირველად გამოიცა ნაშრომის მოკლე ვერსია (ზ. Папаскири. О национально-государственном облике Абхазии/Грузия. С древнейших времен до 1993 г. Тб., 2003. – <https://sites.google.com/site/zpapakskiri/publications-georgian>). 2009 წელს კი ქართული ორტომეულის რუსული რუსული ვერსია, რომელიც ხელმოწერა შევსებული და ჩასწორებული სახით გამოიცა 2010 წელს (იხ. ზ. Папаскири. Абхазия история без фальсификации, Издание второе, исправленное и дополненное Тб., 2010. – იხ. ელექტრ. ვერსია: <https://sites.google.com/site/zpapakskiri/publications-georgian>).

³ ზ. Папаскири. Моя Абхазия. Воспоминания и размышления, გვ. 321-362.

ტიკურ ცხოვრებასთან, ძნელია გაარჩიო სად მთავრდება პირადული და სად იწყება საზოგადოებრივი ცხოვრება. მემუარულ სტილში ისტორიული დისკურსი, ძირითადად, აღწერილობითი ხასიათისაა, მაგრამ ზურაბ პაპასქირი თავის მოგონებებში არ კმაყოფილდება ფაქტების მხოლოდ აღწერილობითი გადმოცემით და იძლევა მოვლენების მეცნიერულ ანალიზს, საერთო ვითარების ინოვაციურ ხედვას.

მეორე განყოფილებაში, რომლის საერთო სათაურია „მშობლიური ისტორიისა და არა მხოლოდ ისტორიის სადარაჯოზე. ბრძოლა კალმით“ დაბეჭდილია მეცნიერის ბოლოდროინდელი (ზოგიერთი ადრინდელიც) სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციები საქართველო-აფხაზეთის ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობაზე. ამ პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზ. პაპასქირის პოლემიკური წერილები,¹ რომლებშიც მოცემული საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ფალსიფიკაციის ცალკეული მცდელობების სრული უსაფუძვლობა.²

2009 წელს გამოიცა ზურაბ პაპასქირის სქელტანიანი წიგნი „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. აღნიშნული გამოცემა არის ერთგვარი შეჯამება ზ. პაპასქირის 35 წლიანი მრავალფეროვანი სამეცნიერო მოღვაწეობისა. მასში შევიდა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და ნაწილობრივ გამოუქვეყნებელი წერილები საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის აქტუალურ

¹ **3. Папаскири.** О новых антигрузинских инсинуациях радетелей «независимой» Абхазии. По поводу статьи А. Епифанцева: *Грузинская церковь Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос.* – წგნ.: **3. Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тб., 2012, გვ. 294-320 (პირველად დაიბეჭდა წიგნში: *Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии.* Гл. редактор: акад. **Давид Мухелишвили.** Изд.: «Универсал». Тб., 2011, გვ. 25-60); **3. Папаскири.** Так не пишется история. *Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» Истории Абхазии»* «О. Х. Бгажба и С. З. Лакоба. – წგნ.: **3. Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тб., 2012, გვ. (პირველად დაიბეჭდა: «Кавказ и мир», №8, 2010, გვ. 69-90) და სხვ.

² სულ ახლახან რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა კიდევ ერთი პოლემიკური წერილი, რომელშიც ამომწურავი პასუხია გაცემული აფხაზი და ზოგიერთი უცხოელი მკვლევრის (მაგ., გერმანელი სამართალმცოდნის ან. ნუსბერგერის) ფალსიფიკატორულ მტკიცებებზე ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის“ სახელმწიფოებრივ სტატუსზე 1921-1931 წლებში. იხ.: **3. Папаскири.** Ещё раз об одном ложном историографическом постулате абхазской сепаратистской идеологии. *К вопросу о политико-государственном статусе Абхазии в 1921-1931 гг. – Кавказ и глобализация.* Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2012. Т. 6. Вып. 2, გვ. 191-204; **Z. Papaskiri.** Another Look at One of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology. *On the Question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931.* – *The Caucasus & Globalization.* Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sveden. 2012. Vol. 6. Issue 2, გვ. 168-180.

პრობლემებზე. მათ შორის არის ნაშრომები როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში (არა მხოლოდ შუა საუკუნეების ხანის¹), ისე ზოგადად საქართველოს (მათ შორის აფხაზეთის) ისტორიის ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე; ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ხასიათის კვლევები.

ზურაბ პაპასქირის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, როგორც უკვე აღინიშნა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ძიებებს. მისი კვლევა ყოველთვის გაჯერებულია მათიანეებიდან და სხვა საისტორიო წყაროებიდან მოტანილი ფაქტებით, რომელთა დიდი ნაწილი შესწავლილია წყაროთმცოდნეობითი კუთხით, გააზრებულია ახლებურად ან, მოცემულია ტექსტის დადგენის ავტორისეული ვარიანტი. ის არ ერიდება ავტორიტეტულ მეცნიერებთან კამათს და თამამი დისკუსიის საფუძველზე აზუსტებს ცალკეული მათიანეების ტექსტს. ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ უნდა გამოიყოს მისი ტექსტოლოგიური დაკვირვებები საქართველოში ვარანგთა 3 ათასიანი რაზმის ყოფნის შესახებ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის ირგვლივ, რომელზეც ზემოთ უკვე იყო მსჯელობა.²

ამ კუთხით არანაკლებ საინტერესოა ზ. პაპასქირის დასკვნა იმავე „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში კონიექტურის შეტანის აუცილებლობის შესახებ კიდევ ორ ადგილას: 1. „განუნყრა ბაგრატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე. და კურაპალატი იყო მას ჟამსა დღივს...“³, რომელშიც მეცნიერი აყენებს მოცემული ნაწყვეტის დასაწყის ნაწილში („ქართველთა მეფე. და კურაპალატი“) წერტილის გადაადგილებისა (ან მძიმით შეცვლის) და მასში დამაკავშირებელი სიტყვების „იგი“, ან „რომელიც“ ჩამატების საკითხს;⁴ და 2. „ერისთავი ჩიხისას“ შესახებ ცნობა, რომელსაც,

¹ ამ მხრივ აღსანიშნავია მეცნიერის უალრესად საყურადღებო დაკვირვებები XX ს. მიწურულის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, რომელიც მოცემულია ზ. პაპასქირის (იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცრის) მიერ 1993 წელს მომზადებულ ლექცია-მოსხენებაში საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო დოქტრინაზე, რომლის საფუძველზეც ჩატარდა მეცადინეობები საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა საჯარისო ფორმირებაში. იხ.: **ზ. პაპასქირი**. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინა. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოსკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 295-312.

² **З. Папаскири**. „Варанги“ грузинской „Летописи Картли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI в. – *История СССР*, №3. М., 1981, гв. 164-169. უფრო ვრცლად იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 179-201.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 278.

⁴ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული.., გვ. 76-77. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ამგვარი ტექსტოლოგიური ჩარევის აუცილებლობაზე (ზ. პაპასქირისაგან დამოუკიდებლად) ყუ-

მეცნიერის აზრით, უნდა ჩაემატოს („ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ხელნაწერის მონაცემებისა და ვახუშტი ბაგრატიონის განმარტების საფუძველზე) ერისთავის სახელი – ტინენ.¹

ზურაბ პაპასქირმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობასი მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო გამოჩენილ ისტორიკოსთა, მათ შორის მასწავლებელთა და უფროსი კოლეგების, შემოქმედების კვლევას. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ვახუშტი ბაგრატიონის,² კონსტანტინე გამსახურდიას,³ შოთა მესხიას,⁴ ზურაბ ანჩაბაძის,⁵ ედიშერ ხომტარია-ბროსეს,⁶ შოთა ბადრიძის,⁷ მარიამ ლორთქიფანიძის⁸ და სხვა მეცნიერთა ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მალალ პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ნარკვევები. მეცნიერი დიდი მოწინებითა და პატივისცემით ცდილობს, წარმოაჩინოს ამ სასიქადულო მამულიშვილთა ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, მათი პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსებები.

ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ზ. პაპასქირის რეცენზიები სადოქტორო და საკანდიდატო დისერტა-

რადლება გაამახვილა ცნობილმა პალეოგრაფმა ვ. სილოგავამაც (იხ.: **ვ. სილოგავა**. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ბრძოლის ქრონოლოგიიდან (კახეთის შემოერთება 1003 წ.), მრავალთავი, XIX, თბ., 2001, გვ. 351-357.)

¹ **ზ. პაპასქირი**. ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI. გამომც. „მემატინე“. თბ., 2006, გვ. 64-71.

² **ზ. პაპასქირი**. ვახუშტი ბაგრატიონი – შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიის გიგანტი. – *საისტორიო ძიებანი*. I. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 1998, გვ. 239-250.

³ **ზ. პაპასქირი**. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის კონსტანტინე გამსახურდიასეული გააზრება. – *საისტორიო ძიებანი*. VI. წელიწდეული. თბ., 2003, გვ. 295-304 (<http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2003>).

⁴ **ზ. პაპასქირი**. დიდი მეცნიერის გახსენება. შოთა მესხია. – *საისტორიო ძიებანი*. VIII-IX. წელიწდეული. თბ., 2006, გვ. 43-58 (ელექტრონ. ვერსია: <http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006>).

⁵ **ზ. პაპასქირი**. გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი (ზურაბ ანჩაბაძის 80 წლისთავის გამო). – *საისტორიო ძიებანი*. III. წელიწდეული. თბ., 2000, გვ. 382-390 (<http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2000>).

⁶ **ზ. პაპასქირი**. ედიშერ ხომტარია-ბროსე. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული. ტ. 13. თბ., 2007, გვ. 455-459.

⁷ **ზ. პაპასქირი**. შოთა ბადრიძის გახსენება. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 596-600 (ელექტრონული ვერსია: <http://sites.google.com/site/zpapakiri/publications-georgian>).

⁸ **ზ. პაპასქირი**. სახელოვანი მეცნიერის სახელოვანი იუბილე (მარიამ ლორთქიფანიძის 80 წლისთავის გამო). – *საისტორიო ძიებანი*. V. წელიწდეული. თბ., 2002, გვ. 380-390 (<http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2002>); **ზ. პაპასქირი**. ზოგიერთი შტრიხი მარიამ ლორთქიფანიძის პორტრეტისათვის. – კრებ.: „მარიამ ლორთქიფანიძე – 85“. თსუ გამომც., თბ., 2007, გვ. 68-75.

ციებზე, რომლებშიც ავტორი მისთვის დამახასიათებელი სკრუპულუზურობით იძლევა განსახილველი სადისერტაციო ნაშრომების მეცნიერულ ანალიზს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს რეცენზიები ბევრად სცილდება ჩვეულებრივ საპაექროდ გამოტანილი საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზიის ფორმატს და თავისთავად დასრულებულ სამეცნიერო ნარკვევებს წარმოადგენენ, რომლებშიც წარმოჩენილია შუა საუკუნეების ხანის საქართველოს ისტორიის არაერთი აქტუალური პრობლემის ავტორისეული ხედვა.¹

¹ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოვყოფდით რეცენზიებს სადოქტორო დისერტაციებზე. იხ.: **ზ. პაპასქირი**. გამოკვლევა ქართული დიპლომატიის ისტორიაზე. რეცენზია **ლოვარდ ტუხაშვილის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „ქართული დიპლომატიის განვითარება და საგარეო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები (XI-XIV სს.)“. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 413-418 (ელ. ვერსია: <http://sites.google.com/site/zpapasqiri/publications-georgian>); **ზ. პაპასქირი**. ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე. რეცენზია **თიემურაზ გვანცელაძის** მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 422-435; **ზ. პაპასქირი**. საეტაპო გამოკვლევა ქართულ ლაპიდარულ ძეგლებზე. რეცენზია **ნოდარ შოშიაშვილის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები“. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 448-451; **ზ. პაპასქირი**. საინტერესო ნაშრომი სათავადოებზე. რეცენზია **გიორგი ოთხმეზურის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.)“. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 452-459; **ზ. პაპასქირი**. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლის ისტორიიდან. რეცენზია **გიორგი მჭედლიშვილის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (სპეციალობა 24.00.02 ისტორიული კულტუროლოგია) წარმოდგენილ ნაშრომზე: „შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“. – საისტორიო ძიებანი. VIII-IX. წელიწდეული. თბ., 2006, გვ. 499-519. – <http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006>; **ზ. პაპასქირი**. ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. რეცენზია **გურამ გაბუნია**ს სადოქტორო დისერტაციაზე: „საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI ს. დასაწყისში. საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემური საკითხები“. – საისტორიო ძიებანი, VI. წელიწდეული. თბ., 2003, გვ. 305-326 (<http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2003>); **ზ. პაპასქირი**. საჭირო გამოკვლევა შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებზე. რეცენზია **ელენე ცაგარეიშვილის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „საქართველოს ისტორიის VII-XIII საუკუნეების სომხური საისტორიო წყაროები“. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქარ-

ესაა პროფ. ზურაბ პაპასქირის შემოქმედების ძალზე ზოგადი მიმოხილვა, რომელსაც, რასაკვირველია, არა აქვს მეცნიერის მრავალმხრივი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამონვლილვითი გაანალიზების პრეტენზია. ჩვენ, უბრალოდ, შევეცადეთ მოკლედ, რამდენიმე შტრიხით წარმოგვეჩინა და მოკრძალებულად შეგვეფასებინა ჩვენი მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის ღვაწლი ისტორიოგრაფიაში, რომლის უფრო სრული და დეტალური ანალიზი მომავლის საქმეა.

LIA AKHALADZE, IA JICHONAI A

ZURAB PAPASKIRI'S HISTORIOGRAPHICAL HERITAGE

The paper studies the scholarly activities of Doctor of historical Sciences, Professor Zurab Papaskiri. The authors have drawn the conclusion that Professor Zurab Papaskiri's scientific works, according to their subject areas, can be grouped in the following way: a) International Relations and Diplomacy of Mediaeval Georgia; b) Issues of Georgian History (with a particular stress on Abkhazia) in the Ancient times, Middle Ages and Modern and Contemporary period; c) Researches dedicated to the issues of Historiography and Source Study. The paper shortly reviews and assesses all kinds of scholarly works – monographs, articles, political and historical essays published in the press, etc. and shows their place and significance in Georgian Historiography.

თველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 537-551. ეს და სხვა რეცენზიები გამოქვეყნებულია წიგნში: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009.

**ზურაბ პაპასქირის სადოქტორო დისერტაციის:
„შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე
(X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები)“ განხილვა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების
სხდომაზე¹**

ოქმი № 3

1991 წლის 11 მარტს შედგა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების ღია სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ქველი ჩხატარაიშვილი (განყოფილების გამგე), ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები: გულჩინა აკოფაშვილი, დარეჯან მეგრელაძე, დერმიშა გოგოლაძე, თამაზ ბერაძე, თენგიზ პაპუაშვილი, ჯემალ სტეფანაძე, უფროსი მეცნიერთანამშრომლები: ანა ბაქრაძე, მანანა ქიქოძე, ვახტანგ გოილაძე, მარინე მესხია, გიული ძიძიგური, ნუგზარ სურგულაძე, ვაჟა კიკნაძე. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლები: ტარიელ ახალაია, გიორგი მამულია. საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე გიული ალასანია, ერთაშორის ურთიერთობათა კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ფრიდონ სიხარულიძე.

ღლის წესრიგი

1. **ზურაბ ვალერიანეს ძე პაპასქირის სადოქტორო დისერტაციის:
„შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. X ს.**

¹ ზურაბ პაპასქირის სადოქტორო დისერტაციის თავდაპირველი განხილვა მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის სხდომაზე, რომელმაც მიზნშეწონილად მიიჩნია მისი წარდგენა დასაცავად (იმჟამად საქართველოში მოქმედ ერთადერთ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოში. სწორედ ამიტომ მოეწყო სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა აღნიშნული ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების სხდომაზე. მაგრამ დისერტაციის დაცვა ამავე ინსტიტუტში არ შედგა იმის გამო, რომ იქაურ სადისერტაციო საბჭოს იმ დროისათვის მოღვაწეობის ვადა ამოეწურა. ამასობაში კი დაიწყო ფუნქციონირება ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭომ, სადაც შედგა კიდევ (1991წ. 24 ივნისს) ზ. პაპასქირის სადოქტორო დისერტაციის დაცვა. იბეჭდება მცირეოდენი ტექნიკური დაზუსტებებით.

70-იანი – XI ს. 80-იანი წლები“ (მოხსენების ფორმით) განხილვა.

მოისმინეს: 1. **ზურაბ პაპასქირის** შესავალი სიტყვა. მან აღნიშნა, რომ მისი მთავარი ამოცანაა აჩვენოს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება დავით კურაპალატიდან დავით აღმაშენებლამდე. ეს ეპოქა ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა ძალიან ბევრი, საკითხი გასარკვევია ან დასაზუსტებელია. ძირითადი ყურადღება მივაქცევთ ბიზანტიის გავლენიდან საქართველოს თანდათან განთავისუფლებას. იურიდიული დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამ საკითხზე გამოვაქვეყნე 2 მონოგრაფია და 11 სტატია, რომლებშიც განხილულია X-XI სს. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა მთელი კომპლექსი. ჩემი ნაშრომის ძირითად სიახლეებად მიმაჩნია საქართველოს გაერთიანებაში დავით კურაპალატის და საერთოდ სამხრეთ ქართული პოლიტიკური გაერთიანების როლის შეფასება. ასევე ახლებურადაა შეფასებული ბაგრატ III საგარეო-პოლიტიკური კურსი. საერთოდ, საქართველოს იმდროინდელი საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი ახლებურად, ორიგინალურადაა გაშუქებული. თუ რა დონეზეა ეს განხორციელებული ამას რეცენზენტი მოგახსენებთ.

2. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **ჯემალ სტეფნაძის** დასკვნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის, საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის **ზ. ვ. პაპასქირის** ნაშრომზე (დისერტაცია მოხსენების სახით) „*შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები)*“.

რეცენზენტმა აღნიშნა შემდეგი:

ახლა შეიძლება ამკარად ითქვას, რომ ათეული წლების განმავლობაში, საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ძალების საუკეთესო, თანაც, დიდი ნაწილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლით იყვნენ დაკავებულნი. ასე ითხოვდა მისგან სახელმწიფო და ამ პრინციპს გვერდს ვერავინ აუვლიდა. ამან აღნიშნული პრობლემის შესწავლა წინ წასწია, სამაგიეროდ უკან ჩამოტოვა პოლიტიკური ისტორიის განვითარების დონე. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რკინის მუშტით დამკვიდრებული ე.წ. ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა ჩვენ, პატარა ერებს, ნელ-ნელა გვაღებინებდა ხელს საკუთარ ნამდვილ ისტორიაზე. თანდათან გაჰქრა საკვლევი თემებიდან საქართველოს სამხედრო ურთიერთობა სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ოსებთან და მთელი ყურადღება მათთან ძმობასა და მეგობრობაზე იქნა გადატანილი. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ შეუსწავლელი დაგვრჩა საგარეო ურთიერთობის მრავალი საკითხი. ამ ფონზე ძალზე სასიამოვნო მოვლენად მეჩვენება დღევანდელი ჩვენი დისერტანტის ბატონ ზურაბ პაპასქირის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი.

სარეცენზიო ნაშრომი – ავტორეფერატი, მანქანაზე გადაბეჭდილ

90 გვერდს მოიცავს. იგი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის მოთხოვნების შესაბამისადაა შედგენილი. შესავალ ნაწილში განხილულია ავტორეფერატისათვის დამახასიათებელი ყველა საკითხი: „თემის აქტუალობა „გამოკვლევის საგანი“, „კვლევის მიზანი“, „გამოკვლევის ობიექტი“ და სხვ. ცალკეა გამოყოფილი ე.წ. „მეცნიერული სიახლე“.

ყოველივე ამ ფორმალურ მხარეებზე ლაპარაკის შემდეგ ავტორი გადადის ნაშრომის შინაარსის გადმოცემაზე. პირველი თავი, რომლის სათაურია *„ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება და მისი საგარეო-პოლიტიკური გარემო“* გაყოფილია სამ პარაგრაფად. პირველ პარაგრაფში – *„საერთო-პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში Xს. II ნახევარსა და XIs. დასაწყისში* – მოკლედ არის მიმოხილული საქართველოს ერთიანი სამეფოს წარმოქმნის დროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ იმდროინდელი ბიზანტია და არაბთა სახლიფო აღარ წარმოადგენდნენ უძლიერეს სახელმწიფოებს და მათი შეტევითი ძალა საქართველოს მიმართ შედარებით შემცირებული იყო (გვ. 6-7).

მეზობელ სომხეთში ქვეყნის დაშლილობის პროცესი კვლავ გრძელდებოდა. ამას გარდა X ს. II ნახევარში სომხეთს ემუქრებოდა ბიზანტიის იმპერია, რის გამოც მას თვითონ უნდა ეფიქრა თავისი საზღვრების გამაგრებაზე. ერთი სიტყვით, ახლა სომხეთის მდგომარეობა სხვა იყო, ვიდრე X ს. დასაწყისში, როცა ანისის სამეფო ამიერკავკასიის მასშტაბის ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა (გვ. 7).

საქართველოს სასარგებლო პოლიტიკური მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (გვ. 8) და ჩრდილოეთ კავკასიაშიც (იქვე). ავტორის განცხადებით X ს. 70-იან წლებში, როდესაც ბაგრატი ბაგრატიონმა დაიწყო საქართველოს გაერთიანება, ამიერკავკასიაში შედარებით მშვიდობიანი საერთაშორისო მდგომარეობა სუფევდა (გვ. 8-9). ერთადერთი ძალა, რომელიც ამიერკავკასიაში გაბატონების მცდელობაზე ხელს არ იღებდა – იყო ბიზანტია. იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა არსებობდა გაერთიანების გზაზე მდგომ საქართველოსა და ბიზანტიას შორის, ავტორეფერატში საგანგებო პარაგრაფი არსებობს. ესაა *„დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი Xს. ბოლო მესამედში“*. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, საკითხის ასე დაყენება გამოიწვია ზოგიერთი მკვლევარის, კერძოდ, აკად. გ. მელიქიშვილის მონოგრაფიაში გატარებულმა აზრებმა, რომლის მიხედვით ბიზანტიისაგან ვასალური დამოკიდებულების გამო დავით კურაპალატს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოსულიყო კავკასიის მასშტაბის ძლიერი სახელმწიფოს შემქმნელისა და ორგანიზატორის როლში. ამის შემდეგ ავტორი საკმაოდ ვრცელ მსჯელობას მართავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ბოლოს ასკვნის: *«Одним словом, как видно из приведённого материала, в последней трети X в. – т.е. в то время, когда*

в Грузии полным ходом шли объединительные процессы, Византийская империя переживала отнюдь не лучшие времена и не учитывать это при определении сил и масштабов внешнеполитической активности властей вряд ли оправдано» (გვ. 17).

ზ. პაპასქირი არ იზიარებს გ. მელიქიშვილის იმ დებულებასაც, რომლის მიხედვითაც დავით კურაპალატი საერთოდ ბიზანტიური დიდი პოლიტიკის გარეშე არ მოქმედებდა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას კონსტანტინოპოლიდან არასოდეს არ ფიქრობდა. ამიტომ იგი არ შეიძლებოდა სათავეში ჩადგომოდა საქართველოს გამაერთიანებელ მოძრაობას და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემქმნელის როლში გამოსულიყო. ზ. პაპასქირი არ იზიარებს არც იმ დებულებას, სადაც აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ბიზანტია ხელფეხს არ უბორკავდა ტაოს მმართველს მის მოღვაწეობაში (გვ. 18).

პრობლემატურად ეჩვენება დისერტანტს აგრეთვე დებულებაც, რომლის მიხედვით დავით კურაპალატის „ანდერძი“ „ანტიაფხაზური“ (ე.ი. ბაგრატ III-ის წინააღმდეგ მიმართული) იყო, როგორც ეს აკად. გ. მელიქიშვილს ესმის. ზ. პაპასქირის დასკვნით „ანდერძის“ დანერის შემდეგაც კი დავით კურაპალატი აგრძელებდა ეროვნულ პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო საერთო ქართული ერთიანი სახელმწიფოს შექმნა თავისი შვილობილის – ბაგრატ III-ის ეგიდის ქვეშ (გვ. 21). მისივე დასკვნით შეხედულება, თითქოს დავით კურაპალატი, ბიზანტიისაგან ვასალური დამოკიდებულების გამო ვერ გამოვიდოდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის მოთავედ, უნდა მოხსნილ იქნას (გვ. 23).

მესამე პარაგრაფი – „ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება XI ს. დასაწყისში და მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში“. პარაგრაფი საკმაოდ დიდია. 23-32 გვერდებს მოიცავს და ერთმანეთთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს იხილავს. ასე, მაგალითად, ავტორი ლაპარაკობს 975 წელს ბაგრატის ქართლში გამეფების ფაქტის ახლებური გააზრების აუცილებლობაზე. მისი მტკიცებით რაც ძალზე სამართლიანად გამოიყურება (გვ. 23-26). 975-978 წლებში ბაგრატ მეფე ქართლის უცვლელი მმართველი არ ყოფილა. ქართველ დიდებულებს მისთვის საკუთარი დედა გურანდუხტი დაუპირისპირებიათ და ქვეყანაც მისთვის ჩაუბარებიათ.

ავტორს გადასინჯული აქვს აგრეთვე ბაგრატის მიერ ქართველთა მეფის, აგრეთვე კურაპალატის ტიტულის მიღების დრო და პირობები (გვ. 26-32). მისი აზრით: არ არის აუცილებელი, რომ ბაგრატს „ქართველთა მეფის“ ტიტული მიეღოს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ. ეს შეიძლება მომხდარიყო თავისი ბაბუის ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ (გვ. 27).

ბოლოს, აჯამებს რა მთელი პირველი თავის შინაარსს, ზ. პაპასქირი აღნიშნავს, რომ ბაგრატ III მართლაც ითვლებოდა კავკასიის უძლი-

ერეს მმართველად, ხოლო მისი სახელმწიფო ყველაზე ძლიერ ქვეყნად მთელს კავკასიაში.

II თავი – „ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში XI ს. 20-50-იან წლებში“ – ეძღვნება საქართველო-ბიზანტიას შორის არსებულ მწვავე ურთიერთობებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბულგარელებთან წარმოებულმა ომმა ხელფეხი შეუკრა ბიზანტიის კეისარს ბასილს, რითაც ისარგებლა საქართველოს მეფემ გიორგი I-მა და სცადა ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა. ამ ალიანსის წევრი იყო სომეხთა მეფე იოანე-სუმბატი. ამ კოალიციაში შედიოდა ვანანდისა და ვასპურაკანის სამეფოები. აგრეთვე ეგვიპტის ფატიმადური სახელმწიფო – ბიზანტიის ტრადიციული მოწინააღმდეგე. ავტორის აზრით, კეისარმა ეს გაერთიანება დაშალა. გიორგი I იძულებული გახდა ეცნო კონსტანტინოპოლის სიუზერენობა. თუმცა ამის შემდეგაც აგრძელებდა ანტიბიზანტიურ საქმიანობას.

ამ თავში ძალზე მიმზიდველი შთაბეჭდილება დასტოვა ზ. პაპასქირის მსჯელობამ გიორგი I-ის მეუღლე აღდაზე. ავტორის აზრით გიორგი I გაეყარა თავის პირველ მეუღლეს მარიამს – სენექერიმ არწრუნს, და დაქორწინდა აღდაზე – ოსთა მეფის ასულზე. მისი აზრით ეს იმით იყო გამონვეული, რომ მარიამი ქმრის – გიორგის ანტიბიზანტიური კურსის წინააღმდეგი იყო. ავტორი სწორია. როდესაც ბიზანტიაში მარიამის ჩასვლას და დიდებით მიღებას მისი ანტიბიზანტიური პოლიტიკის მოწინააღმდეგეობით ხსნის. საინტერესოა და სწორია მარიამისა და მამამისის სენექერიმის პოლიტიკათა დამთხვევის ახსნაც (გვ. 41), ასევე განცხადებაც, რომ შეიძლება ქმრის სიცოცხლეშიც, მარიამი მისი ანტიბიზანტიური პოლიტიკის მტერი იყო (გვ. 42). საინტერესოა გიორგი I-ის დროინდელი საზოგადოებრივი ძალების პოლიტიკური ორიენტაციის ავტორისეული შეფასება (გვ. 42), კერძოდ, საქართველოს კათალიკოსის პრობიზანტიურ პარტიაში ყოფნა. ასევე 1030-1031 წლების საქართველო-ბიზანტიის ზავის შეფასება (გვ. 44). ძალზე საინტერესო მსჯელობას მართავს ავტორი, როდესაც ბაგრატ IV-ის ცოლის გარდაცვალებისა და ოსეთის სამეფოსთან საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებაზე ლაპარაკობს. ოსთა მეფის ასულზე ბაგრატ IV-ის დაქორწინება ანტიბიზანტიური საქმიანობის დასაწყის ეტაპად შეიქმნა, რაც ზ. პაპასქირის ნაშრომში შეფასებულია, როგორც ღრმად მოფიქრებული დოპლომატიური საქმიანობის შემდეგ (გვ. 44).

ნაშრომის ამ თავის საუკეთესო დასკვნად გამოდგება ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ გიორგი I-ის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ტახტზე პოზიციები განიმტკიცეს ბიზანტიისადმი ლოიალურად განწყობილმა ძალებმა დედოფალ მარიამ სენექერიმის ასულის სახით, ხოლო 1032-1033 წელს, ბიზანტიური წარმოშობის დედოფლის – ბაგრატ IV-ის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი ანტიბიზანტიურმა

ძალეებმა (გვ. 45), რაც მთავარია, დასკვნა, რომ «смерть ни Георгия, I ни юной царицы Елены не были случайной. По всей вероятности, оба они стали жертвами той ожесточенной борьбы, которая велась при грузинском царском дворе между провизантийски и антивизантийски настроенными группировками» (გვ. 45).

აღსანიშნავია, რომ დისერტანტს სუმბატ დავითის ძე — ისტორიკოსი საქართველო-ბიზანტიას შორის დაახლოების მომხრე პირად მიანიჭა და არ გამოირიცხავს მის ბაგრატ IV-ის მიერ შერისხულთა სიაში მოხვედრას და დაღუპვასაც კი (გვ. 47).

საყოფადღებო მსჯელობაა გამართული ნაშრომის 52-56 გვერდებზე. აქ ზ. პაპასქირი მიმოიხილავს ბიზანტიის ურთიერთობას სომხურ სამეფოებთან, აგრეთვე ბაგრატ IV-ის ურთიერთობას ანისთან და, რაც მთავარია, საქართველო-ბიზანტიის მეტოქეობის ფაქტებს სომხეთში. ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ქ. ანისის მოტყუებით ხელში ჩაგდება ავტორს ბიზანტიური ძალების გამარჯვებად ეჩვენება (გვ. 56), რაც სწორი დასკვნაა.

სომხეთის ამბებმა, — აღნიშნავს ავტორი ავტორეფერატის 58-ე გვერდზე, კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა ბიზანტია საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაში და მან საგანგებო ღონისძიებებიც გაატარა. ამასთან დაკავშირებით იგი ვრცელ მსჯელობას მართავს თავისი ნაშრომის 58-65 გვერდებზე.

ყოველი ფაქტი ავტორს დაკავშირებული აქვს საქართველოს საგარეო ურთიერთობებთან. ისე ამ თავის ბოლომდე ჩაკითხვის შემდეგ ჩვენს თვალწინ დგება XI საუკუნის 40-50-იანი წლების საქართველოს სამეფო ხელისუფლების მძიმე, მაგრამ საინტერესო პოლიტიკურ ღონისძიებათა მთელი სურათი.

ნაშრომის შემდგომი თავია „საქართველოს სახელმწიფოს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში“. თავი კი ორ პარაგრაფადაა გაყოფილი. პირველში, რომლის სათაურია „თურქ-სელჩუკთა შემოჭრა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-იან წლებში“, გაანალიზებულია ბაგრატ IV-ის ბრძოლა სელჩუკ დამპყრობთა წინააღმდეგ. ნაჩვენებია საქართველოს როლი და ადგილი კავკასიაში ანტისელჩუკური მოძრაობის საქმეში.

ლაპარაკობს რა თურქ-სელჩუკთა როლზე ავტორი აღნიშნავს, რომ XIII ს. 50-იან წლებში თურქები არ წარმოადგენდნენ საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხეს. პირიქით, მათ გარკვეულად შეუწყვეს ხელი საქართველოს ურთიერთობების მოგვარებას ბიზანტიასთან (გვ. 67).

შემდეგ ავტორი გადმოგვცემს ალფ-არსლანის პირველ და მეორე ლაშქრობებს საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ავტორი ბაგრატ IV-ის წარმატებებს ალფ-არსლანის მოკავშირის ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაში სულთნის ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლასათვის მზადებით ხსნის (გვ. 73), რაც არ არის გამორიცხული. როგორც დისერტანტი აღნიშნავს

ალფ-არსლანი იძულებული იყო მოეთმინა მისი კაცის ფადლონის ბაგრატიის მხრიდან შევენროება, რადგან არ უნდოდა ამ უკანასკნელის ბიზანტიის მხარეზე საბოლოო გადასვლისთვის შეენყო ხელი (გვ. 74).

საინტერესოა ავტორის დასკვნა, რომელსაც იგი აკეთებს საქართველო-ოსეთის ჯარის განჯაზე ლაშქრობაზე საუბრისას. მისი აზრით ეს ფაქტი მიუთითებს, რომ საქართველო ამ დროს ანტითურქული მოძრაობის ორგანიზატორია (გვ. 75). მეორე პარაგრაფი ეძღვნება მახლობელ აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა ბატონობის დამყარებას და საქართველოს მდგომარეობის გაუარესებას XI ს. 70-80-იან წლებში.

ამის შემდეგ ავტორი დანვრილებით მიმოიხილავს ყველა იმ პოლიტიკურ მოვლენას, რასაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში. კერძოდ, გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ გიორგი II-ისათვის ციხე-სიმაგრეების გადაცემას და მის მნიშვნელობას.

საინტერესოა ავტორის მსჯელობა ბაგრატ IV-ის ქალიშვილის მარიამის საქმიანობაზე კონსტანტინოპოლში (გვ. 82), აგრეთვე ამ ქვეყანაში მოქმედი ქართველების პარტიის საქმიანობაზე. ავტორი სწორად ასკვნის, რომ „ქართველთა პარტიისა“ და დედოფალ მარიამის მიმართ გამოყენებული რეპრესიები, შეიძლება საფუძვლად დაედო დავით აღმაშენებლის მიერ ბიზანტიასთან პოლიტიკური კავშირის განწყვეტას – მასთან ვასალურ ურთიერთობაზე უარის თქმას (გვ. 82).

მისაღებია ჩვენი დისერტანტის მსჯელობა გიორგი II-ის თურქ-სელჩუკებთან დამოკიდებულების შეფასების დროსაც, რასაც ადგილი აქვს პარაგრაფის ბოლოს.

ნაშრომს თან ერთვის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების სია.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოქვეყნებულია სამი სქელტანიანი მონოგრაფია. ამის გარდა მას დაბეჭდილი აქვს 11 სტატია და მოხსენების თეზისები. დამეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ სოლიდური პროდუქციაა. ზ. პაპასქირის მსჯელობა, კვლევის წესი და, რაც მთავარია, გაკეთებული დასკვნები გვარწმუნებს, რომ მისი სახით ჩვენ გვყავს შუა საუკუნეების საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთი კარგი სპეციალისტი. წყაროებისა და სათანადო ლიტერატურის გამოყენების სისრულე, მათდამი კეთილშობილური დამოკიდებულება კიდევ უფრო გვიმტკიცებს ამ აზრს.

ასევე განგვანყობს ის უმთავრესი სიახლენიც, რომლებიც ზ. პაპასქირის ნაშრომში შევამჩნიეთ. ესენია: პრობლემის ყოველმხრივი მონოგრაფიურლი შესწავლა. ზოგიერთი საკითხის ახლებურად გაუქმება ანდა სულ პირველად დაყენება. მაგალითად:

ა) დავით კურაპალატის როლისა და მისი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შეფასება. ბ) გიორგი I-ის ბრძოლა სუვერენიტეტის მოსაპოვებლად და მისი, როგორც ანტიბიზანტიური კოალიციის მოთავის,

როლის ჩვენება. გ) სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის გამწვავება საქართველოში და მისი უარყოფითი დამოკიდებულება ბაგრატ IV-ის საქმიანობაზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და სხვ.

აღვნიშნავთ, რომ ნაშრომის უძირითადეს საკითხებზე საუბრისას მისი მსჯელობა ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენება და შენიშვნებს არ იმსახურებს. ყოველივე ეს საშუალებას მაძლევს მისი ნაშრომი მაღალ დონეზე შესრულებულად ჩავთვალოთ. ვითვალისწინებ რა სარეცენზიო ნაშრომის მთელ ავ-კარგს მივიჩნევ, რომ იგი ღირსია რათა დაშვებულ იქნას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად გამართულ საჯარო პაექრობაზე.

აზრი გამოთქვას: 1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **თამაზ ბერაძემ** აღნიშნა, რომ სადოქტორო დისერტაცია, რომლის შესახებაც დასკვნა დღეს აქ მოვისმინეთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას ეხება. ეპოქა, რომელსაც ეს დისერტაცია ასახავს თვისობრივად განსხვავებულია და უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ერთიანი სამეფოს წარმოქმნის ისტორიაში. გამოყენებული წყაროების ღრმა ანალიზი და რიგი ორიგინალური მოსაზრებებისა ახლებურად წარმოგვიდგენს მთელ განსახილველ ეპოქას. ნაშრომში მნიშვნელოვანი სიახლეებია. ზოგიერთი მათგანი პრინციპულია. მაგალითად, საკითხი თუ რომელმა ქართულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ითამაშა მთავარი როლი ერთიანი საქართველოს შექმნაში. ჩემი აზრით ზ. პაპასქირი ღრმად განსწავლული და სერიოზული მკვლევარია, რომელსაც ამ ნაშრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

2. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **დერმიშა გოგოლაძემ** გაიზიარა რეცენზენტის ძირითადი დასკვნები ზ. პაპასქირის ნაშრომის შესახებ. მან მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ ეს ნაშრომი რეკომენდირებული იქნეს ინსტიტუტის სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს წინაშე, როგორც სადოქტორო დისერტაცია.

3. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **თენგიზ პაპუაშვილმა** განაცხადა, რომ განსახილველ ნაშრომში მაღალ მეცნიერულ დონეზეა გადაჭრილი საკვლევო პრობლემა. ამ პრობლემის ცალკეულ საკითხებს მრავალი მეცნიერი შეხებია, მაგრამ ზ. პაპასქირის ნაშრომი მათგან გამოირჩევა პრობლემის კომპლექსური განხილვით და დასკვნათა სანდოობით. მე მიმაჩნია, რომ ზ. პაპასქირის მონოგრაფიები და სტატიები, რომელთა ძირითადი დასკვნებიც გადმოცემულია წარმოდგენილ მოხსენებაში, ჩვენი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

4. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ფრიდონ სიხარულიძემ** მხარი დაუჭირა რეცენზენტის აზრს და განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ სიახლეებმა, რომლებიც ზ. პაპასქირის ნაშრომშია მოცემული.

5. განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ქველი ჩხატარაიშვილმა** განაცხადა, რომ ზ. პაპასქირის ნაშრომები ავსებენ იმ ხარვეზებს რომელიც საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიის შესწავლას გააჩნია. ეს ნაშრომები ყურადღებას იქცევენ გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიუხვით. კვლევის სიღრმითა და სწორი მეთოდით, დასკვნების სანდოობით. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ზ. პაპასქირის ნაშრომი წარუდგინოთ ინსტიტუტის სპეციალიზირებულ სამეცნიერო საბჭოს, როგორც მაღალ დონეზე შესრულებული სადოქტორო დისერტაცია.

დადგინეს: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილება იწონებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯემალ სტეფნაძის დასკვნას ზ. ვ. პაპასქირის ნაშრომის (დისერტაცია მოხსენების ფორმით) შესახებ; განყოფილებას მიაჩნია, რომ ზურაბ პაპასქირის ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზე წყვეტს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ძირითად, აქამდე ნაკლებად შესწავლილ პრობლემას. ნაშრომი ემყარება, როგორც ქართულ, ისე უცხოურ მრავალფეროვან საისტორიო წყაროებს, შეიცავს მათი ცნობების ღრმა მეცნიერულ ინტერპრეტაციას და იძლევა დასკვნებს, რომლებიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენენ ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ზ. ვ. პაპასქირის მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა, რომლის შინაარსიც გადმოცემულია განხილულ მოხსენებაში, უკვე დაიმსახურა მეცნიერული საზოგადოებრივების ყურადღება. ამ ნაშრომით ივსება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილება მიზანშეწონილად მიიჩნევს ინსტიტუტის სპეციალიზირებულმა სამეცნიერო საბჭომ **ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირის** ნაშრომი „*შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70- XI ს. – 80-იანი წლები)*“ მიიღოს, როგორც სადოქტორო დისერტაცია და მისცეს მას სათანადო მსვლელობა.

თავმჯდომარე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

/**ქველი ჩხატარაიშვილი**/

მდივანი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

/**მარინე მესხია**/

11.III.1991.

ხელმწიფოს შექმნის საგარეო-პოლიტიკურ ფონს, დეტალურად სწვდება იმ საკითხებს, რაც ხელახლა გაერთიანებული სახელმწიფოს პირველ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებთანაა დაკავშირებული, გვიჩვენებს იმ ბრძოლას, რომელსაც სახელმწიფო ეწეოდა თავისი სუვერენიტეტისათვის და განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს ადგილს საერთაშორისო არენაზე.

სადისერტაციო ნაშრომი მოხსენების სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით ზურაბ პაპასქირის პუბლიკაციებს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. მხედველობაში გვაქვს დისერტანტის ნიგნები „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1990წ.), „შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“ (თბ., 1991წ.) და სხვ. ამდენად ჩვენი მოსაზრებები თუ დასკვნები ეფუძნება ზურაბ პაპასქირის მეცნიერული შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც უშუალოდ დისერტაციაში წარმოდგენილ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დისერტანტი ღრმად ფლობს პრობლემის ირგვლივ არსებულ ქართულ თუ უცხოენოვან წყაროებს. ამასთან წყაროების მიმოხილვის დროს მათში შეაქვს გარკვეული კორექტივაც. ე.ი. წყაროს მხოლოდ გამოყენება კი არა მისი ღრმა შესწავლა ხდება სხვადასხვა (ტექსტუალური, კონცეპტუალური) თვალსაზრისით. დისერტანტი გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამს „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის შესახებ; სუმბატ დავითის ძისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. ზ. პაპასქირი ფართოდ იყენებს დოკუმენტურ მასალასაც; დროულად და საინტერესოდ იშველიებს სომეხ, ბიზანტიელ და არაბ ავტორთა შრომებს.

ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზის გამოყენებასთან ერთად დისერტანტი აჩვენებს იმ ნვლილს, რაც წინამორბედ ქართველ ისტორიკოსებს მიუძღვით აღებული პრობლემის კვლევაში. ისტორიოგრაფიულ ბაზას ამდიდრებს ზ. პაპასქირის მიერ ცნობილი (არაქართველი) აღმოსავლეთმცოდნეობის, კავკასიოლოგებისა და ბიზანტინისტების კვლევის შედეგების ფართოდ შემოტანა სადისერტაციო ნაშრომში.

ზურაბ პაპასქირის მიერ წარმოდგენილი მოხსენებისა და გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დისერტანტმა წარმატებით გამოიკვლია მონოგრაფიულად საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების წინა და ამ გაერთიანების პირველ ხანებში.

დისერტანტის ნაშრომში ახლებურადაა შესწავლილ-გამუქებული ერთიანი ქართული მონარქიის წარმოქმნის საგარეო-პოლიტიკური პირობები X-XI სს. მიჯნაზე. ფრიად საინტერესო შეფასება აქვს მიცემული დავით კურაპალატის როლს ქვეყნის გაერთიანებაში და მის საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

წყაროების შესაძლებელი მოხმობით დისერტანტი ნათლად აჩვენებს XI საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს მეფის გიორგი I-ის ბრძოლას საქართველოს სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარებისათვის. ზ. პაპასქირი ასაბუთებს, რომ გიორგი I იყო ანტიბიზანტიური კოალიციის თაოსანი და ორგანიზატორი მთელს კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

გამორჩეულადაა წარმოჩენილი ბაგრატ IV-ის მოღვაწეობის ხანა, ის გართულებები, რაც საგარეო-პოლიტიკური აღიარების საქმეში იყო; ის სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი რასაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი ქვეყნის შიგნით – მხედველობაშია შინაპოლიტიკური ბრძოლა საქართველოს მეფესა და კლდეკარის ერისთავს შორის; მოცემულია ის უარყოფითი საგარეო-პოლიტიკური შედეგები, რაც ამ ბრძოლას მოჰყვა.

ზურაბ პაპასქირი დანვრილებით იკვლევს და აჩვენებს საგარეო-პოლიტიკური გართულების გამო – რაც სელჩუკთა შემოსევებით იყო გამოწვეული, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას. საქართველო ფაქტობრივად იზოლირებული იქნა ქრისტიანული სამყაროსაგან და ერთადერთს უხდებოდა თავგამოდებული ბრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ. ფაქტობრივი საგარეო-პოლიტიკური სუვერენიტეტი მოპოვებულ იქნა მხოლოდ დავით IV აღმაშენებლის დროს.

დისერტანტი წარმოდგენილ მოხსენებასა და გამოქვეყნებულ ნაშრომებში გვთავაზობს ბევრ საინტერესო ახალ მოსაზრებებს, ზოგჯერ აზუსტებს სხვადასხვა საკითხს ცალკეული მოვლენების შესახებ.

ამდენად, ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირის მიერ ჩატარებული დიდი კვლევითი მუშაობა და მიღებული შედეგები, აღებული პრობლემის აქტუალურობა და მნიშვნელობა, შესასწავლი ისტორიული ეტაპისადმი მრავალმხრივი ინტერესი, ის სიახლეები რაც მის ნაშრომებშია; აგრეთვე დისერტანტის თავდადებული მოღვაწეობა ჩვენი მეცნიერებისა და განათლების უაღრესად მნიშვნელოვან უბანზე. მისი მოქალაქეობრივი სახე და საერთო ღირსებები უფლებას მძლევს ვიმუშაოდგომლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამეცნიერო საბჭოს წინა, რა თა ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირს მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ამასთან საბჭოს გვინდა მოვახსენოთ ჩვენი ორიოდე შენიშვნა.

დისერტანტი მიიჩნევს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მთლად ზუსტად არ არის ბაგრატ III-ის ქართლის მმართველად გამოცხადების (975წ.) შემდგომი მოვლენები. იგი თვლის, რომ გურანდუხტ დედოფალი დაკავშირებული იყო შიდა ქართლის სეპარატისტულ ძალებთან და მათ მიერ იყო მმართველადაც დასმული. ამის საბუთად ზ. პაპასქირს მიაჩნია ატენის სიონის წარწერის ის ცნობა, სადაც ლაპარაკია ბაგრატის დედასთან წაკიდების თაობაზე და „მატიანე ქართლისაჲს“ მინიშნება – დედასაგან აიღო უფლისციხეო და ა.შ. ვფიქრობთ ამგვარ მტკიცებას მეტი

საბუთიანობა სჭირდება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბაგრატი მცირეწლოვანი გამეფდა და, როგორც ჩანს, გარკვეულ დროს მისი მეურვეობა მამის, ან თვით დავით კურაპალატის მხრიდან აუცილებელი იყო. არაა გასაკვირი, რომ ასეთ ვითარებაში ქართლი სწორედ მეფის დედას გურანდუხტს მიანდევს სამართავად და რომ კახეთის ტყვეობიდან გამოსხნის შედეგად კვლავ იგი მართავდა ამ მხარეს. რეზიდენცია კი უფლისციხეში ჰქონდა. 978 წელს ივანე მარუშისძის თაოსნობით, „ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა“ მოითხოვეს ბაგრატი და დავით კურაპალატმაც „მოსცათ“ იგი. საქმე ისაა, რომ ამ დროს ბაგრატი „გასრულებული იყო ასაკითა“. აქედან მოკიდებული „მატიანის“ ცნობით ორი წლის შემდეგ „ინყო განგებად და... განმართებლად ყოველსა საქმესა მსგავსად პაპისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა...“. ამის შემდეგ გადმოდის ბაგრატი ქართლს, ამარცხებს მოღრისთან ქართლის აზნაურებს, გადმოდის უფლისციხეს და მას იკავებს და განაგებს ქართლის საქმეებს. შემდეგ კი დედა მიჰყავს „ქუეყნად აფხაზეთისა“.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ სეპარატისტულად განწყობილ ქართლის აზნაურებს გურანდუხტი ერჩიათ მმართველად, ვიდრე ბაგრატი. ქალის მმართველობის ქვეშ უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, „რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა გურანდუხტისათა“. მაგრამ რაც შეეხება გურანდუხტის შიდა ქართლის სეპარატულ ძალებთან კავშირს, ამისი მტკიცება ძნელია. რაც შეეხება მისი ამ ძალებისაგან ქართლის მმართველად დასმას, ესეც ძნელად დასაჯერებელი და მისაღებია. იგი გარკვეული დროით დავით კურაპალატისა და მეფის მიერ იყო უფლისციხეს დასმული. დისერტანტის მიერ მოტანილი ფაქტი, რომ სომხურ წარწერაში გურანდუხტი „ქართველთა დედოფლადაა“ მოხსენიებული არ ნიშნავს იმას, რომ ქართლის აზნაურებს თავისი საკუთარი მონარქის ყოლა უნდათ. საერთოდ „ქართველთა“ არ ნიშნავს ქართლისას. ასე რომ ესეც გასათვალისწინებელია. მიგვაჩნია, რომ 975-78 წწ. ბაგრატი III-ის გავლენის გავრცელება უცილობელი ფაქტია.

დისერტანტი მართებულად ამახვილებს ყურადღებას საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის საკითხებზე და მხარს უჭერს მეცნიერთა აზრს საქართველოს ეგვიპტესთან ურთიერთობის შესახებ XI ს-ში. ვფიქრობთ ეს მოვლენა – საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა მოცემულ პერიოდში უფრო დასაბუთებულად წარმოჩნდებოდა ნასირი ხოსროვის ცნობისა (XI ს. შუა წლებში ქართველი უფლისწულების ეგვიპტეში ყოფნის შესახებ) და მისი მეცნიერთა სათანადო კომენტირების მოტანით.

ვფიქრობთ ვერ არის სათანადოდ დასაბუთებული და მხოლოდ ვარაუდზეა აგებული გიორგი I-ისა და ბაგრატი IV-ის მეუღლის ელენეს იმ

ბრძოლის მსხვერპლად გამოცხადება, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე მიმდინარეობდა პრობიზანტიურ და ანტიბიზანტიურად განწყობილ დაჯგუფებებს შორის. ასევე სრულ ვარაუდზეა აგებული სუმბატ დავითისძის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის იდეოლოგიებისათვის (ეს არაა გამორიცხული) ბაგრატ IV-ის რისხვის ქვეშ მოხვედრა და რეპრესირება.

ლაპარაკობს რა გიორგი II-ის სელჩუკთა სულთანთან ვიზიტის შესახებ. დისერტანტი არასწორად მიიჩნევს ქართულ ისტორიოგრაფიაში (ნ. შენგელია, რ. მეტრეველი) გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს ნაბიჯი ერთადერთი სწორი იყო. ზ. პაპასქირი მიაჩნებს იმ შედეგებზე, რაც ამ ვიზიტს მოჰყვა და მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ობიექტური იყო გიორგი II-ის შეფასებაში, ვეჯინის ალყის მოხსნის მიზეზების გადმოცემისა და საერთოდ მართებულად მიიჩნევს გიორგი II-ის ადრინდელ შეფასებას ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, თუ როდენმძიმემდგომარეობაში ჩავარდა საქართველო XI ს-ის 80-იან წლებში. თურქი სელჩუკების შემოსევები არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. თურქული მომთაბარული მეურნეობა საფუძველს აკლავდა ქართულ ფეოდალურ მეურნეობას. რაც ქვეყანას ერთიანად გადაშენებას უქადდა.

საქმე ისაა, რომ არა მარტო ქართველი მეფე ეახლა სულთანს. სომეხი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე ფილარეტ ვარაჟუნის, რომელიც მანაზკერტის ბრძოლის შემდეგ კილიკიის მმართველი გახდა, 1086 წელს ძღვენით ეახლა სულთან მალიქ შაჰს და მორჩილება გამოუცხადა. ვერც ფილარეტ ვარაჟუნის ცდამ გაჭრა – მის მიერ შექმნილი სამთავრო სელჩუკების ხელში გადავიდა. ასევე შირვანის მმართველი ფარიბუზ შირვან-შაჰი ეახლა მალიქ შაჰს და დიდძალი ხარკი გადაიხადა. ხარკის გადახდასა და მორჩილებაზე თანხმობა იმ პირობებში იძულებითი მოვლენა იყო. რასაც საბოლოო მიზნად ერის გადარჩენა ჰქონდა დასახული. რა თქმა უნდა, კახეთისა და ჰერეთის გადაცემა გიორგი II-სათვის შაჰისაგან სიმბოლური იყო. დაუჯერებელია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ვეჯინის ალყის მოხსნის შესახებ: „ხოლო მეფესა გიორგის მოეხსნა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნავდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჯინისასა და კახეთისასა“... ცხადია, გიორგი II დავით აღმაშენებელი არ ყოფილა, მაგრამ სახელმწიფო ცხოვრების ისეთი რთული საკითხის გადაჭრის გადადება, როგორც ვეჯინის აღება და კახეთის შემოერთება იყო ნადირობის მიზეზით ახსნა, ძალზე გადაჭარბებულია. ვეჯინის ალყის მოხსნის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, რომლებიც წყაროს კრიტიკულ ანალიზზეა დაფუძნებული და რომელთა შეწყნარება ალბათ შესაძლებელია, წინააღმდეგ მომტანის ცნობისა.

დასასრულს, კვლავ მინდა გავიმეორო, რომ მოხსენების სახით

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი და დისერტანტის პუბლიკაციები პრობლემის აქტუალობით, საკვლევი პერიოდის მნიშვნელობით, ნაშრომის შესრულების კულტურით, მეცნიერული დასკვნების ახლებური წარმოჩენით სავსებით იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

ვშუამდგომლობ სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რომ ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირს მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ზე, ანუ იმ ხანაზე, რომელიც ზ. პაპასქირს თავისი კვლევის ობიექტად აურჩევია. ეს ეპოქა, ავტორის მართებული შენიშვნით, უთუოდ ყველაზე დამუშავებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც დასტამბულ მონოგრაფიაში მითითებული, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი, სადაც ყოველმხრივ იქნებოდა განხილული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა ავტორისათვის საინტერესო ეპოქაში. ეს ეპოქა კი არის ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის წინარე და მისი ჩამოყალიბების ხანა – X ს-ის მეორე ნახევარი – XI ს-ის 60-იან წლებამდე. ანუ ერთი საუკუნე და ოდნავ მეტი.

მონოგრაფიის ავტორს ამ ერთგვარად არსებული ხარვეზის შევსება დაუსახავს მიზნად და ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ მას ამ ამოცანისათვის წარმატებით გაურთმევია თავი.

როგორც სასიამოვნო მოვლენა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სარეცენზიო ნაშრომი არ არის გადატვირთული თავებით. წიგნში მოცემულია სულ ორი თავი, დაყოფილი სათანადო პარაგრაფებად. იგი შესავალთან, რუსულ რეზიუმესა და საკუთარ სახელთა საძიებელთან ერთად შეიცავს 225 გვერდს, თუმცა ცუდი არ იქნებოდა, რომ წიგნისათვის ავტორს დაერთო აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ნაშრომში მოცემული პირველი თავის სათაურია *„ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება და მისი საგარეო-პოლიტიკური გარემო“* (გვ. 6-101) და დაყოფილია შემდეგ სამ პარაგრაფად 1. საერთო პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის დასაწყისში (გვ. 6-11); 2. დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი X ს-ის ბოლო მესამედში (გვ. 11-62); 3. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება X-ს-ის დასაწყისში და მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (გვ. 62-101).

ნაშრომის მეორე თავი *„ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში XI ს-ის 20-50-იან წლებში“* (გვ. 102-202) დაყოფილია სულ ორ პარაგრაფად: 1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის გიორგი I-ის ხანაში (გვ. 102-150); 2. საშინაო-პოლიტიკური ვითარების გამწვავება საქართველოში XI ს-ის 30-50-იან წლებში და მისი გამოვლენა საგარეო ურთიერთობებში (გვ. 150-210).

როგორც ვხედავთ, ნაშრომში შესაშური სიზუსტით არის დაცული მისი არქიტექტონიკა, კომპოზიცია, გვერდების რაოდენობათა პროპორციები არა მხოლოდ თავების მიხედვით, არამედ, შეიძლება ითქვას,

პარაგრაფების მიხედვითაც კი, თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის და ეს ფაქტი შეიძლება დადებითად ჩაითვალოს. ერთადერთი პარაგრაფი, რომელიც არღვევს ამ პროპორციებს, არის პირველი თავის პირველი პარაგრაფი.

ამ ფაქტს ჩვენ მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ გამოქვეყნებულ რეცენზიებში არა ერთხელ ნაგვიკითხავს და დისერტაციათა დაცვისას არა ერთხელ გვსმენია ოფიციალურ ოპონენტთა საყვედურები ნაშრომთა არქიტექტონიკაზე.

ზ. პაპასქირის ნაშრომის უთუოდ დადებითი მხარეა აგრეთვე ის, რომ იგი არ ცდილობს გვერდი აუაროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მი-აფუჩქროს განხილული საგნის მწვავე საკითხები. იგი არ ერიდება ავტორიტეტებს და ცდილობს მრავალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობითა და ლოგიკური მსჯელობით, რაც ესოდენ საჭიროა ნებისმიერი ისტორიკოსისათვის, თუკი ის ნამდვილად ისტორიკოსია, ობიექტურად, მისი გაგებით, რა თქმა უნდა, განხილოს დასმული საკითხები. სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია ავტორი ამ ფაქტობრივი მასალის მოშველიებისა და მისი განხილვა გაანალიზების დროს.

მეტსაც ვიტყვით, ზოგჯერ ზ. პაპასქირი ზედმეტად მკაცრიც კი არის თავისი ოპონენტების მიმართ, ალბათ, გამომდინარე იქიდან, რომ იგი, ვიტყოდით, გადაჭარბებულად თვითდაჯერებულია თავის სისწორეში მონიხალმდევე მხარესთან დავისას, მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში, ავტორის კამათი აკად. გიორგი მელიქიშვილთან, დაკავშირებული მის თვალსაზრისთან დავით კურაპალატის როლისა და ადგილის შესახებ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების საქმეში. არადა, ამ თვალსაზრისის გაუთვალისწინებლობა, როგორი ფაქტობრივი მასალაც არ უნდა მოვიტანოთ და მსჯელობაც არ უნდა გავშალოთ, ჯერ ჯერობით, ყოველშემთხვევაში, შეუძლებლად გვეჩვენება.

მაინც რა სიახლეებია ანდა განხილულ-გამეორებული გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში?

როგორც ზემოთ აღვნიშნა, ერთ-ერთი და მთავარი სიახლე ის არის, რომ პირველად ქართული ისტორიოგრაფიაში შეიქმნა მონოგრაფია, სადაც მრავალი საკითხია განხილული X ს-ის მეორე ნახევრისა და XI ს-ის 60-იან წლებამდე საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ბუნებრივია, ამით შეივსო ის ხარვეზი, რომელიც აქამდე არსებობდა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. თავისთავად ცხადია, ესეც ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

განხილულია X ს-ის დასასრულსა და XI ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის როლი და ადგილი განხილული ხანის საერთაშორისო ურთიერთობებში; ნაჩვენებია პოლიტიკურად გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ბრძოლა სა-

ერთაშორისო არენაზე თავის სუვერენულ უფლებათა მოპოვებისათვის, ახლად გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის გიორგი I-ის (1014-1027) ანტიბიზანტიური პოლიტიკა ანტიიმპერიული ძალების კონსოლიდაციისა და ორგანიზაციის საქმეში XI ს-ის 20-იანი წლების დასაწყისსა და მის შუა ხანებში; მხედველობაშია მისაღები ავტორის ახლებური მიდგომა გიორგი I-ის მეორე ცოლის ოვსთა მეფის ასულის აღდას მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რისი შედეგიც უნდა ყოფილიყო ოვსთა სამეფოს მონაწილეობა XI ს-ის 20-იანი წლების შუახანებისათვის კავკასიის ხალხთა ახალ ანტიბიზანტიურ კოალიციაში ქართველი მეფის გიორგი I-ის მეთაურობით.

გიორგი I-ის ანტიბიზანტიურ პოლიტიკასთან კავშირშია გაშუქებული XI ს-ის 20-30-იანი წლების საქართველოს საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, ბრძოლა ანტიბიზანტიურ და პრობიზანტიურ ძალებთან შორის საქართველოში, რომელიც თითქოსდა საბოლოოდ დასრულდა ბიზანტიის მომხრეთა დაჯგუფების გამარჯვებით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 25 თუ 29 წლის მეფის გიორგი I-ის დაღუპვით 1027 წელსა და მომდევნო წლებში საქართველოს პოლიტიკის შეცვლით ბიზანტიის იმპერიის მიმართ, თუმცა ეს ბრძოლა ანტიბიზანტიურ და პრობიზანტიურ ძალებთან შორის არც შემდგომში შეწყვეტილა და მან იმსხვერპლა, როგორც ჩანს, კიდევ ერთი ქართველი მოღვაწე – ამჯერად ბიზანტიური ორიენტაციის სუმბატ დავითის ძე.

დანვრილებით არის შესწავლილი XI ს-ის 30-50-იანი წლების საქართველოს საშინაო-პოლიტიკური კრიზისი, ბაგრატ IV-ის (1027-172) ბრძოლა ურჩი ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ და ამ კრიზისისა და ბრძოლის გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. მართალია ბაგრატ IV პერიოდულად მაინც აღწევდა გარკვეულ წარმატებებს დამოუკიდებელი საგარეო საქმეების გატარებაში, მაგრამ კლდეკარის ერისთავის განუწყვეტელი და მუდმივი ბრძოლა მეფის წინააღმდეგ საგრძნობლად უშლიდა ხელს საქართველოს ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა კონსტანტინოპოლის „მფარველობისაგან“ დასახსნელად, მოეპოვებინა სუვერენული უფლებები საერთაშორისო საქმეებში და გაეტარებინა ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებები.

ავტორის მართებული შენიშვნით, საქართველოს მიმართ თავისი გავლენის გატარებაზე ბიზანტია უარს ამბობს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ახლო აღმოსავლეთში გამოჩნდა ახალი მარბიელი ძალა თურქ-სელჩუკთა სახით. ბიზანტიის იმპერია იძულებული იყო ფაქტობრივად ეცნო საქართველოს სუვერენიტეტი, თუმცა იგი კვლავ განაგრძობდა მაღალი სამეფო ტიტულების მინიჭებას ქართველ მეფეთათვის, მაგრამ ეს ფაქტნიშნავდა არა იმდენად საქართველოზე ბიზანტიის ხელისუფალთა რეალურ უფლებათა გავრცელებას, რამდენადაც იგი მიუთითებდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა გაზრდილ ავტორიტეტზე მათ თვალში. ამიერ-

იდან ქართული სახელმწიფო გვევლინება ბიზანტიის თანასწორუფლებიან მოკავშირედ საერთაშორისო ურთიერთობებში.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას აგრეთვე ის ფაქტი, რომ მას თავის ნაშრომში გამოყენებული აქვს განხილულ საკითხებთან დაკავშირებული თითქმის ყველა გამოკვლევა, უახლესიც და წარსულისაც, ქართული და არაქართული წყარო.

მაგრამ ნაკლთაგან ზოგი რამ მაინც არის აღსანიშნავი. მაგალითად, სხვადასხვა ისტორიული ფაქტების გადმოცემისას მეტი სიზუსტეა საჭირო. ნიგნის მე-7 გვერდზე ავტორი წერს „არაბთა ხალიფატის დაშლა დაიწყო ჯერ კიდევ VIII ს-ის II ნახევრიდან“. ხალიფატის დაშლა დაიწყო არა VIII ს-ის მეორე ნახევრიდან, არამედ იმავე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, როცა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის გარეგნულად ბრწყინვალე მმართველობისას (786-809) ხალიფატს გამოეყო 789 წელს შორეულ აფრიკაში, მაროკოში, იდრისიანთა დინასტია, რომელიც პირველად ხალიფატის ისტორიაში შეეცადა დაენერგა შიიზმის დოქტრინები, თუმცა ძალზე შერბილებულ ფორმებში. მანამდე კი ხალიფათი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, რაც გამოწვეული იყო, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა მხარეში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებით, ხოლო, მეორე მხრივ, დაპყრობილ ქვეყნებში გამათავისუფლებელი ბრძოლების აზვირთებით, მაინც აღმავალი გზით მიდიოდა. 750 წელს ხალიფატში გაბატონებული ახალ აბასიანთა დინასტიას და მის მეორე ხალიფას ალ-მანსურს (754-775) ჯერ კიდევ შესწევდათ ძალა და უნარი გამკლავებოდნენ ამ აზვირთებულ გამათავისუფლებელ მოძრაობებს და მორჩილებაში ჰყოლოდათ დაპყრობილი ხალხები (მაგალითად, წანარ-კახთა მძლავრი აჯანყების ბედი საქართველოში 770-771 წლებში) და არ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ ცალკეული სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა IX-X საუკუნეების ხალიფატის სინამდვილეში (მაგალითად ბულა-თურქის ლაშქრობა საქართველოში 853 წელს, აბუ ალ-კასიმ იბნ ას-საჯისა 914 წელს).

შემდეგ. მეტი დამაჯერებლობა და საბუთიანობაა საჭირო ზოგიერთ ავტორთან ამა თუ იმ საკითხზე დავისას. კერძოდ, ზ. პაპასქირი არ გვეთანხმება 1014-1016 წლებში გიორგი I-ის მიერ თითქოსდა დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნების თაობაზე, რომელიც ჩვენ ეჭვქვეშ დავაყენეთ თავის დროზე.

როგორც ცნობილია, ქართველთა მიერ 1014-1016 წლებში ტაოს დაკავების შესახებ ცნობა მომდინარეობს იაჰია ანტიოქიელის ცნობაზე მითითებით აკად. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან „ქართველი ერის ისტორია“ (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 133-134), სადაც იგი მისთვის ჩვეული სიფრთხილით აღნიშნავს: „მაშასადამე, ეს (ანუ დავით კურაპალატის მიწა-წყლის დაბრუნება – ო.ც.) უნდა დაახლოებით

1014-1016 წ. მომხდარიყო“ (იქვე, გვ. 134). შემდგომში ეს აზრი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში და აცხადებდნენ, რომ 1014-1016 წლებში ქართველებმა ტაო დაიკავესო.

ამ ცნობის დამაჯერებლობის ერთადერთ საბუთად ის მოაქვთ, რომ 1014-1016 წლებში ბიზანტიის კეისარი ბასილი II (976-1025) დაკავებული იყო ბულგარელებთან ომით და აღმოსავლეთისათვის, ანუ საქართველოსათვის, მას არ ეცალაო და შეუძლებელია გიორგი I-ს მომენტი არ ესარგებლაო. კი მაგრამ, ბულგარეთში ომი გრძელდებოდა არა 1014-1016 წლებში, არამედ 1014-1018 წლებში. ამიტომ თუ იაჰია ანტიოქიელის ეს ცნობა მაინცდამაინც უნდა გავიზიაროთ, მაშინ რა დააშავა მომდევნო ორმა წელმა. იქნებ, ტაოს დაბრუნება მოხდა არა 1014-1016 წლებში, არამედ 1014-1018 წლებში?

ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, კომპრომისული აზრიც გვაქვს გამოთქმული ჩვენს სტატიაში „მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო „მაცნე“, 4 (43), თბ., 1968, გვ. 115-133), სადაც საკმაოდ მრავალი და ხელმისაწვდომი წყაროსა და სპეციალური ლიტერატურის მოშველიებით დაწვრილებით განვიხილეთ გიორგი I-ის საგარეო-პოლიტიკური კურსი და შევეცადეთ დაგვედგინა იმ კოალიციური ქვეყნების შემადგენლობა, რომელიც XI ს-ის 20-იანი წლების დასაწყისისათვის მზადდებოდა ბასილი II-ის წინააღმდეგ. აღნიშნული სტატიის ძირითადი ამოცანაც ეს იყო. სტატია, მართლაც, მრავალგზის არის მითითებული სარეცენზიო წიგნში, მაგრამ მასში არსად ჩანს ეს ამოცანა.

საერეცენზიო ნაშრომის ავტორის აზრით, თურმე ბასილი II-ს 1014-1016 წლებში უფრო უჭირდა, ვიდრე 1016-1018 წლებში, როცა მან გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია ბულგარეთის კამპანიაში (გვ. 105, შენიშვნ. II). საბუთი? არავითარი. გადამწყვეტ წარმატებებს ბიზანტიამ მაშინ მიაღწია, როდესაც მან საბოლოოდ და კარგა ხნით დაიმორჩილა თავისუფლებისმოყვარე ბულგარელი ხალხი (1018-1185).

რადგან სიტყვამ მოიტანა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ თავისი „საშური საქმის“ როგორმე დასამტკიცებლად ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი იმასაც წერს, რომ „ვფიქრობთ, უფრო აზრიანი იქნებოდა გიორგი I-ს ტაოს ციხეები დაეჭირა მანამ, სანამ ბასილი II იბრძოდა ბულგარეთში და საქართველოსათვის არ ეცალა, ე.ი. 1018 წლამდე და არა ბულგარეთის ომის წარმატებით დასრულების შემდეგ, როდესაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ბასილი გიორგის ამ ფაქტს უპასუხოდ არ დატოვებდა“ (იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. გვ. 176, შენიშვნა 2) მაშ ასე, ჩვენ ვამბობთ ერთს, წერენ კი მეორეს.

კიდევ მეტი. ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ თურმე ტაოს შემო-

ერთების პრობლემა 1014-1016 წლებში უფრო „საშური საქმე“ ყოფილა, ვიდრე ახლად ჩამოყალიბებული ქართული ფეოდალური მონარქიიდან გამოყოფილი კახეთ-ჰერეთის ხელახალი შემოერთება და მიუთითებენ, რომ 1021 წელს ჰერეთ-კახეთი გიორგი I-ის მოკავშირეებად გამოდიან... ჯერ ერთი, ჰერეთ-კახეთი 1021 წელს უნდა ყოფილიყო არა მოკავშირე, არამედ იგი შვიდი წლის მანძილზე კვლავ უნდა დაბრუნებულიყო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში. ამიტომ კახეთ-ჰერეთი ჩვენ არც შეგვიყვანია იმ მრავალრიცხოვან ნევრთა კოალიციაში, რომელიც გიორგი I-მა შეადგინა 1021 წლისათვის ბიზანტიასთან საბრძოლველად ტაოს დაბრუნების მიზნით. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა იგივე ქართული წყარო – სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი I-მა დასახმარებლად მოიხმო წანარნი და შაქნი და არა „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“, როგორც „მატიანე ქართლისას“ ავტორი ირწმუნება (იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 285, 383). სხვათა შორის, ამ ორი ქართველი ავტორის ორ განსხვავებულ ცნობასაც როგორღაც მოვლა-პატრონობა სჭირდება და არა მათი სურვილისადა მიხედვით, თვითნებურად მითითება. ამ შემთხვევაში ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ სუმბატ დავითის ძის ცნობას, ვინაიდან იგი გიორგი I-ის დროს მომხდარი ისტორიული მოვლენების „თვითმხილველი“ და „თანადამხვდურია“ წინააღმდეგ „მატიანე ქართლისას“ ავტორისა.

მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ არც ერთი სხვა წყარო, მათ შორის არც ქართული წყაროები, ამ ფაქტს არ აღნიშნავს. გაუგებარი რჩება, თუ რატომ არაფერს ამბობენ ამ მართლაცდა მნიშვნელოვანი, „საშური საქმის“ შესახებ არც სუმბატ დავითის ძე, გიორგი I-ის თანამედროვე, როგორი ორიენტაციისაც არ უნდა ყოფილიყო იგი – ბიზანტიური თუ ანტიბიზანტიურისა, რა არც „მატიანე ქართლისას“ ავტორი, ბაგრატ VI-ისა და გიორგი II-ის (1072-1089) თანამედროვე, მაშინ როცა მათ არ დავიწყებიათ არც ჰერეთ-კახეთის განდგომის ამბავი გიორგი I-ის ტახტზე ასვლისთანავე და არც 1021 წლის საომარი მოქმედებების აღწერა საქართველოსა და ბიზანტიას შორის გამართულ ომში, რომელიც როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი მეფის სასტიკი მარცხით დამთავრდა.

საერთოდ კი ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სანამ არ დაიძებნება დამატებითი ფაქტობრივი მასალა (ისიც გააჩნია, თუ რამდენად სარწმუნო იქნება იგი) და პასუხი არ გაეცემა დასმულ საკითხს, თუ რატომ სდუმან ქართველი მოღვაწენი სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისას“ ავტორი დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნების თაობაზე 1014-1016 წლებში, მანამ ჩვენ მუდამ ეჭვის ქვეშ დავაყენებთ იაჰია ანტიოქიელის ცნობას და ნებისმიერი სხვა მსჯელობა ვერაფრით

დაგვარწმუნებს საპირისპიროში.

პირადად ჩვენ არ გვეგულება მსოფლიო ისტორიაში პოლიტიკოსი, რომელსაც სახელში არეულობა ჰქონდეს, თავზე ჭერი ენგრეოდეს, თავისი ახლად ჩამოყალიბებული მონარქიის ნახევარი თუ არა მესამედი გამოჰყოფდეს და სხვა სახელმწიფოს თუნდაც კუთვნილი მიწების დასაბრუნებლად ეჭიდებოდეს, თანაც ისეთ სახელმწიფოს, როგორც ბასილი II-ის დროინდელი ბიზანტიის იმპერია იყო, მისი ზეობის დასასრულისათვის 1025 წელს გადაჭიმული დუნაიდან ევფრატის ნაპირებამდე.

„საშური საქმის“ მტკიცებაში სრულიად დაგვაზინყდა ეს გარემოება და ისიც, რომ ბასილი II სხვის ტერიტორიაზე აწარმოებდა ყაჩაღურ, დამპყრობლურ ომს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას თავისი იმპერიის ზურგი სრულიად მოეშიშვლებინა, მის გასამაგრებლად სათანადო წინასწარი ზომები არ მიეღო და ერთის დევნაში – ბულგარეთის დაპყრობის წადილში, დაახლოებით ერთნახევარი ათეული წლის წინათ მიტაცებული მიწა-წყალი დაეთმო.

ბოლოს და ბოლოს, თვით 1021 წლის ომი ბიზანტიასა და საქართველოს შორის ხომ ატყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბასილი II-მ ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნის ცდის ამბავი შეიტყო და მოვლენებს მოხდენილადაც დაასწრო, და არა მალევე ბულგარეთში წარმატებით დასრულებული ომის შემდეგ იმ მიზნით, რომ ტაო დაებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ ვისთვის და რისთვის იქნებოდა ეს ანტიბიზანტიური კოალიცია, სადაც თითოეულ წევრს, მათ შორის გიორგი I-საც, თავისი კერძო ინტერესებიც ამოძრავებდა.

და კიდევ ერთი უტყუარი ფაქტი. ბედკრულ ქართველ ერს იმდენად მდიდარი და გმირული წარსული, ისტორია აქვს რომ მას არც არაფრის მიმატება სჭირდება და არც, რა თქმა უნდა, გამოკლება. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტანჯული ისტორიული გზა მსოფლიოს დიდი თუ პატარა, მრავალრიცხოვანი თუ მცირერიცხოვანი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ათიოდე ხალხს ერთად აღებულს მაინც ეყოფოდა საამაყო.

დასასრულს, თავს ვალდებულად ვთვლით, როგორც ისტორიკოსი აღმოსავლეთმცოდნე, აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საჭიროა აღმოსავლურ სახელთა, ტერმინთა თუ სიტყვათა ქართული ფორმით წერა, რა თქმა უნდა „ორიგინალიდან გამომდინარე, მაგალითად, უნდა ვწეროთ „ხალიფატი“ კი არა, არამედ „ხალიფათი“, „ჯაფარიანები“ და არა „ჯაფარიდები“, „აბასიანები“ და არა „აბასიდები“, „ფატიმიანები“ და არა „ფატიმიდები“ და ა.შ.

როგორც ცნობილია, აღმოსავლურ სახელთა მართებულად წერის მხრივ თავის დროზე, ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრი გააკეთა ქართულმა ენციკლოპედიამ. არ შეიძლება „პრიორიტეტის შერყევა“, შეიძლება მისი

მოპოვება (გვ. 12). გრიაზნევიჩის სახელია «Петр» და არა „ნ“. ე. ა. ბელიაევის ნაშრომის სათაურია «Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье» და არა «Арабы и арабский халифат в раннее средневековье».

როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, სარეცენზიო ნაშრომი ფრიად სერიოზულ და შინაარსიან შთაბეჭდილებას ტოვებს და ამის ნათელი დადასტურებაც იყო მისი ავტორისათვის მაღალი სამეცნიერო ხარისხის ერთხმად მინიჭება.

ლობელ აღმოსავლეთში, ისე მთლიანად კავკასიაშიც, ე.ი. გვაჩვენა ფონი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებისა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების პირველ ეტაპზე. ამ ფონის გარკვევის შემდეგ დისერტანტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აშუქებს ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა: ბაგრატ III (975-1014), გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV (1027-1072), გიორგი II (1072-1089) საქმიანობას ქართული სახელმწიფოს სუვერენული უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის საერთაშორისო ასპარეზზე. ცხადია, დისერტანტის ყურადღების ცენტრშია ტაოს მეფის დავით III კურაპალატის პოლიტიკური საქმიანობაც და აგრეთვე საქართველოს შიგნით არსებული შინაპოლიტიკური ბრძოლის ზოგიერთი ეპიზოდიც, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის საკითხებთან და სხვ.

დისერტანტის ამოსავალი სწორია. ის მართებულად წერს, რომ XI. 70-იან წლებში მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ვერც ბიზანტია და ვერც არაბთა ხალიფათი ვერ ახერხებდნენ პოლიტიკური ჰეგემონის როლში გამოსვლას ამ რეგიონში. ხანგრძლივმა ურთიერთჭიდილმა აგრეთვე ორივე ქვეყანაში არსებულმა შინაპოლიტიკურმა გართულებებმა შეარყია მათი საგარეო-პოლიტიკური პოტენციალი. ხოლო XII. 70-80-იან წლებში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესა თურქ-სელჩუკთა გაძლიერებამ, მათმა აგრესიამ. ამ დროიდან საქართველოს მესვეურთა მთავარ ამოცანას თურქ-სელჩუკთა ბატონობის უფლიდან გამოსვლა წარმოადგენდა. ამიერიდან საგარეო-პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებაც სწორედ ამ ამოცანის შესრულებას დაუკავშირდა, რაც საბოლოოდ განხორციელებული იქნა XIII. პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებლის მიერ.

ზ. პაპასქირი კრიტიკულად ეკიდება წინამორბედ ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე, გამოთქვამს საკუთარს, ამჟღავნებს წყაროების ღრმა ცოდნასა და მათი კრიტიკული გამოყენების უნარს იჩენს. ერთი სიტყვით, ზურაბ პაპასქირი მაღალი პროფესიონალური დონის მკვლევარი ისტორიკოსია და მისი სადისერტაციო ნაშრომი უდავოდ მოწმობს იმას, რომ ავტორი იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ძიებულ სამეცნიერო ხარისხს.

სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით გამოვთქვამთ შემდეგ შენიშვნებს:

1. სადისერტაციო ნაშრომის პირველი ნაწილი მიზნად ისახავს ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო პოლიტიკური ფონის ჩვენებას. მაგრამ ამ ნაწილში უფრო მეტად ჭარბობს საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხების განხილვა ვიდრე საკუთრივ ამ „ფონის“ ჩვენება. ე.ი. ნაკლებადაა ლაპარაკი იმაზე თუ რას წარმოადგენდნენ საქართველოს მეზობელი ქვეყნები. ე.ი. ნაკლებადაა მსჯელობა იმაზე თუ როგორი იყო თვით ეს „ფონი“. ამის თაობაზე აღ-

ბათ საჭირო იყო უფრო მეტად სპეციალური ლიტერატურის გამოყენება, საკითხის ისტორიოგრაფიის ჩვენება.

2. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ზ. პაპასქირი მსჯელობს დავით კურაპალატის როლზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში და აკრიტიკებს გიორგი მელიქიშვილის შეხედულებას ბაგრატ III-ის აფხაზეთში გამეფებასთან დაკავშირებით მისი როლის თაობაზე ამ მნიშვნელოვან პროცესში. ჩვენი აზრით ამ ორი სახელმწიფო მოღვაწის როლების დაპირისპირება ესოდენ მნიშვნელოვან საერთო საქმეში ხელს უშლის რეალური ვითარების გარკვევას, ქვეყნარტად სწორი სურათის დადგენას. თვით საქმის ვითარება, ისტორიული ფაქტები ხომ იმას მონიშნობენ, რომ ბაგრატ III ამ დიდი მოვლენის უშუალო შემსრულებლის როლში მოგვევლინა, ხოლო დავით კურაპალატი ამ საქმის სულის ჩამდგმელისა და იდეური ხელმძღვანელის როლში. ერთი სიტყვით, ორივე მოღვაწე ერთ საქმეს ემსახურებოდა, ერთმანეთს ავსებდა.

3. ჩვენი აზრით საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობისას, კერძოდ, ამა თუ იმ შეთანხმების ან რომელიმე სახელმწიფო აქტის განხილვისას, სასურველი იყო, რომ დისერტანტს ემსჯელა ამ აქტის თუ ფაქტის იურიდიულ მხარეზეც, ე.ი. გაეაზრებინა მასალა იმ ხანის, ასე ვთქვათ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თვალსაზრისითაც.

4. ვფიქრობთ აუცილებელი იყო, რომ დისერტანტს ემსჯელა ამ ხანის უცხოურ წყაროებში წარმოდგენილი საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელ ტერმინებზეც, რადგანაც არსებული სპეციფიკა ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ სპეციალისტ ისტორიკოსსა და ფილოლოგს შორისაც კი გაუგებრობას იწვევს. დისერტანტს ხაზგასმით უნდა აღენიშნას ის გარემოება, რომ გამოთქმა „აფხაზთა მეფე“ ქართველ მეფეს გულისხმობდა და რომ ბიზანტიურ წყაროებში ნახსენები ტერმინები „აბაზგია“ და „აბაზგები“ უმეტესად დასავლეთ საქართველოსა და ქართველებს ნიშნავდა. ყოველივე ამის ჩვენება პირველ რიგში სწორედ რუსულ ტექსტში იყო საჭირო. ჩვენ ამას განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს, რადგანაც აღნიშნული სპეციფიკა უცნობია არა მხოლოდ საერთოდ რუს მკითხველთათვის, არამედ პროფესიონალ ისტორიკოსებისათვისაც. სწორედ ამის ნიადაგზე ჩვენ ხშირად გვხვდება ბევრი სამწუხარო გაუგებრობა მაგალითების მოტანა ბევრი შეგვიძლია. მაგრამ არ გადავვივითავ სამეცნიერო საბჭოს ყურადღებას. დღეს აღვნიშნავ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც სადისერტაციო ნაშრომთან უთუოდ კავშირში არის. 1965წ. მოსკოვში გამომცემლობა «*Наука*»-მ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ანა კომენის ცნობილი „*ალექსიადა*“. თარგმანი, შესავალი და კომენტარები ი. ნ. ლუბარსკის ეკუთვნის. და აი ამ სოლიდური პუბლიკაციის შესავალში ბიზანტიის ცნობილი დედოფალი მარიამი, რომელიც ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის ასული იყო, რამდენჯერმე რატომღაც „მარიამ ალანელად“... არის

წოდებული. ჩვენი დისერტანტი ამ „ალექსიადასაც“ უთითებს, მარიამ დედოფლის საქმიანობაზეც მსჯელობს, მაგრამ აღნიშნულ უზუსტობაზე არაფერს ამბობს, მას განზე ტოვებს.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი შენიშვნები სრულებით არ ამცირებენ ზ. პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობას. მაგრამ მათი გათვალისწინება, ალბათ საჭირო იქნება დისერტანტის შემდგომ მუშაობაში. მით უმეტეს, რომ ამის თაობაზე თვითონ ავტორმა უკვე წერილობითი განაცხადიც მოგვცა, როდესაც სტამბური წესით ერთ-ერთ გამოცემულ ნაშრომს, რომელიც კონკრეტულად XI საუკუნის 60-80-იანი წლების საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გაშუქებას ეხება, დიდი სათაური მისცა.

მაღალი დონე, აგრეთვე გამოყენებული, როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურის მრავალფეროვნება.

ზ. პაპასქირის ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ ითვლება ისტორიოგრაფიაში პირველად მონოგრაფიული შესწავლა საქართველოს საგარეო ვითარებისა როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინა პერიოდში, ასევე პირველ ხანებში. ნაშრომში ახლებურადაა განხილული ან ზოგ შემთხვევაში პირველადაა წარმოქმნილი ისეთი პრობლემები, როგორიცაა: 1) ერთიანი ქართული მონარქიის ჩამოყალიბების საგარეო-პოლიტიკური პირობები X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. (დისერტანტის მიერ მართებულადაა შეფასებული დავით კურაპალატის საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის როლი); 2) საერთაშორისო ასპარეზზე გიორგი I-ის ბრძოლა საგარეო პოლიტიკური სუვერენიტეტის მოსაპოვებლად; 3) ბაგრატ IV-ის დროს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ლიპარიტ ბაღვაშის ბრძოლის შედეგად სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის გამწვავება და მისი უარყოფითი შედეგები საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე; 4) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება მახლობელ აღმოსავლეთში საგარეო პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით XI საუკუნის 60-80-იან წლებში, რასაც ხელი შეუწყო სელჩუკთა თავდასხმებმა.

გარდა ზემოთაღნიშნული კარდინალური პრობლემებისა სადისერტაციო ნაშრომში დაზუსტებულია მთელი რიგი კონკრეტული საკითხებისა X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან. ხოლო რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის აგებულებას, მასში სამი ძირითადი საკითხია განხილული: 1) საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის საგარეო პოლიტიკური ფონი; 2) საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ბრძოლა ნაციონალური სუვერენიტეტის მოსაპოვებლად XI საუკუნის 20-50-იან წლებში; 3) საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება XI ს. 60-80-იან წლებში.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის საგარეო პოლიტიკური ფონის დახასიათებისას დისერტანტი სავსებით სამართლიანად უპირველეს ყოვლისა იხილავს საერთო პოლიტიკურ სიტუაციას ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში X ს. II ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისში. არანაკლებ ყურადღებას აქცევს ზურაბ პაპასქირი იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ X საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველოში უკვე აშკარად გამოიკვეთა და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა გაერთიანების პროცესები, ბიზანტიის იმპერია საკმაოდ მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში იმყოფებოდა. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს და სავსებით გასაზიარებლად მიგვაჩნია საქართველოს ფეოდალურ მონარქიად გაერთიანების პროცესსა და საერთოდ ბიზანტიასთან ურთიერთობის პოლიტიკის განხორციელებაში დავით კურაპალატის როლის ახლებური შეფასება და დღემდე ქართულ ისტორი-

ოგრაფიაში მისი მოღვაწეობის შესახებ გაბატონებულ აზრთა კრიტიკა, რასაც გვთავაზობს ზურაბ პაპასქირი. აღნიშნულ საკითხებთან ერთად დისერტანტი დაწვრილებით და ახლებურად განიხილავს გარე სამყაროსთან ქართული სამეფოს ურთიერთობის ზოგიერთ საკვანძო საკითხს და ნათლად გვიჩვენებს მთელი კავკასიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორად წარმართვაში საქართველოს მარეგულირებელ როლს. ზურაბ პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომის II ნაწილში განხილულია ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში ნაციონალური სუვერენიტეტის მოპოვებისათვის XI საუკუნის 20-50-იან წლებში. აქ დისერტანტის მიერ ქართულ, სომხურ, არაბულ და ბიზანტიურ წყაროთა დაწვრილებითი შესწავლის საფუძველზე განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი და ახლებურად შეფასებული გიორგი I-ის საშინაო და საგარეო მოღვაწეობა, ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან, მის მიერ ფართო მასშტაბური ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა. ზემოაღნიშნულ ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მიერ გამოთქმული XI საუკუნის 20-30-იანი წლების პოლიტიკურ ამბებთან XI საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის მოღვაწეობის უშუალო კავშირის შესახებ, რაც მას საშუალებას აძლევს იმსჯელოს სუმბატის პრობიზანტიურ ორიენტაციაზე.

ზ. პაპასქირის მიერ ნათლად არის ნაჩვენები XI საუკუნის 30-40-იან წლებში საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება როგორც ბიზანტიასთან, ასევე სომხეთთან ურთიერთობის ფონზე, მრავალი საყურადღებო მთავარი თუ კონკრეტული საკითხია მის მიერ დაზუსტებული, ახლებურად გაშუქებული და სამეცნიერო ლიტერატურაში (როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვან) გამოთქმული ბევრი შეხედულების სავსებით სამართლიანი, დამაჯერებელი კრიტიკაა მოცემული.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ნაწილში ასევე საფუძვლიანადაა შესწავლილი და რიგ შემთხვევებში ახლებურადაა გააზრებული საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება XI ს. 60-80-იან წლებში. აღნიშნულ ნაწილში უპირველეს ყოვლისა განხილულია სელჩუკთა თავდასხმებში და საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება XI ს. 60-იან წლებში. ზემოაღნიშნულ საკითხთა განხილვისას ხაზი ესმება ქართული სამეფოს ადგილსა და როლს კავკასიაში ანტისელჩუკური მოძრაობის ორგანიზაციაში. საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ XI ს. 60-80-იან წლებში ქართველ მეფეთა მაღალი ბიზანტიური ტიტულები გამოხატავდნენ მათ დიდ ავტორიტეტს იმპერიის მმართველი წრეების თვალში და აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს აღიზიანებს სუვერენულ და ბიზანტიის თანასწორუფლებიან მოკავშირედ.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ნაწილში აღწერილია საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარების საკმაოდ გაუარესება XI საუკუნის 70-იანი წლებიდან, კერძოდ კი 1071 წელს მანაზკერტთან ალფ-არსლა-

ნის გამარჯვებისა და მახლობელ აღმოსავლეთში სელჩუკთა ბატონობის საბოლოოდ დამყარების შემდეგ.

როგორც სამართლიანად შენიშნავს დისერტანტი, აღნიშნულმა გარემოებამ სავსებით შეცვალა საქართველოს საგარეო ვითარება, საგრძნობლად დასცა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამიერიდან საქართველო ქრისტიანულ სამყაროდან იზოლირებულ გარემოში აღმოჩნდა და მართო აწარმოებდა ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. „დიდი თურქობის“ დამყარებამ საქართველო სელჩუკთა სულტნისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანად გადააქცია. ამჟამად საქართველოს მთავრობის ძირითად ამოცანას თურქ-სელჩუკთა ბატონობის უღლიდან თავის დაღწევა წარმოადგენდა, რომელსაც საგარეო-პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვება დაუკავშირდა. იგი საბოლოოდ განხორციელდა დავით აღმაშენებლის დროს XII საუკუნის I მეოთხედში.

ასეთია მოკლედ იმ საკითხთა წრე, რომლებიც საკმაოდ ვრცლად და ძირითადად დამაჯერებლად აქვს გამოკვლეული ზურაბ პაპასქირს თავის სადისერტაციო ნაშრომში. მას ბოლოში ერთვის დასკვნები, სადაც ერთხელ კიდევ ხაზგასმულია დისერტანტის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები ის სიახლე, რითაც გამდიდრდა ქართული ისტორიოგრაფია.

ზურაბ პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომი „*შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70 – XI ს. 80-იანი წლები)*“ მეტყველებს მის უაღრეს განსწავლულობაზე, ერუდიტობაზე, ღრმა კვლევის უნარსა და ფართო განათლებაზე. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მაღალპროფესიულ დონეზეა შესრულებული. ავტორი თავისუფლად და უხვად იყენებს მრავალფეროვან პირველწყაროებს, მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას. კვალიფიციური ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის უნარი დისერტანტის დასკვნებს საკმაოდ დამაჯერებლობას ანიჭებს. იგი ზედმიწევნით იცნობს ქართულ მწერლობასა და აუცილებელ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელზედაც დაყრდნობით მრავალი საყურადღებო დასკვნაა მიღებული.

ზურაბ პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის საკითხებზე მომუშავე ყველა მკვლევარს.

ზემოთქმულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ზ. პაპასქირი უდავოდ იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. ამიტომ ვშუამდგომლობთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებული საბჭოს წინაშე, რათა ზ. პაპასქირს მიენიჭოს ძიებული სამეცნიერო ხარისხი.

ყველაფერი ეს ზ. პაპასქირმა შესძლო საკუთარი მაღალი მეცნიერული ნიჭისა და არსებითად პირველწყაროთა თუ პრობლემის შესახებ არსებული ლიტერატურის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

ეჭვი არ არის, რომ ზ. პაპასქირმა სავსებით დაიმსახურა, მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

10.II.1993.

კონცეფცია განხილულ პერიოდში საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულების შესახებ. ყველა დებულება სათანადოდ დასაბუთებულია, სამეცნიერო ლიტერატურას იყენებს კრიტიკული მიდგომით, აწარმოებს წყაროთმცოდნეობით გამოკვლევასაც და მიღებული აქვს გარკვეული დასკვნები. ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და მიღებულია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის უმნიშვნელოვანესი დასკვნები.

დისერტაციის დაცვის მასალების გაცნობამ დამარწმუნა, რომ:

1. დაცვა ჩატარებულია მაშინ მოქმედი წესების სრული დაცვით.
2. რეცენზენტები (ოფიციალური ოპონენტები და კამათში მონაწილენი) ერთხმად აღნიშნავენ ნარმოდგენილი სადისერტაციო შრომის მაღალ მეცნიერულ დონეს და შუამდგომლობდნენ რათა ზ. ვ. პაპასქირს მიენიჭოს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.
3. სამეცნიერო საბჭომ ფარული კენჭისყრით ერთხმად მიანიჭა ძიებული ხარისხი.

აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ ვთვლით, რომ შესაძლებელია ჩვენმა სპეციალიზირებულმა საბჭომ დაამტკიცოს წინა საბჭოს მიერ ზ. ვ. პაპასქირისადმი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

რედაქციის მინაწერი:

აქ ნარმოდგენილი აკად. **დავით მუსხელიშვილისა** და პროფ. **ნოდარ ასათიანის** დასკვნები ზურაბ პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომზე ნარედგინა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოს 1993 წლის დამდეგს. ამ დასკვნების საფუძველზე ახლადშექმნილმა საბჭომ (პირველმა სადისერტაციო საბჭომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ) ოფიციალურად დაამტკიცა ჯერ კიდევ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში არსებული და საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიისადმი (BAK) დაქვემდებარებული თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ 1991წ. 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება ზურაბ პაპასქირისათვის ისტორიის მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების თაობაზე.

მთელი ამ პროცედურის ჩატარება გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: ბატონმა ზურაბმა, რომელმაც დისერტაცია საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ დადგენილი წესების სრული შესაბამისობით დაიცვა და ამზადებდა კიდევ დოკუმენტაციას მოსკოვში – «BAK»-ში გასაგზავნად (სადაც იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ და ამას სათანადო დიპლომით ადასტურებდნენ), 1991 წლის 19 აგვისტოს პუტჩის შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით (მიუხედავად სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, აკად. **მარიამ ლორთქიფანიძის** დაჟინე-

ბული მოთხოვნისა) პრინციპულად უარი თქვა დაშლის პირას მყოფი იმპერიის საატესტაციო კომისიაში სადისერტაციო მასალების გაგზავნაზე.

შეიქმნა ჩიხური სიტუაცია, რომელიც ერთგვარად განმუხტა უნივერსიტეტის რექტორმა, აკად. **როინ მეტრეველმა**. 1991 წ. 27 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიასთვის** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში “Honoris Causa”-ს წესით (რომელსაც, სხვათა შორის, არ სცნობდა საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისია) ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების (1991 წ. 26 ნოემბერს) ფონზე, რექტორმა გამოსცა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა და აღიარებდა თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ 1991 წ. 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. თუმცა პრობლემა ამით არ გადაწყდა.

1992 წლის გაზაფხულზე, უკვე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა საქართველოს ისტორიის დარგში ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნის საკითხი. გაჩნდა აზრი ამ საბჭოში ბ-ნი ზურაბის, როგორც ავტორიტეტული მეცნიერისა და, ამასთან, თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის შეყვანის თაობაზე. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მას ოფიციალურად არ ჰქონდა მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (ბუნებრივია, «BAK»-ის მიერ გაცემული). ქ-ნმა მარიამმა კვლავ თხოვა ბატონ ზურაბს გაეგზავნა მასალები მოსკოვში და თითქოს დაითანხმა კიდეც ის, მაგრამ ეს მაინც არ მოხდა.

აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა უნივერსიტეტის რექტორის, ბ-ნ როინ მეტრეველის პოზიციამ. მან შესთავაზა ახლადშექმნილ საბჭოს, თვითონვე მოეხდინა ერთგვარი „ნოსტრიფიკაცია“ იმავე უნივერსიტეტის ადრინდელი სადისერტაციო საბჭოს მიერ 1991 წ. 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების. ამ მიზნით საბჭოს წევრებიდან გამოიყო ორი ექსპერტი: აკად. დ. მუსხელიშვილი და პროფ. ნ. ასათიანი, რომლებსაც უნდა წარმოედგინათ დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად დასაბუთებული იყო თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ 1991 წ. 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება. ამ დასკვნების საფუძველზე ზ. პაპასქირს ოფიციალურად დაუდასტურეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და შეიყვანეს ის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში. საინტერესოა, რომ ყოველივე ეს ხდებოდა თვით ზ. პაპასქირის მონაწილეობის გარეშე, რომელიც ამ დროს, როგორც ცნობილია, აფხაზეთში ფრონტის წინა ხაზზე იდგა და იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ერთიანობას.

მოგვიანებით, უკვე 1994 წლის დამდეგს, როდესაც ბ-ნმა ზურაბმა 100 დღიანი პატიმრობის შემდეგ სამშვიდობოს გამოაღწია, მას გადაეცა საქართველოს ექსპერტთა საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიპლომი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პირველი დიპლომი, გაცემული საქართველოს ექსპერტთა საბჭოს მიერ.

სეპარატისტთა ტყვეობაში ნამყოფი და განთავისუფლებული, ჩემი ყოფილი სტუდენტი და ისტორიკოსი ზურაბ პაპასქირი! და ამ დავითაშვილმა თავის ოჯახში შემახვედრა იგი.

აი, ამ დროიდან დაიწყო ჩემსა და ზურაბს შორის უკვე სულ სხვა ურთიერთობა, ან როგორ უნდა ვყოფილიყავი მე მის მიმართ ძველებურად ინდიფერენტულად განწყობილი? **ის ხომ გმირი იყო!** დიახ, ქემმარიტი გმირი, რომელიც უყოყმანოდ შეუერთდა ეროვნული თავისთავადობის, შემბლალავი, მშობლიური ქვეყნის გამთიშავ ძალათა წინააღმდეგ ბრძოლას, ხელთ აიღო იარაღი და თავგამოდებით იბრძოდა წინა ხაზზე, ტყვედაც ჩავარდა, მაგრამ ამასაც გაუძლო და ამჟამად სამშობლოს დაუბრუნდა ვალმოხდილი და ღირსებაშეუღახველი. ასეთად წარმომიდგა იგი მაშინ, **ამირან დავითაშვილის** სუფრაზე. ასეთისა დავლიე მე მაშინ მისი სადღეგრძელო საგანგებო თასით და ასეთად რჩება იგი ჩემთვის დღემდე.

ზ. პაპასქირისა და ჩემი დაახლოების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საფუძველი გახდა ისიც, რომ იმ პერიოდში მე ძალზე აქტიურად ვმუშაობდი აფხაზეთის უძველესი ისტორიის პრობლემებზე და ამ მხრივ ჩვენი მეცნიერული ინტერესების დაახლოვებაც მოხდა. მით უფრო, რომ ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ჩვენი შეხედულებები აფხაზთა უძველეს ისტორიაზე, კერძოდ ეთნო-ისტორიულ პრობლემებზე ერთმანეთს ემთხვევა.

მოკლედ აღვნიშნავ, რომ მე იმთავითვე საკმაოდ იზოლირებული შეხედულება გამომიმუშავდა აფხაზეთის ეთნოგენეზის შესახებ, რომელიც კარდინალურად ეწინააღმდეგებოდა XX ს. 50-იანი წლების შუა ხანებში ცნობილი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას მიერ ძალზე გახმაურებულ კონცეფციას ამ პრობლემაზე. პ. ინგოროყვამ თავის ნიგნში „გიორგი მერჩულე“¹ წამოაყენა დებულება რომ თანამედროვე აფხაზეთის წინაპრები (ე.წ. „აფსუები“) მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოსახლდნენ შავიზღვისპირეთის იმ ნაწილში, სადაც ისტორიული აფხაზეთი მდებარეობდა. ხოლო ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული აფსილები და აბაზგები რომლებსაც აქამდე აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევდნენ, ქართველური ტომები იყვნენ.

ამ შეხედულებას ჰყავდა მომხრეები, თუმცა არც მონინააღმდეგეები აკლდა; რაც მთავარია, ამ ნიგნის გამოსვლამ გამოიწვია აფხაზ მეცნიერთა მკვეთრი წინააღმდეგობა. და, აი იმ მკვლევართა შორის, ვინც ამ თეორიას არ იზიარებდა, იმთავითვე ყველაზე აქტიური აღმოვჩნდი მე. ამან კი გამოიწვია ჩემს წინააღმდეგ განსაკუთრებით მძაფრი ამხედრება აფხაზეთში მოღვაწე (და შემდეგ იქიდან იძულებით გადაადგილებული) ისტორიკოსებისა, რომელნიც მე ამკარად ანტიქართულ (ხშირად მოლათურ) ქმედებებშიაც კი მადანაშაულებდნენ. მე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი და ჩემი შეხედულების შემდგომ კვლევა-დასაბუთებას ვაგრძელებდი. და აი, 1996 თუ 1997 წელს ჩემმა მეგობარმა ო. ჭურღულიამ

¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. მწერალი X საუკუნისა. თბ., 1954.

მითხრა: „შენ იცი, რომ შენს შეხედულებას აფხაზების შესახებ მთლიანად იზიარებს ზ. პაპასქირი?“. ხოლო 1998წ. ცნობილმა მოღვაწეებმა გ. ჟორჯოლიანმა და ედ. ხოშტარია-ბროსემ წასაკითხად მომცეს ზ. პაპასქირის შრომის ხელნაწერი სათაურით: «*Территория Абхазии в XI-XVвв.*»,¹ რომელიც მზადდებოდა დიდ კრებულში გამოსაქვეყნებლად. ეს კრებული – «*Разыскания по истории Абхазии/Грузия*»,² შეიცავდა 20 თანაავტორის – ცნობილი ისტორიკოსების, არქეოლოგების ეთნოგრაფების, ლინგვისტების, ანთროპოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების გამოკვლევებს აფხაზეთის ისტორიის სხვადასხვა ასპექტების შესახებ და ამათ შორის იყო ზ. პაპასქირი. მე მაშინ პირველად მთელი სისრულით გავიაზრე, რა მრავალმხრივ მეცნიერთან მქონდა საქმე.

საქართველოს ისტორია XI-XV საუკუნეებში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ამჯერად ზ. პაპასქირმა მთელი სისრულით, ყველა არსებულ წყაროთა გამოყენებით და სამეცნიერო ლიტერატურის ამომწურავი ანალიზის საფუძველზე აჩვენა, რას წარმოადგენდა აფხაზეთის რეგიონი ამ მეტად ხანგრძლივი და რთული პერიოდის მანძილზე, როგორ იცვლებოდა მისი ეთნოპოლიტიკური სახე, მისი სტატუსი საქართველოს გაერთიანების პროცესში, შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, შემდეგ საგარეო გართულებებისა და ერთიანი სახელმწიფოს დაშლისა და დაქუცმაცების საწყის ეტაპზე. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ზ. პაპასქირის ეს ნაშრომი არა მარტო კონკრეტულად აფხაზეთის, არამედ საერთოდ საქართველოს ისტორიის აღნიშნული ეპოქის მეცნიერული წარმოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ამის მერე ზ. პაპასქირმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა. ძალიან ღირებულია მისი მოღვაწეობა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარისა და ამ ორგანიზაციის „საისტორიო ძიებანი“³ მთავარი რედაქტორისა. ამაზე ძალზე ბევრი დადებითი თქმა შეიძლება, მაგრამ მე მინდა განსაკუთრებით გამოვყო მისი ორტომეული – „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“,⁴ რომელიც მან შემდეგ რუსულ ენაზე ერთ ტომად გამოაქ-

¹ **З. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XVвв., – კრებ.: *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Под редакцией **Г. Жоржوليани** и **Э. Хоштария-Броссе**. Тб., 1999, გვ. 177-204.

² *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Под редакцией **Г. Жоржوليани** и **Э. Хоштария-Броссе**. Тб., 1999.

³ *საისტორიო ძიებანი*. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწადური, – ელექტრონული ვერსიები იხ.: <http://sites.google.com/site/saistoriodziebani/journals>.

⁴ **ზ. პაპასქირი.** *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან*. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004; **ზ. პაპასქირი.** *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან*. ნაკვ. II. *1917-1993*. თბ., 2007.

ვეყნა: «Абхазия. История без фальсификации».¹ ამ უნიკალურ ნაშრომში ავტორს მისთვის ჩვეული სისრულით, მიუკერძოებლობით, უმტკიცესი მეცნიერული არგუმენტაციით აქვს გადმოცემული აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან 1993 წლამდე. მას, ჩემი ღრმა რწმენით, უმაღლეს დონეზე აქვს განხილული და შეფასებული აფხაზეთის ისტორიის ყველა პერიოდი, ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა და ფაქტი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ისტორიოგრაფიაში სადავო პრობლემას, ზ. პაპასქირი ყოველთვის ახერხებს ყველაზე დამაჯერებელი პასუხის მოძებნას და კვლევის სწორი გზით წარმართვას. ეს ნაშრომი არ შეიძლება შეედაროს არც ერთ განმაზოგადებელ ნაშრომს, რომელიც კი აფხაზეთის ისტორიაზე დღემდე არის გამოსული.

უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი კრებული („და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“),² რომელიც ზ. პაპასქირის ადრე გამოცემულ ნაშრომთა კრებულია და კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის მრავალმხრივ ინტერესებს კვლევის უნარს. ამ კრებულს ყურადღება მივაქციე იმის გამო, რომ მასში გამოჩნდა ავტორის კიდევ ერთი, ადამიანურ-მოქალაქეობრივი თვისება: უდიდესი პატივისცემა და მადლიერების გრძნობა თავისი მასწავლებლებისადმი (შ. მესხია, ზ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, ედ. ხოშტარია-ბროსე) და იმ კოლეგებისა და მეგობრებისადმი, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან – მურმან ბერია, ბახვა გამყრელიძე, ვლადიმერ ქარჩავა. აქ კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ ზ. პაპასქირი გარდა იმისა, რომ არის გამოჩენილი მეცნიერი ისტორიკოსი, ამასთან დაჯილდოებულია შესანიშნავი ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსებებით.

წინამდებარე კრებული ზ. პაპასქირს ეძღვნება და მასში ქვეყნდება როგორც უშუალოდ მისდამი მიძღვნილი წერილები, ისე მეცნიერების სხვა საკითხების შემცველი სტატიები. პირველი რიგის თემატიკაში მე ჩემი წვლილი ასე თუ ისე შევიტანე, მაგრამ შესაძლებლად ჩავთვალე დამემატებინა იმ პრობლემის შემცველი მოკლე პასაჟი, რომელიც მე და ზურაბს სამეცნიერო სარბიელზე განსაკუთრებით გვაახლოვებს, კერძოდ მე აღვნიშნე, რომ ჩვენი შეხედულებები აფხაზეთის ეთნოისტორიულ პრობლემებზე ერთმანეთს ემთხვევა.

მე მოკლედ ისიც აღვნიშნე, რომ ჩემი კონცეფცია ამ თემაზე კარდინალურად განსხვავდება პ. ინგოროყვას გახმაურებული შეხედულები-საგან. არსებული პირველწყაროების დედნებში (ბერძნულ-ლათინურად) დანვრილებითმა ანალიზმა და ყველა სხვა მონაცემთა (არქეოლოგიურ, ლინგვისტურ, ანთროპოლოგიურ) გათვალისწინებამ ჩემთვის ცხადი გა-

¹ **З. В. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Тб., 2009; **З. В. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010.

² **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009.

ხადა, რომ პ. ინგოროყვას შეხედულება, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ვიდრე XVII-XVIII საუკუნეებამდე მხოლოდ ქართული ტომები სახლობდნენ, მცდარია და ანტიკურ წყაროებში ამ ტერიტორიაზე დასახელებული აფსილები და აბაზგები უდავოდ ადიღურ-აფხაზური ტომებია. ამ ჩემს პოზიციას იმთავითვე მომხრეებიც გამოუჩნდნენ, მაგრამ ჩვენს ისტორიკოსთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ჩემი ეს შეხედულება ანტიქართულ ქმედებად მონათლა.

ყველაზე გადაჭრით და უკომპრომისოდ დაუჭირა მხარი ჩემს ამ კონცეფციას სწორედ ზ. პაპასქირმა, თავიდან განიხილა, რა ყველა არსებული პირველწყარო და სამეცნიერო ლიტერატურა, მან უარყო პ. ინგოროყვას შეხედულება, წარუმატებლად ჩათვალა ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილის მცდელობა ამ თვალსაზრისის რეანიმირებისა და გადაჭრით დაასკვნა, რომ აფსილები და აბაზგები თანამედროვე აფხაზ-აფსუათა უშუალო წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ.¹

მე ზევით ისიც აღვნიშნე, რომ პ. ინგოროყვას შეხედულებამ განსაკუთრებით მკვეთრი შეფასება მიიღო აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან და თითქოს სრულიად ლოგიკური იქნებოდა, რომ მათ ჩემი შეხედულება და პოზიცია მოსწონებოდათ და მათ ჩემთვის დაეჭირათ მხარი. მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო და თითქოს გაუგებარი რამ: ჩემმა შეხედულებამ, რომელსაც ასე იწუნებდნენ ზოგიერთი ქართველ ისტორიკოსთაგან (ჯ. გამახარია და სხვანი), მიიღო მძაფრი უარყოფითი შეფასება სწორედ აფხაზ სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა მხრიდან (შ. ინალ-იფა, ჯ. ჰიუიტი, ი. ვორონოვი...).

ცოტა ხნის წინ ზურაბ ანჩაბაძის ვაჟმა გია ანჩაბაძემ მომანოდა მცირე ზომის ბროშურა, რომელიც შეიცავს ქართველ არასამთავრობო ორგანიზაციათა აფხაზ სეპარატისტებთან შეხვედრების და მათ შორის საერთო ენის გამონახვის მცდელობების 1999 წელს ორგანიზებულ დიალოგების სტენოგრაფიულ ანგარიშებს.² და აი, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ქ. სოხუმში ვინმე სლავა ბგანბა მიმართავს გ. ანჩაბაძეს: *«Вы говорили о Нодаре Ломоури, о том что он прогрессивный ученый. Но он написал самую страшную книгу.³ Его книга была прелюдией гальских событий. Ломоури страшнее чем Гамахария. Влияние на общество таких историков, как Ломоури к сожалению сильнее, чем влияние вашей организации».*⁴

¹ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*, გვ. 24-31.

² *Аспекты грузино-абхазского конфликта.* №3: Стенограммы грузино-абхазских встреч и телепередач по абхазской проблеме (декабрь, 1999). Ирвайн (Калифорния), 2000. გვ. 53-99, – ელექტრ. ვერსია: http://www.apsnyteka.org/k/aspekti_gruzino-abhazskogo_konflikta_vipusk_3_/index.html.

³ მხედველობაში აქვთ ჩემი წიგნი: **Н. Ю. Ломоури.** Абхазия в античную и раннесредневековую эпоху. Тб., 1997.

⁴ *Аспекты грузино-абхазского конфликта*, გვ. 81-82. – ელექტრ. ვერსია: <http://>

რამ გამოიწვია აფხაზ სეპარატისტთა ასეთი მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება ჩემდამი? მე ხომ თითქოს იმას ვამტკიცებ, რომ აფხილები და აბაზგები თანამედროვე აფხაზთა წინაპრები იყვნენ და ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. I საუკუნიდან – თუ უფრო ადრიდან არა – უკვე ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ.

საქმე ისაა, რომ მე – კი ამას ვაღიარებ, მაგრამ ამავე დროს ვამტკიცებ, რომ აფხილ-აბაზგებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეკავათ მცირე მონაკვეთი მდ. ლალიძგიდან ვიდრე აწინდელ სოხუმამდე. სოხუმიდან ვიდრე შახემდე სახლობდა სანიგების ტომი, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე მეგრულ-ჭანური (ან ჭანურ-სვანური) მოდგმისა იყო. აქვე მთიან ზოლში წყაროები მიუთითებენ კოლებს, სუანო-კოლხებს, კოდორის ხეობაში მისიმიანების სვანურ ეთნოსს. ეს ყველაფერი მე მაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხურ-სვანურ ეთნოსს ეკავა წამყვანი როლი, რაც იმით დასტურდება, რომ ბრინჯაოს, ადრერკინის და ანტიკურ ხანებში აქ გავრცელებულ-დამკვიდრებულია ისეთივე მატერიალური კულტურა, როგორც დანარჩენ კოლხეთ-ეგრისში.

ამ კონცეფციას მთლიანად იზიარებს ზ. პაპასქირი. თავისი „ნარკვევების...“ I-II თავებში იგი დაწვრილებით განიხილავს აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიულ სურათს უძველესი დროიდან ვიდრე VIII საუკუნემდე, ანალიზებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებებს – არქეოლოგების, ლინგვისტების, ისტორიკოსების და მიდის საბოლოო დასკვნამდე, რომ მკვლევართა უმრავლესობის აზრით რომელთაც იგი მთლიანად უჭერს მხარს, აფხაზთა წინაპარ აფხილებსა და აბაზგებს ეკავათ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (დაახლ. მდ. ლალიძგიდან მდ. კელასურამდე), რეგიონის ძირითად მოსახლეობას კი უდავოდ ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ტომები – ლაზები, სანიგები, მისიმიანები შეადგენენ.¹

სრულიად ბუნებრივია, რომ ლომოური-პაპასქირის ასეთი კატეგორიული მტკიცება სრულიად მიუღებელია აფხაზი სეპარატისტების შ. იანლ-იფას, ჯ. ჰიუიტის, მ. გუნბას, და მათ მსგავსთათვის, ხოლო დღეს, როცა გამოვიდა ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას სახელმძღვანელო აფხაზური საშუალო სკოლებისათვის,² სადაც აფხაზთა წინაპრების შავი ზღ-

www.apsnyteka.org/k/aspekti_gruzino-abhazskogo_konflikta_vipusk_3_/index.html.

¹ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ.10-36.

² О. Х. Бражба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времён до наших дней. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум, 2006, გვ. 3-73; ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას „სახელმძღვანელოს“ ამომწურავი კრიტიკა იხ.: ზ. პაპასქირი. ცრუ ისტორია. რეცენზია ოლეგ ბლაჟბას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე. — შრომათა კრებული. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. ტ. 2. თბ., 2010, ელექტრონ. ვერსია: <http://iberiana.wordpress>.

ვის აღმოსავლეთ სანაპიროს მთელ პერიმეტრზე მოსახლეობა უძველესი დროიდან, აქ კოლხური ტომების ჩამოსახლებამდე ბევრად ადრეული ხანიდან არის გაფლერებული, ჩვენი შეხედულება უფრო მთლიანად მძაფრ პროტესტს იწვევდა და იწვევს. ეს გასაგებია იმიტომაც, რომ წერილობითი წყაროების ყოველმხრივი ანალიზის, ლინგვისტური, არქეოლოგიური მასალის კომპლექსურ გამოყენებაზე დაფუძნებული დასკვნების კრიტიკა უფრო ძნელია, ვიდრე ცრუპატრიოტული მოთხოვნით ნაკარნახევი შეხედულებისა აფსილ-აბაზგთა ქართულ ტომებად აღიარების შესახებ.

აფხაზ სეპარატისტთა კიდევ უფრო მძაფრ წინააღმდეგობას ჩემს მიმართ იწვევდა შემდგომი პერიოდის, ე.ი. ადრეფეოდალური ხანის აფხაზეთის ისტორიის შეფასება, ისევე რომაულ-ბიზანტიური წყაროების საფუძველზე მე თვალნათლივ ვაჩვენე, რომ VI-VII საუკუნეებში აფსილ-აბაზგთა ტერიტორიები შევიდნენ ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში და კიდევ უფრო სრულად ჩაებნენ დასავლურ-ქართულ როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ერთობაში. სრულიად ასეთივე სურათია ნაჩვენები ზ. პაპასქირის მიერაც თავისი „ნარკვევების...“ I ნაკვეთის II და III თავებში.¹

კიდევ უფრო კარდინალურად ეწინააღმდეგება ჩვენი შეხედულება წარმოდგენას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე VIII საუკუნეში ჩამოყალიბებული ე.წ. აფხაზთა სამეფოს შესახებ, რომელსაც ინალ-იფები, გუნბები, აჯინჯალები და დასახელებული სახელმძღვანელოს ავტორები აფხაზურ სახელმძღვანელოდ აცხადებენ და მას მიიჩნევენ აფხაზური დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საწყის ეტაპად. ეს შეხედულება კატეგორიულად უარყოფილია ყველა ქართველი ისტორიკოსის მიერ, მათ შორის ზ. ანჩაბაძისა და გ. ძიძარას მიერაც. ცხადია, წინარე ხანის ანალიზის და VI-Xსს. რეალიების შესწავლაზე დაყრდნობით ამ ერთადერთ სწორ დასკვნას ვადგავართ ჩვენც – მეც და ზ. პაპასქირიც. იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ანგარიშგასანევი სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე სრულიად უეჭველად დადასტურდა, რომ „აფხაზთა“ სამეფოში და ბევრად უფრო გვიანაც, არ მომხდარა აფხაზური ეროვნების ჩამოყალიბება. პირიქით, სახეზეა ყველა პირობა აფხაზ ტომთა ქართველ ფეოდალურ ხალხთან ინტეგრაციისათვის. ამრიგად, ჯერ კიდევ VI საუკუნეში აბაზგიის საარქონტოს, ანუ აფხაზთა საერისთავოს, ხოლო VIII საუკუნეში „აფხაზთა“ სამეფოს შექმნა სრულიად არ ნიშნავს, რომ ისინი თავისი ეთნოკულტურული ხასიათით განსხვავდებოდნენ საქართველოს სხვა საერისთავოთა თუ სამთავროთაგან. აფხაზთა ჩართვამ ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში ხელი შეუწყო მათ „გაქართველებას“. მხოლოდ საქარ-

com/afxazeti/papaskiri-recenzia/; **3. Папаскири.** Так не пишется история. *Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» «Истории Абхазии»* О. Х. Бгажба и С. З. Лакоба. – *Кавказ и мир.* Международный научный журнал. №8, 2010, გვ. 69-90. ელექტრ. ვერსია: <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia-ru/>.

¹ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 24-55.

თველოს გაერთიანების არასიმყარემ, ამ გაერთიანების შედარებითმა ხანმოკლეობამ, გვიანი შუასაუკუნეების მძიმე მოვლენებმა, ხელი შეუშალა აფხაზი ტომების საბოლოო და მთლიანად შერწყმას ქართველ ხალხთან.¹

კიდევ უფრო ლოგიკურია აფხაზეთის ისტორიის ჩვენეული შეფასება შემდგომ საუკუნეებში, როდესაც აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის შემადგენლობაში, როგორც პოლიტიკურად, ისე რელიგიურ-კულტურულად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული და გვიანფეოდალური ხანების გადმოცემისას, ჩემსა და ზ. პაპასქირის შეხედულებებში შეიმჩნევა აშკარა ცვლილება: თუ უძველესი და ადრეფეოდალური პერიოდების განხილვა-გადმოცემისას მე მქონდა ერთგვარი პრიორიტეტი და ზ. პაპასქირი ჩემს გამოკვლევებს იყენებდა როგორც წყაროს თავისი დასკვნებისათვის, უკვე X-XI საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის გადმოცემისას როლები შეიცვალა – ზ. პაპასქირის გამოკვლევები გახდა ძირითადი წყარო ჩემთვის და შემდეგდროინდელი ვითარების გარკვევა-გააზრებისას. მისი შრომები არის ის ძირითადი დასაყრდენი, რომელზეც მე ვაგებ ჩემს შეხედულებებს.

ჩემს ამ მოკლე განხილვაში აფხაზეთის შემდგომი ისტორიის უფრო დაწვრილებით გადმოცემა არ იქნება მიზანშეწონილი, რამდენადაც ამაზე არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა და ზ. პაპასქირსაც თავის შრომებში კონკრეტულად აფხაზეთის ამ პერიოდის ისტორია საკმაოდ სრულად აქვს გადმოცემული. მე მხოლოდ ამ გვიანდელი ეპოქის ორ ფაქტზე შევაჩერებ ყურადღებას.

პირველი საკითხი, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ესაა XVII საუკუნეში უკვე დანაწევრებულ და მრავალ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო-კავკასიის მთიელ ტომთა გადმოსვლა და ჩამოსახლება, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯიქ-აფხაზთა ტომების ჯერ მთიან ოლქებში, შემდეგ – კი ზღვისპირეთის ერთ ნაწილში შემოჭრა და დასახლება, როგორც სავსებით დამაჯერებლად აჩვენა ზ. პაპასქირმა („ნარკვევები...“, თავი V-VI), ეს პროცესი არ გამოდიოდა ფეოდალური ურთიერთდაპირისპირების საერთოქართული სურათის ჩარჩოებიდან.²

ჯიქ-აფხაზთა შემოჭრამ უდავოდ გამოიწვია აფხაზური ტომების (აფსილ-აბაზგთა) გაქართველების პროცესის შეჩერება, მათი ეთნოსის ერთგვარი რეანიმაცია, მაგრამ აქ ჩვენ არამც და არამც არ უნდა დავინახოთ ისეთი კარდინალური ცვლილებები, რომელმაც გამოიწვია აქაური ეთნიკური სურათის არსებითი შეცვლა, როგორც ამას ამტკიცებს ზოგიერთი

¹ **ნ. ლომოური.** ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის. თბ. 2008, გვ. 35-77 (აქვე წყაროები და ლიტერატურა); **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 37-86; **З. В. Паскири.** О национально-государственном облике Абхазии/Грузия. С древнейших времен до 1993г., Тб., 2003, გვ. 17-24.

² **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე, გვ. 87-130.

ჩვენი ისტორიკოსი.

მეორე მოვლენა ხდება უკვე საქართველოს რუსეთთან შეერთების მერე, როდესაც რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გავლენით აფხაზეთში შემოაღწევს ისლამი, ამასთან აქ იზრდება უკმაყოფილება რუსეთის პოლიტიკით და XIX ს. 60-70-იან წლებში ხდება აფხაზეთიდან მუსლიმი მოსახლეობის მასიური გადასახლება თურქეთში, ანუ „მუჰაჯირობა“, რის შედეგადაც აფხაზეთი დატოვა რამდენიმე ალრეულმა ათასმა მკვიდრმა მოსახლეობამ. „მუჰაჯირობის“ პროცესს არაერთი დამაჯერებელი და მაღალკვალიფიციური გამოკვლევა მიეძღვნა (გ. ძიძარია, გ. პაიჭაძე, ო. ჭურღულია) და ამ საკითხს ჩვენ არ შევხებოდით, რომ არა ის სრულიად აბსურდული და ყალბი „თეორია“, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა – ა. გოგუამ, ს. ლაკობამ, და შემდეგ განსაკუთრებით მკვეთრად, იგივე ს. ლაკობამ და ო. ბლაჟბამ ჩემს მიერ უკვე დასახელებულ სახელმძღვანელოში – დაუპირისპირეს ამ პრობლემის მეცნიერულ შეფასებას. ამ ექსტრემალურ სეპარატისტთა მტკიცებით, „მუჰაჯირობის“ შედეგად განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ხდებოდა სამეგრელოდან მეგრელთა, სვანეთიდან კი სვანთა ჩამოსახლება, რაც იყო აფხაზეთის „ქართული კოლონიზაციის“ პირველი ეტაპი. ამასთან ს. ლაკობა და ძმანი მისნი მოურიდებლად, აღმაშფოთებელი უსინდისობით ლანძღავენ ჩვენს დიდებულ მოღვაწეებს: ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, სერგი მესხს, გიორგი წერეთელს, იონა მეუნარგიას!!! და რატომ? თურმე იმიტომ, რომ ისინი ხედავდნენ რუსეთის მიერ აქ რუსების, ბერძნების ადილების, სომხების აქტიურ ჩამოსახლებას, იგივე აფხაზთა ინტერესების გათვალისწინებით, ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ განთავისუფლებულ მიწებზე აქ ძველთაგანვე ფართოდ და მკვიდრად მოსახლე მეგრულ და სვანურ თანატომელთა ჩამოსახლებას.

ამ გამოხდომებს ოპერატიულად გაეცა პასუხი (ჯ. გამახარია, ს. ლეკიშვილი, გ. გასვიანი, მ. ლორთქიფანიძე), ხოლო ყველაზე ლოგიკურად და დამაჯერებლად ისინი ისევ ზ. პაპასქირმა ამხილა.¹ ზ. პაპასქირი წერს: **„აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი, სამშობლო არა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა, არამედ, პირველ რიგში, სწორედ (და უფრო მეტადაც) ქართველთა“** (ხაზგასმა ზურაბ პაპასქირისაა, – ნ.ლ.).² ამას მე მინდა დავუმატო ერთი კითხვა: რატომ იყო აფხაზეთში ქართველთა გადმოსახლება არაკანონიერი „კოლონიზაცია“, ხოლო რუსების, სომხების ჩამოსახლება, სრულიად კანონ-

¹ ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I, გვ. 204-223; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II, გვ. 148-153.

² ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II, გვ. 150.

ნიერი მოქმედება? სწორედ რუსეთის ხელისუფლების ასეთი ქმედება არ იყო შემთხვევითი და გაუაზრებელი ღონისძიება; უდავოა, რომ ამით იგი პლაცდარმს ამზადებდა აქ თავისი გავლენის, პოზიციების განსამტკიცებლად და ჩვენ შეიძლება შევაფასოთ იგი როგორც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ მხარეში სეპარატიზმის დანერგვისა.

არსებითად ჩვენ შეიძლება აქ შევწყვიტოთ აფხაზეთის წარსული ისტორიის გადმოცემა, რადგან XX საუკუნიდან იწყება ჩვენი თანამედროვე უახლესი ისტორია, აღსავსე მოულოდნელობებით, უმძიმეს მრავალნაირ კატაკლიზმებით, რომ ამ ხანაში აფხაზეთის ისტორიას ზ. პაპასქირმა თავისი „ნარკვევების...“ მთელი II ნაკვეთი, თანაც 160 გვერდით უფრო ვრცელი, ვიდრე პირველი, დაუთმო. ვიმეორებ, ეს პერიოდი იმდენად გაჯერებულია აღურაცხელი უმძიმესი და ურთულესი მოვლენებით, რომ მის მოკლე მიმოხილვასაც, ჩვენ ამჯერად ვერ ვითავებთ.

აფხაზეთის ისტორიის ეს პერიოდი დამთავრდა 1992-1993 წლების აფხაზეთის ტრაგედიით, რომელმაც ჩვენი ღრმა რწმენით, უდიდესი უბედურება მოუტანა როგორც აფხაზეთის ძირძველ ქართველ, ისე აფხაზ ხალხს. 1993 წ. 30 სექტემბერს დასრულდა ჩვენი ეროვნული ტრაგედიის ის ეტაპი, თუმცა ეს ტრაგედია დღესაც გრძელდება და ამიტომ საჭიროა ხაზგასმით და ხმამაღლა დასახელება მის შემოქმედ დამნაშავეთა. მცდელობა, რომ იმდროინდელ საქართველოს ხელისუფლებას გადააბრალონ „აფხაზეთის საზღვრის“ დარღვევა, „აფხაზეთის ტერიტორიაზე შეჭრა“ არის სრული აბსურდი: აფხაზეთისა და საქართველოს შორის არ არსებობდა არავითარი საზღვარი – აფხაზეთი შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, „აფხაზეთის არავითარი ტერიტორია“ არ არსებობდა – ეს იყო საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია და საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე წესრიგის დასაცავად და ნებისმიერი ღონისძიების გასატარებლად ჰქონდა ისტორიული, კონსტიტუციური და მორალური უფლება აქ თავის შეიარაღებული ძალებით ემოქმედნა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებათა წარმოების დაწყებაში პირველი და კონკრეტული დამნაშავენი არიან ვლ. არძინბა და მისი კლანი, ე. ი. აფხაზი სეპარატისტები, მაგრამ მათზე მეტი დანაშაული მიუძღვით მათ წამქეზებელ, დამრავლებელ და წარმმართველ რუსეთის რეაქციულ ძალებს. უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ასევე რეაქციულ წევრებს, და, სავალალოდ, ჩვენივე ანტიეროვნულ, გამცემლურ ძალებს ზ. გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური კლანის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ რეაქციული ძალების ერთობლივი მოქმედების წინაშე სრულიად კანონზომიერად უძღური აღმოჩნდა საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეჟიმიდან ახლად გამოსული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმძიმეს გზაზე მდგომი საქართველო.

ამასთანავე ქართველთა და რუსთა ურთიერთობის ფონზე მოცემულია საერთო ქართული ფეოდალური მონარქიის ჩრდილოეთის პოლიტიკის გაშუქების ცდა. ამასთან დაკავშირებით წიგნში მიმოხილულია საქართველოს ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. ნაჩვენებია საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს საერთაშორისო როლი აღმოსავლეთ ევროპაში და ამასთანავე კავკასიასთან ძველი რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათი და მასშტაბები.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის ცდა X-XI საუკუნის პირველ ნახევარში. ავტორი რუსეთ-საქართველოს შორის პირველი კონტაქტების დამყარებას სავაჭრო ურთიერთობებში ვარაუდობს. ზ. პაპასქირს მოჰყავს არაერთი ცნობა ძველი რუსეთის იმიერ და ამიერ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის შესახებ, თუმცა ამ ცნობებში არსად არაა პირდაპირი მითითება რუსების ქართველებთან ურთიერთობაზე, მაგრამ სწორი გვეჩვენება ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის დროს შეუძლებელია საქართველო განზე მდგარიყო იმ ძირითადი მოვლენებისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა X-XI საუკუნეებში კავკასია-რუსეთის ურთიერთობაში.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ერთ-ერთ მკავშირებელ რგოლს ბიზანტია წარმოადგენდა, რომლის შესახებაც ავტორს უაღრესად საგულისხმო ცნობები მოჰყავს. ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში რუს-ვარანგთა რაზმის ყონას. XI ს. შუახანებში, როდესაც მეფე ბაგრატ IV ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებისათვის, იქმნებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო. საქართველოს ავტორიტეტი თანდათან მალღდებოდა, რაც ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს. ბიზანტია ცდილობდა საქართველ მის მორჩილებაში ყოფილიყო და ბუნებრივია, მის გაერთიანებას ხელს უშლიდა ცალკეული სამთავროების თავის მხარეზე გადაბირების გზით. სწორედ ამ დროს საქართველოში ვხვდავთ ვარანგთა სამასათასიან არმიას. ზ. პაპასქირის აზრით, ამ დროს რუსეთ-საქართველოს შორის უკვე არსებობდა პოლიტიკური კონტაქტები, რასაც უნდა განეპირობებინა საქართველოში კიევის რუსეთიდან ვარანგთა ჩამოსვლა.

მეორე თავი ეძღვნება საქართველოს ურთიერთობას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და ყივჩაღურ სამყაროსთან XI-XII საუკუნეებში. მასში არაერთი საინტერესო საკითხია გაშუქებული.

მესამე თავი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XII საუკუნეში. ამ თავში ზ. პაპასქირი ეხება კიევის დიდი მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ჯვრისწერას ქართველი მეფის ასულზე და იური ბოგოლუბსკის თამარ მეფის ქმრად მოწვევას საქართველოში. ჩვენი აზრით, ზ. პაპასქირი სამართლიანად მიიჩნევს ამ ქორწინებებს XII საუკუნეში საქართველო-რუსეთს შორის საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური

და კულტურულ-პოლიტიკური კონტაქტების არსებობის დამადასტურებელ ფაქტად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ავტორი ცდილობს შესაძლებლობისამებრ წარმოაჩინოს საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო როლი აღმოსავლეთ ევროპაში. სწორედ ამ კუთხითაა განხილული ნაშრომში კიევის დიდი მთავრის იზისლავ მტისლავის ძის დაქორწინება „ობეზა“ მეფის ასულზე და ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების ორგანიზება. ეს ორი სამხედრო-პოლიტიკური აქტი ავტორის აზრით მიუთითებს XII საუკუნეში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური აქტივობის ზრდაზე ჩრდილოეთის მიმართულებით.

ნაშრომში ერთ-ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს ტერმინი „ობეზის“ მნიშვნელობის გაგება, თუნდაც იმიტომ, რომ ამის შესახებ მეცნიერებაში დღემდე გრძელდება დავა. ზ. პაპასქირს ამ საკითხის გადანიშნულშიც სწორი პოზიცია უკავია. იგი არ იზიარებს იმ მკვლევართა აზრს, რომელთაც „ობეზი“ მხოლოდ აბაზგია-აფხაზეთის ნიადაგზეა წარმოშობილი, მაგრამ, როგორც ავტორი ამბობს, იგი ფართო გაგებით გულისხმობდა მთელ საქართველოს აფხაზეთის ჩათვლით.

ნიგნის ავტორის მტკიცება კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ არ გამოჩნენოდა იტალიელი მოგზაურის პლანო კარპინის ცნობა „ობეზ“ ტერმინის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. პლანო კარპინიმ ევროპიდან მონღოლთა სახელმწიფოში იმოგზაურა, სადაც 1246 წელს მონღოლთა მთავრობის ყრილობასაც კი დაესწრო. მონღოლეთიდან უკან დაბრუნებისას შეხვდა ბათო ყაენს, გაიარა სამხრეთ რუსეთის სტეპები. ამ მოგზაურობის აღწერილობანი საინტერესო ცნობებს შეიცავს არა მარტო რუსეთისა და მონღოლების, არამედ კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველების შესახებაც. პლანო კარპინი, როცა მონღოლთა დაპყრობებსა და მათდამი დამორჩილებულ ხალხებზე ცნობებს იძლევა, ერთგან წერს: «Так поступили они с обезами или грузинами». ეს აშკარა მითითებაა იმაზე, რომ „ობეზების“ ქვეშ რუსეთსა და კავკასიაში გულისხმობდნენ ქართველებს. უცნაურიც კი იქნებოდა, რომ პლანო კარპინის „ობეზებში“ მხოლოდ აფხაზეთი და მისი მოსახლეობა გვეგულისხმა.

ავტორს „ობეზების“ საკითხთან დაკავშირებით შეეძლო მეორე ფაქტიც მოეტანა. ჩრდილოეთ კავკასიის ისეთი ხალხები, როგორც ყარაჩაელები და ბალყარელები, ქართველებს დღემდე უწოდებდნენ „ებზე“. აკად. ს. ჯანაშიას მართებული შენიშვნით „ებზე“ წარმოსდგება ტერმინისაგან „ობეზი“. აქვე საჭირო იყო ს. ჯანაშიას ნაშრომის „გერმანული დიფთონგის გადმოცემისათვის ქართულში“ გამოყენება და მითითება, სადაც „ობეზ-ებზეს“ იდენტიურობაზეა საუბარი. დასავლეთ საქართველოს ხალხებიდან ყარაჩაი-ბალყარელები „ებზეს“ მხოლოდ სვანების მიმართ ხმარობენ. ყარაჩაი-ბალყარელების ეთნოსუბსტრატს ყივჩაღური ელემენტები წარმოადგენს. როგორც ჩანს ტერმინი „ობეზიც“ მათ ყივჩაღური სამყაროდან აქვთ ათვისებული.

გვაქვს სხვა შენიშვნებიც: ზ. პაპასქირის ნაშრომი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეებს, რომელიც ნავარაუდევია X საუკუნიდან. რომაულ წყაროებში დაცულ ცნობებს თუ გავითვალისწინებთ, რუსთა და ქართველთა წინაპრებს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ III-IV საუკუნეებში, როცა ხერსონსა და ლაზეთს შორის დამყარდა სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტები. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ IV საუკუნეში ხერსონში არსებობდა ქართული კათედრალური მონასტერი, ხოლო 822-824 წლებში იბერები, აბაზგები და ლაზები მონაწილეობას ღებულობდნენ თომა სლავის აჯანყებაში. მართალია, ნაშრომი XI-XII საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ასახავს, მაგრამ შესავალ ნაწილში შეიძლება ამ კუთხით მცირე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

ეს შენიშვნები ოდნავადაც არ ჩრდილავენ ზ. პაპასქირის ნაშრომის ღირებულებას, სადაც პირველადაა დაყენებული და ორიგინალურად გადაჭრილი საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველო-ყივჩალეთის ურთიერთობის ისტორიოგრაფიაში მანამდე გაურკვეველი ზოგიერთი საკითხი. ნაშრომი წარმოადგენს მაღალ დონეზე შესრულებულ მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევას...

15. **Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. Из истории международных отношений.** Автореферат кандидатской диссертации. Изд. МГУ. М., 1978.

ბ) სტატიები:

16. **Another Look at One of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology. On the Question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931.** – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sweden. 2012. Vol. 6. Issue 2, გვ. 168-180.
17. **Ещё раз об одном ложном историографическом постулате абхазской сепаратистской идеологии. К вопросу о политико-государственном статусе Абхазии в 1921-1931 гг.** – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2012. Т. 6. Вып. 2, გვ. 191-204.
18. **Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: «Кавказ и Сельджуки».** – *Кавказ и мир*. Международный научный журнал. №14. Тб., 2012, გვ. 60-83. ელექტრონ. ვერსია: <http://iberiana2.wordpress.com/caucasus/papaskiri>.
19. **К вопросу о национально-государственной и культурной самоидентификации Абхазского владетельского дома Шарвашидзе.** – *აფხაზეთის მოამბე*. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული ორგანო. №1(8) თბ., 2012, გვ. 5-17.
20. **XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ.** – *საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერესპექტივები*. აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, 21-24 ივნისი, 2012) *მასალები*. თბ., 2012, გვ. 161-170.
21. **აფხაზთა სუპარატისტული ამბოხი და მისი „ისტორიოგრაფიული დასაბუთების“ უბადრუკი მცდელობები.** – კრებ.: *მარიამ ლორთქიფანიძე-90*. ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებები და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. 2012 წლის 16-17 ნოემბერი, თბილისი საქართველო. *თეზისები*. თბ., 2012, გვ. 66-67.
22. **The Abkhazian Ecclesiastical Revolt and the Worthless Attempts of its “Istotio-graphical Justification”.** – *Mariam Lordkipanidze-90*. Representing History: Theoretical Trends and Case Studies – the conference dedicated to 90th Anniversary of Academician Mariam Lortkipanidze's. Tb., 2012, გვ. 142-143.
23. **გურანდუხტ დედოფლის პოლიტიკური პორტრეტისათვის.** – *კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია* საერთაშორისო სიმპოზიუმი. *მასალები*. თსუ გამომცემლობა. თბ., 2012, გვ. 55-57.
24. **К политическому портрету царицы Гурандухт.** – *კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია* საერთაშორისო სიმპოზიუმი. *მასალები*. თსუ გამომცემლობა. თბ., 2012, გვ. 204-205.
25. **Леон II и его государство.** – *Наша Абхазия*». 11.01.2012 [http:// abkhazeti.info/](http://abkhazeti.info/)

- news/1326327803.php. იხ. აგრეთვე: წგნ.: **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 419-428.
26. **Некоторые аспекты имперской политики России на Кавказе. Кавказская война и ее последствия.** – *Expert club*: 1.07.2012. http://rus.expertclub.ge/portal/cnid_12208/alias_Expertclub/lang_ru/tabid_2546/default.aspx. იხ. აგრეთვე: წგნ.: **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 429-438.
 27. **კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები.** – *მარი პროსე* – 210. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., 2012, გვ. 123-132. http://expertclub.ge/portal/cnid_12208/alias_Expertclub/lang_kaGE/tabid_2546/default.aspx.
 28. **Наиболее вызывающими и опасными бесспорно следует признать именно территориальные претензии армянских националистов.** – <http://www.1news.az/interview/20100201102159668.html#page999>. იხ. აგრეთვე: წგნ. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 439-443.
 29. **Открытое письмо Антону Кривенюку. Или о какой мелочи забыл сухумский журналист.** – Информационно-аналитический портал – *Грузия Online*: <http://www.apsny.ge/order/1311530108.php>. იხ. აგრეთვე: წგნ. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 444-446.
 30. **За что погибло столько грузин, если мы хотели признать независимость Абхазии?! – «Наша Абхазия».** <http://abkhazeti.info/news/1309547441.php>. იხ. აგრეთვე: წგნ. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 447-454.
 31. **В Абхазии церковное двоевластие.** – «Наша Абхазия», 04/11/2011. – <http://abkhazeti.info/news/1320455877.php>. იხ. აგრეთვე: წგნ. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 455-461.
 32. **Абхазы слишком осмелели в отношениях с Кремлем.** – «Наша Абхазия». 05.01.2012. <http://abkhazeti.info/news/1325813715.php>. იხ. აგრეთვე: წგნ. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 462-475.
 33. **Почему Багапш старался объявить язычество «национальной религией» Абхазии.** – «Наша Абхазия». 15.05.2012. <http://abkhazeti.info/news/1337110619.php>. იხ. აგრეთვე: წგნ. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 476-481.
 34. **Об одном заблуждении о Дорофея (Дбар).** – წგნ.: **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Изд.: «Меридиани». Тб., 2012, გვ. 482-486.
 35. **The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century.** – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sweden. 2011. Vol. 5. Issue 3-4, გვ. 126-144.
 36. **Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия.** – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук.

- Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2011. Т. 5. Вып. 3-4, გვ. 147-168.
12. **თეიმურაზ გვანცელაძე.** აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები დის. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ავტორეფერატი. 1997.
13. **ზაალ ქორთუა.** დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარში დის. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ავტორეფერატი. 07.00.01. თბ., 1997.
14. **დავით მერკვილაძე.** სირიელი სასულიერო მოღვაწენი ქართლში დის. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ავტორეფერატი 07.00.01. თსუ. თბ., 1997.

**ასი მძიმე დღე...
ONE HUNDRED HARD DAYS...**

„ასი მძიმე დღე...“ – ასე ვუწოდებთ მასალებს, რომელიც პროფესორ ზ. პაპასქირის ტყვეობასა და მისი განთავისუფლებისათვის ქართველი და უცხოელი მეცნიერების ძალისხმევას ეხება. სათაური დავესესხეთ ჟურნალისტ ალექო ასლანიშვილს, რომლის ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ალექო ასლანიშვილი

ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე¹

კარგა ხანია დაუსწრებლად ვიცნობდი, როგორც სერიოზულ მკვლევარსა და მებრძოლ პუბლიცისტს. ნაკითხული მქონდა მისი გახმაურებული მონოგრაფია „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი“, რომელმაც დასტამბვის უმაღლესი მიიქცია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, მახსოვდა მისი უკომპრომისო საგაზეთო პუბლიკაციები აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გამყარებელთა წინააღმდეგ.

გაცნობით კი შარშან მაისში გავიცანი სოხუმში, II საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან აღმზრდელი მუშაობის განყოფილებაში. კაპიტნის მუნდირს ვერ შეეცვალა პროფესორ ზურაბ პაპასქირის სულით ხორცამდე სამოქალაქო გარეგნობა. მაგრამ ეს „წიგნის ჭია“ მეცნიერი და დახვეწილი ინტელიგენტი უდრტვინველად იტანდა სამხედრო ცხოვრების უჩვეულობასა და სიძნელეს. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ ამ ომის უჩინარ და ხილულ ფესვებზე, შესაძლო პერიპეტეიებზე.

მეორედ ივლისში, ტამიშთან დესანტის განადგურების დღეებში შევხვდით. დინჯად და აუღელვებლად მიაბობდა ყოველი მხრიდან ბლოკირებული ქალაქის თავს გადახდენილ სიძნელებებზე. სულიერი მხნეობა

¹ გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.02.1994.

არც სოხუმის დაცემის საშიშროების დღეებში დაუკარგავს და არც დესანტის განადგურებისა და ბლოკადის გარღვევის შემდგომ საყოველთაო აჟიოტაჟს აჰყოლია – მეცნიერი-ისტორიკოსის ანალიტიკური გონებით ხედავდა ომის წიაღში ამოწვერილ სახიფათო მეჩეჩებს.

შემდეგ 27 სექტემბრის კატასტროფა...

ცნობა გაზეთებიდან: „აფხაზმა სეპარატისტებმა დააპატიმრეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 43 წლის პროფესორი ზურაბ პაპასკირი“.

ბრალდება – ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივება.

ბრალდებული – დაიბადა 1950 წელს ზუგდიდში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1972-1975 წლებში სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1978 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „**საქართველო და აღმოსავლეთი ევროპა XI-XII საუკუნეებში**“ (ამ პრობლემის კვლევისათვის 1982 წელს მას მიენიჭა ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაწესებული საქართველოს კომკავშირის პრემია, რამაც აფხაზ სეპარატისტთა რისხვა გამოიწვია ნაშრომში სეპარატისტული კონიუნქტურის საწინააღმდეგო შეხედულებების განვითარებისათვის. აფხაზეთიდან მისი გასახლების საკითხიც კი დააყენეს).

სოხუმში სამუშაოდ 1976 წელს ჩავიდა. იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდეგში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) მასწავლებელი, დოცენტი, კათედრის გამგის მოადგილე, 1989 წლიდან – თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. 1991 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „**შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები)**“. 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 3 მონოგრაფიისა.

1977 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული სეპარატისტებთან „იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიულ ომში“ – მთელი 16 წელიწადი მოთავეობდა აფხაზეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთა ბრძოლას ჭეშმარიტების გამყალბებელთა წინააღმდეგ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

16 სექტემბერს საომარ მოქმედებათა განახლება უმრავლესობისთვის, ზურაბისთვისაც თავზარდამცემი იყო. სჯეროდა, რომ სოჭის 27 ივლისის შეთანხმება შედეგს გამოიღებდა (რუსეთი იძლეოდა გარანტიას!). არადა, სოხუმი ცხოვრების მშვიდობიან რიტმს უბრუნდებოდა. რა კი 1 სექტემბერს ფილიალში სწავლა დაიწყო, პრაქტიკულად, სამხედრო სამსახური შეწყვიტა და სალექციო კათედრას დაუბრუნდა.

ომის განახლებამ ისე დამორგუნველად იმოქმედა, რომ ჰიპერტონიული კრიზი დაემართა და მთელი ხუთი დღე საწოლიდან თავი ვერ წა-

მოსწია. მხოლოდ 21 სექტემბერს მივიდა კორპუსის შტაბსა და აფხაზე-
თის მინისტრთა საბჭოში. ორივეგან აშკარა დაბნეულობა იხილა. ჰოდა,
ახალი რაიონიდან – გუმისთაზე გამავალი ფრონტის ხაზიდან ოჯახის
უფრო უხიფათო ზონაში გამოხიზვნა (არა სოხუმიდან გაყვანა!) გადან-
ყვიტა. მან და მისმა მეზობელმა, საარმიო კორპუსიდან თანამოსამსა-
ხურემ **რენო სურმავამ** ოცდაორში მანქანაც იშოვეს, მაგრამ იქაურობა
მაინც არ დატოვეს: შტაბის ორი ოფიცრის ოჯახის გასვლას მთელი იმ
უბნის ქართული მოსახლეობის პანიკა შეიძლება მოჰყოლოდა (რადიო
ხომ დაბეჯითებით იუნყებოდა, მაშველი ძალა წუთი-წუთზე შემოვა ოჩ-
ამჩირის მხრიდან და არათუ სოხუმს შევინარჩუნებთ, ფსოუმდე გავალ-
თო). მათმა მეუღლეებმაც ივაჟკაცეს, ჩვენი წასვლა არასგზით არ ეგებ-
ისო. 26 სექტემბრამდე სჯეროდათ, რომ მშველელი მოვიდოდა.

27 სექტემბერი მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ყველაზე სასოწარ-
კვეთილი დღე იყო. ბინის ფანჯრებიდან უყურებდა „გამარჯვების ფეი-
ერვერკს,“ აალებულ სოხუმს და მაშინ იყო, კინაღამ სულმოკლეობამ რომ
სძლია, მხოლოდ ოჯახზე ფიქრმა აალებინა ხელი თვითმკვლელობაზე.

ოცდაშვიდშივე მოადგნენ მის ბინას აფხაზი მეომრები, მადლო-
ბა ღმერთს – მათივე კარის მეზობლები. ცუდი არაფერი უკადრებიათ,
პირიქით, მფარველობა აღუთქვეს და შეასრულეს კიდეც. ძველმა ნა-
თელ-მირონმა შეასრულა თავისი როლი, იმანაც, რომ ზურაბის მეუღლე
ქალბატონი ნონა პედიატრია და ბევრზე ჰქონდა ამაგი. მთელი 10 დღე
მალეს აფხაზმა მეზობლებმა ზურაბი, არადა მას, სოხუმში კარგად ცნო-
ბილ კაცს, გაფაციცებით ეძებდნენ. ბოლოს, 7 ოქტომბერს, დააპატიმრა
სეპარატისტთა უშიშროების სამსახურმა ის და რენო სურმავა.

იმ დღეს ბენვზე გადაურჩა სიკვდილს: შინაგან საქმეთა სამინისტ-
როს იზოლატორში მიყვანისას იქ მყოფ ბოვეიკთაგან ერთ-ერთმა, მისმა
ყოფილმა სტუდენტმა, იცნო და ავტომატი მოუღერა, იზოლატორის მო-
რიგის სიმარჯვე რომ არა (სასწრაფოდ შეაგდო საკანში და კარი ჩაურა-
ზა), ადგილზე მიახვრეტდა.

ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, თუ პირველი დღეების
უმნიშვნელო ინციდენტებს არ ჩავთვლით. მასაც და სხვებსაც საკმაოდ
კორექტულად ექცეოდნენ, აი, გარედან ანგარიშსწორების საფრთხე კი
იყო, სანამ საერთაშორისო წითელმა ჯვარმა მასზე კონტროლი არ დაანესა.

...საკნის მობინადრენი თითქმის ყოველდღიურად იცვლებოდნენ.
ძირითადად მოწმდებოდა მათი ომში მონაწილეობის საკითხი. ერთი კვი-
რის, 10 დღის შემონების შემდეგ ათავისუფლებდნენ, ავტობუსებში სვამ-
დნენ და ზუგდიდისაკენ ამგზავრებდნენ. გაათავისუფლეს რენო სურმავაც
(მისი ქალ-ვაჟი აფხაზმა მეზობლებმა სოხუმის დაცემის პირველ დღეებ-
შივე გაიყვანეს ადღერში, ზურაბის დედა კი – ზუგდიდში. ქალბატონ ნო-
ნას გამოპარება გაჭირდა, მაგრამ 23 ოქტომბერს იმასაც გამოაღწეინეს).

სამჯერ დაჰკითხა უშიშროების სამსახურის გამომძიებელმა. და-

კითხვას ერთობ ინტელიგენტურად წარმართავდა. გამოძიება მალე დარწმუნდა, რომ ამ მეცნიერ კაცს კრიმინალს ვერ უპოვნიდნენ და იურიდიული თვალსაზრისით მისი „საქმე“ უპერსპექტივო იყო. ის კი, პოლიტიკური ოპონენტი და დღევანდელი აფხაზეთის ხელმძღვანელობის კურსის შეურიგებელი მოწინააღმდეგე რომ იყო, ზურაბს არც დაუმალავს. 15 ნოემბერს ხუთი საათი დაჰკითხავდა აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი ბგანბა. დაკითხვა საკმაოდ მძიმედ დაიწყო (ს. ბგანბას ვაჟი დაეღუპა ომში), მაგრამ მტრული ატმოსფერო ჩქარა განიმუხტა, პროკურორი დარწმუნდა, რომ პატიმარს ეროვნებათშორის შუღლის გაღვივების ბრალდებას ვერ დაუმტკიცებდა, არც უცდია მისი „გამოჭერა“, ყალბი სამხილის მოშველიება. ის კი არა, იმაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, თუ რა გზით დაეტოვებინა აფხაზეთი გათავისუფლების შემდეგ.

მაგრამ საკანი არა და არ იღებოდა. უფრო მეტიც, 3 დეკემბერს მოულოდნელად, ბგანბას დავალებით, მასთან პროკურატურის გამომძიებელი გამოცხადდა ადვოკატთან ერთად და ოფიციალურად წაუყენა ერთაშორის შუღლის გაღვივების ბრალდება, თუმცა იქვე დაამშვიდა, ეს ფიქტიურად ხდება, ხვალ ენგურთან გაგცვლითო.

ამ „ხვალის“ შემდეგ თითქმის თვე გავიდა. ერთმანეთს მიჰყვა გაურკვეველობის ერთფეროვანი დღეები. დახშულმა საკანმა, პურისა და ჩაის დიეტამ, ნესტმა და სიცივემ თავისი გაიტანა და ფიზიკურად გასტეხა. რამდენჯერმე მიმართა პროკურორს, თუ აფხაზეთის ხელისუფლებას სჭირდება ხმაურიანი პოლიტიკური პროცესი, მზად ვარ, ოღონდ თავდებით გამათავისუფლეთ, რათა სათანადოდ მოვემზადოო.

6 იანვარს პროკურატურამ გადაწყვეტილება გამოიტანა მისი თავდებით გათავისუფლების შესახებ და არა საქმის ძიებით შეწყვეტით. 9, 10 და 11 იანვარს საერთაშორისო ჯვრის წარმომადგენელი ამაოდ ცდილობდა ზურაბის გამოყვანას. ჩანს, სეპარატისტები ფენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის შედეგს უცდიდნენ.

და აი, 14 იანვარს, როგორც იქნა, გაიღო საკნის კარი. ახლალა გაარკვია, ეს გათავისუფლება მისი უდანაშაულობის კი არა, იმის შედეგია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იანვარს, გუდაუთაში ყოფნისას, მისი საკითხი კატეგორიულად დააყენა გუდაუთის ხელისუფალთა წინაშე, რასაც საქართველოს ხელისუფლების ფართო საზოგადოებრიობის, სამეცნიერო წრეების დიდი მცდელობა უძლოდა.

14 იანვარს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელმა ზურაბი ადლერში ჩაიყვანა მანქანით, სადაც მას ამ ორგანიზაციის ამიერკავკასიის მისიის მეთაური მიშელ მეიერი დახვდა. შემდეგ საჰაერო რეისი თბილისისაკენ...

ამ დღეებში ვინახულე თბილისში, ნათესავების ბინაში მეუღლესთან ერთად თავშეფარებული პროფესორი. წვერმოშვებული, გაცრეცილი

კაცი უცებ ვერც მივამსგავსე სოხუმური შეხვედრებიდან ხსოვნაში ჩარჩენილ ხალისიან, მზით გარუჯულ კაპიტანს...

– და მაინც, ამდენი წვალების, სიკვდილის თვალეში ჩახედვის შემდეგ, როგორ გესახებათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზები? – ვკითხე ბატონ ზურაბს.

– დაახლოებით ამგვარ კითხვაზე წერილობით პასუხის გაცემა მთხოვა გამომძიებელმა სოხუმის იზოლატორში შარშან, ნოემბრის დასაწყისში. მაშინაც ცალსახად აღვნიშნე, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და აფხაზური პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზაა. ამას ვინმე დაშინებული პატიმრის პასუხად ნუ მიიჩნევს. მე რომ მშიშარა ვყოფილიყავი, იქედან პირველი გამოვიქცეოდი და მაშველის მოლოდინში ახალ რაიონში, ფრონტისპირა ხაზზე არ ჩავრჩებოდი. ასე რომ, ეს არ იყო კონიუნქტურული მოსაზრება. ამ დასკვნამდე მიმიყვანა ყოველივე იმის გაანალიზებამ, რაც აფხაზეთში მოხდა. ქართველები ცოტა უცნაური ხალხი ვართ, არ გვჩვევია წარსულის გაკვეთილებიდან დასკვნების გაკეთება, ერთი და იგივე შეცდომას ხშირად ვიმეორებთ. განა არ ვიცით, ვინ დაგვამარცხა აფხაზეთში? განა ის ფაქტორები (რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია) უკვე აღარ არსებობს? ხომ უნდა გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, რომ სანამ არ მოხერხდება რუსეთის ნეიტრალიზება მაინც, სამხედრო აქციებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სამწუხაროდ, ეს ყველას არ ესმის. ამ თვალსაზრისით, მე განსაკუთრებით მაფიქრებს საქართველოს პარლამენტის რადიკალური უმცირესობის აგრესიულობა, რაც გადაედო აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოსაც (რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლავართ). რატომღაც ისე მგონია, და საგანგაშო სწორედ ეს არის, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ, უფრო აფხაზეთის ირგვლივ ხმაური აინტერესებთ და არა ამ პრობლემის რეალური გადაჭრა. მაშ, რას უნდა მივანეროთ ყოვლად მიუღებელი მოწოდებები შიმშილობისა და ხელისუფლების სანინაალმდეგო სხვა საპროტესტო აქციების მოწყობის შესახებ? მე არავისზე ნაკლებად არ მესმის, თუ რომელი გზაა იდეალური აფხაზეთის საკითხის (თუ ნებისმიერი მსგავსი პრობლემის) მოგვარებისათვის. მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ დღევანდელ საქართველოს არჩევანის საშუალება არა აქვს. სამწუხაროდ, დღეს საქართველო ვერ გაატარებს დავითის პოლიტიკას. ამისათვის არც შინაგანად ვართ მზად – ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის ზღურბლზეა და, რაც მთავარია, არც საამისო საგარეო-პოლიტიკური პირობები არსებობს. მეტიც: მე, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, ისიც უშუალოდ დავით აღმაშენებლის ეპოქის სპეციალისტი, კატეგორიულად ვაცხადებ: დავითიც კი ვერ იდავითებდა, ბიზანტიის იმპერია რომ არ დაუძღვრებულყო და სელჩუკეთი არ დაშლილიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დავით აღმაშენებელმა, სანამ სელჩუკთა წინააღმდეგ აქტიურ ომს დაიწ-

ყებდა, 10 წელიწადი მაინც მოანდომა ქვეყნის დაწყნარება-დალაგებას.

ყენევის მოლაპარაკებას, რასაკვირველია, გააჩნია უარყოფითი მხარეები, მაგრამ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და ამ ეტაპზე გამოვიყენოთ ის პოზიტიური, რაც უდაოდ ძვეს მასში.

თუ გალში 1-2 თვეში ხალხს შევიყვანთ, ეს დიდი დარტყმა იქნება აფხაზი ექსტრემისტებისათვის. მათთვის დიდი დარტყმაა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის თბილისში ვიზიტისას ხელმოწერილ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაც. ამას არ შეიძლება არ მოჰყვეს შუღლი და რღვევა სეპარატისტთა შორის. გამარჯვებით გამონწვეულმა ეიფორიამ მათ უკვე გაუარა. დღეს გუდაუთა ეყრდნობა მხოლოდ ექსტრემიზმს და მტკიცებას, გავიმარჯვეთო. როცა ეს ერთადერთი „არგუმენტი“ გამოეცლებათ, არძინბა პოლიტიკურ ლეშად იქცევა, რადგან აღარაფერი დარჩება მისი „დიადი მიზნისაგან“ – აფხაზეთი ჩამოაცილოს საქართველოს. აი, მაშინ საინტერესო პროცესები დაიწყება აფხაზეთში, ეს დრო შორს არ არის.

აქ მინდა ერთი შეხვედრა გავისხენო. 19 ოქტომბერს, ჩემი მოთხოვნით, საგამოძიებო იზოლატორში მინახულეს გუდაუთის მთავრობის წევრმა ბესლან კობახიამ და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ჩემმა კოლეგამ დაურ ბარგანჯიამ. ეს ის დრო იყო, როცა დასავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. და აი, მათ მე, აბსოლუტურ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი კაცი, „ნოკაუტში ჩამაგდეც“, საქართველო ინგრევა და აფხაზეთი დამოუკიდებლობას იღებსო. სიხარულს ვერ მალავდნენ, ერთ-ორ დღეში ქობალია ქუთაისს დაიკავენს და ამის შემდეგ საქართველო მინიმუმ 5 ნაწილად დაიშლებაო. არ დაუმალავთ, პირიქით, ხაზიც გაუსვეს აფხაზთა და ჩეჩენთა მონაწილეობას ქობალიას „ლაშქრობაში“. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, 15 ნოემბერს, როცა ქობალიას „ლაშქრობა“ უკვე ჩაფუშული იყო, პროკურორმა ბგანბამ, ჩემი დაკითხვის დროს, უარყო აფხაზთა მონაწილეობა ამ ავანტიურაში და საკმაო ინტერესით მოისმინა ჩემი მოსაზრება აფხაზურ-ქართული ურთიერთობის მომავალზე.

– თქვენ გჯერათ, რომ აფხაზეთში დავბრუნდებით?

– დარწმუნებული ვარ! ეს მძიმე მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ გარდაუვალია. ამაში ისტორიის ლოგიკა და მოვლენათა განვითარების კანონზომიერება მარწმუნებს.

დამშვიდობებისას ბატონმა ზურაბმა მთხოვა, „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით გადაეცით მადლობა ყველა იმ პირს, ორგანიზაციასა და საინფორმაციო საშუალებას, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ჩემს გამოსახსნელად.

მათ მართლაც ეკუთვნით ეს მადლობა!

ნარმომადგენელმა, პროფ. ზურაბ ანჩაბაძემ შემომთავაზა შ. ინალ-იფას ნიგნში განხილული ერთ-ერთი თემის ირგვლივ გამომეთქვა ჩემი აზრი.

– მაინც რა თემაზე უნდა გესაუბრათ ნიგნის განხილვაზე?

– საკითხი ეხებოდა ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებული ტერმინ „ობეზის“ (აფხაზეთი, აფხაზი) რეალურ შინაარსს. ეს თემა მე დამუშავებული მქონდა ჩემს საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც ძველი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებს შეეხებოდა XI-XII საუკუნეებში. მე ახალი არგუმენტებით შევამაგრე ქართულ ისტორიოგრაფიაში ურყევად მიჩნეული დასკვნა, რომლის მიხედვითაც ტერმინ „ობეზის“ ქვეშ ძველი რუსი ავტორები გულისხმობდნენ აფხაზეთს, აფხაზს მხოლოდ და მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ ერთიან ქართულ სახელმწიფოს და მის მოსახლეობას მთლიანად და არა საკუთრივ აფხაზეთსა და აფხაზებს დღევანდელი მნიშვნელობით, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდა შ. ინალ-იფა, თავის მონოგრაფიაში. ერთი სიტყვით, კრიტიკული რეცენზია მოვამზადე...

– შ. ინალ-იფას ნიგნი სოხუმში უნდა განხილულიყო?

– დიახ, განხილვა მოენყო ზემოსხენებულ დ. გულიას სახ. სამეცნიერ-კვლევით ინსტიტუტში, სადაც შ. ინალ-იფას დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. განხილვას უძღვებოდნენ ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გიორგი ძიძარია და პროფ. ზურაბ ანჩაბაძე. მთავარი მომხსენებელი ბატონი ზურაბი იყო. თავის საათნახვერიან გამოსვლაში, მან, როგორც იტყვიან კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა შ. ინალ-იფას ნაშრომი. ასევე კრიტიკულნი იყვნენ სხვა გამომსვლელებიც, განსაკუთრებით კი თვალსაჩინო აფხაზი ენათმეცნიერი პროფ. ხუხუტი ბლაჟბა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შემდგომში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ცნობილი იდეოლოგი, არქეოლოგი იური ვორონოვი, რომლის გამოსვლას სეპარატისტულად განწყობილი აუდიტორიის მწვავე რეაქცია მოჰყვა. სწორედ ი. ვორონოვის შემდეგ მომიწია მე გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ტექსტი მკაცრ აკადემიურ ჩარჩოებს არ სცილდებოდა და არც ტონი იყო მაინც და მაინც გამაღიზიანებელი, აუდუტორიამ სრული ობსტრუქცია მომიწყო. მათ თვალში მე თავზედი ლანჩირაკი ვიყავი, რომელიც ცდილობდა ეჭვს ქვეშ დაეყენებინა „საქვეყნოდ აღიარებული“ ჭარმაგი მეცნიერის დამსახურება. იმ დღეს მივხვდი, რომ დ. გულიას სახ. ინსტიტუტი სეპარატისტების ნამდვილი ბუნავი იყო... ასე დაიწყო ჩემი ბრძოლა აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მას შემდეგ, სეპარატისტულ მიდგომებს საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სეპარატისტულ ხედვას ლიად ვაკრიტიკებდი, რასაც მოყვა კიდევ ჩემი დევნა-შევიწროება. განსაკუთრებით აქტიურად სეპარატისტებმა შემომიტიეს 1982 წელს, მას შემდეგ რაც ცალკე ნიგნად გამოიცა ჩემი საკანდიდატო ნაშრომი.

მასში, ფაქტობრივად, მთლიანად აისახა ჩემი კრიტიკული შენიშვნები შ. ინალ-იფას წიგნზე. ცეცხლზე ნავთი დაასხა იმანაც, რომ ჩემი მონოგრაფია აღინიშნა იმჟამად ახალგაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი უმაღლესი ჯილდოთი – საქართველოს კომკავშირის პრემიით. ეს ანტიქართულად განწყობილმა აფხაზებმა ერთგვარ გამონევევად მიიღეს და, არც მეტი არც ნაკლები, ჩემი სამსახურიდან დათხოვნა და აფხაზეთიდან გასახლება მოითხოვეს (თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დონეზეც). ასეთ კრიტიკულ ვითარებაში მუდმივად მხარში მედგა ბატონი ზურაბ ანჩაბაძე, ცნობილი ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი და სხვ. და ეს სეპარატისტებთან ბრძოლის სტიმულს მაძლევდა.

– რაში მდგომარეობდა თქვენი მოსაზრება და რას ვერ ეგუებოდნენ აფხაზები?

– არც ერთ ზეპირ თუ წერილობით გამოსვლაში აფხაზი ცუდად არ მომიხსენიებია, პირიქით, სულ ვამბობდი, – აფხაზები და ქართველები ამ მიწის მკვიდრნი ვართ და ერთი ისტორიული წარსული გვაქვს. სმირად ვიშველიებდი აკად. ნიკო ბერძენიშვილის ცნობილ თეზას: ვეფხისტყაოსნის ეპოქის ქართული ცივილიზაცია აფხაზსაც ისევე ეკუთვნის, როგორც ქართლელს, იმერელს, ჰერ-კახს, მეგრელს, სვანსა და ა.შ. აფხაზებს ამის გაგონებაც არ უნდოდა და ნ. ბერძენიშვილს მტრადაც კი მიიჩნევდნენ. მათი მტკიცებით, შუა საუკუნეებში აფხაზეთი (პირველ რიგში „აფხაზთა“ სამეფო) დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული იყო, რომელსაც არაფერი არ აკავშირებდა ქართულ სამყაროსთან, რომ ქართველები იქ XIX საუკუნიდან, „მუჰაჯირობის“ შემდეგ ჩასახლდნენ. არადა, აფხაზეთი ეთნო-კულტურულად და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად ფაქტობრივად მთელი ცივილიზებული ისტორიის მანძილზე ქართული სამყაროს ორგანული ნაწილი იყო. შუა საუკუნეების მთელი კულტურული მემკვიდრეობა, დრანდა, მოქვი, ბიჭვინთა და ა.შ. საერთო-ქართული ცივილიზაციის ნაწილია... სხვათა შორის, მე არასოდეს ვუარყოფდი, რომ აფხაზები თანამედროვე აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა და რომ ისინი სულ ცოტა ბოლო 2 ათასი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ იქ ქართველებთან (ძირითადად მეგრელებთან) ერთად.

ამიტომაცაა, რომ ამჟამინდელ აფხაზთა თითქმის ნახევარს გააფხაზებული ქართველები, მათ შორის, ჩემი და თქვენი მოგვარეები, შეადგენენ. სოხუმში არსებობს ივანე პაპასკირის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა და ამ ადამიანის ღვაწლზე აფხაზები სიამაყით საუბრობენ, თუმცა ის აფხაზური ფესვებიდან არ მოდის...

– ყველამ ვნახეთ როგორ გაგრძლდა ეს დაპირისპირება და მოდით, ამაზე ნუ შევჩერდებით... ვიცი, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ ტყვეობაში აღმოჩნდით. როგორ გაიხსენებთ იმ დღეებს?

– მათ ტყვეობაში 100 დღე გავატარე და ამ პერიოდმა ჩემი ცხოვ-

რება მთლიანად შეცვალა... ვინაიდან ჯანმრთელობა არ მიწყობდა ხელს და მართალი გითხრათ, მეომრის სულიც არ არის ჩემში, იარაღი არასდროს მჭერია – მე ჩემი „იარაღი“ მქონდა. თსუ-ში სწავლის დროს სამხედრო კათედრა გავიარე და თადარიგის ოფიცერი ვიყავი. ამიტომაც სამხედრო დაპირისპირების დაწყების შემდეგ (თუმცა არა ერთბაშად) მიზანშეწონილად ჩავთვალე დაემდგარიყავი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარი ჩემი სტუდენტების გვერდით და მოკრძალებული წვლილი შემეტანა ქართული ჯარის პატრიოტული აღზრდის საქმეში. ასე მოვხვდი საქართველოს შეიარაღებულ ძალების II საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილებაში უფროს ოფიცრად. რატომღაც ბოლომდე მჯეროდა, რომ ომი მალე დამთავრდებოდა და ჩვენ შევრიგდებოდით, რადგან მე ვიცნობდი აფხაზებს და ვიცოდი, რომ ისინი პოლიტიკურზე წინ ადამიანურ ურთიერთობებს დააყენებდნენ. როცა აფხაზურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმება დაარღვია, ისე განვიცადე, რამდენიმე დღე ფეხზე ვერ ვდგებოდი. სოხუმის „ახალი რაიონის“ II მიკრორაიონი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ყველაზე ბოლოს დაეცა. დარჩენისკენ სხვებს მოვუწოდებდი და მე აქაურობა როგორ დავტოვო-მეთქი და წასვლა არც კი მიცდია. დედასა და მეუღლესთან ერთად სახლში ვიყავი. მახსოვს, სოხუმის დაცემის დღეს – 27 სექტემბერს, აფხაზი კარის მეზობელი, დაურ კვინინია დამადგა თავს, ხელში იარაღი ეჭირა და მომიბოდიშა, – ზურაბ, მაპატიე, რომ იარაღით შემოვედი. 10 დღე ჩემი აფხაზი და სომეხი მეზობლების მფარველობის ქვეშ ვიყავით. რამდენიმეჯერ შეიქმნა კარების შემომტვრევისა და ჩემი განადგურების საფრთხე, მაგრამ მეზობლები გადაუდგნენ. მახსოვს, თუ ლამის როგორ ჩაუვარდა მუხლებში, ჩემი სომეხი მეზობელი კალაიჯიანი თავის თანაკლასელ აფხაზს – უშიშროების სამსახურის ოფიცერს და ეხვეწა, ეს კაცი ავადმყოფია და არ წაიყვანო... ბოლოს 7 ოქტომბერს უშიშროების სამსახურის თანამშრომელმა მაინც იძალა და კატეგორიულად მოითხოვა ჩემი თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით დაიმუქრა. სხვა გამოსავალი არ მრჩებოდა, ოჯახის დანოკების თავიდან ასაცილებლად, მეც „ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე“, მით უფრო, რომ ჩემი მეზობლები და თანამებრძოლები რენო სურმაგა და გიორგი ტონაკანიანი უკვე დაეპატიმრებინათ. სოხუმის უშიშროებამდე მიყვანა ახლობელ აფხაზს ვთხოვე. იმ დღეებში არაერთი ცნობილი ქართველი: მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ასაკოვანი ხალხი სრულიად უდანაშაულოდ დახვრიტეს და ვერ ვიტყვი, როცა იქ მივდიოდი არ მეშინოდა-მეთქი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. უშიშროების სანსახურში, იმ პირთა სამ გვერდიანი სია დამიდეს, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ქართულ მოსახლეობაში. ჩემი გვარი მეორე გვერდზე ეწერა. რასაკვირველია, ვნერვიულობდი. ჩემს ყოფილ აფხაზ სტუდენტებსაც მოვკარი თვალი. ერთი გამერიდა, მაგრამ მეორე, გვარად აგრბა, გადამეხვია და

თბილად მომიკითხა. როცა აფხაზმა მაიორმა იარალი სახეში გამარტყა, ის და კიდევ ერთი მისი მოგვარე, ფაქტობრივად წინ გადაუდგნენ და არ დაანებეს ჩემი ცემა. ძალიან მიძიმს იმ წუთების გახსენება... იმ დღეს იყო ჩემი დახვრეტის მცდელობა, მაგრამ ხიფათისგან დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსმა ოთარ დელბამ გადამარჩინა...

– ალბათ ისიც იცოდნენ, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდით?...

– დიას, მაგრამ მათი აგრესიის მთავარი მიზეზი მაინც ჩემი სამოქალაქო საქმიანობა იყო. იდეოლოგი ხარო მითხრეს, 1989 წელს უნივერსიტეტის გახლეჩა და სისხლისღვრა შენს კისერზეაო... ერთი სიტყვით, ბრალად ორი მუხლი, – ერთა შორის შუღლის გაღვივება და ომის პროპაგანდა წამიყენეს. თავის დაცვა არ გამჭირვებია. ღიად ვამბობდი, რომ ქართულ მხარეს მთელი ომის განმავლობაში არასოდეს არ განუცხადებია, რომ აფხაზი ჩვენი მტერია და ის გავანადგუროთ, რომ ჩვენ ეს დაპირისპირება ყოველთვის ძმათამკვლელ ომად მიგვარჩნდა და აფხაზებს „ძეშეცდენილ“ მოძმეებად განვიხილავდით. ჩვენი იდეოლოგია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი იყო. ერთადერთი ჩემი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ მე ვიყავი სეპარატისტული კურსის აქტიური ოპონენტი (ჩემი „გმირობები“ ამ ფრონტზე იმდენად ცნობილი იყო, რომ ამის დამალვას აზრი არ ჰქონდა). სხვათა შორის, მათზე გავლენა მოახდინა იმან, რომ მე საბრძოლო მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობა არ მიმიღია. არ ვიცი რატომ, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ისინი ჩემი „დანაშაულის“ დამტკიცებას და ჩემს გაფუჭებას არ ცდილობდნენ.

– საკანში როგორი ვითარება იყო?

– ძალზე მძიმე. საკანში ჩემთან ერთად ძირითადად ქართველები (თუმცა, აქა იქ, სომხები, რუსები და უკრაინელებიც გამოერეოდნენ) იყვნენ... ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო კრიტიკული ხდებოდა. საკანში ისეთი ნესტი იყო, ფაქტობრივად სველ ლეიბებზე ვინეჩით, მაგრამ ეს რა მოსატანია, იმ ფსიქოლოგიურ სტრესთან, რაც მაშინ გადავიტანე.

– დედასა და მეუღლეზე იცოდით რამე?

– მეუღლემ მოახერხა და ჩემი დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ, დედაჩემი ზუგდიდში გამოამგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ჩემს სანახავად მოვიდა. გავგიჟდი, დედას შენც რატომ არ გაყევი-მეთქი. მეშინოდა ზენოლის მექანიზმად არ გამოეყენებინათ, — სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ ნამდვილად ცოცხალი იყავი, აქედან ვერ წავიდოდიო. იმავე დღეს ის მივიდა ჩემს ყოფილ სტუდენტთან, იმავედ სეპარატისტული ხელისუფლების მაღალჩინოსანთან, მინისტრთან და ამავე დროს ტყვეთა გაცვლის კომისიის აფხაზური მხარის თავმჯდომარესთან ბესლან კობახიასთან და დახმარება სთხოვა. ბოლოს, ჩემი მეზობლების წყალობით, ჭუბურხინჯის გზით გაიყვანეს...

– რაულ ხაჯიმბამ რა როლი ითამაშა თქვენს იქაურ ყოფაში?

– რაულ ხაჯიმბას საქართველოს ისტორიას ვასწავლიდი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის „სამართალმცოდნეობის“ სპეციალობის რუსულ სექტორზე სწავლობდა ქართველებთან, რუსებთან და სომხებთან ერთად. რაული იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი ხალასი ნიჭით, ნაკითხობით, ანალიტიკური აზროვნებით (აფხაზურ აუდიტორიაში ასეთი ცოტა შემხვედრია) და კეთილშობილებით. მის კურსთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მქონდა. აღსანიშნავია, რომ მე ვიყავი ერთადერთი არაიურისტი ლექტორი, რომელიც კურსმა გამოშვების საღამოზე მიიწვია. სურათიც კია გადაღებული, რომელზეც მე იურისტ კოლეგებთან და სტუდენტებთან (მათ შორის რაულ ხაჯიმბასთან) ერთად, ვარ აღბეჭდილი. მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის მე არსად შემხვედრია. გვიან გავიგე, რომ უშიშროებაში მუშაობდა. პირველად ის ჩემთან მოვიდა დაპატიმრებიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, რათა თან მხლებოდა სატელევიზიო ინტერვიუს ჩანერისას, რომელიც აფხაზმა სამართალდამცველებმა „შემომთავაზეს“.

– **რაში სჭრიდებოდა თქვენი ტელევიზიით გამოსვლა?**

– ეს იყო იმჟამად „გენერალური პროკურორის“ მოვალეობის შემსრულებლის სერგეი ბგანბას, რომელმაც მე უშუალოდ დამკითხა, წინადადება. მისი შვილი ომში მოუკლავთ და თავიდან აშკარად ეტყობოდა აგრესიულობა. დახვრეტითაც კი დამემუქრა, მაგრამ 5 საათიანი დაკითხვისას ჩემი მეუღლის დეიდა ვახსენე. მე ვიცოდი, რომ ქ-ნი ეთერი კომახიძე (80-იან წლებში საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე) მისი დის – ლილი ბგანბას (იმავე პერიოდში აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრის) ახლო მეგობარი იყო. პროკურორი ერთბაშად მოლბა, თავი დახარა, და მითხრა, თქვენ იცით, რომ ეთერი დავითის ასული დედაჩემის დაკრძალვაზე იყო... ანუ ისეთ მძიმე ვითარებაშიც კი, ადამიანური ურთიერთობები გადამწყვეტი აღმოჩნდა და უკვე იმაზე დავინწყეთ ლაპარაკი, ციხიდან გასვლის შემდეგ, აფხაზეთიდან გალის გავლით გამოვსულიყავი თუ ადღერიდან. დამშვიდობებისას, ს. ბგანბამ უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსანს ზურაბ აგუმავას, რომელსაც თავდაპირველად მიჰყავდა ჩემი საქმე, ჩემთან სატელევიზიო ინტერვიუს ჩანერა დაავალა. პროფესორია, ვილაცა ხომ არ არის, თქვას თავისი აზრიო?.. ეს სიტყვები არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი? ისღა ვუთხარი რომ, ინტერვიუს გათავისუფლების შემდეგ მივცემ და მხოლოდ იმას ვიტყვი, რასაც აქამდე ვამბობდი-მეთქი. აი ამ საქმის ორგანიზება ჰქონდა დავალებული ხაჯიმბას. როცა საკნიდან გამომიყვანეს და იზოლაციის სამორიგეო ოთახში შემიყვანეს, სწორედ იქ დამხვდა რაული. ის ძალიან თბილად შემხვდა, გადავეხვიეთ ერთმანეთს. ზედამხედველები გაოცებულნი გვიყურებდნენ. შემდეგ გადამიყვანა სამინისტროს შენობაში, სადაც უკვე ცნობილი ტელეჟურნალისტი გიორგი გულია, დიმიტრი გულიას შვილიშვილი, რომელიც 5 წელი ჩემი სტუდენტი იყო (ამჟამად საინფორმაციო

სააგენტოს „ინტერფაქსის“ ერთ-ერთი „ბოსი“ მოსკოვში) მელოდებოდა. გავბედე და კამერას ხელი დავაფარე, – მე ჩემი პირობები მაქვს-მეთქი. გიორგის ჩემი საქციელი გაუკვირდა, რა პირობებით. მე ვუთხარი, რომ ამის შესახებ რაულმა იცოდა. მანაც დაუდასტურა. გიორგი ინტერვიუს „ჩავარდნამ“ ძალიან გააბრაზა და თავხედურად მელაპარაკა. ნავკამათდით კიდეც. – რა არ გყოფნიდათ ქართველებს, ყველაფერი თქვენს ხელში იყო? მე საკადრისი პასუხი გავეცი. ასე გადავრჩი ტელევიზიით გამოსვლას. რაული ჩემთან შემდეგაც მოდიოდა და მომიკითხავდა. დღემდე ყურებში ჩამესმის მისი და ზურაბ აგუმაშვას სიტყვები, „ვალერიანოვიჩ, ხომ არაფერი განუხებთო“.

სხვათა შორის, მანამდე ჩემთან იზოლატორში ზემოთნახსენები ბესლან კობახიაც მოვიდა, ჩემს კიდეც ერთ ყოფილ სტუდენტ დაურმარლანისთან და უნივერსიტეტელ კოლეგასთან, მაშინდელი უმაღლესი საბჭოს დეპუტატ დაურ ბარგანჯიასთან ერთად. დახმარებას დამპირდნენ. ეს ვიზიტი, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულადაც კი ვიკამათეთ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამის შემდეგ ჩემს მიმართ იზოლატორის თანამშრომლების დამოკიდებულება შეიცვალა. ერთი სიტყვით, უფლის ნებითა, აფხაზთა უღალატობით, აგრეთვე ცნობილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა (აღსანიშნავია, რომ მოსკოვიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოსებიც კი გამომეჩომაგნენ) და ხელისუფლების წარმომადგენლების თანადგომით, ჩემი დახსნა მოხერხდა. საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემს გათავისუფლებას ითხოვდნენ. თბილისში დაბრუნების შემდეგ აკად. როინ მეტრეველმა, უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც ორი დეპეშა გაუგზავნა ვლადისლავ არძინბას და კატეგორიულად მოსთხოვა მას ჩემი გათავისუფლება, მითხრა, რომ მისი ყველა საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან მთავრდებოდა, იქნებ ზურაბ პაპასქირს როგორმე ვუშველოთო... აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზებს ეშინოდათ, ციხიდან გასვლის მერე არ მოვეკალი ვინმეს... საბოლოოდ გადაწყდა, „ნითელი ჯვარი“ ადლერში ჩამიყვანდა და იქიდან თვითმფრინავით თბილისში ჩამოვედი.

– ამ ყველაფრის შემდეგ, რა გზას ხედავთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღსადგენად?

– მე ყოველთვის გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვიყავი და ასეთად ვრჩები დღესაც. ჩვენს შერიგებას ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ ამას თავისი წინაპირობები უნდა უძლოდეს: აფხაზურმა მხარემ უნდა შეწყვიტოს ანტიქართული რიტორიკა, ერთხელ და სამუდამოდ უარყოს სრულიად მცდარი შეფასება, თითქოს მათ მოიპოვეს გამარჯვება „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“. განა აბსურდი არ არის ლაპარაკი „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ გამარჯვებაზე, რომლის შედეგად ამ „აფხაზეთის ხალხის“ თითქმის 2/3 გამოძევებულია მშობლიური მიწა-წყლიდან?!

აფხაზებმა უნდა შეიგნონ, რომ ეს იყო ძმათამკვლელი სისხლიანი დაპირისპირება, რომელშიც გამარჯვებული არ არსებობს და რომ მოხდა ეთნონმენდა. აფხაზურმა მხარემ უნდა აღიაროს, რომ აფხაზეთი არის ქართველთა და აფხაზთა საერთო სახლი, რომელშიც აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ დევნილები. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ, შევძლებთ თუ არა ერთად ცხოვრებას ერთიან სახელმწიფოში. და თუ ვერ შევძლებთ, მაშინ ცივილიზებულად „გაყრაზე“ შეიძლება ვიფიქროთ, მაგრამ თანასწორუფლებიან, სამართლიან პირობებში. ასეთია ჩემი პოზიცია.

კიდებულება ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ტყვეობიდან პროფესორი ზურაბ პაპასქირი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით

რექტორი, აკადემიკოსი

როინ მეტრეველი

გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.12.1993

В ПОДДЕРЖКУ ВИДНОГО ГРУЗИНСКОГО УЧЕНОГО

Ученый совет Сухумского филиала Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили выражает решительный протест по поводу ареста в Сухуми нашего коллеги, видного грузинского ученого, заведующего кафедрой истории Грузии нашего филиала, доктора исторических наук, профессора Зураба Папаскири, которого 28 сентября 1993 года, после падения Сухуми, арестовали больного, лежащего в постели. Профессору Зурабу Папаскири предъявлены совершенно необоснованные, нелепые обвинения, фактически это сведение счетов с идейным оппонентом, против которого не нашлось иных аргументов, кроме грубой силы. Готовится судебная расправа над ученым за его политические взгляды и научные убеждения, совсем как во времена средневековой инквизиции.

В настоящее время профессор Зураб Папаскири находится в Сухумской тюрьме, состояние его здоровья с каждым днем ухудшается. Многократные обращения к абхазской стороне с просьбой освободить больного ученого, не возымели действия, не помог и подписанный в Женеве *«Меморандум о понимании»*, в котором стороны согласились обменять военнопленных по принципу «всех на всех».

Ученый совет Сухумского филиала ТГУ, обеспокоенный судьбой профессора Зураба Папаскири, обращается к мировой общественности, ко всем ученым и преподавателям мира с призывом возвысить голос в защиту нашего коллеги, чтобы вызволить его из застенков инквизиторов двадцатого века.

Ученый совет Сухумского филиала

Тбилисского государственного университета

имени Иванэ Джавахишвили.

გაზ.: *«Демократическая Абхазия»*, 29.12.1993.

**ПРЕЗИДЕНТУ МЕЖДУНАРОДНОГО ФОНДА ГУМАНИТАРНЫХ
ИНИЦИАТИВ, КООРДИНАТОРУ МЕЖДУНАРОДНОЙ ПОСТОЯННОЙ
КОМИССИИ ГРАЖДАНСКОЙ ДИПЛОМАТИИ ПО КОНФЛИКТУ**

В АБХАЗИИ, Г-НУ Н. С. ДИКО

Уважаемый Николай Сергеевич!

Ваше обращение по поводу З. Папаскири будет немедленно передано г-ну С. Джинджолия по его возвращении из Женевы.

Однако могу сообщить вам, что распоряжением генерального прокурора Республики Абхазия дело в отношении З. Папаскири прекращено. Об этом грузинская сторона уже поставлена в известность. Нерешенными остаются лишь технические вопросы передачи З. Папаскири грузинской стороне.

Всего доброго
Ю. Д. Анчабадзе

**РОССИЙСКАЯ
АКАДЕМИЯ НАУК
ОТДЕЛЕНИЕ ИСТОРИИ**
117334 ГСП-1 Москва в-334
Ленинский просп., д. 32 а
т. 938-17-63 14100-1255/222

**ПОСОЛЬСТВО
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ В
РЕСПУБЛИКЕ ГРУЗИЯ**
380002, Тбилиси,
пр. Д. Агмашенебели, 61.

Мы, учёные институтов Отделения истории Российской академии наук с сожалением констатируем, что братоубийственный конфликт между Абхазией и Грузией еще далеко не завершился. Мы с беспокойством узнали о нахождении в плену известного учёного историка, профессора Сухумского университета З. В. Папаскири. Мы призываем политические власти в Абхазии продемонстрировать милосердное отношение к грузинскому учёному, ибо только сострадание и поиск гуманных подходов помогут затушить взаимную неприязнь и решить самые сложные вопросы.

Академик-секретарь Отделения истории РАН, академик **Ковальченко И. Д.**
Председатель Национального комитета российских историков, академик
Тихвинский С. Л.

Академик **Болховитинов Н. Н.**
Директор Института Российской истории
член-корреспондент **Сахаров А. Н.**

თაშორისო სამართლებრივი ნორმებით არ შეესაბამება სამხედრო ტყვის სტატუსს. მათზე აღძრული იყო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმე. ასევე გაუგებარია, რატომ არ არსებობს საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურად გაცხადებული რეაქცია ბატონ ზურაბ პაპასქირის უკანონო პატიმრობის შესახებ; რატომ არ არის ცნობილი არაფერი საზოგადოებრიობისათვის იმათ შესახებ, ვინც ქართველი ტყვეების სანაცვლოდ გადაეცა ე.წ. აფხაზურ მხარეს.

ეროვნული ერთიანობის საბჭო – აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაცია მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ბატონ ზურაბ პაპასქირის მოძალადეთა ტყვეობიდან დაუყოვნებლივი და უპირობო გამოსნისათვის.

**ეროვნული ერთიანობის საბჭო – აფხაზეთის
განთავისუფლების ორგანიზაციის სახელით,
პოლიტიკური მდივანი
მალხაზ პატარაია
25.12.1993.**

**МИНИСТРУ ВНУТРЕННИХ ДЕЛ РЕСПУБЛИКИ АБХАЗИЯ
ГЕНЕРАЛ-МАЙОРУ
АГРБА Г. К.**

Согласно договорённости Абхазской и Грузинской делегаций на Женевских переговорах под эгидой ООН и посредничестве России, изменена мера пресечения ПАПАСКИРИ Зурабу Валерьяновичу.

Вопрос выезда его за пределы Республики вами должно быть согласовано со Службой безопасности РА.

В случае выезда Папаскири З. В. за пределы Республики прошу обеспечить его безопасность на территории Республики Абхазия.

**И.о. прокурора Республики Абхазия
старший советник юстиции
С. Д. БГАНБА**

Ареспублика Аѳсны
Апрокуратура
Прокуратура Республѳии
Абхазѳия

№ 4
11. დეკემბერი 1993

Министру Внутренних Дел Республики
Абхазия
генерал-майору
АГРБА Г.К.

Согласно договорённости Абхазской и Грузинской делегаций на Женевских переговорах под эгидой ООН и посредничестве России, изменена мера пресечения ПАПАСКИРИ Зурабу Валерьяновичу.
Вопрос выезда его за пределы Республики Вами должно быть согласовано со Службой безопасности РА.
В случае выезда Папаскири З.В. за пределы Республики прошу обеспечить его безопасность на территории Республики Абхазия.

И.о. прокурора Республики Абхазия
старший советник юстиции

С.Д. БГАНБА

МЕЖДУНАРОДНЫЙ КОМИТЕТ КРАСНОГО КРЕСТА

14 января 1994 года представители властей изолятора Временного Содержания (ИВС) города Сухуми передали международному комитету красного креста (МККК) господина Папаскири Зураба Валерьяновича.

Министерство Внутренних Дел (МВД) Республики Абхазии предоставляют Международному Комитету красного креста (МККК) разрешение перевести г-на Папаскири в Россию.

Сухуми.

Международный Комитет Красного Креста

Сильвана Мутти

Делегат

Согласовано:

Министр ВД РА

генерал-майор **Г. К. Агрба**

14/01-94 г.





თსუ-ს სტუდენტი ზურაბ პაპასქირი



სტუდენტი ზ. პაპასქირი პროფ. შოთა მესხიასთან და პროფ. დიტერ ფრიკესთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ერთად (ახალი ათონი, 1971წ.)





ზურაბ პაპასქირი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი გამოცემა (სოხუმი, 1984წ.) /პროფ. დავით დოღბაძის ფოტორეჟივიდან/



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ერთი ნაწილი (თბილისი, 2009წ.)



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის უფროსი ოფიცრები – კაპიტანი ზურაბ პაპასქირი და კაპიტანი ზურაბ დადიანი – მებრძოლებთან ერთად (სოხუმი, 1993წ.)



სეპარატისტთა ასდღიანი ტყვეობიდან გათავისუფლებული პროფ. ზურაბ პაპასქირი (თბილისი, იანვარი-თებერვალი, 1994წ.)



სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთი“ (სსუ, 2011წ.).



აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძესთან.

მაულ ძალებსა და აღმოსავლეთის ვასალი მეფეების დამხმარე ჯარებს. ციცერონის ცნობით, პომპეუსმა გადაწყვიტა „აელევებინა ყველა ზღვა, ყველა ქვეყანა, აემხედრებინა ბარბაროსი მეფეები და იტალიაში შეიარაღებული ველური ტომები შეეყვანა“.¹ პომპეუსის იმედები გამართლდა კიდეც. მართლაც თითქმის მთელი წინა აზია პომპეუსის მხარეს დადგა. აქ ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ძლევამოსილი პომპეუს მაგნუსი და მისი ბრწყინვალე აღმოსავლური კამპანია; რომაულ აღმოსავლეთში ჯერაც ძალაში რჩებოდა პომპეუსის მიერ ძვ. წ. I ს. 60-იან წლებში გატარებული ღონისძიებები და იგი კვლავ ინარჩუნებდა რეალურ გავლენას აღმოსავლეთის ხალხებსა და მათ მმართველებზე.

როგორც ცნობილია, პომპეუსმა, ჯერ კიდევ ძვ. წ. 65 წელს, მითრიდატე VI ეპატორისა (ძვ. წ. 120-63 წწ.) და მისი მოკავშირეების განადგურების შემდეგ, საკუთარი სურვილისამებრ შეცვალა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. აღმოსავლეთში გატარებული რეორგანიზაციის დროს, დიდ როლს თამაშობდა პომპეუსის პირადი კავშირები იქაურ მცხოვრებლებთან. პომპეუსი დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი ლიდერების მიერ მისდამი განეულ დახმარებას. იგი ერთგულების სანაცვლოდ გულუხვად ურიგებდა მათ საპატიო ტიტულებსა და სამმართველო ტერიტორიებს. პომპეუსის აღმოსავლური კამპანიის შემდეგ წინა აზიაში დაიწყო მის მიერ დანიშნული ცალკეული მეფეების, მმართველებისა თუ დინასტიების აღზევების ხანა. მაგალითად, ასე მიიღო ძალაუფლება ბოსფორის მეფე ფარნაკემ, კაპადოკიის მეფე არიობარზანმა მიიღო სოფენა და კილიკიის მთიანი ნაწილი, ანტიოქოს კომაგენელმა – სელევკია და მესოპოტამიის სხვა ნაწილები, დეიოტარემ და სხვებმა გალატიის ტეტრარქოსობა, ატალოსმა – პაფლაგონია, არქელაოსმა – კომანას მთავარი ქურუმობა, ხოლო კასტორმა – ფანაგორია.² მათ რიცხვში იყო არისტარქეც, რომელიც პომპეუსმა კოლხთა დინასტად დანიშნა.³

¹ *Cic., Att., VIII, 11, 2.* – იხ. *Письма Марка Туллия Цицерона к Аттику, близким, брату Квинту.* М., Бруту. т. II, годы 51-46. Перевод и комментарии **В. О. Горенштейна**, М.-Л., 1950, გვ. 232.

² *App., Mitr., 114.* – იხ. **აპიანე.** მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო **თ. ყაუხჩიშვილმა.** თბ., 1959, გვ. 220-221; **ლ. სანიკიძე.** რომის გვიანდელი რესპუბლიკა. თბ., 1970, გვ. 270

³ *App., Mitr., 114.* სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია, რომ არისტარქე იყო ადგილობრივი დიდებული, ან ერთ-ერთი სკეპტუხი, რომელიც მხარს უჭერდა პომპეუსს და კოლხეთის მმართველად დაინიშნა რომაელთათვის განეული სამსახურის გამო (**Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 115; **Г. А. Лордкипанидзе.** К истории древней Колхиды. Тб., 1970, გვ. 37; **Th. Reinach.** *Mitridate Eupator roi du Pont.* Paris, 1890, გვ. 407; **D. Magie.** *Roman rule in Asia Minor, vol. I* Princeton, New Jersey, 1950, გვ. 374). ახალორგანიზებული პონტოს პროვინციისაგან კოლხეთის გამოყოფა და მისი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ფორმირება, უდავოდ, არისტარქეს დიდ ავტორიტეტზე, მის მიერ პომპეუსისათვის განეულ

პომპეუსმა, მის მიერ აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკით, პირადად მისადმი ერთგულების ნიშნით შერჩეული, უშუალოდ მისგან და არა რომის სახელმწიფოსაგან დავალებული პიროვნებების დანიშნაურებით, ახალშემოერთებულ წინა აზიაში საფუძველი ჩაუყარა თავის ბატონობას, მოიპოვა იქ აურაცხელი სიმდიდრე, სამხედრო ძალები და დიდება, რაც აუცილებლად სჭირდებოდა მას მომავალში, რომში მოსალოდნელ პოლიტიკურ ბრძოლებში. პომპეუსის ამ პოლიტიკამ გაამართლა კიდევ და ძვ. წ. 48 წელს კეისრის წინააღმდეგ გამართულ ომში, თითქმის მთელი წინა აზია მის მხარდამჭერად გამოვიდა. პომპეუსის გარშემო მალე დიდმა სამხედრო ძალებმა დაიწყო თავმოყრა. ილირიის ქალაქ დირაქიუმში, რომელიც პომპეუსელთა მთავარი ბაზა იყო, გამოცხადდა აღმოსავლეთის მრავალი მეფე და მთავარსარდალი.¹ სანამ პომპეუსი ბალკანეთში ძალებს იკრებდა, კეისარი სწრაფად გადავიდა ესპანეთში, რათა თავიდან აეცილებინა იქ მდგომი რესპუბლიკელთა ჯარების თავდასხმა იტალიაზე. მიუხედავად იმისა, რომ მთავარსარდალის გარეშე დარჩენილმა ესპანეთის ლეგიონებმა კეისარს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, საბოლოოდ ისინი იძულებული გახდნენ კაპიტულაცია გამოეცხადებინათ.

რომში დაბრუნების შემდეგ, ძვ. წ. 49 წ. მიწურულს კეისარი უკვე უშუალოდ პომპეუსის წინააღმდეგ დაიძრა,² რომელსაც ამ დროისთვის უკვე უზარმაზარი სამხედრო ძალები ჰყავდა შეკრებილი. პომპეუსის საბრძოლო დროშებქვეშ იდგა 11 ლეგიონი, 7000 ცხენოსანი და მოკავშირეთა მრავალრიცხოვანი დამხმარე ძალები. მოკავშირეთა შორის იყვნენ იონიელები, მაკედონელები, ლაკონიელები, ბეოტიელები, კრეტელი მშვილდოსნები, თრაკიელი შუბოსნები, პონტოელები, გალატები, კომაგენელები, კილიკიელები, კაპადოკიელები, ბითინიელები, მცირეაზიური ნიელები, პამფილიელები, პისიდიელები, პაფლაგონიელები, კვიპროსელები, როდოსელები, სირიელები, ფინიკიელები, ნუმიდიელთა რაზმები, ებრაული ტომები და არაბები.³ გარდა ამისა, პომპეუსის განკარგულებაში იყო ძლიერი სამხედრო ფლოტი, რომელიც „ხუთას საბრძოლო ხომალდსა და აურაცხელ მსუბუქ და საზვერავ კანჯოს შეიცავდა“.⁴ მათგან საკუთრივ რომაული იყო 100 ხომალდი, ხოლო დანარჩენი მოკავშირეთა მიერ იყო გამოყვანილი.⁵ პომპეუსელთა გაერთიანებული ფლოტის სარ-

სერიოზულ დახმარებასა და მათ შორის პიროვნულადაც ახლო ურთიერთობებზე მეტყველებს. პომპეუსსა და არისტარქეს შორის რომ მართლაც განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობდა, ამას არისტარქეს მიერ ძვ.წ. 52 წ. ვერცხლის მონეტის მოჭრა (იხ.: **Д. Г. Капанадзе.** Грузинская нумизматика. М., 1955, გვ. 41-42) ადასტურებს, რის ნებასაც რომაელები ხშირად ვასალ მეფეებსაც კი არ აძლევდნენ.

¹ **Plut.**, Pomp., 64.

² **Plut.**, Caes., 37; **Plut.**, Pomp., 55.

³ **App.**, Bell. civ., II, 49, 71; **Т. Моммзен.** История Рима.Т., 3, кн.5, М.,2002, გვ. 398.

⁴ **Plut.**, Pomp., 64.

⁵ **App.**, Bell. civ., II, 49; **Т. Моммзен.** История Рима, გვ. 399.

დალი იყო მარკუს კალპურნიუს ბიბულუსი, ხოლო ფლოტის ძირითადი ბაზა იყო კუნძული კერკირა.¹

მიუხედავად იმისა, რომ პომპეუსის ფლოტი ადრიატიკის ზღვაზე ბატონობდა, კეისარმა მაინც შეძლო საბერძნეთში ჯარების გადაყვანა. კერკირასთან მდგომი პომპეუსის ფლოტის მეთაურთაგან არავის მოსვლია აზრად, რომ კეისარი მცირე ძალებით გაბედავდა ზღვის გადალახვას. აკროკერაენის კონცხზე გადმოსულმა კეისარმა კი სწრაფად აიღო სანაპირო ქალაქები – პალესტე, ორიკოსი, აპოლონია და დირაქიუმისაკენ დაიძრა.² მარკუს ბიბულუსმა აქტიურად დაიწყო შეცდომის გამოსწორება და თავისი მრავალრიცხოვანი ფლოტი იტალია-ბალკანეთს შორის ყოველგვარი კავშირის გადასაჭრელად ეპირისა და ილირიკის გასწვრივ განალაგა. მალე ბლოკადამ შედეგიც გამოიღო და ბიბულუსმა ხელთ იგდო კეისრის ფლოტის ნაწილი, რომელმაც ხმელეთზე გადაასხა ჯარები და იტალიაში ბრუნდებოდა ახალი ძალების გადმოსაყვანად. ბიბულუსის ბრძანებით ეს გემები ეკიპაჟიანად დაწვეს.³ ამის შემდეგ ბიბულუსი მალე გარდაიცვალა. თუმცა, რესპუბლიკელთა ფლოტის ახალმა მეთაურმა ლუციუს ლიბონმა კიდევ უფრო გაამკაცრა ზღვაზე კონტროლი და ერთი პერიოდი თვით ბრუნდიზიუმის ნავსადგურის ბლოკირებაც კი მოახდინა.⁴

ზღვისაგან მოწყვეტილი კეისარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას იტალიიდან არც დამხმარე ძალების და არც სურსათის მიღება შეეძლო. თუმცა, ბოლოს კეისრის მიერ იტალიის მმართველად დატოვებული მარკუს ანტონიუსმა მაინც შეძლო ბლოკადის გარღვევა და კეისრის დასახმარებლად ბრუნდიზიუმიდან ბალკანეთის სანაპიროზე ახალი ჯარები გადმოიყვანა. ზღვაზე გამოჩენისთანავე მის წინააღმდეგ დაიძრა პომპეუსის მრავალრიცხოვანი ფლოტი, მაგრამ ანტონიუსს გაუმართლა. უეცრად ამოვარდნილმა ქარმა რესპუბლიკელთა ფლოტს მიმართულემა შეუცვალა და უკანვე გაიტაცა. ანტონიუსმა მოახერხა დირაქიუმის ჩრდილოეთით, ლისოსთან გადმოსვლა.⁵

ძვ. წ. 48 წ. დასაწყისში სამხედრო მოქმედებები დირაქიუმის მახლობლად მიმდინარეობდა და ძირითადად ცალკეული შეტაკებებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ ძვ. წ. 48 წ. 26 მაისს, ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს, პომპეუსმა მძლავრი იერიში მიიტანა კეისრის ჯარებზე. ხმელეთიდან ფრონტალურ შეტევასთან ერთად საზღვაო გზით მოწინააღმდეგის ზურგში პომპეუსელთა დესანტიც იქნა გადასხმული. კეისარი სასტიკად დამარცხდა. მან კინალამ ბანაკიც დაკარგა და თვითონაც ძლივს გადაურჩა

¹ App., Bell. civ., II, 49; T. Mommsen. История Рима, გვ. 399.

² Plut., Caes., 37; Plut., Pomp., 55; App., Bell. civ., II, 48; T. Mommsen. История Рима.Т., 3, кн.5, გვ. 401.

³ App., Bell. civ., II, 49; T. Mommsen. История Рима.Т., 3, кн.5, გვ. 401.

⁴ T. Mommsen. История Рима.Т., 3, кн.5, გვ. 401.

⁵ App., Bell. civ., II, 59; Plut., Caes., 39; T. Mommsen. История Рима.Т., 3, кн.5, გვ. 403.

სიკვდილს.¹ თუმცა, პომპეუსმა ვერ შეძლო ესარგებლა მიღწეული წარმატებით და საშუალება მისცა მონინალმდეგეს თესალიაში გადასულიყო. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 48წ. 9 აგვისტოს, ქ. ფარსალოსთან.²

აპიანეს ცნობით, „ასეთი რაოდენობის იტალიური ჯარები აქამდე არასდროს დაჯახებია ერთმანეთს“.³ საკუთრივ იტალიური ჯარების გარდა, ორივე მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობდნენ მოკავშირეთა დამხმარე ძალებიც. თუმცა, თუ კეისრის მოკავშირეები ძირითადად ცისალპური და ტრანსალპური გალიის ცხენოსნებისაგან, აკარნანიელი და ეტოლიელი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისაგან შედგებოდა,⁴ პომპეუსის მხარეს იბრძოდა თითქმის მთელი რომაული აღმოსავლეთი. იმავე აპიანეს ცნობით, „პომპეუსის მხარეს იყო ყველა აღმოსავლელი ხალხი – ერთნი ცხენებით, სხვები ქვეითად; ელადიდან – ლაკონიელები, თავიანთი მეფეების წინამძღოლობით და პელოპონესის დანარჩენი ნაწილიც; მათთან ერთად ბეოტიელებიც; ბრძოლაში მონაწილეობდნენ ათენელებიც. ელინების გარდა მოკავშირეთა შორის იყვნენ ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი: თრაკიელები, ჰელესპონტელები, ბითინიელები, ფრიგიელები, იონიელები, ლიდიელები, პამფილიელები, პისიდიელები, პაფლაგონიელები, კილიკიელები, სირიელები, ფინიკიელები, ებრაული ტომები და მათი მეზობელი არაბები, კვიპროსელები, როდოსელები, კრეტელი შუბოსნები და სხვა კუნძულთა მცხოვრებნიც. იყვნენ მეფეებიც და დინასტიებიც, რომლებსაც მოყვანილი ჰყავდათ საკუთარი ჯარები: აღმოსავლეთ გალატების ტეტრარქოსი – დეიოტარე, კაპადოკიის მეფე არიარატე, სტრატეგოსი ტაქსილე, რომელმაც მოიყვანა სომხები“.⁵ მიუხედავად იმისა, რომ პომპეუსის არმია ორჯერ და მეტად აღემატებოდა კეისრისას,⁶ ის მაინც სასტიკად დამარცხდა. აქედან პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა. მაგრამ, ეგვიპტეში გადასვლისთანავე ის მუხანათურად მოკლეს.⁷

მართალია, პომპეუსის მოკავშირეთა შთამბეჭდავ ჩამონათვალში აპიანე კოლხებს არ იხსენიებს, მაგრამ, როგორც ირკვევა ფარსალოსის ბრძოლაში ისინიც მონაწილეობდნენ. ბალკანეთში მიმდინარე ბატალიების კონტექსტში კოლხებს ორჯერ იხსენიებს ცნობილი რომაელი სა-

¹ **Plut.**, Pomp., 65, Caes., 39; **App.**, bell. civ., II, 61; **Т. Моммзен.** История Рима.Т., 3, кн.5, გვ. 405; **Е. А. Разин.** История военного искусства, т. I. М., 1955, გვ. 387-388.

² **კ. სურგულაძე.** ციცირონი და რომი. თბ., 2009, გვ. 316; **Т. Моммзен.** История Рима.Т., 3, кн.5, М., 2002, გვ. 411. შდრ. **Е. А. Разин.** История военного..., გვ. 388.

³ **App.**, Bell. civ., II, 77.

⁴ **App.**, Bell. civ., II, 71.

⁵ **App.**, Bell. civ., II, 70-71.

⁶ **Plut.**, Pomp., 69; **App.**, Bell. civ., II, 70. თუმცა არსებობს განსხვავებული მონაცემებიც. ფარსალოსის ბრძოლაში მონაწილე ჯარების რაოდენობის შესახებ დანვრ. იხ. **Г. Дельбрюк.** История военного искусства, т. I. М., 1936, გვ. 421, შენ. 1.

⁷ **Plut.**, Pomp., 78-80.

ხელმწიფო მოღვაწე, მწერალი და ფილოსოფოსი მარკუს ტულიუს ცი-ცერონი (ძვ. წ. 106-43 წწ.). ძვ. წ. 48 წ. 17 მარტს იგი წერდა თავის მეგობარს ატიკუსს: „ალექსანდრიის, კოლხეთის, ტვიროსის, სიდონის, არადის, კვიპროსის, პამფილიის, ლიკიის, როდოსის, ქიოსის, ბიზანტიონის, ლესბოსის, სმირნის, მილეტის, კოსის ფლოტი ემზადება გზა ჩაუკეტოს იტალიას და დაიკავოს ხორბლის მომცემი პროვინციები სიცილია და სარდინია“.¹ იმავე წლის 18 მარტის ბარათით კი ციციერონი იგივე ადრესატს აცნობებდა იმ ხმების შესახებ, თითქოს მან მიუყვანა პომპეუსს „გეტების, სომხებისა და კოლხების ურდოები“.²

ამ ცნობებიდან გამომდინარე, როგორც მიიჩნევა მკვლევართა ნაწილი, კოლხების მონაწილეობა პომპეუსსა და კეისარს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომში და კერძოდ, ფარსალოსის ბრძოლაში, სადავო არ უნდა იყოს.³ თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აბსოლუტურად

¹ Cic., Att., IX, 9.

² Cic., Att., IX, 10. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია აპიანე პომპეუსის მოკავშირეთა შორის კოლხებს პირდაპირ არ ახსენებს, თუმცა ამის შესახებ გარკვეული მინიშნება მის თხზულებაშიც მოიპოვება. მაგ., აპიანეს ცნობით, ჯერ კიდევ დირაქიუმში ყოფნისას, პომპეუსმა ჯარს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„ყველა ხალხი აღმოსავლეთში და ევქსინის ზღვასთან, როგორც ელინი, ასევე ბარბაროსი, ჩვენ გვემხრობა.** და მეფეები, რომლებიც რომაელებთან და ჩემთან მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან, თავიანთ ხარჯზე მოგვანვდიან ჩვენ ჯარებსაც, ისრებსაც, პროვიანტსაც და ყოველგვარ სხვა აღჭურვილობასაც“ (App., Bell. civ., II, 51). იგივე აპიანე, პომპეუსის მოკავშირეთა ზემომოტანილ ჩამონათვალში, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს, „იყვნენ მეფეებიც და **დინასტებიც**, რომლებსაც მოყვანილი ჰყავდათ საკუთარი ჯარები: აღმოსავლეთ გალატების ტეტრარქოსი – დეიოტარე, კაპადოკიის მეფე არიარატე, სტრატეგოსი ტაქსილე, რომელმაც მოიყვანა სომხები“ (App., Bell. civ., II, 71), შემდეგ კი, იქვე დასძენს, რომ პომპეუსის მხარეს იბრძოდნენ „სხვა დინასტებიც“ (App., Bell. civ., II, 71. ხაზგასმა ჩვენია. – **კ.ფ.**). ვფიქრობთ, ამ დინასტებში აპიანე პირველ რიგში სწორედ კოლხთა დინასტს უნდა გულისხმობდეს. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით. აქვე გვინდა შევხებით საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტსაც. საინტერესოა, რომ ბალკანეთში მიმდინარე ბატალიების კონტექსტში არც ერთ წყაროში არ იხსენიებიან იბერიელები, მიუხედავად იმისა, რომ იბერიის სამეფო ოფიციალურად წარმოადგენდა რომის „მეგობარ და მოკავშირე“ ქვეყანას და აღმოსავლეთში პომპეუსის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია მასაც ეხებოდა. პომპეუსის მოკავშირეებს შორის იბერთა არყოფნა კიდევ ერთი დამადასტურებელია იმ მოსაზრებისა, რომ რომის გავლენა იბერიაზე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, იბერიის მეფეები ძირითადად ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და ყოველმხრივ ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ვასალური მოვალეობებისათვის (იხ.: **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские..., გვ. 112; **კ. ფიფია.** ტრიაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 9-10). ამდენად, იბერებმა, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება ჯერ კიდევ პომპეუსის სიცოცხლეშივე დაიწყეს.

³ **კ. სურგულაძე.** ფარსალოსის ბრძოლა და ციციერონი. – *ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, VIII, 2005, გვ. 94-95; **კ. სურგულაძე.** ციციერონი და

ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. მიგვაჩნია, რომ კოლხები მონაწილეობდნენ ბალკანეთზე გამართულ საკმაოდ ხანგრძლივ, რამდენიმეთვიან ბატალი- ებში და მის დასკვნით, გადამწყვეტ ბრძოლაშიც, რომელიც ფარსალოსში გაიმართა. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თუ, ციციერონის ცნობი- დან გამომდინარე, კოლხების ყოფნა ბალკანეთში აშკარაა, იგივე ცნობა არ გამოდგება იმის პირდაპირ არგუმენტად, რომ კოლხები კონკრეტუ- ლად ფარსალოსის ბრძოლაშიც მონაწილეობდნენ. კოლხების ფარსალო- სის ბრძოლაში მონაწილეობის საკითხში მეტი სიცხადის შეტანაა საჭირო და ეს მოსაზრება დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს.

ციციერონის ცნობიდან გამომდინარე, კოლხების მონაწილეობა სა- მოქალაქო ომში, ბალკანეთში კოლხების სამხედრო ძალების ყოფნა უდ- ავო ფაქტია. ჯერ ერთი, ციციერონი აქტიურად იყო ჩართული იმ დროს მიმდინარე პროცესებში და საბერძნეთში გამართული ბრძოლების უშუ- ალოდ თვითმხილველია. ციციერონი პომპეუსის ბანაკში იმყოფებოდა და მისი თანდასწრებით გაიმართა ჯერ დირაქიუმის, ხოლო შემდეგ ფარსა- ლოსის ბრძოლები, თუმცა მას შეტაკებებში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.¹ გარდა ამისა, კოლხეთის მმართველი ვალდებული იყო საჭირო- ების შემთხვევაში თავისი სიუზერენისათვის სამხედრო დახმარება გაენია და პომპეუსის მიერ აღმოსავლეთში გამოცხადებული სამხედრო მობილი- ზაცია მასაც უშუალოდ ეხებოდა. ასე რომ, ცხადია, არავითარი საფუძვე- ლი არ არსებობს იმისათვის, რომ ციციერონის ცნობაში რაიმე ეჭვი შევი- ტანოთ და ბალკანეთში კოლხების სამხედრო ძალების ყოფნა ცალსახაა.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ფარსალოსის ბრძოლას. რა თქმა უნდა, კოლხების ყოფნა პომპეუსის მომხრეთა შორის მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად ფარსალოსის ბრძოლაშიც მონაწი- ლეობდნენ. ფაქტია, რომ მაშინ, როცა ციციერონი ჩვენთვის საინტერესო წერილებს წერდა (ძვ. წ. 48 წ. მარტი), ფარსალოსის ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი და, როგორც ვნახეთ, ის რამდენიმე თვის შემდეგ გაიმ- ართა. ამდენად, ეს ცნობა, რომელიც თავისთავად უმნიშვნელოვანესია, ვერ გამოდგება იმის პირდაპირ დასტურად, რომ კოლხებმა ფარსალოსის ბრძოლაშიც მიიღეს მონაწილეობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენიმე გარემოების გამო, ვფიქრობთ, რომ კოლხებმა ფარსალოსშიც იბრძოლეს.

ამ საკითხის გასარკვევად, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნე- ლობა უნდა მიენიჭოს აპიანესა და ციციერონის ზემომოტანილი ცნობე- ბის საერთო კონტექსტში განხილვას. ფარსალოსის ბრძოლაში მონაწილე პომპეუსის მოკავშირეთა ჩამონათვალში, აპიანე, როგორც ვნახეთ, აღ- ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ გალატების ტეტრარქოს დეიოტარეს, კაპა-

რომი, გვ. 319-320.

¹ კ. სურგულაძე. ციციერონი და სამოქალაქო ომი რომში (49-45). ბათეში, 2000, გვ. 126; კ. სურგულაძე. ფარსალოსის ბრძოლა და ციციერონი, გვ. 95; კ. სურგუ- ლაძე. ციციერონი და რომი, გვ. 320.

დოკის მეფე არიარატეს და სომეხთა სტრატეგოს ტაქსილეს გარდა სხვა დინასტიებიც მონაწილეობდნენ.¹ დინასტიის ხელისუფლება აღმოსავლეთში გავრცელებული, ადგილობრივი ინსტიტუტი იყო.² როგორც ცნობილია, ძვ. წ. 65 წლიდან, პონტოსგან გამოყოფილი კოლხეთის სათავეში დინასტი არისტარქე დგას. არისტარქეს სწორედ აპიანე იხსენიებს დინასტად.³ ამასთან, როგორც გაარკვია თ. ყაუხჩიშვილმა, აპიანე ყოველთვის ზუსტად ხმარობს ტერმინებს და სხვა ავტორებისაგან განსხვავებით მას ძალაუფლების აღმნიშვნელი ყველა ტერმინი დაკონკრეტებული აქვს.⁴ ასე რომ, ფარსალოსის ბრძოლის კონტექსტში აპიანეს მიერ მოხსენიებულ დინასტიებში პირველ რიგში სწორედ კოლხთა დინასტი უნდა იგულისხმებოდეს. და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ფარსალოსის ბრძოლაში პომპეუსის მხარეს თითქმის მთელი რომაული აღმოსავლეთი იბრძოდა. ფარსალოსის ბრძოლაში, როგორც ვნახეთ, პომპეუსს მობილიზებული ჰყავდა მთელი თავისი ძალები მოკავშირეების ჩათვლით. ამდენად, კოლხების მონაწილეობა ფარსალოსის ბრძოლაში, მითუმეტეს მაშინ, როცა, ისინი ამ დროს, როგორც ციცერონის ცნობიდან ირკვევა, უკვე ბალკანეთში იყვნენ, საეჭვო არ უნდა იყოს.

ციცერონის ცნობისა და პომპეუს-კეისარს შორის ზემოაღწერილი სამხედრო დაპირისპირების ძირითადი ფაქტების ურთიერთშეჯერების შედეგად, ვფიქრობთ, მეტნაკლებად შესაძლოა ბალკანეთის ბატალიებში კოლხების მონაწილეობის მეტნაკლებად სრული სურათის რეკონსტრუქცია. როგორც ვნახეთ, ციცერონმა ჩვენთვის საინტერესო წერილები ატიკუსს ძვ. წ. 48 წ. მარტში მისწერა. ამდენად, ამ დროისთვის კოლხები უკვე პომპეუსის ბანაკში არიან. სწორედ ამის შემდეგ მოხდა ძირითადი ბატალიები – ჯერ დირაქიუმის, ხოლო შემდეგ ფარსალოსის ბრძოლები. როგორც ციცერონის ცნობიდან ჩანს, კოლხების ფლოტი აქტიურად მონაწილეობდა საზღვაო ბლოკადაში. ჩვენ არავითარი ცნობა არ გავგაჩნია იმის შესახებ, თუ რამდენი ხომალდისაგან შედგებოდა კოლხების ფლოტი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ციცერონი კოლხებს ორჯერ ახსენებს, ისინი სხვა მოკავშირეებთან ერთად თვით იტალიის ბლოკირებაშიც იღებდნენ მონაწილეობას და აპირებდნენ სიცილია-სარდინიის დაკავებას, ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ ის საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენდა.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების სიმწირიდან გამომდინარე, ახლა ძალზე ძნელია იმის თქმა თუ კონკრეტულად რომელ ოპერაციებში მიიღო კოლხურმა ფლოტმა მონაწილეობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რამდენადაც ეს ფლოტი მონაწილეობდა იტალიის ბლოკადაში, ის ამ დროისათვის უკვე იონიის ან ადრიატიკის ზღვაზე იმყოფებოდა. ვფიქრობთ,

¹ App., Bell. civ., II, 71.

² Th. Reinach. Mitridate Eupator roi du Pont, გვ.77.

³ App., Mitr., 14.

⁴ აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 27-40.

კოლხური ფლოტი გარკვეული დროით კუნძულ კერკირასთან იქნებოდა განლაგებული. კერკირა, როგორც აღვნიშნეთ, პომპეუსის საზღვაო ძალების ძირითად ბაზას წარმოადგენდა. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკელთა ფლოტი მხოლოდ აქ იყო კონცენტრირებული. კერკირაზე იმყოფებოდა საზღვაო ძალების მეთაურის შტაბ-ბინა, და სწორედ აქედან იგზავნებოდა პომპეუსის მხარეს მებრძოლი საზღვაო ძალები მთელი ილირია-ეპირის სანაპიროს გასაკონტროლებლად. ამდენად, მიგვაჩნია, რომ სრუტეების გავლით იონიის ზღვაში შესული კოლხური ფლოტი, რომელიც იმყოფებოდა უშუალოდ რომაელი ადმირალების – ჯერ ბიბულუსის, ხოლო შემდეგ კი ლიბონის განკარგულებაში, გარკვეული ხნით მაინც კერკირას ნავსადგურში იქნებოდა დისლოცირებული. ისევ და ისევ წყაროთა სიმცირის გამო, უცნობია, რომელი სანაპირო სექტორის გაკონტროლება შედიოდა კოლხური ფლოტის მოვალეობაში, ის ისევ კერკირას ბაზაზე იქნა დატოვებული, თუ სათანადო დირექტივების მიღების შემდეგ სადმე სხვა პუნქტში იქნა გაგზავნილი.

ასევე, ძალზე ძნელია იმის თქმა, იმყოფებოდნენ თუ არა კოლხები პომპეუსის ძირითად ბანაკში – დირაქიუმში და რაიმე მონაწილეობა თუ მიიღეს იქ გამართულ ბრძოლებში, თუმცა, მოგვიანებით გამართულ ფარსალოსის ბრძოლაში, როგორც აღვნიშნეთ, ისინი უკვე პომპეუსელთა რიგებში იბრძვიან. აქვე გვინდა შევეხოთ კოლხების ფარსალოსისკენ გადაადგილების მარშრუტსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ფარსალოსამდე ორი გზით შეიძლებოდა მიღწევა: შავი ზღვით, შემდეგ კი ხმელეთით დღევანდელი საბერძნეთის ჩრდილოეთის გავლით, ან სრუტეების აყოლებით ლისოს ნავსადგურამდე. ცხადია, ორივე გზა იყო გრძელი და სავალად უაღრესად რთული, თან ხიფათით აღსავსე. ამის მიუხედავად, კოლხები დროულად მისულან პომპეუსის ბანაკში“.¹

ჩვენი აზრით, კოლხები ვერც ერთი ამ მარშრუტით ვერ ისარგებლებდნენ. ცალ-ცალკე შევეხოთ თითოეულ მათგანს. რა თქმა უნდა, ფარსალოსში შესაძლებელი იყო შავი ზღვით, შემდეგ კი ხმელეთით დღევანდელი საბერძნეთის გავლით მოხვედრა, მაგრამ გამორიცხულია კოლხებს ამ გზით ესარგებლათ. ჯერ ერთი, კოლხეთიდან წამოსული სამხედრო ძალების მარშრუტის საბოლოო პუნქტი ვერანაირად ვერ იქნებოდა ფარსალოსი, რამდენადაც ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი სად გაიმართებოდა გადამწყვეტი ბრძოლა. როგორც ვნახეთ, კოლხები პომპეუსის ბანაკში იმყოფებოდნენ უკვე ძვ. წ. 48 წ. მარტში, ფარსალოსის ბრძოლა კი იმავე წლის აგვისტოში მოხდა. პომპეუსი კი, დირაქიუმთან გამარჯვების შემდეგ, კეისრის კვალდაკვალ გადავიდა თესალიაში. ასე რომ, კოლხები წინასწარ ვერ მივიდოდნენ თესალიაში, ფარსალოსის ველზე. გარდა ამისა, როგორც ციცერონის ცნობიდან ჩანს, კოლხების ფლოტი მონაწილეობდა საზღვაო ბლოკადაში და, ამდენად, ის იმყოფებოდა სად-

¹ კ. სურგულაძე. ფარსალოსის ბრძოლა და ციცერონი, გვ. 95.

ლაც იონია-ადრიატიკის სანაპირო სექტორში. ასე რომ, კოლხები ფარსალოსში აუცილებლად დასავლეთის მხრიდან უნდა მოხვედრილიყვნენ.

ახლა რაც შეეხება მეორე ზემოთ დასახელებულ მარშრუტს, ლისოს ნავსადგურის გავლით. მიგვაჩნია, რომ კოლხებს ამ ნავსადგურით სარგებლობა არც დასჭირდებოდათ და სურვილის შემთხვევაშიც ვერ შეძლებდნენ იქ გადასხდომას. ლისოს ნავსადგური მდებარეობდა ადრიატიკის სანაპიროზე, დირაქიუმის ჩრდილოეთით. სანამ ლისოს ნავსადგურამდე მივიდოდნენ კოლხებს უნდა გაეგლოთ როგორც კერკირა (რესპუბლიკელთა საზღვაო ფლოტის მთავარი ბაზა), ასევე პომპეუსის ძირითადი ბანაკი – დირაქიუმი. ძნელი წარმოსადგენია, რომ კოლხებს გვერდზე ჩაეგლოთ კერკირასა და დირაქიუმისათვის და ლისოში გადასულიყვნენ. ამასთან, ლისოს ნავსადგური კეისრის კონტროლქვეშ იმყოფებოდა და, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ აქ გადმოიყვანა მარკუს ანტონიუსმა იტალიიდან კეისრის დასახმარებლად წამოყვანილი ძალები. ასე რომ, კოლხები იქ გადასხდომას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ.

ამდენად, ჩვენი აზრით, კოლხთა სამხედრო ძალები შავი ზღვიდან, სრუტეებისა და ეგეოსის ზღვის გავლით, უნდა მისულიყვნენ იონიის ზღვაში მდებარე კუნძულ კერკირაზე. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ ვიცით თუ სად, ილირია-ეპირის სანაპიროს კონკრეტულად რომელ მონაკვეთზე იდგა კოლხური ჯარები, კოლხური ფლოტი ისევე კერკირას ბაზაზე იქნა დატოვებული, თუ სადმე სხვა პუნქტში იქნა გაგზავნილი თავისი სამოკავშირეო მოვალეობის შესასრულებლად. არ გამოვრიცხავთ, რომ კოლხი ქვეითი მეომრები ამ დროისათვის უკვე დირაქიუმის ბაზაშიც იმყოფებოდნენ. ასე რომ, ფარსალოსისაკენ კოლხთა რაზმები დირაქიუმიდან უნდა დაძრულიყვნენ პომპეუსის მთავარ ძალებთან ერთად ან სადღაც გზაში უნდა შეერთებოდნენ თესალიისაკენ მიმავალ რესპუბლიკელთა ჯარებს.

წყაროთა მონაცემების სიმწირის გამო, ახლა ძალზე ძნელია იმის თქმა, თუ როგორ იბრძოლეს კოლხებმა, რა მსხვერპლი გაიღეს და რა ბედი ეწიათ. ცნობილია, რომ ფარსალოსში კეისარი უაღრესად მოწყალებდ მოექცა დამარცხებულ რომაელებს, ხოლო პომპეუსის მოკავშირეებს სასტიკად გაუსწორდა. აპიანეს ცნობით, კეისარმა „თავის მეომრებს უბრძანა ხელი არ ეხლოთ იტალიელებისათვის და შეეციათ მხოლოდ მოკავშირეებისათვის. კეისრის ჯარებმა გაანადგურეს მოკავშირეები, რომლებმაც ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და აქ დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა... მოკლული მოკავშირეების რიცხვი არ ყოფილა დადგენილი როგორც მათი მრავალრიცხოვნების, ასევე მათდამი აგებული დამოკიდებულების გამო“.¹ პლუტარქეს ცნობითაც, მოკლულთა რაოდენობა ძალზე დიდი იყო და მათ უმრავლესობას სწორედ მოკავშირეები შეადგენდნენ.² ასეთ ვითარებაში, ცხადია, მსხვერპლი დიდი იქნებოდა კოლხებს შორი-

¹ App., Bell. civ., II, 80-82.

² Plut., Pomp., 71, Caes., 46.

საც. არაფერია ცნობილი არც იმის შესახებ, თუ როგორ მოეპყრო კეისარი დატყვევებულ კოლხებს, დიდსულოვნად შეუნდო და აპატია მათ პომპეუსის ბანაკში ყოფნა და სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მისცა, თუ როგორც ბარბაროსები მონებად აქცია.¹ ჩვენთვის არც ისაა ცნობილი, თუ ვინ მეთაურობდა კოლხთა ლაშქარს. ერთი რამ კი ფაქტია, ვინც არ უნდა ყოფილიყო კოლხთა წინამძღოლი ამ ექსპედიციის დროს, იგი აუცილებლად ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი იქნებოდა.²

თუ ვინ იდგა ამ დროს კოლხეთის სათავეში, ამის შესახებ წყაროებში არავითარი ცნობა არაა დაცული. როგორც აღინიშნა, ძვ. წ. 65 წლიდან კოლხეთს პომპეუსის მიერ დანიშნული არისტარქე მართავდა. ნუმიზმატიკური მასალით დასტურდება, რომ ძვ. წ. 52 წ. ის ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ ამის შემდეგ იგი წყაროებში არსად ფიგურირებს. თუმცა, სავარაუდოა, რომ ძვ. წ. 48 წ. იგი ისევ კოლხეთის სათავეშია. ყოველ შემთხვევაში, პომპეუსსა და არისტარქეს შორის არსებული ურთიერთობიდან და ძვ. წ. 52-49 წლებში აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ კოლხეთის უმაღლეს ხელისუფლებაში პოლიტიკური ნიშნით რაიმე ცვლილება მომხდარიყო, ე. ი. თუ არისტარქე ამ დროს ცოცხალია, ის აუცილებლად კვლავ კოლხეთის დინასტი იქნებოდა. შემდგომში მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ბალკანეთის ბატალიებში კოლხურ რაზმებს სწორედ არისტარქე მეთაურობდა და იგი კოლხეთს ძვ. წ. 48-47 წლებში, ფარნაკეს მიერ პონტოს სამეფოს რესტავრაციისათვის დაწყებულ ომამდე მართავდა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს მომხდარი პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთი ვარაუდის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

ფარსალოსის ბრძოლის შემდეგ პომპეუსის ყველაზე გავლენიანი მხარდამჭერები კუნძულ კერკირაზე შეიკრიბნენ, სადაც პომპეუსს კატონის მეთაურობით დატოვებული ჰყავდა 300 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი.³ გამორიცხული არაა, რომ მათ რიცხვში კოლხური საზღვაო ნაწილებიც შედიოდა. შესაძლოა, არისტარქეც, ფარსალოსის ბრძოლაში გადარჩენილ სხვა კოლხ მეომრებთან ერთად, დაბრუნდა კერკირაზე და აქედან ისევ საზღვაო გზით გაემართა სამშობლოსაკენ. კერკირაზე შეკრებილმა პომპეუსელებმა გაინანილეს იქ მდგომი სამხედრო ხომალდები და კეისრის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი ძალების შეკრებას აპირებდნენ.⁴ თუმცა, პომპეუსის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთის მმართველებმა უკან გაიწვიეს თავიანთი რაზმები და ფლოტილია. მათ დევნილი

¹ კ. სურგულაძე. ფარსალოსის ბრძოლა და ციცერონი, გვ. 95.

² კ. სურგულაძე. ფარსალოსის ბრძოლა და ციცერონი, გვ. 95.

³ App., bell. civ., II, 87.

⁴ App., Bell. civ., II, 87; М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956, გვ. 97.

პომპეუსელების მიღებაზეც უარი განაცხადეს.

ასე მოიქცა ეგვიპტე, კირენა, სირია, ფინიკია, კილიკია, მცირეაზიური თემები, როდოსი, ათენი და საერთოდ, მთელი აღმოსავლეთი.¹ აპიანეს ცნობით, მართალია, „გაიუს [კეისარი] თუმცა კი გაჯავრებული იყო ამ მფლობელებზე, რადგან ისინი პომპეუსთან ერთად იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც დაუტოვა მათ [მინიჭებული ძალაუფლება], გარდა კომანას საქურუმოსი, რომელიც არქელაოსს წაართვა და ლიკომედეს გადასცა“.² კეისარმა შემოირიგა თვით გალატიის ტეტრარქოსი დეიოტარეც კი, რომელიც პომპეუსის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი იყო და ფარსალოსის კრახის შემდეგაც არ მიუტოვებია თავისი სიუზერენი³, თუმცა, კეისარმა მას გარკვეული კონტრიბუციის გადახდა დააკისრა.⁴ აქედან გამომდინარე კი, ვფიქრობთ, რომ არისტარქეც შეინარჩუნებდა კოლხეთში ძალაუფლებას.

ძვ. წ. 48-47 წლებში კოლხეთი ახალი ომების არენა გახდა. ბოსფორის მეფე ფარნაკემ ისარგებლა ფარსალოსის ბრძოლის შემდეგ შექმნილი სიტუაციით და მამისეული სამეფოს აღდგენა განიზრახა. დიონ კასიოსის ცნობით, მაშინ როცა კეისარი ეგვიპტეში იმყოფებოდა და „ალექსანდრიის ომში“ იყო ჩართული, ფარნაკემ „ადვილად დაიპყრო მთელი კოლხიდა და მთელი მცირე არმენია დეიოტარეს იქ არყოფნისას და დაიმორჩილა კაპადოკიის [ნაწილი] და პონტოს ზოგიერთი ქალაქი“.⁵ როგორც აღინიშნა, დეიოტარე პომპეუსის ერთგული თანამებრძოლი იყო და გალატიის ტეტრარქოსობის გარდა მას ძვ. წ. 64 წელს პომპეუსისაგან ჯილდოდ მიღებული ჰქონდა პაფლაგონიის ნაწილი, მდ. ჰალისსა და ქ. ამისოს შორის მდებარე ოლქი, ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის ოლქები კოლხეთამდე და მცირე არმენია.⁶ განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავიდან ფარნაკე მაქსიმალურად ცდილობდა შეენიღბა თავისი რეალური პოლიტიკური მიზნები. იგი აზიაში იმ საბაბით გადმოვიდა, რომ თითქოს იცავდა კეისრის ინტერესებს და ამ უკანასკნელის მოწინააღმდეგეთა ტერიტორიებს იკავებდა.⁷ ეს აშკარად ჩანს დიონ კასიოსის ცნობიდანაც, რომლის თანახმად, ბოსფორში კარგად ესმოდათ, რომ „თუკი ეხლა ის (ე. ი. ფარნაკე – კ.ფ.) შეძლებს თავის [ზრახვების] დაფარვას, ბოლოს საქმე მაინც ვერ დამთავრდებოდა კეთილად“.⁸ ამდენად, ფარნაკემ თავ-

¹ **Т. Моммзен.** История Рима. Т. 3, кн. 5, гл. 414; **А. Г. Бокшанин.** Парфия и Рим, ч. II. М., 1966, гл. 72.

² **App.,** Mithr., 121.

³ **Plut.,** Pomp., 73.

⁴ **Е. С. Голубцова.** Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры. М., 1951, гл. 95.

⁵ **Dio Cass.,** XLII, 45,13.

⁶ **App.,** Mithr., 114; **Strabo,** XII, 3, 13; **Eutr.,** Brev., VI, 14.

⁷ **Т. Моммзен.** История Рима. Т. 3, кн. 5, 414-417.

⁸ **Dio Cass.,** XLII, 46,4.

ვისი გეგმების განხორციელების პირველ ეტაპზე დაიპყრო კოლხეთი და დეიოტარეს სამფლობელოები, ე. ი. ის ტერიტორიები, რომლებიც პომპეუსის ყველაზე ახლო მოკავშირეებს ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე კი, ვფიქრობთ, რომ ამ დროისათვის კოლხეთს ისევ არისტარქე მართავს და ფარსალოსის ბრძოლის შემდეგაც ის კვლავ კოლხეთის სათავეშია.

ფარნაკემ ვერ შეძლო თავისი მიზნების განხორციელება. როგორც ზემოთ აღინიშნა, დეიოტარემ მოახერხა კეისართან შერიგება და თავის სამფლობელოებში დაბრუნდა. მაგრამ ამ დროისათვის მცირე არმენია და კაპადოკია უკვე ფარნაკეს ჰქონდა დაპყრობილი. მაშინ დეიოტარემ დახმარებისათვის მიმართა კეისრის მიერ აზიის მმართველად დანიშნულ დომიციუს კალვინუსს. თუმცა, ნიკოპოლთან გამართულ ბრძოლაში ფარნაკემ კალვინუსი სასტიკად დაამარცხა და დაიწყო პონტოს ტერიტორიების დაპყრობა.¹ მაშინ ფარნაკეს წინააღმდეგ დაიძრა თვით კეისარი. ძვ. წ. 47 წ. 2 აგვისტოს ზელასთან გამართულ ბრძოლაში, ალექსანდრიიდან დაბრუნებულმა კეისარმა სასტიკად დაამარცხა ფარნაკე, რომელიც ბოსფორში გაიქცა. ფარნაკეს არყოფნაში ბოსფორში აჯანყდა მის მიერ მმართველად დატოვებული ასანდროსი, რომელთანაც ბრძოლაში ფარნაკე დაიღუპა. ასანდროსთან ბრძოლაში იღუპება კეისრის მიერ ბოსფორის მმართველად გაგზავნილი მითრიდატე პერგამონელიც.² ფარნაკეს მიერ კოლხეთის დამორჩილება უბრძოლველად არ მომხდარა. სტრაბონის ცნობით, კოლხეთში მყოფი ლევკოთეას სამლოცველო „ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“.³

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ფარნაკეს, ხოლო შემდეგ კი მითრიდატე პერგამონელის, რომელიც ბოსფორისაკენ კოლხეთზე გავლით გაემართა, კოლხეთის ტერიტორიაზე გადაადგილებას მშვიდობიანი ხასიათი არ ჰქონია. ფარნაკესა და მითრიდატე პერგამონელის საომარი კოლიზიების შედეგად, როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, ორგზის დაინგრა ქალაქი ვანი.⁴ ფარნაკეს თავდასხმა არისტარქესათვის მოულოდნელი იყო და ამ აგრესიას ის სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდებოდა. ამ პერიოდისათვის ბალკანეთის ბატალიებგამოვლილი ძირითადი კოლხური ძალებიც ძნელი სათქმელია თუ რა მდგომარეობაში იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პომპეუსის დამარცხების შემდეგ, ფარსალოსიდან დაბრუნებული არისტარქეს პოზიციები კოლხეთში ძალზე შერყეული იქნებოდა. მაშინ როცა არისტარქეს მომავალი პოლიტიკური ბედი ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ იყო, აქ აუცილებლად გააქტიურდებოდნენ მისი მოწინააღმდეგეები და კოლხეთში გარკვეული არასტაბილურობა უნდა დაწყებულიყო. არისტარქეს მოწინააღმდეგე ძალ-

¹ **Е. С. Голубцова.** Северное Причерноморье и Рим на рубеже..., გვ. 59-60.

² **App., Mithr., 120; Dio Cass., XLII, 46-48.**

³ **Strabo, XI, 2, 17.**

⁴ **კ. ფიფია.** რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. თბ., 2005, გვ. 30-31.

თა ნაწილი, გამორიცხული არ არის, რომ უკვე კეისრის გარემოცვასთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას და მისი მხარდაჭერით კოლხეთის სათავეში მოსვლას. თუმცა, ფაქტია, რომ კეისარს ამ დროს კოლხეთისათვის ნამდვილად არ ეცალა. აღმოსავლეთში შეცვლილი პოლიტიკური კონიუქტურის პირობებში გაძლიერდებოდა ანტირომაული, პრომითრი-დატული ტენდენციებიც. კოლხეთში არსებული ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, არისტარქემ, როგორც ჩანს, ფარნაკეს გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლო პერიოდის მოვლენებით დასუსტებულმა კოლხურმა არმიამ ვერ შეძლო მტრის შეჩერება. არ არის გამო-რიცხული, რომ არისტარქე ბრძოლის ველზეც დაიღუპა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პომპეუსის დაღუპვის შემდეგ არისტარქემ დროებით შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება, ფარსალოსის ბრძოლის შედეგები საერთო ჯამში კოლხეთისათვის მაინც ძალზე მძიმე აღმოჩნდა. არისტარქეს სიკვდილით დასრულდა ძველკოლხური სახელ-მნიფოებრიობის თუნდაც ფორმალურად, გარკვეული ფორმით მაინც შე-ნარჩუნებისათვის ბრძოლის ბოლო ეტაპი და კოლხეთი ხანგრძლივი დრო-ით რომაულ-მედიტერანული სამყაროს ნაწილი გახდა.

KAKHABER PIPIA

COLCHIANS IN THE KERKYRA AND PHARSALOS

The paper, on the basis of historical sources and critical analysis of historical literature, studies one of the unknown facts – Colchian participation in the Civil War between Caesar and Pompey in 49-48 BC. Colchians actively assisted their suzerain – Gnaeus Pompeius Magnus in the ongoing fighting in the Balkans in 48 BC. Colchian fleet, along with the other allies of Pompeius, took part in the Italian block. It stood for some time at the the island of Kerkyra in the Ionian Sea and then, perhaps, at the other coastal points of Illiria and Epiry. Colchian military forces participated in the decisive battle between Caesar and Pompey at Pharsalus, Thessaly.

და ვახუშტი ბატონიშვილს¹. სამივე წყაროს ცნობით, ტაძარი აუგიათ IX ს. ბოლოს თუ X ს. დასაწყისში. მისი აშენების ინიციატორი ყოფილა ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, რომელმაც პირველმა მიიღო 888 წელს „ქართველთა მეფის“ ტიტული.² დასახელებულ წყაროთაგან ყველაზე გამოკვეთილად და არაორაზროვნად ამის შესახებ აღნიშნულია სუმბატ დავითის ძესთან:

„ადარნასე, ძე დავით კურაპალატისაჲ, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა. და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა ჴელითა კვრიკე ბანელისაჲთა, რომელი-იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“.³

ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში ბანის ტაძრის აგების დროის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. გ. ჩუბინაშვილის მიერ 1936 წელს გამოთქმული თვალსაზრისი ბანის ტაძრის VIII ს. შუა ხანებში აგებისა,⁴ რომელიც შემდეგში განმტკიცდა არაერთი დებულებით,⁵ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ძალაშია და არგუმენტირებული.⁶ სომხურ შესაბამის ლიტერატურაში ბანის ტაძარი ზვარტნოცის ტაძრის ჯგუფშია ჩართული, მიიჩნევა მისი მომდევნო ხანის ძეგლად და IX-X საუკუნეებითაა დათარიღებული.⁷

ქართველ მკვლევართა აზრით, ნერილობითი წყაროების ცნობა აღნიშნავს ტაძრის განახლება-შეკეთებას, მის რესტავრაციას და აღდგენას X საუკუნეში, როდესაც თავდაპირველი ტაძარი, ამ მხარეში მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობა-თარეშის შედეგად, ძლიერ დაზიან-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 209, 250, 674-675, 683.

² ამის აღსანიშნავად მცხეთის სამთავროს ტაძარზე შესანიშნავი წარწერა მოუთავსებიათ, რომლის მნიშვნელობა და დანიშნულება ბოლო ხანს იქნა გამოვლენილი. იხ.: ვ. სილოგავა, მცხეთის სამთავროს უცნობი წარწერა ადარნასე ქართველთა მეფის შესახებ. – ანალები, №3, 2008, გვ. 532-551.

³ სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ნიგში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 379.

⁴ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. ტფ., 1936, გვ. 169-179; Г. Н. Чубинашвили. Пути грузинской архитектуры. Тифлис, 1936, გვ. 58-70. Г. Н. Чубинашвили. Кахетия. Тб., 1959, გვ. 225-229.

⁵ R. W. Edwards. Medieval architecture in the Oltu enek Valley. – DOP, 39, 1985, გვ. 27-32; П. Закарая. Зодчество Тао-Кларджети, გვ. 51-52.

⁶ რ. მეფისაშვილი, დ. თუმანიშვილი. ბანას ტაძარი...

⁷ Н. М. Токарский. Архитектура Армении. Ереван, 1961, გვ. 132; С. М. Мнацканян. Звартноц. Памятник армянского зодчества VII века. М., 1971, გვ. 65-70. იმავე აზრს იზიარებდა შ. ამირანაშვილიც (იხ.: შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961, გვ. 182-186. ლიტერატურის მიმოხილვა სხვა ავტორთა დასახელებით იხილეთ: რ. მეფისაშვილი, დ. თუმანიშვილი. ბანას ტაძარი..., გვ. 6-8.

და და საჭირო გახდა მისი აღდგენა. ამ დროს იგი აღადგინეს, ხელახლა აკურთხეს და ბანა გახდა ტაოელ ბაგრატიონთა პოლიტიკური ცენტრი, აქვე დაიდო რეზიდენცია პირველმა „ქართველთა მეფემ“ ადარნასემ და კვრიკე გახდა პირველი ბანელი ეპისკოპოსი. მანვე გაიღო, როგორც ჩანს სახსრები ტაძრის აღდგენისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა უძველესი ქართული საკათედრო ტაძრების მშენებლობის შემთხვევაში.¹

ალბათ, ბანის ტაძრის მშენებლობის ბუნდოვან საკითხში გარკვეული სიცხადეს აქ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებთან ერთად, შეიტანდა მისი ეპიგრაფიკა, მაგრამ როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, ეს გრანდიოზული ტაძარი წარწერებით ძალზე ღარიბია, ხოლო არქეოლოგიური გათხრები აქ არ ჩატარებულა. დიდი მასშტაბების გამო მისი ჩატარება ახლო პერსპექტივაში (მგონი შორეულშიც) არ ჩანს და ისევ ტაძრის ეპიგრაფიკის მწირ ცნობებს უნდა მივმართოთ.

ბანაში წარწერის თუ წარწერების არსებობის შესახებ პირველად აღნიშნა დ. ბაქრაძემ 1881 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში.² მათი არსებობა აღნიშნული აქვს საკურთხეველის მარჯვნიდან მოსაზღვრე მეორე სართული ერთ-ერთ ოთახში. დ. ბაქრაძის მიერ ფრესკულ, ანუ საღებავით შესრულებულად მიჩნეული ეს წარწერები, როგორც ბანის ტაძრის მეორე მონახულებისას (1907 წ.) ე. თაყაიშვილმა გაარკვია, იყო ქვაზე ამოკვეთილი წარწერები.³ მანვე წარმოადგინა მათი დაზუსტებული ტექსტები, რომლებსაც ქვემოთ დავუბრუნდებით.

ე. თაყაიშვილის ცნობით, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც რუსებმა კვლავ დაიკავეს სოფელი ფენაქი (ბანის თურქული სახელია), ვიღაც რუს გენერალს, ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, ეკლესიიდან წაუღია წარწერიანი ქვა.⁴ დღეს იგი არსად ჩანს. რადგანაც იგი ინტერესის ობიექტი გახდა და გენერლის განკარგულებით დანგრეული ტაძრიდან წაიღეს კიდევ, როგორც ჩანს, დიდი ზომის, შეიძლება ტიმპანის ქვა იყო, სავარაუდოდ, ვრცელი წარწერით, შეიძლება ტაძრის დასავლეთის ან ჩრდილოეთის შესასვლელისა. საქმე ის არის, რომ დიდი ზომის ტიმპანის ქვა, სიგანეში 2 მეტრზე მეტი ზომისა, ამჟამად ტაძრის მხოლოდ სამხრეთ შესასვლელის თავზე არსებობს. იგი შიგნიდან იხილვება, ხოლო გარედან მთლიანად დაფარულია ნანგრევებით და მიუდგომელია. არ არის გამორიცხული, რომ მისი გამოთავისუფლების შემდეგ, მასზე წარწერაც აღმოჩნდეს. „დამკვეთის წარწერის“ არ-

¹ ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს) შეადგინა და მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 20, 34 (შემდეგში ქვკ, I).

² დ. ბაკრაძე. Историко-этнографический очерк Карской области. – Известия Кавказского отделения императорского русского географического общества. VII, Тифлис, 1881, გვ. 200-201.

³ Е. Такайшвили. Христианские памятники, გვ. 108.

⁴ Е. Такайшвили. Христианские памятники, გვ. 106.

სებობას ვ. ჯობაძე ვარაუდობს პორტალების (სამხრეთი შესასვლელის) ტიმპანის თავზეც¹, მაგრამ ეს ქვაც ამჟამად არსად ჩანს და იქნებ სწორედ იგი იყოს რუსი გენერლის მიერ წაღებული.

ტაძარზე არსებული წარწერების შესახებ დღემდე ყველაზე სრულია და, მგონი, ერთადერთიც ის ცნობები, რომელიც ე. თაყაიშვილმა ერთი საუკუნის წინ, 1909 წელს გამოაქვეყნა 1907 წლის, მის მიერ სამხრეთ საქართველოში მონყობილი მეორე ექსპედიციის ანგარიშში. ამიტომ მის მიერ შეკრებილ და ერთად თავმოყრილ ამ ცნობებს ბანის ტაძრის ეპიგრაფიკის შესახებ სრულად მოვიყვან.

სამხრეთ საქართველოში მონყობილი მეორე ექსპედიციის ანგარიშში იგი წერს: „ნაღესობის ქვეშ პერანგის ქვებზე იძებნება დიდრონი ასომთავრული ასოებით დატანილი წარწერები, ჩაკვეთილი და შემდეგ სინგურით შემოვლებული. ერთი ასეთი წარწერის ფრაგმენტი გამოჩნდა ბათქაშის ჩამოშლის გამო, მარჯვნივ, საკურთხეველის ზედა ნაწილში, მესამე სართულის სარკმლის ქვემოთ, სამმეოთხედიანი სვეტის სიახლოვეს. იგი ორსტრიქონიანია:

...წყლე თე

დიდი

შინაარსის მიხედვით შევსებული სავარაუდოდ ასე შეიძლება წავიკითხოთ: „[ქრისტე, შეი]წყალე თევდორე//დიდი“. ასეთი წარწერა, როგორც ჩანს მეორედბოდა ტაძრის შიდა პერანგის სხვა ქვებზეც. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი კამარიდან ჩამოვარდნილ ქვაზე შემორჩენილია ასეთივე წარწერის ნაშთი. პირველი სტრიქონი თითქმის აღარ არის, მეორე პნკარი კი მთლიანად იკითხება: დიდი. ეს წარწერები, მათი ხასიათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძველია და ეტყობა, ტაძრის აღშენების თანადროულია.

შემორჩენილია დ. ბაქრაძის მიერ გვერდის ოთახის მეორე სართულზე შენიშნული წარწერაც. იგი ჩაკვეთილი ასომთავრული ასოებით არის შესრულებული და ასე იკითხება:

ქე შე გი

„ქ(რისტე) შე(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი“

პალეოგრაფიული ნიშნებით, ეს წარწერა ეკლესიის თანადროულად ვერ ჩაითვლება. იგი ეტყობა, მოგვიანო ხანაშია გამოკვეთილი. ცალკეულ ქვებზე ზოგჯერ ნაანყდებით ასომთავრულ ნიშნებს, უფრო ხშირად ვხვდებით ხ ხ-სა. სხვა წარწერები არა ჩანს.“² ამ წარწერების შესწავლის ისტორიისთვის საინტერესოა ე. თაყაიშვილის მიერ სქოლიოში წარმოდგენილი შენიშვნა „თევდორე დიდის“ წარწერასთან დაკავშირებით.

„ეს ის წარწერაა, რომელზეც დ. ბაქრაძე ამბობს ფრესკულიაო. 1902 წელს იგი მეც ფრესკულად მომეჩვენა, მაგრამ 1907 წელს უფრო გულდასმით დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ იგი ამოკვეთილია პე-

¹ ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები..., გვ. 103.

² Е. Такайшвили. Христианские памятники, გვ. 108;

რანგის ქვაზე და შემდეგ ნაწილობრივ დაფარული არის ნალესობით. დ. ბაქრაძეს მოჰყავს მხოლოდ პირველი სტრიქონი, ისიც პირველი ასოს გარეშე, ეტყობა, მეორე სტრიქონი მაშინ არ ჩანდა.¹

ყველა შემდეგი მკვლევარი, ვინც ბანის წარწერებს შეხებია, ე. თაყაიშვილის ამ ცნობებს იმონებს. ერთადერთია ვ. ჯობაძე, რომელიც ბანის წარწერების შესახებ ახალ, მაგრამ სამწუხაროდ, ბუნდოვან ცნობას გვანვდის: ბანის ტაძრის „მხატვრობის ფრაგმენტები, რომელნიც მრგვლოვანსა და ნუსხურ მოსახსენებლებსა და სავედრებლებს შეიცავს, ჯერაცაა გადარჩენილი აღმოსავლეთი აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ სადგომში და გარშემოსავლელის სამხრეთ-დასავლეთ პილიასტრის სამხრეთ პირზე (მე იგი 1974 წელს ვნახე)“.²

მიუხედავად თითქოს ტოპოგრაფიული მინაშენებისა, არც ე. თაყაიშვილის და არც ვ. ჯობაძის მიერ დასახელებული წარწერები დღეს ტაძარში არსად ჩანს. ალბათ, ისინი შეინირა 1984 წლის მიწისძვრამ, როდესაც ვ. ჯობაძის ცნობით, სანახევროდ ჩამოიქცა ტაძრის გადარჩენილი აღმოსავლეთი კონქის ნახევარი.³

ამიტომ, ვერც ამ წარწერების პალეოგრაფიულ თარიღზე ვიმსჯელებთ, ვერც ე. თაყაიშვილის ორ ქრონოლოგიურ მინიშნებას გავმიჯნავთ და ვერც ვ. ჯობაძის მიერ მინიშნებულ წარწერების შინაარსზე ვიმსჯელებთ. კერძოდ, წარწერების ერთი ჯგუფის შესახებ ე. თაყაიშვილი წერს, რომ ეტყობა ტაძრის აღშენების თანადროულიაო და ასეთად მას 881-923 წლები მიაჩნდა,⁴ ხოლო მეორე ჯგუფის შესახებ წერს, მოგვიანო ხანაშია გამოკვეთილიო. რას გულისხმობდა იგი მოგვიანო ხანაში, გაურკვეველია, ალბათ X საუკუნის შემდგომ დროს. ერთი კია, რომ ე. თაყაიშვილი ყველა მის მიერ მოყვანილ წარწერას ქვაზე ამოკვეთილად, ე. ი. ლაპიდარულად მიიჩნევდა. სამაგიეროდ, ვ. ჯობაძე აღნიშნავს მხატვრობაზე, მოთავსებულ „მრგვლოვანსა და ნუსხურ მოსახსენებლებსა და სავედრებელი“ წარწერების შესახებ. სამწუხაროდ, მას ამ წარწერების ტექსტები არ მოჰყავს და არც მათ, თუნდაც შესაძლო თარიღს ასახელებს. ბუნდოვანია აგრეთვე შინაარსობრივი დახასიათება-მოსახსენებელი და სავედრებელი წარწერები. ალბათ, ესენი მოსახსენებელი წარწერები იყო ტრაფარეტული ფორმულით („ქრისტე შეინყაღე“), და განსხვავებული სახელებით. თანაც, ისინი ნუსხა-ხუცური წარწერები ყოფილა, რაც ახალი მონაცემია ბანის ტაძრის ეპიგრაფიკაში და საგანგებო ყურადღებას საჭიროებდა. თუ ისინი ნუსხური იყო და ალბათ, ამოკანრულიც (თუმცა ვ. ჯობაძე მათ არაორაზროვნად ტაძრის მხატვრობის ფრაგმენტ-

¹ **Е. Такайшвили.** Христианские памятники, გვ. 108, შენ. სქ. 1. **რ. მეფისაშვილი, დ. თუმანიშვილი.** ბანას ტაძარი, გვ. 65-66, შენ. 47.

² **ვ. ჯობაძე.** ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები..., გვ. 100.

³ **ვ. ჯობაძე.** ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები..., გვ. 95.

⁴ **Е. Такайшвили.** Христианские памятники, გვ. 105.

ტებს უკავშირებს),¹ მაშინ მომლოცველთა წარწერები ყოფილა. ამჟამად, ეს წარწერებიც არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში ტაძრის არაერთხელ დათვალიერებისას მე მათ ვერ მოვაგენი. ისინიც 1994 წლის მიწისძვრის მსხვერპლნი ხომ არ გახდნენ? ასე, რომ ის რაც ბანის წარწერების შესახებ აქამდე ცნობილი იყო პასუხგაუცემელ მრავალ კითხვას წარმოშობს.

სამაგიეროდ მეტი გარკვეულობით და დაბეჯითებით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვაზე ამოკვეთილი ერთი წარწერის შესახებ, რომელიც ბანის ტაძრის კედელზე აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, XIX ს. შუა ხანებში თურქებმა ბანის ტაძარი ციხე-სიმაგრედ გადააკეთეს – მას გარშემო კედელი შემოავლეს და დიდი კოშკი მიუშენეს, ნაწილობრივ დააშენეს. ეს მოხდა 1843 წლის შემდეგ, რადგან გერმანელ ბოტანიკოსსა და მოგზაურს კარლ კოხს იგი ჯერ კიდევ ამ მინაშენ-დანაშენების გარეშე თითქმის თავდაპირველი სახით დახვდა. სწორედ ამ მოგზაურობის დროს ჩანერა თავის დღიურში კ. კოხმა, ის ცნობილი სიტყვები, რომლებიც მომდევნო ხანის მკვლევრების ნაშრომიდან ნაშრომში გადადის: „ჩემ მიერ ნანახთაგანს უეჭველად ულამაზესი და ყველაზე ამაღლებული მხატვრული ქმნილებაა მთელს აღმოსავლეთში, გარდა კონსტანტინოპოლისა“.² 1855 და 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომების დროს ციხე-სიმაგრედ გადაკეთებული ბანას ტაძარი სულ ცოტა ორჯერ მაინც გადავიდა ხან რუსების, ხან თურქების ხელში. ყველაფერი ეს ზარბაზნების თანხლებით, საარტილერიო ცეცხლის პირობებში ხდებოდა, რამაც საბოლოო ჯამში ტაძარი ნანგრევებად აქცია.

დროთა განმავლობაში ტაძარს შემოვლებული კედლები გადაინგრა, კოშკებიც ჩაიქცა და დღეისთვის აღმოსავლეთის (ნაწილობრივ) და სამხრეთის კედლები (დასავლეთისა და ჩრდილოეთისა არ არსებობს) თავდაპირველი სახით „გაშიშვლდა“. ამის შედეგად აღმოსავლეთ კედლის პერანგის ერთ-ერთ ქვაზე გამოვლინდა დიდი ასოებით ჩაჭრილი ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

მნჩა, ე. ი. მ(ა)ნ(უ)ჩა. წარწერა იმდენად კარგადაა შემონახული, რომ იგი ახალამოკვეთილის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ცხადია, გამოორიცხულია. სხვა მონაცემების არ არსებობის გამო, იგი შეიძლება მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით დათარიღდეს. ეს პალეოგრაფიული ნიშნები მეტად არქაულია და X, ან X-XI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. კერძოდ, წარწერის პირველი ასო მ მანის წრის შემკვრელი ხაზი მარჯვნივ გადადის, რაც X ს. შემდეგ ამ ასოს დანერილობაში არ გვხვდება. მთელი სიტყვის თავზე დასმულია გრძელი განივი სწორი ხაზი, რაც ასევე არქაულია და XI საუკუნიდან მხოლოდ მოკლე ხაზის სახით დასტურდება. წარწერა ნაწილობრივ კიდურწერტილოვანია. – წერტილები უზით მანის, ანის, და ქარაგმის სახის კიდურებს, რაც მხოლოდ X ს. ბოლოდან

¹ ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები..., გვ. 100.

² ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები..., გვ. 95.

გვხვდება. იგი ქართულ ეპიგრაფიკულ დამწერლობაში დეკორატიული ელემენტების (კიდურწერტილოვნება, კიდურწანისრულობა, კიდურყვავილოვნება) დამკვიდრების შედეგია. ეს კიდევ წარწერის შესრულების ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნას განსაზღვრავს. წარწერის შემსრულებელს ჯერ წერტილები დაუსვამს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ასეთი დამწერლობის ამოკვეთისას, მაგრამ ხაზებით ისინი მთლად ზუსტად ვერ შეუერთებია. კერძოდ, მანის წრის შემკვრელი ხაზი, ქარაგმის წერტილები, ანის ზედა ხაზის მარცხენა წერტილი აცდენილია შემდეგ გავლებულ სწორ ხაზებს, უფრო ზუსტად, ეს ხაზებიც აცდნენ წერტილებს. ეს შეიძლება შესრულების გამოუცდელობით აიხსნას, რაც კიდურწერტილოვნების ახალგაავრცელებულობის და წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ძღვრისათვის დამატებითი არგუმენტი შეიძლება იყოს. აღსანიშნავის ისიც, რომ ანის მუცელი მთლად ზუსტად მრგვალი მოყვანილობის არ არის – იგი რამდენადმე წაგრძელებული მოხაზულობისაა. ქვედა, მარცხენა კუთხესთან მომრგვალებაც ზუსტად არაა გამოყვანილი. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ წარწერა კედელში უკვე ჩასმულ ქვის ფილაზე ამოკვეთეს, მაღალ და მიუდგომელ ადგილას. ამდენად, ქვის ფილა, რომელზედაც ეს წარწერაა ამოკვეთილი თავდაპირველი კედლის (VII ს.) მოპირკეთების ნაწილი შეიძლება იყოს.

ანთროპონიმი მანუჩა, რომელიც საქართველოში (გვიანფეოდალურში) უფრო მანუჩარის, ხოლო სპარსულ სინამდვილეში მანუჩეს ფორმითაა გავრცელებული, ცხადია, აღმოსავლური წარმომავლობისაა. მის ამოსავალ ფორმად მიჩნეულია მიდიური მანუ (ს), რომელიც კაცობრიობის მამამთავრის სახელია. შემდეგში Manuscriptra-ს, რომელიც არიელთა წინაპრის, მათი პირველი მეფის სახელი იყო, სხვა ეტიმოლოგია შეუძენია და „ზეცას, სამოთხეს“ აღნიშნავდა.¹

მანუჩარ// მანუჩარა შუა საუკუნეების, XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული მამაკაცის სახელი იყო.² მისგან გვარიც კია ნაწარმოები – მანუჩაშვილი. პირველად ეს სახელი მგონი, სამცხის ათაბაგთა სახლში დასტურდება – მანუჩარ ქაიხოსრო ათაბაგისა და დედისიმედის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა, რომელიც იხსენიება ვალეს ტაძრის 1561-1564 წლების წარწერაში.³ ეს სახელი ამ სახლში უფრო ადრე XVI ს. დამდეგიდან გვხვდება.

ეს სახელი, საკუთრივ მანუჩას ფორმით დასტურდება ქართულ სინამდვილეშიც კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲში“ (XI ს.), ბაგრატ IV-ის

¹ თ. ჩხეიძე. ნარკვევები ირანული ონომასტიკონიდან. თბ., 1984, გვ. 54.

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. თბ., 2004, გვ. 51-54.

³ ვ. სილოგავა. სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ. – მრავალთავი, X, თბ., 1983, გვ. 264-288.

მიერ ტფილისის შესაძლო დაკავებასთან (1069 წ.) დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ „არა დაიჭირა ბაგრატ თავისად ტფილისი, არამედ დმანისს დატყვევებული სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად და მისცა მას ტფილისი, ხოლო თავისად აღეხუნა ციხეებთან, ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი და მძევალნი ძმისწული მისნი (სითლარაბისა), ძე მანუჩასი და სამთა თავადთა განძისათა“.¹ ეს მანუჩა კიდევ ერთხელ იხსენიება აღნიშნულ წყაროში, სადაც ნათქვამია, რომ სალაღინმა ალფარსლანმა „ანისი წარულო ბერძენთა (ე. ი. ბიზანტილებს – ვ. ს.) და მისცა მანუჩას, ძესა აბულასვარისსა“.² მაშასადამე, XI ს. 60-იან წლებში აბულასვარის ძიდან ერთი ანისის, ხოლო მეორე ტფილისის ამირა ყოფილა. პირველის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ანისის ცნობილი მანუჩეს მეჩეთი, რომელზედაც 1319-1335 წლებს შორის ამოკვეთეს ასევე ცნობილი აბუსაიდ რაჰადურის იარლიყი³, რომელშიც ანისი ჯერ საქართველოს შემადგენელ ნაწილად იხსენიება.⁴

რაც შეეხება ბანას მანუჩას, იგი საზოგადოებაში ასეთი მაღალი მდგომარეობის პირი არ უნდა იყოს და მათზე სულ ცოტა ნახევარი საუკუნით მაინც ადრე მოღვაწეობდა. ამის მაჩვენებელია მისი მოხსენიება რაიმე სხვა ტექსტის გარეშე მხოლოდ სახელით. როგორც ჩანს, იგი ტაძრის X საუკუნეში განახლება-აღდგენის მონაწილე იყო, სულაც ერთადერთი ხელოსანი და გარკვეული დამსახურების გამო ტაძრის კედელში თვალსაჩინო ადგილას მისი სახელის ამოკვეთის უფლება მოიპოვა. ასეთი შემთხვევები, როდესაც ტაძრის კედლებზე, მოპირკეთების ქვებზე ხელოსნების, ქვის მთლელების, კალატოზების სახელებია ამოკვეთილი სხვაგანაც გვხვდება. მაგ. მცხეთის ჯვრის ტაძარში: დ(მეტრ)ე (რამდენჯერმე), იგივე სახელი გვხვდება ჭყონდიდის ტაძარზე და გადმოცემულია მხოლოდ პირველი ასო დ(ე) და სხვ.

მაშასადამე:

1. ბანის ტაძარზე (ტაო) მოიპოვებოდა მთელი რიგი, თუმცა მწირი ცნობების შემცველი წარწერებისა (დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, ვ. ჯობაძის ცნობები), რომელთაგან დღეს ყველა თვალსმიფარებულია და არქეოლოგიური გათხრების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს.
2. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოიპოვება აქამდე შეუმჩნეველი ლაპიდარული წარწერა ვინმე მანუჩასი, რომელიც X საუკუნით თარიღდება და, როგორც ჩანს, ტაძრის განახლების მონაწილე ერთ-ერთ ხელოსანს ეკუთვნის. იგი შეიძლება თავდაპირველი

¹ მატიაწე ქართლისაჲ. – ქართლის ცხოვრება..., 2008, გვ. 294.

² მატიაწე ქართლისაჲ. – ქართლის ცხოვრება..., 2008, გვ. 290.

³ В. В. Бартольд. Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче. – *Сочинения*. IV. М., 1966, გვ. 313-338.

⁴ В. В. Бартольд. Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, გვ. 318.

ტაძრის (VII ს.) მოპირკეთების ქვაზე იყოს ამოკვეთილი.

3. არ არის გამოორიცხული, რომ წარწერები მოიპოვებოდა ტაძრის შესასვლელის ტიმპანების ჯვრებში (სავარაუდოდ ერთ-ერთი XIX ს.) შუა ხანებში ტაძრიდან წაულიათ. ამჟამად მხოლოდ ერთი, სამხრეთის შესასვლელის ადგილზე, მაგრამ გარედან, საჯაროდ წარწერის მხრიდან მიუდგომელია

აქვე უნდა აღინიშნოს ბანას ტაძრის კედლებზე, სხვადასხვა ადგილას ამოკვეთილი დიდი ზომის ჯვრების შესახებ, რომელიც ისევე როგორც მანუჩას წარწერა აქამდე შემჩნეული არ ყოფილა. კერძოდ, დიდი ზომის, ტოლმკლავებიანი და კიდებნანვეტებული ჯვრებია ღრმა ჩაჭრით ამოკვეთილი ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე და ერთ-ერთი ღია თაღის ქერზე (ეს, რაც მე შევნიშნე, შეიძლება სხვაგანაც იყოს). ისინი დაახ. 40X40 სმ. ზომისაა. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი ასეთივე დიდი ზომის ჯვარი ამოკვეთილია ტბეთის ტაძრის დასავლეთ კედელზე, შიდა მხარეს. იგი ზომით ბანის ჯვარს აღემატება და დაახ. 50X60 სმ. ზომისაა.

ტბეთის თავდაპირველი ტაძარი, საისტორიო წყაროების ცნობით, X საუკუნეშია აგებული აშოტ კუხის (†918) მიერ.¹ მაგრამ „დღესდღეობით ტბეთში აშოტ კუხის მშენებლობის რაიმე უეჭველი კვალი არ იძებნება“.² როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი, შემდეგში ტაძარმა მშენებლობის ექვსი ეტაპი გაიარა.³ აქედან, ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია X ს. ბოლოს ჩატარებული ფართომასშტაბიანი მშენებლობა. ამ დროს „რვამკლავიანი ტაძრის ადგილას ახალი, განსხვავებული ტიპის ნაგებობა აღიმართა. მისი ზოგადი კომპოზიცია ტაძარმა დღემდე შეინარჩუნა, მომდევნო აღდგენა-გადაკეთებებს ის არსებითად არ შეუცვლია.“⁴ როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს უნდა იყოს დასავლეთის კედლის სამხრეთი ნაწილი, რომლის შიდამოპირკეთების ქვაზეც დასახელებული ჯვარია ამოკვეთილი. ამიტომ მისი თარიღი, როგორც ტბეთის, ისე ტიპოლოგიურად მისი მსგავსი ბანის ჯვრებზეც შეიძლება გაგრძელდეს და ისინი X ს. დასასრულით დათარიღდეს.

¹ დ. ხომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ., 2005, გვ. 240.

² დ. ხომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 240.

³ დ. ხომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 240.

⁴ დ. ხომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 240.

VALERI SILOGAVA

**MANUCHA'S UNKNOWN INSCRIPTION
OF THE 10TH CENTURY ON BANA CATHEDRAL**

In the paper for the first time in scientific literature there is discussed all inscriptions of Bana Temple, which is known in scientific literature and another previously unknown inscription of Bana Temple is studied additionally. In the article there is decoded newly found lapidary inscription of Bana, where the author reads the name "Manucha". In the article "Manucha's" inscription is studied from paleographical and etymological point of view and it is dated back to the 10th century.

ვივარაუდოთ. ამ დროს უნდა გაჩენილიყო ერთიანი საქართველოს მეფის მნიგნობართუხუცესის, სპასალარის თუ სპასპეტის (შემდეგ ამირსპასალარად წოდებულის), მეჭურჭლეთუხუცესის და „დარბაზის რიგის“ სხვა ხელისუფალთა თანამდებობანიც, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ წყაროები გვაკლია. დარბაზის რიგის მოხელეობამ, მმართველობის ცენტრალურმა აპარატმა უფრო გამოკვეთილი სახე, ცხადია, დავით აღმაშენებლის (1089-1125) დროიდან მიიღო“.¹

მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მკაფიოდ წარმოჩინდა შ. მესხიას მეცნიერული ალლო ბეთანიის ეკლესიის წარწერების განხილვისას. იმ დროისათვის (XX ს. 70-იანი წლები) ბეთანიის ეკლესიის, როგორც ფრესკული, ისე ლაპიდარული წარწერები, მათი ძლიერ დაზიანების გამო, დიდი ხარვეზებით იყო წაკითხული: ფაქტობრივად, გაუშიფრავი იყო მცირე ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელის თავზე, ტიმპანის ქვის ფილაზე ამოკვეთილი ვრცელი ასომთავრული წარწერა (1196 წ.), რომელშიც გიორგი III-ის (1156-1184წწ.) თანამედროვე – 1177 წლის აჯანყების მოთავე ივანე ორბელი – ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად მოიხსენიება. მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე, ეკლესიის მოდელით ხელში წარმოდგენილი დემეტრე I-ის თანამედროვე სუმბატ I დიდი ორბელი მიჩნეული იყო ივანეს ძმად, 1177 წელს დასჯილ სუმბატ ორბელად, ხოლო წარწერაში სუმბატის დასახელებული ორი თანამდებობიდან (მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი) იკითხებოდა მხოლოდ ერთი (მანდატურთუხუცესი).²

ამასთანავე, მთავარი ტაძრის აგება, ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული სამეფო ჯგუფური პორტრეტის და მისი თანმხლები ფრესკული წარწერების (1. „დიდი მეფეთ მეფე გ(იორგ)ი; 2. თამარ მეფე და დედოფ(ალ)ი; 3. გ(იორგ)ი მეფეთ მეფე, ძე თამარისი“³) გათვალისწინებით XII-XIII საუკუნეების მიჯნით იყო დათარიღებული.⁴ მიუხედავად ამისა, ისტორიული რეალიების გათვალისწინებისა და ტაძრის კედლის მხატვრობის ანალიზის საფუძველზე შ. მესხია დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ეკლესიის მოდელით ხელში გამოსახული სუმბატი არის სუმბატ I დიდი ორბელი: „შემთხვევითი არ არის, რომ ბეთანიის ფრესკებზე

¹ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 12.

² ბეთანიის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობა და ფრესკული წარწერები კომპლექსურად შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე ე. პრივალოვამ, რომელმაც სრულად წაკითხა სუმბატ ორბელის გამოსახულების შეიდსტრიქონიანი განმარტებითი წარწერა: „დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი“ (E. Привалова. Новые данные о Бетании. – IV *Международный симпозиум по грузинскому искусству*. Тб., 1983, გვ. 15); ასევე სრულად იქნა წაკითხული ბეთანიის მცირე ეკლესიის ლაპიდარული წარწერები (ვ. სილოგავა. ბეთანიის წარწერები. თბ., 1994), მაგრამ ეს ყველაფერი ბ-ნ შ. მესხიას გარდაცვალების შემდეგ მოხდა.

³ შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961, გვ. 283.

⁴ ი. ციციშვილი. ბეთანია. – *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. II. თბ., 1977, გვ. 268.

ორბელეზე გამარჯვებული საქართველოს მეფის მთელი საგვარეულოა გამოსახული და რომ ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი ორბელის – სუმბატ მანდატურთუხუცესის ფრესკა ხელუხლებელი დარჩა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბეთანიის ფრესკებში დიდი ადგილი დაეთმო ისეთ სცენებს, როგორცაა „მაცხოვრის ვნება“, „იუდას ამბორი“, „საიდუმლო სერობა“, და სხვ... ბეთანია, როგორც ჩანს სამეფო ხელისუფლებისა და დიდ ორბელთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლების ბრძოლისა და გიორგი III-ის გამარჯვების ერთგვარ სიმბოლოს წარმომადგენდა... ბეთანიის ფრესკაზე გამოსახულია დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის სამეფო ხელისუფლების წინაშე გარკვეული დამსახურების მქონე დიდი სუმბატ ორბელი, მანდატურთუხუცესი და არა მონინალმდეგე, ორბელთა აჯანყების მონაწილე და გიორგი III-ის მიერ სიკვდილით დასჯილი სუმბატ ორბელი, გიორგი III-ის ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ივანეს ძე. განა წარმოსადგენია, რომ, მაშინ, როცა მეფის განკარგულებით ყველა საისტორიო წიგნებიდან შლიდნენ ორბელიანთა სახელებს, ორბელთა აჯანყების მონაწილე სუმბატის ფრესკა გიორგი III-ისა და მისი სახლეულის გვერდით დაეტოვებინათ, ან გამოესახათ?.. ბეთანიის წარწერაში სუმბატის მოხსენიება ერისკაცობის სახელით და თანამდებობით ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ სუმბატის ფრესკა და წარწერა შეუძლებელია 1155 წელზე გვიანდელი იყოს. ამრიგად, ბეთანიის ფრესკა და წარწერა 1128-1155 წწ. ეკუთვნის“.¹ ასეთი დათარიღება ნახევარის საუკუნით მაინც განსხვავდება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხელოვნებათმცოდნეების მიერ მანამდე დამკვიდრებული დათარიღებისაგან – XII-XIII საუკუნეების მიჯნა.²

შ. მესხიას, ორბელთა საგვარეულოს პირთა იდენტიფიცირების, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ჴელის კუთვნილებისა და მემკვიდრეობითობის დასადგენად თუ დასაზუსტებლად მოხმობილი აქვს ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები.

ჰნევანქის („ძელი ჭეშმარიტი“-ს), ქალკედონური მონასტრის (სომხეთში) მთავარი ეკლესიის გუმბათის ყელზე ამოკვეთილია ვრცელი, ქართული ასომთავრულით შესრულებული საამშენებლო (განახლების) წარწერა. წარწერა თარიღიანია – 1156 წ. (ზოგი მოსაზრებით წარწერა შესრულებულია 1154 წელს). მასში მოხსენიებულია ტაძრის „მეორედ განმაახლებელი“ სუმბატ („სობატ“), „ძე ივანე მანდატურთუხუცესისა და

¹ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 15, 17; ბეთანიის წარწერის და მთავარი ტაძრის აგების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია სუმბატ I დიდის მამის, ივანეს გარდაცვალება, ხოლო ზედა სუმბატის ბერად აღკვეცა (სუმბატ სკმონ-ქმნილი მოხსენიებულია თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში. იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 7.

² ი. ციციშვილი. ბეთანია, გვ. 268.

ამირსპასალარისა“.¹

სანაინის (სომხეთი) 1173 წლის სომხურ წარწერაში გიორგი III-ის თანამედროვე „ორბელიანი ივანე, სპასალარი“-ს შესახებ აღნიშნავს, რომ ის არის „შვილიშვილი დიდი ივანე სპასალარისა და ძე სუმბატ სპასალარისა“.²

აღსანიშნავია, ისტორიული რეალების გათვალისწინებისა და ანალიზის შედეგად, შ. მესხიას მიერ გამოტანილი სავსებით ლოგიკური და მართებული დასკვნა, „რომ დავითის მრავალმხრივ ღონისძიებებთან უნდა იყოს დაკავშირებული აგრეთვე მანდატურთუხუცესის სახელოს შემოღებაც... XII ს-ის 30-50-იან წლებში მანდატურთუხუცესი ჩვეულებრივ, გავრცელებულ, ხმარებულ ტერმინად და შესაბამისი სახელოს აღმნიშვნელად მოჩანს, ასე რომ იგი მაინც და მაინც დემეტრე I-ის დროს შემოღებულად არ შეიძლება მიგვეჩნია, მისი სათავე დავით აღმაშენებლის დროს უნდა ვეძიოთ, მით უფრო, რომ დემეტრე I რაიმე განსაკუთრებული საშინაო ღონისძიებებით XII ს-ის საქარველოს ისტორიაში ცნობილი არ არის“. დავითის რეფორმათა შორის კი „მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საპოლიციო, „მსტოვართა“ ინსტიტუტის გაძლიერებას... დავითის შემტევი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მართლაც მოითხოვდა მკაცრი რეჟიმისა და შინაგანი წესრიგის დამყარებას. ეს კი სამეფო ხელისუფლებასთან სათანადო საგანგებო უწყების შექმნით იქნებოდა შესაძლებელი. ასეთ ორგანოს კი ქართულ ფეოდალურ მონარქიაში მანდატურთუხუცესის ინსტიტუტი და მისი საუწყებო შეადგენდა“.³

ამრიგად, შ. მესხიამ, განხილული „ძელი ჭემმარიტისა“-ს, ბეთანიისა და სანაინის წარწერების მონაცემებით და ამ ინფორმაციის შეჯერებით ქართულ-სომხურ წარატიულ წყაროებთან, დაადგინა, რომ 1) დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1177 წლამდე, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები, ფაქტობრივად, ორბელთა ფეოდალური სახლის კუთვნილება იყო, მამიდან უფროს ძეზე გადადიოდა: ივანე I (საგვარეულოს ფუძემდებლის, ლიპარიტ აფხაზის ძე †1128წ.) – სუმბატ I (1128-1155წწ.) – ივანე II (1156/1161-1177წწ.); 2. ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესების სახელოების ისტორია დემეტრე I-ის დროიდან კი არ უნდა დავინყოთ, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ XII საუკუნის დამდეგიდან – დავით აღმაშენებლის დროიდან.⁴

სავაზიროს საკითხის განხილვისას შ. მესხიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გუნია-ყალას წარწერას.⁵ გუნია-ყალას წარწერა –

¹ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 13-14.

² შ. მესხიას დაკვირვებით XII ს. ქართული და სომხური წყაროები ზოგ შემთხვევაში სპასპეტს, სპასალარსა და ამირსპასალარს ერთი და იმავე მნიშვნელობითა და შინაარსით ხმარობენ. შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 13.

³ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 20-21.

⁴ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 17-18.

⁵ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 37-63.

„*ჯელი მეფეთ-მეფისა გიორგისი*“, კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. სტელის სიმბოლიკა (გაშლილი ხელის მტევანი და სამეფო ნიშანი) და წარწერის შინაარსი მიუთითებს, რომ ის სამეფო მიწისმფლობელობის დამადასტურებელი იურიდიული აქტია.

ის დიდი ინტერესი, რაც სტელის აღმოჩენისთანავე¹ გაჩნდა სამეცნიერო წრეებში, უპირველეს ყოვლისა, წარწერის შინაარსმა განაპირობა. თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის შემდეგ დასახელებულ პირთა იდენტიფიკაციამ მკვლევართა უმრავლესობა (პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი...) იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ წარწერაში წარმოდგენილია სავაზიროს სრული სია ხუთი ვაზირის შემადგენლობით,² რომლებიც სამეფო დომენის გამგებლობაში იღებდნენ მონაწილეობას. მხოლოდ ს. კაკაბაძემ გამოთქვა კატეგორიული აზრი, რომ გუნია-ყალას წარწერაში ვაზირები საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი, რადგან ეს იყო მცირე საკითხი, რომელიც ვაზირების მონაწილეობას არ საჭიროებდა.³

მრავალრიცხოვან არგუმენტებზე დამყარებული ვრცელი მსჯელობის შედეგად, შ. მესხიამ აბსოლუტურად განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა. მისი აზრით, გუნია-ყალას წარწერაში დასახელებულთაგან მხოლოდ ჭყონდიდელი და ზაქარია მხარგრძელი არიან ვაზირები, ხოლო დანარჩენები – საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები. „ამრიგად, გუნია-ყალას წარწერა არ არის XII-XIII სს. „ვაზირთა სრული სია“. აქ მოხსენიებულ პირთაგან მხოლოდ ორი არის „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელე: ერთი ვაზირია, ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესი (თევდორე), მეორე მანდატურთუხუცესი-ამირსპასალარი (ზაქარია), დანარჩენი სამი კი საქვეყნოდ გამრიგე მოხელეა: შალვა – ჯავახეთის მხარის ერისთავთ-ერისთავი. ოვსიყმა – თრიალეთის ერისთავი, ხოლო ვაჩე – სამშვილდის მხარის ერისთავთ-ერისთავი. სამივე სწორედ იმ მხარეთა ერისთავთ-ერისთავები არიან, რომელთა საგამგეო უშუალოდ შედიოდა ამ დროს შექმნილ ვრცელ სახასო ქვეყანაში“.⁴

თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად შ. მესხია კრიტიკულად განიხილავს როგორც ქართულ-სომხურ წარატიულ წყაროებს, ისე მრავალი ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლის მონაცემებს. სომხურ წარწერებზე (ჰარიჭის, ანისის – რამდენიმე, ახპატის, ტიგრან-ჰონენცის...) დაყრდნობით მკვლევარი ასაბუთებს, რომ 1205/1206 წლიდან მოყოლებუ-

¹ სტელა 1936 წელს აღმოაჩინა წალკის რაიონის სოფ. გუნია-ყალაში (ისტორიული თრიალეთი) და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოიტანა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ გ. ჩიტაიას მეთაურობით.

² პ. ინგოროყვა. რუსთველიანას ეპილოგი. – *თხზულებათა კრებული*, I. თბ., 1963, გვ. 569; ნ. ბერძენიშვილი. მინათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, III. თბ., 1966, გვ. 160-161; ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები. თბ., 1941, გვ. 66.

³ ს. კაკაბაძე. შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბ., 1966, გვ. 307.

⁴ შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება..., გვ. 62.

ლი ვიდრე გარდაცვალებამდე (1213 წ.) ზაქარია მხარგრძელი ორ ხელს ფლობდა, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა, რაც თავის-თავად გამორიცხავს გუნია-ყალას წარწერაში მის შემდეგ დასახელებულ შალვას მანდატურთუხუცესობას თამარისა და ლაშა-გიორგის თანამოსაყდრეობის, ანუ წარწერის შესრულების პერიოდში.¹

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში შ. მესხია არ იზიარებს სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების სომეხ მეცნიერთა (კ. კოსტანიანცი, მ. ემინი, კ. კაფადარიანი) შემოთავაზებულ დათარიღებას და დამაჯერებელი საბუთიანობით ახდენს მათ გადათარიღებას. მაგ., ზაქარია მხარგრძელის ძის შანშეს (შაჰანშა) დაბადების თარიღის დადგენითა და გათვალისწინებით, 1201 წელს შესრულებულად მიჩნეული ჰარიჭის წარწერას 1207-1213 წლებით ათარიღებს, ხოლო ანისის 1208 წლის წარწერას კი – 1207 წლამდე პერიოდით. აგრეთვე 1210 წლით დათარიღებული ახპატის უთარილო წარწერა, ლაშა-გიორგის თანამოსყდრედ კურთხევის მიხედვით, დაათარიღა 1207 წლით.²

აღნიშნული საკითხის კვლევამ მოითხოვა განძანის წარწერებში დასახელებული შალვას და მეფე გიორგის იდენტიფიცირება. ზოგი მკვლევარი (მ. ბროსე, ვ. ცისკარიშვილი) შალვას ბექა ჯაყელის ძედ მიიჩნევს და შესაბამისად განძანის წარწერებსაც XIV ს. I ნახევრით, გიორგი V-ის ზეობით ათარიღებდა (1318-1346წწ.) ზოგი (ნ. ბერძენიშვილი, ნ. შოშიაშვილი) – შალვას თორელ-ახალციხელად თვლის და ამდენად, განძანის წარწერებსაც გიორგი IV ლაშას (1210-1223წწ.) პერიოდით განსაზღვრავს.

³ **ს. კაკაბაძე.** კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თბ., 1920, გვ. 40; **ვ. ჯაოშვილი.** საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996., გვ. 51.

⁴ **ივ. ჯავახიშვილი.** ორთა მეფობა სრულიად საქართველოში. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. III. თბ., 1982, გვ. 55; **პ. გუგუშვილი.** მოსახლეობა. ოჯახი. შვილიანობა. თბ., 1985, გვ. 8.

⁵ **პ. ინგოროყვა.** საქართველოს სახელმწიფო XII-XIII საუკუნეთა. – *თხზულებანი*. ტ. IV. თბ., 1978, გვ. 18.

დრე ჭავჭავაძის გაანგარიშებით, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებს ემყარება, საქართველოს მოსახლეობა 1254 წელს 16 მილიონს უდრიდა, ისიც იმერეთისა და ზოგიერთი სხვა ისტორიული პროვინციების გამოკლებით.¹ პოეტის გაანგარიშება სრულ გაუგებრობაზე იყო დაფუძნებული. ვ. ლორთიფანიძისა და ა. თოთაძის გაანგარიშებით კი – 8 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა აღნიშნულ პერიოდში.²

მოსახლეობის რაოდენობის გასაანგარიშებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ საქართველოში კომლების რაოდენობა. ჟამთააღმწერლის მიხედვით მონღოლებს სამხედრო მოსახდელად ცხრა კომლიდან ერთი მხედარი გამოჰყავდათ, ხოლო ვახუშტის მიხედვით – ათი კომლიდან. ორივე შემთხვევაში 90 ათასს მხედარს უნდა მოეხადა სამხედრო ბეგარა მონღოლების ჯარში. მონღოლებს მხოლოდ სრული ფუძის მქონებული გლეხის ოჯახებიდან მხედარი გაუყვანიათ ლაშქრად, ვისაც ნახევარი, ან მეოთხედი მიწა ეკუთვნოდათ, ის, ეტყობა, სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული ყოფილა. კომლების რაოდენობის გასაგებად, 90 ათასი უნდა გავამრავლოთ ცხრაზე. ე.ი. 1254 წელს საქართველოში 810 ათასი კომლი ცხოვრობდა. ახლა მთავარია განვსაზღვროთ კომლის საშუალო სიდიდე – თუ რამდენი კაცი ცხოვრობდა იმ პერიოდში საშუალოდ ოჯახში. სწორედ ამ სიძნელეს წააწყდნენ ძირითადად მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის დროს.

მეცნიერები კომლის საშუალო სულადობას სავარაუდოდ განსაზღვრავდნენ 5 სულით, ალ. ჭავჭავაძე კი ოჯახში საშუალოდ 4 სულს ვარაუდობდა. დემოგრაფებისთვის ნათელია, რომ იმ პერიოდში არ შეიძლებოდა კომლის საშუალო სულადობა 5 კაცი, და მით უმეტეს, ნაკლები ყოფილიყო. რა თქმა უნდა, იყო პატარა ოჯახები, რომლებიც ქმრისა და ცოლ-შვილისაგან შედგებოდა, მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ უნდა ყოფილიყო. საკვლევ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული ტრადიციული დიდი ოჯახები, რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა. საქართველოში XIX საუკუნეში ჩატარებული სხვადასხვა ხასიათის მოსახლეობის აღწერების მონაცემები უჩვენებენ, რომ ოჯახში საშუალოდ 8 სული ცხოვრობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი იოანე ბატონიშვილი ოჯახის საშუალო სიდიდეს 8 კაცით განსაზღვრავდა.³ ამასთან, თუ იმ პერიოდში საქართველოში შობადობის მაღალ დონეს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში რეალურად 8 სული მაინც იცხოვრებდა.

ამრიგად, თუ ამოსავალ მონაცემებად მივიღებთ 810000 კომლს

¹ ალ. ჭავჭავაძე. საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე. ნერილი ნიკოლოზ პირველისადმი. – ქართული მწერლობა. თბ. IX. თბ., 1992, გვ. 92.

² ვ. ლორთიფანიძე, ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XII-XIII საუკუნეებში. – ჟურნ.: „დემოგრაფია“, №1-2 (9-10), 2005, გვ. 11.

³ იოანე ბატონიშვილი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986, გვ. 84.

და და ოჯახის საშუალო სიდიდედ 8 სულს, მაშინ 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა 6480000 კაცს უდრიდა (810000 X 8). მაგრამ ეს მონაცემებიც დაზუსტებას მოითხოვს. ამის საშუალებას იძლევა როგორც ჟამთააღმწერელთან, ისე ვახუშტი ბატონიშვილთან დაცული ცნობები, სადაც მითითებულია, რომ მონღოლებმა სამხედრო ბეგარისა და გადასახადებისაგან გაანთავისუფლეს ეკლესიის მსახურნი. მოსახლეობის ეს კატეგორია კი იმ პერიოდში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იქნებოდა. არ შეიძლებოდა მხედველობის გარეშე დავტოვოთ შემდეგი მეტად არსებითი ფაქტი: აღწერის დროს აუცილებლად გამორჩებოდათ ცალკეული კომლები და მთელი დასახლებული პუნქტებიც კი (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც აღწერაზე კონტროლი მონღოლების მხრიდან სუსტი იქნებოდა). თანამედროვე აღწერებიც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მთლიანად აღწერას – მოსახლეობის, მართალია, მცირე, მაგრამ გარკვეული რაოდენობა მაინც აღწერის გარეშე რჩება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ნახევარი მილიონი ადამიანი გათავისუფლებული ყოფილა გადასახადისგან, მათში შედიოდნენ არა მარტო სასულიერო პირები და ნახევარი ფუძის მქონე გლეხები, არამედ ბოგანოები, საერთოდ უმინანყოები, ვაჭრები, აზნაურები. თუმცა სხვაგან 1 მილიონს ასახელებს.¹ ჩვენ ივ. ჯავახიშვილის პირველ მოსაზრებას ვემხრობით ნახევარი მილიონი ადამიანის აღურიცხაობის შესახებ. რაც შეეხება პროფ. ვ. ლორთქიფანიძეს და ა. თოთაძეს, მათი აზრით, მილიონ ნახევარი ადამიანი დარჩათ მონღოლებს აღურიცხავი.²

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთაღნიშნულს გავითვალისწინებთ, საქართველოში მოსახლეობის 7 მილიონ კაცს მაინც უნდა ეცხოვრა. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ აღწერა შეეხებოდა მთელ საქართველოს და არა მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილს. ჟამთააღმწერელი გარკვევით აღნიშნავს, რომ არღუნ ყაენმა „ვითარცა მოინია საქართველოსა, დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნიო“ როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, აქ მთელ საქართველოზეა ლაპარაკი და არა მის ნაწილზე.³

მთელი XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში მაღალი იყო ცხოვრების დონე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა მშვიდობიან პერიოდში ცხოვრობდა, ომებში მცირე იყო დანაკარგები. ყმადნაფიცი ქვეყნები დიდ ხარკს იხდიდა, ხოლო ბრძოლების დროს, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხდებოდა გა-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. III. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ., 1982, გვ. 506.

² ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XII-XIII საუკუნეებში, გვ. 11.

³ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ., 1998, გვ. 279-280.

მარჯვებული ქართული ლაშქარი დიდი ნადავლით ბრუნდებოდა უკან. „ქართლის ცხოვრებაში“ არა ერთი ცნობაა დაცული წარმოუდგენელი ნადავლის შესახებ. ქვეყანაში აშენდა ქსენონები, დამყარდა წესრიგი და სამართალი. ყოველივე ეს ხელს უწყობდა შობადობის გაზრდას, სიკვდილიანობის შემცირებას და მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას. ივ. ჯავახიშვილის თქმით „ხალხი გამრავლდა საოცარი სისწრაფით“.¹ ამიტომ რეალურად გვესახება ის ფაქტი, რომ 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა 7 მილიონ კაცს უდრიდა. დავით აღმაშენებლის გამეფების პერიოდთან შედარებით ქვეყნის მოსახლეობა 6-ჯერ მაინც გაიზარდა.

მოსახლეობის ასეთ სწრაფ ზრდას ამავე ხანგრძლივობის პერიოდში არა ერთ სხვა ქვეყანაშიც ჰქონია ადგილი და ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი სულაც არა არის. მაგალითად, ინგლისის მოსახლეობა 1779 წელს 5 მილიონს უდრიდა, ხოლო 1921 წელს – 140 წლის შემდეგ – 44 მილიონს, ე.ი. ამ პერიოდში ინგლისის მოსახლეობა თითქმის 9-ჯერ გაიზარდა.² ასევე ანგარიშგასანევია ცნობილი ინგლისელი მეცნიერის თომას რობერტ მალთუსის მოსაზრება მოსახლეობის გამრავლების შესახებ. იგი აღნიშნავს: თუკი მოსახლეობის გამრავლებას წინ არაფერი ეღობება, მაშინ იგი ორმაგდება გეომეტრიული პროგრესიით.³ ამიტომ საქართველოს მოსახლეობის ასე სწრაფი ზრდაც შესაძლებლად მიგვაჩნია.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით საქართველოში მოსახლეობის აღწერა იმავე არღუნს დაახლოებით ოცი წლის შემდეგ განმეორებით ჩაუტარებია ამ აღწერის შესახებ მემატიანე მეტად მწირი ფაქტების გადმოცემით კმაყოფილდება – არაფერია ნათქვამი არც მოსახლეობის დასახეგრი კატეგორიისა და არც ჯარში გასანვევი კონტინგენტის რაოდენობის შესახებ. ერთდადერთი რაც ქართველი მემატიანეს მონათხრობიდან ჩანს, ისაა რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში მონღოლთა ბატონობას ქვეყნისთვის უაღრესად მძიმე კვალი დაუშინევია, მოოხრებულა მისი უმრავლესი პროვინცია და განსაკუთრებით ჰერეთი და კახეთი.⁴ მონღოლების შემოსევების გამო მოსახლეობა არა მარტო დიდი რაოდენობით დაიღუპა, არამედ ქართველების დიდი ნაწილი იძულებული გახდა კავკასიის მთებისთვის შეეფარებინა თავი. საქართველოს მოსახლეობა შემცირდა არა მარტო უშუალოდ დაღუპულთა სახით, არამედ გაზრდილი გარემიგრაციული პროცესების შედეგად.

„ქართლის ცხოვრებაში“ სხვა ცნობა ქვეყნისა და თუმცა მისი რომელიმე კუთხის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ დაცული არ არ

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 278.

² ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XII-XIII საუკუნეებში, გვ. 11.

³ თ. რ. მალთუსი. გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ. რუსული გამოცემიდან ქართულად თარგმნა ა. სახვაძემ. ტ. I. თბ., 2004, გვ. 24.

⁴ ჟამთააღმწერელი. ასწლიანი მატთანე, გვ. 274.

ის. სამაგიეროდ დაცულია ცნობა თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ 1226 წელს. მანამდე თბილისის მოსახლეობის რაოდენობაზე მხოლოდ ერთადერთი ცნობაა დაცული და ისიც უცხოურ წერილობით წყაროებში. კერძოდ, 853 წელს ბულა თურქის ლაშქრობის დროს თბილისის 50 ათასი მცხოვრები დაღუპულა.¹ თუ დავუშვებთ, რომ თბილისის ყველა მცხოვრები დაღუპულა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, მაშინ თბილისში 50 ათასი კაცი მაინც ცხოვრობდა. რაც შეეხება 1226 წლის მონაცემებს. 1225 წელს საქართველოს შემოესია ხვარაზმელთა არმია ჯალალედინის მეთაურობით. 1226 წელს გაიმართა თბილისისათვის ბრძოლა. ჟამთააღმწერელი დიდი მწუხარებით ყვება თბილისის აღების ამბავს და იქ დატრიალებულ გაუგონარ ტრაგედიას. როგორც მემატთანე გადმოგვცემს: „ათი ბევრ აღინია რიცხვი მოკლულთა“.² ანუ ასი ათასმა თბილისელმა ღვთისმშობლის ხატის შეურაცხყოფას სიკვდილი ამჯობინა. თითქმის ანალოგიურ ცნობას გვანვდის ვახუშტი ბატონიშვილიც: „სულთანმა მოიღო ხატი სიონისა ყოვლადწმინდისა და დაასუენა ხიდსა ზედა, და რომელი არა ნერწყვიდა, მოჰკვლიდნენ. მაშინ მრავალთა მონამეობისა გვირგვინი აღსარებით მოიგეს, არამედ მოსვრილნი თბილისისანი რ-ჩ (10000) აღინივნეს“.³

ამრიგად, თუ თბილისის ყველა მცხოვრები ამონყვიტეს, თბილისის მოსახლეობა 100 ათას კაცს უდრიდა. მაგრამ საეჭვოა, რომ ქალაქის მოსახლეობა მთლიანად ამოენყვიტათ. მაშინ ქალაქში 100 ათასზე მეტი მაცხოვრებელი ყოფილა. ამდენად თბილისი წარმოადგენდა უდიდეს ქალაქს მახლობელ აღმოსავლეთში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ზოგჯერ საეჭვოდ მიიჩნევენ თბილისის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობას. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლმა, სანამ თბილისს საბოლოოდ შემოირთებდა, თბილისს ხარკის სახით დააკისრა 10 000 დინარი. თბილისის აღების შემდეგ დავით მეფემ გადასახადები ასეთი ოდენობით დაანესა: ქართველებს წელიწადში ხუთი დინარი უნდა გადაეხადათ, ებრაელებს – ოთხი, მუსლიმანებს კი – სამი. თბილისში მცხოვრები კომლთა რაოდენობის გასაგებად მარტივი არითმეტიკულის საშუალოს გამოყენებით ანგარიშობენ დაწერილი ხარკის საშუალო სიდიდეს, რომელიც ოთხ დინარს უდრის (5+4+3:3).⁴ რა თქმა უნდა ასეთი გაანგარიშება არ არის სწორი, რადგან ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ შენონილი არ-

¹ საქართველოს ისტორია (IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე). ტ. II. როინ მეტრეველის რედაქტორობით. თბ., 2012. ჩგვ. 232.

² ჟამთააღმწერელი. ასწლიანი მატთანე, გვ. 178.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 202-203.

⁴ თბილისის ისტორია. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XI-XII საუკუნეებში. ტ. I. მამია დუმბაძის და ვიქტორ გუჩუას რედაქტორობით. თბ., 1990, გვ. 113-114.

ითმეტიკული საშუალო. ე.ი. უნდა ვიცოდეთ კომლების რაოდენობა ეროვნების მიხედვით. მაგრამ რადგან ეს მაჩვენებლები ცნობილი არ არის, უნდა დავეკმაყოფილდეთ ასეთი უხეში გაანგარიშებით.

ე.ი. თუ მთელი გასახადი 10 000 დინარს შეადგენდა და ერთი კომლი წელიწადში იხდიდა 4 დინარს, მაშინ თბილისში 2500 კომლს უცხოვრია. თუმცა როგორც ზემოთ ითქვა, ამ პერიოდში კომლში საშუალოდ 8 კაცი მაინც ცხოვრობდა. ამრიგად, XIII. I მეოთხედში თბილისში 20 000 კაცი ცხოვრობდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებლის გადასახადი არ უნდა დაკისრებოდა მოსახლეობის ზედა ფენას და მას ძირითადად ვაჭარ-ხელოსნები იხდიდა, მაშინ თბილისის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 25-30 ათას კაცს უდრიდა. ბუნებრივია, 1122 წლიდან 1226 წლამდე, 104 წლის განმავლობაში, ეკონომიკური აღმავლობისა და უკეთესი ცხოვრების პირობებში, თბილისის მოსახლეობა სწრაფად გაიზრდებოდა. სრულიად რეალური ჩანს ის ფაქტი, რომ 1226 წელს მისი მოსახლეობა 100 ათას კაცს შეადგენდა. ამავე დროს, თბილისი გახდა სამეფო ქალაქი, მან შეიძინა მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციები და ამდენად იგი ინტენსიური მიგრაციული პროცესის შედეგადაც იზრდებოდა.

ამრიგად, მონღოლების შემოსევებისა და ბატონობის შედეგად მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა. საქართველოს მოსახლეობის შემცირებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტყვეთა ვაჭრობას და ლეკიანობას. ამ მოვლენებმა არა მარტო უკიდურესად შეამცირა ქვეყნის მოსახლეობა, არამედ გაჩანაგების პირზე მიიყვანა მისი მეურნეობა. მრავალი ქართველი გაიყიდა უცხო ქვეყანაში. საფრთხე დაემუქრა ერის გენოფონდს – ტყვედ იტაცებდნენ სილამაზით გამორჩეულ ფიზიკურად ჯანსაღ ახალგაზრდებს. ადამიანებით ვაჭრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს მოსახლეობა. ჯანმრთელი და ახალგაზრდა თაობის მოტაცების შედეგად მთელს საქართველოში გაიზარდა ხანდაზმული მოსახლეობის წილი. ამის შედეგად, გარდა პირდაპირი დანაკარგებისა, შობადობის შემცირების შედეგადაც იკლებდა მოსახლეობის რაოდენობა. ვ. ლორთქიფანიძის გაანგარიშებით, საქართველომ ტყვეებით ვაჭრობის შედეგად 1550-1850 წლებში 1350 ათასი კაცი მაინც დაკარგა.¹ ეს არის პირდაპირი დანაკარგები. თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოეთში გაყიდულ 1350 ათას ქართველს თითო შვილი მაინც ეყოლებოდა, მაშინ ადამიანთა დანაკარგები გაცილებით დიდი იქნებოდა. სამაგიეროდ ისინი ჩვენი მტრების გამრავლების წყარო ხდებოდა.

ტყვეების უცხო ქვეყნებში გაყიდვის ეს მეტად მახინჯი მოვლენა, რომელიც როგორც ეპიდემია ისე იყო გამჯდარი საზოგადოებაში და აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ქვეყანას, „ქართლის ცხოვრებაში“ მეტად მწირე ცნობებით აისახა. რა თქმა უნდა, ძველ „ქართლის ცხოვრებაში“

¹ ვ. ლორთქიფანიძე. ტყვეთა ვაჭრობით გამოწვეული დემოგრაფიული დანაკარგები საქართველოში. – ჟურნ.: „დემოგრაფია“, № №3(8), 2004.

აღნიშნული პრობლემა ვერ აისახებოდა, მაგრამ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიას ბაგრატ V-იდან (გამეფდა 1360 წელს) ვიდრე ვახტანგ V შაჰნავაზამდე (1658-1675), როდესაც უკვე ტყვის სყიდვა საკმაოდ გავცელებული იყო, ადამიანებით ვაჭრობის პრობლემა არ არის სისრულით წარმოჩენილი. არც ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომშია დანახული ამ პრობლემის დამლუპველი გავლენა ქვეყნის მომავალზე, ის საშიშროება, რაც თუნდაც დავით გურამიშვილმა გამოთქვა ქვეყნის ვერანად გადაქცევაზე და დაუკაცრიელებაზე, – დიდი მეცნიერი მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდება. ქართულ ლიტერატურულ და სხვა ისტორიულ წყაროებში, სამართლის ძეგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაკლოვანება დაძლეულია, თუმცა ტყვეთა ვაჭრობით გამოწვეულ დემოგრაფიულ დანაკარგებზე არც ამ წყაროებშია რაიმე ნათქვამი, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისათვის. სამაგიეროდ საქართველოში ადამიანებით ვაჭრობის შესახებ უამრავი ცნობაა დაცული უცხოურ წყაროებში, განსაკუთრებით იტალიელ მისიონერთა და ევროპელ მოგზაურთა ნაშრომებში, სადაც დაცულია ცნობები საქართველოს ზოგიერთი ისტორიული პროვინციიდან გაყვანილი ტყვეების რაოდენობის შესახებ თუმცა ეს მონაცემები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია.

ადამიანებით ვაჭრობის შესახებ ცნობები „ქართლის ცხოვრებაში“ ეპიზოდური ხასიათისაა და მთელი სისრულით ვერ წარმოაჩენს ამ მახინჯი მოვლენის არსს. დატყვევების შიშით მოსახლეობა მუდმივ შიშში იმყოფებოდა, რაც მოსახლეობის ფსიქიკას არღვევდა. ამ მოვლენამ უაღრესად დააკნინა საზოგადოებრივი ცხოვრება, შენების, ახლის შექმნის სურვილის ნაცვლად ხალხში სასონარკვეთამ, უნდობლობამ დაისადგურა.

ადამიანებით ვაჭრობის მიერ მიყენებული მთავარი ზიანი მაინც დემოგრაფიული ხასიათისაა. ზემოთ უკვე აღვნიშნე დემოგრაფიული დანაკარგების შესახებ – ასიათასობისთ ქართველი უცხოეთის ბაზრებზე გაიყიდა. დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ახალგაზრდა ჯანმრთელი თაობის წარმომადგენლების მოტაცების შედეგად უაღრესად შემცირდა შობადობა და დაიზარდა მოკვდაობის დონე. ამ მოვლენებით გამოწვეული ეკონომიკური სიდუხჭირე, ეჭვი არ არის, ზრდიდა მოსახლეობის ავადობას. შვილის, მშობლის, მეუღლის, საერთოდ ახლობელი ადამიანის მასობრივი მოტაცების შემთხვევებს არ შეიძლება ასევე მასობრივი ფსიქიკური დაავადებები არ გამოეწვია მოსახლეობაში. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ადამიანებით ვაჭრობამ მონღოლების, თემურ ლენგისა და შაჰ აბასის შემოსევებზე არანაკლები, თუ უფრო მეტი არა, უბედურება დაატეხა თავზე ქართველ ხალხს და

არანაკლებ შეაფერხა მისი დემოგრაფიული განვითარება.¹

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემები 1254 წლიდან 1770 წლამდე არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ გარეშე მტრების გამუდმებული შემოსევების და შინააშლილობების შედეგად მოსახლეობა გამუდმებით მცირდებოდა, თუმცა ცალკეულ პერიოდებში ჩამოვარდებოდა თუ არა სიმშვიდე, ქვეყანა შენდებოდა.

საქართველოს მოსახლეობა თანამედროვე საზღვრებში ყველაზე მცირე იყო 1770 წელს – 761 000 კაცი. ვ. ჯაოშვილმა შეისწავლა 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც შედგენილია ერეკლე II-ის კარზე და საქართველოს შესახებ სხვა აღწერილობით მასალებთან ერთად გადაეცა რუსეთის რეზიდენტს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ამ დემოგრაფიული ნუსხის საფუძველზე ვ. ჯაოშვილმა დაადგინა, რომ საქართველოს მოსახლეობა XVIII ს. შუა წლებში 761 000 კაცისგან შედგებოდა. მისი დაშვებით, თუ ცდომილება რამდენიმე პროცენტს შეეადგენდა, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა იქნებოდა 750-770 ათასის ფარგლებში.²

XIX საუკუნეში საქართველოში შედარებით ხელსაყრელი პირობები შექმნა მოსახლეობის გამრავლებისათვის. თუ 1800 წელს საქართველოს მოსახლეობა 785 000 კაცს უდრიდა, 1897 წელს მისმა მოსახლეობამ – 1 919 000 კაცი შეადგინა. მთლიანად XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 2,4-ჯერ გაიზარდა. XX საუკუნეში – 2,8-ჯერ. 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 2,7 მილიონი კაცი ცხოვრობდა. ქვეყნის მოსახლეობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა საქართველოს მეორე მსოფლიო ომში რომ არ გაელო მსხვერპლი 300 ათასი კაცის ოდენობით. 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა – 5,4 მილიონი, 2002 წ. კი – 4 371 000.

ამრიგად, XIX საუკუნემდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ საისტორიო წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობები მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში“ არის დაცული, რომლის მიხედვითაც ვადგენთ საქართველოში მცხოვრები ოჯახების რაოდენობას, ამის საფუძველზე კი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მოსახლეობის რიცხოვნობას.

¹ ეს პრობლემა კაპიტალურადაა გამოკვლეული ა. კილასონიას მონოგრაფიაში. იხ.: **ა. კილასონია**. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. *ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები*. თბ., 2006.

² **ვ. ჯაოშვილი**. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 49.

TAMAR SHINJIASHVILI

THE NUMBER OF GEORGIA'S POPULATION ACCORDING TO THE GEORGIAN HISTORICAL SOURCES

The valuable information about the population of Georgia is accumulated in historical written sources. The work of Georgian historians "The Life of Kartli" is particularly distinguished for the abundance of demographic information. The censuses provide the most accurate data on the number of population. The particularly important is the population and property census held in 1254 by the Order of Bato Khan. We can not discuss how the population was changing during this time. It is only known that 90 thousand fighters were in Mongols' service and due to the Mongol invasions not only a large number of people were killed, but a significant part of population was also forced to seek shelter in the Caucasus Mountains.

The population of Georgia was decreased also due to the increased external migration processes. Trade of hostages and Lezgin attacks caused the population reduction. Many Georgians were sold in foreign countries. Healthy young people with exceptional physical beauty were kidnapped. The human trade significantly reduced the population of Georgia.

Since 1254 there is no exact data on the number of population till 1770. In the 19th century, a relatively favourable conditions have been created in Georgia for the reproduction of the population.

Besides "The Life of Kartli" (*"Kartlis Tskhovreba"*), the views about the population number are discussed in the works of Georgian scientists – Vakhushti Batonishvili, Iv. Javakhishvili, S. Kakabadze, V. Jaoshvili, P. Gugushvili, P. Ingorokva, and others, who represent the population number in different figures. Thus till the 19th century important information on the population of Georgia in the historical sources is kept only in "The Life of Kartli", according to which we define the number of families living in Georgia, and on this basis, taking into account various factors, the population numbers.

მალეთთან და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაში დახმარებოდა. იგი საქართველოში მოვიდა 1623-1624 წლებში.¹

ცნობილი არ არის ნიკიფორე როგორი სასულიერო ხარისხით მოვიდა საქართველოში, არც ის არის ცნობილი მან მალალი საეკლესიო თანამდებობა – მიტროპოლიტობა, მოსკვისთანავე მიიღო თუ საფეხურებრივად მიაღწია. 1635 წელს თეიმურაზი მოსკოვის ხელმწიფისათვის გაგზავნილ წერილში ნიკიფორეს მოიხსენიებს, როგორც დიდი ივერიის საგანგებო არქიმანდრიტს და ქართლისა და კახეთის, კუკოსონის² წმინდა ოლქის, ლურის პატიოსან ეგზარხს, სრულიად ისხანიის დიდ არქიმანდრიტს კირ-ნიკიფორე ბერძენს.³

თეიმურაზ მეფის სიგელის მიხედვით, გამოდის, რომ მას ნიკიფორესათვის მიტროპოლიტის ხარისხი მიუნიჭებია და სამიტროპოლიტო ეპარქიაც გამოუყვია დაახლოებით 1633-1634 წლებში, რუსეთში მის გაგზავნამდე. შეიძლება დავუშვათ, რომ ნიკიფორემ ამ საპასუხისმგებლო დავალების შესრულების სანაცვლოდ მალალი სასულიერო წოდების მინიჭება მოითხოვა. ამ მოთხოვნის გამართლება, ალბათ, ის იქნებოდა, რომ მოსკოვში მის მიმართ მეტ ყურადღებას გამოიჩენდნენ და მეფის დავალების შესრულება გაუადვილდებოდა. ის, რომ მას ამგვარი მოთხოვნა დაეყენებინა, არ იქნება გასაკვირი, როდესაც გადავხედავთ მის სწრაფვას მიელნია მინიჭებული ტიტულის ხელდასხმით დაკანონებისათვის.

როდესაც ნიკიფორე პირველად ჩავიდა მოსკოვში, მას მოიხსენიებდნენ, როგორც დანიშნულ (нареченный) მიტროპოლიტს. თუ რატომ ატარებდა ნიკიფორე ამგვარ ტიტულს, თეიმურაზი მოსკოვის ხელმწიფისათვის გაგზავნილ წერილში განმარტავს შემედგნაირად: რადგან ჩვენი პატრიარქი აღესრულა და არ გვყავს სხვა პატრიარქი,⁴ ამიტომ ეს მიტროპოლიტი არ არის ხელდასხმული. იგი ერთი წელია რაც ზემოთ დასახელებულ მხარესა და სამიტროპოლიტოს ფლობს. საქართველოში წესადაა, რომ ხელდაუსხმელმა მიტროპოლიტმა ერთი წელი უნდა განაგოს თავისი ეპარქია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ თანამდებობას ვერ დაიკავებს.⁵ მაგრამ გავიდა რამდენიმე წელი და ნიკიფორეს სტატუსი არ

¹ *Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г.* СПб, 1867, გვ. 9.

² თ. ტივაძის ვარაუდით, „კუკოსონი“ შეიძლება ნიშნავდეს კაკ-ენისელს, ხოლო „ისხანია“ – სოფელ შიხიანს, რომელიც ენისელიდან 2 კილომეტრზე მდებარეობდა სამხრეთით (თ. ტივაძე. თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 83).

³ М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений в 1615-1540 гг., Тб., 1937, გვ. 08.

⁴ გაუგებარია 1634 თუ 1635 წელს შედგენილ წერილში თეიმურაზ მეფე რატომ ამბობს, რომ ამ დროს პატრიარქი არ გვყავსო, მაშინ, როდესაც 1632-1642 წლებში კათალიკოს-პატრიარქი იყო ევდემოზ I დიასამიძე, რომელიც თეიმურაზ მეფის სასარგებლოდ მონყობილ როსტომის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაიღუპა.

⁵ «Потом к державному и к превысочайшему великому твоему царствию послали

შეიცვალა. საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფეს სწერდა, მიტროპოლიტის ხარისხი ნიკიფორეს თვითონ მიანიჭა.¹ თეიმურაზის ეს წერილი დაწერილია ნიკიფორეს მეორედ მოსკოვში გაგზავნის წინ, 1639 წელს და მეფე ამიტომ ამბობს უკვე ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ რაც მას მიტროპოლიტობა მივანიჭეთ.

ვიდრე ნიკიფორეს რუსეთის სატახტოში ჩავიდოდა, ხელმწიფეს და პატრიარქს უკვე ჰქონდათ მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია. ასტრახანისა და თერგის არქიეპისკოპოსი რაფაელი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს იოსააფს აცნობებდა, რომ „ასტრახანში მივიდა საქართველოს მეფე თეიმურაზის ელჩი მიტროპოლიტი მიკიფორე; მაგრამ აქიმანდრიტმა იოსებმა სთქვა, რომ თითქოს ის ნიკიფორე დანიშნული მიტროპოლიტია და არა სრულყოფილი“.

ასტრახანის არქიეპისკოპოსმა მოსკოვში თეიმურაზის ელჩის შესახებ სხვა არასასიამოვნო ამბავიც აცნობა: ნიკიფორე ასტრახანში საერო ტანსაცმლით – თურქული უკან გადასაყრელი სახელოებიანი ხიფთანით მისულა. სასულიერო პირთა საცხოვრებელ სახლში შეიტყუა იქ მცხოვრები მკერავი, დაათრო და უბრძანა შეეკერა მისთვის ეპისკოპოსის მანტია მკერდზე ფერადი ზოლებით. ამას გარდა ნიკიფორე რუსების ქრისტიანულ სარწმუნოებასაც ლანძღავდა და მანტიასაც უნებართვოდ ატარებდა. არქიეპისკოპოსი რაფაელი პატრიარქის წინაშე თავს იმართლებდა, ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი და როცა ყოველივე შევიტყე, მაშინვე ხელმწიფის ბოიარ თავადს ვაცნობეო. ბოიარმა ნიკიფორეს აუკრძალა ხელმწიფის, პატრიარქისა და ასტრახანის არქიეპისკოპოსის ნებართვის გარეშე მანტიით სიარული, აღარ უნდა ელანძღა რუსების მართლმადიდებლური რწმენა. ნიკიფორეს განუცხადებია: მე თქვენს არქიეპისკოპოსს არ ვემორჩილებიო.²

ასტრახანში ნიკიფორეს ის ქმედება, რაზეც არქიეპისკოპოსი რაფაელი პატრიარქს აცნობებდა, უნდა აიხსნას რუსეთში მისი ელჩად გაგზავნის გასაიდუმლოების აუცილებლობით. ამის შესახებ ვიგვბთ თეიმურაზის მიერ მოსკოვში გაგზავნილი წერილიდან. თეიმურაზი ხელმწიფეს სთხოვს ნიკიფორეს მოუსმინოს, ყოველივე ის რაც მას სიტყვიერად დააბარეს და ეს წერილი საიდუმლოდ შეინახოს ისე, როგორც მეფესა და ხელმწიფეს საიდუმლოებათა შენახვა შეეფერება. თეიმურაზ მეფე მიხეილ თედორეს ძეს შეახსენებს, რომ მის ქვეყანაში სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები ცხოვრობენ და სასურველი არ არის მათ

есмя посла верного моего приказного великого архимарита всяя великие иверские земли и карталанского и кахетинского нареченного митрополита святых области кукошонские, лурского честнаго екзарха всяя Исхания кир-Никифора греченина» (М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских., გვ. 108).

¹ *Переписка на иностранных языках грузинских.*, გვ. 9.

² *Переписка на иностранных языках грузинских.*, გვ. 225.

იცოდნენ როგორ გადაწყდებოდა ჩვენი საქმეები. ამიტომაც გამოვაგზავნე მცირერიცხოვანი ელჩობა. შემდეგ, როდესაც საქმეს მოვაგვარებთ, მეფემ ყველა მაშინ გაიგოსო.¹ სავარაუდოა, თეიმურაზ მეფის ელჩობა საიდუმლოდ მოგზაურობდა ასტრახანამდე.

დიდი იყო ნიკიფორეს სწრაფვა გამხდარიყო ხელდასხმული მიტროპოლიტი. ალბათ მისი თხოვნით თეიმურაზ მეფემ მოსკოვის ხელმწიფეს და პატრიარქ იოსააფს მიმართა, ჩემი ელჩი კუკოსონის მიტროპოლიტად აკურთხეთო. მაგრამ ამ თხოვნის შესრულება რუსული ეკლესიის მოთხოვნებიდან შესაბამისად სერიოზული დაბრკოლებები ელოებოდა. პირველი ის იყო, რომ ამის გაკეთება სწრაფად ვერ მოხერხდებოდა წინასწარ განხილვის გარეშე, რასაც საკმაოდ დიდი დრო დაჭირდებოდა, ნიკიფორე კი მოსკოვში დიდხანს ვერ დარჩებოდა. როგორც ის აცხადებდა, საქართველოში თავის მეფესთან ეჩქარებოდა. წინასწარ განხილვისა და მსჯელობის გარეშე რუს სასულიერო პირებსაც კი არ ნიშნავდნენ. ნიკიფორეს ისიც უთხრეს, რომ თუ მას უნდა სრული მიტროპოლიტი იყოს, მაშინ რუსულ ადათ-წესებს უნდა შეეჩვიოს. ამის გამგონე ნიკიფორემ ხელმწიფეს საქართველოში გაშვება ითხოვა, ხოლო მიტროპოლიტად ხელდასხმისათვის სხვა დროს სპეციალურად ჩამოვალა.²

თუ გავითვალისწინებთ ნიკიფორეს მოსკოვში საქმიანობას, მისი საყვედურები და მოთხოვნები ხელმწიფისა და მისი მოხელეების შეგნებული და უნებური უმოქმედობის გამო, რა თქმა უნდა ხელმწიფე და პატრიარქი არ მოინადინებდნენ მის ხელდასხმას. სავარაუდოა, ნიკიფორე მაინც გახდა სრული მიტროპოლიტი. ამას მაფიქრებინებს ის, რომ 1651 წელს რუსი ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი თეიმურაზ მეფესთან ერთად იმერეთში თავშეფარებულ ნიკიფორეს ყოველთვის გოლგოთის ილუმენად მოიხსენიებდნენ.³ ჩემთვის ცნობილი არ არის როდის ან როგორ მოიპოვა მან ეს ტიტული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მას ძალიან აწუხებდა მიტროპოლიტის ტიტულის ტარება ხელდასხმის გარეშე. სავარაუდოა, ნიკიფორე ბერძენმა აისრულა ნატვრა, იერუსალი-

¹ М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских..., გვ. 110.

² *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию. 1640-1643.* Документы издал и введением снабдил М. Полиевктов. Тифлис, 1928, გვ. 38-39; კ. კეკელიძე. ნიკიფორე ირბახი..., გვ. 296.

³ *ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის სანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“).* რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ., 1969, გვ. 37, 40, 64, 110; *ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ.* რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ., 1970, გვ. 70, 85, 95, 98, 99, 103-105, 135. ტოლოჩანოვი ორჯერ ნიკიფორეს დანიშნულ მიტროპოლიტადაც მოიხსენიებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მის ადრინდელ საქმიანობაზე, კერძოდ მის კონსტანტინოპოლსა და მოსკოვში ელჩად ყოფნის შესახებ გადმოგვცემს (*ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა*, გვ. 51, 77).

მი მოილოცა და სრულ მიტროპოლიტად დაბრუნდა. ამიტომ უნდა იყოს, რომ რუსი ელჩები მას „დანიშნულ“ მიტროპოლიტს აღარ ეძახიან. იგი, ჩვეულებრივ, მიტროპოლიტია.

გავისხენოთ თეიმურაზის მიერ 1639 წ. 25 აპრილს მოსკოვში გაგზავნილი წერილი, რომელშიც მოყვანილი აქვს ნიკიფორეს სიტყვები: „ჩემო ხელმწიფე თეიმურაზ, გამიშვი, დიდხანს გემსახურე, ახლა მცირე ხნით გამიშვი წმინდა იერუსალიმში თაყვანისცემისა და ჩემი მიტროპოლიტად ხელდასხმისათვის; რადგან ეხლა მხოლოდ დანიშნული მიტროპოლიტი ვარ, უკვე ოთხი წელია დანიშნული ვარ, წესით არ შეიძლება აქ ხელდასახან, თუ ცოცხალი ვიქენი, ჩემო ხელმწიფე, დაგობრუნდები, თუ მოკვდები, მომიტევე ჩემო ხელმწიფე“.¹ ნიკიფორეს მეფისადმი ამ თხოვნაში მისი იერუსალიმში გაშვების შესახებ, კ. კეკელიძე მხოლოდ ხრიკს ხედავს იმ პიროვნებისა, რომელსაც უნდოდა როგორმე თავი დაეღწია აბეზარი მეფისაგან.² ნიკიფორეს თხოვნის ამგვარი შეფასება, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არ ასახავს სინამდვილეს. ნიკიფორეს, რომ ამგვარი განზრახვა ჰქონებოდა, მისი გამოცდილების მქონე კაცი სხვა დროსა და ვითარებაში შეიძლება თეიმურაზ მეფისაგან თავის დაღწევას.

იმის გამო, რომ მეფეს თავის გარემოცვაში არ ეგულებოდა ნიკიფორეს შემცვლელი დიპლომატი, ამიტომაც არ გაუშვა იერუსალიმში. თავადებისა და არქიელების რჩევით, თეიმურაზმა ნიკიფორე მეორედ გაგზავნა ელჩად მოსკოვში³. ნიკიფორემ, როგორც ნათქვამია აღნიშნულ წერილში, ივერიის მიწა-წყალზე ქრისტიანობისათვის მრავალი სიკეთე, შრომა და დახმარება გასწია. ამიტომ გზავნის მეფე მას მოსკოვში. „ამისათვის მიყენია იგი ჩემს სახელმწიფოში ყველა ბოიარსა და არქიელზე მალლა, რადგან არის მეფის სამსახურისა და ბრძანებების პატიოსანი და ღირსეული შემსრულებელი. რომელ სამეფოსა და სახელმწიფოშიც ელჩად გავაგზავნე, არასდროს ხელცარიელი არ დაბრუნებულა“.⁴

¹ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 10-11.

² **კ. კეკელიძე**. ნიკიფორე ირბახი.., გვ. 296.

³ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 11. ნიკიფორეს მოსკოვსა და საქართველოში დიპლომატიური საქმიანობის შესახებ იხ. ე. **მამისთვალიშვილი**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტ. II (XVII ს. II ნახევარი – თეიმურაზ I-ის ეპოქა). თბ., 2011, გვ. 325-327, 335-353, 367-379, 389-390.

⁴ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 108; თეიმურაზს რომ გამეფების დღიდან სერიოზული საფუძველი ჰქონდა ეჭვის თვალთ ეცქირა აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულებისათვის. ამის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა სპარსელმა ისტორიკოსმა ისქანდერ მუნშიმ. ეს შაჰ აბასის პანეგირისტი გვაცნობს ერთ ისეთ საინტერესო ფაქტს, რომელსაც შემდეგში სავალალო შედეგი მოჰყვა, როგორც ქართლის მეფე ლუარსაბისათვის, ისე მთელი აღმოსავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური განვითარებისათვის. გასაგები ხდება თეიმურაზ მეფის ეჭვიანი, უნდო დამოკიდებულება თავისი კარისკაცებისადმი. მას შემდეგ რაც შაჰმა ლუარსაბი ქართლის მეფედ გამოაცხადა, ამის შემდეგ მან თავისი ერთ-ერთი კარისკაცი მოჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლუ

მიტროპოლიტი ნიკიფორე, როგორც თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფეს სწერდა 1639 წელს, უკვე 15-16 წელი იყო რაც დიპლომატიურ საქმიანობაში ჰყავდა ჩაბმული და ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.¹

ნიკიფორე, თეიმურაზის მიხედვით, თავისი ადამიანური თვისებებით გამორჩეული იყო როგორც ქართველების, ისე ბერძნებისაგან. ჩვენთან ხომ ბევრი ბერძენი მოდის, მაგრამ გამოჩნდებიან თუ არა სპარსელები, ისინი მაშინვე გარბიან თავიანთ ქვეყნაში. ნიკიფორე კი ჩვენთან რჩება და ქრისტიანობის გადარჩენისათვის იბრძვის და სისხლს ღვრის. თეიმურაზის თქმით საქართველოში ნიკიფორესნაირი ბერძენი არასოდეს არ მოსულა ქვეყნისა და მეფისათვის ერთგულებისა და თავდადების გარდა ნიკიფორეს დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოუმჟღავნებია. სადაც არ გავაგზავნეთ, ყოველთვის წარმატებული დაბრუნდაო, – წერს თეიმურაზი. თეიმურაზს იგი გაუგზავნია სულთანთან ცარგრაღში და მეფისა და სულთნის შერიგება მოუხერხებია. მას იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სულთანზე, რომ ვეზირს თეიმურაზისათვის შემოუთვლია, რომ ამის შემდეგ სულთანთან სხვა ელჩი აღარ გამოაგზავნო ნიკიფორეს გარდაო. კიდევ უფრო გაზვიადებულადაა გადმოცემული ნიკიფორეს დამსახურება ოსმალეთის სულთანთან მეორედ ყოფნის დროს. ნიკიფორეს იმისათვის მიუღწევია, რაც თეიმურაზმა ვერ შეძლო ოსმალეთის სახელმწიფოს ირანის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ნიკიფორემ, თეიმურაზის სურვილის თანახმად სულთანზე ისეთი გავლენა მოახდინა, რომ ამ უკანასკნელმა ირანის წინააღმდეგ არა მხოლოდ ომი დაიწყო, პირადად ჩაუდგა ჯარს სათავეში და ისეთ წარმატება მოიპოვა, რომ ერევანი

ქართლში გაგზავნა, რათა მოეკითხა გარდაცვლილი გიორგი X-ს ნათესავები და შაჰის წყალობის იმედი მიეცა... ირანში დაბრუნებულ მოჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლუსთან ერთად შაჰის კარზე ჩამოვიდა ბევრი „ქართველი ბატონიშვილი და აზნაური“, რომელნიც „შაჰის კარზე განდიდებული და განსაკუთრებული მოპყრობით გამორჩეული გახდნენ“. დიდებულმა ხელმწიფემ თავისი მწყალობელი [ბუნების] გამო, უფლისწულებს, მათი ხარისხის მიხედვით, შაჰური მოკითხვით მიუალერსა, ხელმწიფური საჩუქრებით დააჯილდოვა, საქმეებიც მათი გულისნადილის მიხედვით მოუწყო და ყველა კმაყოფილი და გახარებული თავის სამშობლოში დააბრუნა“. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შაჰ აბასის მიერ ქართლის დიდებულებისაგან ერთგულების და ქვეშევრდომობის ფიცის მიღება და მათი საქმეების „მათი გულისნადილის მიხედვით“ მოწყობა, რაც ახალგაზრდა მეფის ხელისუფლებას საყრდენს აცლიდა. მისი ქვეშევრდომთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი კეთილდღეობით შაჰზე დამოკიდებული გახდა. ეს „ქვეშევრდომნი“ ჰყავდა თეიმურაზს მხედველობაში, როდესაც იგი შაჰს, საქართველოში შემოჭრის წინ გატარებული ღონისძიებების გამო თავის უკმაყოფილებას მოახსენებდა. ანალოგიური სიტუაცია იყო ქართლის სამეფოშიც. აქ შაჰის მომხრეებად ჩანან ქართლის უმსხვილესი თავადები. ვრცლად იხ. **ე. მამისთვალისშვილი**. საქართველოს საგარეოპოლიტიკა და დიპლომატია. ტ. II. გვ. 48-51.

¹ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 10.

და ირანის ხუთი ქალაქი აიღო.¹

გასაგებია, რომ ნიკიფორეს მალალ შეფასებას აძლევდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი კირილ ლუკარისი, რომელმაც მეფე მიხეილ ჭთევდორეს ძეს თეიმურაზ მეფის ელჩის სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა. პატრიარქი აღნიშნავს, რომ თეიმურაზი («пресветлый государь хан господин Теймураз») მოსკოვში აგზავნის თავის მოხელეს ჭეშმარიტად პატიოსან ელჩს, დიდ არქიმანდრიტს, მოწინებულ პროტოსინგელს ნიკიფორეს იმ ქრისტიანული ივერიის უბრწყინვალესი ქვეყნის, რომლის ბატონია თეიმურაზ ხანი. იგი არის თავისუფალი, გონიერი და ღირსეული ყოველგვარ საერო საქმეში და მეფის სამსახურში.²

ნიკიფორეს დიპლომატიური საქმიანობა მოსკოვში დადებითად შეაფასა თეიმურაზ I-ის რუსეთთან ურთიერთობის კარგმა მცოდნემ და ამ ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების გამომქვეყნებელმა მ. პოლიევქტოვმა. მისი აზრით თეიმურაზის „მეფობის დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო მიტროპოლიტი ნიკიფორე. მოსკოვში ყოფნის დროს მან შეძლო ფართოდ გაეშალა თავისი დიპლომატიური მღვანეობა, იმავდროს შეძლო უფრო შთამბეჭდავად მოეწყო თავისი წარმომადგენლობა“.³

ნიკიფორემ, როგორც თეიმურაზ I-ის ელჩმა ორჯერ იმოგზაურა მოსკოვში: პირველად 1635-1637 და 1637-1640 წლებში. ნიკიფორეს პირველი მოგზაურობა 1635 წლის დასარულს დაიწყო, მაგრამ როგორც ჩანს, ელჩობის რუსეთში გაგზავნისათვის სამზადისს, სავარაუდოა, 1634 წლის დასაწყისიდან ან უფრო ადრე შეუდგნენ. პირველ რიგში ამაზე მიუთითებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილის შედგენის თარიღი – 1634 წლის აგვისტო.⁴ ბუნებრივია, მანამდე, თეიმურაზ მეფის კარზე ჯერ გაჩნდა იდეა მოსკოვში ელჩის გაგზავნის შესახებ, შემდეგ დაუკავშირდნენ პატრიარქს. რაც შეეხება მოსკოვში ელჩის გაგზავნის იდეას, როგორც თეიმურაზ მეფე მოსკოვის ხელმწიფეს წერდა, ასეთი სურვილი გასჩენია ანტიირანული ამბოხების შემდეგ, ვიდრე როსტომ ხანი ყიზილბაშთა ჯარით შემოვიდოდა, ე. ი. 1632-1633 წლის მიჯნაზე.⁵

კიდევ გავიდა ერთ წელზე მეტი ვიდრე ნიკიფორე ბერძენი რუსეთის გზას დაადგებოდა. რუსეთთან დაკავშირების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ. როგორც ცნობილია, „ბატონს თეიმურაზსაც გაუნყრა ყაენი და საქართველო ბატონს როსტომს მისცა და საჰკაძე როსტომ ხან ერანის ლაშქრით თან გაატანეს და ქართველნი რომ ყაენს ახლდენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს“.⁶

¹ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 109-110.

² *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 120.

³ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. XXVIII.

⁴ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 121.

⁵ *Переписка на иностранных языках грузинских..*, გვ. 116

⁶ **ფარსადან გორგიჯანიძე.** საქართველოს ცხოვრება. – საისტორიო მოამბე, ტ. II. თბ. 1925 გვ. 239-240.

თეიმურაზი იძულებული გახდა 1633 წლის 18 თებერვალს მთელი თავისი სახლობითა და ერთგული ადამიანებით იმერეთს გახიზნულიყო.¹

1634 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის თავადებმა თეიმურაზს თავის სამეფოში დაბრუნება შეთავაზეს. იგი ქართლში გადავიდა, მაგრამ დამარცხდა და მხოლოდ კახეთის ტახტის დაბრუნება შეძლო. ამის შემდეგ უნდა დაკავშირებოდა კახეთის მეფე კონსტანტინოპოლის პატრიარქს. მოსალოდნელია, ნიკიფორეს, ამ ბერძენი სასულიერო პირის ინიციატივით იმერეთის ხელმწიფესთან და პატრიარქთან კარგ ურთიერთობაში მყოფი კირილ ლუკარისის სარეკომენდაციო ბარათის წაღება მოსკოვში, რაც თეიმურაზ მეფის სურვილსაც მიესადაგებოდა.

თეიმურაზს, რომ ადრეც, 1633 წლამდე, ე. ი. როსტომის ქართლში გამეფებამდე განზრახული ჰქონდა გაეგზავნა ელჩი მოსკოვის ხელმწიფესთან, ეს აღნიშნული აქვა თავის სიგელშიც. იგი იქვე მიუთითებს იმ საგარეო და საშინაო ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რომლებმაც განზრახვის სისრულეში მოყვანის საშუალება არ მისცა.²

ამგვარად, კონსტანტინოპოლის პატრიარქის სარეკომენდაციო ბარათი ნიკიფორე ბერძენისათვის დაწერილია 1634 წლის ზაფხულში, ხოლო თეიმურაზ მეფის წერილი მიხეილ ჭყეფდორეს ძისადმი კი იმავე წლის 17 სექტემბერს.³ სავარაუდოა, თეიმურაზის მიერ იმერეთში გაგზავნილი ელჩობა, დანიშნულების ადგილისკენ გაემგზავრა 1634 წ. გვიან შემოდგომაზე ან შემდეგი წლის დასაწყისში.

1634 წ. 20 დეკემბერს,⁴ როგორც თერგიდან ხელმწიფეს ატყობინებდნენ, ამ ციხე-ქალაქში ჩავიდა საქართველოს მეფე თეიმურაზის ელჩობა მიტროპოლიტ ნიკიფორეს მეთაურობით. ელჩობა შედგებოდა 9 კაცისაგან. ესენი იყვნენ: ნიკიფორე, თეიმურაზის 6 კაცი და მიტროპოლიტის 2 კაცი.⁵ 1635 წ. 9 იანვარს ელჩობა უკვე ასტრახანში იმყოფებოდა. ისინი მაისამდე ამ ქალაქში დარჩნენ. ვოლგაზე საგაზაფხულო სანაოსნო სეზონის გახსნისთანავე, 18 რიცხვში, მათ მისცეს ნავი, მენიჩბეები, 6 კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგე, ფული და ქარავანს გააყოლეს ყაზანამდე. 8 ოქტომბერს ელჩობა მოსკოვში ჩავიდა.

ელჩობა საზეიმო შეხვედრის გარეშე დააყენეს მაშინდელი მოსკო-

¹ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 125; ი. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 189.

² М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских..., გვ. 114.

³ თ. ტივაძემ დაადგინა, რომ, წერილის თარიღი 1635 წლის 17 სექტემბერი უდრის 1634 წლის 17 სექტემბერს. იხ.: თ. ტივაძე. თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 81.

⁴ დოკუმენტში წერია 1635 წლის დეკემბერი, რაც ახალი სტილით უნდა შეესაბამებოდეს 1634 წლის დეკემბერს.

⁵ М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских..., გვ. 101.

ვის პრესტიჟულ რაიონში – კიტაიში,¹ ბერძნულ სახლში. 11 ოქტომბერს მიტროპოლიტი ნიკიფორე ხელმწიფესთან მიღებაზე მიიწვიეს. ვიდრე მას მეფესთან შეიყვანდნენ, მანამდე გამოჰკითხეს და ჩაიწერეს მისი მოსკოვში ჩასვლის მიზეზების შესახებ. ნიკიფორეს საზეიმო მიღება მოუწყვეს. ნიკიფორემ მიხეილ ფედორეს ძეს მიართვა თეიმურაზის მიერ გაგზავნილი ძვირფასი რაში და ოქროქსოვილი აბრეშუმის ხალიჩა, თავისი სახელით კი ოქროქსოვილი აბრეშუმის ქსოვილი. ხელმწიფემ ბრძანა, რომ ნიკიფორეს სათათბიროს დიაკისათვის მოეთხრო ყოველივე. დიაკმა ფედორ ლიხაჩოვმა კი ნიკიფორეს საუბარი დაუთქვა მას შემდეგ, როდესაც თეიმურაზის წერილს თარგმნიდნენ და მის შინაარსს გაიგებდნენ.²

გადიოდა დღეები და კვირეები, მაგრამ თემურაზ მეფის სიგელის პასუხები არ ჩანდა. ნიკიფორე აჩქარებდა ხელმწიფის მოხელეებს და სამეფო კარს, რომ მისთვის დროულად ეპასუხათ და მოსკოვიდან გაეშვათ. მან ხელმწიფის სახელზე დანერა და საელჩო პრიკაზში წარადგინა შვიდი თხოვნა (челобитье), რომლებიც საუკეთესოდ გვიჩვენებს მის პიროვნებას, როგორც შეუპოვარს, პირდაპირს და გამბედავს. იმავე დროს ნათლად ჩანს თეიმურაზის კრიტიკული მდგომარეობა და მის სამეფოში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. ნიკიფორემ ყველა თხოვნა ბერძნულად დანერილი წარადგინა. ცნობილია მათი რუსული თარგმანები, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით. არა მგონია სიმართლეს შეეფერებოდეს, თითქოს მიტროპოლიტმა ნიკიფორემ ქართული და რუსული იცოდა, რასაც თეიმურაზ მეფის სიგელზე დაყრდნობით აღნიშნავდა კ. კეკელიძე.³

არსებობს თეიმურაზის სიგელის ორი ვარიანტი გამოქვეყნებული მ. ბროსეს მიერ, ერთი – ბერძნულ-რუსული პარალელური ტექსტების სახით. თეიმურაზ მეფე ხელმწიფეს უყვება, როგორ უარობდა ნიკიფორე კვლავ რუსეთში წასვლას და იძულებულნი გახდნენ კარისკაცებს და მეფეს ერთად ეთხოვათ, რომ თავისი დანყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. პირველ ვარიანტში მეფე გადმოსცემს, როგორ მიმართავდა ნიკიფორეს მეორე პირში, შენობით. ვუთხარით, აღნიშნავს თეიმურაზი, რომ უკვე „ჩვენ ვიცით წესრიგი და ენა, როგორ უნდა მოვიქცეთ დიდი ხელმწიფის წინაშე ყოველგვარი სამეფო სამსახურის დროს; ისევ წადი და ნუ ჩამოგვაშორებ დღეგრძელ დიდ ხელმწიფეს და კვლავ ნუ დაკეტავ შენს მიერ გახსნილ ამ კეთილ გზას“.⁴ მეორე ვარიანტი, მხოლოდ რუსულია

¹ კიტაი-გოროდი – XVI საუკუნიდან მოსკოვის ძველი რაიონი, რომელიც მოიცავდა ნითელ მოედანსაც.

² М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских..., გვ. 106-107.

³ კ. კეკელიძე. ნიკიფორე ირბახი..., გვ. 294.

⁴ «Мы знаем парядки и языкъ, какъ отвѣчать передъ Великимъ Государемъ во всякой царской службѣ; иди опять и не разлучай насъ съ многолетнимъ Великимъ Государемъ и не закрывай опять этого дбрного пути...» (Переписка на иностранныхъ языках..., გვ. 12).

და თანაც თავისუფალი თარგმანი, რომელსაც ეყრდნობა კ. კეკელიძე. მასში კი ვკითხულობთ იმას რასაც მეფე თეიმურაზი მეფე მიხეილს უყვებოდა, იმას რაც ზემოთ უკვე ითქვა და ნიკიფორეს ახსენებს მხოლოდ მესამე პირობი. მხოლოდ „მან იცის წესრიგი და ენა, როგორ უნდა მოვიქცეთ შენი, დიდი ხელმწიფის წინაშე, ყოველგვარი სამეფო სამსახურის დროს და ამიტომ უნდა წამოსულიყო და არ ჩამოვემორებინეთ შენგან, დღგრძელო მეფე და კეთილი გზიდან, რომელიც მან შექმნა...“.¹

ნიკიფორემ რომ დასახელებული ენები არ იცოდა, ამაზე გვაუწყებს ნიკიფორეს ერთი თხოვნა, დაწერილი ხელმწიფისათვის 1641 წ. 26 მაისს მოსკოვში: თხოვნაში კერძოდ ნათქვამია, რომ საქართველოსკენ მომავალი ნიკიფორე სწუხს, რომ მას არავინ ჰყავს დამხმარე, ამიტომ ითხოვს ხელმწიფემ ნება დართოს თან წაიყვანოს თავისი ძველი ნაცნობი, მოსკოვში მცხოვრები ბერძენი ბერი თეონა, რომლის გარეშე გზაში ვერაფერს იქმოდა. ასევე ითხოვა ერთი ობოლი ქართველი ახალგაზრდის წაყვანა, რომელიც ნიკიფორესთან ცხოვრობდა. „იმისათვის გთხოვ ამ ბერსა და ახალგაზრდას, რომ მათ იციან ენა და ადათ-წესები. (ნიკიფორეს – ვ. მ.) ეშინია იმიტომ, რომ ქართული არ იცის“.²

ხელმწიფის ბრძანებით თეონა მოძებნეს, საელჩო პრიკაზში მიიყვანეს და გამოჰკითხეს სად და როდის გაიცნო ნიკიფორე. თეონამ განაცხადა, რომ მან ნიკიფორე გაიცნო საბერძნეთში, იოანე წინასწარმეტყველის მონასტერში, სადაც მას თითქმის ერთი თვის განმავლობაში ემსახურებოდა. მას თუ საქართველოს მეფის ელჩთან – ნიკიფორესთან ერთად გაუშვებენ, მასაც ეს უნდა. თეონას ნება დართეს ნიკიფორეს გაჰყოლოდა საქართველოში, როგორც ქართულის მცოდნე და სახარჯოდ 10 რუბლიც გამოუყვეს.³ რაც შეეხება ქართველ ახალგაზრდას, მის შესახებ აღარაფერია დოკუმენტში.

არის ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელზე მინაწერი თითქოს ზემოთქმულის საწინააღმდეგოს გვამცნობს: „თარგმანი ბერძნული წერილისა, რომელიც თერგის ვოევოდებს ქართულად მიწერა ქართველმა მეფე თეიმურაზმა. ის წერილი თერგიდან ხელმწიფეს ჩაუტანა თერგელმა ვასილი ვიშესლავცოვმა მიმდინარე 1650 წლის 14 მაისის დღეს. ის წერილი თერგში ქართულიდან ბერძნულად თარგმნა თეიმურაზ მეფის ელჩმა, არასრულმა მიტროპოლიტმა მიკიფორემ“.⁴

მგონია, მართებული იქნება, ბოლო წინადადება გავიგოთ ისე, რომ წერილი ქართულიდან ბერძნულად ითარგმნა ქართულის და ბერძნულის

¹ «А се он знает чинъ и языкъ отвѣчать передъ Тобою Великимъ Государемъ про всякіе царскіе дѣла и для того опять бы онъ ѣхал и не оставилъ насъ отъ Тебя многолѣтнего Царя и отъ доброго пути...» (*Переписка на иностранныхъ языкахъ...*, გვ. 39).

² *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 11-12.

³ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 12-14.

⁴ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 70.

მცოდნე თეონას დახმარებით, რომელიც უკვე ელჩობას იყო მიკეძლებული. და ისიც ბენებრივია, წერილის თარგმნა ელჩობის მეთაურს მიტროპოლიტ ნიკიფორეს მიაწერეს.

ნიკიფორე, რომ მწყრალად იყო ქართულ და რუსულ ენებთან, ამაზე მეტყველებს მოსკოვში ორჯერ ყოფნისას მის მიერ ხელმწიფისათვის მირთმეული სხვადასხვა მიზნით დაწერილი თხოვნები, რომლებსაც შემდგომში საელჩო პრიკაზში რუსულად თარგმნიდნენ. გვაქვს ერთადერთი ცნობა რუსი ელჩებისა, როდესაც ნიკიფორე მეფე თეიმურაზისა და რუსი ელჩების საუბრის დროს თარჯიმნობდა.¹ საფიქრებელია, მან სასაუბრო რუსული და ქართული რამდენადმე იცოდა, მაგრამ არ შეძლო ამ ენებზე მეფისა და ხელმწიფის მინერ-მონერის, ამ სერიოზული პოლიტიკური და დიპლომატიური დოკუმენტების ყველა ნიუანსით თარგმნა. ამ მოსაზრებას უნდა ადასტურებდეს ეფიმ მიშეცკის ერთი ცნობა: 1643 წ. 4 სექტემბერს რუს ელჩთან მივიდა ნიკიფორე და მოახსენა, რომ მეფე თეიმურაზი ითხოვს გააგზავნო მასთან მთარგმნელი, რომელიც გადათარგმნის ხელმწიფის სიგელებს. იმავე დღეს ელჩმა მეფესთან გაგზავნა მთარგმნელი ფედორე ჩერკასოვი.²

ნიკიფორეს მოხსენებით ბარათებს, ანუ თხოვნებს, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ გავიგოთ ნიკიფორეს, როგორც ქართველი მეფის დიპლომატის განათლებისა და ხასიათის შესახებ. ამავე დოკუმენტებიდან ნათელი ხდება რუსეთის მთავრობის უდიერი დამოკიდებულება ქართული ელჩობისა და, საერთოდ საქართველოს მიმართ. გავეცნოთ ნიკიფორეს მიერ მოსკოვში პირველად ელჩობის დროს დაწერილ შვიდ თხოვნას.

პირველ თხოვნაში ნიკიფორე მადლობას უხდის ხელმწიფეს იმის გამო, რომ მან თეიმურაზ მეფის ყველა თხოვნა შეიწყნარა. მაგრამ არ იცოდა, როდის იქნებოდა ისინი სისრულეში მოყვანილი და როდის მისცემდნენ მოსკოვიდან გამგზავრების ნებას. იმავე დროს მას გამბედაობა ჰყოფნის და ხელმწიფეს თავისი ეპარქიის გასაჭირზე აწუხებს: მის ეპარქიაში, წინამორბედი მიტროპოლიტის დროს, ყიზილბაშებმა ეკლესები გაძარცვეს და გაანადგურეს. მდგომარეობა იმდენად სავალალო შეიქმნა, რომ ეკლესიებში მხოლოდ ცარიელი კედლები დარჩა. ნიკიფორე ხელმწიფეს სთხოვს იმდენად დახმარებას, რომ შესაძლებელი გახდეს საეკლესიო რიტუალის ნორმალურად ჩატარება.³ ხელმწიფემ ნიკიფორეს თხოვნა და-

¹ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 401-402.

² *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 135.

³ ნიკიფორე ჩამოთვლის იმ საეკლესიო ჭურჭელს, რომელიც დამპყრობლებმა წაიღეს. დასახელებულია: 2 ბარძიმი, საარქიელო 2 მეთევით კოვზი, 2 ამფორა, ქუდი, მღვდლის სამოსელის ქვეშ ჩასაცმელი – ოლარი, გარდამოხსნა და ღვთისმშობლის მიძინების ხატი და სხვა. როდესაც ვეცნობით თეიმურაზ მეფის ელჩის სათხოვარს მოსკოვის ხელმწიფისადმი, რა თქმა უნდა, არც ნიკიფორეს უნდა გაკვირებოდა და არც ჩვენ უნდა გაგვიკვირდეს რატომ არ ეპყრობოდნენ მას იმ პატივით, რისი პრეტენზიაც მას ჰქონდა. კიდევ უფრო სამარცხვინო იყო

აკმაყოფილა და ბრძანა გამოუყოთ 50 რუბლი, იმ საჩუქრების გარდა, რომელიც მას როგორც ელჩს ეკუთვნოდა.¹

მეორე თხოვნა ნიკიფორემ წარადგინა 1635 წ. 13 დეკემბერს და კვლავ მოითხოვა პასუხი თავისი მეფის სიგელში ჩამოყალიბებულ საკითხებზე. იგი წუხილს გამოსთქვამს, რომ უკვე ორი თვეა რაც მოსკოვშია, მაგრამ იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში და არ არის შესაფერის პატივში, ისეთში როგორშიც არიან თურქეთისა და სპარსეთის ან თუნდაც „ერეტიკოსი“ ლათინების ელჩები. მიტროპოლიტი ნიკიფორე, რადგან იგი საქართველოს მეფის ელჩია, რომლის სამეფოც ქრისტიანულ სამყაროში მეორეა რუსეთის ხელმწიფოს შემდეგ (ეს სიტყვები ნიკიფორემ გაუმეორა ხელმწიფეს მესამე თხოვნაშიც), ამიტომ მას უკეთ უნდა ეპყრობოდნენ. რუსეთის ხელმწიფე ვალდებულია პირადად განიხილოს მისი ხელმწიფის საქმე, რომელიც მოუთმენლად ელოდება პასუხს მოსკოვიდან.²

მესამე თხოვნაში (1637 წ. 2 აპრილი) ნიკიფორე მოსთქვამდა, რომ ორი წელია საქართველოდან წამოვიდა, 5 თვეა რაც მოსკოვშია და მესამედ ითხოვს პასუხსა და მოწყალებას. იგი იმის გამო წუხს, რომ როცა საქართველოში დაბრუნდება არ იცის რა უპასუხოს მეფეს, რათა თავიდან აიცილოს მისი მრისხანება, რომელიც მას დაატყდება წინამორბედი რუსეთში ნამყოფი ელჩების მსგავსად. ნიკიფორეს ეშინია, შეიძლება სიცოცხლეც დაკარგოს. ნიკიფორეს არც იმის თქმა ავიწყდება რატომ გამოარჩია მეფემ სხვებისაგან და მას მიანდო ასეთი საპასუხისმგებლო საქმე. ახლა გამოდის, რომ იგი ყველაზე ცოდვილი და ცუდია. წინათ იგი მეფემ სადაც კი გააგზავნა ყველა მისი ბრძანება წარმატებით შეასრულა. გაჭირვებაში მყოფ მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ნიკიფორე ამჯერადაც სწრაფად და დადებითად შეასრულებდა დავალებას.³

ნიკიფორე ხელმწიფის ყურადღებას მიაპყრობს საქართველოში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე, რომლის გამოსწორებას თეიმურაზ მეფე რუსეთიდან მიღებული დახმარებით ფიქრობს. თუ იქნება დახმარება, იმედია, განახლდება ივერიის მიწა-წყალი, ქრისტიანობის ამ უძველეს ქვეყანაში დაღუპვას გადაურჩება მონასტრები, ქრისტეს კვართი და სხვა მრავალი სიმნიშნე. ამის გამო ხელმწიფე სწრაფად უნდა მოქმედებდეს და არ უნდა წელავდეს ივერიის საკითხის გადაწყვეტას,⁴ მით უფრო, რომ მეფე თეიმურაზის და ხელმწიფის ქვეყნებს აქვთ ერთი

ის მოწყალება, რითაც ელჩის სათხოვარი შეაფასეს. მეფის ბრძანებით, საეკლესიო საჭიროებისათვის ქართველ ელჩს 50 რუბლი გადასცეს (*Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 124-125).

¹ ამ თხოვნის საელჩო პრიკაზში წარდგენის თარიღი ცნობილი არ არის (*Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 124-125).

² *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 128-129.

³ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 128-130.

⁴ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 130.

სარწმუნოება, ერთი ლიტურდია, ერთი წმინდა ნათლობა, ერთი ეკლესია. ოთხი მართლმადიდებელი პატრიარქი¹ და მთელი სამყარო ადასტურებს, რომ თეიმურაზ მეფე არის ღვთისმოსავი, დიდი, მართლმადიდებელი და ღვთისმეტყველების მცოდნე. ივერიაში კონსტანტინე დიდის დროიდან არის ქრისტიანობა და სამეფო დინასტია. ხელმწიფემ ამ ქვეყანას ქრისტეს სიყვარულისათვის უნდა აღმოუჩინოს დახმარება. თეიმურაზის მიერ რუსეთში გამოგზავნილმა ვერც ერთმა ელჩმა წარმატებას ვერ მიაღწია. ეხლა ამ საქმის მოგვარება მე მომანდო და სწრაფად დაბრუნება მიბრძანა. ამ მესამე თხოვნით მოგმართე და შენი მეუფება ისე გადაწყვეტს, როგორც ღმერთი გიკარნახებს. ნიკიფორეს არც იმის თქმა დავინწყებია, როგორ უარყოფით როლს თამაშობს ლევან II დადიანი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეოთხე მოკლე თხოვნა მიტროპოლიტმა ნიკიფორემ წარადგინა 14 მაისს, რომელშიც მან ჩამოაყალიბა შემდეგი კონკრეტული მოთხოვნები:

1. ხელმწიფემ ბრძანოს მოძებნონ რუსეთში მყოფი ქართველი ტყვეები და ნიკიფორეს გადასცენ; 2. დაეხმაროს აღმოსავლეთ საქართველოს შემანუხებელი და საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ გზაზე გაბატონებული ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად; 3. დააკმაყოფილოს თეიმურაზის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა – რუსეთის ხელმწიფემ საქართველოში გაგზავნოს ელჩები მდგომარეობის ადგილზე გაცნობა-შესწავლისათვის. ნიკიფორე მოითხოვს რუსი ელჩებისა და თარჯიმნების გამზადებას და ქართულ ელჩობასთან ერთად საქართველოში გამგზავრებას; 4. იგი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ წინათ მოსკოვში ქართველთა ელჩობას ნორმალურად ამარაგებდნენ, ბოლო დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ელჩობას ცხენები შიმშილით ეხოცება;² 5. მიტროპოლიტი ნიკიფორე ხელმწიფეს სთხოვს ბრძანოს, მასთან ერთად საქართველოში გაიგზავნოს გერმანელი ექიმი; 6. ბრძანოს, აგრეთვე, რომ მას გააყოლონ ეკლესიის სარკმელების ჩარჩოების მკეთებელი ერთი ოსტატი.³

მეხუთე თხოვნა (3 ივნისი). გავიდა მაისი, მაგრამ საქართველოს

¹ ქართველი საეკლესო მოღვაწენი და საერო ხელისუფლება სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნილ წერილებში, თითქმის ყოველთვის მოიხსენიებდნენ ხუთ პატრიარქს (რომის პაპის ჩათვლით). ნიკიფორეს მიერ მოსკოვის ხელმწიფისათვის მირთმეულ „თხოვნაში“ ოთხი პატრიარქის მოხსენიება (რომის პაპის გამოკლებით), რუსეთის ეკლესიისა და ხელისუფლების პოზიციის გათვალისწინებით არის დაწერილი. იმ დროს საყოველთაოდ იყო ცნობილი ხელმწიფის კარისა და ეკლესიის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ლათინებისა და განსაკუთრებით რომის პაპისადმი.

² საქართველოში დაბრუნების წინ ელჩობას 4 ცხენი ჰყავდა, მაშინ, როდესაც თერგიდან (თერგამდე გემით მივიდოდნენ) სამშობლოში დასაბრუნებლად დამატებით 8 ცხენი სჭირდებოდათ და ნიკიფორემ საელჩო პრიკაზის მეშვეობით ხელმწიფეს თხოვა თერგში მიეწერა, რომ მისთვის ცხენები მიეცათ (*Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию.*, გვ. 140).

³ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию.*, გვ. 136-137.

ელჩის მოსკოვიდან გაშვებას საშველი არ დაადგა. მიტროპოლიტი ნიკიფორე არაფერს ითხოვს. მის წერილში მხოლოდ გაკვირვება და საყვედურია მისი მოსკოვში, როგორც ის ფიქრობს, უაზროდ გაჩერების გამო. ჯერ იმიტომ მაჩერებდნენ, რომ ეხლა ზამთარია და ვერ იმგზავრებ, გაზაფხულზე გაგიშვებთო. ეხლა ზაფხული გადის. გემები მზადაა, ელჩიც მზადაა, რა სარგებელია ჩემი აქ ყოფნით არ მესმისო. სხვა ქვეყნების, დიდებისა და პატარების ელჩები (თურქეთის, ლიტვის, ნოლასის, ჩერქეზეთის, გერმანიის) ღირსეულად გაუშვეს, მე რა დანაშაული მიმიძღვის. თურქეთისა და სხვა სახელმწიფოების ელჩები შენთან რომ მოდიან, იმათ ღირსეულად ეპყრობით, მართლმადიდებელი ქვეყნებისას კი დიდად შეურაცხყოფილებს უშვებთო. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ მეფის ელჩი ხარიტონი სამი წელი გააჩერეთ, რომელიც შიშით ივერიაში ველარ დაბრუნდა და სხვა ქვეყანაში გარდაიცვალა, თეიმურაზმა არქიეპისკოპოსი თეოდოსე გამოგზავნა და ისიც 4 წელიწადს გააჩერეთ და მერე გაუშვით. ისიც თურქეთში გაიქცა. მეც უკვე ორი წელიწადი გავიდა და მესამე იწყება, ისევ აქ ვიმყოფები. არ მესმის რატომ მაკავებთ, ალბათ იმიტომ, რომ ხარიტონისა და თეოდოსეს ბედი გავიზიარო. „შენი სახელმწიფო ბრძანებულებით, რომლის შესახებაც მაცნობეს, ყველაფერი დამთავრებულია. მხოლოდ ქრისტეს, ჩვენი ღმერთის, მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და შენი მეფური დღეგრძელობის გულისთვის, შემობრალე შენი ღვთისმლოცველი, ბრძანე მალე გამიშვან, რათა ამ შეყოვნებისათვის ჩემი მეფისაგან მრისხანება არ დავიმსახურო და საბოლოოდ არ დავიღუპო. მეფე ხელმწიფე, გთხოვ შემიწყალო“.¹

მეექვსე თხოვნა. 21 ივნისს ნიკიფორემ წერილით კიდევ მიმართა საელჩო პრიკაზს. მიტროპოლიტი გრძნობს, რომ მისი ელჩობა მოსკოვში დასასრულისკენ მიდის და ცდილობს ხელმწიფესთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს. იგი მადლობას უხდის ყველაფერი იმისათვის რაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ელჩობას გაუკეთა და განსაკუთრებით იმისთვის, რომ ხელმწიფემ მეფე თეიმურაზი და მთელი ივერია თავის ხელდებულად გამოაცხადა.

„დიდო ხელმწიფე, მრავალჯერ გაგარისხე, რადგან არ ვიცოდი აქაური წესჩვეულებები, ვემხობი შენს წმინდა ფეხებთან და შენგან ვითხოვ დანდობას, რომ შენი მეუფება მრავალმონყალე და კაცთმოყვარეა, შემინყალე და შემობრალე“. ნიკიფორემ დამატებით მოითხოვა, ხელმწიფეს თერგის ხელმძღვანელობისათვის მიენერა, რომ საქართველოდან მოსკოვში გაგზავნილი ელჩები და წერილები არ დაეყოვნებინათ. მეფეს ჩერქეზი მუნდარისათვის მიენერა, აგრეთვე, რომ ისიც ასევე მოქცეულიყო და საქართველოს ელჩები თერგ-ქალაქამდე და ამ ციხე-სიმაგრიდან საქართველოს საზღვრამდე მიეცილებინა.²

¹ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 137-138.

² *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 139-140

მეშვიდე თხოვნას არ ერთვის დაწერის თარიღი, მაგრამ მისი მიახლოებით დადგენა იოლია. როგორც ითქვა ნიკიფორემ მეექვსე თხოვნა დაწერა 21 ივნისს, 25-ში მოსკოვის ხელმწიფისა და თეიმურაზ მეფის ელჩები მოსკოვიდან საქართველოსკენ წამოვიდნენ. მაშასადამე თხოვნა დაწერილია აღნიშნულ რიცხვებს შორის, ე. ი. 22–24-ში. ამ ბოლო თხოვნაში ნიკიფორე კვლავ საქართველოში სასწრაფოდ გაშვებას ითხოვს, რადგან თუ ზამთარმა მოუსწროთ, მაშინ არაგვის ხეობა (Калкани) ჩაიკეტება და იქ გავლა შეუძლებელი გახდება. „ხელმწიფევ... ბრძანე მალე გაგვიშვან, ბრძანე კვირას პასუხი გაგვაგებინონ და ვემთხვიოთ შენს მეფურ ხელებს, რომ ნამდვილად ვიცოდეთ როგორ მოვემზადოთ წასასვლელად.“¹

რუსი და ქართველი ელჩები 1637 წლის 25 ივნისს საქართველოსკენ გამოემგზავრნენ.

ნიკიფორე მიტროპოლიტის პირველი ელჩობის საერთო შედეგი და რუსი ელჩების ჩამოყვანა საქართველოში, შეიძლება ითქვას, ფორმალურად წარმატებული იყო. ის მიზნები, რაც ამ ელჩობას მეფემ დაუსახა, თითქმის მიღწეული იყო. კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა და დახმარებაზე დაპირებაც მიიღო. ელჩობის შედეგით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობაც. კახეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით რუსეთის სახელმწიფოს, თუ კი მას შესაბამისი ხელსაყრელი პირობები ექნებოდა, ფართო ასპარეზი ეხსენებოდა სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსიისათვის.²

საქართველოში დაბრუნებული მიტროპოლიტი ნიკიფორე აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ელჩებთან ყოველ მოლაპარაკებაში³. ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ის, მეფე თეიმურაზის შემდეგ, პირველი პოლიტიკური ფიგურა იყო. ამიტომ მეფემ, თავისი საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო უბნის – რუსეთთან ურთერთობის მოგვარება-განტყცილება მას მიანდო.

1639 წ. 28 აპრილს რუსეთის ხელმწიფის ელჩები გზას დაადგნენ. მათთან ერთად მოსკოვში მეორედ მიდიოდა თეიმურაზ მეფის ელჩი მიტროპოლიტი ნიკიფორე. ელჩები 1640 წ. იანვრის დასაწყისში უკვე მოსკოვში იყვნენ. ნიკიფორემ სამეფო კანცელარიაში წარადგინა თეიმურაზ მეფის ვრცელი წერილი დაწერილი ბერძნულად 1639 წ. 25 აპრილს.⁴ ვიდრე თეიმურაზის მეორე ეპისტოლეზე ვიტყოდეთ, მანამდე ვცადოთ გავარკვიოთ რომელ ენაზე იყო დაწერილი თეიმურაზის პირველი ეპისტოლე,

¹ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 140.

² მიტროპოლიტი ნიკიფორეს რუსეთში პირველი ელჩობის და მისი შედეგების შესახებ იხ. **ე. მამისთვალიშვილი**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტ. II, გვ. 324-246.

³ **ე. მამისთვალიშვილი**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტ. II, გვ. 588, 589, 651.

⁴ *Переписка на иностранных языках...*, გვ. 1-34.

რომელიც ნიკიფორემ მოსკოვში ჩაიტანა. წერილს წამძღვარებული აქვს ასეთი განმარტება: „თარგმანი სიგელისა, რომელიც გამოუგზავნა მ. თ-ს (მიხეილ თედორეს ძეს – **ე. მ.**) ქართველმა მეფემ მიტროპოლიტად ნოდებულის ნიკოფორე ელჩის (ხელით – **ე. მ.**)“.¹

როგორც ჩანს, მოსკოვის საელჩო პრიკაზში არ მიუთითეს რომელ ენაზე იყო შედგენილი სიგელი. რუსმა მოხელემ მხოლოდ აღნიშნა, რომ სიგელს ბოლოში ჰქონდა მინაწერი ქართულად (**большим письмом иверским**), რომელიც ვერავინ თარგმნა.² სავარაუდოა ის ქართული ანბანი, რომლითაც მინაწერი იყო შესრულებული იყო ასომთავრული და მისი წაკითხვა ვერავინ შეძლო. მაგრამ თავისთავად დგება კითხვა: თუ იმ დროს მოსკოვში იყო ან იყვნენ ქართულის მცოდნენი, ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ არ შეძლებოდათ ჯერ კიდევ ხმარებაში არსებული ასომთავრულის წაკითხვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისეთ ავტორიტეტულ დიპლომატს, როგორც მიტროპოლიტი ნიკიფორე იყო, ალბათ, არ გაატანდნენ ისეთი ანბანით დაწერილ ეპისტოლეს, რომლის შინაარსის გაგება, საჭიროების შემთხვევაში მას არ შეეძლებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ეპისტოლე დაწერილი იყო არც რუსულად და არც ქართულად, სიგელი დაწერილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ბერძნულად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1639 წელს რუსეთში გაგზავნილი ნამდვილად ბერძნულად დაწერილ მეორე სიგელსაც ბოლოში ასევე ჰქონდა ასომთავრული წარწერა და ბეჭედი, წრეში ჩასმული ჯვრითა და ქართული წარწერით.³

ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის უცხოელე-ბთან, კონკრეტულად კი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთში გაგზავნილი წერილების ენა ქართული და ბერძნული იყო. ასე იქცეოდნენ თეიმურაზის წინამორბედი მეფეები. სვიმონ მეფემ თავის ელჩს ესპანეთში ბერძნულად და სომხურად დაწერილი სიგელი გაატანა 1590 წელს (გასათვალისწინებელია, რომ ელჩი არ იყო ქართველი). სხვათა შორის, ესპანეთის მეფემაც ბერძნულად შედგენილი ეპისტოლე გამოუგზავნა სვიმონ მეფეს.⁴ თეიმურაზ მეფეც რუსეთში სიგელებს თავდაპირველად ქართულად და ბერძნულად დაწერილებს აგზავნიდა. ქართულად იყო დაწერილი ილუმენ ხარიტონის მიერ წაღებული წერილები (თეიმურაზის ქართულად და ბერძნულად, იმერეთის მეფე გიორ-

¹ **М. Полиевктов.** Материалы по истории грузино-русских., გვ. 108.

² «А у листа приписано большим письмом, а что написано, того перевест некому» (**М. Полиевктов.** Материалы по истории грузино-русских., გვ. 120).

³ *Переписка на иностранных языках.*, გვ. 48.

⁴ ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი, ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს (თარგმანი ესპანურიდან იხ.: *საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან.* ტ. I., თბ., 1995, გვ. 193, 202; **ე. მამისთვალისძე** *ილი.* საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტ. II, გვ. 187).

გი II-ის და გურიის მთავრის სიგელები ქართულად). თეიმურაზის ელჩმა არქიეპისკოპოსმა თეოდოსე მანგლელმა რუსეთის ხელმწიფეს და პატრიარქ ფილარეტ ნიკიტას ძეს თეიმურაზ მეფის ბერძნულად დაწერილი სიგელი მიუტანა (გასათვალისწინებელია, რომ მან კარგად იცოდა ბერძნული და რუსეთის მთავრობასაც გაუიოლდა ეპისტოლეს შინაარსის გაგება); მანვე საელჩო პრიკაზში ბერძნულად მოუთხრო თეიმურაზის ცხოვრების ბოლო პერიოდზე; ქართულად შედგენილი თეიმურაზის სიგელები წაიღო ნიკიფორე ირბახმა ესპანეთსა და რომში; თეიმურაზმა ბერძნულად დაწერილი წერილი გაატანა მოსკოვში ხელმწიფის ელჩს თავად მიშეცკის.¹ 1649 წელს თეიმურაზ I-ისა და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ელჩებმა მოსკოვში ბერძნულად შედგენილი სიგელები ჩაიტანეს.

რადგან ნიკიფორეს მეორე ელჩობის დროს თეიმურაზის მიერ გაგზავნილი სიგელში დიდი ადგილი დათმობილი ჰქონდა ნიკიფორე მიტროპოლიტის ქებას (განა პირველ წერილშიც ასე არ არის?), ამან გამოიწვია, როგორც ნიკიფორეს პიროვნებისადმი, ისე წერილისადმი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება. აქვე უნდა გავიხსენოთ თეიმურაზის მიერ მოსკოვში გაგზავნილ მეორე სიგელთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მკაცრი შეფასება: „დაუჯერებელია, რომ ყველა ზემომოყვანილი (რაც სიგელში წერია — ე. მ.) თვით თეიმურაზ მეფეს დაეწერინებოდა. არც ერთ გონიერ პოლიტიკოსს და მეფეს თავისა და ხელისუფლების ასე დამცირება არ შეეძლო, რადგან ეს მისი მიზნების მიღწევას შეაფერხებდა და სახელსაც გაუტეხდა... ნიკიფორე მიტროპოლიტის გადაჭარბებული ქება-დიდება და ამ ბერძნულად დაწერილი სიგელის ნიკიფორესგანვე დაწერილობა გვაფიქრებინებს, რომ აქ იმდენად თეიმურაზ მეფის სიტყვებთან არ უნდა გვეკონდეს საქმე, რამდენადაც თვით ნიკიფორეს შენათხზთან. რაკი **ამ დროს საქართველოში მმართველ წრეში ბერძნულის მცოდნე არავინ იქნებოდა** (მონიშვნა ჩემია — ე. მ.), ნიკიფორეს დაწერილი შინაარსი თეიმურაზისა და მისი უახლოესი თანამშრომლებისათვის მხოლოდ იმდენად იქნებოდა გასაგები, რამდენადაც თვით ნიკიფორე მათ აუწყებდა. ამიტომ ნიკიფორეს ამ თავის დანაწერში ყველაფრის შეტანა შეეძლო, რასაც კი მოისურვებდა“.²

ნ. ნაკაშიძე, ალბათ, ივ. ჯავახიშვილის ზეგავლენით, ფიქრობდა, რომ წერილი თვით ნიკიფორეს უნდა დაეწერა და ამიტომაც არის მასში ელჩის პიროვნება განდიდებადი.³ ივ. ჯავახიშვილის აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნიკიფორე ბერძენი სამეფო კართან დაახლოებული ერთადერთი ბერძენი არ იყო. მაშინდელ სამეფოსამთავროებში ხელისუფლებასთან დაახლოებული ბერძენთა სიმრავლეს

¹ *Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию...*, გვ. 86.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV, გვ. 388.

³ **Н. Т. Накашидзе.** Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968, გვ. 108.

ერთხმად აღნიშნავდნენ თანამედროვენი. ბერძენი სასულიერო პირები საკმაოდ იყვნენ ეკლესიებში და ზოგიერთს მაღალი თანამდებობაც ეკავა. ისიც ჩანს, რომ ზოგჯერ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტისას, ხელისუფალნი მათ აზრსაც ითვალისწინებდნენ. იმის თქმა მინდა, რომ მიტროპოლიტი ნიკიფორეს მიერ დაწერილ (თუ ის თვითონ წერდა?) სამეფო სიგელების გადამონმების საშუალება არსებობდა. სხვათა შორის, იმის აღნიშვნაც საჭიროდ მიმაჩნია, რომ სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს კათოლიკე მისიონერების მიერ ქართველ ხელისუფალთა და ბერძენ სასულიერო პირებს შორის დაპირისპირებაზე, რომ გადმოგვცემენ. ამგვარი ცნობების არსებობა გამოძახილი უნდა იყოს თვით ლათინებსა და ბერძნებს შორის არსებული დაპირისპირება, რაც პატრებს ქართულ სინამდვილეშიც გადმოჰქონდათ.

თ. ტივაძეც იმ აზრისა იყო, რომ თეიმურაზმა ბერძნული არ იცოდა და ამიტომ იგი ვერ შეძლებდა ბერძნულ ენაზე შედგენილი წერილების შემონმებას.¹ უფრო მეტიც, თურმე თეიმურაზმა თვითონ ხომ არ იცოდა ბერძნული და ბერძნებს იმდენადაც არ ენდობოდა, რომ მათთვის წერილის დაწერა ეთხოვა.² ამგვარ ინფორმაციას აწვდიდა რომში დონ პიეტრო ავიტაბილე. ამას იზიარებდა თ. ტივაძეც.³ ეს ცნობა ეკუთვნის იმ პატრს, რომელიც საკუთარი თვალთ ხედავდა და თავის რელაციონშიც აღნიშნა კიდევ თეიმურაზის გარემოცვაში მყოფი ბერძენი სასულიერო პირების გავლენა სამეფო კარზე.

დავუშვათ, თეიმურაზი არ ენდობოდა მის გარემოცვაში მყოფ ბერძნებს, მაშინ ვინ წერდნენ ბერძნულად შედგენილ წერილებს? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვით მეფე და მიტროპოლიტი ნიკიფორე. სხვას ვერაფერს ვიტყვით, რადგან არსებობს მისი სახელით ბერძნულად დაწერილი წერილები. იმის დაჯერებაც ძნელია, რომ უფლისწულ თეიმურაზს, როდესაც მას მეფობისათვის ამზადებდნენ, ბერძნული იმ დონეზე არ ესწავლებინათ, რომ მისი სახელით დაწერილი სიგელის შინაარსი ვერ გაეგო? ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ერთი ცნობა, რომელიც განეკუთვნება 1629 წელს. კათოლიკე პატრები თეიმურაზ მეფესთან შეხვედრის შემდეგ, აღნიშნავდნენ თეიმურაზის მიერ ქართულის გარდა, სპარსულის, თურქულისა და ბერძნულის ცოდნას.⁴

დაბოლოს, მკვლევარებმა რატომღაც ყურადღება არ მიაქციეს თეიმურაზის მიერ იმის მიზეზის ახსნას თუ რატომ უგზავნიდა მოსკოვის ხელმწიფეს ბერძნულ ენაზე დაწერილ სიგელს. თეიმურაზი წერს: „გვემი-

¹ თ. ტივაძე. თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 82.

² ი. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, გვ. 224.

³ თ. ტივაძე. თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 82.

⁴ მ. თარხნიშვილი. თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუკუნეში. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. IV-V. თბ., 1999, გვ. 374.

ნოდა, რომ ჩვენს ელჩს გზაში რაიმე ხიფათი არ მოსვლოდა ლეკების ან ჩერქეზების ან ნოღაელების ან თათრების მხრიდან და ჩვენი სიგელები ხელში არ ჩავარდნოდათ. ამიტომ არ დავწერეთ ივერიულად და დავწერეთ ბერძნულად. გინაც რომ ჩაუვარდეთ (წერილები – ე.მ.) არაკეთილმოსურნეებს ხელში, მაინც ვერ გაიგებენ რა წერია ბერძნულად დაწერილ სიგელში“.¹

რა თქმა უნდა არასასიამოვნო იყო, მაგრამ სინამდვილეს შეეფერებოდა თეიმურაზ მეფის ის დამოკიდებულება თავისი კარისკაცებისა და დიდებულებისადმი, რომელზეც წერილშია ნათქვამი. ძნელია დასახელება იმ ადამიანებისა, რომლებმაც თეიმურაზ მეფესთან ურთიერთობა ბოლომდე თუ არა, დიდხანს მაინც შეძლეს. იშვიათ გამონაკლისს მიტროპოლიტი ნიკიფორე წარმოადგენდა, ასე, რომ სიგელში გამოთქმული სამდურავი ქართველი დიპლომატებისა და სხვათა მიმართ, თეიმურაზ მეფის სურვილით უნდა იყოს დაწერილი. ამით მეფეს კიდევ ერთხელ უნდოდა ხაზი გაესვა თავისი მდგომარეობისათვის, რომ მას სხვა გაჭირვებასთან ერთად ერთგული და ჭკვიანი ადამიანებიც არ ჰყავს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ მაშინდელ საქართველოში არ იყვნენ ჭკვიანი და სანდო ადამიანები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ მეფის პიროვნულ თვისებებს თუ გავითვალისწინებთ, ძნელია დაჯერება იმისა, რომ ის იმდენად გულუბრყვილოდ ენდობოდა ნიკიფორეს, რომ მან არც კი იცოდა რა ეწერა მისი სახელით რუსეთში გაგზავნილ წერილებში და მის ელჩს, თვითნებურად, მეფის დაუკითხავად, სიგელში რაიმე ჩაემატებინა ან შეესწორებინა. ამის გაკეთება ელჩისათვის უალრესად სახიფათო იყო, რადგან ამგვარი თვითნებობა გაუგებარი არ დარჩებოდა. საპასუხო ელჩობა თეიმურაზის წერილის პასუხსაც ჩამოიტანდა, როგორც წერილობით, ისე ზეპირად და წერილის შინაარსი და ელჩის მიერ სიტყვიერად გაცხადებულიც ცნობილი გახდებოდა. ამგვარი შედეგის გაუთვალისწინებლობა მოსალოდნელი არ იყო ნიკიფორე ბერძენისთანა გამოცდილი დიპლომატისათვის. ნიკიფორე ირბახის ამგვარ გადაცდომაზე თეიმურაზის რეაქცია უკვე ცნობილია.²

თეიმურაზის პირველ წერილში განვითარებულმა მოსაზრებებმა და დასმულმა საკითხებმა, ასევე მიტროპოლიტ ნიკიფორეს მიერ მოსკოვში დაწერილმა და ნამოქმედარმა, როგორც ჩანს რუსეთის ხელისუფლებაშიც დაბადა ეჭვი, სიგელში ჩამოყალიბებული აზრები მეფეს ეკუთვნოდა და ნიკიფორე მისი მითითებით მოქმედებდა თუ არა. მოსკოვის ელჩებმა, თავიანთი მთავრობის ეჭვი თეიმურაზ მეფეს გაუმხილეს, რის გამოც მან საჭიროდ ჩათვალა ყოველივე განემარტა მიხეილ თედორეს ძისთვის. ამიტომ წერდა თეიმურაზი თავის მეორე (ნიკიფორეს მიერ წაღებულ) სიგელში: „რაც მე სიგელში დავწერე და რაც ჩემმა ელჩმა მოახსენა თქვენს

¹ М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских., გვ. 119.

² ე. მამისთვალისვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტ. II, 281-312.

მეფურ უდიდებულესობას, ყველაფერი ჩემი დავალებით ილაპარაკა. ჩემს ელჩს თავისით ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მხოლოდ ის ილაპარაკა რაც მე დავავალე. როგორც გადმოგცათ ჩემი დანაბარები, ასევე სრულად და შეუცდომლად მივიღე თქვენი მეფური უდიდებულესობის პასუხი... ასევე მივიღე შეუცდომელი სრული პასუხები საიდუმლო საკითხების შესახებ“.¹ ამ ახსნა-განმარტებას მოსდევს იმ უპირატესობების ჩამოთვლა, რომლებიც მიტროპოლიტ ნიკიფორეს სხვებთან შედარებით გააჩნია.

თეიმურაზ მეფე აფრთხილებს მოსკოვის ხელმწიფეს, რომ ამჯერადაც რასაც ჩემი ელჩი ილაპარაკებს, ყოველივე ჩემი სახელით იქნება. თეიმურაზი ხელმწიფეს სთხოვს დიდხანს არ დააყოვნოს მისი ელჩი მოსკოვში, რათა დროულად შეატყობინოს პასუხები თეიმურაზს მისთვის საინტერესო საკითხებზე. მთელ სიგელი გამსჭვალულია თეიმურაზის მიერ თავისი ელჩის ნიკიფორეს ქებით და იმის დემონსტრირებით როგორი ერთგულია ნიკიფორე თავისი მეფისადმი და როგორ მონადინებულია საქართველოს და რუსეთის ერთმანეთთან დაკავშირებით.

თეიმურაზი წერს: „ჩვენ მას (ნიკიფორეს – ე. მ.) ვიყენებთ, როგორც მეფის მაცნეს და საიდუმლო სამსახურში, ვიყენებ ყველაფერში, ასეთად იხილეს თქვენი მეფური უდიდებულესობის ელჩებმა იგი ჩვენ სიახლოვეს; მაგრამ ჩვენ მას არ ვაძლევთ ერთ ადგილზე დიდ ხანს ყოფნის საშუალებას, რადგან სამეფო საქმეებისათვის უფრო მეტად უნარიანი და გამორჩეული სხვა არ მყავს. ის ჩემი სული და გულია“. ნიკიფორე რომ ასეთია, ამას დაგიდასტურებენ შენი ელჩებიცო, – წერს თეიმურაზი ხელმწიფეს. თეიმურაზი, რომ ნიკიფორეზე საუბრისას გულწრფელი იყო, ამას ადასტურებს არა მხოლოდ მისი სიგელები. საქმიანი და პოლიტიკურ და ეკლესიის ელიტაში მყოფი მიტროპოლიტი ნიკიფორე ჩანს თანამედროვეთა მიერ დატოვილ სხვა დოკუმენტებშიც.

მიტროპოლიტ ნიკიფორეს მოსკოვში მეორედ ელჩად ყოფნის დროიდან გვაქვს ერთადერთი, 1640 წელს მის მიერ საელჩო პრიკაზში წარდგენილი საკმაოდ ვრცელი თხოვნა. თხოვნაში ჩანს, რომ ჩვენს წინაშეა თეიმურაზ მეფის დავალებების განუხრელად შემსრულებელი პიროვნება, რომელიც ცდილობს გააქტიუროს ხელმწიფის პოლიტიკა თეიმურაზისა და მისი სამეფოს მიმართ. მის თხოვნაში ვხვდებით საკმაოდ პირდაპირ და მკაცრ გამონათქვამებს ხელმწიფის მიმართ: „სასწრაფოდ მიაქციე ყურადღება ჩემი ხელმწიფე თეიმურაზის საქმეს და თხოვნას“; „ნუ მიუდგები ჩემი მეფის საქმეს ასე ცივად“; „უკეთესია გააკეთო ეხლა და აჩქარდი დაეხმარო ჩემს მეფეს“.²

ნიკიფორე ვერ მალავს თავის გულისწყრომას მის მიმართ მოსკოვში გამომჟღავნებული გულგრილი დამოკიდებულების გამო. ნიკიფორეს კახეთში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა აიძულებს, ხელმწიფეს

¹ *Переписка на иностранных языках...*, გვ. 6.

² *Переписка на иностранных языках...*, გვ. 50.

განუცხადოს, რომ თეიმურაზ მეფემ „ნდობის ღირსად ჩამთვალა და შენს მეფურ უდიდებულესობასთან ორჯერ ელჩად გამომაგზავნა, რათა შენ შეგხვედროდი, მოგლაპარაკებოდი და გადმომეცა დანაბარები, რომელიც ჩემმა მეფემ სამეფო ელჩების განანესის მიხედვით დამავალა. დიდო ხელმწიფე, ვიყავი სხვა ქვეყნებშიც და ვიცოდი რა და როგორ უნდა მეთქვა და როგორ მომეგვარებინა ჩემი მეფის საქმე. მაგრამ აქ, შენს მეფურ უდიდებულესობასთან არ შემიძლია შევასრულო ელჩის მოვალეობა. ვერ ველირსე პირადად მეხილე და გადმომეცა ჩემი მეფის საქმე და სიტყვა, ვერ ველირსე პირადად წარვდგარიყავ შენი მეფური უდიდებულესობის ვაზირთან. ვის წინაშე წარვდგე, რომ ჩემი მეფის საქმე აღვასრულო. მხოლოდ წერილებით მოქმედება შეიძლება“.¹

ნიკიფორე როდესაც ხედავს, რომ რუსეთის ხელისუფლება ისე არ ეკიდება თეიმურაზ მეფის თხოვნას და მუდარას დახმარების თაობაზე, მოსთქვამს: „რა ვქნა, დიდი სიყვარული და დიდი ზრუნვა და ჩემი მეფე თეიმურაზის დიდი დავალებები, ზრუნვა ივერიის მინა-წყალზე, ზრუნვა ქრისტეს ქრისტიანულ რწმენაზე, ამ საზრუნავმა გამანადგურა და გადამარჩინა... დღედაღამ ვზივარ და ვტირი როცა ვხედავ უღვთისმოსავეს, უქრისტიანეს და უმართლმადიდებულეს, თავმდაბალ და გულმონყალე ივერიის მეფეს, რომელსაც დღედაღამ შიში აქვს, რომ სამეფო გვარი არ დაიღუპოს ურწმუნოთა ხელით, რომ არ გაქრეს მთელი სამეფო მოდგმა... ივერიაში თუ გაქრება სამეფო მოდგმა, მაშინ დაიღუპება და გაქრება მართლმადიდებლური რწმენა ივერიაში და მთელი ივერიის ხალხი უღმერთო გახდება“;² „აქ არ შემიძლია აღვასრულო ელჩის მოვალეობა შენს სამეფო დიდებულებასთან. არ მელირსა პირადად გნახო და გადმოგცე საქმე და სიტყვა ჩემი მეფისა, ვერ ველირსე შენი მეფური უდიდებულესობის ვეზირს წარვსდგომოდი“.³

თეიმურაზ მეფის ელჩი კატეგორიულად მოითხოვს თავისი მეფის წერილზე პასუხს და, შეძლებისდაგვარად, სწრაფად გაშვებას საქართველოში: „აპრილში წელიწადი დასრულდა [რაც აქ ვიმყოფები], მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მივიღე. რა იქნება? ყოვლისშემძლე და დიდო მეფე, გაიხსნება თუ არა გზა, გინდა თავი მომკვეთე, ერთი საათით მეტი აღარ შემიძლია ცდა, რადგან ვერ დავარღვევ ჩემი მეფისათვის მიცემულ სიტყვას... ყოვლისშემძლე და დიდო მეფევე, იმიტომ დავდე თავი ჩემი მეფის წინაშე და რამდენადაც შემეძლო დავიყოლიე ჩემი მეფე და მისი დიდებულები, რომ დამორჩილებოდნენ შენი მეფური უდიდებულესობის მაღალ სამეფო ხელს, რომ შენს მეფური უდიდებულესობამდე მოეღწია ჩემს სიტყვასა და წერილებს და სწრაფად და კარგად აღსრულებულიყო ჩემი მეფის საქმე. ვხედავ, რომ ჩემი ბატონის საქმეს წინანდელთან შედა-

¹ *Переписка на иностранных языках...*, გვ. 53.

² *Переписка на иностранных языках...*, გვ. 52.

³ *Переписка на иностранных языках...*, გვ. 53.

რებით უფრო ცივად უყურებთ და ვხედავ, რომ ვერც სიტყვა და ვერც წერილები ვერ აღწევენ თავის მიზანს, ვერ ვიღებ ზუსტ პასუხს და [არ ვიცი] რა იქნება შედეგი. არ ვიცი როგორ მოვიქცე და გაკვირვებული ვარ: უკვე სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც სათხოვარი ჩავაბარე, ვერ მივიღე პასუხი და არ ვიცი როგორ მოვიქცე. ველოდები და მიკვირს. წერილის გარდა, ჩემი მეფისგან მაქვს დავალება, რომელიც შენს მეფურ უდიდებულესობას სიტყვიერად უნდა ვაცნობო, მაგრამ არ არის ბრძანება ჩემთვის აუდიენციის დანიშვნის შესახებ... დიდო ხელმწიფევე, დამინიშნე დრო: ხო თუ არა? – რათა მეტად აღარ შევანუხო შენი მეფური უდიდებულესობა და მომიტყევე ყოვლისშემძლე და დიდო მეფეო, ისე მოგახსენებ, როგორც ჩემმა მეფემ მიბრძანა, რადგან ის მე მენდობა“.¹

ნიკიფორე ბერძენი თეიმურაზის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე და იგი ერთ-ერთი რუსული წყაროს მიხედვით, ამ ერთგულებას შეეწირა კიდეც. ნიკიფორე 1648 წელს ყიზილბაშებს კახეთზე თავდასხმის დროს შეუპყრიათ, მოუკლავთ და მისი მოკვეთილი თავი თავრიზში გაუგზავნიათ². ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიხედვით 1651 წელს ნიკიფორე ბერძენი იმერეთში მეფე თეიმურაზთან იმყოფებოდა: „კარგების წინ შემგებებლები იდგნენ: მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და წმინდა გოლგოთის მონასტრის ილუმენი ნიკიფორე ბერძენი“.³ ისევე ნიკიფორე ბერძენზეა საუბარი, როდესაც იგივე ავტორი კვლავ ერთად ასახელებს ალექსანდრე III-ის სულიერ მამას გელათის მიტროპოლიტ ზაქარიას და გოლგოთის წმინდა მთის ილუმენ ნიკიფორეს.⁴

¹ *Переписка на иностранных языках...*, გვ. 55-56.

² **Н. Т. Накашидзе.** *Грузино-русские политические...*, გვ. 251, შენ. 550. კ. კეკელიძის მიხედვით, „1642 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც თეიმურაზმა უკან გაისტუმრა რუსის ელჩები მიშეცკი და კლიუჩარევი, ნიკიფორეც ქრება საქართველოს ჰორიზონტიდან და მას ამის შემდეგ ვეღარ ვხვდებით ვერსად. საქმე ისაა, რომ თეიმურაზს ის ამ წელს მესამედ უნდოდა გაეგზავნა მოსკოვს, მაგრამ, ჩანს, ვეღარ დაითანხმა და, რუსის ელჩების წასვლის შემდეგ, ალბათ, ისიც წავიდა საქართველოდან აღმოსავლეთის ერთერთს საპატრიარქოში და ამნაირად შეისრულა დიდი ხნის გულის წადილი“ (**კ. კეკელიძე.** *ნიკიფორე ირბახი*, გვ. 294).

³ *ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი...*, გვ. 95.

⁴ *ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის...*, გვ. 95, 98, 99, 103-105.

ELDAR MAMISTVALISHVILI

NIKIPHOROS THE GREEK, THE DIPLOMAT OF KING TEIMURAZ I

The article is dedicated to Nikiphoros, the well-known political figure of the 17th century Georgia, who served as a diplomat at the court of Teimuraz I, King of Kartli and Kakheti. According to the Georgian historiography, he is portrayed as an ambitious and wilful person. He served twice as an ambassador in Moscow (1635-1637, 1639-1642) and participated in the country's political life in different ways. As a result of historical analysis of his life, Nikiphoros is displayed as a faithful and the closest advisor of King Teimuraz I.

ფელი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში, სოფ. ნიქოზის მეზობლად) 1624 წლის ერთი დოკუმენტით ირკვევა, რომ სოფელი ხვითი იერუსალიმისათვის ვინმე დალლაძეს შეუწირავს. სვიმონ II-ის მიერ გაცემულ საბუთში ნათქვამია: „მერმე დალლაძისაგან ქრისტეს საფლავისათვის რხუითის ბოლოს მიწები აქვს შეწირული და იმის წიგნები დეკანოზს იოვანეს აქვს. რაც იმ წიგნებში მიწები ეწეროს, ჩვენც ის შეგვწინირავს“.¹ ნ. ხუციშვილი რხუითს სამართლიანად აიგივებს ნიქოზთან ახლოს მდებარე სოფელ ხვითთან.² ამის საფუძველს მას აძლევს 1573 წლის შეწირულობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „კვალად შეუწირავს ზემონიქოზს მირზაული მამული მისითა სამართლიანითა და ვინც იყოს მამულსა ზ[ედ]ა, გარდაახდედეს ალაპსა; კ[ვალა]დ შეუწირავს რხვითს მარტუილოზასვილის მამული, ორთავე განაყოფთა მამული; იქვე, რხუითის უფლისურისა შემწირველისა კერძი ნახევარი მამული...“.³

აღნიშნული სოფელი, რომელიც დღეს ხვითის სახელით არის ცნობილი, უფრო გვიანდელი ხანის დოკუმენტებშიც რხვითის სახელწოდებით გვხვდება. მაგ. 1745 წლის საბუთში, რომელიც ასახავს დავას ქრცხინვალელებსა და ფავნელიშვილებს შორის, მოიხსენიება რხვითი, დოკუმენტიდან ჩანს, რომ ცხინვალელ მურადაშვილებს და მის მეზობლებს ნიქოზში და რხვითში ნაყიდი ჰქონდათ მამული, რომელსაც ფავნელიშვილები ედავებოდნენ.⁴ ზემოთ ნახსენები დალლაძეები, რომლებმაც ქრისტეს საფლავს მამულები შეწირეს, როგორც ჩანს, უფრო ადრეულ პერიოდშიც მოღვაწეობდნენ. ეს ჩანს 1432 წლის დოკუმენტიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მოლარეთუხუცეს ხელა თავხელიძეს სწორედ დოლლაძეებისგან უყიდია მამული, რაც შემდეგ თირის მონასტრისთვის შეუწირავს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ღუერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი დოლლაძისა მიერ მისყიდული მამული მურტაული (მურტაული?)“.⁵ დოლლიძეების საგვარეულოს შესახებ მკვლევარი ნ. ხუციშვილი წერს: „დოლლიძეების (დოლლაძეების, ან დალლაძეების) სავარაუდო სამფლობელო ადგილები XIV-XV საუკუნეებში შეიძლება შემდეგნაირად შემოიფარგლოს: დვანის წყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი, ტახტისძირი, დირბი), ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხუითის, ანუ ხვითის მახლობლად) და აგრეთვე, ფრონეების ხეობის ქვედა, სამხრეთი ზოლი სურამის მიმართულებით (სოფ. დოლლაურა და დოლლაურის ქალა)“.⁶

დოლლიძეების სამფლობელო რამდენიმე სათავადოს ემიჯნებოდა

¹ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 31.

² ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 31.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I. თბ., 1940, გვ.8.

⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან..., გვ. 326.

⁵ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 31.

⁶ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 32.

მათ შორის საამილახვროს და სამაჩაბლოს.¹ აღსანიშნავია, რომ დოღლიძეების გვარი გადაშენდა და მისი მამულები სამეფო კარმა ქრისტეს საფლავს შეწირა. ამ ინფორმაციას გვანვდის ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მაგლობლიშვილი 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში.² იერუსალიმის ჯვრის მონასტერს მამული ჰქონდა სოფ. ნიქოზში, სადაც თავისი ყმები ჰყავდა საპატრიარქოსაც. 1720 წლის სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების ნუსხაში ჩანს, რომ კათალიკოსს ნიქოზში შვიდი კომლი ყმა ეკუთვნოდა.³

რაც შეეხება ჯვრის მონასტერს, XVIII ს. დამდეგს ვახტანგ ბატონიშვილმა დაამტკიცა ნიქოზში ერთი ზვრისა და ერთი მეზვრეს შეწირულობა. ეს მამული ადრე ჯვრის მონასტრისათვის ვინმე დიასამიძეს შეუწირავს. საბუთში ნათქვამია: „როგორც შეწირული ყოფილიყოს, ისრევ ჯვარის მონასტრისათვის, ჯვარის მამას ეჭიროს ბატონის მამის ჩვენის მობრძანებამდი. იმის მერე როგორც სჯობს, ისე ყოს“.⁴ საბუთი გაცემულია 1703-1709 წლებს შორის – ვახტანგის ჯანიშინობის დროიდან გიორგი XI სიკვდილამდე“.⁵

აღსანიშნავია, რომ დიასამიძეები დიდი ლიახვის ხეობის მახლობლად მდებარე სოფელ საქაშეთში XVIII ს. ბოლომდე ცხოვრობდნენ. ერეკლე II დროს დიმიტრი დიასამიძე გორის ციხის მინბაში ყოფილა და მას როგორც ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, 1792 წელს საქაშეთის კოშკი აუშენებია.⁶ როგორც ვახტანგ VI-ის სიგელი ადასტურებს დიასამიძეებს იერუსალიმის ქართული ტაძრისათვის ნიქოზში არსებული მამული შეუწირავთ. როგორც ჩანს, ისინი ზრუნვას იჩენდნენ წმინდა მინაზე არსებულ ქართული მონასტრის მიმართ. ეს დასტურდება დოკუმენტური მასალით, კერძოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპში იხსენიება ვარამ დიასამიძე: „[თუესა დეკემბერსა ზ], ამასვე დღე წირვა და ალაპი და ლოცვა(ა) დისამისძისა ვარამისი, ასი მუტყალი ოქრო გამოეგ ზავნა, შეუნდვენს ღმერთმან“.⁷ ეს გახლავთ 103-ე ალაპი, ხოლო 104 ალაპი დაწესებულია ვარამ დიასამიძის მეუღლის თამარის სახელზე.⁸

XVIII ტაბულაში გაერთიანებული ალაპების, კერძოდ, დოკუმენტებში მოხსენიებული ფულის ერთეულების, აგრეთვე ხელნაწერის სტილური ნიშნების მიხედვით ელ. მეტრეველი ვარაუდობს, რომ ალაპები შედგენი-

¹ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 32-33.

² გაზ. „ივერია“, №216, 1888.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან..., გვ. 184.

⁴ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 41.

⁵ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 41.

⁶ ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I. თბ., 1984, გვ. 112.

⁷ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან. თბ., 1962, გვ. 103.

⁸ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 104.

ლი უნდა იყოს XV საუკუნეში.¹ ხომ არ იყო ვარამ დიასამიძე ის პიროვნება, რომლის მიერაც მოხდა ნიქოზის მამულის შეწირვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი? ამას ამყარებს რამდენიმე გარემოება: 1. მის სახელზე დანესებული იყო ალაპი, რაც სწორედ განსაკუთრებული დამსახურებისთვის ხდებოდა. 2. ზემოთ წარმოდგენილ სიგელში ვახტანგ VI დაამტკიცა ჯვრის მონასტრის კუთვნილი მამული „როგორც შეწირული ყოფილიყოს“ დიასამიძეებისგან. 3. ვარამ დიასამიძის ალაპთან ერთად, როგორც ელ. მეტრეველს აქვს აღნიშნული XVIII ტაბულაში ერთიანდება დანიელ წინამძღვრის ალაპი, რომელიც ასევე XV საუკუნეშია შედგენილი. როგორც მკვლევარი ვარაუდობს, ალაპში მოხსენიებული დანიელ წინამძღვარი შესაძლებელია ჯვრის მონასტრის მამა, ნიქოზის ეპისკოპოსი დანიელი იყო.

ექვსე გარეშეა, რომ ვარამ დიასამიძე და დანიელ წინამძღვარი ერთსა და იმავე ეპოქაში მოღვაწეობდნენ, რადგან ორივე მათგანის ალაპში როგორც აღინიშნა ფულის ერთი და იგივე ერთეულია მოხსენიებული. დანიელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის 200 მუტყალი ოქრო გაუგზავნია, ხოლო ვარამ დიასამიძეს 100 მუტყალი. არ არის გამორიცხული, რომ დიასამიძეებმა, ნიქოზში არსებული მამული ნიქოზელი ეპისკოპოსის, ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დამტკიცებული დანიელის თხოვნით შესწირეს. დიასამიძეებს მამული სოფ. ნიქოზში, გვიანფეოდალურ პერიოდშიც ჰქონდათ, რომელიც შემდეგ მათ მარაბლებს მიჰყიდეს. ამას ადასტურებს 1700 წლის ნასყიდობის წიგნი მიცემული იასე და ედიშერ დიასამიძეთა მიერ პაატაბეგ და ავთანდილ მარაბლებისადმი.²

დიასამიძეებს, რომ განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ სავანესთან, ჩანს იქიდანაც, რომ მათი საგვარეულოს წარმომადგენელი ანტონი 1755 წლის დოკუმენტის მიხედვით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო.³ სოფელ ნიქოზს იერუსალიმთან საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ნიქოზის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალმა დააარსა. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ ალაშენა ეკლესიაი, მოციქულთაი სუეტი ცხოველი და უპყრა სუეტსა შინა სამხრით, ადგილსა მას, სადა დაცემული იყო ეკლესიაი, რომელ არს სიონი დიდი, მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ – ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა. დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა აქიზისასა, ერთი – არტანს, ერთი მანგლისს, ერთი – ბოლნის[ს], ერთი – რუსთავს, ერთი – ნინოწმიდას, [ერთი] – უჯარმოხკარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი-ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელ-იგი მანვე აღაშენა, ერთი – ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა

¹ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის., გვ. 145.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან., გვ. 109.

³ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის., გვ. 103.

ალაშენა; ერთი ხორნაბუჯს, ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანის გამართებით. შემდგომად ამისა ალაშენა ეკლესიაჲ ნიქოზისაჲ საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი დაეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი ინამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისა“.¹

არსებობს გადმოცემა, იმის შესახებ, რომ ნიქოზის ღვთაების ტაძარში დაბრძანებული იყო ცხოველმყოფელი ხის (ძელიცხოველის), ანუ ძელიჭუმარიტის ჯვარი (სიგრძით 4 გოჯი), რომელიც თითქოს ვახტანგ გორგასალს ძღვნად იერუსალიმის პატრიარქმა გამოუგზავნა. ჯვარს წარწერაც ჰქონია, რომ ის იერუსალიმიდან იყო ჩამოტანილი. წარწერიდან ჩანდა, რომ იგი თამარ მეფის ასულს რუსუდანს განუახლებია (ჯვრისთვის ვერცხლის ბუდე გაუკეთებია), ამ გადმოცემის მიხედვით ჯვარი აქ 1791 წლამდე ინახებოდა. ეს ჯვარი ათანასე ეპისკოპოსის დროს დაკარგულა (1799). ამისათვის ათანასე ნიქოზელი მეფე გიორგი XII-მ კათედრას მოაშორა და ნათლისმცემლის უდაბნოში (მონასტერში) გადაასახლა. გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ დავით ბატონიშვილმა ათანასე ისევ ნიქოზის ეპისკოპოსად დააბრუნა. ათანასე 1810 წელს გარდაიცვალა.²

თუ ზემოთ წარმოდგელი ცნობას დავეყრდნობით ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობას იერუსალიმის წმინდა მიწასთან საეპისკოპოსოს დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. იერუსალიმის პატრიარქისაგან ნაჩუქარი ძელიცხოველის ნაწილი ვახტანგ გორგასალმა ნიქოზის ტაძარში დააბრძანა, რომელიც ათანასე ნიქოზის ეპისკოპოსის მოღვაწიობის დროს დაიკარგა. გიორგი XII-ს სწორედ ამის გამო გაუძევებია ათანასე ნიქოზიდან. გიორგი XII-ის ერთ-ერთ სიგელში აღნიშნულია, რომ ათანასე ერეკლე II-ის დროს უკუერთხებიათ ნიქოზის ეპისკოპოსად. არსებობს 1798 წლის დოკუმენტი: „არზა ნიქოზლისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII ოქმით“, საიდანაც ირკვევა, რომ ათანასე ნიქოზელი ერეკლე II-ის დროს გახდა ნიქოზის ეპისკოპოსი. ათანასე წერს „ათი წელიწადი არის ამ ეკლესიაში ნეტარხსენებულმა ბატონმა (იგულისხმება ერეკლე II გ.ს.) დამაყენა“.³ ამ დროისათვის ნიქოზის საეპისკოპოსოს ქონებას შეადგენდა ხუთი კომლი ყმა, ხოლო მისი სამწყსო იყო ოთხი სოფელი.⁴

გიორგი XII მიერ ათანასე ეპისკოპოსის ნიქოზიდან გაძევება ძელიცხოველის ნაწილის დაკარგვის გამო შემთხვევითი არ იყო. ერეკლე II-ის მემკვიდრე ქრისტეს საფლავის ყმების და მამულის მეურვე იყო. ეს დასტურდება 1793 წლის დოკუმენტით, რომელსაც ჰქვია: „არზა სვიმონა ფეიქრისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით“, სვიმონა ფეიქარი, რომელიც ქრისტეს საფლავის ყმა იყო, ასე მიმართავს გიორგი XII-ს:

¹ ქართლის ცხოვრება. მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2008, გვ. 215.

² ი. მეტრეულიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ. 145.

³ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII. თბ., 1985, გვ. 460

⁴ ქართული სამართლის ძეგლები..., VIII, გვ. 460.

„რადგან ქრისტეს საფლავის საყმით მეურვე თქვენა ბძანდებით, ამისათვის გვედრებით თქვენად სადღეგრძელოთ, ერთი ასეთი ოქმი მებოდოს, რომ ჩემი გათვისება სხვამ არა კაცმა არ მოინდომოთ, და ჩემი შეძლებისამებრ ქრისტეს საფლავს ვმსახურებდე საუკუნოდ და თქვენის შვილების მლოცავი ვიმყოფებოდე“.¹

დოკუმენტიდან არ ჩანს, ათანასე ნიქოზელის მოღვაწეობის დროს გააჩნდა თუ არა იერუსალიმის ქართულ სავანეებს თავისი მამული ნიქოზში. როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, ნიქოზის ეპარქია ამ დროისათვის ძალზე ღარიბი იყო. ამის მიზეზად საბუთში დასახელებულია ადგილობრივი წარჩინებულები, რომლებმაც ნიქოზის ტაძარს მამულები წაართვეს. ნიქოზის ტაძრის ახლო ურთიერთობას იერუსალიმთან, კერძოდ, ჯვრის მონასტერთან არაერთი წყარო ასტურებს. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს წარწერა. სამრეკლოს აღმოსავლეთი გარეკედლის ჩრდილოეთი მხარის მეორე ქვაზე მრგვლოვანი ასოებით წერია: „ნ. სახელითა ღმრთისაითა, ქრისტე შეინყალე ამის გალატოზნი: მემარნიშვილი, მახარებელი ჯუარის კაცი, მახარებელი გვრიტიშვილი გიორგი. შეუდოს ღმერთმან ცოდვანი(მათ)ნი(?). ამინ“.² ვ. ბერიძე ნიქოზის სამრეკლოს გვიანფეოდალური ხანით ათარილებს.³ ჩნდება კითხვა, რატომ იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კაცი ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს წარწერაში? ჩვენი აზრით ის უნდა ყოფილიყო ნიქოზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჯვრის მონასტრის მამულების მეთვალყურე და არც ის არის გამორიცხული, რომ მას ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს აშენებაში, რაიმე წვლილი შეეტანა. ხომ არ იყო ჯვარის კაცი ჯვარის მამის წარმომადგენელი ნიქოზში? მით უფრო იმ დროს, როცა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამა ნიქოზელი ეპისკოპოსი დანიელი იყო. რომელიც XV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა.⁴

საქართველოში ჯვარის მამის ინსტიტუტი საკმაოდ ძველი დროიდან მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვება ჰქონდა ნ. ხუციშვილს, რომელიც წერდა: „ჯვრის მონასტრის მთელ სასულიერო და სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობდა წინამძღვარი – ილუმენი, რომელსაც საქართველოს მეფე (ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ – ქართლის მეფე) ნიშნავდა და ჯვრის მამად ინოდეობდა. ის, იმავდროულად უდიდესი ქრისტიანული სინმინდის გოლგოთის წინამძღვრადაც ითვლებოდა და საქართველოს მეფეს და იერუსალიმის პატრიარქს ერთმანეთთან აკავშირებდა. ჯვრის მამები განაგებდნენ იერუსალიმის და მის შემოგარენში არსებულ ეკლესია-მონასტრებს

¹ ქართული სამართლის ძეგლები..., VIII, გვ. 187.

² ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიხვის ხეობაში, გვ. 155.

³ ვ. ბერიძე. ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები. თბ., 1956, გვ. 41.

⁴ ე. მამისთვალისვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია. თბ., 2004, გვ. 36.

და იერუსალიმის საკმაოდ ხალხმრავალ ქართულ თემსაც“.¹ როგორც ნ. ხუციშვილი აღნიშნავს: „ალაპებში ჩანს რა როლს თამაშობდა ჯვრის მამა მონასტრის ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ახდენდა შესანიშნავების გადანაწილებას ეკლესია-მონასტრებს შორის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, გამოჰყოფდა თანხებს მათი ინვენტარით, ზეთით, ცვილით და სხვ. უზრუნველსაყოფად“.² საქართველოში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქონების ეფექტურად მართვის თვალსაზრისით არსებობდა ჯვარის მამის ეკლესია. „ჯვარისმამის ეკლესია, როგორც სახელწოდებულად ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრისა და საქართველოში მისი ყმა-მამულის გამგებლის, ჯვარის მამის ადგილსამყოფელი იყო. იერუსალიმის „ჯვარის მამათა სადგური“ ეკლესია მდებარეობს ძველ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის მოპირდაპირე მხარეს“.³

რაც შეეხება ჯვარის მამის თანამდებობას, ეს განსაკუთრებული პრივილეგია იყო და მისი დანიშვნა სამეფო კარის გადაწყვეტილებით ხდებოდა, რადგან ჯვარის მამას მარტოოდენ ჯვრის მონასტრის მეურნეობის და ქონების მართვა არ ევალებოდა, ის აქტიურად იყო ჩართული იმ პერიოდის დიპლომატიურ ურთიერთობებში და იერუსალიმში საქართველოს სამეფო კარს წარმოადგენდა. ნ. ხუციშვილი წერს: „შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებაც: ჯვარის მამები, როგორც მუხრანის ბატონიშვილი, ასევე ფალავანდიშვილი ქართლის მეფეების ახლო ნათესავები არიან, რაც მიუთითებს ამ თანამდებობის მნიშვნელობაზე“.⁴ თუმცა, როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტით ჩანს, ჯვარის მამის გარდა წმინდა მიწის ქონებას სამეფო კარიც მეურვეობდა. როგორც ვნახეთ ერთ-ერთ დოკუმენტში ქრისტეს საფლავის ყმების მეურვედ გიორგი XII იხსენიება.

როგორც ზემოთ მივუთითებდით XVს. II ნახევარში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ურთიერთობა ნიქოზის ეპარქიასთან კიდევ უფრო გააქტიურდა, რადგან ჯვარის მამად ნიქოზელი ეპისკოპოსი დანიელი დაინიშნა. დანიელ ნიქოზელის სახელზე ჯვრის მონასტერში აღაპი იყო დანესებული, ალაპების ტიშენდორპისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: „გაუჩინეთ ჩ(უე)ნ, ჯუარისა მამამან ნიქოზელმან დანიელ და კანდელაკმან და ერთსულობით ძმათა, გოხასძესაი ელემპიასაი დიდათა მარხუაშ(ინ) აი, შაბათ-კუირიაკითა პანაშუიდი სხუ(ა)თა მუპანაშუიდეთა თ(ან)ა, შ(ეუნდენე)ს ღმერთმან, ა-ნ.“⁵

სავარაუდოა, რომ ჯვარის მამა დანიელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო კართან, არ გამოვრიცხავთ, რომ იგი სამეფო ოჯახს ენათესავებოდა კიდევ და სწორედ ამის გამო დაინიშნა

¹ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 32.

² ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 32.

³ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 16.

⁴ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 98.

⁵ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 77.

ესოდენ მნიშვნელოვანი მონასტრის წინამძღვრად. ეს ალაპი სხვა რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას არ შეიცავს, თუმცა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი დანიელი ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპშიც იხსენიება: „[*თუესა დეკემბერსა იზ*] ამასვე დღესა წირვა და ალაპი და დალ(ო)ცვა საუკუნო წ[ი]ნამძღუ[რი]სა დანიელისი, ორასი მუტყალი ოქრო საილ[ა]პედ გამოეგზავნა და ი-სი მუტყალ[ი] დედაბერთათეს ვენახისათეს სასყიდლად. დედ[ა]ბერთა ვენახი აღარ იყიდეს და გაუყავ[ი] თ. ათი სომი მღრდელთათს გამოეგზავნა, [მღრდელ-თს] კ(ა)ცისათეს არ მოგვეცემია, შეუნდვენ ღმერთმან“.¹

როგორც ჩანს, დანიელ წინამძღვარმა 200 მუტყალი ოქრო ჯვრის მონასტერს გაუგზავნა (სააღაპედ). ეს შეწირულობა განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ მის სახელზე ალაპი დაენესებინათ, ხოლო გარკვეული თანხა – 60 მუტყალი ოქრო კი დანიელს დედაბერთათვის (ალბათ დედათა მონასტრისათვის) ვენახის შესაძენად გაუგზავნია. თანხის ერთი ნაწილი ათი სომი წინამძღვარს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მყოფი სასულიერო პირებისათვის გადაუცია.

ელენე მეტრეველი გამოთქვამს ვარაუდს (რასაც ჩვენც ვუჭერთ მხარს), რომ დანიელ წინამძღვარი ეს იგივე დანიელ ჯვარის მამაა (ნიქოზელი ეპისკოპოსი). „ცნობები ამ პირის შესახებ (იგულისხმება დანიელ წინამძღვარი – **გ.ს.**) არ გაგვაჩნია. ასევე არაფერი ვიცით ამავე ტაბულის სხვა აღაპებში მოხსენიებულ პირთა შესახებ. ხელის მიხედვით აღაპები XV საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყვნენ. ხომ არ არის დანიელ წინამძღვარი იგივე დანიელ ნიქოზელი, შემდეგ ჯვარის მამა, რომლის აღაპი დაუცავს ტიმენდორფისეულ ნუსხას (ტ-94) ასე რომ იყოს კიდეც, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სვინაქსარის აღაპი დაწერილია დანიელის ჯვარის მამობამდე“.²

ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან მომდევნო საუკუნეებში კიდეც უფრო გააქტიურდა. XVIII ს. II ნახევარში ჯვრის მონასტრის მამა კვლავ ნიქოზელი ეპისკოპოსი იყო. დავით ნიქოზელი ჯვრის მონასტერს 1761-1773 წწ. უდგა სათავეში.³ ის თავისი დროის საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო და არაერთ დოკუმენტში იხსენიება, მაგ. 1761 წელს ჯვარის მამა დავით ნიქოზელი ამონწმებს ნასყიდობის წიგნს ხერხეულიძეებისა და არდაშელებს შორის,⁴ 1762 წელს კი ხერხეულიძეებსა და მირზაშვილებს შორის. „ქ. მე მიქოზელი ეფისკოპოზი დავით და ჯვარის მამა ამისი მონამე ვარ“. სიგელს ახლავს ბეჭედიც მხედრული ლეგენდით „ქ. მიქოზელი ეპისკოპოზი“. შუაში ასომთავრულით წერია „დავით“ ორივე ნასყიდობის ობიექტი სოფელ ყელქცეულში

¹ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის.., გვ. 115.

² ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის.., გვ. 149.

³ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის.., გვ. 117.

⁴ გ. სოსიაშვილი. საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან. თბ., 2008, გვ. 106.

მდებარე მამულია.¹

დავით ნიქოზელი (ჯვარის მამა) იხსენიება 1763 წლის დოკუმენტში, სადაც ჩანს, რომ მას მოუგვარებია დავა გოგიაშვილსა და გონგლიაშვილებს შორის ნისქვილის თაობაზე.² 1770 წელს ნიქოზელი ეპისკოპოსი ჯვარის მამა დავითი ამტკიცებს ყმის კუთვნილებას: „გყვანდეთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან იელუსარიმის ერთგულობასა და ჯვარის მამის სამსახურშია“.³ დავით ეპისკოპოსი შეტანილია XVIII ს. 70 იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსთა სიაში ურბნელის შემდეგ.⁴ ჯვარის მამა დავით ნიქოზელს 1773 წელს დავა ჰქონია გერმანე მროველთან „ღირბის საქმეზე“.⁵ ჯვარისმამა დავით ნიქოზელი იხსენიება 1777 წლის დოკუმენტშიც, ეს არის: „განჩინება ნიქოზის ღმრთაების ეკლესიის მამულის საქმეზე“. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ნიქოზის ეკლესიის მამულები დასაკუთრებული ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ ეს ქონება ფავლენიშვილებისაგან და შალიკაშვილებისაგან უყიდიათ, თუმცა დავით ეპისკოპოსს ხელთ არაერთი საბუთი ჰქონია, საიდანაც ჩანდა, რომ ნიქოზის ტაძარს წართმეული მამულები სხვადასხვა დროს ნაწყალობევი ჰქონდა როგორც სამეფო ხელისუფლებისაგან, ისე საპატრიარქოსაგან. საბოლოოდ დავა ნიქოზელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ გადაწყდა. „ბედნიერის ხელმწიფის ბრძანებით სამართალმა წმინდას ეკლესიას თავისი მამულები ასე დაანება და მათის ამაღლებულის მალლის ყოვლად მონყალის ხელმწიფისაგან“.⁶

ნიქოზის საეპისკოპოსოს და ფავლენიშვილებს შორის დავა ნიქოზში არსებულ მამულებზე დავით ნიქოზელის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. ამას ასახავს „განჩინება გიორგი XII-ისა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმა-მამულის საქმეზე“. დოკუმენტი თარიღდება 1786 წლით. აქედან ჩანს, რომ ამ დავაში კათალიკოს-პატრიარქი ანტონი და ერეკლე II-ის მემკვიდრე გიორგი XII ჩაერივნენ. კათალიკოს-პატრიარქს დავის გადასაწყვეტად ნიქოზში გამოუგზავნია სასულიერო პირები: მთავარეპისკოპოსი იოანე, თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, რუსთველი მიტროპოლიტი კირილე და დიკასტერიის წარმომადგენლები. საბოლოოდ დავა ნიქოზელი ეპისკოპოსის იულიოსის სასარგებლოდ გადაწყდა.

ამ დოკუმენტიდან ჩანს ისიც, რომ ჯვარის მამის დავით ეპისკოპოსის ნიქოზის ეკლესიაში დაკრძალვაზე ფავლენიშვილებს უარი უთქვამთ. იმ მიზეზით, რომ ეკლესია მათი საკუთრება იყო და დავით ნიქოზელი ტაძრის გვერდით ეკვდერში დაუკრძალავთ, სადაც სხვა ეპისკოპოსე-

¹ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 106.

² ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 106.

³ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 106.

⁴ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 106.

⁵ ნ. ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., გვ. 106.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა დაშენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V. თბ., 1974, გვ. 40-41.

ბიც იყვნენ დასაფლავებულნი. სამეფო კარმა იულიოს ნიქოზელს დავით ეპისკოპოსის ეკლესიაში გადასვენება დაავალა: „ქ. ამასაც ჩიოდა ყოვლად სამღვდელო ნიქოზელი იულიოს: ჩემს უწინარეს დავით ნიქოზელი დიდად დამაშვრალი იმ ეკლესიაზედ რომ მიიცვალა, თავის ეკლესიაში ადგილი არ დაანებეს, რომ დამარხულიყო. მისს სიმალლეს მეფეს და მის უწმინდესობას კათალიკოს-პარიარქს მოვახსენეო. და ბრძანება გვაჩვენა, ორთავ ებრძანათ რისხვით და წყრომით: ფავლენიანო! რის მიზეზით გიქმნიათ, რომ ეპისკოპოსი თავის ეკლესიაში არ დაგიმარხვიანებიათო. იულიოს ნიქოზელო! ამოასვენე და ეკლესიაში მიიღეო და ეგრეთ აღესრულე ბრძანებული“. დოკუმენტს ხელს აწერენ: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე, არხიეპისკოპოსი რუსთველი კირილე, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, მდივანბეგ ეშიკალათბაში თეიმურაზ ციციშვილი, ერეკლე II მსაჯული იესე, მდივანბეგი ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი, მონმე სოლომონ ლიონიძე, ხუცეს-მონაზონი გრიგოლი. დიკასტერიის მნიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე, დავით გარეჯის არქიმანდრიტი თეოდოსი, მთანმინდის არქიმანდრიტი იოაკიმე, მეფე ერეკლე II, დარეჯან დედოფალი, ანტონ კათალიკოსი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები.¹

დავით ნიქოზელის შემდეგ, ნიქოზის ეპარქიას სათავეში ჩაუდგა იულიოსი, რომელმაც 1785 წელს საჩივრით მიმართა დიკასტერიას. როგორც ირკვევა, დავით ჯვარისმამის გარდაცვალების შემდეგ ფავლენიშვილებმა ეპისკოპოსის ზანდუკი გატეხეს და დავითის მიერ შენახული ნიქოზის ტაძრის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები წაიღეს.² ნიქოზის ეპარქიაში მოღვაწეობის შემდეგ იულიოსი ჯერ სამთავისში გადავიდა, შემდეგ კი ურბნელი ეპისკოპოსი გახდა, მის შემდეგ ნიქოზის ეპარქია ათანასიმ ჩაიბარა (ეს ის ათანასი იყო, რომლის დროსაც ნიქოზის ტაძარში დაბრძანებული ძელიცხოველის ნაწილი დაიკარგა), ათანასი ნიქოზელს პატრიარქის დავალებით ნიქოზის ეკლესიის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცა.³

ნიქოზის ეპარქიასა და იერუსალიმის ჯვრის მონატერს შორის ურთიერთობის შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ფავლენიშვილების დამსახურებას იერუსალიმის ქართული საეპისკოპოსოს მიმართ. ცნობილია, რომ ფავლენიშვილთა გვარი წარმოშობით თმოგვიდან იყო. XIVს. ბოლოს ჯავახეთიდან წამოსული თმოგველები უჯარმაში დამკვიდრდნენ და თმოგველ-უჯარმელები გახდნენ, ხოლო შემდეგ გადაშენებული ფეოდალების – ფავნელების მამული დაიკავეს და თმოგველ-უჯარმელ-ფავნელებად იწოდნენ.⁴ XVI საუკუნიდან აღნიშნული გვარი იხსენიება ხან თმოგველ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. V, გვ. 328-329.

² ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა დაშენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII. თბ., 1981, გვ. 673.

³ ქართული სამართლის ძეგლები., ტ. V, გვ. 331-332.

⁴ გ. სოსიაშვილი. საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, გვ. 38.

ფავლენიშვილად, ხანაც თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილად.

XVI საუკუნეში თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები ნიქოზში დამკვიდრდნენ და აღნიშნული სოფელი მათი საკუთრება გახდა. ეს ჩანს 1569 დოკუმენტით, საიდანაც ირკვევა, რომ მათ ნიქოზის ტაძარს სოფელი ზემო ნიქოზი შესწირეს. თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები ნიქოზის ტაძარს თავიანთ სამკვიდრებელს და სამარხს უწოდებდნენ.¹

ნიქოზში დამკვიდრებულმა თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილთა გვარის წარმომადგენელმა მამქან ყოფილმა მარინემ დიდი წვლილი შეიტანა ჯვრის მონასტრის გალავნის მშენებლობის საქმეში და ოჯახის წევრთა მოსახსენიებლად ფულადი თანხაც გაიღო. მის სახელზე დანესებულ ალაპში ვკითხულობთ: „[თუესა აპრილსა კ-კბ] ქ. ს(ა)ხელითა ღ(მრთ)ისათა მე ცოდვითა დაღონებ(უ)ლმ(ა)ნ და ყ(ოვე)ლთა მონაზონთა უნარჩევესმ(ა)ნ თმოგველ[თა] უჯარმელთა ას(უ)ლმ(ა)ნ მამქან-ყოფილმ(ა)ნ მარინე ხელ-ვყავ და აღვაშენე ჯ(უარ)ის პ(ა)ტი(ო)სნისა გალავნისა ბურჯი სამამოსაკენ და გამოვიღე სამოცი [ფლ]ური ჩ(უე)ნისა ც(ო)დვილისა სულისა სახსრად. ჯ(უა)რო პატი(ო)სანო, შ(ეინყალ)ე სული ფანასკერტელისა თაყასი და მისისა მეუღლისა მარინესი და მისისა ძმისა როინისი და მისთა დედა-მ(ა)მ(ა)თა, ა-ნ, ა-ნ უფალო“.²

ამ ალაპის შედგენის ქრონოლოგია ე. მეტრეველს გარკვეული აქვს, იმავე ტაბულაში გაერთიანებული სხვა ალაპების მონაცემებით. მაგ., 114 ალაპი, სადაც მოხსენიებულია ბატონი სფირიდონი და მისი შვილი იორამი, თარიღდება XVI საუკუნის დამდეგით. იმავე ტაბულაშია ალაპი, სადაც იხსენიება მამქან ყოფილი მარინე. ე. მეტრეველი წერს: „საინტერესოა, რომ VII ტაბულის მეორე ალაპი №210 (სადაც მამქან ყოფილი მარინე იხსენიება – **გ. ს.**), პარალელს პოულობს „გერგეტის სულთა მატიანესთან“, ეს შეხვედრა დაჭერილი აქვს ქრ. შარაშიძეს... „გერგეტის სულთა მატიანეში“ ვკითხულობთ: „სულსა უჯარმელის ძისა თაყიადინისა შეუნდვნეს ღმერთმან. სულსა მათისა მეუღლისა ვახუშტის ასულსა ნესტანჯარს... ძესა მათსა როინს შეუნდვნეს ღმერთმან“; აშკარაა, რომ მამქან ყოფილი მარინე არის უჯარმელ თაყიადინისა და ნესტან-დარეჯანის ასული და როინისა, მეუღლე თაყა ფანასკერტელისა“.³

ელ. მეტრეველი პარალელს ავლებს სინის სულთა მატიანესთან და აღნიშნავს: „მამქან ყოფილი მარინეს მოსახსენებელი შეტანილია აგრეთვე სინის მთის სულთა მატიანეში: „ციციშვილს ფარსადანს შეუნდოს ღმერთმან... და თანამეცხედრესა გულდამს შეუნდოს ღმერთმან და მათსა ძმასა ამილამბარს შეუნდოს ღმერთმან და მათსა რძალსა მამქან ყოფილსა მარინეს შეუნდოს ღმერთმან... თუ გერგეტის სულთა მატიანეში მარინეს ძმა და მშობლები არიან მოხსენიებული, სინის სულთა მატიანეში მოხსე-

¹ ს. კაკაბაძე. თმოგველთა გვარის ისტორიისათვის. თბ., 1913, გვ. 4.

² ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 210.

³ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 149.

ნიებული არიან მამქანის ნათესავეები მისი ქმრის, თაყას მხრიდან“. ე. მეტრეველის დასკვნით სინის სულთა მატიანეში მოხსენებული პირები მოლვანობდნენ XV საუკუნის მეორე ნახევარში და XVI საუკუნის პირველი მეოთხედის ფარგლებში ზოგადად.¹

თუ თმოგველ-უჯარმელთა ასული მამქან-ყოფილი მარინე, რომელსაც დიდი ღვანლი მიუძღოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმართ, XV საუკუნის ბოლოს, ან XVI საუკუნის დასაწყისში მოლვანობდა, გამოდის, რომ ის სწორედ ნიქოზში დამკვიდრებული თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილების ოჯახის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. როგორც აღვნიშნეთ, ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელიც 1569 წლით თარიღდება და მკვლევარმა ნიქოზის საყდრის საბუთებს შორის აღმოაჩინა, თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები ნიქოზს თავიანთ სამკვიდრებელს და სამარხს უწოდებენ, რაც აღნიშნული გვარის ამ სოფელში ერთი საუკუნის წინ დასახლებაზე მაინც უნდა მიუთითებდეს, ანუ იმ სავარაუდო პერიოდზე, როდესაც მამქან-ყოფილი მარინე მოლვანობდა.

აღნიშნულ გვარში როგორც ჩანს, არსებობდა წმინდა მიწისადმი პატივისცემის ტრადიცია. რაც მათთვის შესაძლებელია თმოგველ-უჯარმელების საგვარეულოს წარმომადგენლებში ფავნისში დამკვიდრების და ფავნელთა ტერიტორიის დაკავების შემდეგ დაინერგა. დოკუმენტებით დასტურდება, რომ ფავნელები აქტიურად ურთიერთობდნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. ვარდან ფავნელის სახელზე ჯვრის მონასტერში აღაპიც იყო დაწესებული: „[თუესა ოკდონბერსა ა], ამ(ა)სვე დღესა წირვაი და აღაპი საუკუნოი ვარდან ფავნელისაი, შეუნდვენ ღმერთმან“.²

როგორც ელ. მეტრეველი აღნიშნავს, ტაბულაში სადაც ზემოთ წარმოდგენილი აღაპია, სხვა აღაპებიც გვხვდება: „ტაბულის ხელი ძველია. აღაპები დაწერილია XII-XIII საუკუნეების შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით. XXII ტაბულაში აღაპები პირობითაა გაერთიანებული, ვინაიდან ბოლომდე არ ვართ დარწმუნებული, რომ სამივე აღაპი ერთი პირის დაწერილი იყოს. ზოგიერთი განსხვავება დაწერილობაში შეიმჩნევა. ფავნელის აღაპი უფრო მსხვილი ნუსხურითაა ნაწერი, ვინემ დანარჩენი ორი“.³

ამრიგად, ნიქოზის ეპარქიას არამარტო საქართველოს სულიერ ცხოვრებაში შეჭქონდა თავისი წვლილი, არამედ უცხოეთში არსებულ ქართულ სამონასტრო ცენტრების საქმიანობაშიც, რასაც ადასტურებს საეპისკოპოსოს აქტიური ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან.

¹ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 149.

² ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 31.

³ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის..., გვ. 127.

GIORGI SOSIASHVILI

THE RELATIONSHIP BETWEEN NIKOZI EPARCHY AND THE JVARI (HOLY CROSS) MONASTERY IN JERUSALEM

Through centuries the Jvari (Holy Cross) Monastery in Jerusalem always had its special place among the Georgian churches and monasteries abroad. It has been paid attention both by the Georgian Royal Authority and feudal aristocracy, who sacrificed lots of property to the spiritual centre established by the Georgians. The Jvari (Holy Cross) Monastery in Jerusalem had its own lands in Georgia. It owned villages in several parts of the country and all the income was used for the Monastery. The Jvari (Holy Cross) Monastery had its property in Shida Kartli region too. The Nikozi Eparchy had active contact with the above-mentioned Georgian monastery. It should be mentioned that in the 15th century the Prior of the Jvari (Holy Cross) Monastery in Jerusalem was the Bishop Daniel from Nikozi, who was called Father of the Jvari (Holy Cross) Monastery. The Bishop David of Nikozi also was the Prior of the Jvari (Holy Cross) Monastery in the first half of the 18th century. The inscription on the belfry of Nikozi Temple proves its relationship with the Jvari (Holy Cross) Monastery in Jerusalem, which is dated back to the Late Feudal Epoch. The inscription mentions the evangelist cross man, who should be a representative of the Jvari Monastery.

გადაეგდო ოქროს ურდოს ბატონობის მიძიმე უღელი.

თემურის მიერ თოხთამიშის დამარცხებას საქართველოსთვის იმ მხრივაც ჰქონდა უარყოფითი შედეგები, რომ ოქროს ურდოს მბრძანებელი საქართველოს ერთადერთი რეალური მოკავშირე იყო ილხანებთან და ჩალათაელებთან დაპირისპირებაში. ამჯერად გამარჯვებულმა თემურმა აზოვამდე სდია უკუქცეულ თოხთას და უკან დაბრუნებისას საგანგებოდა დალაშქრა ჩრდილო კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და ტრადიციულად მრავალმხრივი კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. საქართველოდან იქ ვრცელდებოდა ქართული ქრისტიანობა, კულტურა, სოციალური წყობა. თემურმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამი. ამის შემდეგ იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოსადმი მტრულად დაპირისპირებულ ძალად იქცნენ.

თემურ-ლენგის გამოჩენას წინა აზიის ასპარეზზე დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ბიზანტიელები და დასავლეთ ევროპის მესვეურები. საქმე იმაში იყო, რომ ამ პერიოდში ევროპას დიდ საფრთხეს უქმნიდა თურქ-ოსმალთა ახლადჩამოყალიბებული იმპერია, რომელიც აქამდე დაუბრკოლებლად უტევდა მათ საზღვრებს და ევროპელთა გაერთიანებული სამხედრო ძალაც კი ვერაფერს აწყობდა მათთან. ამ დროს ოსმალებს უკვე ალყაში ჰქონდათ მოქცეული კონსტანტინოპოლი, ასევე დაპყრობილი ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიის და შუა ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი (გალიპოლი, თრაკია, ადრიანოპოლი, სერბეთი, ბულგარეთი) და დამარცხებული ჰყავდათ სერბების და ბოსნიელების გაერთიანებული ლაშქარი კოსოვოს ველზე (1389წ.). ბაიაზიდ I უკვე ემზადებოდა კონსტანტინოპოლზე გადამწყვეტი შეტევისთვის, რომ გამოჩნდა თემურ-ლენგი, რომელმაც 1402 წელს ანგორასთან სასტიკად დაამარცხა ოსმალები და თვითონ სულთან ბაიაზიდი ტყვედაც კი იგდო.

ევროპა ცას ეწია სიხარულით, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი იყო. სულ რაღაც ოციოდე წლის შემდეგ თემურის მიერ დამარცხებული თურქეთი ისევ გაიმართა წელში და ახალი ძალით იწყო შეტევა ევროპის ქვეყნებზე. 1422 წელს ოსმალებმა კვლავ შემოარტყეს ალყა კონსტანტინოპოლს და იმპერატორი იოანე VIII პალეოლოგი აიძულეს დაედო ყოვლად დამამცირებელი ხელშეკრულება (1424წ.), რომლის ძალითაც ბიზანტია უთმობდა სულთან მურადს თითქმის ყველა ქალაქს პროპონტიდასა და შავიზღვისპირეთში და კისრულობდა ხარკს 30 000 დუკატის რაოდენობით. 1430წ. მურადმა დაიკავა თესალონიკი და ამის შემდეგ ბიზანტიას მფლობელობაში შემორჩა მხოლოდ თვით კონსტანტინოპოლი და რამდენიმე მცირე ოლქი ხმელთაშუაზღვისპირეთში. როგორც ჩანდა

рое издание. СПб., 1896, გვ. 1029, – ელექტრ. ვერსია: <http://www.lib.ru/HISTORY/SOLOVIEV/solv04.txt>.

იმპერიის დღეები დათვლილი იყო.

ევროპის ერთადერთ გამაერთიანებელ ძალად რომის პაპი ჩანდა, რომელიც ისედაც პრეტენზიებს აცხადებდა მსოფლიო ბატონობაზე და მონადინებული იყო ესარგებლა შექმნილი გარემოებით და თავისი უზენაესობის ქვეშ მოექცია აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ქვეყნები. საამისოდ აუცილებელი იყო მოენვიათ მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც რომის პაპის ამ აბიციებს განახორციელებდა. ამ დროს რომის პაპია ევგენიოს IV, რომელიც არჩეული იყო კათოლიკური ეკლესიის მეთაურად 1431 წლიდან. მან მოხერხებულად გამოიყენა ბიზანტიის მეტად მძიმე მდგომარეობა და აიძულა იმპერატორი რომის პაპისადმი წინადადებით მიემართა კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შეერთების თაობაზე. აღმოსავლეთის საეკლესიო მღვდელმთავრებს უნდა ეცნოთ რომის პაპის უზენაესობა. გადაწყდა მსოფლიო საეკლესიო კრება (მსოფლიო საეკლესიო კრებებს მაშინ მსოფლიო კონგრესების მნიშვნელობა ჰქონდათ) მოენვიათ იტალიის ქალაქ ფერარაში. კრებაზე დასასწრებად ბიზანტიის იმპერატორთან და კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ერთად გამოემგზავრა აღმოსავლეთის ეკლესიის 22 წარმომადგენელი, მათ შორის იყვნენ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებიც, გრიგოლ და იოანე ეპისკოპოსების მეთაურობით. პაპმა ვერ შესძლო დასავლეთის ხელმწიფეების კრებაზე ჩამოყვანა, რაც აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები იტალიაში მოემგზავრებოდნენ უპირველესად ყოვლისა თურქეთის წინააღმდეგ დახმარების მიღების იმედით.

კრებაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები, კერძოდ, მიტროპოლიტი ისიდორე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბიზანტიის მთავრობის მიერ იყო გამოგზავნილი მოსკოვში; კრებაზე დადსწრებად ჩამოვიდა ქართული დელეგაციაც, რომელიც შედგებოდა ორი ეპისკოპოსისა და „იბერიის მეფეთა განსაკუთრებული სენატორებისაგან“. როგორც ამ კრების მასალებიდან ჩანს საქართველოს ეკლესია სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებს შორის გამორჩეული პატივისცემით საეგებლობდა. ეს გამონვეული იყო როგორც ტრადიციული ავტორიტეტით, ისე მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვით. პაპის პროტონოტარიუსი ანდრეა დი სანტა კროჩეს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიის ჩამოთვლისას იგი საქართველოს წარმომადგენლს მეხუთე ადგილზე აყენებდა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ეფესოს და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ.¹ ეს უკანასკნელნი კი

¹ *Acta sacri oecumenici Consilii Florentini*. Ab Horatio Iustiniano. Bibliotece Vaticane. Custode Primario. Collecta, Disposita, Illustrata. Romae, Typis Sac. Congr. de Fide Propaganda. MDCXXXVIII, გვ. 73. ელექტრ. ვერსია: http://books.google.ge/books?id=RsREAAAACAAJ&printsec=frontcover&hl=ru&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false.

მსოფლიო პატრიარქებად ითვლებოდნენ. იგივეს მიუთითებს მართლადიდებელი ეკლესიების მესვეურებისადმი გაგზავნილ წერილში პაპი ევგენიოს IV. იგი ოთხი მსოფლიო პატრიარქის შემდეგ მოიხსენიებს საქართველოს მეფეს, ტრაპიზონის მიტროპოლიტს და მხოლოდ ამის შემდეგ ასახელებს რუსეთის, მოლდოვა-ვალახეთის და სხვა მიტროპოლიტებს.¹

კრება გაიხსნა 1437 წელს იტალიის ქალაქ ფერარაში, შემდეგ სხდომები გადატანილ იქნა ფლორენციაში, ამიტომ ეს კრება ცნობილია ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების სახელით. კრებაზე ცხარე პოლემიკა გაიმართა როგორც დოგმატიკურ საკითხებზე, ისე პოლიტიკურ საკითხებზეც. რომის პაპი და მისი მომხრეები ყველა საშუალებას მიმართავდნენ – ეს იქნებოდა მოსყიდვა, შანტაჟი, ფარული და აშკარა ძალდატანება, მუქარა და მუდარა, საპყრობილეში ჩასმა, მოწამლვა და სხვა, რათა დაეთანხმებინათ აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლები ეცნოთ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით. ბოლოს, 1439 წლის ივლისში მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენელთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების ანუ უნიის აქტს. ამ აქტს ხელი მოაწერა რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემაც. არ მოაწერა ხელი მხოლოდ ოთხმა მღვდელმთავარმა, მათ შორის არ მოაწერეს ხელი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმაც.

ამ ამბების დამსწრე დიდი ეკლესიარხი სილვესტროს სიროპოლუსი გადმოგვცემს: „იბერიის ხალხთა ორი ელჩი კონსტანტინოპოლიდან ჩვენს ამაღლაში მოვიდა. ერთია ეპისკოპოსი, მეორე თავადი – ერისკაცი. ეპისკოპოსმა სინოდის სესიები მიატოვა, რადგან კარგად გაიგო რომ გაერთიანებას ცუდი ხერხით უწევდნენ პროპაგანდას... იბერიის მეორე ელჩი თავადი – ერისკაცი, სანამ მოლაპარაკების მსვლელობა უკანასკნელ სტადიას მიაღწევდა, პაპმა თავისთან დარბაზში მიიწვია და ასეთი საუბარი გაუმართა: „გაგებული მაქვს, რომ თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით, კაცი მეტად ნათელი ნიჭით დაჯილდოებული. ქრისტეს ეკლესია გვასწავლის განათლების მიმდევრობას – რომის ეკლესია ეკლესიის დედაა და ვინც მასზე უფროსობს, პეტრეს მემკვიდრეა, დედამინაზე ქრისტეს მოადგილე, ყველა ქრისტიანის მწყემის და საყოველთაო მასწავლებელი. თქვენ უნდა დაემორჩილოთ დედას... იბერმა ამგვარად უპასუხა: ...ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ მცნებას ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ასევე წმინდა მოციქულთა ტრადიციებს და სინოდისა და თქვენში წარმოშობილ იმავე ეკლესიის სახელგანთქმული მასწავლებლების სწავლას მაშინვე გადმოვიღებთ ხოლმე ჩვენს ენაზე. ამისგან არასდროს გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია, არაფერი მალულად არ წაგვიღია. რომის ეკლესიამ კი მრავალი რამ დაუმატა და საბოლოოდ წმინდა მამების სწავლების საზღვრები გადალახა. ამის გამო თქვენს ეკ-

¹ Acta sacri oecumenici Consilii Florentini, გვ. 333.

ლესიას ჩვენ ჩამოვშორდით, ორივეს გაყრის გზით წავედით... თუ კი ლათინთა მთელი გვარი შენს არბიტრობაზე და ბატონობაზეა დამოკიდებული, რასაც დააკანონებ, იმაზე დაგიკრავენ ტაშს და თანამოაზრენიც გაგიხდებიან. როცა ყველა პატრი პატივსა გცემს როგორც მემკვიდრეს და შენს დისციპლინას თავდახრილნი თავყვანსა სცემენ, ამისათვის იმ ერთადერთ სიტყვას ობელისკზე ნუ დაგვანახებ. მაშინ მარტო იბერიის ხალხის გულს როდი მოიგებ, ყველა ქრისტიანი ხალხი შენი პატივისმცემელი იქნება. მაშინ რომის ეკლესია ყველას შეაკავშირებს და გულწრფელად გააერთიანებს, შენს უნივერსალურ იურისდიქციას ყველა გულმონყალებით შეივრდომებს და დაემორჩილება "... ამის შემდეგ იბერმა პაპს ურჩია ხელი არ ეხლო ბარბაროსულ ენებზე არსებული დოგმებისათვის, რომელთა ძალით წართმევა და მათ ნაცვლად თავისის დანერგვა სურს. პაპმა პასუხი ფარული სიმწრით მოისმინა და განცვიფრებული გაჩუმდა".¹

ქართველ პოლიტიკოსთა უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკებთან უნიისადმი გამონვეული იყო რომის ეკლესიის პოლიტიკით. რომია არ ცნობდა ეროვნული ეკლესიების თავისებურებებს და ნებას არ რთავდა, რათა მათ მღვდელმსახურება ეწარმოებინათ ეროვნულ ენებზე. ამას გარდა, რომის პაპი უნიას ესწრაფვოდა პირველ რიგში აღმოსავლურ ეკლესიებში თავისი პოლიტიკური ჰეგემონობის დასამყარებლად. ეს იქნებოდა აგრეთვე ძალზე ეფექტური საშუალება რუსეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს რომის პაპის გავლენის ქვეშ მოქცევისათვის. ამიტომ ქართველთა ასეთმა მტკიცე პოზიციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით რუსეთში.

რუსეთში დაბრუნებულ მიტროპოლიტ ისიდორეს დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ რუსეთის საეკლესიო წრეები და თვითონ დიდი მთავარი ვასილ ვასილის ძე. იმის გამო, რომ ისიდორემ ხელი მოაწერა უნიის აქტს, იგი გადააყენეს მიტროპოლიტობიდან და დააპატიმრეს კიდეც, ხოლო რუსეთის ეპისკოპოსთა კრებამ უარყო ფლორენციის უნია. რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლები ყველას მოუთხოვრებდნენ საქართველოს წარგზავნილების მტკიცე პოზიციაზე და ამდენად საქართველო ცნობილი შეიქნა არა მხოლოდ მოსკოველ დიპლომატთა თუ მწიგნობარ-მემატინანეთა ვიწრო წრისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისათვის რუსეთის და უკრაინის ყველა კუთხეში.²

ისიდორეს დამხობის შემდეგ რუსეთის მიტროპოლიტი შეიქნა რუსი იერარქი იონა და რუსეთის ეკლესია საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან დამოუკიდებელ მიტროპოლიტად. უნიისა-

¹ S. Syropulos. Vera historia unionis non verae inter Graecos et latinos. Hagae Comitum, 1660.

² ო. შუჟუნაძე. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის. – ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. ტ. I. თბ., 1970.

დმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება გამართლდა შემდგომი ხანის პოლიტიკური მოვლენებით. რომის პაპმა რაიმე დახმარება ბიზანტიას ვერ აღმოუჩინა და უკვე 1453წ. 29 მაისს თურქ-ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II ფათეჰმა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი იერიშით აიღო. ამრიგად, დაეცა და შეწყვიტა არსებობა უდიდესი ქრისტიანული კულტურისა და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქალაქმა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის მსოფლიო ცენტრმა ე. წ. „მეორე რომმა“.

კონსტანტინოპოლის დაცემა მაშინდელი რუსეთის საეკლესიო და პოლიტიკურმა წრეებმა ახსნეს როგორც შედეგი ბიზანტიელების მიერ რომის პაპთან უნიის დადებით ჭეშმარიტ ქრისტიანობაზე ხელის აღებისა და ერეტიკულ დასავლეთთან დაკავშირებისა, რასაც, მათი მტკიცებით, „ღვთის ასეთი რისხვა“ მოჰყვა.

მოსკოვის მიტროპოლიტი ფილიპე 1471 წლის თავის მიმართვაში ნოვგოროდელებისადმი წერდა: *«Царствующий град Константинополь и церкви Божии непоколебими стояли, пока благочестие в нем сияло, как солнце. А как оставил истину, да соединился царь и патриарх Иосиф с лютыню, да подписали папе золота ради, так и скончал свой живот патриарх, и Царьград впал в руки турок»*.

ამ მოვლენებმა რუსი პოლიტიკოსების თვალში კიდევ უფრო აამაღლა მართლმადიდებლობის მტკიცედ დამცველი ქართველები, მაგრამ ამის საპირისპიროდ XV საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება და იწყება ქვეყნის დაშლის შეუქცევად პროცესი.

თემურ-ლენგის გარდაცვალების (1405წ.) შემდეგ საქართველოს საზღვრებთან შედარებით მშვიდობა დამყარდა. ირანის ტერიტორიაზე წარმოქმნილი რამდენიმე თურქმანული გაერთიანება ერთმანეთთან ბრძოლას ალევდა ძალას და, როგორც აღნიშნულია „ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში“: „სპარსთა შინა იყო ურთიერთას შური და ხდომა. და იყო საქართველო მშვიდობით და მოსუენებით“¹. მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ ოსმალეთმა ბოლო მოუღო ტრაპიზონის იმპერიასაც (1461წ.). თურქთა მსახვრელი ხელი საქართველოსაც უახლოვდებოდა. როგორც ცნობილია, ქართველმა პოლიტიკოსებმა სათანადოდ შეაფასეს შექმნილი საფრთხე და ენერგიული ზომებიც მიიღეს, მაგრამ მათი მცდელობა დასავლეთ ევროპასთან დაკავშირებისა და ერთიანი ლაშქრობის მოწყობისა მცირე აზიაში თურქთა მძლავრობის აღსაკვეთად, უშედეგოდ დამთავრდა (1459-1461წწ.). საქართველოსთვის სავალალოდ დამთავრდა აგრეთვე აღ-ყოინლუსთან დაკავშირების მცდელობაც. თეთრბატკნიან თურქმანთა მბრძანებელმა

¹ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959, გვ. 341.

უზუნ-ჰასანმა დაიქვემდებარა ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი და საქართველოსაც სრული შთანთქმით დაემუქრა.

საქართველო კი ამ დროს შინაური ბრძოლებით იყო მოცული და მალე ცალკეულ სამეფოებად და სამთავრობოებად იწყო დაშლა. ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII მხოლოდ კახეთის მეფობას დასჯერდა, ხოლო ქართლსა და იმერეთში მისი საგვარეულოს გვერდითი შტოების წარმომადგენლები დამკვიდრდნენ. ქვეყანა სამ სამეფოდ და რამდენიმე ნახევრად დამოუკიდებელ სამთავროდ დაიშალა. თითოეული პოლიტიკური ერთეული დამოუკიდებელ საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებას იწყებს. მართალია, ყველა მათგანი კვლავ ერთიანი საქართველოს აღდგენას ცდილობს, მაგრამ, რადგანაც ქვეყნის დაშლის მიზეზები კვლავ ძალაშია, ეს მცდელობა განუხორციელებელი რჩება. დაშლის მიზეზების აღმოფხვრა კი ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ქვეყნის ცხოვრებაში საგარეო ძალები პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევის შედეგად. საქართველოს დაშლის ძირითადი მიზეზები იყო ქვეყნის ეკონომიკის მოშლა, ფეოდალურ კლასსა და მწარმოებელ საზოგადეობას შორის ფარდობითობის დარღვევა და ფეოდალური ექსპლოატაციის უკიდურესად ზრდა, საქალაქო ცხოვრების მოშლა და მოქალაქეთა ფენის დაკნინება, მეფის ხელისუფლების შესუსტება და მმართველობის ინსტიტუტების გადაგვარება, სათავადოთა სისტემის აღმოცენება და სხვა.

ამ დროს კახეთი სამეფოს ტახტზე ზის ალექსანდრე I გიორგის ძე (1467-1510წწ.). XVI. ბოლო მეოთხედში საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ მძიმეა. უზუნ-ჰასანის მემკვიდრეების, კერძოდ იაყუბ-ყაენის დროს თურქმანები აგრძელებენ საქართველოზე თავდასხმებს. მომხდურთა წინააღმდეგ სამცხისა და ქართლის ბრძოლების დროს კახეთის სამეფო განზე დგას და ყველა საშუალებით ცდილობს თავიდან აიცილოს თურქმანების შემოჭრა, მაგრამ ასეთ პოლიტიკას (კერძოდ, დამპყრობლების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე ხელის აღების პოლიტიკა) მხოლოდ დროებით შეეძლო წარმატების მოტანა, რადგან გასტეხდა რა ქართლის წინააღმდეგობას დამპყრობელი კახეთისთვისაც მოიცლიდა. ამიტომ გასაგები ხდება კახეთი მმართველი წრეების მცდელობა დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ რუსეთის მზარდ სახელმწიფოს, რომელიც უკვე ბიზანტიის მემკვიდრეობას კისრულობდა აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებს შორის.

XV საუკუნეში რუსეთმა, განსაკუთრებით მოსკოვის დიდი მთავრის იოანე III-ის (1462-1505წწ.) დროს, დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. თანდათანობით მოსკოვის გარშემო გაერთიანდა რუსეთის მიწა-წყლის დიდი. უკვე რეალურად დგებოდა თათარ-მონღოლთა ბატონობის უღლისაგან სრული განთავისუფლების საკითხი, მით უმეტეს, რომ „ოქროს ურდოს“ მონღოლური სახელმწიფო სულ უფრო და უფრო დაცემას და დაქვეითებას განიცდიდა. მას

გამოეყო და ცალკე სახანოდ ჩამოყალიბდა ყაზანის, ასტრახანის, ყირიმის, ციმბირის სახანაოები, ნოღაის ურდო და სხვ. მოსკოვის დიდმა მთავარმა იოანე III-მ კარაგდ გამოიყენა შემქნილი მდგომარეობა, ცალ-ცალკე დაუკავშირდა ზოგიერთ ამ სახანოთაგანს და ისინი „დიდი ურდოს“ წინააღმდეგ განაწყო. 1480 წელს მან უარი თქვა „დიდი ურდოს“ მბრძანებლის ახმეტ-ხანის მორჩილებაზე და ხარკის გადახდა შეწყვიტა. მდ. უგრადან უკუქცეული ახმეტ-ხანი დამარცხდა ნოღაის ურდოსთან ბრძოლაში, ხოლო 1481 წელს. მოკლულ იქნა მდ. დონეცკის პირას აიბეკის მიერ. ამით დამთავრდა რუსეთზე თათარ-მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობა და მოსკოვის გარშემო გაერთიანებული რუსეთი კიდევ უფრო სწრაფად დაადგა აღმავალი განვითარების გზას. ამრიგად, იოანე III-ის სახელთანაა დაკავშირებული ორი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა – რუსეთის ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაცია და თათარ-მონღოლთა ბატონობის საბოლოო მოსპობა.

რუსეთის ასეთი წარმატებები გარეგნული ფორმითაც უნდა განმტკიცებულიყო. ამ ხაზით დაბეჯითებით მოქმედებდნენ რუსი პოლიტიკოსები და საეკლესიო წრეები. ბიზანტიის იმპერიის თურქ-ოსმალთა მიერ დაპყრობის და კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ერთადერთი რუსეთი რჩებოდა, რომელსაც შეეძლო ხელთ აეღო ჰეგემონობა მართლმადიდებლურ ხალხებს შორის. ცნობილია, რომ იოანე III თავს უკვე ბიზანტიის იმპერატორების მემკვიდრედ თვლიდა. მართალია, მას ჯერ კიდევ ოფიციალურად არ ჰქონდა მიღებული მეფის („ცარის“ ე. ი. „ცეზარის“) ტიტული, მაგრამ უცხოელ ხელისუფლებთან მიმოწერისას იგი ხშირად თავის თავს „მეფეს“ უწოდებდა. აქამდე რუსეთში „ცარის“ ტიტულით მხოლოდ რომის საღვთო იმპერიის და ბიზანტიის იმპერატორებს, აგრეთვე მონღოლთა დიდ ყაენებს აღნიშნავდნენ. ასევე, ჯერ კიდევ მოსკოვის დიდ მთავარს ვასილი ვასილის ძეს მიტროპოლიტი იონა უწოდებდა „ღვთივ გვირგვინოსან მეფეს მთელი რუსეთისას“ (*«Богочинный царь всея Руси»*). ასევე აღსანიშნავია, რომ იოანე III-მ გადმოიღო ბიზანტიიდან ლერბად ორთავიანი არწივის გამოსახულება.

თურქ-ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ რუსეთი ერთადერთი მართლმადიდებლური ქვეყანა იყო, რომელსაც მაჰმადიანური ქვეყნების შემოტევის პირობებში შეეძლო ხელმძღვანელობა და მფარველობა გაენია აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხებისთვის. საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც რუსეთის ასეთი მისია ცნო და მას მიმართა, როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანული ხალხების მფარველსა და მეთაურს. ამ ფაქტს ქართული ეკლესიის ჯერ კიდევ მაღალი ავტორიტეტის გამო რუსეთის პოლიტიკოსებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოში კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას რუსეთში თათართა ბატონობის დამხობის (1480წ.) შესახებ. კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა ამ ამბის მისალოცად გაამზადა ელჩობა და სათანადო წერილით

გაისტუმრა მოსკოვისაკენ. ჩვენამდე ამ წერილის ასლმა მოაღწია, რომელიც შეტანილი ყოფილა „მოსკოვის მიტროპოლიტთა წერილების“ კრებულში. 1482 წელს საქართველომ (სამცხემ, ქართლმა) კიდევ ერთხელ განიცადა აღ-ყოინლუს თურქმანთა შემოსევა. მართალია, კახეთი ამ შემოსევის დროს უშუალოდ არ დაზარალებულა, მაგრამ ეს დროებითი ამბავი იყო. დღეს თუ არა ხვალ ველური დამპყრობლები მის საზღვრებშიც შემოიჭრებოდნენ და ამ მცირე ქრისტიანული ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგებოდა. კახეთის მესვეურნი დაუყოვნებლივ შეეცადნენ კავშირი შეეკრათ გაძლიერების გზაზე დამდგარ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყანასთან, პირველ რიგში, შეეცადნენ გაერკვიათ, შეეძლო თუ არა რუსეთს დახმარება აღმოეჩინა გასაჭირში ჩავარდნილი პატარა ქრისტიანული ქვეყნისათვის. კახთა მეფე ალექსანდრე მიმართავდა ივანე III-ს: *«Великому царю и господарю, великому князю, низкое челобитиею Ведомо бы было, что из дальние земли ближнюю мыслю меньший холоп твой Александр челом бью.*

Темным еси свет, зеленого неба звезда еси, христианская еси надежда, всем еси государем закон, бедным еси подпора и бесерманом еми надея, законной земли грозный государь, всем еси князем справедливая управа, всем князем вышний князь, земли еси тишина, обетник еси Николин. Добрых государей молитвой и счастием мы еще здесе в Иверской землее здравии живем. Аще бы про наше здравие слышали быхом, слава Богу. И еще сведомо буди, много государю челом бьючи, Наримана, Дамиана к твоему порогу послали есмя. Хоземарума Шекенца в товарищех с ними послали есмя вашего здравия отведати. Посылка наша дай Бог в добрый час. Счясок дай Бог всегда был. И холопству твоём недостойный Александр. А писана лета девятыдесят первого. Генваря».

წერილის ქართული თარგმანია: „დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს თაყვანისცემა. უწყებული იყავი, რომ შორეული ქვეყნიდან (მაგრამ) აზრით ახლო მყოფი მდაბალი ყმა შენი ალექსანდრე სალამს მოგიძღვნი. ბრმათათვის სინათლევე, ლაჟვარდოვან ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფევე, ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ღატაკთა დასაყრდენო და მუსულმანთათვისაც კი იმედო. კუთვნილ ქვეყნის მრისხანე ხელმწიფევე, ყოველ მთავართა მართლმსაჯულო, ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროებავ (წმინდა) ნიკოლოზისთვის აღთქმის მიმცემო. კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერებით ჩვენ აქ ივერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს ჯანსაღად ყოფნასაც რომ გავიგონებდეთ ღვთის მადლით. და კიდევ გეუწყოს – მრავალი თაყვანისცემით თქვენს კარზე წარმომივლენია წარიმანი, დამიანე და მათთან ერთად ხოზემარუმი შაქელი, თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. ღმერთმა ბედნიერი ყოს ჩვენი ელჩობა. ღმერთმა ქნას მუდამ

ბედნიერად ყოფილიყო. თქვენი ყმობის უღირსი ალექსანდრე. ხოლო დაინერა ოთხმოცდათერთმეტსა წელსა, იანვარში“.¹ წერილს წინ წამძღვარებული აქვს წითელი მელნით შემდეგი წარწერა: «*Ся грамота пришла из Гурзыньские земли от Иверскаго царя Александра*».

საგულვებელია, რომ საქართველოში წერილი შედგენილი იქნებოდა ბერძნულ ენაზე, როგორც ეს მიღებული იყო ამ დროიდან რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ საქმის წარმოებაში. წერილი უკვე მოსკოვში თარგმნილია რუსულად და დათარიღებულია შემოკლებით («*А писана лета девятдесят первого. Генваря*»), როგორც ეს მიღებული იყო რუსული დოკუმენტების შედგენისას. 91 უნდა აღნიშნავდეს სრულად 6991 წელს ქვეყნიერების გაჩენიდან ანუ ქრისტეს დაბადებიდან 1483 წელს (6991-5508=1483წ.).²

ამრიგად, 1483წ. იანვარში კახეთიდან გაიგზავნა ელჩობა რუსეთში, რომელსაც ალექსანდრე მეფის აღნიშნული წერილი მიჰქონდა. მოსკოვში ამ წერილის მიღებას დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს. იგი თარგმნეს და ჩართეს არა დიპლომატიური დოკუმენტების კრებულში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ მიტროპოლიტთა საკითხავ წიგნში («*Грамот митрополичих сборник*»). უკანასკნელ ხანს ამ წერილის ასლი აღმოჩნდა XVI საუკუნით დათარიღებულ კრებულში ე. წ. «*Четы-Миней*»-ში (ქართული „თთვენი“ ანუ საეკლესიო საკითხავი წიგნი, რომელშიც შემავალი წერილები საჯაროდ იკითხებოდა ეკლესიაში თვის შესაბამის დღეს). ეს იმას ნიშნავს, რომ ალექსანდრე მეფის წერილი რუსეთის პოლიტიკური და საეკლესიო წრეებისათვის თავისი მნიშვნელობით შორს სცილდებოდა უბრალო დიპლომატიური დანიშნულების დოკუმენტს და მას კითხულობდნენ რა საჯაროდ ეკლესიებში, ამით ხაზს უსვამდნენ იმ ამბავს, რომ ისეთი ძველი ქრისტიანული მართლმადიდებელი ქვეყნების მესვეურები, როგორც საქართველო იყო, რუსეთის დიდ მთავარს ქრისტიანთა მფარველად და დამცველად ცნობდნენ.

ამ ელჩობას მალე მეორეც მოჰყვა, რომლის შესახებაც ცნობა უკვე დაცულია რუსულ მატრიანეში, სადაც 1492 წლის ქვეშ ვკითხულობთ: «*Тоя же зимы прииде посол к великому князю из Иверския земли от князя Александра, именем Мурат*».³ მოსკოვში ჩასულ ქართველ ელჩებს ეკითხებოდნენ საქართველოს წარსულზე და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, აინტერესებდათ საქართველოს ძლიერების ხანა, მართლმადი-

¹ ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVII სს.). თბ., 1956, გვ. 236.

² ამ წერილის დათარიღებისა და შინაარსის შესახებ იხილეთ: **ბ. ასათიანი, ლ. ალექსიძე**. პირველი ქართული ელჩობა მოსკოვში — 1483 წელი. — გაზ. „კომუნისტისტი“, №№205, 6 სექტემბერი, 1983.

³ *Полное собрание русских летописей*. Т. XII. VIII. *Летописный сборник, именуемый Патриаршею или Никоновскою летописью*. СПб., 1901, გვ. 232.

დებლურ ქრისტიანობაზე მისი მოქცევის ისტორია და სხვ. ამ ცნობების საფუძველზე შეიქმნა რუსული ლიტერატურის განთქმული ძეგლი „თქმულება დინარ დედოფალზე“, სადაც აღწერილია საქართველოში თამარის მეფობის პერიოდი, მისი ძლევამოსილი გამარჯვებები „ურწმუნოებზე“. ეს თხზულება საკმაოდ პოპულარული იყო ძველ რუსეთში. მაგალითად, 1552 წელს ყაზანისთვის ბრძოლის დროს დროს ივანე IV-მ რუსეთის ლაშქრისადმი მიმართულ სიტყვაში ქართველი დედოფლის გამარჯვების ამბავი მოუთხრო თავის მეომრებს. ამავე პერიოდში შეიქმნა თხზულება „თქმულება ბაბილონის სამეფოზე“, სადაც ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად ქართველია გამოყვანილი.

XV საუკუნიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კიდევ ერთი დოკუმენტი გვაქვს შემორჩენილი. ჯერ კიდევ 1823 წელს პოლონელმა ისტორიკოსმა ბუსემ ვარშავის არქივში აღმოაჩინა ქართლის მეფე კონსტანტინე დიმიტირის ძის რუსულ ენაზე შედგენილი წერილი, რომელიც გაგზავნილი იყო ესპანეთის მეფე იზაბელასადმი. წერილი თარიღდება 1495წ. 10 მარტით. კონსტანტინე მეფე ესპანეთის მეფეს ულოცავს მაჰმადიანებზე გამარჯვებას (იგულისხმება ესპანეთის განთავისუფლება არაბთა ბატონობისაგან) და მოუწოდებს ერთობლივ გამოსვლას თურქ-ოსმალების წინააღმდეგ.

თურქ-ოსმალები XVI ს. II ნახევარში, ბიზანტიის განადგურების და კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მთელს ევროპას. როგორც აღნიშნული იყო, 1459-1461 წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა რომის პაპის პიუს II-ისა და საქართველოს პოლიტიკოსთა მცდელობას შეექმნათ ანტიოსმალური კოალიცია. ასევე უშედეგოდ დამთავრდა ქართველთა ელჩობა 1471 წელს ვენეციასა და რომში. ქართველი პოლიტიკოსები მაინც ცდას არ აკლებდნენ, რომ დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისაგან მხარდაჭერა მოეპოვებინათ და ერთიანი ძალით ჰშეეჩერებინათ თურქ-ოსმანთა და სხვა მაჰმადიანური ქვეყნების ექსპანსია. ამიტომ იყო, რომ, როგორც კი მოაღწია საქართველომდე ცნობამ ესპანეთში მაჰმადიანთა დამარცხების შესახებ, ქართლის მეფემ კონსტანტინე დიმიტირის ძემ დაუყოვნებლივ გაამზადა ელჩობა ესპანეთში გასაგზავნად. ამ ელჩობას, რომელიც საც გზად უნდა გაეგლო რუსეთზე და ლიტვა-პოლონეთზე, ევალებოდა ამ ქვეყნების მესვეურნი ჩაეყენებინა საქმის კურსში, კერძოდ, მათთვის გაეცნოთ კონსტანტინე მეფის წერილის შინაარსი. როგორც ჩანს, ეს დავალება ამ ელჩობამ შეასრულა. ამის მოწმობა უნდა იყოს ქართლის მეფე კონსტანტინეს დედოფალ იზაბელასადმი გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანის აღმოჩენა მოსკოვისა და ვარშავის არქივებში.¹ როგორც

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. IV. თბ., 1967, გვ. 151-158; ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVII სს.); ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთ-

ჩანს, ამ წერილმა სათანადო ყურადღება დაიმსახურა და ამიტომ იგი უთარგმნიათ ძველ რუსულად და შეუტანაით ე. წ. „ლიტვის მეტრიკაში“. მისი ახლის ინახება მოსკოვის ძველ საბუთთა სახელმწიფო არქივში.

კონსტანტინე ქართლის მეფის იმედი არ გამართლდა. არც რუსეთი და მით უმეტეს არც ესპანეთი ამ დიდი წამოწყებისთვის არ იყვნენ მზად. ამ ბოლო ხანებში „არაგონის სამეფოს არქივში“, ქ. ბარსელონაში, აღმოჩნდა ესპანეთის მეფეების ფერდინანდისა და იზაბელას მიერ საქართველოში გამოგზავნილი საპასუხო წერილის ასლი (იხ. საკანცელარიო საქმეები, რეესტრი 3607, ფურცლები 186-187),¹ საიდანაც ჩანს, რომ ესპანეთის მეფეები მხოლოდ საკუთარი ინტერესებით იფარგლებოდნენ და საქართველოს დასახმარებლად თუ ერთობლივი მოქმედებისათვის სამხედრო მხარდაჭერას არ აპირებდნენ.

NODAR ASATIANI

FROM THE HISTORY OF GEORGIA'S FOREIGN POLITICAL RELATIONS: GEORGIA AND RUSSIA IN THE 15th CENTURY

The 15th century whad radically changed the situation for Georgia. After Tamerlane's eight terrible invasions in Georgia, the country had been practically destroyed. Russia could not only elude his invasions but got a positive result from it. After the fall of Constantinople Russia remained the only one an Orthodox state, which could be a protector of Oriental Christian peoples and could be a leader of their struggle against Muslim invasions. Georgia was one of the first that admitted such mission of Russia and addressed to Russia as a leader and a protector of Oriental Christian peoples. Georgian Church yet remained a great authority and this fact had a great important for Russian politicians. However, Russia herself was not ready to the realization of the mission.

ბების ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 38-41.

¹ აღნიშნული წერილი გამოქვეყნებულია ანტონიო დე ლა ტორეს მიერ გამოცემაში „დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ“, V ტომში (გვ. 114-115), ბარსელონა, 1965. იხ.: ე. ხინთიბიძე. ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმონერის შესახებ. – ცისკარი, №3, 1986.

მოსკოვში და სამეგრელოში განხორციელებულ ელჩობათა მასალებით ბევრმა მეცნიერმა ისარგებლა.¹ მათი გამოყენება დღეს არანაკლებ ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე ეს იყო საბჭოთა ეპოქაში.² მიუხედავად ამისა, ამ უნიკალური მასალების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის, თუმცა ამ კუთხითაც გარკვეული კვლევები ჩატარებულია.³ ერთ-ერთი შედარებით ვინრო საკითხი, რომელიც დამატებით შესწავლას მოითხოვს, სამეგრელოს ფარგლებში რუსი ელჩების გადაადგილების მარშრუტი გახლავთ. ვინაიდან სამეგრელოში მოგზაურობისას რუსმა ელჩებმა სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი რაიონები, ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილიც მოიარეს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური მოსაზრებით, მეცნიერები, თითქოს, თავს არიდებდნენ ამ თემაზე საუბარს. იმავე მოსაზრებით, ზოგიერთი, მათ შორის უაღრესად კომპეტენტური ავტორი რუსი ელჩების მარშრუტს სავსებით შეგნებულად მხოლოდ სამეგრელოს რეგიონის დღევანდელ ფარგლებში ათავსებდა. მაგალითად, მ. პოლიევქტოვი წერდა, რომ სამეგრელოში მყოფმა რუსულმა ელჩობამ ლევან მეორესთან „აუდიენციის მოლოდინში ენგურსა და ცხენისწყალს შორის მთელი რაიონი მოიარა,... ათვალეიერებდა რა უმთავრესად მონასტრებს, სხვა „სინმინდეებს“ და ენგურის გასწვრივ შავ

Елчина и Павла Захарьева в Мегрелию (1639-1640). Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил **Дж. Гамахария**. Тб., 2005.

¹ **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. წ. IV. თბ., 1967, გვ. 288, 378-380, 382-384; **ბ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. IV. თბ., 1967, გვ. 151; **ს. ჯანაშია**. შრომები. ტ. 6. თბ., 1988, გვ. 270; **ს. მაკალათია**. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 107-108, 118, 120, 129; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 334-336; **ილ. ანთელავა**. ლევან II დადიანი. თბ., 1990, გვ. 40-41, 57, 61, 62, 68, 69, 90, 95-102; **М. Полиевктов**. Экономические и политические разведки Московского государства XVII века на Кавказе. Тб., 1932. გვ. 5, 13, 25-28, 37, 38, 46-52; **З. В. Анчабадзе**. Мегрелия и Абхазия в XVII веке. *Диссертационная работа на соискание уч. ст. канд. ист. наук*. Тб., 1947, გვ. 18-19, 48, 55, 69, 70, 72, 83, 85, 88, 91, 105, 108-112, 152; *Очерки истории Абхазской АССР*. Ч. I. Сухуми, 1960, გვ. 119; **Н. Т. Накашидзе**. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII в. ка. Тб., 1968, გვ. 139-147 და ა. შ.

² **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996, გვ. 9, 93; **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 217-230; *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*. აფხაზეთი. მთ. რედაქტორი **ჯ. გამახარია**. თბ., 2007, გვ. 151, 152, 169; **ვ. ფერაძე, ლ. მუმლაძე**. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ნარკვევები. *X-XI საუკუნეები*. თბ., 2008, გვ. 42-43; **Дж. Гамахария, Б. Гогия**. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 243-244 და ა. შ.

³ **ბ. ჩიქოვანი**. რუსული კავკასიოლოგიის განვითარება XIX საუკუნეში (ს. ა. ბელოკუროვი). *დისერტაცია ისტ. მეც. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად*. თბ., 1986; **გ. ჟუჟუნაშვილი**. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII საუკუნეები). თბ., 2006.

ზღვამდე დაეშვა“.¹ წარმოუდგენელია, რუსულ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიის აღიარებულ მკვლევარს მ. პოლიევქტოვს არ სცოდნოდა, რომ რუსმა ელჩებმა დღევანდელი გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფამდე ჩააღნიეს, ხოლო შავ ზღვაზე არა მდ. ენგურის, არამედ მდ. მოქვის შესართავთან გავიდნენ. რუსი ელჩების მარშრუტს თავისებურად ამახინჯებს აფხაზი მხარეთმცოდნე, ისტორიის ცნობილი ფალსიფიკატორი ვიანორ ფაჩულია. იგი ცდილობს მკითხველის შეცდომაში შეყვანას, მისთვის ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს მოქვში ჩასული რუსი ელჩები სამეგრელოში კი არ იმყოფებოდნენ, არამედ აფხაზეთის საერისთავოს გავლით ვითომ ლევან მეორესთან მიემართებოდნენ (?!). ვ. ფაჩულია წერდა: „მოქვის ტაძარს შორს გაუთქვამს სახელი. 1640 წლის 8 თებერვალს იგი მოინახულეს სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანთან მიმავალმა რუსმა ელჩებმა პ. ზახარიევმა და ფ. ელჩინმა, რომელნიც ალტაცებაში მოუყვანია ტაძრის არქიტექტურას და მორთულობას“.² როგორც ვხედავთ, რუსი ელჩების XVII საუკუნის შუახანების სამეგრელოს ტერიტორიაზე გადაადგილების მარშრუტის თემას წმინდა მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობის გარდა, პოლიტიკური ჟღერადობაც გააჩნია და დღევანდელ ვითარებაში უაღრესად აქტუალურია.

სამეგრელოს სამთავროს ფარგლებში რუსი ელჩების გადაადგილების მარშრუტის დადგენაში თავისი წვლილი თამაზ ბერაძემ შეიტანა. ეს საკითხი მან საკანდიდატო დისერტაციაში სპეციალურად შეისწავლა, მოგვიანებით აღნიშნულ თემას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და, ადრინდელთან შედარებით, ოდნავ განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვა.³ სამწუხაროდ, თ. ბერაძემ ცალკეული დასახლებული პუნქტების ლოკალიზება ვერ მოახერხა; ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი ლოკალიზება, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, არასწორად მოახდინა.

რუსული ელჩობის წევრები გაბრიელ გეგენავასთან ერთად მოსკოვიდან 1639 წლის 2 ივნისს გამოემგზავრნენ. საელჩო პრიკაზში მათთვის მიცემულ „განანესში“ («Наказ») მითითებული, იმ დროისთვის რუსების მიერ კარგად ათვისებული მარშრუტით (კოლომნა, პერესლავ-რიაზანი, კასიმოვი, მურომი, ნიჟნი-ნოვგოროდი, კუზმოდემიანსკაია, ყაზანი, ტეტიუში, სამარა, სარატოვი, ცარიცინი, ჩორნი იარი, ასტრახანი) თითქმის სამთვიანი მგზავრობის შემდეგ 29 აგვისტოს ისინი ციხე-ქალაქ თერგში ჩამოვიდნენ. 22 სექტემბერს თერგიდან წამოსულმა ელჩებმა გაიარეს დიდი ყაბარდო, ყარაჩაი და მდ. ბაქსანის ხეობით იალბუზის კალთებამდე

¹ М. Полиевктов. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тб., 1935, გვ. 37.

² ვაზ.: საბჭოთა აფხაზეთი. 1981 წ., 24 ოქტომბერი, გვ. 3.

³ თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.). სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეც. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1967, გვ. 94-105; Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии, გვ. 74-93.

ავიდნენ, საიდანაც შედარებით იოლად გადასალახავი დონლუზორინის (ნაკრას) უღელტეხილის (3 203 მ.) საცალფეხო ბილიკებით 1639 წლის 1 ნოემბერს საქართველოში გადმოვიდნენ და სვანეთის სოფელ ლაშარაშში მოვიდნენ; იმავე დღეს რუსული ელჩობა გაბრიელ გეგენავასთან ერთად თავად დადემქელიანების სოფელ ისკარში ჩავიდა,¹ სადაც ერთი კვირა გაატარა.

1639 წლის 9 ნოემბერს ელჩებმა სოფელი ისკარი დატოვეს და 13 ნოემბერს, როგორც პავლე ზახარიევი წერს, სამეგრელოს „ლამაზ სოფელ“ ხუდონში ჩავიდნენ, სადაც მათ აზნაური მანუჩარი დახვდათ.² აქედან იწყება რუსი ელჩების ხანგრძლივი მოგზაურობები სამეგრელოს თითქმის მთელს იუამინდელ ტერიტორიაზე. მათ მოინახულეს და აღწერეს ყველაზე ღირსშესანიშნავი მონასტრები, საკათედრო ცენტრები, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ეკლესიები, ტაძრებში დაცული უიშვიათესი ქრისტიანული სინნიდებები; მოქმედებდნენ რა „განანესის“ მიხედვით, შეაგროვეს საინტერესო ცნობები სამეგრელოს პოლიტიკურ, ეკლესიურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ეთნოგრაფიაზე, ლევან II-ის პიროვნებაზე, მისი ოჯახის წევრებზე, სამთავრო კარის მოხელეებზე, მღვდელმთავრებზე და ა.შ. შეგროვილი უზარმაზარი, თავისთავად უნიკალური მასალა ელჩებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედგენილ მუხლობრივ აღწერილობებში ანუ ქრონოლოგიური პრინციპით დღიურების სახით შედგენილ ანგარიშებში შეიტანეს. რუსი ელჩების მოგზაურობის მარშრუტის დაზუსტება სწორედ ამ ანგარიშების შეჯერებითა და კრიტიკული ანალიზის გზით არის შესაძლებელი, ვინაიდან ორივე ანგარიში (განსაკუთრებით ფ. ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა) არაერთ უზუსტობას შეიცავს.

ხუდონიდან წალენჯიხამდე დათვალეირებულ სოფლებს ფ. ელჩინი არ ასახელებს, თუმცა აღწერს სხვადასხვა შეხვედრებს. უფრო ზუსტ ცნობებს პავლე ზახარიევი გვანვდის. მისი ანგარიშიდან ირკვევა, რომ რუსმა ელჩებმა ხუდონი 17 ნოემბერს დატოვეს და იმავე დღეს ჯვარში ჩამოვიდნენ, 20 ნოემბერს კი იმავე თემის სხვა სოფელში (სავარაუდოდ, სოფ. ჯვარის ერთი უბნიდან მეორეში) გადავიდნენ; 21 ნოემბერს ელჩები ისევ ჯვარში არიან, სადაც ლევან მეორის მიერ გამოგზავნილ ცაიშის ეპისკოპოს ანდრიას, არქიმანდრიტ არტემონს, მთავრის ეკონომოსის თანაშემწეს დემოგონია ბოგუჩინს (ბოკუჩავას?), სტოლნიკ მოგელსა და მნდე გულიკაკოს შეხვდნენ. 22 ნოემბერს, იმავე პავლე ზახარიევის ცნობით, ელჩები სოფელ ჯგალში არიან, 26 ნოემბერს კი (ფ. ელჩინის მიხედვით – 3 დეკემბერს, რაც, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეეფერება) ქრისტეშობის მონასტერში, რომელიც თ. ბერაძის მიხედვით, ჯგალიდან

¹ М. Полиевктов. Экономические и политические разведки Московского государства, гв. 37-38; *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, гв. 122-128, 205-208.

² *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, гв. 247.

ოთხი კილომეტრით დაშორებულ სქურში მდებარეობდა.¹ 3 დეკემბერს რუსები მაცხოვრის მონასტერში მოვიდნენ. უეჭველად, ეს არის ნალენჯიხის ისტორიული საკათედრო ტაძარი, სადაც სტუმრებმა უნიკალური ქრისტიანული სინმინდებები იხილეს.

დასაზუსტებელია ელჩების ადგილსამყოფელი 1639 წლის 3 დეკემბრიდან 1640წ. 31 იანვრამდე. ფედოტ ელჩინის მონაცემებით, ელჩები მაცხოვრის მონასტრიდან სოფელ ჟახარში გადაიყვანეს, რომელიც მონასტრიდან 4 კილომეტრით ყოფილა დაშორებული. პავლე ზახარიევი კი წერს, რომ მაცხოვრის მონასტერში ჩამოსვლის დღეს, ანუ 3 დეკემბერს ელჩები სოფელ ცენაჟიგაში ჩაიყვანეს. აღნიშნული სოფლის ნალენჯიხასთან (მეგრული ფორმა - ნენდიხა) გაიგივება არავითარ ეჭვს არ იწვევს. თამაზ ბერაძის მოსაზრებით, ფ. ელჩინის ჟახარი ეს არის სოფელი ჯალრა, რომელიც ნალენჯიხიდან 7 კილომეტრითაა დაშორებული.² ძნელია ამ მოსაზრებას დაეთანხმო. ჯერ ერთი, ელჩების ადგილსამყოფელი მაცხოვრის მონასტრიდან, როგორც პირველწყარო გვეუბნება, მხოლოდ ოთხი კილომეტრითაა დაშორებული; სოფელი ჯალრა კი ნალენჯიხიდან არა 7, არამედ 12 კილომეტრში მდებარეობს.³ მეორეც, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ორივე ელჩი ერთადაა (და არა სხვადასხვა სოფლებში) დაბინავებული, 8 და 25 დეკემბერს ისინი ნალენჯიხის მაცხოვრის ტაძარში ღმრთისმსახურებას ესწრებოდნენ; მთელი ორი თვის განმავლობაში სხვა ტაძარში მათ არ უვლიათ, თუმცა სოფელ ჯალრაში ეკლესია ფუნქციონირებდა.⁴ გაუგებარია, რატომ დააბინავეს ერთი ელჩი ასე შორს სოფელ ჯალრაში, თუ ის მაინც ნალენჯიხის მაცხოვრის მონასტერში ივლიდა? სრულიად ცალსახაა, რომ პ. ზახარიევის ცენაჟიგა და ფ. ელჩინის ჟახარი ერთი და იგივე დასახლებული პუნქტია, ნალენჯიხის მეგრული ფორმაა – ნენდიხა, რომელიც რუსებმა სხვადასხვანაირად დაამახინჯეს. ეტყობა, ნენდიხა (ნენჯიხა) „ფ. ელჩინის კაცმა“ (რომელიც წერაკითხვის უცოდინარი ფედოტ ელჩინის ნაცვლად ჩანანერებს აკეთებდა) ჩაიწერა როგორც ჟიხა—ჟიხარ—ჯახარ; მღვდელმა პ. ზახარიევმა კი სოფლის სახელწოდება უმნიშვნელოდ დაამახინჯა. ამკარაა, რომ ორივე ელჩი ტოპონიმის მეგრულ ფორმას იყენებს.

ამრიგად, 1639 წლის 3 დეკემბრიდან 1640 წლის 31 იანვრამდე რუსი ელჩები ნალენჯიხაში იმყოფებოდნენ და სოფლის განაპირას (ოთხ კილომეტრში) მდებარე მაცხოვრის მონასტერში ლოცულობდნენ. ამ მონასტერში გაიცნეს მათ მღვდელი იოანე, ლევან მეორის აზნაური თავი

¹ თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 96.

² თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 97.

³ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. I: ნალენჯიხის რაიონი. თბ., 2004, გვ. 218.

⁴ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. I: ნალენჯიხის რაიონი, გვ. 194.

კუჩილია (?), კვლავ შეხვდნენ ხუდონიდან ნაცნობ აზნაურ მანუჩარს, რომელიც თურმე წალენჯიხის მონასტერს პატრონობდა; მათთან ერთად იყო ჯვარიდან ნაცნობი მოგელი. იგი ელჩების პრისტავის (მიჩენილი პირის) ფუნქციას ასრულებდა.

რუსი ელჩების შემდგომი მარშრუტიც ბოლომდე გარკვეული არ არის. ფ. ელჩინის ცნობით, ისინი ჟახარიდან 31 იანვარს წამოვიდნენ და ღამის გასათევად სოფელ ბოჯში გაჩერდნენ, სადაც ცაიშის ეპისკოპოს ანდრიას შეხვდნენ; 1 თებერვალს სოფელ კეძში ჩავიდნენ, საიდანაც 2 თებერვალს გავიდნენ და სოფელ ფუთცქურს ესტუმრნენ; აქ მათ მთავრის სასახლის გვერდით მდებარე სიმეონ მიმრქმელის სახელობის ხის ეკლესია ნახეს. პავლე ზახარიევის ინფორმაციით, ორივე ელჩი 1640 წლის 31 იანვარს წალენჯიხიდან წამოვიდა (რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჟახარისა და წალენჯიხის იგივეობას) და კეტზში მივიდა, სადაც ქვის ტაძარი იდგა; იმავე დღეს სოფელ ბოჯში ჩავიდნენ, სადაც ელჩებს ეპისკოპოსი ანდრია მიეგება; ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი აქედან 2 თებერვალს წავიდნენ და იმავე დღეს პისქურში ჩავიდნენ.

რუსი ელჩების მიერ დასახელებული სამი სოფლიდან ერთის-სოფელ ფუთცქურის//პისკურის ლოკალიზაცია არავითარ ეჭვს არ იწვევს. პირველად წმ. აღმსარებელმა ამბროსიმ (ხელაია) თავის ნაშრომში „ბედი და ბედიის ტაძარი“ დაადგინა, რომ რუსი ელჩების მიერ ნახსენები ფუთცქური//პისკური ეს არის სოფელი ფუნყური, რომელიც დღესაც არსებობს გალის რაიონში (შედის სოფელ წარჩეს შემადგენლობაში). იგი წერდა: „რუსეთის დესპანი იხსენებს ფუნყურის ეკლესიას. ის აშენებული ყოფილა სიმეონ მიმრქმელის სახელზე. ამ ეკლესიის ახლო ყოფილა ლევან II დადიანის სასახლე... უნდა ვიფიქროთ, რომ ელჩინისგან მოხსენებული სიმეონ მიმრქმელის ეკლესია არის ის, რომელსაც ახლა (1920 წელს – **ჯ. გ.**) აახლებენ ქართველი ბერები მღვდელმონაზონი დოროთეს (კაჭარავა) მეთაურობით, ხოლო დადიანი ლევანი მეორის სასახლე უნდა ყოფილიყო იმ გორაზე, რომელსაც ჰქონია შემოვლებული ქვითკირის გალავანი და სადაც ახლა არის ნანგრევები დიდის და მაგარის ციხისა“.¹ მსგავს მონაზრებამდე დამოუკიდებლად მივიდა თამაზ ბერაძე.²

დანარჩენი ორი სოფლის იდენტიფიცირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ წალენჯიხიდან წამოსული ელჩები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიისკენ მიემართებიან. შესაბამისად, სოფლები ბოჯი და კეძი//კეტზი აუცილებლად წალენჯიხასა და ფუნყურს შორის უნდა ვეძიოთ (სხვადასხვა თანმიმდევრობით მათი დასახელება: ბოჯი-კეძი თუ კეტზი//კეძი-ბოჯი, დამაბრკოლებელი ფაქტორი ვერ იქნება). სწორედ ამიტომ შეუძლებელია კეძის გაიგივება კინიასთან, როგორც

¹ წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ჯ. გამახარიაშვილი**. თბ., 2006, გვ. 666-667.

² **თ. ბერაძე**. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 98.

ამას მელიტონ კელენჯერიძე აკეთებდა.¹ ყველა მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ კედი//კეტზი არის სოფელი კორცხელი, რომლის ერთ-ერთი ისტორიული სახელწოდება იყო კოზხენი.² სწორედ, ამ ფორმითაა იგი აღნიშნული არქ. ლამბერტის ცნობილ რუკაზე – Cozchen. ეტყობა, სოფლის სახელწოდების ეს ფორმა რუსმა ელჩებმაც გარკვეული ფონეტიკური მსგავსების შენარჩუნებით თავისებურად ჩაინერეს: კოზხენი→კედი→კეტზი. ლევან II დადიანს 1624-1639 წლებში აქ ღმრთისმშობლის ტაძარი აუშენებია.³ კეტზში ანუ კოზხენში (კორცხელში) ყოფნისას პ. ზახარიევმა სწორედ ეს ტაძარი ნახა. „ტაძარი იქ ქვისგან არის ნაგები“,⁴ – ჩაინერა ელჩმა თავის ანგარიშში.

მეორე სოფელი ბოჯი (ბოდჟი) ვერ იქნება ობუჯი, როგორც თამაზ ბერაძე ვარაუდობდა.⁵ ჯერ ერთი, ნალენჯიხიდან ფუნწყურში მიმავალი ელჩებისთვის, რომლებმაც კოზხენში გამოიარეს, სრულიად საპირისპირო მიმართულებით, თანაც საკმაოდ შორს მდებარე ობუჯში „ლამის გასათევად“ ჩასვლა და მერე კვლავ მობრუნება მხოლოდ გზის ხელოვნური გამრუდება იქნებოდა. მეორეც, ობუჯში XIII-XIV საუკუნეების ქვისგან ნაშენი წმ. გიორგის ისტორიული ტაძარი ფუნქციონირებდა, სადაც ოდიშის მთავართა საძვალეც ყოფილა.⁶ ბოჯში კი პ. ზახარიევმა ხისგან ნაგები წმ. გიორგის ეკლესია ნახა, რომელზეც ჯვარიც არ ყოფილა აღმართული.⁷ ეს სოფელი, ცხადია, ნალენჯიხა-კოზხენი-ფუნწყურის გზაზე ამ ორ უკანასკნელ პუნქტს შორის, უფრო კოზხენთან ახლოს უნდა მდებარეობდეს. არსებული მონაცემებით, ბოჯი (ბოდჟი) არის სოფელი ბაში/ბაჟი, რომელიც არქ. ლამბერტის 1654 წლის რუკის მიხედვით, კოზხენთან ახლოს ენგურისპირას მდებარეობდა (ამჟამად კორცხელის შემადგენლობაში შედის, მაგრამ მდ. ენგურს არ ესაზღვრება). როგორც ცნობილია, მსგავსი სახელწოდების (ბაში) სოფელი არის სამტრედიის რაიონშიც, მისი ისტორიული სახელია ბაჟი. იგი ვახუშტი ბატონიშვილთანაცაა მოხსენიებული: მდინარე რიონი, – წერდა ვახუშტი, – „კახნიაურს ქუეით დამდორდების, და ბაჟს ქუეით ფრიად მდორე და განიერი ზღუამდე და უფროს ცხენის წყალს ქუეით განვრცელებული, რამეთუ ვლენან ნაგებით ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად.“⁸ ზუგდიდის

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მელიტონ კელენჯერიძის ფონდი, ს. 133, ფ. 65.

² პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. II: ზუგდიდის რაიონი. თბ., 2007, გვ. 177.

³ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. II: ზუგდიდის რაიონი, გვ. 176.

⁴ *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 263.

⁵ *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 76.

⁶ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. I: ნალენჯიხის რაიონი, გვ. 199.

⁷ *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 265.

⁸ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – ქართლის ცხოვ-

რაიონის სოფელ ბაშის ისტორიული სახელწოდებაც ბაჟი უნდა იყოს. XVII საუკუნეში ეტყობა, ამ ენგურისპირა სოფელში საბაჟო არსებობდა (ისევე როგორც სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში). სოფელში ლევან მეორის მიერ აგებული ციხესიმაგრის „ჩიჟიკარის არსებობა,¹ აგრეთვე ბაშის//ბაჟის მეზობელ რუხში სავაჭრო „ქალაქის“ დაფუძნება, იქ ებრაელი და სომეხი ვაჭრების დასახლებაც ამაზე მიუთითებენ. არქ. ლამბერტის რუკაზე ბაში//ბაჟი Bascis-ის ფორმითაა აღნიშნული.

ამრიგად, 1640 წლის 31 იანვარს ნალენჯიხიდან წამოსულმა რუსმა ელჩებმა ჯერ კოზხენი (კორცხელი) გაიარეს, შემდეგ ბაჟში (ბაშში) გადაინაცვლეს და 2 თებერვალს ფუნყურში ჩავიდნენ. პ. ზახარიევის ინფორმაცია 3 თებერვალს „ქალაქ“ (ციხესიმაგრე) ფუნყურიდან მოსულ ყოფილ კაზაკთან ვასილ ბელორუსთან შეხვედრის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ვასილ ბელორუსმა რუს ელჩებს თავი წარუდგინა როგორც ლევან მეორის ხაზინის მცველმა. ეტყობა, ფუნყურის ციხესიმაგრეში სამეგრელოს მთავრის სასახლესთან (ფ. ელჩინი) ერთად მისი ხაზინაც და, დიდი ალბათობით, ზარაფხანაც იყო განთავსებული, რომლის შესახებაც არქ. ლამბერტი წერდა.²

რუსი ელჩების შემდგომი მარშრუტი აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე გრძელდება და იგი საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ფ. ელჩინისა და პ. ზახარიევის ანგარიშებში. განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა; ცნობები კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. ფ. ელჩინი ფუნყურიდან წამოსვლის თარიღს არ ასახელებს და წერს, რომ 1640 წლის 5 თებერვალს ეპისკოპოს ანდრიას თანხლებით მდინარე მორგულის (მოქვის) შესართავთან შავი ზღვის სანაპიროზე გავიდნენ. პავლე ზახარიევი უფრო ზუსტად აღწერს ფუნყურის შემდგომ მარშრუტს. მისი ცნობით, 1640 წლის 4 თებერვალს რუსმა ელჩებმა ფუნყური დატოვეს და იმავე დღეს სოფელ ლამბლში (გამბლი) ჩავიდნენ. უეჭველად, ეს არის იმჟამინდელ ქართულ წყაროებში დაფიქსირებული სოფელი ლალიძგა//ლამბლი, რომელსაც შემდგომში ბესლახუბა ეწოდა.³ სოფელში ნამდვილად არსებობდა XVI საუკუნეში აგებული ქვის ეკლესია, რომელსაც პ. ზახარიევი ახსენებს.⁴ სოფელი ლალიძგა//ლამბლი ელჩებმა იმავე დღეს, ანუ 4 თებერვალს, დატოვეს და, პ. ზახარიევის მიხედვით, სოფელ მერკულაში ჩავიდნენ, საიდანაც 5 თებერვალს წამოვიდნენ და

რება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 747.

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. II: ზუგდიდის რაიონი, გვ. 186.

² არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა ლევან ასათიანის წინასიტყვაობით. თბ., 1938, გვ. 26.

³ Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, გვ. 242; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 222, 846.

⁴ Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии, გვ. 267.

შავი ზღვის სანაპიროზე გავიდნენ.

ფედოტ ელჩინის ცნობით, რუსი ელჩების შემდგომი მარშრუტი ასე გამოიყურება: დრანდის მონასტერი (6 თებერვალი), ფშეხაფი ანუ ფშაფი (7 თებერვალი) და კვიტოული (8 თებერვალი). პ. ზახარიევიც 6 თებერვალს დრანდაში ყოფნას ადასტურებს, მაგრამ ფშაფსა და კვიტოულს არ ახსენებს. ორივე ელჩის მიხედვით, 8 თებერვალს ისინი მოქვის ტაძარს სტუმრობდნენ, სადაც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს მაქსიმე I-ს (მაჭუტაძე) შეხვდნენ. 9 თებერვალს ელჩებმა მოქვი დატოვეს და იმავე დღეს წმინდა გიორგის ტაძარში მოვიდნენ. მისი აღწერა ეჭვს არ იწვევს, რომ საუბარია ილორის წმ. გიორგის ეკლესიაზე. 9-10 თებერვალს რუსი ელჩები ბედიის მონასტერში იმყოფებოდნენ, სადაც მათ ეპისკოპოსი ევტიხი მასპინძლობდა. ამით დასრულდა რუსი ელჩების სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ანუ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მოგზაურობა.

ბედიიდან 10 თებერვალს წამოსულმა რუსმა ელჩებმა 13 (პ. ზახარიევი) თუ 14 (ფ. ელჩინი) თებერვალს ცაიშის სამების მონასტერში მის წინამძღვართან ეპისკოპოს ანდრეასთან (რომელიც თითქმის ორკვირიან მოგზაურობაში ბაჟიდან ფშაფამდე და უკან ცაიშამდე რუს ელჩებს მუდმივად თან ახლდა) მოვიდნენ. ცაიშის მონასტერში ელჩები 17 თებერვლამდე დარჩნენ. აქ მათ ლევან II-ის ქვისლი როსტომი და ამ უკანასკნელის სიძე მეფლი (? – ჯ. გ.) გაიცნეს.

17 თებერვალს რუსმა ელჩებმა გეზი ცაიშიდან თანამედროვე ჩხოროწყუს რაიონისკენ აიღეს და იმავე დღეს, ფ. ელჩინის მიხედვით, სოფელ დეჟიხში (რომელსაც ასევე ლეჟიხს და ჟეჟიხს უწოდებს) გაჩერდნენ. პ. ზახარიევი ამ სოფელს ლეტჩიხას სახელწოდებით მოიხსენიებს. თამაზ ბერაძის მოსაზრებით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, დეჟიხი//ლეჟიხი//ჟეჟიხი//ლეტჩიხა არის სოფელი ლეჯიქე.¹ ფ. ელჩინის ცნობით, ელჩებმა ლეჯიქეში გაიცნეს სასახლის ეკონომოსი დომენტი, აგრეთვე ირანელი ბეისრიაკუმლი, რომელიც დაახლოებით 1635 წელს ირანულ ელჩობას ჩამოჰყვა და მერე სამეგრელოში დატოვეს, ასრულებდა რა ლევან მეორისთვის საჩუქრად ჩამოყვანილი სპილოს მომვლელის და აგრეთვე სპარსული ენის თარჯიმნის ფუნქციას.

პავლე ზახარიევის ცნობით, ელჩებმა ლეჯიქეში ორი კვირა გაატარეს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯგირკორას სახლში ცხოვრობდნენ. 1 მარტიდან ლეჯიქეს თემის „სხვა სოფელში“ გადავიდნენ, სადაც მახუტიას სახლში სამ კვირაზე მეტი იცხოვრეს;² ესაუბრნენ ჯვარიდან ნაცნობ დემოგონია ბოგუჩინს (რომელიც, ჩვენი აზრით, ფ. ზახარიევის მიერ მოხსენიებული იგივე დომენტია) და ლევან მეორის ბოქაულს (Сын боярской) ხახუტას და კიდევ ერთ ყოფილ კაზაკს მიხეილ ბელორუსს.

¹ თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 101.

² *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ 186, 281.

დასაზუსტებელია, რომელი პუნქტი იგულისხმება იმ „სხვა სოფელში“, სადაც რუსი ელჩები 1-23 მარტს ვინმე მახუტიას სახლში ცხოვრობდნენ? ცხორონწყუს რაიონში დღემდეა შემორჩენილი მახუტიას სახელთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი მიკროტოპონიმი: ხობისწყლის ზემო ნელში არსებობს „მახუტიაში კარე“ („მახუტიას კარავი“), ქოლაში – „მახუტიაში ნაყუდუ“ („მახუტიას ნასახლარი“) და „მახუტიაში ნოხორი“ („მახუტიას ყოფილი სამოსახლო“); ლეჯიქეს მოსაზღვრე სოფელ ახუთში, კერძოდ, საჩიტაიოს უბანშია „მახუტიას წყუ“ („მახუტიას წყარო“); მის მიმდებარე ლესიჭინეში – „მახუტიაში უბანი“.¹ მართალია, სამეგრელოს ონომასტიკონში „მახუტია“//„მახუტი“ დიდი იშვიათობა არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ერთ საკმაოდ მდიდარ და გავლენიან ადამიანთან, უფრო კონკრეტულად, პ. ზახარიევის ცნობით, ლევან მეორის მიერ შერისხულ, შემდეგ კი, ფ. ელჩინის თხოვნით, შეწყალებულ პიროვნებასთან,² ვისაც რუსი ელჩების სამ კვირაზე მეტი ხნით დაბინავება მიანდეს. მთავართან ჯერ დაპირისპირებამ და მერე შერიგებამ, რუსი ელჩების საკუთარ ოჯახში მიღებამ, სიმდიდრემ (რისი ჩამორთმევაც ნდომებია ლევან მეორეს), სხვა ფაქტორებმა, ეტყობა, მახუტიას ისეთი პოპულარობა მოუტანეს, რომ შთამომავლობამ მისი სახელი საუკუნეების მანძილზე შემოინახა და მიკროტოპონიმებში აღბეჭდა. ლეჯიქეს თემის „სხვა სოფელი“, სადაც იგი ცხოვრობდა და რუს ელჩებს მასპინძლობდა, უნდა იყოს თანამედროვე სოფელი ლესიჭინე, სადაც „მახუტიას უბანი“ მდებარეობს. ხალხური გადმოცემითაც, ადგილობრივი სიჭინავების წინაპრად მახუტია ითვლება.³

ამრიგად, საკმარისი საფუძველი არსებობს, რათა ვამტკიცოთ, რომ მახუტიას „სხვა სოფელი“ ეს არის თანამედროვე ლესიჭინე; XVII საუკუნეში მისი სახელწოდება უცნობია, მაგრამ პ. ზახარიევის ანგარიშის თანახმად, იგი ლეჯიქეს თემში შედიოდა (ეს თემი იმჟამად, როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო, რომ თანამედროვე ახუთის ტერიტორიასაც მოიცავდა). სწორედ ამიტომ ორივე ელჩი ერთხმად ამტკიცებს, რომ 1640 წლის 23 მარტს მათ დატოვეს ლეჯიქე და არა ის „სხვა სოფელი“.

ფ. ელჩინის ანგარიშში ნათქვამია: „ჟეჯიხიდან 23 მარტს წავედით. ჟიუგიდან კი 26 მარტს წავედით და მორდულის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მონასტერში მიტროპოლიტ მიტროფანესთან მივედით“. პ. ზახარიევის ინფორმაცია რამდენადმე განსხვავებულია. იგი წერს: „23 მარტს ლეტიჩიხი დავტოვეთ და იმავე დღეს აზუბში მივედით. 25 მარტს მეფე ლევანმა ფედოტს და ყველა რუსს, რომლებიც მას ახლდნენ, 8 თოხარიკი

¹ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. IV: *ჩხორონწყუს რაიონი*. თბ., 2008, გვ. 211.

² *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 186.

³ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. IV: *ჩხორონწყუს რაიონი*, გვ. 211..

ცხენი გამოუგზავნა. აზუბიდან 27 მარტს გავედით. 28 მარტს პანზაში მივედით; პანზიდან 29 მარტს წავედით. იმავე დღეს ჭყონდიდის მონასტერში მიტროპოლიტი მიტროფანესთან მივედით“.¹ პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ელჩინის მორდულის ანუ მარტვილის მონასტერი და პ. ზახარიევის ჭყონდიდის მონასტერი ერთი და იგივე ისტორიული ტაძარია, ჭყონდიდელთა საბრძანებელია, სადაც ელჩები აღდგომამდე ერთი კვირით ადრე - 29 მარტს ჩავიდნენ, როცა მართლმადიდებელი სამყარო ბზობის დღესასწაულს აღნიშნავდა. პ. ზახარიევის პანზის ლოკალიზაციაც არავითარ ეჭვს არ იწვევს – ეს არის სოფელი ბანძა.² არქ. ლაბერტის რუკაზეც იგი სწორედ Pansas-ს ფორმით არის აღნიშნული. ამასთანავე, ვერ გავიზიარებთ თ. ბერაძის მოსაზრებას, თითქოს „აზუბი უნდა იყოს ახუთი და ყოუგი – ჯოლევი.“³ აღნიშნული მოსაზრება სათანადოდ დასაბუთებული არ არის. რუსი ელჩების ანგარიშების ელემენტარული შეჯერება გვარწმუნებს, რომ ლეჯიქედან გასვლის შემდეგ (ისევე როგორც მანამდეც და შემდგომშიც) ისინი ერთად არიან დაბინავებულები და მხოლოდ ერთად გადაადგილდებიან; განსხვავებულ ადგილებში ელჩების ყოფნა აბსოლუტურად გამორიცხებულია. თ. ბერაძე კი ამას დასაშვებად მიიჩნევს, რამაც იგი ზემოთმოტანილ არასწორ დასკვნამდე მიიყვანა. ფ. ელჩინისა და პ. ზახარიევის ანგარიშებზე დაყრდნობით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოუგი არის იგივე აზუბი, ეს უკანასკნელი კი ლეჯიქეს მოსაზღვრე სოფელი ზუბია (ამჟამად ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულას თემში შედის), რომელიც არქ. ლამბერტის რუკაზეცაა Zubis-ს ფორმით დაფიქსირებული. ლევან მეორემ სწორედ ზუბში//აზუბში გამოუგზავნა ფ. ელჩინს და მის თანმხლებ პირებს 8 თოხარიკი ცხენი. ამ პუნქტიდან ელჩები ერთად გავიდნენ, ბანძაშიც და, ბოლოს, მარტვილშიც (ჭყონდიდის ტაძარში) ერთად მივიდნენ. ამ მარშრუტში თეორიულად შესაძლებელია ჯოლევიც ჩაჯდეს, თუმცა ელჩები მას არ მოიხსენიებენ. ჯოლევი ამჟამად აბედათის თემში შედის და მარტვილიდან მხოლოდ 8 კილომეტრითაა დაშორებული.⁴ თუ მას ფ. ელჩინის ყოუგთან გავაიგივებთ, საიდანაც რუსი ელჩები 26 მარტს გავიდნენ და სხვა რომელიმე პუნქტის გავლის გარეშე პირდაპირ მარტვილში ჩავიდნენ, მაშინ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: ასეთი მოკლე მანძილის – 8 კილომეტრის დაფარვას (თანაც თოხარიკი ცხენებით) სამი დღე-ღამე რატომ მოანდომეს? დასმულ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი არ არსებობს. პასუხი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ მარშრუტი ზუბი-ჯოლევი-მარტვილი არის გამორიცხული. ჯერ ერთი, ამგვარ მარშრუტში არანაირად არ თავსდება სოფელი ბანძა, რომელიც რუსებმა უეჭ-

¹ *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 283.

² **თ. ბერაძე**. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 101.

³ **თ. ბერაძე**. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 102.

⁴ **პ. ცხადაია**. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. V: *მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი)*. თბ., 2010, გვ. 194.

ველად გაიარეს. მეორეც, ჯოლევიდან უშუალოდ მარტვილის მიმართულებით გზა XVII საუკუნის შუახანებში, ალბათ, არც არსებობდა, ან იყო გაუვალი და მას მხოლოდ მოსახლეობის დაბალი ფენები იყენებდნენ.¹ ზუბიდან ნამოსული რუსი ელჩები, უნდა ვივარაუდოთ, ნოქალაქევი – გორდის დამაკავშირებელ, შედარებით კეთილმოწყობილ და უსაფრთხო „დადიანის გზაზე“² გაიყვანეს და ორდლიანი (27-28 მარტი) მგზავრობის შემდეგ მარტვილიდან 12 კილომეტრით დაშორებულ ბანძაში³ მიიყვანეს. აქ ელჩებმა შეისვენეს და მეორე დღეს (29 მარტს) მარტვილში ჩავიდნენ.

ამრიგად, აზუბის ახუთთან, ხოლო ყიუგის ჯოლევეთან იდენტიფიცირება ნამდვილად შეუძლებელია, თუმცა ბანძისკენ მიმავალმა რუსმა ელჩებმა, დიდი ალბათობით, ბევრ სხვა პუნქტთან ერთად (ისინი ანგარიშებში ვერ მოხვდნენ) ჯოლევიც გაიარეს, რომელიც ბანძიდან სულ რაღაც 4 კილომეტრითაა დაშორებული. პავლე ზახარიევის ცნობებზე დაყრდნობით კი ირკვევა, რომ 1640 წლის 23-29 მარტს რუსი ელჩები მოძრაობდნენ მარშრუტით: ლეჯიქე-ზუბი-ბანძა-მარტვილი. ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი მარტვილის საკათედრო ტაძარში წინასააღდგომო და სააღდგომო (1640 წელს აღდგომა 5 აპრილზე მოდიოდა) ღმრთისმსახურებებს დაესწრნენ; მათი ანგარიშების მეშვეობით საკმაოდ საინტერესო პიროვნებას, ქართველ სასულიერო მოღვაწეს მიტროფანე ჭყონდიდელს ვეცნობით.

ორივე ელჩი აღნიშნავს, რომ 1640 წლის 7 აპრილს ისინი წმ. გიორგის მონასტერში გადაიყვანეს, რომლის სახელწოდებას თავიანთ ანგარიშებში არ უთითებენ. დადგენილია, რომ საუბარია სუჯუნის ცნობილ მონასტერზე, რომელიც ასევე ჭყონდიდელებს ეკუთვნოდათ და მათ საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა.⁴ ელჩები ასახელებენ სუჯუნის ტაძრის მღვდელმსახურს მახარებელს, აქ შეხვდნენ ისინი ლევან მეორის ცოლისძმას პეპუკა ჭილაძეს. 21-23 აპრილს სუჯუნის ხატის სახალხო დღესასწაულზე ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი 8 თებერვალს მოქვეში გაცნობილ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მაქსიმე I-ს (მაჭუტაძე), ტრაპიზონის მიტროპოლიტ კირილეს, ვახტანგ გურიელს (ლევან მეორის მზახალი), ცაიშში გაცნობილ როსტომს (ლევან მეორის ქვისლი), თავადაზნაურობისა და სამღვდლოების სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ. აქ იმყოფებოდა ჭყონდიდის მიტროპოლიტი მიტროფანეც, რომელიც სუჯუნაში რუს ელჩებს თან ახლდა.

1640 წლის 27 აპრილს რუსი ელჩები ლევან მეორემ მიიღო. ფ.

¹ სამეგრელოში არსებობდა როგორც გლეხის გზა, ისე ცალკე – დადიანის გზა. იხ.: პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. III: სოპის რაიონი, ქ. ფოთი. თბ., 2007, გვ. 6.

² პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. V: მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), გვ. 13.

³ პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ტ. V: მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), გვ. 222.

⁴ თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 102-103.

ელჩინის ცნობით, შეხვედრა ზიგურში//ჭიგურში შედგა. თამაზ ბერაძის დასაბუთებული მოსაზრებით, ზიგური არის იგივე ძიგური, სადაც ლევან მეორის ერთ-ერთი რეზიდენცია მდებარეობდა.¹ არქ. ლამბერტის რუკაზე ეს პუნქტი Zicuri-ს ფორმითაა აღნიშნული.

ლევან მეორე დადიანთან საელჩო შეხვედრის დასრულების შემდეგ იმავე დღესვე – 27 აპრილს – ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი კვლავ სუჯუნის მონასტერში დაბრუნდნენ. ამის მერე მათ ანგარიშებში თითქოს შეუსაბამობები შეინიშნება. ფ. ელჩინის ცნობით, რუსები სუჯუნიდან 29 აპრილს წავიდნენ, 30 აპრილს ხონის მონასტერში არქიმანდრიტ ნიკოლოზთან ჩავიდნენ. პავლე ზახარიევი განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. მის ანგარიშში 27 აპრილის საელჩო მიღების მოკლე მიმოხილვას უშუალოდ მოსდევს ცნობა 3 მაისს ხობის მონასტერში ეპისკოპოს ნიკოლოზთან ჩასვლის თაობაზე. ამ შეუსაბამობამ შეცდომაში შეიყვანა თამაზ ბერაძე, რომელმაც რუსი ელჩების სუჯუნის შემდგომი მთელი მარშრუტი ზუგდიდამდე ასე წარმოადგინა: თითქოს 29 აპრილს მათ სუჯუნა დატოვეს, 30 აპრილს ხონის მონასტერში ჩავიდნენ, შემდეგ იყვნენ ხობისა (3 მაისი) და ცაიშის (6 მაისი) მონასტრებში, აგრეთვე წალენჯიხაში, საიდანაც 16 მაისს წამოვიდნენ და 18 მაისს ზუგდიდში გაჩერდნენ.² მოგვიანებით, თ. ბერაძემ შეხედულება ამ საკითხზე ოდნავ შეიცვალა, მაგრამ მთლიანობაში მაინც ძველ პოზიციას დარჩა.³ მისი მოსაზრება რუსი ელჩების ხონში ყოფნის შესახებ გაზიარებულია სხვა ავტორების მიერაც.⁴

სინამდვილეში, რუსი ელჩების მარშრუტი რამდენადმე განსხვავებული იყო. ფ. ელჩინი, მართალია, სუჯუნიდან წამოსვლას 1640 წლის 29 აპრილით ათარიღებს, მაგრამ მოსკოვში რედაქტირებულ ტექსტში ეს თარიღი გასწორებულია. ს. ბელოკუროვის პუბლიკაციაში, როგორც ცნობილია, საელჩო პრიკაზში გაკეთებული ჩასწორებები ფ. ელჩინის ანგარიშის სქოლიოშია მოთავსებული. სათანადო სქოლიოში კი ვკითხულობთ: „ელჩობის დამთავრების შემდეგ წმ. გიორგის მონასტერში იმავე დღეს წავედით და იქ 6 დღე დავყავით“.⁵ 27 აპრილიდან 6 დღე 3 მაისზე, ანუ იმ დღეზე მოდის, როდესაც, პავლე ზახარიევის ცნობით, ელჩები ხობის მონასტერში მივიდნენ. რუსი ელჩების ანგარიშებს შორის აღნიშნულ საკითხზე ყოველგვარი შეუსაბამობა ამით იხსნება. სუჯუნიდან 3 მაისს წამოსული ელჩები იმავე დღეს წამდვილად ხობის მონასტერში მოვიდნენ; ხონში კი ისინი საერთოდ არ ყოფილან და ვერც იქნებოდნენ, რადგანაც იგი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში არ შემოდიოდა. ხობის ისტორიულ ტაძარში რუს ელჩებს მასპინძლობას უწევდა მონასტრის წინამძღვარი, ცნობილი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე

¹ თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 103-104.

² თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), გვ. 104-1056.

³ *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 80-81.

⁴ ნ. ჩიქოვანი. რუსული კავკასიოლოგიის განვითარება..., გვ. 102

⁵ *Материалы по церковной и этнополитической истории...*, გვ. 234 (სქოლიო).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი), რომელიც პირველად ძიგურში საელჩო მიღებაზე გაიცნეს. ერთი ელჩი მას არქიმანდრიტად (ფ. ელჩინი), მეორე კი ეპისკოპოსად (პ. ზახარიევი) მოიხსენიებს.

პავლე ზახარიევის ანგარიშის მიხედვით, რუსი ელჩები ხობიდან 4 მაისს წამოვიდნენ და 6 მაისს ცაიში მათთვის დიდი ხნის ნაცნობ ეპისკოპოს ანდრიასთან მივიდნენ. გარდა ეპისკოპოსისა, ელჩები მონასტრის მღვდელმონაზონ მაქსიმესთანაც ურთიერთობდნენ. ფ. ელჩინმა და პ. ზახარიევმა ცაიშის მონასტერში 10 დღე გაატარეს. ამკარა მექანიკურ შეცდომას უშვებს პ. ზახარიევი (თუ მისი ანგარიშის პირველი გამომცემელი ს.ა. ბელოკუროვი?), როდესაც წერს: „16 მაისს ცინაჟიცკის მონასტრიდან, ეპისკოპოს ანდრიასგან წამოვედით. იმავე დღეს ზეუკდიტში (ზუგდიდში – **ჯ.გ.**) მივედით, სადაც მეფე ლევანი ცხოვრობს“.¹ ეპისკოპოს ანდრიასგან წამოსვლა მხოლოდ ცაიშის მონასტრიდან შეიძლებოდა და არა გაურკვეველი ცინაჟიცკიდან, რომელიც თ. ბერაძემ წალენჯიხასთან გააიგივა. ფ. ელჩინის ანგარიშის სათანადო მონაკვეთი კიდევ უფრო ბუნდოვანია, მასში არც ცაიშია დასახელებული და არც ცინაჟიცკი//წალენჯიხა. იგი წერს: „18 მაისს მეფე ლევანმა შუაის მონასტრიდან თავისთან ზუბდიდში (ზუგდიდში – **ჯ.გ.**) წაგვიყვანა.“² „შუაის მონასტერი“ მოსკოვში „ხონის“ მონასტრად გადაასწორეს, თუმცა ესეც სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, „ხონი“ ამ შემთხვევაში „ხობს“ ნიშნავს, მაგრამ პ. ზახარიევის ცნობით, ელჩები იქიდან არა 18, არამედ 4 მაისს წამოვიდნენ, რის შემდეგაც არსად, გარდა ცაიშისა, არ ყოფილან. ამიტომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პ. ზახარიევის „ცინაჟიცკის მონასტერი“ და ფ. ელჩინის „შუაის//შუაისკის მონასტერი“ იგივე ცაიშის მონასტერია. სწორედ, აქედან ჩაიყვანეს რუსი ელჩები ზუგდიდში, სადაც ლევან მეორის სახელით მათთან რამაზ ჩიჩუამ, ეპისკოპოსმა ანდრიამ და არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა ისაუბრეს. ეს მოხდა 16 (პ. ზახარიევი) თუ 18 მაისს (ფ. ელჩინი). ამით რუსი ელჩების ვიზიტი სამეგრელოს სამთავროში დასრულდა. პავლე ზახარიევის ცნობით, 18 მაისს, ფ. ელჩინის მიხედვით კი, 19 მაისს ლევან II დადიანმა ისინი სამშობლოში გაისტუმრა. 22 მაისს ელჩები ხუდონიდან დაიძრნენ და სვანეთისკენ წავიდნენ, საიდანაც 8 ივნისს გააგრძელეს გზა ყარაჩაისკენ. ელჩების მუხლობრივი აღწერილობები, აგრეთვე პ. ზახარიევის საჩივარი ფ. ელჩინის წინააღმდეგ იმაზე მიუთითებენ, რომ უკანვე მოსკოვისკენ მგზავრობაც იმავე მარშრუტით მოხდა, რომელიც „განანესში“ იყო მითითებული და რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

პავლე ზახარიევის თავისი ანგარიში საელჩო პრიკაზში 1640 წლის 4 დეკემბერს წარუდგენია. იმავე ხანებში უნდა იყოს წარდგენილი ფ. ელჩინის ანგარიშიც. მათი შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძ-

¹ *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 314.

² *Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии*, გვ. 236.

ველზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ 1639 წ. 13 ნოემბრიდან 1640 წ. 22 მაისამდე სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია რუსმა ელჩებმა მოიარეს შემდეგი მარშრუტით:

ხუდონი – ჯვარი – ჯგალი – სქური – ნალენჯიხა – კორცხელი – ბაში – ფუნყური – ლალიძგა//ბესლახუბა – მერკულა – შავი ზღვა მდ. მოქვის შესართავთან – დრანდა – ფშაფი – კვიტოული – მოქვი – ილორი – ბედია – ცაიში – ლეჯიქე – ლესიჭინე – ზუბი – ბანდა – მარტვილი – სუჯუნა – ძიგური – ისევ სუჯუნა – ხობი – ისევ ცაიში – ზუგდიდი და, ბოლოს, კვლავ ხუდონი.

JEMAL GAMAKHARIA

TO THE CLARIFICATION OF RUSSIAN AMBASSADORS' ROUTE DURING THEIR JOURNEY WITHIN THE SAMEGRELO PRINCIPALITY (1639-1640)

The paper studies the route of the Russian ambassadors of the 17th century – Tatar language interpretor Fedot Elchin, priest Pavel Zakhariev, and scribe Fedot Bazhenov in Georgia, particularly in Samegrelo. The author specified and identified the settlements – villages and urban-type settlements, which they visited and inspected. The study was conducted on the basis of various historical sources and scientific papers, and the reconciliation of previously expressed opinions. The author has established the fact that Russian ambassadors were visiting the territory of the Principality of Samegrelo from November 13, 1639 until May 22, 1640 according the following route:

Khudoni–Jvari–Jgali–Skuri–Tsalenjikha–Kortskheli–Bashi–Putskuri–Galidzga//Beslakhuba–Merkula–The Black Sea at the mouth of the river Mokvi– Dranda–Pshapi–Kvitouli–Mokvi–Ilori–Bedia–Tsaishi–Lejike–Lesichine–Zubi–Bandza–Martvili–Sujuna–Dziguri–again Sujuna–Khobi–again Tsaishi–Zugdidi and, finally, again Khudoni.

როდესაც იოჰან გიულდენშტედტი კახეთის სოფლების განლაგებას ეხება, აღნიშნავს: „კახეთის სოფლები, რადგან ყველას მიუზღოთ თავისი ვენახებისა და ხილის ბაღების, აგრეთვე ყანების გარშემო აქვთ, ...ხშირად ერთმანეთს უახლოვდებიან (ერთმანეთს ეკვრიან), ...ყოველს სოფელს აქვს ერთი ან რამდენიმე, დადულაბებული აგურითა და რიყის ქვით ნაშენი, 3-4 საყენი სიმაღლის და ჭრილში 3 საყენი სიგანის, ორსამსართულიანი მრგვალი კოშკები. თავდასხმის დროს ქვედა სართულზე თავს აფარებენ ქალები და ბავშვები, ზედა სართულზე კი იკრიბებიან შეიარაღებული კაცები და ესვრიან ყაჩაღებს. ბევრ სოფელს აქვს 1-2 საყენი სიმაღლის კედლით გარშემორტყმული, 30-100 საყენი განივკვეთის ოთხკუთხა მოედანი კარებებით და სასროლი კოშკებით. ასეთ ადგილებში, რომლებსაც ციხეები ჰქვიათ, ან არ ცხოვრობენ, ან ცხოვრობენ ცოტანი; თავდასხმების დროს ყველანი ცდილობენ ამ ციხეებში გადაირჩინონ თავი საქონლითა და ქონებით“.¹

XVIII საუკუნის II ნახევარში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა ქართლ-კახეთში თავდაცვითი ნაგებობების აღდგენა-მშენებლობის თვალსაზრისით, რომელთაგან დიდი ნაწილის ინიციატორი უშუალოდ ერეკლე II იყო. შეიცვალა საფორტიფიკაციო ნაგებობათა არქიტექტურაც. ძველი ციხე-კოშკების მშენებლობისას ქართველი კაცი, ძირითადად, მის მდგრადობაზე ამახვილებდა ყურადღებას ხანგრძლივი ალყისათვის რომ გაეძლო. მაგ. სამაჩაბლოს თავდაცვითი ნაგებობების ცნობილი მკვლევარი – ვ. ბეზსონოვი, კეხვის ციხის აღწერისას აღნიშნავს, რომ მისი კედლების სისქე რიგ ადგილებში 2-6 მეტრამდე აღწევდა, ხოლო სიმაღლე – 16 მეტრამდე.² სურამის ციხის კედლების სისქე ადგილებში სამ მეტრს აღემატება,³ ასევე ორი-სამი მეტრის სისქის კედლები აქვს ბებრის ციხეს.⁴ სამწვერისის ციხე-დარბაზის დიდი კოშკის კედლების სისქე 2-დან 2,5 მეტრამდე⁵ და სხვ. თავდაცვითი ნაგებობების ძირითადი ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო მართკუთხა ფორმები, რადგან სქელი კუთხეები მის მდგრადობას უზრუნველყოფდა. ძველი ციხე-კოშკების მშენებლობისას აქცენტი კეთდებოდა ადგილმდებარეობაზე, ამიტომ საქართველოში ვერ ნახავთ ძველ თავდაცვით ნაგებობას, რომ ადვილად მისადგომი იყოს, საიდუმლო გვირაბით არ უკავშირდებოდეს მდინარეს, წყაროს, ან შიგნით

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 250-251.

² С. В. Безсонов. Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви. – Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения. Кн. I. Цхинвали, 1933, გვ. 242.

³ ვ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები. თბ., 1988, გვ. 54.

⁴ ვ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, გვ. 54.

⁵ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ., 1990, გვ. 390.

არ ჰქონდეს სასამართლო წყლის რეზერვუარი ხანგრძლივი ალყის შემთხვევაში გაძლების მიზნით.

როგორც ითქვა, XVIII საუკუნეში ქვეყნის ძირითადი პრობლემა „ლეკიანობა“ იყო. ლეკები დიდი ლაშქრითა და არტილერიით იშვიათად მოდიოდნენ, სამაგიეროდ, მათი თავდასხმების ინტენსივობა იყო ძალზე მაღალი, ამიტომ, აღნიშნული პერიოდისათვის აქცენტი, ძირითადად, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობაზე კეთდებოდა. გრანდიოზული მშენებლობებისათვის არც დრო იყო და არც სახსრები. მთავარი იყო მოსახლეობას სიმაგრეში შესვლა მოესწრო, შემდეგ კი მდევარი, ან მორიგე ჯარი შეებმოდა მომხდურს და უკუაქცევდა.

საფორტიფიკაციო ნაგებობების მართკუთხა ფორმები თანდათანობით წრიულმა შეცვალა, მთა და ხეობები – ბარმა და დასახლებულმა პუნქტებმა. მართალია ახალი კოშკები ძველთან შედარებით ნაკლები სიმტკიცით გამოირჩეოდნენ, მაგრამ, მოახლოებული მტრის შემჩნევა და შესაბამისი ზომების მიღება გაიოლდა. არქიტექტურის შეცვლა სამშენებლო მასალის ცვლილებამაც განაპირობა. თლილი და ფლეთილი კლდის მასალა სიპი ქვით ჩაენაცვლა. სიპი ქვით კუთხის ამოყვანა ჯერ ერთი რთული იყო (ამიტომ კუთხეებში ისევ ნათალ კლდეს ხმარობდნენ) და მეორეც, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობის ზრდამ სამშენებლო მასალაც დიდი რაოდენობით მოითხოვა. კლდე ძნელი დასამუშავებელი იყო და დიდ დროსაც საჭიროებდა, სიპი ქვა კი მდინარეებით უხვ საქართველოში ძნელი საშოვარი არ იყო, როგორც წესი, დასახლებული პუნქტებიც მდინარეების სიახლოვეს მდებარეობდა და მშენებელს მასალისათვის შორს წასვლა არ უნევდა.

ცალკე აღსანიშნავია მშენებლობისათვის აუცილებელი სეგმენტის – კირის დიდი რაოდენობის არსებობაც. კირქვა ნიადაგი ქართლ-კახეთში მრავლად არის. მხოლოდ გორსა და მის შემოგარენში XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის რამდენიმე საკირე (უშუალოდ გორში, ხიდისთავში, გორიჯვარში, ტინისხიდში და სხვ.) ფიქსირდება.¹ ზოგიერთმა მათგანმა (მაგ. გორიჯვარის) XX ს. 60-იან წლებამდე მოაღწია. საკირეების გამართულ მუშაობას ერეკლე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. როგორც ცნობილია, 1773-74 წლებში მეფემ გორის ციხის საფუძვლიანი განახლება დაიწყო. 1774 წ. 18 მარტს იგი გორის მელიქს - ზურაბსა და რევაზ ამილახვარს ციხის მშენებლობის მიზნით საკირეების სასწრაფოდ ამოქმედებას ავალებს: „ამას წინათაც წიგნი მოგწერეთ რომ გორიდან ორმოცდა ათის თუმნის თადარიკი ჰქნათ რომ საკირეები უნდა დაადგმევინოთ და დაანვევინოთ. რაც ორს საკირეს მოუხდეს ის კი დახარჯეთ და სხვა კი შეინახეთ რომ როგორც მოგინდეს ისე დახარჯოთ ...მაგ ციხეს უნდა მოხმარდეს წლეულობით და ეს წიგნი ბარათით შეინახეთ რომ ის

¹ ი. ალიმბარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში. თბ., 2008, გვ. 217.

ორმოცდა ათი თუმანი ბაჟიღამ მოგეცემათ“.¹

სამშენებლო ტემპით უკმაყოფილო ერეკლე იმავე წლის 31 აგვისტოს ამილახვარს უკვე მკაცრად აფრთხილებს: „გორის ციხის კეთებისა ველარა შევიტყვეთ რა, თუ დღეს მაგაზე გალატოზი არა დგას და არ მუშაობს, როდისღა უნდა გაკეთდეს? ათს ენკენისთვის უკან მანდ კირი ხომ აღარც კი იმუშავება, გაჰყინავს, თუ ახლავე არ დააშურებთ, რაღა გაკეთდება?“.²

საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული დარეჯან დედოფალიც. 1766 წლის 22 სექტემბერს იგი შუამთის მონასტრის წინამძღვარს – ნიკოლოზს სწერს: „მერმე აქ ზარბაზნის ბურჯისათვის კირი ბეჟან ყორჩიბაშის-შვილიდამაც და ამის ძმის დავით ყორჩიბაშის-შვილისაგანაც ვისესხეთ კირი და კიდევ შეხმარდა, წინა დღეს ხომ შენგანაც ვისესხეთ და უარიც არ გითქომს. ახლა კიდემა გნერთ, რომ ამ ბურჯს კიდემ დააკლდა კირი და რაც ამას კირი მოუნდეს, უნდა გვასესხოთ. მაგიერი ისევ ლუთით მოგეცემა, ხათრიჯამი იყავ მაგიერს მოგცემთ, ბატონსაც უბძანებია, ვისაც კირი ქონდესო უნდა ისესხოთო. ახლა ჩვენს აქედამ ურმები გამოგვიგზავნია და პეტრე ერთისშვილი გამოგვიტანებია, ამას უნდა წყვით მოაბარო ...რაც კირი მოაბარო წერილი ერთი პირი ჩუენც გამოგვიგზავნე და მეორე შენ შეინახე, რომ ისევ იმავე ანგარიშით მოგეცესო“.³

სიმკვრივის მიზნით კირში კვერცხის გულსა და რძესაც ურევდნენ. ამილახვრების რეზიდენციის – ჭალის (ქვემო-ჭალის) კოშკის მშენებლობასთან დაკავშირებით, პოლიევქტოს კარბელაშვილი ერთ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს. როდესაც ყიზილბაშები გივი ამილახვარს ებრძოდნენ, გარემოცვისას ეს კოშკი ზარბაზნით მოუნგრევიათ. სიმაგრეში შეხიზნულებს ღამით მოუნველიათ ფურ-კამეჩი და წყლის მაგივრად რძით არეული კირით მოუდგამთ დანგრეული კოშკი. ღამით აშენებული დიღამდე ისე გამშრალა და განმტკიცებულა, რომ ზარბაზნებსაც ველარაფერი დაუკლიათ.⁴

ლეკიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად ასევე აუცილებლობას წარმოადგენდა გადმოსასვლელ გზებზე თხრილების გაკეთება, მდინარეების ფონების დაღრმავება, მომხდურთა სამალავი ტყეების გაკაფვა, მზვერავთა მიერ ტერიტორიების მუდმივი შემოწმება, რაც ძალზე დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მორიგე რაზმების შესანახად ერეკლეს ხიდებზე ბაჟები დაუნესებია, რომლებიც მცველების შენახვას

¹ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 7783/3; ფ. 146.

² ა. გაბჩივაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს. — საისტორიო მოამბე, I. თბ., 1945, გვ. 13 (დოკ. №3).

³ *Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиею*. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя коммиссии ст. сов. **Ад. Берже**. Т. I. Тфл., 1866, გვ. 45.

⁴ **პ. კარბელაშვილი**. ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები. — ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II. ტფ., 1913, გვ. 117.

ხმარდებოდა. მცხეთის ხიდის ბაჟთან დაკავშირებით, იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს: „დალისტნიდამ ჯარი რომ წამოვიდოდა, საგურამოს თუ ყარაიაზედ ამოვივლიდა. მტკვარს თუ ვერ გავივლიდნენ, არაგვს გამოვივლიდნენ, ამ მცხეთას თავს გარდაივლიდნენ და ამ ხიდზედ გავივლიდნენ. ზოგნი ახალციხეს აღვივლიდნენ, ზოგნი არმაზის წყალს და ძეგვისაკენ შეჰკრავდნენ და ზოგნი მუხათგვერდსა, და ესრეთ ახდენდნენ მგზავრთა. მეფემ ირაკლიმ ეს ღონე იხმარა, რომ ამ ხიდის გაღმა და გამოღმა კოშკები განაახლებინა, შიგ კარგი ვაჟიკაცნი დააყენა, რომელნიც ამ გზებსაც ჰსცვივიდნენ, მგზავრთაც მშვილობიანად ატარებდნენ და განუწესა ფქვილი ერთი ჩანახი (დაახლ. 8 კგ. – ი. ა.) და ამ ყარაულებს ეძლეოდათ. და ოდეს მეფემან სიმხნითა თვისითა მრავალს ადგილს ჰსძლო ლეკთა და შიშა შინა მოიყვანა“. ¹ ერეკლეს ქარავანსა და ვაჭრისათვის საბაჟო ნიხრი ორი შაური დაუწესებია, რითაც ადგილობრივ ყოველდღიურად „ორს თუმნამდის შემოსავალი დგებოდა“.²

ძეგვის გადმოსასვლელს საუკუნის ბოლომდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან იგი ლეკთა ქართლ-კახეთზე თავდასხმების ერთ-ერთი ძირითადი „ფორ-პოსტი“ იყო. გარდა იმისა, რომ ძეგველები ჯარში განვევას არ ექვემდებარებოდნენ, 1800 წლის 2 მაისს კათალიკოსი ანტონ II მათ გადასახადებიდანაც ათავისუფლებდა: „...ამ ძეგველებს ნურაზე შეანუხებთ ხოლმე და ყოვლითურთ ხელალებულნი უნდა იყვნენ ამათზედა, ამიტომ რომ საშიშს გზაზედ დგანან, შუა შარაზედ, და ესენი მცველნი არიან და არც ამათი ჯარში წასვლა იქნება, მისთვის რომ სოფელი უკაცურად დარჩება, ერთი განსაცდელი შე(ე)მთხვევათ, ეკლესიასაც დააკლება და ქვეყანასაც, ნურცავინ გამლელ-გამომვლელი შეანუხებთო“, ბრძანებდა ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი.³

თავდაცვითი ნაგებობების შენახვა და მოვლა-პატრონობა მოხელებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო მოვალეობასაც შეადგენდა, რადგან მათი და ოჯახების უშიშროებას უზრუნველყოფდა. მაგ. „დასტურლამალის“ მიხედვით, რევიშვილებს შავი წყლის გზა უნდა შეენახათ, საგინაშვილებს, თავიანთი მამულით – კოშკის გზა, თარხნის მამული ოძელ-ცხირელებთან ერთად, გოსტიბეს გზას „ინახავდნენ“, კავთისხევი, წინარეხი და საქვათახევი – თავიანთ გზას, ნიჩბისელები – ასევე თავიანთ გზას, დოესელები და ქვახვრელები – ხიდს⁴ და ა. შ.

ადგილობრივ მოსახლეობას საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობისას სურსათიც უნდა გაეღო. მაგ. ერეკლე II-ის მიერ 1797 წელს

¹ იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I. თბ., 1990, გვ. 104.

² იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I, გვ. 104.

³ ირ. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის (სოფლის მასალების მიხედვით). თბ., 1977, გვ. 182.

⁴ დასტურლამალი. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ., 1970, გვ. 532-533.

გაცემული ერთი საბუთის მიხედვით, გორის ციხის აღდგენისას სასმელ-საჭმელი გორელებს უნდა ეძლიათ, ხოლო ხელფასი გორის იჯარიდან უნდა მიეცათ.¹ რადგან „ლეკიანობა“ ქართლ-კახეთის თითოეული ქალაქ-სოფლისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, ერეკლე დღენიადაგ ზრუნავდა ციხე-სიმაგრეებისა და კოშკ-გალავნების აშენება-განახლებისათვის. როგორც მეფის მემკვიდრე ომან ხერხეულიძე გადმოგვცემს: „მეფობისა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ას-სამოცამდე გალავანი და ბურჯნი მტერთათვის, ხოლო თვით მეფემან განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა, ბოჭორმისა, ყოეთისა, გალავანი სევირელისა, საბუისა, ფედისა, პატარძეულისა და ნორიისა“.² მეფისავე ინიციატივით დაუწყიათ თბილისის თავდაცვითი ზღუდეების სრული შეკეთება.³

ერეკლე II-ს ცოდნა და დიდი გამოცდილება საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა-განახლების მიზნით, კარგად ჩანს მისი მოხელეებისადმი გაცემული უამრავი ბრძანებებიდანაც. მეფე კონკრეტულ დავალებებს აძლევს შესაბამის სტრუქტურებს, მშენებლობისას კირის რა რაოდენობა გამოიწვევს და დაზილონ, რამდენი ქვა და ქვიშა მოზიდონ, რამდენი ურემი და მუშა-ხელი გამოიყენონ და სხვ.

თავის მხრივ, თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებაზე თავად-აზნაურებიც ზრუნავდნენ. ლეკების შემოსევებისაგან თავდასაცავად ტყვიავის ციხის მეპატრონეს თამაზ ქარელს 1754 და 1758 წლებში, ციხე-დარბაზისათვის კოშკები მიუშენებია,⁴ ამავე ხანებში ორბელიანებს გაუმაგრებიათ ციხე – გალავანი ლამისყანაში.⁵

ამილახვრებს თავიანთ რეზიდენციაში – ჭალაში, თავდაცვის მიზნით სამრეკლო კოშკად გადაუკეთებიათ,⁶ მეფის სახლთუხუცესს კონსტანტინე მუხრანბატონს 1746 წელს საფუძვლიანად შეუკეთებია ქსნის ციხე,⁷ ხოლო 1756 წელს განუახლებია მუხრანის ციხე.⁸ არაგვის ერისთავს 1751 წელს გაუმაგრებია დუშეთის სასახლე,⁹ გორის ციხის მინბაშს – დიმიტრი დიასამიძეს 1792 წელს აუშენებია საქაშეთის კოშკი¹⁰ და ა. შ.

¹ შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986, გვ. 318.

² ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო *ლელა მიქიაშვილმა*. თბ., 1989, გვ. 74.

³ თბილისის ისტორია. უძველესი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე. *მ. დუმბაძისა და ვ. გუჩუას* რედაქციით. თბ., 1990, გვ. 74.

⁴ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V, გვ. 88.

⁵ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V, გვ. 174.

⁶ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V, გვ. 203.

⁷ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V, გვ. 327.

⁸ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V, გვ. 300.

⁹ *Пл. Иоселиани*. Описание города Душета Тифлисской губернии. Тифлис, 1860, გვ. 132.

¹⁰ *З. Заქარაია*. ქართული ციხე-ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები,

XVIII საუკუნის II ნახევრისათვის ქართლ-კახეთში ციხე-გალავნები თითქმის ყველა პირველი ხარისხის თავადს გააჩნდა თავის რეზიდენციაში: ამილახვრებს – ქვემოქალაქში, მუხრანბატონებს – მუხრანში, ციციშვილებს – სამწევრისში, არაგვის ერისთავებს – ანანურში, ქსნის ერისთავებს – ახალგორში, ჩოლოყაშვილებს – მატანში.

ლეკების წინააღმდეგ თავდაცვით ნაგებობებს მხოლოდ ქართველები არ აგებდნენ, „ოსმალობის“ პერიოდში ისაყ ფაშას მამუკა მუხრანბატონთან ერთად აუგია მუხრანის გალავანი, გაუმაგრებია გომის ციხე¹, სეხნია ჩხეიძის ცნობით, მანვე ააგო: „ციხე ავჭალისა, კოშკები დიდმის ბოლოდან ატენის წყლამდე თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკის გამოსავალი“.²

სამეფო კარს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა ციხე-სიმაგრეთა სიმძლავრეებისა და მათში დასახიზნი მოსახლეობის ტევადობა-რაოდენობის შესახებ. ომარ-ხანის 1797 წლის შემოსევისას თელავში მყოფი ერეკლე II საენდრონიკო და სავაჩნაძეო სოფლებს უბრძანებდა: „ომარ-ხანი დაღისტნის ჯარით ბელაქანში ჩამოსულა, ნებას გაძლევთ, სიღნაღის ციხეში დაიხიზნებით, ან აქ თელავს ამოდით და ამ ორს ქალაქს უფრო გამაგრებულნი ვიქნებით და უფრო კარგად მივეშველებით ერთმანეთსა, ვეჯინის ციხის გამაგრება და დახიზნვა არ იქნება და არც ხიზანი დაიყენებო“.³ ამავე ხანებში ალექსანდრე ბატონიშვილი თბილისიდან მამას სწერდა: „...ქალაქი გავამაგრეთ, მელიქ აპო თავისის ელით, შულავერი თავეთის ხიზნით ქალაქში შემოვიყვანეთ და საიდამაც მტრის მოსვლის ფიქრი გვექონდა, სულ იმ მხარეს დაურვიგეთ და ბურჯებში დავაყენეთ“.⁴

1785 წლის 19 აგვისტოს ერეკლეს მიერ ბეჟან ამილახვრისადმი მიწერილ წერილში, რომელიც ჩვენი აზრით, ასევე ომარ-ხანის თავდასხმას უნდა უკავშირდებოდეს, მეფე დიდმოხელეს ნამოქმედარს უწონებს და კონკრეტულ დავალებებსაც აძლევს: „...მერე შენი წიგნი მოგვივიდა, დი ალ გიმაღლით რომ ბეჯითი ხარ. აფერუმ და რაც რომ გაუკეთებიათ დი ალ კარგი. რაც გაკეთებულა კმარა. თუ ასე გაკეთებულა რომ ეგ წერილი სოფლები ჭალები და ეგენი მაგაში დაეტეოდნენ. მაგაში რომ დაიხიზნენ ისა სჯობს, თუ არ დაეტეოდნენ და ციხე აქვსთ და იმაში შევლენ, რომელიც სოფლები მაგ სურამში შესასვლელად მოგვენეროს ამას წინათ ის

ციხე-გალავნები, კოშკები. **ნ. ჯოლოსხვას** რედ. თბ., 2004, გვ. 212.

¹ **დ. მეგრელაძე**. ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV: საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი **მამია დუმბაძე**. თბ., 1973, გვ. 439.

² **სეხნიაჩხეიძე**, საქართველოს ცხოვრება. **ზ. ჭიჭინაძის** გამოცემა. ტფ., 1913, გვ. 15

³ **საქართველოს ისტორიის ქრონიკები**. XVII-XIX საუკუნეები. ტექსტი, გამოკველეები, შენიშვნები და განმარტებები **ავთანდილ იოსელიანის**. თბ., 1980, გვ. 205.

⁴ **შ. ხანთაძე**. მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის. – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII. თბ., 1961, გვ. 245.

სოფლები ახლავ აჰყარე და შეიყვანე კარგათ გამაგრდნენ რაც შეიძლონ. პური შეიტანონ და ტყვია წამალი ბარაქიან შეატანინე, კარგათ გაამაგრე ესეები. ასე გაარიგე: აგვისტოს ით ქ კს უოგ (=1785 წ. – **ი. ა.**) და რომელსაც სოფელზედ საყარაულო იყოს დარჩომილი იქიდამ უნდა აილოთ და ან კიდევ თუ თეთრი იყოს მორჩომილი იქიდამ უნდა მიეცესთ ყარაულებსა რომ არ მოიშალნენ. ამილახვრისათვის და დავით მოურავისათვის მიგვიწერია ისინი აილებენ და ყარაულებს მისცემენ რომ არ მოიშალნენ ყარაულები. და თუ რამ თეთრი აქვსთ ალებული ხელში იქიდანაც მისცემენ. ეგრესის ჯარი რომ აიყაროს და წამოვიდეს, შენ მაგათ არ უნდა მოშორდე, ხუმრობა არ არის და რომელსაც სოფლებში არა პრავიანტი (გადასახადი პურით, ან ხორბლით – **ი. ა.**) აქვს შეწერილი სულ თან წამოალებინოთ იასაულებსა. ამილახვრისათვის მოგვიწერია, ამ საქქმეზედ ბეჯითი იყავ“.¹

1780 წლის 1 აპრილს ხიდისთავის კოშკის აღდგენის მიზნით, მეფე მოხელის – იოსებ გლურჯიძისადმი ასევე კატეგორიულია: „ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო იოსებ გლურჯიძე, მერმე შენ უნდა წახვიდე ხიდისთავს რაც კაცი იყოს მაგათ ურმები უნდა შეაბმევინო და რაც ქვა და ქვიშა მაგ კოშკს მოუნდება უნდა მოატანინო და რაც საკირეში კირი იყოს ისიც უნდა ამოიღონ და დაზილონ, ამაზედ ბეჯითად მოიქეციო“.²

როცა თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობა უფრო მასშტაბური იყო და ადგილობრივი მოსახლეობა არ კმაროდა, მეფე მოხელეებს მოუწოდებდა ურთიერთდახმარების სხვა ფორმები გამოეყენებინათ, მაგ. 1773 წელს ერეკლე შიდა ქართლის მოურავსა და გორის მელიქს ავალებდა გორის ციხის აღდგენით სამუშაოებში ახლომდებარე მოსახლეობის ჩაბმას: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ამილახვარო რევაზ და გორის მელიქო! მერე გორის გალავანს სადაც ეჭირვებოდეს, ოთხი ჯიხური, ვინც გალავანში ესახლოს იმათ დაადგმევინეთ და ოთხი ჯიხური, ვინც გორის ციხეში დაიხიზნება, იმათ დაადგმევინეთ“.³

1770 წლის აღწერით გორში დაახლოებით 2000 (500 კომლი) კაცი ცხოვრობდა,⁴ ხოლო გორის ციხის შიდა ნაწილის (ე. წ. ზემო ციხის) ფართობი დაახლ. 12000 მ²-ია (200X60), აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლებოდა იმ დროისათვის არა მარტო გორელების, არამედ ახლომდებარე სოფლების მოსახლეობის დახიზვნაც, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ გორის ციხის იმდროინდელ სიმძლავრეებს. ავთ. თუმანიშვილის გადმოცემით, XIX საუკუნის 10-იან წლებში გორის ციხეს 35 დიდი კოშკი

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD, საბ. 1362.

² გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), 7782/4; ფ. 355.

³ **ა. გაბიჩვაძე**. გორის ციხე ერეკლე II დროს. – საისტორიო მოამბე, I. თბ., 1945, გვ. 11 (დოკ. №4).

⁴ **გ. აკოფაშვილი**. სახელმწიფოს საზღვრები და მოსახლეობა. „მყრელობა“, უკაცრიელი ადგილების დასახლება, – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 519.

ჰქონია.¹ ეს მოსაზრება სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, რადგან პოლკოვნიკ დრენიაკინის მიერ 1802 წელს შედგენილი გორის გეგმიდან ჩანს, რომ ციხე 23 კოშკითა და ბურჯითაა გამაგრებული.² მეფე ციხე-სიმაგრეების მშენებლობის მიზნით არც სახელმწიფო სახსრებს იშურებდა და მუდმივ კონტროლზე ჰყავდა, თუ რა ტემპებით მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები. 1772 წლის 29 თებერვალს ერეკლე II შიდა ქართლის გამგებელს – რევაზ ამილახვარს ავალებდა გორის ციხის გარშემო ღრმა თხრილის გაჭრას: „გორის გალავნისა რომ მოგენერათ, ჩვენი მუშა შევანერეთ და ხანდაკი უნდა გააჭრევინოთ. ხანდაკს ხუთი ადლი განი უნდა ჰქონდეს და ოთხი ადლი სიღრმე, ასე უნდა გააკეთებინოთ“.³

ქართლ-კახეთის მეფის დიდი ინტერესი გორის ციხის აღდგენის მიზნით ჩანს ამილახვრისადმი 20 ივლისს მიწერილი წერილიდანაც: „ისე გარჯას ეცადენით, რომ მასალა მომზადდეს, ჩვენც ლ“თის მადლით კათალიკოზს და ლევანს რომ ქალაქს მოსულს დავიგულე მანდეთ ნამოვალთ, რომ მარიამობის ნახევრიდან მოკიდებული ენკენისთვის ნახევრამდონ სულ ერთიანად ბატონ ყმანი მივეხვივნეთ და გორის საქმე ვიმუშავოთ“.⁴

სტრატეგიული ნაგებობების აღდგენა-განახლებაზე მთელი სამეფო ოჯახი ზრუნავდა. 1794 წელს გიორგი ბატონიშვილი გოგია ხერხეულიძესა და სახლთუხუცეს ფიცხელაურს ღართისკარის „წამხდარი“ ხიდის საკუთარი ხარჯებით აღდგენას ავალებდა: „...ღართის კარის ხიდი წამხდარა, რომ მგზავრი ველარ დადის ...თქვენ კომლზედ კაცი და ხარი უნდა გამოიყვანოთ, წამოუძღვეთ და ღართისკარში ...ხიდი გააკეთოთ, უმისობა არ იქნება და არც დაგვიანება, ხარით, ცუღით და სახმარის იარაღით უნდა წამოხვიდეთ, ამაში მთის კაცს საქმე არა აქვს-რა, ბარის კაცი უნდა გაი-სარჯოთ“,⁵ ტოტლებენის საქართველოში მოსვლისას ქსნის ერისთავებისათვის 40 უღელი ხარ-კამეჩის ბეგარაზე გამოყვანა შეუწერიათ⁶ და ა. შ.

ყველა დიდ ციხესა და თავდაცვით ნაგებობას ჰქონდა თავისი წესდება (სარისტა, გარიგება), რომლის შესრულებაზე მინბაშები, ქალაქის მოურავები, მელიქები და სხვა სახელმწიფო მოხელეები აგებდნენ პასუხს. 1772 წლის 10 ივნისს ერეკლე იმავე რევაზ ამილახვარს სწერდა: „მერმე ამ ხანად ჩვენი შვილი გიორგი გამოგზავნეთ მანდეთკენ და თქვენ უნდა იახლოთ, იმათთვისაც მოგვიწერია და მაგ ქვეყნის ბინა-სიმაგრე, ჯარისა და მღევრების გარიგება, ციხეებისა და სიღნაღების გარიგება და გამაგ-

¹ **ავტ. ტუმანოვ.** Описание грузинского города Гори. СПб., 1816, გვ. 20.

² იხ: **ე. მამისთვალისვილი.** გორის ისტორია, ტ. I, გვ. 157; **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი. ტ. III, გვ. 315-320.

³ **ა. გაბიჩვაძე.** გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9 (დოკ. №1).

⁴ *გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*, 7782/3; ფ. 155.

⁵ **დ. გვრიტიშვილი.** ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955, გვ. 225.

⁶ **დ. გვრიტიშვილი.** ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), გვ. 225.

რება, როგორც სამჯობინარო იყოს, ისე უნდა გაარიგოთ და ისე მოიქცეთ მაგრად და ფრთხილად და მტერს არა დაანებოთ რა“.¹

რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრული იყო ისიც, თუ რომელი სოფლის (ქალაქის) მოსახლეობას რომელი ციხისათვის უნდა შეეფარებინა თავი და ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი. პაპუნა ორბელიანი ნურსალბეგის 1755 წლის შემოსევისას ერეკლე II-ის მიერ განეულ თავდაცვით სამზადისს შემდეგნაირად აგვიწერს: „ნაბძანდა კახი ბატონი ერეკლე კახეთს, რა მიბძანდა თელავს, შემოიყარა ჯარი კახეთისა და აყარა კახეთი სულ და ციხეები გაამაგრა და ყოველს ციხეს ოთხ-ოთხის თვის თადარიგი დაუჭირა, აავსო პურით, ღვინით, აგრეთვე მეთოფითა და ტყვიის წამლითა“.²

ციხის უფროსები და სხვა პასუხისმგებელი პირები, ასევე ვალდებულები იყვნენ გასაჭირში ერთმანეთს მიშველებოდნენ. სურამზე ლეკების მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით, 1773 წლის 15 ივნისს მეფე ამილახვარს სწორედ ამ ფაქტის გამო საყვედურობდა: „ქ. სურამის მოურავმა რომ ციხეში დასაყენებელი კაცნი გთხოვათ, ლ[ვ]თის გულისათვის, როგორი საქმეა? რატომ არ გაუგზავნეთ? თხუთმეტი-ოცი კაცი რომ გაგეგზავნათ, რა იქნებოდა, როგორი ქვეყნის მოვლა არის? ახლავ ორმოცდაათი იყოს, სამოცი კაცი მიაშველეთ სურამს. გორიდან ტყვიანამალი გამოიტანეთ, თვითო ლიტრა წამალი თვითომ, ჩარექი იყოს – მეტი თუ ნაკლები – ტყვია აიკიდონ და ერთ ღამეს შევიდნენ სურამს. არაგვის მოურავიც მანდ არის, ზოგი კაცი მაგან, ზოგი თქვენ გამოარჩივთ კარგი კაცი და ახლავ გაისტუმრეთ. თუ ერთად იყვნეთ, გიორგი ერისთავო და ივანე მეითარო, ესენი ასე გაარიგეთ, რაც მოგვიწერია, თუ მანდ იყვნეთ, თუ არა და მაგათ გაარიგონ“.³

ციხეების დაცვა და წესრიგი სპეციალურად დანიშნულ მოხელეებს – მინბაშებს ევალებოდათ. მათ ეზარათ ციხის გასაღები და მისი ნებართვის გარეშე ციხეში შესვლა და იქიდან გასვლა არავის შეეძლო. გადმოცემით, ერთხელ გორში დაგვიანებით მისული ერეკლე, ციხის მცველებმა დიდხანს ალოდინეს, სანამ მინბაში არ მოვიდა.⁴ იმის გამო, რომ ციხე ქვეყნის დაცვასაც უზრუნველყოფდა, მინბაში ქალაქის შემოსავლის ნაწილსაც იღებდა. ციხის მცველები საკვებს მეფის ხაზინიდან იღებდნენ, ხოლო ადგილობრივი და მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ციხეს შეშითა და სხვა საჭირო მასალით ამარაგებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ციხისთავად დანიშნული პიროვნების ყმები თარხნდებოდნენ, რათა ისინი ციხისთავს ციხის დაცვაზე გამოეყენებინა. დადგენილი იყო მათი სამსახურის ვადაც, მაგ. რაინეგის ცნობით,

¹ ა. გაბჩივაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9-10 (დოკ. №2).

² პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ., 1981, გვ. 227.

³ ა. გაბჩივაძე. გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 11-12 (დოკ. №5).

⁴ ი. ბერძნიშვილი. გორის ციხე, თბ., 1961, გვ. 45.

გორის ციხის მეციხოვნეები ყოველ ოთხ კვირაში იცვლებოდნენ¹. ციხისთავი ციხის სრული ბატონ-პატრონი იყო და მეფური პატივით სარგებლობდა. გორის ციხის მინბაში სახელმწიფოს მიერ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და თავისი კაცები ჰყავდა დაყენებული მტკვრის პირას და ქალაქის ჭიშკრებთან, რომლებიც „სამინბაშო ბაჟს“ იღებდნენ. ბაჟი იკრიფებოდა ყველაფერზე, რასაც ვაჭრები გაატარებდნენ: ურემ ღვინოზე – ერთი ტიკი, ურემ ნახშირზე – ერთი კალათი და სხვ.² თუმცა, საუკუნის ბოლოს ბატონიშვილებს შორის არსებული დაპირისპირების გამო, მინბაშების ფუნქცია, ხანდახან კონკრეტულ პირებსაც ეკისრებოდათ.

მაგ. 1797 წლის 22 დეკემბერს იულონ ბატონიშვილი დარეჯან დედოფლის სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „...სურამის ციხეში შემსვლელ-გამომსვლელნი ...ოთხნი კაცნი არიან: ბებილაშვილი მღვდელი გიორგი, ტერ მიქელა, მამასახლისი გაბრიელა და ბერელაშვილი გაბრიელა. ამ ოთხს კაცს გარდა სურამელი კაცი ვერავინ შევა და ვერცავინ გამოვაო“.³ 1796 წელს თბილისში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით, იულონ ბატონიშვილი ოთარ ამილახვარს აფრთხილებდა, რომ გორში მკაცრი საკარანტინო ზომები შემოელო და ციხეში არავინ შეეშვა: „ქალაქის ამბავ შენ უკეთ გეცოდინება, მაგრამ ჩვენ ამას გნერთ, ამაზე არავინ მოგატყუოს რომ ქალაქში ჭირი არ იყოს. ხუმრობა არ არის გორში არავინ შეუშვათ ქალაქში ნამყოფი ხალხი, ან ნათესავ, ან მეგობარი, თორემ ჩვენს მესისხლეთ მოვიკითხავთ მანდედამ. ან პურს არ დაუნყონ ძლევა ან ღვინოს და ან მეგობრობით არავინ გაიფედეს და არავინ ნახოთ და თუ შეუტყოთ ვისმე, ნუღარც იმას შემოუშვებთ და სახლით და კარით აიკელით, სიფრთხილით მოიქეცითო“.⁴

ხელისუფლების მხრიდან მკვეთრად იყო გამიჯნული მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. როცა ნიკოლოზ მდივანბეგმა საკუთარ ძალაუფლებას გადაამეტა და სურამის მოურავი ციხეში აღარ შეუშვა, ერეკლეს რეაქციამ არ დააყოვნა: „...ახლა სურამის მოურავისა გვესმის, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებ და დაგითხოვნი; შენ მაგ ციხეში სულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდან უნდა გამოხვიდე, მამულები გაქვს და თქვენს მამულში, საცა გინდოდეს, მიბძანდი და დადეგო“.⁵ როგორც ცნობილია, ერეკლემ 1791 წელს მიიღო ცნობილი კანონი „საუფლისწულოების“ შესახებ. ამ დოკუმენტის ავ-კარგიანობაზე ბევრი ითქვა და დაინერა, ჩვენ მხოლოდ თავდაცვითი კუთხით განვიხილავთ მას. „ციხეებისაც ასე დაგვიწერია“, ბრძანებდა მეფე: „ქალაქის თბილისის ციხეები,

¹ იაკობ რაინესი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**. თბ., 2002, გვ. 149.

² **ე. მამისთვალიშვილი**. გორის ისტორია, ტ. I, გვ. 254.

³ **დ. გვრიტიშვილი**. გორის ისტორია, გვ. 134.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, ს. 3534.

⁵ **ე. თაყაიშვილი**. საქართველოს სიძველენი. ტ. III. ტფ., 1910, გვ. 171 (დოკ. №193).

გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიცა აქვთ და ნარიყალეები ცოტა კაცით შეინახება, ამ შვიდს ალაგას ნარიყალეებში საერთოდ კაცი უნდა ეყენოსთ, რათა ერთიც მოუნდესთ მცველად და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება ის სათემო არისო“.

როგორც ბრძანებიდანაც ჩანს, ერეკლე ქართლ-კახეთში 7 მთავარ ციხეს გამოარჩევს: თბილისის, გორის, სურამის, წირქოლის, ანანურის, ბოჭორმისა და გრემის. ჩვენი აზრით, ჩამონათვალს უნდა დაემატოს თელავისა და სიღნაღის ციხე-გალავნებიც. სურამის ციხე მტკვრისა და ბორჯომის ხეობით შემოსული მტრისაგან თავდასაცავად იყო გამიზნული, ამასთან სურამი გორისაკენ მომავალ გზასაც კეტავდა. გორის ციხე შიდა ქართლის მთავარი ციტადელი იყო, ვისაც გორი „ეჭირა“, ის ქართლის მფლობელადაც ითვლებოდა, ამდენად, ციხის სიმტკიცეს ერეკლე, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოტანილ საბუთებშიც.

წირქოლი ქსნის ხეობით წამოსული ლეკების მთავარი „შემკავებელი“ უნდა ყოფილიყო. მას ქსნის ქვემო წელის სოფლები და ქსნის ერისთავების რეზიდენცია – ახალგორიც უნდა დაეცვა. ანანური არაგვის ერისთავების მთავარი სიმაგრე იყო. იგი ერთდროულად უზრუნველყოფდა ჩრდილოეთიდან როგორც სამუხრანბატონოს, ისე თბილისის მოსახლეობის უშიშროებას.

თბილისი ქვეყნის დედაქალაქი, ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და ეკონომიკის მთავარი „ხერხემალია“. სწორედ აქ იყო თავმოყრილი საწარმოების (მათ შორის თავდაცვით სფეროში – თოფ-ზარბაზნის, თოფისწამლის და სხვ.) ძირითადი ნაწილი, ამიტომ მისი თავდაცვა ხელისუფლების უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა.

ბოჭორმას გარე-კახეთიდან, ან ცივ-გომბორიდან წამოსული მტერი უნდა შეეკავებინა და თბილისის უშიშროება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უნდა უზრუნველყო. თელავსა და ალავერდზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან წამოსული მტერი გრემის ციხეს ვერ ასცდებოდა, ამდენად მისი სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა კახეთის მთავარი ქალაქისათვისაც იყო მნიშვნელოვანი.

მტრის თავდასხმების შემთხვევაში ხსენებული ციხე-სიმაგრეებისათვის ახლომდებარე სოფლებიდან მოსახლეობის დახიზვნისა და თავდაცვითი ღონისძიებების გატარების მიზნით, დროული სიგნალის გადაცემა იყო საჭირო. გუშაგები ამას ძველი ტრადიციის მიხედვით, სათვალთვალ კოშკებზე ცეცხლის დანთებით აკეთებდნენ. კოშკები, როგორც წესი, იმ მდინარეთა ხეობებში (მტკვრის, ძამას, ფრონეს, ლიახვის, ტანას, თეძმის, ქსნის, არაგვის, ივრის და ა. შ. იხ: რუკა აქვე, დანართი № 1) სასიგნალო სისტემის ერთიან, უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდნენ. იქ, სადაც ციხე-კოშკის

აგება ვერ ხერხდებოდა, „სახელდახლო“ სათვალთვალოებს აგებდნენ.

აღნიშნული ციხეების ადგილმდებარეობის შესწავლისა და რელიეფზე დაკვირვების შედეგად, მათი სასიგნალო კავშირი შემდეგი პრინციპით უნდა განხორციელებულიყო: სურამის ციხე დასავლეთიდან ლიხის ქედით საიმედოდ იყო დაცული. მტკვრის ხეობიდან შემოსული მტრის შემთხვევაში სიგნალი მას პეტრეს ციხე – გოგიას ციხე – ახალდაბა – ქვიშხეთი – ცხრამუხას კოშკებით გადაეცემოდა. ძამის ხეობით წამოსული მტრის შემთხვევაში, სურამ-გორისათვის „მთავარი მესიგნალე“ საციციანოს „ჩამკეტი“ გვერძინეთის კოშკები იყო. ნიშანი პირველად ციციშვილების რეზიდენციას – ორთუბანს გადაეცემოდა, შემდეგ ყინწვისსამწვერისს, აქედან კი სურამ-გორისათვის სიგნალის გადაცემა ძნელი აღარ იყო.

გორის ციხეს სამაჩაბლოდან წამოსული მტრის შესახებ, სიგნალს ქემერტი-კეხვი-ფხვენისი-შინდისის კოშკები აძლევდნენ. დიდი ლიახვის ხეობას ჩრდილოეთიდან კეხვის ციხე კეტავდა. კეხვიდან სამხრეთით სიგნალი ფხვენის-შინდისს გადაეცემოდა. ფხვენისიდან კარგად ჩანს ამილახვრების მთავარი ციხე – სხვილო. იქიდან კი „აღმოსავლეთის სასიგნალო სისტემა“ იწყებდა მუშაობას. პატარა ლიახვის ხეობაში სიგნალის გადაცემა შემდეგნაირად ხდებოდა: ჯერ ფოხალის ციხეზე აინთებოდა ცეცხლი, შემდეგ მიყოლებით – ხადურთან კოშკზე, ერედვის ციხესა და მცხეთიჯვარზე, ხოლო იქიდან სიგნალი გორის ციხეს გადაეცემოდა.¹ ქართლის მთავარ ციხეს სამხრეთიდან (ტანის ხეობიდან) ნიშანს დანახვისი აძლევდა. კარგ ამინდში მასზე დანთებულ კოცონს თბილისიდანაც დაინახავდნენ, ხოლო ცუდი ხილვადობის პირობებში, დანახვისზე მიცემული სიგნალი უნდა შეემჩნიათ მუხრანბატონების მთავარ „დასაყრდენში“ – ქსნის ციხეში.

მტკვრის მარჯვენა ნაპირით თბილისისაკენ მტრის წასვლის შემთხვევაში სიგნალი მცხეთის „ჩამკეტი“ – ბებრის ციხეს გადაეცემოდა, აქედან კი თბილისის „საქმის კურსში ჩაყენება“ დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. ქსნის ციხე ჩრდილოეთით სიგნალს აძლევდა სამუხრანბატონოს ცენტრს – მუხრანს. მუხრანიდან ჩრდილოეთით ნიშანი ქსნის ერისთავების რეზიდენციას – ახალგორს გადაეცემოდა, დასავლეთით – გორს, ხოლო აღმოსავლეთით – თბილისს. ქსნის ხეობით წამოსული მტრის შემთხვევაში ლარგვისი – წირქოლი – ახალგორის სასიგნალო სისტემა ერთვებოდა. რაც შეეხება თერგ-არაგვის ხეობას, დარიალიდან ანანურამდე სათვალთვალო კოშკების უწყვეტი ჯაჭვია (ფანშეტი, სნო, სიონი, მლეთა და ა. შ.). სამხრეთ-აღმოსავლეთით თბილისისათვის სიგნალის მიცემას პატარძელის კოშკი უზრუნველყოფდა, ხოლო ცივ-გომპორიდან – ბოჭორმა.

თელავსა და სიღნაღს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ალაზნის ვაკე აკრავს და შესაბამისად, ხილვადობაც მეტია, ამიტომ ამ მხრიდან მტრის თავდასხმის შემთხვევაში, ციხეებს თავდაცვითი ზომების მიღება დროულად შეეძლოთ. თელავისა და ალავერდის მეციხოვნეებს ყვარელი – ნეკრესი –

¹ გ. სოსიაშვილი. ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან. თბ., 2011, გვ. 111.

გრემიდან მიღებული სიგნალიც დიდ სამსახურს უწევდა. ასე რომ სასიგნალო სისტემა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, საკმაოდ გონივრულად იყო შედგენილი, რაც ქვეყნის უშიშროების დამატებითი გარანტია იყო.

ქართლ-კახეთში საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობისა და მასში მოსახლეობის დახიზნვის ერთ მთლიან სისტემას გვთავაზობს იოანე ბატონიშვილი. იგი გარე კახეთიდან იწყება და ლიხის ქედით მთავრდება. ბატონიშვილის გეგმის მიხედვით, სიმაგრეები ისეთ ადგილებსა და იმგვარად უნდა აშენებულიყო, რომ მოსახლეობას მასში თავშეფარებისას შიში არ ჰქონიდა. ქიზიყის, საენდრონიკო, სავაჩნაძეო, ყანდაურას და ჯიმითის მოსახლეობა სიღნაღის ციხეში სრულად მოთავსდებოდა, მაგრამ მას განყოფილება ესაჭიროებოდა.

ნინოწმინდა, პატარძეული, ხაშმი, სართიჭალა და სხვა მეზობელი სოფლები საჭიროების შემთხვევაში ბოჭორმის ციხეში უნდა დახიზნულიყვნენ. ველისციხიდან თელავამდე მოყოლებული სოფლებისათვის კარგი სახიზარი იყო კალაურის მთა, მაგრამ იოანე ბაგრატიონი იქ ციხის აშენებასაც მიიჩნევდა მიზანშეწონილად. თელავის გარშემო ქიშტაურამდე სოფლებისათვის მთავარ სახიზრად თელავის ციხე ცხადდებოდა. ახმეტას, მატანს, ბახტრიონს, ლალისყურს საკუთრივ ჰქონდათ ციხე-სიმაგრეები და მოსახლეობას შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. ენისელსა და მის სამეზობლო წვრილ სოფლებს, საფრთხის შემთხვევაში, ენისის ციხეში შეეძლო შესვლა, მით უფრო თუ მას გააფართოებდნენ. სხვა მხრივ ციხე მკვრივი იყო და დახიზნულებს საფრთხე არ ემუქრებოდათ. შილდას, საბუეს და სხვა სოფლებს ყვარელამდე შილდის ციხისათვის უნდა შეეფარებინათ თავი, ხოლო ყვარელს, გავაზსა და სანავარდოს – ყვარლისათვის. თიანეთს, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ფშავის მხარეს მრავლად ჰქონდა სახიზარი, ამიტომ ამ მხარეს დამატებითი თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა არ იგეგმებოდა.

იოანე ბატონიშვილი თბილისსა და გორში საფორტიფიკაციო ნაგებობების დიდი რაოდენობით მშენებლობის ითვალისწინებს: „ტფილისის ქალაქს გაუახლდეს ციხე, გაამაგრონ შაიტახტი, მელიქის სასახლესთან კლდის ძირის კოშკი, კოჯრის კარზედ გაკეთდეს კარგი დიდი კოშკი, აგრეთვე დიღმის კარზედ და წყლის კარზედ გალავანი გაუახლდეს. ავანანთ ხევი ამოიწმინდოს და სხვა თხრილიც შეუერთდეს და ამას შიგნიდამ კიდე გაუკეთდეს ალიზის დაბალი გალავანი ჯებირად. მეტეხი გამაგრდეს კარგად. ავლაბრის ასავალს, დედოფლის სასახლის პირდაპირ, კირაკოზას ბალთან, იმ კლდეზედ დაიდგას კარგი ბურჯი დიდი სანგარივით. ერთიც ქვაბისთავს დაიდგას ამგვარი ბურჯი. წინ კლდეზედ, სადაც ასავალია, გალავანი გაეწოს. უკან მახათას მხარეს კარგი და დიდი თხრილი გაეწოს.

სუპკარაპეტის ხევიდამ, სადაც მტკვარს დაჰყურებს ძველი თხრილი, იმას შემოუარონ, შიგნიდამ გაეწოს გალავანი, გაუკეთდეს ხიდი სამსა თუ ოთხს ადგილს, ამასაც გაუკეთდეს სანგრები კოშკის სახედ და

ესე იქმნების ფრიად მაგარი. აქ დაიხიზნებოდეს სომხით-საბარათისშვილო, მარტყოფები, ნათლული, ავჭალა, დილომი, მცხეთა, და მძეგვი და სხვა წვრილი სოფლები.

...გორს გარშემო შემოევლოს დიდი და ღრმა თხრილი, შიგნიდან ამოვიყვანოთ დიდი გალავანი, ორს-ორს ადგილზედ გაუკეთოთ დიდრონი ბურჟები სანგრად, გარედამაც ამოვიყვანოთ მინის პირად კედელი და ესე ავაგსოთ ფშნების წყლით. ამ გალავანის კედლების გვერდზედ, გაუყოთ სახლების ადგილი თავადაზნაურთ, აგრეთვე გლახთა სახიზრად, გაკეთდეს ზეითი ციხე, კიდე რაც აკლდეს და გაიწყოს ესეც ამ სახედ¹.

ბატონიშვილის გეგმის მიხედვით, მცხეთიდან გორამდე მტკვრის სანაპიროზე საჭირო ადგილებში გალავანი უნდა აშენებულყო, ხოლო იქ, სადაც ბუნებრივი ზღუდეები ამის საშუალებას იძლეოდა, წყლის პირები იმგვარად უნდა დაფლავებულიყო, რომ კაცს ამოსვლა ველარ შეძლებოდა.

ასეთივე ბუნებრივი წინააღმდეგობანი უნდა შექმნილიყო მცხეთიდან არაგვის ხეობაში ანანურსა და ჟინვალის ხიდანდე. ეს ბუნებრივი ციხე-სიმაგრე თავისუფლად დაიტევდა ქართლის მთელი ვაკის მოსახლეობას თავისი საქონლით. მხოლოდ რამდენიმე ადგილას უნდა დაეტოვებინათ ფონი და გასასვლელი გზა. საჭიროების შემთხვევაში არაგვის ხეობა საზრდოს მოპოვების საშუალებასაც იძლეოდა, ადგილზე სამშენებლო ქვაც ბლომად მოიპოვებოდა და კირის გამონვაც გაზაფხულიდან – შემოდგომამდე სხვადასხვაგან შეიძლებოდა. კაიშაურის კართან იგეგმებოდა ქალაქის აშენება. მასში სომხები უნდა ჩაესახლებინათ და ათი წლით გაეთარხნებინათ. ამ საქმეში მათთვის მუშა-კაცი უნდა დაეხმარებინათ. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ „მთის კაცთან ვაჭრობის გამართვა“. ქართლის დასავლეთ ნაწილში ძლიერ ნაგებობას წარმოადგენდა სურამის ციხე, რომელიც ახლომდებარე მოსახლეობას სააბაშიო-ქვეფინისხევის ჩათვლით შეეძლო სახიზრად გამოეყენებინა.

იოანე ბაგრატიონი არა მარტო ქვეყნის გეოგრაფიის კარგ ცოდნას ამჟღავნებს, არამედ საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაშიც ღრმად განსწავლული ჩანს, მაგრამ იმ დროინდელ საქართველოში არსებული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ პროექტის განხორციელება, მით უფრო მოსახლეობის ხარჯზე, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაგ. როდესაც ერეკლემ მეტეხელებს დაზიანებული ციხის აღდგენა მოსთხოვა, მაშინვე თავის „უილაჯობაზე“ შესჩივლეს: „მოგეხსენებათ ჩუენი ცხოვრება, რომ თუ არ დაჭირება, თორემ აქ მართებული კაცი ვინ დადგება და ან ვინა დგას, თითო საქათმესა გავს, ქოხებში ვყრივართ, დღიურად ვრჩებით, მწარედ უილაჯონი და გლახები. ახლა ოქმი გიბძანებია, რომ მეტეხის ციხის ზეით კედელია გადაქცეული,

¹ **იოანე ბაგრატიონი.** სჯულებდა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ., 1957, გვ. 51-54.

მეტეხელებმა უნდა ა[ა]გონო. ჩემო ხელმწიფე იმას ორმოც-სამოცი თუმანი ვერ არგებს და ჩუენ სულ დავიციდნეთ, ორმოც თუმანს არავინ მოგუცემს, წყალში თუ ჩავცუივით, თორემ ამის შეძლება ვისა გუაქუს. ლ`თი გაგიმარჯუებს და გაცოცხლებს, ამის უსამართლოს ნუ გუიზამთ, ჩუენი ცხოვრება მოიხსენე და ისე გუიბძანე. ლ`თი შვილებს გიცოცხლებსთო“.¹

მოსახლეობის უსახსრობა მათი ვალდებულებების შეუსრულებლობასაც იწვევდა. გორის ციხის მინბაში – დიმიტრი დიასამიძე 1794 წლის 10 იანვარს ერეკლესთან ჩიოდა: „...გორის ციხის დებულება სალბაში და თითო-ოროლა ღერი შეშა არის ურემზედ, რომ მეციხოვნე ცეცხლს აინთებს და იცხოვრებს, აღარც გორელები მაძლევენ შეშას, აღარც სალბაშს ქარელენი და მეტეხელებიო“. ერეკლე იძულებული გამხდარა ურჩ მოსახლეობას იასაულებით დამუქრებოდა².

1780 წელს თუმანიშვილები და მათი გლეხები ერეკლესთან ჩიოდნენ, რომ თავდაცვითი ნაგებობის გარეშე დარჩნენ, მეზობლებმაც ბედის ანაბარად მიატოვეს და სანაცვლო დახმარებას ითხოვდნენ: „...მერმე ამას მო[გახსენებთ] რომ ამდენი სული ასე უსიმაგროვოთ ვყრივართ. [ცოტა რამ] ვიცოდვილეთ, გავაკეთეთ. ნახევარი ხალხი აიყ[არა] აღარავინ დავრჩით. აღარ შეგვიძლია მარტოკა გა[კე]თება. ამ მოწყალეობას ვითხოვთ: ჩვენც მრავალს კაცს დავხმარებივართ ურმითაც, გუთნითაც, მუშითაც და სხვანიც მოგვემარნენ. ნახევარზედ გაკეთებული გვაქვს და ველარ შევიძელით თორემ თავს არ შეგანყენდით ქართლისა შესამატისნი ვართ, მუდამ შინ გვიდგანან ჯარათ თუ მგზავრათა, ჩვენც თითო ოროლა დღეს მოგვემარნენ, თუ არავინ მოგვემარებიან, დღეის იქით აღარცავის ჩვენ მივემარებით. ამდენის სულის ქრისტიანის მაღლი გეყოფათ, ჩვენო მოწყალევ რომ ერთი სიმაგრე რამ გავგიკეთდესო“.³

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა-განახლების თვალსაზრისით ერეკლე II-ის თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, ციხე-კოშკები და გალავნები, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მოსახლეობის თავდაცვას უზრუნველყოფდნენ, ამდენად, ვერც „ლეკიანობის“ წარმოშობის მიზეზებს სპობდნენ და ვერც ქვეყნის განვითარება ხერხდებოდა.

¹ ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 50 (დოკ. №65).

² ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1985, გვ. 253 (დოკ. №241).

³ გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 7782/4; ფ. 385.

JOSEB ALIMBARASHVILI

“LEKIANOBA” AND THE FORTIFICATION SYSTEM OF KARTLI-KAKHETI

The article deals with the fortifications system in the kingdom of Kartli-Kakheti in the second half of the 18th century that acquired special importance against “Lekianoba” – one of the most painful questions of the mentioned time. In the 16th-18th centuries, Lower Kartli and Outer Kakheti became the main fields for the numerous battles against the enemy. Iran (Persia) with Ottoman Empire made another confronted side though by the second half of the 18th century the kingdom of Kartli-Kakheti had already thrown the yoke of their supremacy and only suffered from the constant attacks from Daghestanian feudals. All these circumstances resulted in the development of fortifications system at the boarding areas where the Lezghin raids were expected more. If before that the Georgians were using the fortified castles and towers in deep gorges and dense forests to make them invisible from the enemy, now the existence of such defensive buildings became necessary in each town and village, especially near the densely populated areas, fields, and vineyards in order to provide local residents with a better possibility of faster and timely evacuation. The architecture got changed time by time: right-angled shapes got replaced by the round ones and mountains and gorges by plains and populated areas. Though the new constructions were characterized by less solidity, they provided a good opportunity to notice approaching enemy and timely take the relevant measures.

თნის კარზე დაიწყო სამსახური. დროთა განმავლობაში მესამე ვეზირის თანამდებობამდე დაწინაურდა. 1604 წელს ეგვიპტის, ხოლო 1605 წელს ბელგრადისა და ბოსნიის მმართველად დაინიშნა. 1608 წელს დამასკოს გუბერნატორია (ვალი). 1610 წელს მიიღო დიდვეზირის კანცელარიის უფროსის თანამდებობა, 1617 წელს კი დაინიშნა მეორე ვეზირად და სტამბოლის გუბერნატორად.¹

1622 წ. 21 სექტემბერს, სულთანმა მუსტაფა I გურჯი მეჰმედ ფაშას დიდვეზირის თანამდებობა უბოძა. თანამედროვენი ახალ დიდვეზირს ახასიათებდნენ როგორც სახელმწიფო საქმეებში უაღრესად გამოცდილ და იმპერიის ყველაზე ავტორიტეტულ სახელმწიფო მოხელეს.² გურჯი მეჰმედ ფაშამ ოსმალეთის იმპერიაზე დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმების შესაჩერებლად ქმედითი ღონისძიებები გაატარა. კაზაკები თავიანთი სწრაფლმავალი ნაგებობით – „ჩაიკებით“ თავს ესხმოდნენ ოსმალთა სავაჭრო ხომალდებს შავ ზღვაზე, არბევდნენ დიდ ქალაქებს ტრაპიზონს, სამსუნს და სტამბოლსაც კი. სტამბოლში იძულებულნი გახდნენ ოქროს ყურეზე რკინის ჯაჭვი გაებათ „ჩაიკების“ დასაბრკოლებლად. გურჯი მეჰმედ ფაშამ ორგანიზება გაუკეთა ოსმალთა ფლოტის შეტევას კაზაკებზე, რამაც დედაქალაქი საფრთხისგან იხსნა.

გურჯი მეჰმედ ფაშას დიდვეზირობის დროს სტამბოლში ჩამოვიდნენ უცხოეთის ელჩები, რომელთანაც მან აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ამ დროსვე იმყოფებოდა ოსმალეთში კახეთის მეფე თეიმურაზი, რომელსაც ოსმალეთის მოკავშირეობა სურდა ირანის წინააღმდეგ. ჩვენთვის უცნობია გურჯი მეჰმედ ფაშას დამოკიდებულება ქართველი მეფისადმი, მაგრამ იმდროისათვის შიდაარეულობით მოცუული ოსმალეთი ობიექტურად დაინტერესებული იყო ირანთან მშვიდობის შენარჩუნებით, ამიტომ თეიმურაზის ვიზიტს სტამბოლში მისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.³

გურჯი მეჰმედ ფაშას დიდვეზირობის პერიოდში, არზრუმის გუბერნატორ აბაზა მეჰმედ ფაშასა და იენიჩართა რაზმებს შორის მომხდარ დაპირისპირებას დიდი არეულობა მოჰყვა. სულთნის კარმა არზრუმის გუბერნატორს დააკისრა პასუხისმგებლობა და გაანთავისუფლა თანამდებობიდან, თუმცა აბაზა ფაშა სულთნის ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და აჯანყდა. აბაზა ფაშა, დიდვეზირის ძმის, ჰუსეინ ფაშას სიძე იყო. იენიჩართა უკმაყოფილებას ეს გარემოებაც იწვევდა და ისინი ჰუსეინ ფაშას მეთაურობით გუბერნატორის მფარველობაში ადანაშაულებდნენ. დიდვეზირის პოლიტიკით შევიწროებულებს კარგი საბაბი მიეცათ მის წინააღმდეგ გალაშქრებისთვის. სტამბოლში არეულობამ იჩინა თავი.

¹ **Hasan Beyzade Ahmet Paşa.** Hasan Beyzade Tarihi. Hz. Şevki Nezihi Aykut. C. 3. Ankara, 2004, გვ. 832, 877.

² **Peçevi İbrahim Efendi.** Peçevi Tarihi. Hz. Bekir Sıtkı Baykal. C. 2. Ankara, 1999, გვ. 391.

³ **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია, გვ. 199-200.

შფოთისთავების დასაშოშმინებლად დიდვეზირმა ბრძანება გასცა, ხალხისთვის საძულველი რამოდენიმე მოხელე სიკვდილით დაესაჯათ, თუმცა იენიჩარებს დედაქალაქში წესრიგის დამყარება სულაც არ სურდათ, მათ მიზანს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება და დიდვეზირის გადაყენება წარმოადგენდა. იენიჩართა რაზმებმა სულთნის სასახლის იერიშისათვის დაიწყეს მზადება და ულტიმატუმის ფორმით დიდვეზირის გადაყენება მოითხოვეს. შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში, დიდვეზირმა ამჯობინა დაეთმო ამბოხებულთათვის და 1623წ. 5 თებერვალს დიდვეზირობიდან გადადგა. გურჯი მეჰმედ ფაშა ქ. ბურსაში გადასახლეს, თუმცა ახალმა სულთანმა მურად IV-მ ის მალე კვლავ დააბრუნა სტამბოლში და ქალაქის გამგებლობა ჩააბარა. იენიჩარები ვერ შურიგდნენ მათთვის საძულველი ფაშას კვლავ აღზევებას. ისარგებლეს რა იმით, რომ სულთანი ბაღდადის დასალაშქრად გაემართა, იენიჩარებმა მეჰმედ ფაშას ბრალად სახელმწიფო ღალატი დასწამეს და 1625 წელს სიკვდილით დასაჯეს. მეჰმედ ფაშა დაკრძალულია სტამბოლში, ეიუბის მეჩეთის ეზოში.¹

დიდია გურჯი მეჰმედ ფაშას დამსახურება ოსმალეთის სახელმწიფოს წინაშე. გარდაცვალებისას 90 წელს მიტანებული იყო და აქედან 70 წელზე მეტი იმპერიის სამსახურში გაატარა, ქართველი ტყვე-ბიჭი უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე – დიდვეზირობამდე აღზევდა.² უცხოელი ელჩები მალალ შეფასებას აძლევდნენ მას როგორც სახელმწიფო მოღვაწესა და დიპლომატს. პოლონეთის ელჩი სულთნის კარზე კ. ზბარაჟევსკი აღნიშნავდა, რომ საერთო აზრით დიდვეზირი არაჩვეულებრივი გონების ადამიანი იყო.³

კოჯა გურჯუ მეჰმედ ფაშა (Koca Gürcü Mehmet Paşa). ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული დიდვეზირი მეჰმედ ფაშა, უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნისას (1651 წ.) 94 წლის იყო. ყმანვილობიდანვე სულთნის სასახლეში იზრდებოდა, გაიარა ოსმალეთის სამხედრო-ადმინისტრაციული იერარქიის ყველა საფეხური. 1620 წელს სასახლის მცველთა უფროსად დაინიშნა, ასრულებდა რუმელიის ბეგლარბეგის, დამასკოსა და ალეპოს გუბერნატორის მოვალეობებს. 1636 წელს მისი ხელმძღვანელობით გაამაგრეს ახალციხის სიმაგრეები. იმპერიის სხვადასხვა მხარეების გუბერნატორის თანამდებობაზე მან მთლიანობაში ოცდახუთ წელიწადამდე დაჰყო.⁴

1651 წ. 27 ივლისს სულთანმა მეჰმედ IV-მ მეჰმედ ფაშა დიდვეზირად დანიშნა. დიდვეზირს ასაკისა და სახელმწიფო საქმეებზე უდიდესი

¹ **Uzunçarşılı İsmail Hakkı.** Osmanlı Tarihi. C. III/II. Ankara, 1995, გვ. 378.

² **Danişmend İsmail Hami.** İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi. İstanbul, 1950, გვ. 503.

³ **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია, გვ. 200.

⁴ **Silahtar Fındıklılı Mehmet Ağa.** Nusretname, Hz. İsmet Parmaksızoğlu, C. 2. Ankara, 1966, გვ. 21.

გავლენის გამო კოჯა გურჯუ მეჰმედ ფაშას უწოდებდნენ (თურქულად კოჯა ნიშნავს მოხუცებულს და ძლიერ, გავლენიან ადამიანსაც – **ზ.წ.**). მისი თანამემამულე და სეხნია მეჰმედ ფაშასგან განსხვავებით, მემამბოხე იენიჩარები მას წინააღმდეგობის განწევას ვერ უბედავდნენ. კოჯა გურჯუ მეჰმედ ფაშა ხშირად იმეორებდა, რომ ოსმალეთის სახელმწიფოში მასზე ასაკოვანი სახელმწიფო მოხელე არავინ დარჩა და სულთნის ქვეშემრდომებს ისლა დარჩენიათ, მის სიბერეს სცენ პატივი და განკარგულებებს დაემორჩილონ.¹ დიდვეზირობის პერიოდში მან ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა, მაგრამ სასახლის კარზე აღზევებული მედროვეების სიძულვილიც დაიმსახურა.²

1652 წ. 20 ივნისს, სასახლის კარის ინტრიგების შედეგად სულთანმა მეჰმედ ფაშა დიდვეზირობიდან გაანთავისუფლა. ერთხანს დაპატიმრებულიც იყო, თუმცა, შეიხულისლამის (ოსმალეთის უმაღლესი სასულიერო პირი – **ზ.წ.**) შუამდგომლობით გაანთავისუფლეს, მაგრამ სტამბოლში ცხოვრება კი აუკრძალეს. სასახლის კარზე მისი მოწინააღმდეგენი შიშობდნენ, რომ მეჰმედ ფაშა ისევ შეძლებდა სულთნის კეთილგანწყობის მოპოვებას და მეორედ გავეზირებას, ამიტომ 1653 წელს ტიმიშოარის, ორი წლის შემდეგ კი კვიპროსის გუბერნატორად გააგზავნეს. კოჯა გურჯუ მეჰმედ ფაშა კვიპროსში 1662 წელს, 104 წლის ასაკში გარდაიცვალა.³

კოჯა გურჯუ მეჰმედ დიდვეზირობა ცხრა თვე გაგრძელდა. მის სახელთან არის დაკავშირებული ქ. არზრუმში ერთმინარეთიანი მეჩეთის მშენებლობა. ეს მეჩეთი აშენდა გურჯუ მეჰმედ ფაშას განკარგულებით 1648 წელს და ამჟამად მდებარეობს ქალაქ არზრუმის ცენტრში, სულთან მელიქის უბანში.⁴

გურჯუ ალა იუსუფ ფაშა (Gürcü Ağa Yusuf Paşa). ოსმალეთის იმპერიის იენიჩართა კორპუსის მეთაურის და დიდვეზირის იუსუფ ფაშას აღმავლობა და დაცემა დაკავშირებულია რუსეთ-ოსმალეთის 1710-1711 წლების ომთან. იენიჩართა კორპუსი იყო გამუსლიმებული ქრისტიანებისაგან შემდგარი, სულთნის პირადი გვარდია, ოსმალეთის პირველი რეგულარული, პროფესიული სამხედრო შენაერთი. აქ მსახურობდნენ ბალკანეთის და კავკასიის ქრისტიანული ოჯახებიდან წამოყვანილი, გამუსლიმებული და სულთნის პირად ერთგულებაზე აღზრდილი ყმანვილები. იუსუფმა იენიჩართა კორპუსში სამხედრო კარიერის ყველა საფეხური გაიარა და 1710 წელს კორპუსის მეთაური (ალა) გახდა, ხოლო 1711 წელს ვეზირის ტიტული მიიღო. იენიჩართა კორპუსის მეთაურის რანგში იგი თან ახლდა რუსეთის იმპერატორის პეტრე I-ის წინააღმდეგ მებრ-

¹ Mehmet Halife. Tarih-i Gilmani. Hz. Kamil Su. Ankara, 1999, გვ.108.

² Silahtar Fındıklılı Mehmet Ağa. Nusretname., გვ. 211.

³ Silahtar Fındıklılı Mehmet Ağa. Nusretname., გვ. 211.

⁴ Silahtar Fındıklılı Mehmet Ağa. Nusretname., გვ. 212.

ძოლ დიდვეზირ ბალთაჯი ფაშას.¹ 1711წ. ივლისში მდ. პრუტთან გამართული საბრძოლო მოქმედებების დროს რუსეთის არმია ოსმალთა ალყაში აღმოჩნდა და იმპერატორ პეტრეს სამარცხვინო ტყვეობა, რუსულ არმიას კი განადგურება ელოდა, მაგრამ მოულოდნელად დიდვეზირი და მთავარსარდალი ბალთაჯი ფაშა დაეთანხმა რუსების წინადადებას დაზავების შესახებ. როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, ბალთაჯი ფაშამ ამისათვის რუსებისაგან დიდი ოდენობის ქრთამი აიღო.²

რუსეთთან პრუტის ზავის შედეგებით უკმაყოფილო სულთანმა დიდვეზირი ბალთაჯი ფაშა თანამდებობიდან გაანთავისუფლა და დიდვეზირად 1711 წ. 9 ნოემბერს, იენიჩართა კორპუსის პოპულარული მეთაური იუსუფ ფაშა დანიშნა. ჯარში ბალთაჯი ფაშას მომხრეებს შორის უკმაყოფილებას რომ არ ეჩინა თავი, გადაწყდა, დიდვეზირის ბექედი და ოფიციალური უფლებამოსილება იუსუფ ფაშას გადასცემოდა ჯარის სტამბოლთან მოახლოებისას, ქ. ედირნეში შემოსვლის შემდეგ. ქ. ედირნეში დიდვეზირად გამოცხადების შემდეგ, იუსუფ ფაშამ უზრუნველყო ჯარის დედაქალაქში მშვიდობიანად შემოსვლა და შესაძლო უნესრიგობების თავიდან არიდება.

პრუტის ზავის პირობების შესრულებას რუსეთი არ აპირებდა, ამიტომ სულთანმა დიდვეზირ გურჯუ ალა იუსუფ ფაშას რუსეთთან ომის განახლება უბრძანა. დიდვეზირი სულთნის გადაწყვეტილებას შეენიანაღმდეგა და განუცხადა, რომ წინა წელს რუსეთთან ომის შედეგად დასუსტებული ოსმალეთის არმია ბრძოლისათვის ჯერ მზად არ იყო. ამასთან, დიდი ვეზირი მოითხოვდა ოსმალეთიდან შვედეთის მეფის კარლოს XII გაძევებას, რადგან მას რუსეთთან ოსმალეთის დაპირისპირების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა. სულთანმა დიდვეზირს ურჩობა არ აპატია და 1712 წ. 11 ნოემბერს დიდვეზირობიდან გაანთავისუფლა. სულთნის რისხვა ამითი არ დამცხრალა. იუსუფ ფაშა კ. როდოსზე გადაასახლეს, სადაც 1714 წ. სულთნის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.³

თანამედროვენი იუსუფ ფაშას ახასიათებდნენ როგორც პირადი სიმამაცით გამორჩეულ და სამხედრო საქმის უზადოდ მცოდნე სარდალს, თუმცა აღნიშნავენ, რომ ფაშასთვის უცხო იყო სულთნის კარის ინტრიგები და პოლიტიკის ხელოვნება. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი წყაროს ცნობით, ქართველმა იუსუფ ფაშამ თურქული ენაც კი არ იცოდა ხეირიანად. თანამედროვენი ხაზს უსვამდნენ მის პირდაპირობას და გულწრფელობას სახელმწიფო საქმეებში და მოურიდელობას, რამაც საბოლოოდ სულთნის რისხვა და იუსუფ ფაშას დაღუპვა გამოიწვია.⁴ სტამბოლის აკსარაის რაიონში არის იუსუფ ფაშას უბანი. იქვეა იუსუფ ფაშას მიერ აშენებული სკოლა და შადრევანი.⁵

¹ **Danişmend İsmail Hami.** İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, გვ. 510.

² **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია, გვ. 229.

³ **Uzunçarşılı İsmail Hakkı.** Osmanlı Tarihi. C. III/II., გვ. 295-296.

⁴ **Silahtar Fındıklılı Mehmet Ağa.** Nusretname., გვ. 271-287.

⁵ **Mustafa Aydın.** Dünden Bugüne Fatih. İstanbul, 2001, გვ.180.

სილაჰდარ სულეიმან ფაშა (Silahdar Süleyman Paşa). სილაჰდარ სულეიმან ფაშა, ისევე როგორც გამორჩეული ქართველი ტყვე-ბიჭები, ოსმალეთის სულთნის კარზე სამხედრო სამსახურისათვის იქნა გამწესებული. სპეციალური განათლების მიღების შემდეგ დანიშნა და სულთან აჰმედ III-მ მას ჯერ პირადი იარაღის მცველის (სილაჰდარის) ტიტული, 1705 წელს კი ვეზირობა მიანიჭა. 1705-1709 წლებში იყო ალექსანდრე კვიპროსის გუბერნატორი. 1709 წელს ნიშანჯის (სულთნის კანცელარიის უფროსი) თანამდებობაზე დაინიშნა. 1712წ. 12 ნოემბერს სულთანმა აჰმედ III-მ სულეიმან ფაშა დიდვეზირად დანიშნა. მან ასევე ქართველი წარმოშობის დიდვეზირი იუსუფ ფაშა შეცვალა.

მისი ხანმოკლე (6 თვიანი) დიდვეზირობის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსებისგან ოსმალეთში გამოქცეული შვედეთის მეფის კარლოს XII-სთან დაკავშირებული ინციდენტი. რუსეთ-ოსმალეთის ზავის მიხედვით, სულთნის მოკავშირე შვედეთის მეფეს ოსმალეთი უნდა დაეტოვებინა, თუმცა კარლოსი სამშობლოში დაბრუნებას არ ჩქარობდა. დიდვეზირმა უზრუნველყო შვედეთის მეფის ეღირნედად დიმიტოკაში (თანამედროვე საბერძნეთი) გადაგზავნა, თუმცა ამან მეფის იძულებით გასახლების ფორმა მიიღო, რამაც სულთანი, როგორც მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. აჰმედ III-მ დიდვეზირი დაადანაშაულა სულთნის სტუმარი შვედეთის მეფისადმი არასაპატიო მოპყრობაში და 1713 წ. 6 აპრილს თანამდებობიდან გაანთავისუფლა. სულთანი სილაჰდარ სულეიმან ფაშას ჯერ კიდევ ნდობას უცხადებდა, ამიტომ ოსმალეთის ფლოტის აღმირალად დანიშნა, თუმცა სულთნის წყალობა მალევე რისხვით შეიცვალა, სილაჰდარ სულეიმან ფაშა კ. როდოსზე გააგზავნეს, სადაც 1715 წელს სიკვდილით დასაჯეს.¹

გურჯუ ისმაილ ფაშა (Gürcü İsmail Paşa). იუსუფ ფაშას მსგავსად, ოსმალეთის იმპერიის ქართველი წარმოშობის მეხუთე დიდვეზირმა გურჯუ ისმაილ ფაშამ სამხედრო-პოლიტიკური კარიერა იენიჩართა კორპუსში დაიწყო. სხვადასხვა სამხედრო-ადმინისტრაციულ თანამდებობზე ათეული წლების სამსახურის შემდეგ, 1731 წელს იენიჩართა კორპუსის მეთაური (ალა) გახდა. მალევე მიიღო ვეზირის ტიტული. 1732-1733 წლებში იყო რუმელიის ბეგლარბეგი და ტრაპიზონის გუბერნატორი. 1734 წელს ბალდადის გუბერნატორად დაინიშნა.²

1735წ. 12 ივლისს სულთანმა მაჰმუდ I-მა ისმაილ ფაშა დიდვეზირის თანამდებობაზე დანიშნა. გურჯუ ისმაილ ფაშამ დიდვეზირობის ექვსი თვის განმავლობაში განახორციელა რეფორმები საფინანსო სფეროში, შეზღუდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების ხარჯები, შეამცირა მათთვის გამოყოფილი ცხენების რაოდენობა. ისმაილ ფაშას საქმიანობ-

¹ G. V. İnciyan. Boğaziçi Sayfıyeleri. Hz. Orhan Duru. İstanbul, 2000, გვ. 38.

² Abdi Tarihi. Hz. Faik Reşit Unat. Ankara, 1943, გვ. 59, 63.

ით უკმაყოფილო წრეებმა მას კორუფციაში დასდეს ბრალი, რის შედეგად სულთანმა 1735წ. დეკემბერში დიდვეზირობიდან გაანთავისუფლა, ხოლო მის ქონებას ყადაღა დაადო.¹

ისმაილ ფაშა სულთნის განკარგულებით სტამბოლიდან გადაასახლეს, ორი წლის განმავლობაში მსახურობდა კ. როდოსზე და და კ. კრეტაზე სამხედრო რაზმის მეთაურად. გარდაიცვალა კ. კრეტაზე 1738 წელს სავარაუდოდ 75 წლის ასაკში.²

კოჯა იუსუფ ფაშა (Koca Yusuf Paşa). ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, ქართული წარმოშობის დიდვეზირ კოჯა იუსუფ ფაშას ორჯერ (1786-1789 და 1791-1792წწ.) ეკავა უმაღლესი სახელმწიფო პოსტი. საქართველოდან ოსმალეთში ტყვე ბიჭად გაყიდული იუსუფი (იოსები) სტამბოლის სამხედრო ნავსადგურის უფროსის ჰასან კაპტანის ზედამხედველობის ქვეშ გადიოდა სამხედრო წვრთნა-განათლებას. ზამთრობით პატარა იუსუფი სტამბოლის კასიმფაშას უზნის ყავახანებში ყავას დაატარებდა, ზაფხულობით კი აღმზრდელის გემზე სამხედრო და სავაჭრო ექსპედიციებში იღებდა მონაწილეობას. იუსუფს მფარველობას უწევდა ოსმალეთის ფლოტის ცნობილი ადმირალი და მომავალში დიდვეზირი ჯეზაირლი ლაზი ჰასან ფაშა, (ზოგიერთი ცნობით, ჩერქეზული წარმოშობის იყო), რომელმაც იუსუფს საკუთარი ქონების ნაწილი გადასცა და მის სამხედრო კარიერულ წინსვლაშიც ხელს უწყობდა.³

1786 წ. 25 მარტს სულთანმა აბდულჰამიდ I-მა, იმ დროისათვის მორას გუბერნატორი და ვეზირის ტიტულის მფლობელი იუსუფ ფაშა დიდვეზირად დანიშნა. ახალმა დიდვეზირმა საქმიანობა სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვისა და დანახარჯების მონესრიგებით დაიწყო, ასევე განახორციელა სულთნის სახელმწიფო კანცელარიის რეფორმა.⁴ იუსუფ ფაშას პირველი დიდვეზირობის (1786-1789წწ.) განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მთავარი პრობლემა ყირიმის საკითხი იყო. 1783 წელს ყირიმის სახანო რუსეთის იმპერიამ მიიერთა. ოსმალეთი ყირიმის დაკარგვას ვერ ეგუებოდა. დიდვეზირი ერთის მხრივ არმიისა და მეორის მხრივ ინგლისის და პრუსიის ნაქეზებით, რუსეთთან ახალი ომისაკენ იხრებოდა. სულთანი აბდულჰამიდი კი რუსეთთან ომის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

1786 წელს რუსეთმა სტამბოლში მოლაპარაკებებისთვის მიავლინა გამოცდილი დიპლომატი სერგი ლაშქაროვი (ბიბილური), რომლის მონაწილეობით მოხდა ყირიმის შემოერთება რუსეთისათვის. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ელჩი, ქართველი ლაშქაროვი, სულთნის დიდ-

¹ **Uzunçarşılı İsmail Hakkı.** Osmanlı Tarihi. C. III/II., გვ. 340.

² **Uzunçarşılı İsmail Hakkı.** Osmanlı Tarihi. C. III/II., გვ. 340.

³ **Ahmet Cevdet Paşa.** Tarih-i Cevdet. Hz. Dünder Günday. C.1-6. C. 4. İstanbul, 1993, გვ. 1776.

⁴ **Ahmet Cevdet Paşa.** Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 792, 796.

ვეზირს, ასევე ქართველს კოჯა იუსუფ ფაშას უსაბუთებდა, რომ ყირიმი და საქართველო ისტორიულად არ ეკუთვნოდა ოსმალეთს. ელჩმა თავისი თანამემამულე დიდვეზირი ამაში ვერ დაარწმუნა. 1787 წ. ივლისში დიდვეზირმა რუსეთს ულტიმატუმი წარუდგინა, რომლის ერთ ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რუსეთს გაეუქმებინა ერეკლე მეფესთან დადებული გიორგიევსკის ტრაქტატი და გაეყვანა სამხედრო ნაწილები საქართველოდან.

მიუხედავად ამისა, რომ სულთანი რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყო, ის იძულებული გახდა ჯარისა და უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების ერთსულოვანი მოთხოვნისათვის ანგარიში გაენია და 1787 წ. 27 აგვისტოს ომი გამოეცხადებინა.¹ კოჯა იუსუფ ფაშას ბრძანებით, დალესტანში ჩერქეზეთსა და ყაზარდოში სულთნის ფერმანები და საჩუქრები დაიგზავნა მთიელთა ბელადების მოსაქრთამად და რუსეთის წინააღმდეგ ომში გამოსვლისათვის.² ომში რუსეთის მხარეზე ავსტრია ჩაერთო, რამაც ოსმალეთის არმიას ორ ფრონტზე ბრძოლა აიძულა. თუმცა ოსმალებმა 1788 წელს დიდი ვეზირის სარდლობით, ავსტრიელებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, ორად გაყოფილ არმიას რუსების მოგერიების ძალა უკვე აღარ შესწევდა. 1788 წ. დეკემბერში რუსები შეტევაზე გადავიდნენ, ოჩაკოვის (ოზი) ციხესიმაგრე აიღეს და უმოწყალოდ გაუსწორდნენ ციხის გარნიზონს. აქ ოსმალებმა 25 ათასამდე კაცი დაკარგეს, რაც არმიის კატასტროფას ნიშნავდა. სულთანმა იმდენად მძიმედ განიცადა ოზის ტრაგედია, რომ დამბლა დაეცა და 1789 წ. 7 აპრილს გარდაიცვალა. სულთნის გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ ახალმა სულთანმა სელიმ III -მ იუსუფ ფაშა დიდვეზირობიდან გაანთავისუფლა და ვიდინის (თანამედროვე ბულგარეთში) გამგებლად დანიშნა.³

რუსეთ-ოსმალეთის ომი ოსმალეთისათვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. დიდვეზირ რუსჩუკლუ ჰასან ფაშათი უკმაყოფილო არმიამ და უმაღლესმა სახელმწიფო მოხელეებმა მისი გადაყენება მოითხოვეს. სულთანმა სელიმ III- მ გადანყვიტა დიდვეზირობა და ჯარის მთავარსარდლობა ისევ იუსუფ ფაშასთვის ჩაებარებინა. 1791 წ. 27 თებერვალს იუსუფ ფაშა მეორედ გახდა დიდვეზირი. ამ დროისათვის იუსუფ ფაშა ბოსნიის გუბერნატორის თანამდებობაზე იმყოფებოდა. ფადიშაჰის ოფიციალურ ბრძანებასთან ერთად ფაშას გადასცეს სელიმის პირადი განკარგულებაც არმიის სიმშვიდის დამყარებისა და რუსეთთან ომის სწრაფად დამთავრების აუცილებლობის შესახებ.⁴

დიდვეზირმა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა პრუსიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და შვედეთის წარმომადგენლებთან სა-

¹ მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია, გვ. 257.

² İsmail Hakkı Uzunçarşılı. Sultan III. Selim ve Koca Yusuf Paşa. Belleten, say. 154, გვ. 1975, გვ. 236, 237.

³ İsmail Soysal. Türk-Fransız Diplomasisi Münasebetleri. Ankara, 1964, გვ. 345.

⁴ Ahmet Cevdet Paşa. Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 1239.

მოკავშირეო ხელშეკრულებების მომზადებისათვის, დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ავსტრიასთან.¹ დიდვეზირის საქმიანობამ შედეგი გამოიღო. 1791 წ. 4 აგვისტოს ავსტრიასთან ხელი მოეწერა ზავს. 1792 წ. 9 იანვარს კი რუსეთთან იასის ზავი დაიდო და ამით რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა. ორ დიდ იმპერიას შორის ზავს ქართველები, კოჯა იუსუფ ფაშა და ლაშქაროვი აწერდნენ ხელს. ოსმალეთმა ყირიმი საბოლოოდ აღიარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და მდ. დნესტრი ოსმალეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვრად დადგინდა. ოსმალეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ რაიმე პრეტენზიებზე.²

მიუხედავად იმისა, რომ კოჯა იუსუფ ფაშამ შეასრულა სულთნის დავალება და რუსეთთან ომი ზავით დაასრულა, სასახლის კარზე მისით უკმაყოფილო იყვნენ. ძირითად ბრალდებად უყენებდნენ, რომ სულთან აბდულჰამიდის ნების საწინააღმდეგოდ, სწორედ მან, მაშინ დიდვეზირმა, ჩაითრია ოსმალეთი რუსეთთან გამანადგურებელ ომში. 1792 წ. 4 მაისს სელმ III-მ იუსუფ ფაშა დიდვეზირის თანამდებობიდან გაანთავისუფლა. მიუხედავად მძიმე ბრალდებისა, იუსუფ ფაშა არ დაუპატიმრებიათ და არც მისი ქონების კონფისკაცია მოუხდენიათ, რაც ასეთ შემთხვევებში მიღებული წესი იყო. იუსუფ ფაშას ტრაპიზონის გუბერნია ჩააბარეს და შავი ზღვის ოსმალეთის სამფლობელოების, მათ შორის ანაპისა და სოხუმის ციხეების გამაგრების სამუშაოების ორგანიზება დაავალეს.³ 1793 წელს კოჯა იუსუფ ფაშა არაბეთში, ქ. მედინას გამგებლად დაინიშნა, სადაც გარდაიცვალა 1800 წელს.⁴

კოჯა იუსუფ ფაშას ორივე ევზირობის მთლიანი ვადა ოთხწლიანდნახევარს შეადგენდა.⁵ თანამედროვეთა შეფასებით, ის იყო სახელმწიფო პოლიტიკის მართვაში უაღრესად პრინციპული, გამოირჩეოდა დიდი შრომისუნარიანობით და პირადი სიმამაცით.⁶ იუსუფ ფაშა კარგად ხვდებოდა ოსმალური არმიის მოდერნიზაციის მნიშვნელობას, ამ მიზნით მან სტამბოლში ევროპელი ოფიცრები ჩამოიყვანა და გასაწვრთნელად სპეციალურად შერჩეული ჯარისკაცები ჩააბარა. ეს ჯარისკაცები შემდგომში ოსმალური რეგულარული არმიის ბირთვად იქცნენ.⁷

დიდვეზირის განზრახული ჰქონდა ოსმალურ არმიაში ძირეული რეფორმების გატარება და მმართველობის აპარატის გარდაქმნა. თავისი გეგმა დიდვეზირმა სულთანს წარუდგინა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ იუსუფ ფაშა სულთანზე დიდ გავლენას ფლობდა და სელიმ III-ის

¹ Ahmet Cevdet Paşa. Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 1251.

² მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია, გვ. 259.

³ Danişmend İsmail Hami. İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, გვ. 71, 72.

⁴ İsmail Hakkı Uzunçarşılı. Sultan III. Selim ve Koca Yusuf Paşa, გვ. 442-443, 454.

⁵ Danişmend İsmail Hami. İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, გვ. 487.

⁶ Ahmet Cevdet Paşa. Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 1177.

⁷ Enver Ziya Karal. Osmanlı Tarihi. C.5, Ankara, 1995, გვ. 65.

მიერ შემდგომში გატარებული თუ ჩაფიქრებული რეფორმები მნიშვნელოვანწილად დიდვეზირის რჩევებით იყო ნასაზრდოები.¹ ოსმალეთის ისტორიაში ცნობილია კოჯა იუსუფ ფაშას და მისი ძმის სულეიმან ალას შთამომავალი მრავალი სახელმწიფო მოხელე, სამხედრო და სასულიერო ნოდების მაღალი თანამდებობის პირი.²

ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა (Kör Yusuf Ziyaeddin Paşa). ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა, თავისი სახელოვანი თანამემამულის კოჯა იუსუფ ფაშას მსგავსად, ორი სულთნის მმართველობისას ორჯერ, მთლიანობაში 9 წლის განმავლობაში ასრულებდა დიდვეზირის მოვალეობას. ოსმალეთის სამხედრო-ბიუროკრატიულ აპარატში წინსვლის შედეგად, 1785 წელს ვეზირის ტიტული მიიღო, 1793 წელს – დიარბაქირის, ხოლო 1794 წელს ერზერუმის გუბერნატორად დაინიშნა, სადაც ორი წელი დაჰყო. 1796 წელს დაინიშნა ტრაპიზონის გუბერნატორად.³

ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშამ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გუბერნატორობის პერიოდში მოთარეშეთა და ყაჩაღთა ბანდების განადგურებით გაითქვა სახელი. 1798 წ. 20 აგვისტოს სულთანმა სელიმ III-მ ის დიდვეზირად დაინიშნა.⁴ ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშას დიდვეზირობის პირველი პერიოდი ნაპოლეონის არმიის მიერ ეგვიპტის დაპყრობას დაემთხვა. ოსმალეთმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ეგვიპტე, 1798 წ. 2 სექტემბერს საფრანგეთს ომი გამოუცხადა. დიდვეზირმა საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლისსა და რუსეთთან შეკრა კავშირი. ამ შეთანხმების ძალით, რუსთა და ოსმალთა შეერთებული ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში გავიდა და კორფუს და სხვა კუნძულების საზღვაო ციხე-სიმაგრეები ფრანგთაგან განმინდა.

დიდვეზირი და ოსმალეთის არმიის მთავარსარდალი ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა, 1799 წელს ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ეგვიპტის მიმართულებით მოქმედ ოსმალთა არმიას სარდლობდა. 1799 წ. 22 აგვისტოს ნაპოლეონმა ეგვიტე დატოვა, 1801 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულებით კი ეგვიპტე ისევ ოსმალეთს დაუბრუნდა. საფრანგეთთან დადებული ზავის შემდეგ, ოსმალეთის საგარეო მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა, მაგრამ ამავე დროს, იმპერიას მზარდი შინაგანი კრიზისის ნიშნები დაეცყო. დიდვეზირმა ვერ შეძლო სელიმ III-ის მიერ შექმნილ რეგულარულ ჯარსა (ნიზამი ჯედი) და იენიჩართა რაზმებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილება და ამიტომ გადადგომა მოითხოვა. 1805 წ. 24 აპრილს სულთანმა დიდვეზირის თხოვნა დააკმაყოფილა.⁵

1806 წელს სულთნის ბრძანებით, ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა ტრა-

¹ Ahmet Cevdet Paşa. Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 1406-1413.

² Öztüna T.Yılmaz. Devletler ve Hanedanlar. C. 2, Ankara, 1989, გვ. 719-720.

³ Gövsa İbrahim Alaatin. Meşhur Adamlar Ansiklopedisi. İstanbul, 1933, გვ. 407.

⁴ Ahmet Cevdet Paşa. Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 1712, 1713.

⁵ Mustafa Nuri Paşa. Netayicü'l-Vukuat. Hz. Neşet Çağatay. Ankara, 1992, გვ. 205-209.

პიზონისკენ გაემართა ტრაპიზონის გუბერნატორის ტაიარ ფაშას ამბოხის ჩასახშობად. ტაიარ ფაშამ ვერ შეძლო წინააღმდეგობის განწევა, თავშესაფრისათვის ჯერ სულთნის ვასალ აფხაზეთის მთავარს ქელემ ბეი შარვაშიძეს მიაშურა სოხუმში, იქიდან კი რუსეთს გადაიხვეწა.¹ ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა ტრაპიზონის გუბერნატორად, ხოლო 1808 წელს იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების სარდლად დაინიშნა. ის ერთხანს ხელმძღვანელობდა 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში ოსმალეთის არმიის სამომარ მოქმედებებს კავკასიის ფრონტზე.

1807 წ. 29 მაისს სულთანი სელიმ III იენიჩარებმა ტახტიდან ჩამოაგდეს. იმპერიაში გაჩაღებული შინაომის შედეგად ტახტი მაჰმუდ II-მ დაიკავა, რომელიც სელიმ III-ის სამხედრო და პოლიტიკური კურსის მიმდევარი იყო. 1809 წ. 1 იანვარს სულთანმა ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა დიდვეზირად დანიშნა. დიდვეზირი, როგორც არმიის მთავარსარდალი, იმპერიის ევროპულ ნაწილში – რუმელიაში გაემართა, რომ იქ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი არმიას ჩადგომოდა სათავეში. ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სარდლობდა ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა ოსმალურ არმიას რუმელიაში, სადაც ოსმალებმა რუსების წინააღმდეგ რაიმე წარმატებას ვერ მიაღწიეს.

1809 წელს ფრანგი დიპლომატების შუამავლობით, ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო შეთანხმება საქართველოზე ერთობლივი ლაშქრობის თაობაზე. ამ შეთანხმების ძალით, დასავლეთ საქართველო ოსმალეთს უნდა რგებოდა, აღმოსავლეთი კი ირანს. იმავე წელს რუსეთის ჯარის გააქტიურებამ და ფოთისა და ახალქალაქის დაკავებამ ეს გეგმა ჩაშალა. სულთანმა რუსეთთან დაზავება გადაწყვიტა, ზავის დადება კი ახალ დიდვეზირს უნდა უზურუნველევო. 1811 წ. 10 აპრილს ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშა დიდვეზირობიდან და არმიის სარდლობიდან გადაყენებულ იქნა. 1812 წელს დაიდო ბუქარესტის ზავი, რომლის ძალით ბესარაბიის ოლქი რუსეთს შეუერთდა, რუსეთ-ოსმალეთს შორის საზღვარი მდ. პრუტზე გაივლო. ოსმალეთმა ვალდებულება აიღო სერბიისთვის საშინაო ავტონომია მიეცა, სანაცვლოდ რუსეთმა ახალქალაქი და ფოთი ოსმალეთს დაუბრუნა.²

ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშას რუსეთთან წარუმატებელი ომის წარმოება დასდეს ბრალად, ჩამოართვეს ქონება და კ. როდოსზე გადაასახლეს, თუმცა სულთანმა 1815 წელს ის შეინყალა, ვეზირის წოდება დაუბრუნა და საკიზის ოლქის გუბერნატორად დანიშნა, სადაც ქორ იუსუფ ზიაედდინ ფაშას გარდაიცვალა 1819 წელს.³

¹ *Акты собранные Кавказской археографической комиссией*. Под ред. **Ад. Берже**. т. II. Тифлис, 1868, გვ. 885.

² **მ. სვანიძე**. თურქეთის ისტორია, გვ. 276.

³ **Cemal Toksoy**. Yusuf Ziya Paşa. Yaşamlarıyla ve Yapıtlarıyla Osmanlılar Ansiklopedisi. C. 2, გვ. 689.

დიდვეზირი თანამედროვეთა დახასიათებით დიდად განათლებული და ისტორიული თხზულებების მოყვარული ადამიანი იყო, წერდა ლექსებსაც. ხშირად მონაწილეობდა ჯირითში, რომლის დროსაც დაშავდა და ცალ თვალში მხედველობა დაკარგა, ამიტომაც მეტსახელად „ქორ ფაშა“ (ბრმა ფაშა) უწოდეს.¹

კოჯა მეჰმედ ჰუსრევ ფაშა (Koca Mehmet Hüsrev Paşa). XIX ს. I ნახევრის ოსმალეთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სამხედრო მოღვაწე კოჯა მეჰმედ ჰუსრევ ფაშა, სულთან მაჰმუდ II-ის დროს ოსმალეთის ფლოტის ადმირალი, სულთან აბდულმეჯიდის ხელმწიფობაში კი დიდვეზირი იყო. დაიბადა XVIII ს. 60-იან წლებში საქართველოში, საიდანაც ტყვედ გაიყიდა ოსმალეთში. მსახურობდა ოსმალეთის ფლოტის ადმირალ ქუჩუკ ჰუსეინ ფაშასთან ქეთჰუდად² (ქეთჰუდა იყო ტყვე ბიჭების რაზმების ზედამხედველი – **ზ.წ.**).

მეჰმედ ჰუსრევ ფაშა 1801 წელს ეგვიპტეში ალექსანდრიის ნავსადგურის და სიმაგრის მეთაურად დაინიშნა, 1801-1809 წლებში მსახურობდა ეგვიპტის, სალონიკის, ბოსნიის და იზმითის გუბერნატორად. 1811 წელს ოსმალეთის ფლოტის მეთაურად (კაპტანი დერია) დაინიშნა. ფლოტში სამხედრო დისციპლინა აამალა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მეკობრეთა და მოთარეშეთა რაზმები გაანადგურა. 1818 წელს ტრაპიზონის გუბერნატორად დაინიშნა. 1822 წელს მორას აჯანყების ჩასახშობად სასწრაფოდ გამოხმობილ იქნა აღმოსავლეთიდან და ისევ ფლოტს ჩაუდგა სათავეში. 1827-1837 წლებში სერასკერის (სამხედრო მინისტრის) თანამდებობა ეკავა. 1839 წ. 2 ივლისს სულთანმა აბდულმეჯიდმა დიდვეზირის თანამდებობაზე დანიშნა, თუმცა სამხედრო საქმეებში გამოცდილი ჰუსრევ ფაშასათვის, სულთნის კარის ინტრიგები დაუძლეველი აღმოჩნდა და 1841 წ. მაისში გადაყენებულ იქნა. ტრადიციულად, როგორც გადაყენებული დიდვეზირების შემთხვევაში ხდებოდა, სხვადასხვა დანაშაულებებში დასდეს ბრალი და თეკირდალში გადაასახლეს. ჰუსრევ ფაშას კარიერა ამით არ დასრულებულა. სულთანმა აბდულმეჯიდმა 1846 წელს დედაქალაქში დააბრუნა და მეორეჯერ უბოძა სერასკერის თანამდებობა. ჰუსრევ ფაშა ღრმა მოხუცებულობის გამო საქმეებს 1848 წელს ჩამოშორდა და თავის მამულში განმარტოვდა. გარდაიცვალა 1855 წელს, დაკრძალულია სტამბოლში, ეიუბ სულთანის მეჩეთის ეზოში.³

კოჯა მეჰმედ ჰუსრევ ფაშას სახელს უკავშირდება ოსმალეთის ფლოტის მოდერნიზაცია, მათ შორის ფლოტის მეზღვაურთა და ოფიცერთა ახალი თავსაბური – ფესი, რომელიც ფაშამ ეგვიპტიდან შემოიტანა. ფესი ფლოტიდან ოსმალურ საზოგადოებაში გავრცელდა და XX ს. ოციან

¹ Ahmet Cevdet Paşa. Tarih-i Cevdet, C. 4, გვ. 692.

² Ahmet Lütfi Efendi. C. IX, Hz. Münir Aktepe. İstanbul, 1984, გვ. 174.

³ Türkiye Seyahatnamesi. Çev. Ali Seyfiöğlü. Ankara, 1945, გვ. 19.

წლებამდე, თურქი მამაკაცების ტრადიციულ თავსაბურს წარმოადგენდა.¹ ჰუსრევ ფაშა ოსმალური არმიისა და ფლოტის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის თავგამოდებული მომხრე იყო და ამ მიზნის განხორციელებისათვის სასტიკ ზომებსაც არ ერიდებოდა. ასე, 1826 წელს, როდესაც სულთან მაჰმუდ II-ის გადაწყვეტილებით გაუქმდა იენიჩართა კორპუსი, იმ დროს ოსმალეთის ფლოტის სარდალმა ჰუსრევ ფაშამ ბრძანება გასცა, გემზე მოსამსახურე იენიჩარები ღია ზღვაში გადაეყარათ.

გარდაცვალებისას ას წელს მიტანებული იყო, ამიტომ მისი სახელი ისტორიას შემორჩა როგორც კოჯა (მოხუცი) ფაშა.² ოსმალეთის ისტორიაში, გარდა სამხედრო დამსახურებებისა, ის შევიდა როგორც არაერთი, შემდეგში გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის აღმზრდელი. საკუთარი შვილი ჰუსრევ ფაშას არ ჰყავდა და უცხოტომელი, გამუსლიმებული ბავშვების განათლებით, სამხედრო საქმეში მათი განვრთნით იყო დაკავებული. ჰუსრევ ფაშას აღზრდილმა ყმანვილებმა მომავალში ოსმალეთის რეგულარული არმიისა და ფლოტის ბირთვი შეადგინეს.³

¹ Kazasker Mehmed Hafid. Sefinetü'l-Vüzerâ. Hz. *İsmet Parmaksızoğlu*. İstanbul, 1952, გვ. 64.

² *Gövsâ İbrahim Alaaddin*. Meşhur Adamlar Ansiklopedisi, გვ. 759.

³ *Poroy Nazım*. İstanbul'da Gömüllü Paşalar. İstanbul, 1947, გვ. 64.

ZAZA TSURTSUMIA

GEORGIAN GRAND VIZIERS OF THE OTTOMAN EMPIRE

The Grand Vizier was the greatest minister of the Sultan in the Ottoman Empire, with absolute power of attorney and, in principle, dismissible only by the Sultan himself. He held the imperial seal and could convene all other viziers to attend to affairs of the state.

A considerable number of people of Georgian origin taken from Georgia as boy slaves served in high positions in the Ottoman army and administration, while eight of the Grand Viziers were Georgians.

One of well-known Ottoman grand viziers was Koca Yusuf Pasha, who propounded an aggressive stance against the belligerent Russia that had annexed the independent Crimea in 1783 and penetrated the Caucasus.

This is the list of Georgian Grand Viziers of the Ottoman Empire:

Gürçi Mehmed Pasha (1622-1623);

Koca Gürcü Mehmed Pasha (1651-1652);

Gürcü Ağa Yusuf Pasha (1711-1712);

Silahdar Süleyman Pasha (1712-1713);

Gürcü İsmail Pasha (1735);

Koca Yusuf Pasha (1st time 1786-1789; 2nd time 1791-1792);

Kör Yusuf Ziyaeddin Pasha (1st time 1798-1805; 2nd time 1809-1811);

Koca Mehmet Hüsrev Pasha (1839-1841).

ფრანგის თავიდან მოსაშორებლად“. 1901 წ. 16 აპრილს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან გამართულ თათბირზე, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გიონი და გუბერნატორის თანაშემწე მორდიუკოვი. გიონმა მორდიუკოვს კაცთმოძულე უწოდა, თავის მხრივ კი მორდიუკოვმა თქვა, რომ „ბათუმის ოლქი უშუალოდ შედის რუსეთის იმპერიაში და ვილაც უცხოელების მოსაზრებას ანგარიშს არ გავუწევთო“.¹ შეიძლება ესეც არის მიზეზი იმისა, რომ როტშილიდის ქარხანაში გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული გაერთიანება. ყველა გაფიცვა, რომელიც კი გაიმართა როტშილიდის ქარხანაში, მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ქარხნის დირექტორი გიონი ყველა ძირითად მოთხოვნას უსრულებდა მუშებს.

აი, რას წერს 1901 წ. ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოსულ იოსებ ჯულაშვილი თავის თანაპარტიელებს თბილისში. წერილი დათარიღებულია 1902 წ. 22 იანვრით: „როტშილიდის ქარხნის დირექტორი, ფრანგი გიონი ნამდვილად ჰუმანური კაცია. ის გამოირჩევა ქართველებისადმი სიმპათიით. ამიტომაც არის, რომ აქაურ მუშათა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ... ჩვენ ჩამოვაცალიბეთ სოციალ-დემოკრატიული წრეები ქარხანაში, რომელშიც გაერთიანდნენ ჩვენი მომხრე მუშები. ჩვენს მიერ მოწყობილ გაფიცვებს ქარხნის დირექტორი მშვიდად ხვდება და ყოველთვის აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს“.²

ფრანგი გიმარში და 1905-1907 წლების რევოლუცია. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები. განსაკუთრების გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. ისინი ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის იმართებოდა პოლიტიკური დისკუსიები. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ბათუმის სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ყოფილა ფრანგი გიმარში, რომელიც კარგად საუბრობდა როგორც ქართულად, ასევე რუსულად. 1905 წ. 24 აგვისტოს, ბათუმში, მარინის პროსპექტზე (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) მდებარე ერთ სახლში გაიმართა საიდუმლო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. დისკუსიაში აქტიურად იყო ჩაბმული ფრანგი გიმარში. ის მოუწოდებდა პარტიებს მუშაობა ენარმოებინათ ეროვნული კუთხით და გაემართათ მიტინგები, სადაც დააყენდნენ ეროვნულ საკითხებს. მართალია, ფრანგის ამ მოსაზრებებს არ დაეთანხმნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ფრანგი აყენებდა ეროვნულ მოთხოვნებს მისასალმებელი იყო. გიმარში დაიღუპა 1905 წ. 30 ნოემბერს, ბათუმში გამართული საბარეკადო ბრძოლების დროს. აი რას წერდა მის შესახებ სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი დავით მესხიშვილი 1905 წ. 10 დეკემბერს: „მეტად ცუდი ამბავი მოხდა. ბრძო-

¹ აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 26. ფურც. 26.

² აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 26. ფურც. 66-68

ლების დროს (იგულისხმება 1905 წ. 30 ნოემბერი – ო.გ.) დაიღუპა ჩვენი მეგობარი ალექს გიმარში. ის ყოველთვის პრინციპულობით გამოირჩეოდა. უყვარდა საქართველო და იბრძოდა მისი სიკეთისათვის. ჩვენთვის ის იქნება მაგალითის მიმცემი ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში“.¹

ფრანგი ლეფლერი და კათოლიკური მოძრაობა ბათუმში. ბათუმში ფრანგების სახელთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენა. ეს შეეხება კათოლიკურ მოძრაობას აქ 1908-1916 წლებში. ბათუმში XX ს. დასაწყისში ბევრი კათოლიკე ცხოვრობდა. მარტო უმშვენიერესი კათოლიკური ტაძარი რად ღირს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი და მისი აპარატი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალათ კათოლიკური მოძრაობისათვის. პოლიტიკურ დაბეზლებაში ხშირად ფიგურირებდნენ ბათუმში მცხოვრები ფრანგი მოქალაქეები, რომლებიც ბათუმელ ქართველ კათოლიკეებში ენვეიან წირვა-ლოცვას კათოლიკურ წეს-ჩვეულებაზე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო აქტიურობს, არის კათოლიკე ფრანგი, სმეკალოვის ქუჩაზე მცხოვრები ვინმე ლეფლერი. ის ხშირად ხვდება ქართველ კათოლიკეებს და მათთან ატარებს საუბარს.

1910 წ. 15 თებერვალს, გუბერნატორისადმი მიწერილ წერილში საუბარი იყო სმეკალოვის ქუჩაზე, ლეფლერის სახლში გამართული შეხვედრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კათოლიკეები თბილისიდან და ქუთაისიდან. შეკრების დროს იყო საუბარი საქართველოს წარსულზე, რუსეთის იმპერიის უარყოფით გავლენაზე და ა.შ. ხოლო 1910 წ. 4 მარტს იმავე გუბერნატორის სახელზე მიწერილ წერილში ნათქვამია, რომ კათოლიკეების შეხვედრებს ფრანგ ლეფლერის ბინაზე აქვს სისტემატიური ხასიათი. მათი მიზანია ბათუმში კათოლიკური ცხოვრების გააქტიურება. ასევე მათ სურთ ბათუმი გადაიქცეს კათოლიკური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრად. ამას ისინი იმით ამართლებენ, რომ აქ მოქმედებს ერთ-ერთი ძლიერი კათოლიკური ეკლესია.² ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის დავალებით, შეიქმნა ფაგუფი რომელსაც დაავალა შეედგინა სპეციალური სამოქმედო პროგრამა. პროგრამაში გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ღონისძიებისა, რომელიც შეაფერხებდა კათოლიკურ მოძრაობას.

გარდა იმისა, რომ კათოლიკეები იკრიბებოდნენ ფრანგ ლეფლერთან, ამასთან ხშირად აკრავდნენ ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების პროკლამაციებს, სადაც მხილებული იყო მეფის რუსეთის შოვინისტური მიზნები და ქმედებანი ხელი შეეშალათ ბათუმში კათოლიკური მოძრაობისათვის. ერთი ასეთი პროკლამაცია პოლიციამ ნახა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე 1911 წ. თებერვალში. ამ პროკლამაციის შესახებ სამხედრო

¹ აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 26, ფურც. 103-109.

² აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 69, ფურც. 11.

გუბერნატორი ავალეზდა პოლიცმეისტერ როჟანოვს გამოიძიოს თუ ვისი ნამოქმედარი უნდა ყოფილიყო იგი. როჟანოვი საპასუხო წერილში 1911 წ. 25 თებერვალს აცნობებს გუბერნატორს შემდეგს: „გაცნობებთ, რომ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გამოკრული პროკლამაციის ავტორები უნდა იყვნენ ბათუმელი კათოლიკეები. ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მათ ხელმძღვანელობს ბათუმის მოქალაქე ფრანგი ლეფლერი, რომლის სახლი სმეკალოვის ქუჩაზე, გადაქცეულია ბათუმელი კათოლიკეების თავშეყრის ადგილად. ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ ლეფლერს და სხვა კათოლიკეებს კავშირი აქვთ საფრანგეთის კონსულთან ბათუმში, რომელსაც როგორც ჩანს თხოვენ აცნობონ საფრანგეთის ხელისუფლებას იმის შესახებ, თუ როგორ ავინროვებენ რუსეთის ხელისუფალნი ბათუმელ კათოლიკეებს“.¹

1912 წ. მაისში ჩატარდა საეკლესიო მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი კათოლიკეები. მათ წინ მიუძღოდა ლეფლერი და სპეციალურად ჩამოსული კათოლიკე მღვდელი იტალიელი ჯაკომი. მსვლელობის მონაწილენი მივიდნენ კათოლიკურ ეკლესიაში. ამ ფაქტმა ძალიან აღაშფოთა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, მაგრამ თუ რა მოიმოქმედა მან დოკუმენტებიდან ცნობილი არ არის. 1914 წლიდან ბათუმში ხშირი იყო უცხოელების ჩამოსვლის ფაქტები. მაგალითად 1914 წ. ნოემბერში ბათუმში პარიზიდან ჩამოვიდა ვინმე მაქსიმილიან დელაკრუა, რომელიც მოხიბლული დარჩენილა ბათუმის კათოლიკური ეკლესიით. სტუმარი დაინტერესებულა კათოლიკეების ცხოვრებით ბათუმის ოლქში და შეხვედრია ადგილობრივ კათოლიკეებს ათანასე ბალოშვილსა და დავით გიორგაძეს. მათ სტუმრობისათვის უთქვამთ რომ ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ხელს უშლის კათოლიკებს, ავინროვებს მათ, ამიტომაც თვალში საცემი არ არის კათოლიკური მოძრაობაო. სტუმარს პირობა მიუცია, რომ ამის შესახებ იმფორმირებულს გახდიდა საფრანგეთში საზოგადოებას.²

ფრანგები ბათუმში 1920 წელს. 1918 წ. 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის გადანყვეტილებით ბათუმის ოლქი გადაეცა ოსმალებს და ისინი აქ დარჩნენ 1918 წ. ნოემბრამდე. შემდეგ კი ბათუმის ოლქში შემოვიდნენ ინგლისელები. ისევე როგორც ოსმალები, ინგლისელები ცდილობდნენ ბათუმის ოლქის მონყვეტას დედა-სამშობლო საქართველოდან და მის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევას, მაგრამ მძლავრმა ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ მიცა მტერს ამის განხორციელების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის ბოლო პერიოდში, კერძოდ 1920 წ. მაისში, ბათუმში იმყოფებოდნენ საფრანგეთის წარმომადგენლები: ჟაკ რომტო, მიშელ ბელონი, ფრანსუა

¹ აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 69, ფურც. 24-27.

² აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 69, ფურც. 34-36.

ლუპენი და ჟან-მარი გამბა. ისინი იყვნენ ბათუმის ოლქის ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის გენერალ კუკ-კოლისის რეზიდენციაში და დიდხანს საუბრობდნენ მასთან.

საინტერესოა ოფიცერ ჯაკ როშტოს შეხედულება ბათუმის შესახებ. როშტო ბათუმში ყოფილა ჯერ კიდევ 1913 წელს. ის ამბობს: „ბათუმში ლამაზი ქალაქია. მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველია. ისინი დიდად სტუმართმოყვარენი არიან. ქართველებს შეშანიშნავი ისტორია აქვთ, მათ ტერიტორიაზე ბევრი საუცხოო ეკლესია-მონასტერია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები დიდი ხანია რაც რუსების კოლონიაა, ისინი თავისუფლების მოყვარე, ამაყი ხალხია. ამჟამად (ე.ი. 1920 წელს – ო. გ.), ქართველები დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ და ვფიქრობ კიდევაც გაართმევენ ამას თავს... ისინი ამის ღირსნი არიან... ბათუმს ლამაზი ნავსადგური აქვს. იქ ინგლისური გემები ასრულებენ სამუშაოებს. ბათუმიდან გააქვთ სხვადასხვა სახის ნაწარმი, ძირითადად ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვა“.¹

1920 წ. ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო მოლაპარაკება ინგლისელებსა და ქართული ჯარის მთავარსარდლობას შორის, ბათუმის ოლქის გადმოცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ფრანგები: ჟაკ როშტო და მიშელ ბელონი. მოლაპარაკების დროს ინგლისელებმა და ფრანგებმა თანხმობა განაცხადეს იმაზე, რომ თუ იქნება უმაღლესი ხელისუფლების თანხმობა, ისინი წინააღმდეგნი არ არიან, ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემაზე. შეხვედრის დროს ფრანგმა ჟაკ როშტომ აღნიშნა: „საქართველოს აქვს უპირველესი უფლება ბათუმის ოლქის მიმართ, რადგან ეს მხარე ისტორიული საქართველოა“.² უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1920 წ. 25 ივნისს საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში დემარტელი აცნობებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს: „საფრანგეთი დიდი სიხარულით შეხვდა ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემას. ინგლისელები ალბათ უახლოეს ხანში მოახდენენ ოლქის დაცლას საქართველოს სასარგებლოდ და ვიმედოვნებ ეს საქმე დროულად მოგვარდება. მივიღეთ ცნობა საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალ, ადმირალ დებონისაგან, რომელიც აღნიშნავს, რომ ფრანგმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ბათუმში იმყოფებიან სასწრაფოდ უნდა დატოვონ ქალაქი და უკან დაბრუნდნენ. ეს უახლოეს ხანში განხორციელდება“.³ ევგენი გეგეჭკორმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობას დახმარებისათვის და იმედი გამოთქვა საფრანგეთთან მომავალ მჭიდრო თანამშრომლობაზე.

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (შემდგომ: სცსია), ფ.1640, აღწ.12, საქ. 187, ფურც. 89.

² სცსია, ფ.1640, აღწ.12, საქ. 187, ფურც. 96.

³ სცსია, ფ.1640, აღწ.12, საქ. 187, ფურც. 125-128.

OTAR GOGOLISHVILI

THE FRENCHMEN IN BATUMI

This paper deals the personality of Guione, the manager of the factory of Rothschild in Batumi. He employed mainly the Georgians at the factory, and by this fact he made angry the chauvinistic local government. It is shown also the life of the Guimarche, he was French, a member of the Social-Federalist Party, and died as a hero in 1905-1907 years. In this work it is shown also the life of Lefleur, he was French by nationality. This work deals also with the issue of the activity of catholic movement. It is narrated also about the French, who were in Batumi in 1929. They appreciated the Georgian people and the history of Georgia very much.

ლისტ მაშვრალთა პირველი კონფერენცია. ორგანიზაციამ უფრო მკვეთრი გამიჯვნა გადაწყვიტა ფედერალისტური პარტიისაგან და თითქოს ამის დასადასტურებლად ახალი სახელწოდებაც მიიღო – „საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი“. 1919 წლის 13 აპრილიდან გაზეთი „ახალი ნაკადი“ უკვე ახალი სახელწოდების მატარებელი პარტიის გამოცემად დაფიქსირდა.

ქართველ „სინდიკალისტ-მაშვრალებს“ სათავეში ედგნენ: ალექსანდრე წერეთელი, ისიდორე ვარაზაშვილი, სერგო გერსამია, გენო ქელბაქიანი, ივანე კანდელაკი, ა. ბარამიძე, ახვლედიანი, იოსელიანი, კოკი ჟორდანი, გრიგოლ ლალიძე, ვასილ ვარაზაშვილი, ბაგრატი შავდია, დომენტი ხმალაძე, ვლადიმერ ციციშვილი და სხვ. ორგანიზაციის დაფუძნებაში ენერგიულად მონაწილეობდა სახელგანთქმული ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. რაც შეეხება ქართველი სინდიკალისტების გაზეთ „ახალ ნაკადს“, მისი უკანასკნელი 28-ე ნომერი 1919 წლის 1 ივნისს გამოვიდა. სინდიკალისტ-მაშვრალებმა ჟურნალი „ახალი ნაკადიც“ გამოსცეს, თუმცა უცნობია, რამდენი ნომერი. ყოველ შემთხვევაში, ვიცით ის რომ 1919 წლის 30 აპრილს ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა.

ისტორიოგრაფიაში ქართული ანარქო-სინდიკალიზმის შესახებ თითქმის არაფერია გამოქვეყნებული. რამდენიმე ეპიზოდია ცნობილი, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შიგნით მომხდარ ფრაქციულ უთანხმოებებს უკავშირდება. ჩვენ ამ უმნიშვნელო ლიტერატურას აღარ შევხებით და განვაგრძობთ საუბარს იმ მონაცემების შესახებ, რაც გაგვაჩნია საქართველოში ანარქო-სინდიკალისტური ორგანიზაციის შესახებ.¹ აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ჩვენ დავინტერესებულვართ სპეციალურად ამ პრობლემით, თუმცა ცნობილი ქართველი პატრიოტ-ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიის შესახებ მუშაობის პერიოდში ზედაპირულად გავეცანით სინდიკალისტურ პრესას საქართველოში, რამაც გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ამ მოძრაობის შესახებ.

1919 წლის სექტემბერში სოციალისტ-ფედერალისტთა IV კონფერენციაზე, სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის ერთმა ნაწილმა ითხოვა ფედერალისტურ პარტიაში დაბრუნება, რაც კონფერენციამ დააკმაყოფილა კიდევ. მაშვრალ-სინდიკალისტთა ერთი ნაწილი, მათ შორის გრიგოლ ლალიძე, ცნობილი ქართველი მენარმის და ასევე ანარქისტის – მიტროფანე ლალიძის ძმა, ფედერალისტურ პარტიაში დაბრუნდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის ერთი ნაწილი და არა – მთელი ორგანიზაცია. საქართველოს სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირმა, როგორც პოლიტიკურმა ორგანიზაციამ არსებობა განაგრძო. 1920 წლის მარტიდან კვლავ განაახლა გამოსვლა სინდიკალისტ-მაშვრა-

¹ ვგულისხმობთ გ. ჯანგველადის, ბ. ლუტიძის, ა. კიკვიძის, რ. გრძელიძისა და სხვა ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებს, რომელნიც ეპიზოდურად ეხებიან ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

ლების გაზეთმა „ახალმა ნაკადმა“, რომელიც როგორც ჩანს უსახსრობის გამო იყო შეწყვეტილი. სხვათა შორის, „ახალი ნაკადის“ გამოცემა არც ამჯერად გაგრძელებულა დიდხანს. 1920 წლის 19 აპრილს გამოვიდა გაზეთის უკანასკნელი ნომერი. მარტო ამ ფაქტიდან ჩანს, რომ ორგანიზაცია ფუნქციონირებას აგრძელებდა, თუმცა, იგივეს თქმა გაჭირდება – 1920 წლის აპრილის შემდგომ პერიოდზე. ამის შემდეგ, თითქმის ერთი წლის მანძილზე, ანარქო-სინდიკალისტ-მაშვრალებს აღარაფრით შეუხსენებიათ ქართველი საზოგადოებისათვის საკუთარი არსებობა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ ანარქო-სინდიკალისტებმა კიდევ ერთხელ სცადეს პოლიტიკურ ასპარეზზე ფეხის მოკიდება. ანარქისტებსა და ბოლშევიკებს ერთმანეთი სძულდათ, მაგრამ საერთო იდეალიც ჰქონდათ – თანასწორი და კომუნისტური სისტემის დამყარება. ანარქო-სინდიკალისტები უარყოფდნენ ბოლშევიკურ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, მაგრამ ისინი აღიარებდნენ საბჭოებს, როგორც მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლობებს. „ერთადერთი ფორმა, რომელსაც შეუძლია შეურიგდეს რევოლუციური სინდიკალიზმი, საბჭოთა სისტემაა... პრაქტიკული მოქმედება რევოლუციური სინდიკალიზმისა მიმართული იქნება მამასადამე იმ მხრივ რომ შეიცვალოს სახელმწიფო და მისი ორგანოები კომუნებით, მუშათა სინდიკატებით, სადაც საზოგადო ცხოვრება მოწესრიგდება მუშათა თუ გლეხთა წარმომადგენელ საბჭოების ხელში“.¹ სინდიკალისტებმა ლოიალობა გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას, თუმცა მაინც მკაცრად აკრიტიკებდნენ მათი მიმართველობის დიქტატორულ ხასიათს. თვითონ ბოლშევიკური ხელისუფლებაც, თავდაპირველად დაინტერესებული იყო სოციალისტური პარტიების ლოიალობით, სანამ მდგომარეობას განიმტკიცებდა.

ასეა თუ ისე, 1921 წლის 27 მარტს ქართველმა ანარქო-სინდიკალისტებმა კრება მოიწვიეს და საკუთარი ორგანიზაციის საქმიანობა განაახლეს. 4 აპრილს მათ ახალი გაზეთი „მაშვრალთა ხმა“ გამოსცეს. ორგანიზაციას წარმართავდა მაშვრალ-სინდიკალისტთა მთავარი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ისიდორე ვარაზაშვილი. კომიტეტის წევრები და საერთოდ, კავშირის აქტიური წევრები იყვნენ: ალ. წერეთელი, ივ. კანდელაკი, ალ. იოსელიანი, ვასილ ვარაზაშვილი, ბაგრატ შავდია, დომენტი ხმალაძე, ვლადიმერ ციციშვილი და სხვ. ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა იმხანად ჯერ კიდევ საქართველოში მყოფი ვარლამ ჩერქეზიშვილი.

სინდიკალისტ-მაშვრალებმა ენთუზიაზმით დაიწყეს საქმიანობა. 5 აპრილს კავშირის კრებაზე განიხილეს საორგანიზაციო მუშაობის პროექტი, რომელიც ისიდორე ვარაზაშვილმა შეადგინა და მოინონეს იგი. ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ კრებაზე „აღზნებით სავსე სიტყვებით“ გამოვიდა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ვარაზაშვილის საორგანიზაციო პრო-

¹ გაზ.: „მაშვრალთა ხმა“, 13.04.1921.

ექტის საფუძველზე, კრებას წარედგინა კავშირის წესდება, რომელიც მიღებულ იქნა. წესდება 7 ნაწილისგან შედგებოდა: ა) კავშირის მიზანი, ბ) კავშირის წევრები და მოვალეობა, გ) კავშირის საშუალებანი, დ) ადგილობრივი ორგანიზაციები, ე) სარაიონო და საქალაქო საბჭოები, ვ) ფედერალური საბჭო, ზ) საერთო პირობები.

კავშირის მიზანს, წესდების მიხედვით წარმოადგენდა „ხალხის ეკონომიკური მონობიდან განთავისუფლება“¹ და მუშათა დამოუკიდებელი სინდიკატების შექმნა; სახელმწიფოს უარყოფა, პოლიტიკური ძალაუფლების უარყოფა და ცხოვრების სინდიკალურად გარდაქმნა, რომლებიც ფედერაციებში უნდა გაერთიანებულიყვნენ.

ადგილობრივი ორგანიზაციები შედიოდნენ სარაიონო და საქალაქო კავშირებში. თითო ორგანიზაცია თითო კაცს გზავნიდა საბჭოში, საბჭო ირჩევდა გამგეობას 5 წევრისგან და კიდევ ერთ წევრს ფედერალურ საბჭოში. საბჭოს ერთი წლით ირჩევდნენ და ის თვეში ერთ სხდომას ატარებდა. ხელმძღვანელი ორგანო იყო ფედერალური საბჭო. მას იწვევდა კავშირის გამგეობა, წელიწადში ერთხელ მაინც. ფედერალური საბჭო ქმნიდა წესდებს, პროგრამას და მოქმედების ტაქტიკას, ირჩევდა მთავარ კომიტეტს – მთავარ გამგეობას 9 კაცის შემადგენლობით, ერთი წლის ვადით.

ქართველი სინდიკალისტების მსოფლმხედველობის წარმოსადგენად გადავხედოთ მათი გაზეთის „მაშვრალთა ხმის“ ფურცლებს. ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელსაც გაზეთი ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა გახლდათ. ამ მხრივ ის ჯანსაღ ეროვნულ პოზოციებზე იდგა. ამის საილუსტრაციოდ გაზეთის მე-2 ნომერში გამოქვეყნებული სტატია, „მომენტი და ჩვენ“ გამოდგება. №3-დან იწყება და შემდეგ ნომრებშიც გრძელდება „ბაასი“, ქვესათაურით – „ერი“. მე-7 ნომერში იწყება და მე-8 ნომერში მთავრდება ზაქარია ჭიჭინაძის ისტორიული მოთხრობა (ნამდვილი ამბავი) „ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხება“, რომელსაც ანტისაოკუპაციო ელფერი დაჰკრავს. №9-ში „სადღეისო საკითხები“, ქვეთავში „თავისუფლება“, ვკითხულობთ: „საქართველოს თავისუფლება დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი იყო ის ქვაკუთხე, რომელიც ჩაიდვა ჩვენი ერის კეთილდღეობის და თავისუფლების ტაძრის ქვაკუთხედში“.² მე-10 ნომრის პირველ გვერდზე, 26 მაისის დღესასწაულს ეძღვნება „სადღეისო საკითხები“. მასში საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ეჭვია გამოთქმული ნითელ არმიასზე და საბჭოთა ხელისუფლებაზე, ქვეყნის მომავალზე. სტატიის ავტორი ფიქრობს რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მოჰყვება მისი ისევ რუსეთის ფარგლებში დაბრუნება. საუბარია საქართველოს იმ დაკარგულ ტერიტორიებზე, რომელიც მეზობლების ხელში აღმოჩნდა ოკუპაციის შემდეგ. გაზეთის შემდეგ ნომრებში ერთ-ერთ წერილში საუბარია საქმის

¹ გაზ.: „მაშვრალთა ხმა“, 13.04.1921.

² გაზ.: „მაშვრალთა ხმა“, 1921 წელი, №4.

წარმოებაზე რუსულ ენაზე, რაც ლახავს კანონს ენის შესახებ. აქვე პასუხია გაცემული ვინმე მჭავანაძის სტატიაზე, რომელიც გამოქვეყნებულა გაზეთ „კომუნისტში“ და რომელშიც 26 მაისის დღესასწაული აბუჩადაა აგდებული. მასზე გამანადგურებელი პასუხია გაცემული. სტატია მთლიანად გაჟღენთილია პატრიოტული სულისკვეთებით. გაზეთში გამოქვეყნებულია მონოდება: „მუშებო, ემზადეთ 26 მაისისთვის“. მკაცრი სტატია რომელსაც „26 მაისი“ ჰქვია გრიგოლ ლალიძეს ეკუთვნის. აქვეა მეორე მონოდება: „მასწავლებლებო, სტუდენტებო და მონაფეებო შეუერთდით 26 მაისის დღესასწაულის სამზადისს“. შემდეგ მას მოსდევს სტატია: „ყველაზე მეტად რა უნდა გვახსოვდეს“ – ესეც 26 მაისს ეძღვნება. მას ხელს იოსებ არამათელი აწერს. გაზეთის ერთ-ერთ გვერდზე კვლავ მონოდებაა დიდი ასოებით: „არ დავივიწყოთ 26 მაისი“. სხვა წერილებიც ეძღვნება 26 მაისს. მაგ. გაზეთის მე-13 ნომერში: „სამი წლის თავზე“. აგრეთვე სტატია: „26 მაისი და ქართველი ქალი“, კიდევ: „26 მაისის მოგონებიდან“.

სხვა წერილებიდან საყურადღებოა სტატია: „ცხინვალის რაიონი საფრთხეშია“, სადაც საუბარია იმ დევნასა და შევიწროებაზე, რასაც იქ განიცდიდა ქართველი მოსახლეობა. ამ სტატიაში საუბარია თუ როგორ ძარცვავდნენ ოსი სეპარატისტები ქართველებს, რა მიძიმე დღეში იყო დაუცველი ქართველი მოსახლეობა. სტატია გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტებიდან“ იყო გადმობეჭდილი. ისტორიული თემა აგებული ისევ პატრიოტულ მოტივზე, გვხვდება გაზეთის მე-20 და 21-ე ნომერებში. ესაა ზაქარია ჭიჭინაძის ნარკვევი „ფარული საზოგადოება“, რომელიც შეეხება ქართველთა მიერ 1832 წლის შეთქმულების მცდელობას და მის მარცხს. აი მოკლედ ეროვნულ თემაზე გამოქვეყნებული სტატიების არასრული ჩამონათვალი. ამ თემას სხვა ბევრი წერილიც ეძღვნება და მოწმობს, რომ სინდიკალისტები დამოუკიდებლობის მომხრე პატრიოტები იყვნენ.

ეროვნული საკითხის გარდა, გაზეთი ასევე დიდ ადგილს უთმობს თეორიულ საკითხებზე მსჯელობას, მაგ., სტატიაში „ჩვენი მოვალეობანი“, რომელიც მე-3 ნომერში დაიბეჭდა, ვკითხულობთ: „ჩვენი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ ყველა იმ თვისებას რომელიც ძირიანად აღმოფხვრის როგორც კაპიტალისტურ, ისე ბიუროკრატიულ პარაზიტიზმს“. საინტერესოა მაშვრალეების და ანარქო-სინდიკალისტთა დამოკიდებულება კერძო ინიციატივაზე. ისინი აღიარებდნენ კერძო ინიციატივის როლს: „კერძო საკუთრების მოსპობას ჩვენ არ ვგულისხმობთ, როგორც ფიქრობენ სახელმწიფო პლატფორმაზე მდგომი სოციალისტები, პირიქით კერძო ინიციატივა თავისუფლებაა მოქმედებისა და შრომისა, როგორც ერთი მთავარი მიზეზთაგანი პროგრესისა, აღიარებულ უნდა იქნას და კერძო პირის მოქმედება არ უნდა შევბორკოთ საზოგადოების მიერ.“ აქვე საინტერესოა მოსაზრებაა სოციალიზმზე, რომელიც რევოლუციონერ-სინდიკალისტებს ასეთნაირად ესმით: „რევოლუციური სინდიკალიზმს სწამს არა სახელმწიფო სოციალიზმი, არამედ თავისუფალი სოციალიზ-

მი, თავისუფალი შრომის პრინციპებზე დამყარებული“.

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია თეორიული ხასიათის სტატია „მუშათა კავშირი“, მასში ახსნილია თუ როგორ უნდა გაერთიანდნენ და ვინ უნდა გაერთიანდეს სინდიკატებში, როგორ უნდა შეიქმნას შრომის მსოფლიო კონფედერაცია შრომის საერთაშორისო კონფედერაციისაგან და შრომის საერთაშორისო კონფედერაცია ეროვნული ფედერაციებისაგან, როგორ უნდა გაერთიანდნენ სინდიკატები ერთ ფედერაციად, და როგორ უნდა შექმნან რეგიონალურმა ფედერაციებმა ეროვნული ფედერაციები. საუბარია ფედერაციაში შესვლის და გასვლის თავისუფლებაზე და სხვ. სტატიაში „რევოლუციური სინდიკალიზმის პრაქტიკა და თეორია“ საუბარია თუ რაა სინდიკატი, სად და როდის წარმოიშვა პირველად იგი. საუბარია კლასთა ბრძოლაზე, ოღონდ მშვიდობიანი ფორმებით, რადგანაც რევოლუციური სინდიკალისტები შეიარაღებულ ბრძოლას უარყოფდნენ. ეს მშვიდობიანი ბრძოლის ფორმები არის: გაფიცვა (საყოველთაო გაფიცვა), ბოიკოტი, საბოტაჟი... შემდეგ აქ განხილულია ბრძოლის ეს საშუალებანი და რევოლუციონერებისადმი იმის მითითება, თუ როდის რომელი ფორმა არის მიზანშეწონილი. აღსანიშნავია რომ ხშირად აქაც საუბარია ერზე და ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ერის სუვერენიტეტზე.

ანარქო-სინდიკალისტები ფართოდ ამუქებენ სოციალურ საკითხებსაც. აქ ხშირად ვხვდებით წერილებს გლეხთა შესახებ, (წერილებს სოფლიდან), მუშათა კლასის მიძიმე სოციალურ მდგომარეობასა და უკიდურეს გაჭირვებაზე. დაბეჭდილია მიმართვა გლეხებისადმი, რომ მათ დაიწყონ ხვნა-თესვა და ნუ შეეშინდებათ რომ მათ მოსავალს წაართმევენ. მიმართავენ რომ სოფლის მშრომელები გაერთიანდნენ სინდიკატებში, რომ მონაწილეობა მიიღონ საბჭოების არჩევნებში. ანარქო-სინდიკალისტები, აკრიტიკებენ კომუნისტებს რათა მათ დროზე გაუყეთონ ორგანიზაცია საბჭოების არჩევნებს და ბრალს სდებენ ხელისუფლებას ინერტულობაში.

გაზეთ „მაშვრალთა ხმაში“ ვხვდებით ეკონომიკური ხასიათის წერილებს რუბრიკით: „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“, სადაც საუბარია საქართველოს სოფლის მეურნეობაზე, საფინანსო (საბანკო) და საკრედიტო (ურთიერთგამსესხებელ) სისტემაზე, მრეწველობაზე (ქარხანათა რიცხვი, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, მადნები და მათი დამუშავება), ვაჭრობაზე და მეურნეობის სხვა დარგებზე. არის ცალკეული წერილები კულტურაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე და სხვ.

საერთოდ კი თვალშისაცემია ერთი რამ: რაზეც არ უნდა იყოს საუბარი ის ხშირად მაინც ეროვნულ საკითხებთანაა კავშირში განხილული და ეროვნულ პრობლემატიკას უქვემდებარდება. მაგ., საუბარია თეორიულ საკითხებზე („ჩვენი მოვალეობა“) და აქ „ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დავიცვათ ეროვნული ჩვენი თვისება“ საუბარი მიმდინარეობს ეკონომიკურ საკითხებზე და როცა სოფლის მეურნეობას განი-

ხილავენ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე რომ საქართველოს საკუთარი მარცვლელით ურუსეთოდ შეუძლია გამოიკვებოს... ერთი სიტყვით, უპირველესი პრობლემა მაინც ეროვნული საკითხია და სინდიკალისტები ყველა შემთხვევაში, ერის დამოუკიდებლობის და მისი სუვერენიტეტის დამცველნი, ქვეყნის პატრიოტები და გულშემატკივრები არიან.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ სინდიკალისტ-მაშვრალთა დამოკიდებულებას სახალხო კომისარიატისადმი ანუ საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფოსადმი. მართალია მაშვრალეები, ხშირად გადმოგვცემენ კომისარიატის ბრძანებულებებს და თითქოს მათ მიმართ შემრიგებლურად არიან განწყობილნი, მაგრამ უნდა ითქვას რომ ეს ლოიალური დამოკიდებულება მოჩვენებითია. მაშვრალეები მართალია ემორჩილებოდნენ ამ ბრძანებებს, მაგრამ ისინი, უარყოფითად არიან განწყობილნი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი, საერთოდ სახელმწიფოსადმი.

მასალებიდან ჩანს რომ „მაშვრალთა ხმა“ საკმაოდ პოპულარული იყო და მკითხველთა ფართო წრე ჰყავდა. მიუხედავად ამისა, გაზეთს მატერიალურად ისე გაუჭირდა, რომ 1921 წლის ზაფხულის თვეებში კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო გაზეთის ფასმა 300 მანეთს მიაღწია. თავად, ანარქო-სინდიკალისტების პოლიტიკური ორგანიზაციაც სულს ღაფავდა, ისევე როგორც სხვა პოლიტიკური პარტიები საქართველოში. რუსულ-ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება თანდათან ძლიერდებოდა და ავინროვებდა სხვა პოლიტიკურ პარტიებს.¹

1921 წლის შემადგომისათვის როგორც ჩანს, სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირს ფუნქციონირება უნდა შეეწყვიტა. ამ დროისათვის „მაშვრალთა ხმა“ აღარ გამოდიოდა, ხოლო ორგანიზაციის არსებობის კვალიც აღარ ჩანს. საქართველოს რევოლუციურ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირმა არსებობა დაასრულა. 1923 წელს საოკუპაციო ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ „თვითლიკვიდაციების“ ფორმით ბოლო მოუღო სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც. საქართველოში და საბჭოთა კავშირში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდა.

¹ რ. გრძელიძე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924). თბ., 1998, გვ. 249.

DIMITRI SHVELIDZE

FROM THE HISTORY OF ANARCHO-SYNDICALISM IN GEORGIA

In the beginning of 1919 pro-anarchist group separated from Social-Federalist Party of Georgia and established a new political organization “Georgian Syndicalist-Toilers Union”. According to press material the article provides research on Anarcho-syndicalist program approaches. It reveals that Georgian Anarchist-syndicalists were sharply contradicting the new Russian-Bolshevik occupation regime and wanted to establish non-state, free socialism which was widespread in Europe. On the other hand, Anarcho-syndicalists were firmly standing for Georgia’s independence and national values.

მოკრავი რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას, გადაწყვიტა გამგზავრებულიყო ამ ქვეყანაში, რათა უკეთ გაცნობოდა ქართველ ხალხს, თვალი მიედევნებინა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.¹ დელეგაცია დასავლეთ საქართველოში ბორჯომიდან გაემგზავრა.² ბორჯომელებმა სტუმრებს ორიგინალური გაცილება მოუწყვეს. დასავლეთისკენ მიმავალი გზის მნიშვნელოვანი ნაწილი კევართის კელაპტრებით იყო განათებული, რომელმაც სტუმრებს სასიამოვნო განწყობა შეუქმნა.³

უამრავი ხალხი დახვდა დელეგაციას შორაპანში, სადგური ყვავილებით იყო მორთული, ორთქმავალი მოძრავ ტოტს ჰგავდა, ვაგონები ნითელი დროშებით იყო გაფერადებული. სტუმრებს დახვდნენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, პოლიტიკური პარტიების, ეროვნული გვარდიის შტაბის, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁴ შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა ბელგიელი სოციალისტი კ. ჰიუსმანსი. მან თქვა: „ჩვენ დიდი მანძილი გამოვიარეთ იმისათვის, რომ ადგილზე გავცნობოდით თქვენს ყოფა-ცხოვრებას, პოლიტიკურ ვითარებას და ეკონომიკურ მდგომარეობას. გვიანტერესებს, რა გაქვს თქვენ და რისი შექმნა შეგიძლიათ. ჩვენ განცვიფრებული ვართ იმით, რომ ერი გაჟღენთილია სოციალიზმით და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიას არა აქვს ფეხი მოკიდებული. სასიამოვნოა, რომ თქვენ მიჰყვებით ცივილიზებულ გზას, უარყოფთ ტერორს, უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობას. ჩვენი ქვეყნები დემოკრატიის გზას ადგანან, ორივე ერთი მიზნისაკენ მივისწრაფით, მაგრამ მისი განხორციელების გზები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მეთოდები თქვენ ჩვენგან უნდა გადმოიღოთ, ხოლო ჩვენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში თქვენს მიერ მიღებული გამოცდილება უნდა გავიზიაროთ.“⁵

შეხვედრა დასრულდა. ოვაციებისა და „ინტერნაციონალის“ ფონზე სტუმრები ჩასხდნენ სპეციალურ მატარებელში და ჭიათურისაკენ აიღეს გეზი.⁶ საზეიმოდ იყო მორთული მარგანეცის ქალაქი. ზღვა ხალხის თანხლებით დელეგაცია სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციის ადგილობრივ კომიტეტს ეწვია. კომიტეტის სახელით სტუმრებს მიესალმა სერგი სიხარულიძე.⁷ მაღაროელებს გულთბილი სალამი მიძღვნა ბელგიის სოციალისტური პარტიის გამოჩენილმა მოღვაწემ ემილ ვანდერლენდემ. „ამჯერად ჩვეულ ატმოსფეროში ვარ, ათი წელი მაღაროს მუშათა

¹ **ლ. ჯავახიშვილი.** მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში და ქართული პრესა 1920 წელს, გვ. 480.

² გაზ. „ერთობა“. 25 სექტემბერი, 1920.

³ გაზ. „ერთობა“. 25 სექტემბერი, 1920.

⁴ გაზ. „ერთობა“. 25 სექტემბერი, 1920.

⁵ გაზ. „ერთობა“. 25 სექტემბერი, 1920.

⁶ გაზ. „ერთობა“. 24 სექტემბერი, 1920.

⁷ გაზ. „ერთობა“. 24 სექტემბერი, 1920.

დეპუტატი ვიყავი, თქვენთან ყოფნამ გამახსენა განვლილი წლები თბილი ურთიერთობები მაღაროელებთან, უკოპრომისო ბრძოლა მუშათა ინტერესების დასაცავად“.¹

შემდეგ ნ. რამიშვილის, ალ. ლომთათიძისა და ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანხლებით სტუმრებმა ადგილი დაიკავეს სახელდახლოდ მომზადებულ ტრიბუნასთან. ხალხმრავალი მიტინგი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა მაღაროს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ზ. გურულმა.² დელეგაციის წევრებიდან პირველი გამოვიდა ინგლისის თემთა პალატის დეპუტატი, მუშა თომას შოუ: „მე ვმოგზაურობდი რუსეთში და დავრწმუნდი იმაში, რომ უდემოკრატიოდ სოციალიზმის მშენებლობა შეუძლებელია. ხოლო დემოკრატია გულისხმობს სრულ თავისუფლებას. პეტროგრადსა და მოსკოვში მუშები შიმშილობენ. აქ მუშა ლეზულობს – 2 იმისას, რაც მას საზრდოდ სჭირდება. იქ აზრის გამოთქმა არ შეიძლება თუ კომუნისტი არ ხარ, ან კომუნისტებს არ უჭერ მხარს. ამ დროს, საქართველოში ჩვენ ვნახეთ თავისუფალი ადამიანი, კრების, პრესის, სინდისის თავისუფლება. თქვენი ქვეყანა არის ბუნებით მდიდარი, ხალხი კი გამოცდილი, ეს გვაძლევს იმედს, რომ ახლო მომავალში თქვენ ეკონომიკურადაც წინ წახვალთ. ჩვენი გზა არის თავისუფლებისა და დემოკრატიის გზა. ინგლისში 1/2 მილიონი მუშაა ერთ მუშტად შეკრული. თუ ინგლისელს ერთხელ ჩაებეჭდება თავისუფლების იდეები, ის მას ყოველმხრივ დაიცავს. ვფიქრობ ათი წლის განმავლობაში ინგლისელებს ეყოლებათ მუშათა მთავრობა,³ ალბათ დემოკრატიის გზას სხვა ქვეყნებიც გაჰყვებიან“, – დაასრულა სიტყვა თ. შოუმ.⁴

შემდეგ გამოვიდა ფრანგი რენოდელი „1914 წელს, როცა ჰაერში დენტის სუნი ტრიალებდა, „ინტერნაციონალი“ შეეცადა არ დაეშვა სისხლისღვრა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. გაჩაღდა საომარი მოქმედებები. ხუთი წლის ომის მსვლელობამ გამოაღვიძა ჩამორჩენილი ერებიც კი. ამჟამად ყველა უფროთხის ომს. დიდი ომი დამთავრდა, მაგრამ მისი განახლების საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს. მაღაროს მუშები განსაკუთრებული ენერგიით იბრძვიან ომის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მან საინტერესო, მაგალითი მოიყვანა. „ამას წინათ ჟენევაში მაღაროს მუშათა საერთაშორისო კონგრესზე აღინიშნა, რომ ნახშირი არის ომის პური და თუ იმპერიალისტებმა კვლავ გაბედედს ომის დაწყება, ჩვენ არ დავაპურებთ ომს, არ მივცემთ მას ნახშირსო“.⁵ რენოდელმა ჭიათურის მაღაროს მუშებსაც ამისკენ მოუწოდა.

¹ გაზ. „ერთობა“. 24 სექტემბერი, 1920.

² გაზ. „ერთობა“. 24 სექტემბერი, 1920.

³ თომას შოუს წინასწარმეტყველება უფრო ადრე ახდა, 1923 წელს ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტულმა პარტიამ გაიმარჯვა და რამზეი მაკდონალდი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა.

⁴ გაზ. „ერთობა“. 24 სექტემბერი, 1920.

⁵ გაზ. „ერთობა“. 24 სექტემბერი, 1920.

შემდეგ სტუმრები სადილზე მიიპატიჟეს. მაღაროების დათვალიერების შემდეგ. სალამოს ქალაქის გამგეობას ეწვივნენ, მერე ტყიბულისაკენ გაემართნენ.¹ დილაადრიან უკვე ადგილზე იყვნენ.² მატარებელი ერთ-ერთ მაღაროსთან გაჩერდა, საიდანაც ნახშირის მტვრით გამურული მუშები ამოვიდნენ. მათ სახეებს არაჩვეულებრივი ღიმილი დაჰკრავდა. სახელდახელოდ მოწყობილი ტრიბუნიდან მაღაროელებს მიესალმა ინგლისელი სოციალისტი ქალი ეთილ სნოუდენი. მან მოუწოდა მაღაროს მუშებს, ხელიდან არ გაეშვათ მოპოვებული თავისუფლება და დემოკრატია.³ მაღაროელებს მიესალმა ასევე ფრანგი სოციალისტი ა. ინგელსი: „საქართველო თითოთი საჩვენებელი ქვეყანაა, თქვენ ეს უნდა გაითავისოთ, გაათქცევის უნდა იმუშაოთ, რათა განამტკიცოთ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება. თქვენ რომ დამარცხდეთ, ჩვენი ავისმზრახველები იტყვიან აი, რა მოუვიდა სოციალისტურ მთავრობას, რომ მათ არ შესწევთ უნარი მართონ ქვეყანა. ეს იქნება ჩვენი მტრებისთვის დიდი იარაღი, არამარტო თქვენ წინააღმდეგ, არამედ მთელი სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ“.⁴ ე. ვანდერველდემ აღუთქვა მუშებს და იქ მყოფ საზოგადოებას, რომ საქართველოს შესახებ სრულ ინფორმაციას მიანვდიდა ევროპის მუშათა მრავალმილიონიან არმიას.⁵

მიტინგის დასრულების შემდეგ სტუმრები ქუთაისში გაემგზავრნენ. ხალხით სავსე სადგური ყვავილებითა და გრილიანდებით იყო მორთული. ბაქანზე ჩამწკრივებულან პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივ დანესებულებათა წარმომადგენლები. ყველას არაჩვეულებრივი განწყობა ჰქონდა. სადგურის უკანა მოედანიც გაფერადებული იყო ყვავილებით. ადგილობრივი მაცხოვრებლები სახლის აივნებიდან, სახურავებიდან, ხეებიდან თვალს ადევნებდნენ საპატიო სტუმრების დახვედრის ცერემონიალს.⁶ ერთ რიგზე გამწკრივებული ეტლები მოედნიდან ქალაქის საბჭოსკენ მიაცილებდა დელეგაციას. მათ დროშებითა და ტრანსპარანტებით ზღვა ხალხი მიჰყვებოდა. ქუჩიდან, სახლებიდან ისმოდა „ვაშას“ ძახილი. ეტლები თიგულებმა დაფარეს. მათ ჩქარი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდნენ. სავალ გზას ხალხის ახალ-ახალი ტალღა ეუფლებოდა, ქალაქის ბაღთან აღმართავთ იშვიათი ხელოვნებით მორთული „არკა“, სახლებიდან მებრძოლთა სურათები მოჩანდა.⁷

ქალაქის თვითმმართველობამ დელეგაციის საბჭოს საგანგებო სხდომაზე მოიწვია. სტუმრებს მიესალმა საბჭოს თავმჯდომარე ლ. გრიგოლია. მან თქვა: „ჩვენი სტუმრები არიან კაცობრიობის პოლიტიკური

¹ გაზ. „ერთობა“. 25 სექტემბერი, 1920.

² გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

³ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

⁴ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

⁵ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

⁶ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

⁷ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

აკვნის ინგლისის, დიდი რევოლუციის ქვეყნის-საფრანგეთის, პატარა, მაგრამ განვითარებული, კულტურული ბელგიის წარმომადგენლები. ჩვენ მივესალმებით მათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეყრდნობა ქალაქებისა და სოფლების ურღვევ კავშირს. ჩვენი ხელისუფლების საფუძველთა საფუძველია საქალაქო და ერობათა თვითმმართველობა.¹

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ე. ვანდერველდე: „ჩვენ განსაცვიფრებელი შეხვედრა მოგვიწყო ქუთაისმა და ვამაყობთ ამით. ქუთაისს რაინდული წარსული აქვს. ცარიზმის შევზნელი რეაქციის პერიოდში ამ ქალაქის წარგზავნილები, საუკუთესო მებრძოლები კაკი წერეთელი და სხვები აქტიურად ებრძოდნენ მეფის ხელისუფლებას. ჩვენ აქ განსაკუთრებული სითბო ვიგრძენით. ნება მიბოძეთ თქვენთან ერთად შევძახო – გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს.“² შემდეგ სტუმარ-მასპინძლები ქალაქის ბალისკენ გაემართნენ, სადაც გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. სტუმრებს ახლდნენ ნ. რამიშვილი და ალ. ლომთათიძე, ქალაქის თავი, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა ალ. ლომთათიძემ. „ჩვენ აქ ბევრჯერ გაგვიმართავს მიტინგი, მაშინ, როცა გამარჯვებას ვზეიმობდით, მაშინაც კი, როცა მტერი გვერეოდა, მაგრამ ამ ტრიბუნას არასდროს არ მოუზიდავს ამდენი ხალხი, რამდენსაც აქ – დღეს ვხედავთ. ეს იმიტომ, რომ დღეს აქ ბრძანდებიან ისეთი მოღვაწეები, რომლებსკენ გვიჭირავს თვალი და მათი გვეიმედება გაჭირვების ჟამს“.³ დელეგაციის სახელით სიტყვით გამოვიდა ფრანგი ა. დე მარკე: „სამი წლის წინ დაემხო რომანოვების დინასტია. ევროპის სოციალისტებს გვნამდა, რომ რუსეთი გაჰყვებოდა სწორ გზას, მაგრამ მხოლოდ თქვენ შეგრჩათ რევოლუციის მონაპოვარი, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი გაჭირვება გაქვთ გამოვლილი, ჯერ კიდევ მოგიწევთ არაერთი სიძნელეების გადალახვა... გჯეროდეთ, მხოლოდ დაუღალავი შრომით დაძლევთ გაჭირვებას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ერთის დაკვრით შეუძლებელია ქვეყნის გარდაქმნა. საჭიროა მეთოდური, მიზანმიმართული მუშაობა და არა ქაოტური მოქმედება, რომელიც განწირულია დამარცხებისათვის. ჩვენ როცა ჩავალთ ევროპაში ვიტყვით, რომ აღმოსავლეთში არის ერთი პატარა ქვეყანა, საქართველო, რომელსაც სურს დამოუკიდებლობის დაცვა, იმ პრინციპებზე, რომელზედაც დგას ევროპის დემოკრატია, შენი მოვალეობაცაა დაიცვა ის-თქო“.⁴

ოვაციით შეხვდა ხალხი ინგლისელ რ. მაკდონალდის გამოსვლას. „ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! ვნუხვარ, რომ არ შემიძლია გამოვთქვა ქართულად მადლობა გულთბილი მიღებისათვის. საუკუთესო

¹ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

² გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

³ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

⁴ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

მადლობა იქნება ის, როცა ჩავალთ ინგლისში. იქ, პროფკავშირებში და მუშათა პარტიაში გავწევთ აგიტაციას, რათა აიძულონ ევროპის მთავრობები, ცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა. თქვენ დიდი გაჭირვება გადაიტანეთ ცარიზმის ბატონობის პერიოდში. ქუთაისის საუკეთესო შვილებს ციმბირში აგზავნიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. საქართველოს ისტორია არ არის მარტო თქვენი ისტორია, ეს არის ისტორია აღმოსავლეთის ბარბაროსობისა და ჩრდილოეთის იმპერიალიზმისაგან თავის დაღწევისა. ჩვენ ფიცს ვდებთ, რომ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საქართველო მიიღონ ერთა ლიგაში“.¹

მიტინგის დასრულების შემდეგ სტუმრები ეწვივნენ ქუთაისის სამაზრო ერობას და გულდასმით გაეცნენ მის მუშაობას. სტუმრების მხრიდან დასმულ კითხვებს პასუხობდა ერობის თავმჯდომარე კ. სალუქვაძე. საუბრისას გამოიკვეთა მისი ნაცნობობა გიუსმანსთან. 1906 წელს თურმე კ. სალუქვაძე იმყოფებოდა ბელგიაში იარალის შესაძენად ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციებისათვის. გიუსმანმა აღნიშნა, რომ ის და მისი თანამზრახველები სალუქვაძის აგენტები იყვნენ და ეხმარებოდნენ მას იარალის შეძენაში.²

საინტერესო შეხვედრა გაიმართა პროფკავშირთა სახლში. დარბაზი ხალხით იყო სავსე. უფრო მუშები სჭარბობდნენ. საინტერესო სიტყვით გამოვიდა ინგლისელი მუშა-პარლამენტარი თომას შოუ: „მე თქვენთან მოვედი არამარტო, იროგორც მუშათა წარმომადგენელი, არამედ როგორც საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენელიც. მან გაიხსენა ერთი შემთხვევა: ინტერნაციონალის შენევის კონგრესზე მას გაუცვინა საქართველოს წარმომადგენელი (კონკრეტული პიროვნება არ დაუსახელებია) და რჩევა მიუცია მისთვის, რომ საქართველოს მიეღო მონაწილეობა პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ხელს შეუწყობდა მის დაახლოებას მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.“³

სტუმრებს საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ბელგიელმა სოციალისტმა კ. ჰიუსმანსმა სოციალისტური ორგანიზაციების გაერთიანება ურჩია მასპინძლებს. შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა.⁴ დღის მეორე ნახევრისთვის სტუმრები სამეგრელოსაკენ გაემართნენ. ისინი შეაყოვნეს სამტრედიისში. აქაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი⁵ სადგურიდან დელეგაციამ რკინიგზის სახალხო სახლში გადაინაცვლა. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჰიუსმანსმა. მან დამსწრე საზოგადოე-

¹ გაზ. „ერთობა“. 30 სექტემბერი, 1920.

² გაზ. „ერთობა“. 25 სექტემბერი, 1920.

³ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁴ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁵ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

ბას მოთხრო დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი, „ჩვენ ჩამოვედით თქვენი ქვეყნის ახლოს გასაცნობად, მიღებული შთაბეჭდილებების ევროპელებისათვის გასაზიარებლად. თქვენ უდავოდ გაქვთ წარმატებები, მაგრამ ბევრ პრობლემებსაც ვხედავთ, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. აქ თქვენ გჭირდებათ დახმარება. იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი მთავრობა სწორი მოქმედებით დაძლევს სიძნელეებს, თუმცა არც ჩვენ ვიქნებით გულგრილნი თქვენს მიმართ“... კ. ჰიუსმანმა ხაზი გაუსვა საქართველოს უსაფრთხოების საკითხს „თქვენ საფრთხე გელით ორი დიდი სახელმწიფოსაგან. ერთია რუსეთი, მეორე-ოსმალეთი. ოსმალეთი ნახევრად მკვდარია, მაგრამ მაინც საშიშია. რესეთს შეუძლია მოიმოქმედოს ისე, როგორც აზერბაიჯანში, ამიტომ თქვენ გჭირდებათ თანადადგომა. ჩვენ შევეცდებით დავარწმუნოთ ევროპა, რომ საქართველოს, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს, საფრთხე ელის რუსეთისაგან. რუსეთს შეუძლია თავისუფლება წაართვას პატარა საქართველოს, რომელმაც საშინელ პირობებში გამოჰყვდა თავისი მომავალი. თუ რუსეთი მოინდომებს საქართველოს ჩაყლაპვას, მაშინ ევროპამ უნდა იზრძოლოს თქვენი ინტერესების დასაცავად“. სიტყვის დასასრულს კ. ჰიუსმანმა ქართველ მუშებს უსურვა წარმატებები უმთავრეს ფრონტზე გასამარჯვებლად, ეკონომიკის განსამტკიცებლად, დოვლათის შესაქმენელად.¹

შემდეგ დელეგაცია აბაშას ესტუმრა. სადგური საზეიმოდ იყო მორთული. ბაქანზე განმწკრივებულან პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო გვარდიელები. დემოკრატიული ორგანიზაციების სახელით სტუმრებს მიესალმა ბარნაბა ძველაია.² ა. დე მარკესა და ე. სნოუდენის გამოსვლის შემდეგ სიყვა ითხოვა სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენელმა ბესარიონ დუნდუამ. ის ჯერ მიესალმა სტუმრებს, შემდეგ მკაცრად გააკრიტიკა მენშევიკური მთავრობის საქმიანობა. განსაკუთრებით აგრარული პოლიტიკა დაუნუნა ხელისუფლებას: „ამბობენ, რომ გლენმა მინა მიიღო, რომ ის თავისუფალია, სინამდვილეში გლენს მინა არ მიუღია, ის იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს მინის შესახებ“.³ ბ. დონდუას გამოსვლამ ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამ გამოსვლის საპასუხოდ კ. ჰიუსმანმა თქვა: „მე დიდ მადლობას მოვახსენებ იმ ამხანაგს, რომელიც აქ გამოვიდა სოციალისტ-რევოლუციონერების სახელით, ეს კარგია, ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ის განსხვავება, რომელიც არსებობს სოციალისტურ პარტიებს შორის არ აძლევთ მათ უფლებას ჰყავდეთ ცალ-ცალკე ორგანიზაციები. ეს უფრო „ესერებს“ ეხებათ, რომლებიც ძველ დროში არიან ჩარჩენილნი. სოციალისტებს შორის ბელგიაშიც არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ისინი გაერთიანებულნი

¹ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

² გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

³ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

არიან ერთ პარტიაში“.¹ დელეგაციის მიღების ცერემონიალის დასრულების შემდეგ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ საგანგებოდ მონყობილ კარავში სტუმრები ჩაიზე მიიპატიჟა. მოგვიანებით სენაკისაკენ გააცილა.²

სენაკის სადგურზე დელეგაციას დახვდნენ ქალაქის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხალხმრავალი მიტინგის დასრულების შემდეგ სტუმრები ერობის ოფისს ეწვივნენ. დიდი ყურადღებით ეცნობოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას. ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომის გადანყვეტილებით (სხდომას სტუმრებიც ესწრებოდნენ) სენაკის ერთ-ერთ ქუჩას ინტერნაციონალის სახელი დაერქვა.³ კ. ჰიუსმანსმა და ა. დე მარკემ მონაწილეობა მიიღეს სახალხო სახლის საძირკველის ჩაყრის ცერემონიაში.⁴ ქალაქის საბჭომ და ერობამ დელეგაცია სადილზე მიიპატიჟეს. შემდეგ სტუმრები ოვაციების ქვეშ ფოთში გააცილეს.

სალამოს საგანგებო მატარებელი ფოთში ჩავიდა. კოკისპირული ნვიმის მიუხედავად სადგურიდან ქალაქის ბოლომდე გზის მონაკვეთი ხალხით იყო სავსე. ალ. ლომთათიძისა და ნ. რამიშვილის თანხლებით დელეგაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფოთის ორგანიზაციას ესტუმრა. სტუმრებმა ფოთელ სოციალისტ-დემოკრატებს პარტიული მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს. მხარეებს შორის დიალოგი აულრესად თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.⁵ შემდეგ ბალთან ახლოს ფოთის მშენებარე ტაძართან გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ადგილობრივი ხელისუფლების სახელით სტუმრებს მიესალმა გ. სამსონაძე.⁶ შეკრებილთ სიტყვით მიმართა კ. ჰიუსმანსმა. მან გაიხსენა 1912 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელის ერთ-ერთ ტაძარში გამართული საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის კონგრესი. „ბაზელის უძველესი ტაძრის ზარები ყველა ჩაგრულთ ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ. აქ, ამ ნახევრად ბნელი ტაძრის კედლები ყოველ წარმოთქმულ სიტყვას თავისებურ, ომახიან ჟღერადობას აძლევენ, ყოველივე ეს უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად განგვანყოფს.“⁷ ეტყობა ბელგიელ სტუმარს კარგად ახსოვდა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ისტორიის ყოველი დეტალი.

მიტინგის დასრულების შემდეგ სტუმრებმა ფოთის ნავსადგური დაათვალიერეს... ფოთიდან სამტრედიის გავლით გურიას ეწვივნენ. გურულებმა მათ უაღრესად თბილი შეხვედრა მოუწყვეს.⁸ მეორე დღეს დე-

¹ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

² გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

³ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁴ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁵ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁶ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁷ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

⁸ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

ლეგაცია თბილისში დაბრუნდა. საქართველოს მთავრობამ გრანდიოზული საზეიმო ცერემონიალი მოაწყო. უაღრესად კმაყოფილი სტუმრებმა ბათუმიდან ევროპისაკენ აიღეს გეზი.¹

ევროპელ სოციალისტთა ლიდერების ვიზიტი საქართველოში უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. საპატიო სტუმრებმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს და გულდასმით გაეცნენ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ვითარებას და კულტურულ მშენებლობას. დელეგაციის წევრების შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ხალხთან საქმიანი, გამოცდილების გაზიარების ვითარებაში მიმდინარეობდა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ევროპის წამყვან გამოცემებში მათ გამოაქვეყნეს არაერთი ინფორმაცია, რომელშიც ასახული იყო ქართველი ერის სიტორიული წარსული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში მიღებული წარმატებები და მოწოდებები მის მხარდასაჭერად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროპის სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ე. ვანდერლენდეს მიერ ბრიუსელის ერთ-ერთი წამყვან გაზეთ *“Le Peuple”*-ში 1920 წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია. ე. ვანდერველდე აცხადებდა: „საჭიროა, რომ საქართველოს ჰქონდეს განსაზღვრული საერთაშორისო მდგომარება, საქართველო დე ფაქტო უკვე ცნობილმა უნდა მიიღოს დე იურე ცნობაც. თუ ქვეყნად არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც ღირსია თავისუფლებისათვის გამირული ბრძოლისა, თავისი მთლიანობის სრულად შეგნების აღიარებისა-ეს არის საქართველოს რესპუბლიკა. ჩვენ დიდი იმედები გვაქვს, რომ ახლო მომავალში მისი უფლებები აღიარებული იქნება.“²

ბრიუსელის მეორე, არანაკლებ პოპულარულ გაზეთ *“Le Soir”*-ში ე. ვანდერველდე დამაჯერებელი არგუმენტებით კვლავინდებურად ასახულებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობას და ბელგიის მთავრობას მასთან ეკონომიკური თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა.³ ლონდონის ყოველგვირეულ გამოცემაში *“De Maten”* გამოქვეყნდა ევროპის სოციალისტთა ერთ-ერთი ლიდერის, შემდგომში ინგლისის პრემიერ მინისტრის რ. მაკდონალდის ვრცელი სტატია „სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში“.⁴ საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიარა გაზეთ *“The Times”*-ის მკითხველებს ე. სნოუდენმა.⁵ ამ თემას მიძღვნა ფრანგულ გაზეთ *“Le Cri Du Nord”*-ში წერილების სერია ა. ინგელსმა⁶. საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთმა

¹ გაზ. „ერთობა“. 2 ოქტომბერი, 1920.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 24 ნოემბერი, 1920.

³ ნ. კირთაძე. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923წწ.). თბ., 1997, გვ. 65.

⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 26 ნოემბერი, 1920.

⁵ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 26 ნოემბერი, 1920.

⁶ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 26 ნოემბერი, 1920.

ლიდერმა პ. რენოდელმა მისივე რედაქტორობით გამოშვებულ გაზეთ “*La Vie socialiste*”-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხარდაჭერისა და დამოუკიდებლობის აღიარების ენერგიული კომპანია წამოიწყო.¹

ამრიგად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სოციალისტური პარტიების ლიდერთა ვიზიტი საქართველოში ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად სასარგებლო იყო. ამ მოვლენამ დადებითი გავლენა იქონია საქართველოს იურიდიული აღიარების სასარგებლოდ ევროპული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმიტაც. რომ სტუმრები ახლო გაცნენ საქართველოს, ხალხის ყოფაცხოვრებას, რამაც მის შესახებ რეალური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა მისცა. სტუმრები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეულ წარმატებებზე, ამასთან დაუფარავად ავლენდნენ არაერთ ნაკლოვანებას, რის გამო ფერხდებოდა სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება. უმეტესწილად აქცენტი ეკონომიკის ჩამორჩენილობაზე კეთდებოდა. სტუმრები მიიჩნევდნენ, რომ მთავრობის მხრიდან სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროების-სამთამადნო მრეწველობის, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უფრო მიზანმიმართული მუშაობა იყო საჭირო. სტუმრები მენშევიკურ მთავრობას ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დაცვისა და შრომის ორგანიზაციის პოლიტიკას უწუნებდნენ.

ევროპული სოციალისტებთან საქმიანი კონტაქტები, კონსულტაციები, გამოცდილების გაზიარება დემოკრატიულია სახელმწიფოს მშენებლობაში წარმატების მიღწევების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიამ წერტილი დაუსვა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. ევროპამ გასწირა საქართველო, ვერცდასავლეთის სოციალ-დემოკრატიამ უშველა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს.

JAMBUL ANCHABADZE

EUROPEAN SOCIALISTS' VISIT IN WESTERN GEORGIA

It is well-known that a group of European Social-Democrat party leaders visited Georgia in September 1920. We reviewed their trip to Western Georgia in details and should say that European Socialists leaders visit in Georgia was extremely productive and important. This event positively affected Georgia's international recognition, forming European opinion and implementing west-oriented economic policies.

¹ ლ. ჯავახიშვილი. მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის..., გვ. 480.

ბას აღარ დასცალდა. 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების შედეგად რუსეთის დროებითი მთავრობა დაემხო და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა. ასეთ ვითარებაში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა 1917 წლის 15 (28) ნოემბერს თბილისში სამხარეო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი (მთავრობა) შექმნეს, რომელსაც სათავეში ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი ჩაუდგა.¹ ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები – ეროვნული საბჭოები ყალიბდება. 1917 წლის 7-8 ნოემბერს აფხაზეთის გლეხთა I ყრილობაზე აფხაზთა სახალხო საბჭო შეიქმნა. ყრილობაზე მიღებული დეკლარაციის თანახმად, აფხაზთა სახალხო საბჭო აფხაზი ხალხის (და არა აფხაზეთის, – **ბ. ხ.**) ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც აფხაზი ხალხის ინტერესებს იცავდა.² იმავე წლის 19-21 ნოემბერს საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩიეს.³ აფხაზეთში აფხაზთა სახალხო საბჭოს გარდა ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა სახალხო საბჭოები შეიქმნა. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურთიერთობა მხოლოდ აფხაზთა სახალხო საბჭოსთან ჰქონდა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 7 დეკემბრის საგანგებო დადგენილებით დააკმაყოფილა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შუამდგომლობა რუსეთის დროებითი მთავრობისადმი. ამ დადგენილებით გაუქმდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (1894-1917) მიერ დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის 1904 წლის 25 ოქტომბრის დებულება, სოხუმის ოლქიდან გაგრის კლიმატური სადგურის რაიონის გამოყოფისა და შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოლქთან ადმინისტრაციულად მიერთების შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა აღდგენილიყო სოხუმის ოლქის ისტორიული საზღვარი მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეყვანის გზით.⁴

ამდენად, მდინარეებს – ბზიფსა და მზიმთას შორის ტერიტორია შავი ზღვის გუბერნიას ჩამოერთვა და გაგრის ოლქის სახელწოდებით

¹ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 8.

² *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии*. Тифлис, 1919 (რეპრინტული გამოცემა: თბ., 1990), გვ. 7; **ა. ბენდიანიშვილი**. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 76.

³ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 8-9; **ჯ. გამახარია**. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 37-38; **დ. ჩიტაია**. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, გვ. 115-116, 128-129.

⁴ **ა. ბენდიანიშვილი**. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 77-80.

სოხუმის ოკრუგის (ოლქის) შემადგენლობაში შევიდა. სოხუმის ოლქის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. მზიმთა გახდა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციას შორის შეხვედრა გაიმართა. იმავე დღეს გაფორმდა შეთანხმება „საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის შესახებ“, სადაც ნათქვამია: 1. „აღდგეს ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე, რომლის შემადგენლობაშიც შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო – ამჟამინდელი სოხუმის ოლქი; 2. ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა უნდა შემუშავდეს ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ; 3. იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთი და საქართველო მოისურვებენ სხვა ეროვნებებთან ან სახელმწიფოებთან დაამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობა, მაშინ ერთმანეთის წინაშე იღებენ ვალდებულებას წინასწარ მოილაპარაკონ ამასთან დაკავშირებით“.¹

ამრიგად, რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, 1918 წლის 9 თებერვლის შეთანხმებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური აფხაზეთის არსებობას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება დემოკრატიული წესით არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა მიეღო; აღდგა რუსეთის ხელისუფლების მიერ გაუქმებული ტერმინი აფხაზეთიც. აღსანიშნავია, რომ ეს შეთანხმება სახელმწიფოებრივი აქტი არ იყო, რადგან მას ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები აწერდნენ ხელს.

9 თებერვლის შეთანხმების დადების შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა, რომ აფხაზეთი საქართველოს წიაღში რჩებოდა, საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით ბოლშევიკები აფხაზეთში ვითარების დაძაბვას და ამ მხარის საქართველოსაგან მოწყვეტას შეეცადნენ. სოხუმში ბოლშევიკური გამოსვლები მოეწყო და 16-20 თებერვალს ძალაუფლება ხელთ იგდო სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ეფრემ ეშბას ხელმძღვანელობით. 20-21 თებერვალს აფხაზთა სახალხო საბჭომ სამთავრობო ჯარის ნაწილების დახმარებით, შეძლო სოხუმის დაბრუნება და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მცდელობის აღკვეთა.² ეს ბოლშევიკური გამოსვლები 9 თებერვლის აქტზე საპასუხო რეაქცია იყო.

1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სეიმი (პარლამენტი) შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედ ქართველი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იქნა არჩეული. ორი

¹ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 13; დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, გვ. 138.

² აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 14-15.

თვის შემდეგ, 9 (22) აპრილს, სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.¹ შეიქმნა „დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა“ და ბოლშევიკურ რუსეთს ამიერკავკასია დროებით ჩამოშორდა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი გახდა.²

1918 წლის მარტში, ბოლშევიკების ინსპირირებით, გაგრაში ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული გამოსვლები დაიწყო. 8 აპრილს აჯანყებულებმა სოხუმი დაიკავეს, აფხაზთა სახალხო საბჭო გარეკეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელსაც სამხედრო დახმარებას მოსკოვი უწევდა. აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნით ამიერკავკასიის მთავრობამ აფხაზეთში ჯარი გაგზავნა, რომელმაც მაისში ეს მხარე ბოლშევიკებისაგან განმინდა. 17 მაისს სამთავრობო ჯარებმა სოხუმი გაათავისუფლეს და 18 მაისს აფხაზთა სახალხო საბჭომ მუშაობა განაახლა. მომდევნო დღეებში სამთავრობო ჯარებმა ახალი ათონი და გუდაუთი გაათავისუფლეს. ბოლშევიკები გაგრაში გამაგრდნენ.³

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შინაგანი წინააღმდეგობების გამო დაიშალა. იმავე დღეს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 117 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

2 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭომ გამოაცხადა, რომ ძალაუფლებას მთელი აფხაზეთის ფარგლებში ხელში იღებდა. იმავდროულად, მან საქართველოს ეროვნულ საბჭოს თხოვნით მიმართა, აფხაზეთში ხელისუფლების ორგანიზების საქმეში მისთვის დახმარება გაენია.⁴ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად თბილისში აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაცია გაიგზავნა. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულებით, აფხაზთა სახალხო საბჭო აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას ადასტურებდა; აფხაზეთს სრული შინაგანი ავტო-

¹ **А. Ментешавили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 24; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 288.

² *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии*, გვ. 200-222.

³ **ა. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 87-92.

⁴ **А. Деникин.** Очерки русской смуты. *Белое движение и борьба добровольческой армии. Май - Октябрь 1918.* Минск, 2002, გვ. 80; **გ. მაზნიაშვილი.** მოგონებანი. 1917-1925. ბათუმი, 1990, გვ. 58; **მ. გაბედავა.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წლებში. თბ., 1993, გვ. 33-34; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 288-289.

ნომია ენიჭებოდა; ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მხრიდან აფხაზთა სახალხო საბჭოსთვის სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებასაც ითვალისწინებდა.¹

1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სულ მალე, აფხაზეთში ვითარება კვლავ გართულდა. 16 ივნისს გააქტიურდნენ გაგრაში გამაგრებული ბოლშევიკები, რომელთა დასახმარებლად სამხრეთ რუსეთის ქალაქებიდან – სოჭი, ტუაფსე, მაიკოპი და სხვ. შეიარაღებული რაზმები მოვიდნენ. მათ საქართველოს ეროვნული გვარდიის მენინავე რაზმი ამოხოცეს, გუდაუთი დაიკავეს და სოხუმზე შეტევისთვის ემზადებოდნენ. ასეთ ვითარებაში, აფხაზთა სახალხო საბჭომ საქართველოს ხელისუფლებას დახმარების თხოვნით მიმართა.²

საქართველოს ჯარის ნაწილები, რომელსაც აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ შეკრებილი აფხაზთა ცხენოსანი ლაშქარიც შეუერთდა, 20 ივნისს შეტევაზე გადავიდნენ და ახალი ათონი, 22 ივნისს გუდაუთი, 28 ივნისს გაგრა დაიკავეს. ამდენად, მათ ბოლშევიკთა შეიარაღებული ნაწილები აფხაზეთიდან განდევნეს და შავი ზღვის გუბერნიის ყოფილ საზღვარზე, სოფ. პილენკოვოსთან, მდ. მესხადირზე გამაგრდნენ.³

1918 წლის 24 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება „სოჭისა და ტუაფსეს ოლქების დაკავების აუცილებლობის შესახებ“, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც დაეთანხმა. აფხაზთა სახალხო საბჭომ და საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში მოქმედი ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ გიორგი მაზნიაშვილს დაავალა, სამხრეთ რუსეთში ანარქიის შეწყვეტამდე, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უსაფრთხოების დაცვის მიზნითა და ეკონომიკური მოსაზრებებით (ყუბანის მთავრობისგან პურისა და ნავთობის ხელსაყრელ ფასებში შექენა), შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ქ. ტუაფსეს ჩათვლით დაეკავებინა.⁴

რუსეთში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ოსმალეთმა აქტიური მოქმედება დაიწყო ამიერკავკასიის დასაპყრობად, რომელსაც რუსეთის ჯარი ტოვებდა. ოსმალეთის ემისრები აფხაზთა ზედაფენას ძველი პრივილეგიების აღდგენას აღუთქვამდნენ, აქეზებდნენ მათ აფხაზეთი საქართველოსაგან გამოეყოთ და ეს მხარე ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექციათ. აფხაზური საზოგადოების ერთმა ნაწილ-

¹ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 16-17.

² აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 17-18, 19-20.

³ გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 59-60; ჯ. გამახარია. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 291.

⁴ გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 63-64; А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 25; ჯ. გამახარია. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 291.

მა, რომელსაც პროთურქული ორიენტაცია ჰქონდა, ოსმალეთს მფარველობის თხოვნით მიმართა და ბოლშევიკების გამოსვლის ჩახშობას თურქთა დახმარებით ცდილობდა. ოსმალეთმა გადაწყვიტა ჯარი გაეგზავნა სოხუმის ასაღებად და სათანადო მზადებას შეუდგა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯარის ნაწილები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე იბრძოდნენ, პროთურქულად განწყობილ აფხაზთა მოწვევით ოსმალთა დესანტი, რომელიც ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან შედგებოდა, 27 ივნისს მდ. კოდორის შესართავში გადმოსხდა. საქართველოს ჯარის ნაწილები მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდნენ და სოხუმის მისასვლელი ჩაკეტეს. დროულად მიღებული ღონისძიებების წყალობით, ოსმალებმა სოხუმის დაკავება ვეღარ შეძლეს. აგვისტოში საქართველოს ჯარის ნაწილებმა თურქთა დესანტი აიძულეს აფხაზეთი დაეტოვებინა.¹

1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულში აფხაზეთში ბოლშევიკებისა და თურქოფილების ერთდროული გამოსვლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ორივე ძალა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილებასა და დასაკუთრებას ისახავდა მიზნად.²

1918 წლის 3 ივლისს საქართველოს ჯარის ნაწილებმა ადღერი, 5 ივლისს – ხოსთა, ხოლო 6 ივლისს სოჭი დაიკავეს. 26 ივლისს, 12 საათიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ისინი ტუაფსეში შევიდნენ. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა უშუალო კავშირი დაემყარებინა ყუბანის მთავრობასთან. ამ მიზნით საქართველოს ჯარის ნაწილებმა ტუაფსეს შემდეგ შავიზღვისპირას არხიპო-ოსიპოვკა და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მნიშვნელოვანი საკვანძი ხადიჟენსკი და ბელორეჩენსკი დაიკავეს.³ ამრიგად, საქართველოს ჯარმა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ბოლშევიკთა შეიარაღებული რაზმები განდევნა.⁴

მალე, შავიზღვისპირეთში შეტევაზე წითელი არმიის ნაწილები გადმოვიდნენ. მოხალისეთა არმიის მიერ დამარცხებული წითელი არმიის ნაწილები ტამანიდან ნოვოროსიისკისაკენ გაემართნენ. მათ გადაწყვეტილი

¹ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 20-21; გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 64, 73; Дж. Гамахрия, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тб., 1997, გვ. 752-753, 759.

² გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 69-72; მ. გაბედავა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წლებში, გვ. 22-24; ჯ. გამახარია. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 291-292; ზ. წურწუშია. აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში (XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში). თბ., 2012, გვ. 202-206.

³ ზ. წურწუშია. აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, გვ. 209.

⁴ გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 65, 73, 75; А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 25; ა. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.), გვ. 125.

ჰქონდათ ტუაფსედან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყვნენ და ჩრდილოეთ კავკასიის წითელ არმიას შეერთებოდნენ. 26-29 აგვისტოს წითელი არმიის ნაწილებმა ნოვოროსიისკი, გელენჯიკი, ფშადა, არხიპო-ოსიპოვკა, ნოვო-მიხაილოვსკოე აიღეს. საქართველოს არმიის მცირერიცხოვანმა რაზმებმა არხიპო-ოსიპოვკადან უკან დაიხიეს. 1 სექტემბერს მათ ტუაფსე დატოვეს და ლაზარევსკოეში გამაგრდნენ.¹ ორი დღის შემდეგ, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა ტუაფსე დატოვეს და ქედს გაღმა არმავირის გზას დაადგნენ, საქართველოს ჯარის ნაწილები ტუაფსეს ხელახლა მიადგნენ, რომელსაც ჩრდილოეთიდან ა. დენიკინის მოხალისეთა არმია უტევდა. მოხალისეთა არმიასთან შეტაკების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ჯარის ნაწილებმა უკან დაიხიეს და ლაზარევსკოეში, ტუაფსესა და სოჭის ოლქების საზღვარზე, მდ. შახეზე გამაგრდნენ. 6 სექტემბერს ტუაფსე ა. დენიკინმა დაიკავა.²

18 სექტემბერს სოჭში გაიმართა სოჭის ოლქის სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს სხდომა. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც დაცულია დემოკრატიის პრინციპები და რადგან სოჭის ოლქს დენიკინის სამხედრო დიქტატურა ემუქრება, საბჭო გამოთქვამს სურვილს საქართველოს მთავრობამ სპეციალური დეკრეტით დაუყოვნებლივ გააფორმოს სოჭის ოლქის დროებით მიერთება რესპუბლიკასთან.³ მსგავსი რეზოლუცია მიიღო აგრეთვე ესერების პარტიის სოჭის ორგანიზაციამ 18 სექტემბერს.⁴ სოჭის მოსახლეობის საერთო კრებამ, რომელიც სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოს, მუშათა კავშირის, ქალაქის სათათბიროს წევრთა ინიციატივით 20 სექტემბერს გაიმართა, სოჭის ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დროებით მიერთების შესახებ რეზოლუცია მიიღო.⁵

1918 წლის 25-26 სექტემბერს ქ. ეკატერინოლარში მოხალისეთა არმიის, ყუბანის მთავრობის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. სამხრეთ რუსეთში ანტიბოლშევიკური მოძრაობის ხელმძღვანელებმა, მეფის არმიის გენერლებმა მიხეილ ალექსეევმა და ანტონ დენიკინმა, სოჭისა და გაგრის ოლქებზე, როგორც რუსულ მიწაზე, პრეტენზია განაცხადეს. ისინი „მთლია-

¹ **А. Деникин.** Очерки русской смуты. Белое движение и борьба добровольческой армии. Май - Октябрь 1918, გვ. 80.

² **Е. Ковтюх.** «Железный поток» в военном изложении. Издание второе. Под ред. и с предисловием *Вл. Меликова.* М., 1931, გვ. 53-65; **А. Деникин.** Очерки русской смуты. Белое движение и борьба добровольческой армии. Май - Октябрь 1918, გვ. 399; **გ. მაზნიაშვილი.** მოგონებანი, გვ. 77-78.

³ **გ. მაზნიაშვილი.** მოგონებანი, გვ. 78-79.

⁴ *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии,* გვ. 388-389.

⁵ *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии,* გვ. 389-390.

ნი და განუყოფელი რუსეთის“ შექმნისათვის იბრძოდნენ, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთის უშუალოდ შეყვანაც სურდათ. მათ აფხაზეთა ერთი ნაწილიც მხარს უჭერდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა ტუაფსეს დათმობის შესახებ განცხადება გააკეთა, თუმცა სოჭის ოლქის დროებით, რუსეთში ანარქიის აღკვეთამდე შენარჩუნების სურვილი გამოთქვა. რაც შეეხება გაგრის ოლქს, ის აფხაზეთის ნაწილად, ხოლო აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.¹ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და შეწყდა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე შექმნილი ვითარებით იყო დაკავებული, 7 დეკემბერს, საქართველოს სომხეთის რესპუბლიკის ჯარის ნაწილები ვერაგულად თავს დაესხნენ.² საქართველო-სომხეთის ომის დაწყებამ სოჭის ოკრუგის სომხური მოსახლეობა საქართველოს წინააღმდეგ განაწყო. ამის შესაბამისად, მოხალისეთა არმიის აგენტების საქმიანობა გაძლიერდა. ფაქტობრივად, ა. დენიკინის მოხალისეთა არმია, სოჭისა და მისი შემოგარენის სომხური მოსახლეობა და სომხეთის მთავრობა უნისონში მოქმედებდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან ჯარის ნაწილების გამოყვანა დაიწყო.

გენერალ-ლეიტენანტი ა. დენიკინი, რომელიც იანვრიდან სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო, კატეგორიულად მოითხოვდა ქართველებს სოჭისა და გაგრის ოლქები მდ. ბზიფამდე დაეცალათ.³ 1919 წლის თებერვალში ა. დენიკინმა საქართველოს ფაქტობრივად ომი გამოუცხადა. 2 თებერვალს (ძვ. სტ. 20 იანვარს) მან საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლითაც თავის სახმელეთო და საზღვაო ძალებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა უბრძანა. ასე დაიწყო ომი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელიც ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. 6 თებერვალს (ძვ. სტ. 24 იანვარს), დილის 4 საათზე, სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი შენაერთი მოხალისეთა არმია შეტევაზე გადმოვიდა, დაამარცხა ქართული ჯარის ნაწილები და ლოო და სოჭი დაიკავა. შემდეგ მოხალისეთა არმიამ შეტევა განაგრძო, ქართული ჯარის ნაწილები სარდალთან, გენერალ ალექსანდრე კონიაშვილთან ერთად დაატყვევა, გაგრა დაიკავა და 10 თებერვალს სოჭის ოკრუგის ძველ საზღვარზე, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდა.⁴ ამით ა. დენიკინმა შავი ზღ-

¹ *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии*, გვ. 390.

² *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии*, გვ. 391-414; **გ. მაზნიაშვილი**. მოგონებანი, გვ. 79-113; **მ. გაბედავა**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წლებში, გვ. 26.

³ **გ. მაზნიაშვილი**. მოგონებანი, გვ. 119; **ა. ბენდიანიშვილი**. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 131-132.

⁴ **А. Деникин**. Очерки русской смуты. *Вооруженные силы юга России*. *Заключи-*

ვის გუბერნიასა და სოხუმის ოლქს შორის ძველი საზღვარი აღადგინა. ასე რომ, სოჭის ოლქი 1918 წლის ივლისიდან 1919 წლის თებერვლამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.

1919 წლის 13 თებერვალს მთელ აფხაზეთში აფხაზეთის სახალხო საბჭოს დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. არჩეულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭო – აფხაზეთის ავტონომიის ფარგლებში საკანონმდებლო ორგანო.¹ უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთის კომისარიატი (მთავრობა) წარმოადგენდა. 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი ავტონომიის შესახებ“, რომლის ძალითაც აფხაზეთი ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა.² ამ აქტით, ოფიციალურად, სახელწოდება „სოხუმის ოლქი“ „აფხაზეთი“-თ შეიცვალა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველსავე სხდომაზე დაისვა საკითხი მოხალისეთა არმიის ნაწილებისაგან გაგრის უბნის „ისტორიულ საზღვრამდე, მდ. მზიმთამდე“ დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.³ 1919 წლის 12 აპრილს საქართველოს ჯარის ნაწილებმა მდ. ბზიფი გადალახეს, მოხალისეთა არმიის მენინავე ქვედანაყოფები გაანადგურეს და გაგრის ოლქი მდ. მზიმთამდე მთლიანად დაიკავეს. მაგრამ, საქართველომ დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნება ვერ შეძლო. საქართველოს ჯარის ნაწილებმა პროდენიკინურად განწყობილი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მოთხოვნით, უკან დაიხიეს და მდ. მეხადირის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ.⁴ 1919 წლის 11 ივნისს ბრიტანეთის სარდლობის გადანყვეტილებით მდ. ბზიფზე შეიქმნა სადემარკაციო ხაზი, რომელიც ა. დენიკინის რეჟიმსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მიჯნავდა.⁵ ამდენად, დიდი ბრიტანეთის პროდენიკინური სამხედრო მისიის ზეწოლით, ბზიფსა და მეხადირს შორის ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის ადმინისტრაციის მმართველობით. ამის შემდეგ, მდ. მეხადირი წელიწადზე მეტ ხანს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა.

тельный период борьбы. Январь 1919 – март 1920, გვ. 271.

¹ **А. Деникин.** Очерки русской смуты. Октябрь 1918 – январь 1919. Минск, 2002, გვ. 283; **გ. მაზნიაშვილი.** მოგონებანი, გვ. 137; **ა. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 286; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 298.

² **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 298-299.

³ **ა. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 127-128; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 36.

⁴ **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 433-435, 772.

⁵ **А. Деникин.** Очерки русской смуты. Вооруженные силы юга России. Заключительный период борьбы. Январь 1919 – март 1920, გვ. 273, 277.

მოხალისეთა არმიისადმი დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა მიზნად ისახავდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს დამხობას, მაგრამ ა. დენიკინმა მასზე დაკისრებულ ამოცანას თავი ვერ გაართვა. ოქტომბერში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა მოხალისეთა არმიას შეუტია, რომელსაც სამხრეთისკენ წინსვლის თავი უკვე აღარ ჰქონდა. 1920 წლის მარტი-აპრილში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხალისეთა არმია საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ შეცვალა.¹ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც მათ შორის საზღვრად შავიზღვისპირეთში მდ. ფსოუ გამოცხადდა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ცნო.²

7 მაისის ხელშეკრულების მიუხედავად ორ რესპუბლიკას შორის საზღვარი ისევ მდ. მესხადირზე გადიოდა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებული „ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის“ I მუხლში აღნიშნულია აფხაზეთის საზღვრები: ჩრდილო-დასავლეთით – მდ. მესხადირი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგური.³ ასეთივე საზღვრებია დაფიქსირებული „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებაში“, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 31 დეკემბერს მიიღო.⁴

1920 წლის დეკემბერში, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ჯარის ნაწილებმა ნეიტრალური ზონა დაიკავეს და მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე განლაგდნენ. ამის თაობაზე, რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში ა. შეიმაწმა თავის მთავრობას აცნობა. მისი ინფორმაციით, მდ. ფსოუსთან მოხდა საქართველოს ჯარის გადაჯგუფება და მათ ფსოუს რაიონში ნეიტრალური ზონა დაიკავეს.⁵ ამ მდინარის პირას დაესხნენ საქართველოს ჯარის ნაწილებს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები 1921 წლის 19 თებერვალს, როდესაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩრდილო-დასავლეთიდან შემოუტყის.⁶

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს

¹ სეაცსა, ფ. 1864, ანან. 1, ს. 11, ფურც. 2; ა. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 288-289.

² А. Деникин. Очерки русской смуты. Вооруженные силы юга России. Заключительный период борьбы. Январь 1919 – март 1920; გვ. 437-439; К. Красильникова. Партизанское движение на Кубани и Черноморье. 1918-1920гг. Краснодар, 1957, გვ. 93.

³ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური..., გვ. 51-52.

⁴ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური..., გვ. 56.

⁵ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 61.

⁶ სეაცსა, ფ. 1864, ანან. 1, ს. 59, ფურც. 70.

დაამტკიცა, „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა მიანიჭა“.¹

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის ჯარებმა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა დაამხეს და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს.² ხელისუფლების დროებითი უმაღლესი ორგანო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) გახდა, რომელმაც მმართველობის ასეთივე ორგანოები ადგილებზეც შექმნა. საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში 4 მარტს გამოცხადდა, როდესაც რუსეთის IX წითელი არმიის ნაწილები საქართველოში ჩრდილო-დასავლეთიდან შემოიჭრნენ და სოხუმი დაიკავეს.³ ასეთ ვითარებაში სოჭის საოლქო ხელისუფლებამ და რსფსრ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთის სამხარეო აღმასკომმა პილენკოვოს თემის სოჭის ოლქთან მიერთება გამოაცხადა და იქ რუსული ადმინისტრაცია შექმნა. ამის შედეგად, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს, შესაბამისად, აფხაზეთს შორის, საზღვარი სოხუმის ოლქისა და შავი ზღვის გუბერნიის გამყოფ მდ. ბალრიფსთაზე გავიდა.⁴

1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომმა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მეთაურს ვ. ლენინს და ეროვნებათა სახალხო კომისარს (მინისტრს) ი. სტალინს წერილი გაუგზავნა, რომელშიც დასმული იყო საკითხები საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აფხაზეთის გამოცხადებისა და რუსეთის ფედერაციაში მისი შეყვანის აუცილებლობის შესახებ. წერილში ნათქვამია: აფხაზეთი უნდა გამოცხადდეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად; საბჭოთა აფხაზეთი უშუალოდ უნდა შედიოდეს რუსეთის ფედერაციაში.⁵

28 მარტს ქ. ბათუმში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის, აჭარისა და აფხაზეთის ბოლშევიკთა თათბირი გაიმართა. ბათუმის თათბირმა განიხილა საკითხი „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურისა და კომპარტიის შესახებ“ და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება დაადგინა. ამასთანავე, საკითხი აფხაზეთის სს რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობის ფორმების შესახებ ამ ორი რესპუბლიკის მმართველი უმაღლესი ორგა-

¹ *История Абхазской АССР (1917-1937)*. Сухуми, 1983, გვ. 71.

² *საქართველოს კონსტიტუცია*. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, – ნგნ.: *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული*. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 476.

³ **ა. ბენდიანიშვილი**. საქართველოს პირველი რესპუბლიკა., გვ. 325-326.

⁴ **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 309.

⁵ **თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა**. საქართველოს ისტორიული ატლასი. ტ. I: *აფხაზეთი*. თბ., 2013, გვ. 25, 109.

ნობის – საბჭოების ყრილობების მოწვევამდე ღიად დატოვა.¹

ბოლშევიკთა ბათუმის თათბირმა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია. რუსეთის კპ (ბ) კავკასიის ბიუროს უფლება არ ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გადაეწყვიტა. მით უფრო, რომ იმდროინდელი საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა არ ითვალისწინებდა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, თუ იქ მოსახლეობა მილიონზე მეტი არ იქნებოდა. თანაც, აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 17,6% შეადგენდნენ. ამით დაკმაყოფილდა აფხაზი ბოლშევიკების მოთხოვნა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური და შემდეგში საბჭოთა აფხაზეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ეფრემ ეშბა (1922 წ. თებერვალი-მარტი) აღნიშნავდა: „ჩვენც კი, რომლებიც იქიდან, ჩრდილოეთიდან მოვიწვევდით, ვფიქრობდით, რომ აფხაზეთი, როგორც საბჭოთა საქართველოს შემადგენელი ნაწილი იარსებებდა, მაგრამ, როდესაც აქ ჩამოვედით და გავერკვიეთ თუ როგორ ატმოსფეროში აღმოვჩნდით, იძულებული ვიყავით აფხაზეთის დამოუკიდებლობის ასეთი ფორმა მიგველო“. 1921 წლის 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ“, რომლითაც აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებელი სს რესპუბლიკის შექმნა და ამ ფაქტს მიესალმა. ამან აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 1921 წლის 20 ივნისს აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ეფრემ ეშბა (1921 წ. მარტი – 1922 წ. თებერვალი) გალში ჩავიდა და მოსახლეობას საგანგებო სამაზრო ყრილობაზე შეხვდა. ე. ეშბას განცხადებამ, რომ ბოლშევიკური პარტიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა აფხაზეთი რუსეთზე იქნებოდა მინერილი თუ საბჭოთა საქართველოზე, ხალხი არ დააკმაყოფილა. ყრილობაზე საქართველოსთან კავშირისაკენ მისწრაფება აშკარად გამოიკვეთა. მოსახლეობამ ასევე მას მოსთხოვა, რომ განათლება მაზრაში ქართულ ენაზე ყოფილიყო.²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რევკომმა აღიარა აფხაზეთის სსრ, იქვე გამოთქვა იმედი, რომ საკითხი საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ ურთიერთობის შესახებ საბოლოოდ ორივე რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობაზე გადაწყდებოდა.³ რეალურად, აფხაზეთის სსრ დამოუკიდებელი არ ყოფილა. ეს აღიარებაც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა საქართველოს სახელმ-

¹ **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 310.

² **თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა.** საქართველოს ისტორიული ატლასი. ტ. I: აფხაზეთი. გვ. 25-26.

³ **ჯ. გამახარია.** ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 117.

ნივთო სტრუქტურები აფხაზეთის რეეკონომის უგზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, „სისწორით შესასრულებლად“. არც კომპარტიის ცკ-ის კავბიურო განიხილავდა აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ამ ორგანოს პლენარულ სხდომებს აფხაზეთის, მთიელთა რესპუბლიკისა და დაღესტნის, როგორც ავტონომიების წარმომადგენლები, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ. არ არსებობს რკპ (ბ) ცკ-ის, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (საბჭოების ყრილობებს შორის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) თუნდაც ერთი დოკუმენტი, სადაც აფხაზეთი „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად, ან საერთოდ მოიხსენიება. აფხაზეთის დამოუკიდებლობა მოგონილი იყო საქართველოზე ზემოქმედების მიზნით.¹

რკპ (ბ) ცკ-ის კავბიურომ 1921 წლის 16 ნოემბერს ხელახლა განიხილა საქართველოსა და აფხაზეთის სს რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „1. დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონლად ჩაითვალოს; 2. მიეცეს წინადადება ამხ. ე. ეშბას წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა აფხაზეთის შესვლის შესახებ ან საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ხელშეკრულების საფუძველზე, ან რსფსრ-ში ავტონომიური ოლქის სახით“.² აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარემ ეფრემ ეშბამ სხვა აფხაზ კომუნისტებთან ერთად რსფს რესპუბლიკაში ოლქის სტატუსით შესვლას საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა არჩია.

1921 წლის 16 დეკემბერს თბილისში ხელი მოეწერა სამოკავშირო ხელშეკრულებას საქართველოს სს რესპუბლიკასა და აფხაზეთის სს რესპუბლიკას შორის, რომლის საფუძველზეც ეს უკანასკნელი საქართველოს სსრ შემადგენლობაში სახელშეკრულებო რესპუბლიკის სტატუსით შევიდა.³ აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო სანყისებზე საქართველოსთან ფედერირების შემდეგ, აფხაზეთმა თუმცა შეინარჩუნა სახელწოდება – სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ის განიხილებოდა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილებას ცდილობდა. საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატამე საქართველოში პავლე სიტინი 1921 წლის აპრილში მოსკოვში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ქართული შოვინიზმის ტერიტორიულად და

¹ **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 311-313.

² **ჯ. გამახარია.** ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 125.

³ **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, гв. 4483-484.

მატერიალურად დასუსტებისათვის აუცილებელ გასატარებელ ზომას წარმოადგენდა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება. მისი გეგმა ითვალისწინებდა რსფს რესპუბლიკის საზღვრის მდ. ბზიფზე გადატანას, აფხაზეთში პლებისციტის ჩატარებას და რუსეთთან მიერთებას. მისი აზრით ეს ღონისძიება „ქართული შოვინიზმის ტერიტორიულად და მატერიალურად დასუსტებას გამოიწვევდა. იგი ასევე მოითხოვდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ აფხაზეთის მოსაზღვრე სამეგრელოსათვის და ისიც რუსეთის სფს რესპუბლიკისთვის შეეერთებინათ.¹

1922 წლის 27 აპრილს, საფიქრებელია, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, აფხაზეთის სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმმა რუსეთის სფსრ ცაკ-ის პრეზიდიუმს აფხაზეთსა და რუსეთს შორის ადმინისტრაციულ საზღვრად მდ. ფსოუს ცნობა სთხოვა, მაგრამ ამ თხოვნის დაკმაყოფილება გაჭიანურდა.²

1922 წლის 13 დეკემბერს, ამიერკავკასიის სამი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის – აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, – გაერთიანებით ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა, ხოლო 30 დეკემბერს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ გაერთიანებით – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. აფხაზეთის სსრ ამ გაერთიანებებში როგორც საქართველოს ნაწილი ისე შევიდა და სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში ის ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენიება.³

1924 წლის 31 ოქტომბერს სსრ კავშირის ცაკ-მა მიიღო დადგენილება პილენკოვოს თემის აფხაზეთისათვის გადაცემის შესახებ, მაგრამ ამის წინააღმდეგ რსფს რესპუბლიკის ცაკ-ი და შავიზღვისპირეთის გუბერნიის ხელმძღვანელობა გამოვიდა. 1925 წლის 25 აპრილს სსრ კავშირის ცაკ-მა მიიღო დადგენილება სსრ კავშირის ცაკ-ის 1924 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების შესახებ. თუმცა არც ეს გადაწყვეტილება შესრულდა, რადგან რსფსრ ცაკ-მა საკითხის შესწავლა მოითხოვა. საკითხის შესწავლის შემდეგ, 1928 წლის 31 დეკემბერს სსრ კავშირის ცაკ-მა მიიღო დადგენილება რსფსრ ჩრდილოკავკასიის მხარის შავიზღვისპირეთის ოკრუგის სოჭის რაიონის ოთხი სასოფლო საბჭოს – პილენკოვოს, მიქელრიფშის, ხრისტოფოროვოს და სალმეს ტერიტორიების ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისათვის გად-

¹ **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 471-472.

² **Б. Сагария.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, – *Известия АБИЯЛИ.* XIII, Тб., 1985, გვ. 17-18.

³ **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 488-489; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 315.

აცემისა და ახალ საზღვრად მდ. ფსოუს ცნობის შესახებ.¹ 1929 წლის აპრილში ტერიტორია მდ. ბალრიფსთასა (Бегерепста) და მდ. ფსოუს შორის აფხაზეთს გადაეცა, სასოფლო საბჭოები გაგრის მაზრაში შევიდა. გაგრის მაზრაში შევიდა აგრეთვე მდ. ფსოუს ზემო წელში სოფ. აიბგას ერთი ნაწილი, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. სოფლის მეორე ნაწილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოჭის მაზრის და, შესაბამისად, რსფსრ შემადგენლობაში დარჩა.

ამ დროიდან, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მდ. ფსოუზე გადის.

TAMAZ BERADZE, BEZHAN KHORAVA

WHEN DID PSOU BECOME GEORGIA'S FRONTIER RIVER

Georgia's north-west frontier is passing on the Psou River. However, it became a frontier only in 1929. Russian emperor government cut Gagra and its region from Sokhumi Okrug (Abkhazia) and added it to Sochi province of Black Sea Governorate in 1904. 13 years later, after the February bourgeois-democratic revolution when the Tsarist Government had fallen, became a time of returning Gagra and its area to Sokhumi district. Process of strengthening of Georgia's north-west frontier was passing in the battles for Abkhazia between Georgia on the one hand and A. Denikin's Monarchist regime and Bolshevik Russia on the other hand. Finally, the territory between Bagripsta and Psou rivers were given to Georgian SSR in April of 1929. Since then Psou is Georgia's frontier river.

¹ **Б. Сагария.** Из истории восстановления государственных границ., გვ. 18-19.

გად იყო ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რამდენი დივიზია ჰყავდა იაპონიას კვანტუნის არმიაში. მან დაასახელა ციფრი 20 დივიზია, რომელიც შეიძლება სხვადასხვა შენაერთების დამატებით გაზრდილიყო დაახლოებით 30 დივიზიამდე.¹ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივი იაპონური დივიზია დაახლოებით 20 ათასი ჯარისკაცისაგან შედგებოდა,² კვანტუნის არმია იმ დროისათვის, საბჭოთა მონაცემებით, ითვლიდა დაახლოებით 600 ათას კაცს, რაც საკმაოდ ზუსტი რიცხვია. სხვა საქმეა, რომ საბჭოთა მხარე თავად კონფერენციის დროსაც და შემდგომშიც სისტემატურად ცდილობდა როგორც ამ რიცხვის გაზრდას, ისე კვანტუნის არმიის რეალური ძალის გაბუქებას.³

¹ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 345.

² იაპონური დივიზია სულ სამი სახის იყო: A, B და C. პირველი ტიპის დივიზიაში (ე.წ. A ტიპის დივიზია) იყო დაახლოებით 29400 ჯარისკაცი, მეორეში (ე.წ. B ტიპის დივიზია) – 20000, მესამეში (ე.წ. C ტიპის დივიზია) კი – 13000 (იხ.: **Philip Jowett. The Japanese Army, 1931-1945**, (1) 1931-1942. Osprey Publishing, 2002, გვ. 9-10). ჩვეულებრივ, იაპონიის არმიის პირადი შემადგენლობის რაოდენობას სწორედ B ტიპის დივიზიით საზღვრავენ, ვინაიდან სწორედ ეს იყო ყველაზე გავრცელებული ტიპი.

³ კვანტუნის არმიის აბსოლუტურად ზუსტი რაოდენობის დადგენა დღეისთვისაც კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ფორმალურად 1945 წლის აგვისტოსათვის ის ითვლიდა 24 დივიზიას, თუმცა ფ. ჯოვეტის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, მისი რეალური ძალა 8 დივიზიას შეადგენდა (იხ.: **Philip Jowett. The Japanese Army, 1931-1945**, (2) 1942-1945. Osprey Publishing, 2002, გვ. 22). თუ ფორმალურ მაჩვენებელსაც კი გავამრავლებთ მაქსიმალურ რაოდენობაზე (დაახლოებით 29400 ჯარისკაცი), მაშინაც კი მივიღებთ მხოლოდ 705600 ჯარისკაცს (აღსანიშნავია, რომ თავად ფ. ჯოვეტს 750000 ჯარისკაცი ჰყავს დასახელებული. იხ.: **Philip Jowett. The Japanese Army, 1931-1945**, (2) 1942-1945, გვ. 22. ამ დროს კი საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სულ სხვა ციფრები სახელდება. ასე, მაგალითად, „დიდი სამამულო ომის ისტორიაში“ მოყვანილია რიცხვი 881 ათ. (იხ.: **История Великой Отечественной войны Советского Союза 1941-1945гг. Т. 5. Победоносное окончание войны с фашистской Германией. Поражение империалистической Японии (1945г.). М., 1963**, გვ. 548), „მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში“ კი ეს რიცხვი უკვე გაიზარდა და მეტად ზოგადი სახე – მილიონზე მეტი – მიიღო (იხ.: **История Второй мировой войны. 1939-1945. Т. 11. Поражение империалистической Японии. Окончание Второй мировой войны. М., 1980**, გვ. 182). ყველაზე გავრცელებულ მონაცემად საბჭოთა პერიოდში იქცა 1040000 ჯარისკაცი (პირველად იქნა გამოყენებული 1965წ., იაპონიის წინააღმდეგ ომის დასრულების 20 წლისთავის აღმნიშვნელ პუბლიკაციაში. იხ.: **Кампания Советских Вооруженных Сил на Дальнем Востоке в 1945г. – Военно-исторический журнал, №8, 1965**), რომელიც, როგორც ჩანს, აღებულია 1951წ. გამოცემული იაპონური მონოგრაფიიდან (მითითებულია 1959წ. ინგლისური გამოცემის მიხედვით: **Saburo Hayashi, Alvin D. Coox. Kogun: the Japanese army in the Pacific war. Quantico, VA: Marine Corps Association, 1959**, გვ. 47). დღეისათვის რუსულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად შუალედურ რიცხვს – დაახლოებით 1 მილიონ ჯარისკაცს ასახელებენ (იხ.: **М. А. Гареев. Маньчжурская стратегическая наступательная операция 1945 года. – Новая и новейшая история, №5, 2005**, გვ. 4). ჩვეულებრივ, დასავლეთელ მკვლევართა უმრავლესობა კვანტუნის არმიის ფორმალურ ძალას

ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ აღნიშნა ანტონოვმა, რომ იაპონელებს მიემატებოდა 20 მანჯურიული დივიზია. გარდა ამისა, მან შესაძლოდ ჩათვალა, რომ კვანტუნის არმიის დასახმარებლად გადასროლილი იქნებოდა კიდევ 17 დივიზია და განაცხადა, რომ საბჭოთა არმიის შეტევის წარმატებისათვის აუცილებელი იყო მათი ტრანსფერის აღკვეთა.¹ სინამდვილეში, იაპონელებს ნამდვილად არ გააჩნდათ ასეთი რეზერვები, მანჯურიული დივიზიების რაოდენობა 20 ნამდვილად არ იყო² და ის არსებული 600-ათასიანი არმიაც ძირითადად შედგებოდა გამოუცდელი ჯარისკაცებისაგან, რომელთაც ტექნიკის საკმარისი რაოდენობაც არ გააჩნდათ.³ ასე რომ, ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც იდგა საბჭოთა მხარე, იყო შორეულ აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი გზების, უფრო სწორად, ერთადერთი რკინიგზის შეზღუდული გამტარუნარიანობა, რაც ართულებდა წითელი არმიის შენაერთების დროულ თავმოყრას შემტევ პოზიციებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ა. ანტონოვმა მოკავშირეებს ამის შესახებ ამცნო კიდევაც.⁴

თავის მხრივ, ამერიკელებმა საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსს გააცნეს საკუთარი გეგმები და აღუთქვეს ყოველნაირი დახმარება კვანტუნის არმიისათვის დამხმარე ძალების მიწოდების აღკვეთის საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამერიკელები და ინგლისელები იაპონიის საბოლოო დამარცხებას საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესად თვლიდნენ. კონფერენციის მსვლელობისას აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლების მიერ დამტკიცებულ

განსაზღვრავს 600-750 ათ. ჯარისკაცით (მაგალითად, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი დევიდ გლანცი მიუთითებს რიცხვს 700 ათ. იხ.: **David M. Glantz. The Soviet Strategic Offensive in Manchuria, 1945: "August Storm"**. Frank Cass Publishers, 2003, გვ. 90). უნდა ითქვას, რომ საკუთრივ ოფიციალური იაპონური წყაროები ასახელებენ 713 ათ. ჯარისკაცს (იხ.: **Japanese Monograph No155**. Tokyo, Military History Section, US Forces Far East, 1954, ტაბულა 1), რომელიც, როგორც ჩანს, შეესაბამება კიდევ სინამდვილეს.

¹ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 345.

² უნდა აღინიშნოს, რომ მანჯურიელებს იაპონელები ძირითადად საფორტიფიკაციო სამუშაოებისთვის იყენებდნენ, ასე რომ, მათი რაოდენობა საერთოდ არც არის მისათვლელი კვანტუნის არმიაზე. სხვათა შორის, დ. გლანცი იძლევა სტატისტიკას როგორც მანჯურიელების ჩათვლით (**David M. Glantz. August Storm: The Soviet 1945 Strategic Offensive in Manchuria. Fort Leaverworth Papers, February 1983**, გვ. 83), ისე მათ გარეშე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ისინი პრაქტიკულად არ იღებდნენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში.

³ იაპონელების ცუდ შეიარაღებაზე თავად საბჭოური ისტორიოგრაფიაც კი წერდა (**История Второй мировой войны. 1939-1945. Т. 11**, გვ. 182). რაც შეეხება მათ სამხედრო მომზადებას როგორც იაპონური წყაროები ცხადყოფენ, კვანტუნის არმიაში შემავალი არც ერთი დივიზია არ იყო სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და მათი დიდი ნაწილის განვრთვის დონე მხოლოდ 15%-ით განისაზღვრებოდა (იხ.: **Japanese Monograph No138**. Tokyo, Military History Section, US Forces Far East, 1953, გვ. 161).

⁴ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 345.

იქნა დოკუმენტი, რომელშიც იაპონიასთან ომის დამთავრების თარიღად ჩანერილი იქნა 1946 წ. 15 ნოემბერი.¹ მართალია, მხარეები არ გამოორიცხავდნენ ომის უფრო სწრაფად დასრულებას, რამაც ასახვა ჰპოვა ამავვე დოკუმენტში ამ თარიღის პერიოდული გადახედვის მოხსენიებაშიც, მაგრამ ძირითადად ისინი მაინც იხრებოდნენ იმ აზრისკენ, რომ იაპონიის წინააღმდეგ ომი დაახლოებით ერთ წელს მაინც გაგრძელდებოდა.

უნდა ითქვას, რომ მათ გათვლებში თითქმის არანაირი როლი არ ენიჭებოდა ბირთვული იარაღის ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ 16 ივლისს, კონფერენციის გახსნის წინ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინა პირველი ატომური ბომბის წარმატებული გამოცდა, არც ამერიკელ და არც ბრიტანელ სამხედროებს ბოლომდე არ ჰქონდათ გათავისებული მისი შესაძლო როლი იაპონიის წინააღმდეგ ომში. ერთი შეხედვით, ეს მართლაც უცნაურია, რადგანაც ტრუმენი საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მოვლენას. უფრო მეტიც, 24 ივლისს, პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ მან სტალინს გაანდო ინფორმაცია, რომ აშშ-ს გააჩნდა ბომბი, რომლის დამანგრეველი ძალა ბევრად აღემატებოდა ყველა მანამდე არსებულს და რომ ამერიკელები მალე გამოიყენებდნენ მას იაპონიის წინააღმდეგ.² ტრუმენი და ჩერჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საუბარს. ბრიტანეთის პრემიერმა უკვე 17 ივლისს იცოდა, რომ მანჭეტენის პროექტი წარმატებით დასრულდა.³ გარდა ამისა, ტრუმენმა და ჩერჩილმა იმაზეც ისაუბრეს, თუ როდის უნდა ეთქვათ სტალინისათვის ახალი იარაღის შესახებ. ბრიტანეთის პრემიერი დაუფარავად აღნიშნავს თავის მემუარებში, რომ მან იცოდა, რას აპირებდა აშშ-ს პრეზიდენტი 24 ივლისს. უფრო მეტიც, ის უნდა დაკვირვებოდა სტალინის რეაქციას.⁴

ბუნებრივია, ასეთი მზადება ნამდვილად არ იყო შემთხვევითი. ტრუმენს და ჩერჩილს კარგად ესმოდათ, რომ ბირთვული იარაღი დასავლეთელი მოკავშირეების სასარგებლოდ ცვლიდა ძალთა ბალანსს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელებს უკვე აშკარად არ სურდათ საბჭოთა კავშირის ჩაბმა იაპონიის წინააღმდეგ ომში.⁵ პრობლემა ის იყო, რომ მათ

¹ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 1467.

² **Harry S. Truman.** Memoirs. Vol. 1. Year of Decision. Garden City, NY: Doubleday, 1955, გვ. 416; **James F. Byrnes.** Speaking Frankly. New York: Harper & Brothers, 1947, გვ. 263; **William D. Leahy.** I Was There, გვ. 429.

³ მას ამის შესახებ აცნობა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა ჰ. სტიმსონმა (იხ.: **Winston S. Churchill.** The Second World War. Vol. 6. Boston, MA: Mariner Books, 1986, გვ. 551-552). მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა თავი შეიკავეს ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისაგან, სანამ მიღებულ არ იქნა დეტალური ანგარიში (იხ.: **Campbell Craig, Sergey Radchenko.** The Atomic Bomb and the Origins of the Cold War. New Haven, CT: Yale University Press, 2008, გვ. 78).

⁴ **Winston S. Churchill.** The Second World War, vol. 6, გვ. 554, 579-580.

⁵ *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers, 1945.* Vol. 1. General. The

არ იცოდნენ, თუ რა სტადიაზე იყო საბჭოთა კავშირი ბირთვული იარაღის დამუშავების საქმეში. სწორედ ამიტომ ჰქონდა სტალინის რეაქციას დიდი მნიშვნელობა. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საბჭოეთის ლიდერმა შესაშური სიდინჯე გამოიჩინა, რაც მისი, როგორც დახვეწილი დიპლომატის ტალანტზე მეტყველებს და ერთი წამითაც არ უგრძობინებია ტრუმენისათვის, რომ მიხვდა, თუ რა ტიპის იარაღზე იყო საუბარი.¹ ამან ამერიკელები და ბრიტანელები დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირი ძალიან ჩამორჩენილი იყო ატომური ბომბის შექმნის საქმეში. არ არის აგრეთვე გამორიცხული, რომ ამ შეხვედრამ იქონია გარკვეული გავლენა ამერიკელი ექსპერტების შეფასებებზეც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სსრ კავშირი ბირთვულ ბომბს ვერ შექმნიდა XX ს. 50-იანი წლების შუახანებამდე.² ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ სავსებით შესაძლოა, სტალინს ტრუმენთან შეხვედრამდეც ჰქონდა ინფორმაცია ატომური იარაღის წარმატებული გამოცდის შესახებ, ვინაიდან „მანჰეტენის პროექტი“ მონაწილე რამდენიმე მეცნიერი საბჭოთა დაზვერვას აწვდიდა ინფორმაციას. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნამდვილად შეიძლება დაზუსტებით ითქვას: სტალინმა ძალიან კარგად იცოდა, თუ რა ტიპის ბომბზე მიდიოდა საუბარი³ და რა ზეგავლენა ექნებოდა ამას პოლიტიკური თვალსაზრისით.

გარდა სამხედრო საკითხების განხილვისა, პოტსდამში მიღებული იქნა პოლიტიკური დეკლარაციაც, რომელსაც ხელს ტრუმენი, ჩერჩილი და ჩან კაიში აწერდნენ. ამ დოკუმენტით აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობათა მეთაურები მოუწოდებდნენ იაპონიას, გამოეცხადებინა კაპიტულაცია. დეკლარაციის თანახმად, იაპონელებს სასწრაფოდ უნდა მოეხდინათ მთავრობის შეცვლა და იაპონიის აგრესიულ ქმედებებში დამნაშავე პირების განთავისუფლება თანამდებობებიდან. გარდა ამისა, იაპონიას უარი უნდა ეთქვა სამხედრო მრეწველობაზე და განევითარებინა მხოლოდ ის დარგები, რომლებიც ხელს შეუწყობდა რეპარაციების გადახდას. უნდა მომხდარიყო იაპონიის არმიის სრული დემობილიზაცია, ხოლო საკუთრივ იაპონიის ტერიტორია, კაიროს

United Nations. Washington, United States Government Printing Office, 1967, გვ. 225; **J. Samuel Walker**. Prompt and Utter Destruction: President Truman and the Use of Atomic Bombs Against Japan. University of North Carolina Press, 1997, გვ. 60.

¹ **Harry S. Truman**. Memoirs. Vol. 1. Year of Decision, გვ. 416; **Winston S. Churchill**. The Second World War, vol. 6, გვ. 580; **James F. Byrnes**. Speaking Frankly, გვ. 263; **William D. Leahy**. I Was There, გვ. 429.

² **David Holloway**. Stalin and the Bomb: The Soviet Union and Atomic Energy, 1939-1956. Yale University Press, 1994, გვ. 267-268.

³ **Ф. Чув.** Сто сорок бесед с Молотовым. М., 1991, გვ. 81; **Г. К. Жуков**. Воспоминания и размышления. Т. 3. М., 1992, გვ. 336; **Tsuyoshi Hasegawa**. Racing the Enemy: Stalin, Truman, and the Surrender of Japan. Cambridge, MA: The Belknap Press of Harvard University Press, 2005, გვ. 154. უფრო მეტიც, სტალინი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ლ. ბერიას და მოსთხოვა ბომბზე მუშაობის დაჩქარება (იხ.: **В. М. Чиков, Г. Керн**. Охота за атомной бомбой: досье №13676. Москва: Вече, 2001, გვ. 251-252).

დეკლარაციის თანახმად, უნდა შემოფარგლულიყო ოთხი ძირითადი და რამდენიმე მცირე კუნძულით, სადაც გარკვეულ ადგილებში განთავსებული იქნებოდა მოკავშირეთა საოკუპაციო ძალები. აღნიშნული შენაერთები გაყვანილი იქნებოდა მას შემდეგ, რაც იაპონია შეასრულებდა კაპიტულაციის პირობებით ნაყენებულ მოთხოვნებს.¹

პოტსდამის დეკლარაცია გამოქვეყნებული იქნა 1945 წ. 26 ივლისს და მას უმაღლესი საბჭოთა მხარის პროტესტი. მოლოტოვმა იმავე საღამოს დაურეკა ბირსს და სთხოვა მას ამ დეკლარაციის გამოქვეყნების ორი-სამი დღით გადავადება.² როგორც შემდგომ ამერიკელმა დიპლომატმა აუხსნა თავის კოლეგას, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგანაც იმ დროისთვის დეკლარაცია უკვე გადაგზავნილი იყო პრესისათვის.³ უნდა აღინიშნოს, რომ მოლოტოვმა ვერ დამალა თავისი წყენა ამასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს ნიშნავდა, რომ საბჭოთა მხარემ ინფორმაცია მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის გავრცელებული იქნა მასმედიის საშუალებებით.⁴ თავის მხრივ, ბირსმა უპასუხა, რომ კონსულტაციები სსრ კავშირის ხელმძღვანელობასთან არ შედგა, რადგანაც ეს უკანასკნელი არ იღებდა მონაწილეობას იაპონიის წინააღმდეგ ომში.⁵ უნდა ითქვას, რომ ბირსის ამ განცხადებას რამდენადმე არ ეთანხმება ტრუმენის მიერ მემუარებში მოყვანილი ფრაზა, თითქოს მან სტალინს კონფერენციის მსვლელობისას აცნობა ასეთი დოკუმენტის მომზადების შესახებ,⁶ თუმცა, ჩვენი აზრით, შესაძლოა, ამ შემთხვევაში აშშ-ს პრეზიდენტს მთლად ზუსტად არ ახსოვდა მოვლენების თანამიმდევრობა. ყოველ შემთხვევაში, 28 ივლისის პლენარულ სხდომაზე საბჭოეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ მისთვის არ შეუტყობინებიათ ამგვარი დოკუმენტის მომზადების შესახებ.⁷

აღნიშნულ სხდომაზე სტალინმა აგრეთვე ამერიკელებს და ბრიტანელებს აცნობა იაპონიის მთავრობის ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა პრინც კონოეს ვიზიტს მოსკოვში, რათა საბჭოთა მთავრობას ეთამაშა შუამავლის როლი საომარი მოქმედებების შეწყვეტაში. სტალინმა განაცხადა, რომ ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როდესაც იაპონელებმა დააყენეს პრინც კონოეს მოსკოვში ჩასვლის

¹ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 1475-1476.

² **James F. Byrnes.** All in One Lifetime. New York: Harper & Brothers, 1958, გვ. 207.

³ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 449.

⁴ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 449-450.

⁵ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 450.

⁶ **Harry S. Truman.** Memoirs. Vol. 1. Year of Decision, გვ. 387.

⁷ **The Conference of Berlin..**, vol. II, გვ. 460, 467; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. VI. **Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (17 июля – 2 августа 1945г.).** Сборник документов. Москва, 1980 (შემდგომში *Берлинская (Потсдамская) конференция...*), გვ. 222.

საკითხი, თუმცა ამჯერად მათი წინადადება უფრო კონკრეტულ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, სტალინის თქმით, მისი პასუხი ამ შემთხვევაშიც უარყოფითი იქნებოდა.¹

ჩვენი აზრით, აქ ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე გარემოებას. პირველ რიგში, საბჭოთა მხარემ მხოლოდ 28 ივლისს ამცნო ამერიკელებს და ბრიტანელებს იაპონელების ინიციატივის შესახებ, მაშინ როდესაც პირველად მან იაპონურ მხარეს უარი, ს. ლოზოვსკის პირით, ჯერ კიდევ 18 ივლისს შეუთვალა. ამასთან, იაპონიის ელჩს საბჭოთა კავშირში, ნაოტაკი სატოს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში სტალინს აშკარად ჰქონდა კონსულტაციები „დიდი სამეულის“ სხვა წევრებთან,² რაც, როგორც კონფერენციის დოკუმენტებიდან ჩანს, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. გარდა ამისა, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ ადანაშაულებდა საბჭოთა მხარე ბრიტანელებს და ამერიკელებს ინფორმაციის დამალვაში, როდესაც თავადაც არ ატყობინებდა მათ იაპონელების ინიციატივების შესახებ. განსაკუთრებით უცნაური კი ის არის, რომ არც ტრუმენს და არც ჩერჩილს არ მოსვლიათ აზრად, ეკითხათ სტალინისათვის, თუ რატომ არ ამცნო მათ ოფიციალურმა მოსკოვმა ასეთი წინადადებების შესახებ 28 ივლისამდე.

იაპონიის საკითხის განხილვა დასრულდა 29 ივლისს, როდესაც მოლოტოვმა აცნობა ტრუმენს საბჭოთა მთავრობის პოზიცია, რომ სასურველი იქნებოდა აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს, წყნარი ოკეანის აუზში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილე სხვა მოკავშირეებთან ერთად, სსრ კავშირის ხელმძღვანელობის ომში ჩაბმა. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თქმით, იაპონიის ხელისუფლების მიერ დეკლარაციის მიღებაზე უარის თქმა,³ კარგი საფუძველი იქნებოდა ასეთი თხოვნისათვის. ტრუმენი დაპირდა მოლოტოვს ამ საკითხის განხილვას⁴ და 31 ივლისს სტალინს გადასცა კიდევ ასეთი წერილის წინასწარი ვარიანტი.⁵ როგორც ჩანს, საბჭოეთის ლიდერმა მოიწონა აშშ-ს პრეზიდენტის მიერ მიწოდებული დოკუმენტი. მართალია, არ არსებობს რაიმე ინფორმაცია ამ საკითხის გარშემო შემდგომი მიმონერის შესახებ, მაგრამ იაპონიისათვის ომის გამოცხადებისას საბჭოთა მთავრობამ მოიხსენია მოკავშირეთა თხოვნა.⁶ ასე რომ, სავარაუდოდ, ტრუმენმა უკვე მომზადებული

¹ *The Conference of Berlin..*, vol. II, გვ. 460, 467; *Берлинская (Потсдамская) конференция..*, გვ. 222.

² *The Conference of Berlin..*, vol. II, გვ. 1250-1251, 1259.

³ 28 ივლისს, პრეს-კონფერენციაზე იაპონიის პრემიერ მინისტრმა კანტარო სუზუკიმ უარი თქვა დეკლარაციის პრობების მიღებაზე (იხ.: *The Conference of Berlin..*, vol. II, გვ. 1293).

⁴ *The Conference of Berlin..*, vol. II, გვ. 476.

⁵ *The Conference of Berlin..*, vol. II, გვ. 1333; *Берлинская (Потсдамская) конференция..*, გვ. 429.

⁶ Газ. «Правда», 8 августа 1945г.

დოკუმენტი პოტსდამშივე გადასცა სტალინს, რის გამოც ის არ იქნა დაფიქსირებული სახელმწიფო დეპარტამენტის საბუთებში.

ასე დასრულდა იაპონიის საკითხის განხილვა კონფერენციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის ირგვლივ დიპლომატიური ბატალიები არ გამართულა, ვინაიდან დებატებს პრაქტიკულად არ ჰქონია ადგილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, სტალინმა მაინც მიაღწია გარკვეულ წარმატებას. პირველ რიგში, ეს გამონეული იყო იმით, რომ მან ფაქტობრივად ურეაქციოდ მიიღო ინფორმაცია ახალი ტიპის იარაღის შექმნის შესახებ. ეს გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ამერიკელები გაცილებით უფრო გვიან ვარაუდობდნენ საბჭოთა კავშირის ატომურ სახელმწიფოდ გადაქცევას, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. გარდა ამისა, მან პრაქტიკულად აიძულა ამერიკელები, ფორმალური თხოვნით მიემართა სსრ კავშირისათვის იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად, რისი სურვილიც ტრუმენს უკვე ნამდვილად არ ჰქონდა.

TEIMURAZ PAPASKIRI

THE JAPANESE QUESTION AT THE POTSDAM CONFERENCE AND THE FIRST ATTEMPT OF NUCLEAR DIPLOMACY

The Japanese question was one of the few, which was not openly discussed during the plenary sessions by the “Big Three” – the Head of the Soviet Government Joseph Stalin, the President of the United States Harry S. Truman, and the Prime Minister of Great Britain Winston Spencer Leonard Churchill – at the Potsdam (Berlin) Conference. Nevertheless, it became one of the indications, which showed the changing US position towards the Soviet Union and President Truman’s intentions to conduct stricter foreign policy in that direction. On July 24th Truman told to Stalin in a private talk that the US “had a new weapon of unusual destructive force.” That was the first attempt of the nuclear diplomacy. The intention of Truman and Churchill, who had to watch Stalin’s reaction on the news during the talk, was to find out whether the Soviet Union was working on the atomic bomb or not. Stalin showed no “special interest” to the news and looked “delighted”. He even expressed the hope that the US would “make a good use of it against the Japanese.” Thus, the talks on the Japanese question proved to be a success for the Soviet leader, since the Americans decided that the USSR would not have the nuclear bomb before mid-1950s. Besides, although Truman already had no intentions to ask Stalin to open hostilities against Japan, the Soviet leader was able to get the formal request from the Americans regarding the Soviet entry in the war against Japan.



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები



საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. კაისერში (თურქეთი, 2010წ.)



ქართველი მეცნიერები საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. კაისერში (თურქეთი, 2010წ.)



სატელევიზიო ჩანერაზე საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე უცხოელ კოლეგებთან ერთად, ქ. კაისერი (თურქეთი, 2010წ.)



პროფ. ზურაბ პაპასქირი, სსუ-ს რექტორი პროფ. ჯონი აფაქიძე და პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე ლეილა ავიძბას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე (თსუ, 2012წ.)



ზ. პაპასქირი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები – ჯემალ გამახარია და რაისა ქარაია – სსუ-ს სააქტო დარბაზში



სამეცნიერო კონფერენციაზე პროფ. როლანდ თოფჩიშვილსა და პროფ. როზეტა გუჯეჯიანთან ერთად (თსუ, 2013წ.)



სსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული ნაშრომების პრეზენტაცია (2012წ.)



პროფესორები ზურაბ პაპასქირი, თეიმურაზ პაპასქირი და ნიკო ჯავახიშვილი სამეცნიერო კონფერენციაზე (თსუ)

დატეხილი თმის ვარცხნილობა აქვს. ჭაბუკის თავი პროფილშია მოცემული, ხოლო ტორსის ზედა ნაწილი (ნელს ზემოთ) 3X4 მარცხნივია შემობრუნებული, მისი მზერა სვეტისაკენაა მიმართული.

გამოსახულება დაზგაზეა ამოჭრილი და შემდეგ ბრინჯაოს ნემსით და ნამახული საჭრისით დამუშავებული. გამოსახულება ანაბექტზე მკაფიო რელიეფს იძლევა. ფაქიზი ნახელავია, დახვენილი კვეთითაა შესრულებული, მაღალი მხატვრული ღირებულებით გამორჩევა, რაც ანონიმი ოსტატის ტალანტზე მიუთითებს. მჭრელი დაუფლებული ყოფილა ადამიანის ანატომიას. ჭაბუკის სხეულის პროპორციები ლამაზი და მოქნილია. მთელი ფიგურა პლასტიკურია, რეალისტურადაა შესრულებული, ჭაბუკის სხეულის ფორმები ძალზე მეტყველია, დინამიურია. ფიგურა საკრალურადაა გაშიშვლებული, ხაზგასმითაა უტრირებული ფალოსი. სხეულის ნაწილების პროპორციულობა, ნაკვეთების რბილი გადასვლები, დეტალების მკვეთრი დამუშავება სილამაზის გრძნობას ავლენს. იგი ლამაზი, ძლიერი და ღონიერი აღნაგობისაა.

არსებული ანალოგიების მიხედვით ინტალიოზე გამოსახული ჭაბუკი მითოლოგიური აქილევსი შეიძლება იყოს. აქილევსს ტროას ალყის დროს უკმაყოფილება მოუვიდა აგამენონთან და უარი განაცხადა ომის გაგრძელებაზე. ჩხუბის მიზეზი ტყვე ქალი ბრისეიდა გახდა, რომელიც აქილევსს წაართვა აგამენონმა. ისარგებლეს რა აქილევსის წასვლით, ტროელებმა სასტიკად დაამარცხეს ბერძნები. მაშინ აქილევსის მეგობარი პატროკლე, აქილევსის თანხმობით ებმება ომში ტროელების წინააღმდეგ. მან ბერძნების სასარგებლოდ შეაბრუნა ომის ბედი, მაგრამ თვით მალე დაიღუპა ჰექტორის ხელით. მეგობრის სიკვდილით აღშფოთებული აქილევსი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ჰექტორს. ჰეფესტოს მიერ საგანგებოდ გამოკვერილი იარაღით (შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი ფარით) აქილევსმა დაამარცხა ტროელები და მოკლა ჰექტორი.

თაგილონის ინტალიოზე ამ იარაღით აღჭურვილი აქილევსი უნდა იყოს გამოსახული იმ დროს, როცა იგი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ტროელებს. დაახლოებით ასეთივე პოზაში მჯდომი შეუმოსავი აქილევსი (ფარით ხელში) გამოსახულია I საუკუნის გემაზე.¹ ფეხზე მდგომი, შეუმოსავი აქილევსი (ფარით, სატევრით და შუბით აღჭურვილი) გამოსახულია რესპუბლიკური ხანის გემაზე.² ანალოგიური თასმიანი სატევრით, უზურგო სკამზე მჯდომი აქილევსი (ღირაზე უკრავს, ფეხებთან გორგონას თავის გამოსახულებიანი ფარი უდევს) გამოსახულია რომაული ხანის გემაზე.³ მსგავსი სვეტი და სატევარია გამოსახული ად-

¹ შეად. E. Brandt, A. Krug, W. Gereke, E. Schmidt. Antike Cermen in Deutschen. Sammlungen. Bend I. Munchen, 1972, გამ. 2219.

² შეად. M. L. Vollenweiden. Die steinschneidekunst und ihre Kunstler in Spatrepublikanischen und Augusteisher zeit. Baden-Baden, 1966, ტაბ. 36 (1-3-4).

³ G. Richter. Engraved Gems of tche Greeks and Etruskans. London, 1968, გამ. 686.

რელიგინისტური ხანის გემაზე.¹

ინტალიოს გამოსახულება საკმაოდ ღრმადაა ამოჭრილი. ქვის ასე ღრმად ამოჭრა, რაც მას მეტ რელიეფურობასა და პლასტიკურობას აძლევდა, ელინიზმისათვისაა დამახასიათებელი. ამავე ხანაში ერწყმება ერთმანეთს ინტალიოს ორი ფორმა (მანამდე ინტალიო ან მთლიანად ლითონისაგან კეთდებოდა ან მთლიანად ქვისაგან). როგორც აღვნიშნეთ, აქილევსი სულიერი აფექტის მომენტშია ასახული (იგი ფიცს დებს, რომ ისისხლებს მეგობარს). ადამიანის ანატომიის ღრმა შესწავლამ ელინისტური ხანის მოქანდაკეებს საშუალება მისცა წარმოესახათ დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, ადამიანის ხასიათის მრავალფეროვნება, სულიერი თუ ფიზიკური განცდები.

თაგილონის ინტალიოზე გამოსახული ჭაბუკი მარცხენა ხელით სკამზეა დაყრდნობილი, მარჯვენით მუხლზე დაბჯენილ სატევარზე. სიმძიმე გადააქვს ოდნავ უკან გადაწეულ მარჯვენა ფეხის წვერზეც. იგი თითოს ეძებს საყრდენ წერტილს, თითქოს ჯერ კარგად ვერც დამჯდარაო. ეს „მოძრაობა“ ჭაბუკს შინაგან დაძაბულობას, დინამიკას და ცოცხალ ემოციურობას ანიჭებს. „საყრდენი წერტილის“ ძებნა ელინისტური ხანის ქანდაკებისათვისაა დამახასიათებელი. ელინისტური ქანდაკება გავლენას ახდენდა ე. წ. მცირე ხელოვნების განვითარებასა და მხატვრულ სახეზე. გლიპტიკა არსებითად მცირე ფორმებში იმეორებდა მონუმენტური ქანდაკების მიერ შემქნილ მხატვრულ სახეებს. ჩვენს ინტალიოზე აქილევსის მონუმენტალური სკულპტურის პირი უნდა იყოს გამოსახული.

თაგილონის ინტალიო-ბეჭდის რკალის ფორმის მსგავსი ბეჭდები ჟ. ბორდმანს დათარიღებული აქვს ძვ. წ. III საუკუნით.² ამრიგად, ბეჭდის ფორმითა და გამოსახულების საერთო სტილით თაგილონის ინტალიო-ბეჭედი ძვ. წ. III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. იგი მაღალმხატვრული ღირებულების ძეგლს წარმოადგენს, რომელიც უდავოდ დიდ სახელოსნოში მოღვაწე მჭრელის მიერაა შესრულებული. თაგილონის ინტალიო ბეჭედი მხატვრული კვეთის ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს დახვეწილი ფორმითა და პროპორციებით, განონასწორებული კომპოზიციითა და მოქნილობით. ბეჭედი უფლებრივ საბეჭდავს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. III საუკუნიდან ხდება ბერძნული ნაწარმის ფართოდ იმპორტირება. კოლხეთში შემოტანის შემდეგ აღნიშნული ბეჭედი ალბათ მდიდარი და წარჩინებული პიროვნების საკუთრება იქნებოდა. იგი უფლებრივი საბეჭდავი უნდა ყოფილიყო. შეიძლება ერთსა და იმავე დროს ხმარობდნენ. სამკაულადაც და საბეჭდავადაც.

სოფ. თაგილონის ტერიტორია სამეცნიერო წრეებში მრავალი არ-

¹ შეად. **G. Richter**. Engraved Gems of tche Greeks and Etruskans, გამ. 519.
² იხ. **J. Boardman**. Greek Gems and Fings. London, 1970, გვ. 212 – რკალის ფორმების ტაბულა. გვ. 385 – საბეჭდავებისა და ბეჭდების კრებითი ტაბულა.

ქეოლოგიური აღმოჩენითაა¹ ცნობილი. უკანასკნელ პერიოდში მათ შეემატა „ნიფურისა“ მრავალფენიანი ნამოსახლარი,² რომელიც მცირე მასშტაბის სამუშაოების ჩატარებით იქნა შესწავლილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. პროფ. მ. ბარამიძე). აღსანიშნავია, რომ დინა-გუძუბას გარკვეული ნაწილი ჩამოშლილი და განადგურებული იქნა მდ. ხაიას მიერ, რომელიც მის სამხრეთ ფერდის ძირას გაედინება. „ნიფურისა“ მრავალფენიანი ნამოსახლარი განეკუთვნება კულტურულ ფენათა თანდათანობით დაფენიანების შედეგად წარმოქმნილ ხელოვნურ ბორცვთა ტიპს, რომელიც ასახავს ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების ნაკვალევს. ბორცვს აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან ეტყობოდა ძველი ნაარხალი.

1989 წელს „ნიფურისა“ ნამოსახლარის (სიმაღლე – 9 მ, დიამეტრი – 80-90 მ) სამხრეთ ფერდზე გავლებულ იქნა 9X4 მ ზომის თხრილი, რომელიც გრუნტამდე იქნა დაყვანილი. გამოიყო ორი მონაზვინი სტერილური შრით (მიწით) გამიჯნული ოთხი კულტურული ფენა: განვითარებული შუა საუკუნეები, წინარეანტიკური, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის კულტურული ფენები (სტრატოგრაფია ზემოდან ქვემოთ).³

ზედა I ფენაში (X-XII სს.) გვხვდება განვითარებულ შუა საუკუნეების მოჭიქული და მოუჭიქევი ადგილობრივი წარმოების თიხის ჭურჭელი. მათ შორის გავრცელებულია ხელადები, მაღალყელიანი, ცალყურა, მუცელგამობერილი დოქები, ჯამები და სხვ. ანალოგიური კერამიკა დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი – ანაკოფიის ციხეზე X-XII საუკუნეებით დათარიღებულ

¹ დაწვრილებით იხილეთ: **А. Амиранашвили (Болтунова)**. Новая находка в низовьях Ингур. – *Материалы археологии Грузии*, Тб. 1935, გვ. 37; **А. Иессен**. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – *Известия ГАИМК*, вып. 120, М.-Л., 1935, გვ. 124, სურ. 15; **მ. ლორთქიფანიძე**. კოლხეთის ძვ. წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები. თბ., 1975, გვ. 104-108; **დ. ქორიძე**. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 33, სურ. 24; **ჯ. აფაქიძე**. ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები აფხაზეთიდან. – *ძეგლის მეგობარი*, №62, 1983, გვ. 28-34; **რ. ხვისტანი**. მელითონების კერა გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთში. – *ისტორია, სამართალმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში*, №2, თბ., 1976, გვ. 72.

² „ნიფურისა“ ბორცვის მასალები, მათი ჩანახატები, სავლე დღიურები და ჭრილები დაცული იყო გალის რაიონის სოფელ ფიჩორში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. გასაგები მიზეზების გამო, მათი ბედი უცნობია. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „ნიფურისა“ ბორცვზე წარმოებულ გათხრებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ფრიდონ მარშავა.

³ **მ. ბარამიძე**, **ლ. ჯიბლაძე**, **თ. ჩიგოშვილი**. არქეოლოგიური კვლევა-ძიება აფხაზეთის ასრ სამშენებლო მოედნებზე. – *ძეგლის მეგობარი*, №1. თბ., 1990, გვ. 23; **მ. ბარამიძე**, **თ. ჩიგოშვილი**, **ლ. ჯიბლაძე**, **რ. ხვისტანი**. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989 წლის სავლე მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი.

ფენაში.¹ ამავე ფენაში დაფიქსირდა რკინის ცული მაღალი ნახნაგოვანი დაბრტყელებული ყუითა და ოვალური სატარე ხვრელით, აგრეთვე რკინის ბოძალები. I ფენას განეკუთვნება ეკლესიის ნაშთები.

II-III ფენაში (დაახლ. ძვ. წ. IX-VIII, XII-X სს.) გავრცელებულია შავად და აგურისფრად გამომწვარი ქურჭელი, რომელთა შორის ქარბობს დაბალყელიანი, პირგაშლილი ქოთნები. შემკობაში დომინირებს კოპები, ნახევარკალების ჰორიზონტალური და ვერტიკალური რიგები, წინვოვანი ორნამენტი, ვინოზოლიანი კანელურები, სავარცხლისკბილისებური დეკორის სხვადასხვა ვარიაციები. გვხვდება სადა ვერტიკალური და ზოომორფული ყურები.

„წიფურიას“ II-III ფენა სინქრონულია ფიჩორის ცენტრალური ბორცვის (II ფენა)², ტამიშის,³ ნამჭედურის,⁴ (V, III, II ფენის) და კოლხეთის დაბლობის სხვა ძეგლებისა. IV ფენის (დაახლ. ძვ. წ. XIV-XII სს.) კერამიკა შედარებით ტლანქია, ქარბობს ნახევარკალებითა და ღარული ორნამენტით გაფორმებული ქურჭელი. ანალოგიური მასალები გამოვლენილია კოლხეთის დაბლობის მთელ რიგ ძეგლებზე: ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (III ფენა),⁵ პატრიკეთი⁶ ნოსირი (III ფენა)⁷ ნაოხვამუ (I, II ფენა)⁸ და სხვ. „წიფურიას“ ნამოსახლარის გრუნტის თავზე გვხვდებოდა მონითალო აგურისფრად გამომწვარი სამკუთხედისებურად დაბრტყელებულყურიანი კერამიკის ჯგუფი, რომელიც, ზოგიერთი ელემენტებით, უკავშირდება კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურის ძეგლებს (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენა, ერგეტას ნამოსახლართა IV ფენა და სხვ.) მასალებს. როგორც ჩანს, ამ პერიოდის ფენა (შესაძლებელია, უფრო ადრეულიც) მოსალოდნელია „წიფურიას“ ბორცვის სხვა, გაუთხრელ მონაკვეთებში.⁹

¹ **М. М. Трапш.** Материалы по археологии средневековой Абхазии. – *Труды*, т. IV. Сухуми, 1975, გვ. 132, სურ. 48-49.

² **ლ. ჯიბლაძე.** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატოგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდუზაცია. თბ., 1997, გვ. 62-63.

³ **თ. ჩიგოშვილი.** ენგურ-კოდორის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999, გვ. 17-18.

⁴ **Т. К. Микеладзе, Д. А. Хачуташвили.** Древнеколхидское поселение Намчедури, Тб., 1985.

⁵ **ლ. ჯიბლაძე.** კოლხეთის დაბლობის..., ტაბ. I.

⁶ **В. М. Джапаридзе, Т. М. Беридзе, З. Цкитишвили.** Археологическая разведка и раскопки в зоне строительства Варцхиской ГЭС, – *ПАИ* в 1976 году. Тб., 1973, ტაბ. VI.

⁷ **ე. გოგაძე.** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982, გვ. 42.

⁸ **П. А. Куфтин.** Материалы к археологии Колхиды. Т. II. Тб., 1950, სურ. 48.

⁹ როგორც აღვნიშნეთ „წიფურიას“ ბორცვის მხოლოდ ძალზე მცირე მონაკვეთი იქნა შესწავლილი, რომელიც სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის მის სტრატოგრაფიაზე. შესაძლოა, ძეგლზე სხვა პერიოდის ფენის არსებობაზე მიუთითებდეს

თაგილონი, როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ხანის მრავალი მნიშვნელოვანი აღმოჩენითაა ცნობილი (I-II სს-ის მიჯნით დათარიღებული ირმის თავის ქანდაკება ოქროსი, ოქროს ინკრუსტირებული მძივები, ოქროს ბალთები, ვერცხლის თასი; ძვ. წ. IV-III საუკუნეების ოქროს ბეჭედი და სხვ. აქ აღმოჩენილი ანტიკურხანის მასალები გვაფარაუდებინებენ, რომ ანტიკურ ხანაში ენგურ-ლალიძის ორმდინარეთის ცენტრი თაგილონი უნდა ყოფილიყო. იმპორტული მასალების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ზღვიდან თაგილონამდე ენგური სანაოსნოდ ყოფილიყო გამოყენებული და განხორციელებულიყო ურთიერთობა ზღვის იქეთა მხარესთან. თავისი მოხერხებული მდებარეობის გამო თაგილონი წარმოაგენდა უახლოეს არტერიას აღმოსავლეთ ეგრისთან და დასავლეთთან ურთიერთობისათვის. ცნობილია, რომ მთავარი გზები ეკონომიკურად დანინაურებულ რაიონებზე გადის. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი პუნქტი თავისკენ ეწევა გზას. ამ მხრივ თაგილონზე გამავალი გზა ნიშანდობლივია. აღნიშნული აღმოჩენები მხარის მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციაზე, ეკონომიკურ შესაძლებლობასა და მაღალ კულტურაზე მიუთითებენ.

REVAZ KHVISTANI

A SEAL-RING WITH THE IMAGE OF ACHILLES FROM TAGILONI

Gold seal-ring with reddish cornelian, which was recently found in the village of Tagiloni is preserved at the Gali museum of regional studies. The naked figure of young Achilles sitting on a backless chair is depicted on the ring. Achilles is holding a sword in his right hand and is leaning on the chair with his left one. According to the form and the common style of the image, the seal-ring dates back to the 3rd century BC.

1981 წელს შემთხვევით გამოვლენილი, ზემოთ განხილული, ძვ. წ. III საუკუნის ინტალიო-ბეჭედი (დანვრილებით იხ. რ. ხვისტანი. საბეჭდავი თაგილონიდან. – ძეგლის მეგობარი, №62, თბ., 1983, გვ 36-38).

ეგრეთ ლიხნი გარდავლეს“.¹

ზემოთაღნიშნულ ცნობას მდიდარი ისტორიოგრაფია გააჩნია; არაერთი მკვლევარი შეხებია მას და, ზოგ შემთხვევაში, დიამეტრიულად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები წამოუყენებია. ერთი იმათთაგანი, ვინც, ჩვენი აზრით, რეალურად, ზოგ სხვა მკვლევართან ერთად, მაგრამ უფრო სრულად, შეაფასა ზემოაღნიშნული მოვლენის პოლიტიკური არსი პროფ. ზ. პაპასქირი გახლავთ.² ჩვენს მიზანს ამ მოსაზრებების განხილვა და, მით უფრო, შეფასება არ წარმოადგენს; ავტორის სურვილი მარტივია – მკითხველს შეძლებისდაგვარად გააცნოს ზოგი მონაცემი მდ. რიონის ნაოსნობისა და წყაროს ცნობის მნიშვნელოვანი პუნქტის – ბაშის შესახებ.

სამწუხაროდ, ქართული და უცხოური წყაროები თითქმის არაფერს გვამცნობენ თანამედროვე სოფ. ბაშის ისტორიის შესახებ. არც აქ არსებული სიძველეებია სრულყოფილად შესწავლილი. პროფ. ი. სიხარულიძე წარმოადგენს ერთგვარ გამონაკლისს; იგი დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომში აქ ჩატარებული საველე ძიების შედეგებს გადმოგვცემს. თვით მდ. რიონის შუაწელზე არსებული სოფ. ბაში სამი, შედარებით მცირე, დასახლებისაგან (უბნებისაგან) შედგება. ავტორი დიდი სიბეჯითით გადმოგვცემს ადგილობრივ დადასტურებული ტოპონიმების შედარებით მშრალ ჩამონათვალს, რომლის მიხედვით შეიძლება ადგილობრივ არსებული სახნავ-სათესი ფართობების ხასიათისა და ფართობების განსაზღვრა. ერთს ასეთს წარმოადგენდა ენერი, ანუ ასათვისებელი ფართობები; ნიშანდობლივია, რომ სოფ. ბაშის ერთ-ერთ უბანს ენერ-ბაში ჰქვია.³

არსებული მონაცემებით სოფ. ბაშში, ზოგადად, დადასტურებულია 3 ე.წ. გორიკა (ძირითადად იმერეთში დადასტურებული ტოპონიმი ხელოვნური ბორცვებისადმი მიმართებაში). რიონის ხეობის ეს ბორცვები თავის დროზე გულდასმით შეისწავლებოდა ფოთის მუზეუმის დირექტორი მ. გოგოლიშვილის მიერ. მან ისინი სათანადოდ აღრიცხა და რუკაზეც დაიტანა. მოგვიანებით, ლაზიკის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების კვლევის დროს, იმერეთის გორიკები მოინახულა და მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ინტერესს იწვევს მისი 1953წ. მოგზაურობის სექტემბრის თვის ჩანაწერები: „დღეს მინდა პატრიკეთ-ბაში ჩავიარო, რიონის პირის სოფლებია გეგუთი

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაზნჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955. გვ. 301.

² ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990, გვ. 179-196; რ. მეტრეველი. ბაგრატი IV, – წგნ.: საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად. ტ. II: საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი. თბ., 2013, გვ. 351-352.

³ ი. სიხარულიძე. ვაკე-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალებიდან, – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. VI. თბ., 1982, გვ. 102-110.

(იაშვილი, ამაღლობელი), პატრიკეთი (ვინ პატრიკი იყო აქ?), ტყაჩირი (აგიაშვილი), ოფშკვითი (ნიჟარაძე), საყულია (ნიშნიანიძე – საეკლესიო აზნაური?), ბაში (საეკლესიო). ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს სოფლები ძველადვე არსებობდნენ; ბაშს „მატიანე ქ-ე“ იცნობს, სახელიც დამახასიათებელი აქვს: ბაჟი; ადგილმდებარეობაც საამისოა: აქედან რიონის გადასვლით გზა ვანს მიდის უმოკლესი მანძილით (აქ ხომ არ იყო ფონი?), მაინცდამაინც აქ რომ ნავსადგური იყო, ვარანგების ეპიზოდისგან ჩანს... აქ ბაშში სამ გორიკას ასახელებენ. რიონზე ბორანი, ვანში მიდის გზა. მონმობს გორიკების ეს სიმრავლე მოსახლეობის სიხშირეს, თუ ისინი სხვადასხვა დროისანი არიან? მაინცდამაინც ის ხომ ცხადია, რომ ამ ველობში საერთოდ და რიონის ნაპირას, კერძოდ, მოსახლეობა დიდი ხნით წინ უსწრებდა ფეოდალურ ხანას (მეთევზეობა რიონზე და ნაოსნობა)... დღევანდელი გასვლიდან ის ცოდნა შევიძინე, რომ: გორიკები ველის მოვლენაა, ველი და რიონის პირი მჭიდროდ არის დასახლებული, ამას გორიკათა სიმრავლე მონმობს, გორიკები სხვადასხვა სახისანი გვხვდება. ჭარბობს „ჩვეულებრივი“ გორიკა...¹ გორიკების თემაზე, კერძოდ მათი არქეოლოგიური შესწავლის თაობაზე მეცნიერს სხვა, მნიშვნელოვანი მოსაზრებებიც აქვს გამოთქმული.

კონკრეტულად რიონზე ნაოსნობის შესახებ ჩვენ წყაროების მონაცემები, დანამდვილებით, ანტიკური ხანიდან გვაქვს. ეს მონაცემები არაერთხელ იქცა ცალკეულ მკვლევართა შესწავლის საგანი. უკვე ჩვენი დროის ადრეულ ნაშრომთაგან, რომელიც ფაზისზე ნაოსნობას შეეხება ნ. ნიკოლაძე უნდა დასახელდეს. მისი, შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომი – «*Экономическое значение пароходства по р. Риону*»,² რომელიც მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ნაშრომში ინტერესს იწვევს ინფორმაცია მდ. რიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული, სამდინარო და სახმელეთო სატრანსპორტო, დასახლებათა ტოპოგრაფიისა და დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ. აქვე ფართოდ გამოიყენება რამდენიმე ათეული წლით ადრე გამოქვეყნებული მკვლევარ მავესკის მონაცემები იგივე რეგიონზე, ამიტომ ამ ავტორს აქ აღარ შევეხებით.

საკუთრივ მდინარე ფაზისისა და თანამოსახლე ქალაქის კვლევას, ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მონაცემების მიხედვით, სათავე დაუდო მკვლევარმა მ. ბერძენიშვილმა.³ ინტერესს იწვევს აგრეთვე, აკად. ს. ჯანაშიას ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი,⁴ რომლის ფა-

¹ ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. მეორე გამოცემა. დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1990, გვ. 456, 460.

² *Экономическое значение пароходства по р. Риону*. Составитель Н. Я. Николадзе. Тфл., 1926.

³ მ. ბერძენიშვილი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969.

⁴ ს. ჯანაშია. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, – წგნ.: ს. ჯანაშია.

სისისადმი მიძღვნილი ნაწილი ადრევე იყო გამოქვეყნებული.¹

საისტორიო გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომების ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ვახუშტი ბასტონიშვილის მთელ რიგ მონაცემებზე. მართლაც, ამ ავტორის მონაცემები ფასდაუდებელია ისტორიული ეგრისის, კერძოდ, მისი სამდინარო სისტემის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მონაცემების შესწავლის დროს. რიონს, ვახუშტით, „...ბერძენი უწოდებენ ფასონს. და მოდის სათავიდამ ქუთაის-კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არცა არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნიაურს ქუეით დამდორდების, და ბაჟს ქუეით ფრიად მდორე და განიერი ზღუადმდე და უფროს ცხენის ნყალს ქუეით განვრცელებული, რამეთუ ვლენან ნავებითა ზღვადამ ბაჟამდე...“.² „როგორც საერთო აღწერილობიდან და რუკიდანაც ჩანს, „ბაჟი“ უდრის დღევანდელ ბაშს“, – ს. ჯანაშიას ეს მოსაზრება,³ დღეს საყოველთაოდ გაზიარებულია.

საქართველოში, კერძოდ კოლხეთში, შედარებით ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილმა ძეგლებმა და მასალებმა მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი ცოდნა შიდა და გარე სამყაროსთან, მდ.ფასის-რიონის მეშვეობით, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების შესახებ.⁴

სამწუხაროდ, მდ. რიონის შუანელი, უფრო მისი მარჯვენა სანაპირო, არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია დღემდე. მხოლოდ ერთი, სოფ. პატრიკეთის მონაკვეთი შეისწავლებოდა, ნაწილობრივ, ვარციხის მშენებლობასთან დაკავშირებით, როცა დაიზვერა სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილი პატრიკეთის გორიკა და მასთან ახლოს გაითხარა ადრე შუა საუკუნეების აბანო.⁵

ვარციხის მშენებლობასთან დაკავშირებით ვარდციხის არქეო-

შრომები. ტ. VI. თბ., 1988, გვ. 250.

¹ ს. ჯანაშია. ფასიდი, – წგნ.: ს. ჯანაშია. შრომები. ტ. II. თბ., 1952, გვ. 271-281.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 747.

³ ს. ჯანაშია. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, გვ. 271.

⁴ ო. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველო., გვ. 100-102 და შმდ.

⁵ გ. ლომთათიძე, ვ. ჯაფარიძე. არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები ვარციხის მშენებლობის ზონაში. 1971წ., – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბ., 1972, გვ. 60-62; В. Джапаридзе, Д. Джгама, Т. Берадзе, К. Мелитаури. Отчет о работе Вардцихской археологической экспедиции, – Полевые археологические исследования в 1973 году. Тб., 1974, გვ. 79-81; В. Джапаридзе, Т. Берадзе и др. Археологическая разведка и раскопки в зоне строительства Вардцихской ГЭС, – Полевые археологические исследования в 1977 году. Тб., 1980, გვ. 79-81, ტაბ. CIII-CIV; ვ. ჯაფარიძე. პატრიკეთის აბანოს გათხრები და დათარიღება, – ეგრისის ახ.წ. I-VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევები). თბ., 2006, გვ. 137-154, ტაბ. CIII-CX.

ლოგიურმა ექსპედიციამ მოაწყო ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვები სოფ. ბაშის მონაკვეთშიც, მაგრამ ჰესის, ბაშის კასკადისთვის გაჭირვით, მდინარისპირა თხრილებში არქეოლოგიური ნაშთები მაშინ შემჩნეული არ ყოფილა. შემდგომმა მოვლენებმა უჩვენა, რომ ასეთი მშენებლობებისას არქეოლოგიურად უხიფათო ზონები არ არსებობს...

მანამდე კი დავუბრუნდეთ სოფ. ბაშის ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათის მონაცემებს. აქ ჩვენ, საკუთარ დაკვირვებებს გარდა გვშველის პროფ ი. სიხარულიძის დასახელებული ნაშრომი.¹ როგორც აღნიშნული იყო სოფ. ბაშის დასახლება (ანუ, ძველი ნომენკლატურით, ბაშის სასოფლო საბჭო) რამდენიმე სოფლისგან (თანამედროვე ნომენკლატურით, თემებადაც ინოდებიან) შედგება: შუა ბაში (ბაშის თემის ცენტრი), ზედა ბაში, პირველი ენერბაში, მეორე ენერბაში, ქვედა ბაში.

ძველი რუსული ტოპოგრაფიული რუკების მონაცემებით (მას ნაწილობრივ იმეორებს Geoland-ის საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები (იხ. www.mygeorgia.ge), შედარებით კარგად გაირჩევა აღნიშნული გეოგრაფიული რეგიონის შემალლებული ხელოვნური ბორცვები, ანუ, როგორც აღნიშნული იყო „გორიკები“. მაგ., მხოლოდ ძველ რუსულ ტოპოგრაფიულ რუკაზე ვხედავთ ჩვენ „გორიკას“ ქვედა ბაშში, სათანადო იზოგიფსებით გამოყოფილ ფართობს, რომელიც, თითქოს, მიუთითებს შემალლების კონფიგურაციასა და ირგვლივი თხრილის კვალზე. ამ მონაკვეთის ტოპოგრაფიულ რუკაზე, ბორცვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, იკითხება ტოპონიმი «ур.(урочище) Грдзела», ანუ ფართობი „გრძელა“. ი. სიხარულიძის ადგილზე ჩანანერით, ტოპონიმი „გრძელა“ სათესი ფართობია. ავტორი აქ არსებულ ხელოვნურ ბორცვს გრძელას გორიკას სახელით მოიხსენებს (ამას აქვს გარკვეული მნიშვნელობა) და აღწერს: „მრგვალი, კონუსისებური ფართობი ათასამდე მეტრი. სიმაღლე ნიადაგის დონიდან 4-5 მ. ერტყა თხრილი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ჩაუღრმავებიათ და თევზის აუზად უქცევიათ“. საგანგებოდ მოვიტანეთ ფრაგმენტი ტექსტიდან, რომელიც ავტორს 1976წ. ნაუკითხავს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის სხდომაზე,² რადგან მოგვიანებით, უკვე XXს. 90-იან წლებში, ჩვენი რიონისპირეთის ახალი დაზვერვების დროისთვის ბორცვისა და მისი გარემოს რელიეფი კიდევ უფრო დარღვეული აღმოჩნდა. თევზსაშენის ფართობის კიდევ უფრო გაფართოების გამო, სრულიად ნაშლილი დაგვხვდა, როგორც ბორცვის ცენტრალური ნაწილი, ასევე მიმდებარე, ანუ საკუთრივ შემომფარგვლელი თხრილის კონფიგურაცია, ბორცვის მიახლოებითი ფიქსაციაც კი შეუძლებელი იყო. ჩვენი იქ ყოფნის შემდეგ, როგორც ეს აეროკოსმოსური მონაცემებით ჩანს, თევზის საშენი ავზებით ბორცვის სამხრეთ-დასავლეთით არსებუ-

¹ ი. სიხარულიძე. ვაკე-იმერეთის..., გვ. 108-110.

² ი. სიხარულიძე. ვაკე-იმერეთის..., გვ. 120.

ლი ვრცელი ფართობი დაუფარავთ (არქეოლოგიურად დადასტურებულია კოლხეთის ხელოვნური ბორცვების ირგვლივ, ვაკის მნიშვნელოვან დასახლებათა ნაშთები, რომელთა დიდი ნაწილი განუკითხავად იხვენობოდა და ზიანდებოდა უკანასკნელი ათეულწლების მანძილზე). დასაანანია ეს გარემოება, რადგან, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ბორცვის და, ჩანს ფართო, ალბათ წყლით სავსე ისტორიული თხრილის (რამაც მიიზიდა აქ მწარმოებელნი), სავარაუდოდ, ეფექტურ მონაცემებს, ისევე როგორც ვაკის დასახლებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და დაცვას საჭიროებდა. ზედაპირული მასალებიც კი ვერ მოვიძიეთ აქ, რაც ასე მნიშვნელოვანი იქნებოდა თარიღების დასაზუსტებლად (რამდენიმე ფრაგმენტიც მხოლოდ ნაპოვნია, რომლებიც უფრო ადრეანტიკურ მიუთითებენ). დიდ ინტერესს იწვევს აქაური ტოპონიმიკის სხვა მონაცემებიც, რასაც ქვემოთ შევხვებით.

სხვა გორიკას ამ სოფელში, ი. სიხარულიძის ჩანაწერით, „წითელი გორიკა“ ჰქვია. ადგილობრივი ინფორმატორი მას უნაგირისებურს უწოდებს. ბორცვზე ავტორისეული მონაცემები: „სიმაღლე 6 მეტრამდე, ფართობი ათას მეტრამდე. უთხრილო (რაც შეუძლებელია – **ვ.ჯ.**). ჩვენს დროში, როცა იქ ერთი მეჯოგის საფლავს ჭრიდნენ, ძველი ნაშთები აღმოჩენილა. თითქოს სასინჯი თხრები ჩაუტარების ქუთაისის მუზეუმს.¹ გორიკა დასტურდება მეორე ენერ-ბაშშიც. მისი სრულფასოვანი მოხილვა გაძნელებულია მცენარეული საფარის გამო. თხრილი კარგად შეიმჩნევა; ბორცვი თხემისკენ კონუსურად წაგრძელებულია, ხოლო სიმაღლე 4მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.² აქ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს Google Earth-ის პროგრამის გამოყენებით აეროკოსმოსური კადრების მონაცემებიც გამოვიყენოთ: კორდინატები შეესაბამება: 42°08'05''N და 42°31'24''E-ს; ბორცვის დმ. – 70 მ-დეა; თხრილის სიგანე – 10 მ-ის ფარგლებში); სიმაღლე – 4-5მ. აღნიშნული მონაცემებით ინტერესს იწვევს ბორცვის თხრილის გარეფართობი, იგი ერთთავად ხშირი მცენარეულით არის დაფარული, რაც, ჩვეულებრივ, ხელოვნური ბორცვების შემომსაზღვრელი თხრილებისთვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული ბორცვის შემთხვევაში კი იგი შეიძლება თხრილის გარეთ არსებულ მიწაზე იწვევს უკავშირებოდეს. სხვა თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს ბორცვის თხრილთან, ჩრდილოეთის მხრივ, დაკავშირებული ღელე, რომლითაც ივსებოდა არხი და, საფიქრებელია, გაედინებოდა სამხრეთით მდ. რიონის მიმართულებით. დაკვირვებას საჭიროებს ბორცვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული, ძნელად შესამჩნევი შემადგენლები, რომელთა ერთ ნაწილს, ასევე უნდა უკავშირდებოდეს, თითქოს, გამდინარე ღელეს წყალი. შემადგენლები, შესაძლოა, ასევე წარმოადგენენ დასახლებათა ნაშთებს, ან და კიდევ ძველ ნასახლართა სამეურნეო ფართობებს.

¹ ი. სიხარულიძე. ვაკე-იმერეთის..., გვ. 110.

² შდრ. ი. სიხარულიძე. ვაკე-იმერეთის..., გვ. 108-110

რაც შეეხება ღელეებს, ისინი ამ ხელოვნური ბორცვების აუცილებელ კომპონენტია, რადგან მათი მეშვეობით ივსებოდა ბორცვის შემომფარგლავი თხრილები და, ალბათ, კოლხეთის ამ ნაწილშიც, თავის დროზე, წყალუხვობის ვითარებაში, ხელი შეეწყობოდა მომცრო ნავეებით ტრანსპორტირებას. რუკებზე ბაშთან დატანილი კოპიტნარის ღელე, ან მისი განშტოება, რუკების მონაცემებით, ბაშის გორიკების ჩრდილოეთით არსებულ, კოპიტნარის ხელოვნური ბორცვის თხრილთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ეს ბორცვიც დიდ ინტერესს იწვევს და, აკად ნ.ბ ერძენიშვილის ლაზიკის დღიურის მიხედვით, აუზომიანთ კიდეც მის მოწაფეებს. ჩვენ ქუთაისელ კოლეგებთან ერთად მისი მოხილვის დროს, ცენტრალური ბორცვის თხრილში ჩამდგარი წყლისა და ხშირი მცენარეული საფარის გამო სათანადო მონაცემები ვერ მოვიპოვეთ. თხრილი ფართოა და, ალბათ, ორმაგი, მიწაზე უფრო გაყოფილი, რომლის ერთ, გადათხრილ, ნაწილზე ალიზი კედლის(?) მონაკვეთში, ადრეანტიკური კოლხური დერგის ფრაგმენტი იყო ნაპოვნი. ეს ბორცვი ქ. ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტთან ახლოს მდებარეობს.

მდ. რიონის სოფ. ბაშის სხვადასხვა უბნების გორიკები, ხელოვნური ბორცვები, ისე როგორც ბევრგან სხვაგან, დასახლების ერთადერთ ტიპს არ წარმოადგენენ. მათ ირგვლივ იგულისხმება ვაკეზე განლაგებული დასახლებანი და სასოფლო-სამეურნეო ფართობები. ამის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ტოპონომიკური მონაცემები. თუმცა, ცხადია, იგი ყოველთვის ვერ იძლევა ძველი ვითარების რეკონსტრუირების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, ძირითადად ისევ ი. სიხარულიძის მიერ შეგროვებული ტოპონომიკური მონაცემები,¹ რომლებიც უშუალოდ რიონისპირა ზემოთაღნიშნული რეგიონს ახასიათებენ. მაგ., ქვედა ბაშა და შუა ბაშში დადასტურებული ტოპონიმები: ლაბადნარი, გრძელა, ბაშურები, ხვილიფი, ჭალა, აკვანა, საყანჩია, სალაქაშია, სამაჩაბლო, ქოგირისპირი, კაპეტები, ლეღვია, რიყე, ასევე ზედა ბაშისა: ხვილიფი, ტილიფნარი, საშინდია, გუდაბროული, ეკრანა, როგორც სათესი ფართობები მთელი ტოპონომიკური მასალის თითქმის 95%-ს შეადგენს; იგივე ვითარება გვაქვს პირველი ენერ-ბაშისა და მეორე ენერ-ბაშის მონაკვეთებში, რაც მხარის სამეურნეო მნიშვნელოვან პოტენციალზე მიუთითებს (ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით). აქ კი ერთ, სხვა ხასიათის, ტოპონომიკურ მონაცემზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: რუსულ ტოპოგრაფიულ დიდი მასშტაბის რუკებზე ამჟამად არსებული სოფ. ბაშის დასახლებათა აღმოსავლეთით დატანილია ტოპონიმი საჯიხასლო. აქ სახელის ფუძეში კარგად ჩანს ზანური ტოპონიმი-ჯიხა, თანაც, როგორც გვგონია, იგი უფრო გამაგრებათა სისტემის არსებობაზე მიუთითებს. რადგან ბაშის, ასევე ვაკის სხვა ხელოვნური ბორცვების, ხასიათის რკვევას პრინციპული მნიშვნელობა

¹ ი. სიხარულიძე. ვაკე-იმერეთის..., გვ. 109-110.

აქვს, მოვიტანთ ჩვენი არქეოლოგიური დაზვერვების ზოგიერთ შედეგებს. კერძოდ, ინტერესს იწვევს ცენტრალურ კოლხეთში XXს. საუკუნის 70-ან წლებში (როცა დაზვერვებით შეისწავლებოდა მდ. გუბისწყლის ხეობა და ითხრებოდა ცნობილი ნამაშევის ციხე და სხვ.¹) სოფ. ზედა მალლაკში, მდ. გუბისწყლის მარცხენა ნაპირის ხელოვნური ბორცვების ჯგუფი, ირგვლივი თხრილებითა და მდინარისკენ მიმართული ზღუდის(?) ფრაგმენტი იყო გამოვლენილი. ზედაპირული მასალების მიხედვით, ეს დასახლება, წინასწარულად, ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისითა და მომდევნო ხანით შეიძლება დათარიღდეს. მდ. გუბისწყლისპირის აღნიშნული დასახლებები და სოფ. ბაშის დასავლეთით არსებული „ნაჯიხასლო“ ერთ ხაზზეა განლაგებული და, რაც ასე საინტერესოა, როგორც სამოსახლოების ხასიათის, ასევე, ტოპონომიკური მონაცემების თვალსაზრისით, მალლაკის ბორცვების მონაკვეთთან, რუსულ ტოპოგრაფიულ რუკებზე, ტოპონიმი „ნაციხვართავი“-ია იკითხება. ეს ტოპონიმი დაგვიდასტურეს ადგილზეც.

ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ მდ. გუბისწყლის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ჩვენ უკვე ადრეანტიკური ხანიდან, თუ უფრო ადრე არა, სახეზე გვაქვს გამაგრებების სისტემა, რომლის სახელის ფუძეში ერთგან (მალლაკთან) გვხვდება ციხე („ნაციხვართავი“), ხოლო უფრო სამხრეთით, სოფ. ბაშის დასახლების მონაკვეთთან მისი ზანური ფორმა – ჯიხა („ნაჯიხასლო“). აქ შეიძლება დაისვას საკითხი ბაშის ზემოაღწერილი ბორცვების ჯგუფის დაკავშირებისა გუბისწყლის თანამედროვე დასახლების მომიჯნავედ დადასტურებულ ტოპონიმ ნაჯიხასლოსთან. ასეთ შემთხვევაში სოფ. ბაშის გორიკები, ერთთავად, აქ ზოგადად ანტიკურ ხანაში არსებულ ციხეებად შეიძლება მოგვეაზრებინა.² ამასთან, ამჯერად, თავს ვიკავებთ კატეგორიული დასკვნებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ადრევე მივუთითებდით კოლხეთის ხელოვნური ბორცვების, ერთი ნაწილის მაინც, დასახლებათა ცენტრებად (სიმაგრეებად) მიჩნევის თაობაზე. ამაზე, თითქოს, ტოპონომიკური მონაცემებიც მიუთითებს. ტოპონიმ „ნაციხვართავის“ ხელოვნური ბორცვებისადმი მიმართების თაობაზე უკვე მივუთითეთ ხაზგასმით. აქვე, ამგვარი მონაცემების სხვა შემთხვევებზეც შევჩერდებით. ზოგადი დაკვირვებით, სახელის ფუძეში „ციხე“-ს შემცველი ტოპონიმები, „ნაციხვართავის“ ჩაუთვლელად, ძირითადად მდ. რიონის სამხრეთითა და აღმოსავლეთით არის გავრცელებული. ამ მხრივ ინტერესს იწვევს სოფ. სვირის (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) მონაკვეთი, სადაც ტიპოლოგიურად სხვადასხვა ხასიათის ბორცვების მიმართ სახელი ციხურაა დადასტურებული.³

¹ ვ. ჯაფარიძე, ნამაშევის ციხის (მუხირისი?) გათხრები, – *ვერისის ახ.წ. I-VIII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები...*, გვ. 126-136.

² გ. ლომთათიძე, ვ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური დაზვერვები..., გვ. 61.

³ ვ. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე, გ. გვინჩიძე, არქეოლოგიური სამუშაოები ნავთობსადენის ტრასაზე აღმოსავლეთ კოლხეთში, – ნგნ.: *მილსადენის არქეოლოგია*. ტ. I. თბ., 1999, გვ. 82-92.

ამათგან, ინტერესს იწვევს სოფ. მეორე სვირის ბუნებრივი სერიდან თხრილით გამოყოფილი კონცხის ნაწილი (ცხვირი), რომელიც ციხურად იწოდება. ის უნდა ყოფილიყო ცენტრალური, გამაგრებული ნაწილი, სადაც პრეისტორიული ხანის მასალებიც იყო ნაპოვნი ზედაპირულად (ეს გარემოება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ბორცვის ფერდის არქეოლოგიურ თხრილებშიც იყო დადასტურებული გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მოკირწყლული დონეები და, ერთგან, რიყის-ქვით ნაშენი კედლის ფრაგმენტიც.¹ ბორცვის ფარგლებში მომდევნო და ადრეანტიკური ხანის ფენები და მათი ნაშთებიც იყო გამოვლელი, მათ შორის ატიკური (ათენის წრიდან) იმპორტიც.

სვირის მონავეთის კიდევ ორი ციხურიდან, ერთი, დაბალი ტერასიდან ასევე თხრილით გამოყოფილი, ბორცვია, ხოლო მდ. ჩოლაბურისა და მდ. ყვირილას მონაკვეთში არსებული, სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილი ციხურა² მოზრდილი ხელოვნური ბორცვია, შედარებით ფართო ორი თხრილით, მიწაზე ნაშენი და „შესასვლელით“. ბორცვის თხემზე ხანძრით განადგურებული ნაგებობათა ნაშთები შეიმჩნევა (დეფორმირებული და გამლვალი სამშენებლო მასალები ისევე ადრეულ ფენებზევე მიუთითებენ, და ნაკლებად, აქ რომაელთა სამხედრო ბანაკის არსებობაზე (ნ. ბერძენიშვილი).³ თუმცა იქვე, ვაკეზე არსებულ ანტიკურ დასახლებათა ნაშთების არსებობისა და, აქ ნამოწყებული მშენებლობით განადგურების შესახებაც გვაქვს ინფორმაცია.

ყველა ამ სტრატეგიულ ცენტრს თავისი დასახლებანი ახლავს; სვირის ციხურების შემთხვევაში, დასახლებები ტერასებს მიუყვება და ვაკეზეც დასტურდება. ვარდციხის ცნობილი ნაქალაქარის (ბალდათის მუნიციპალიტეტი) ძველ, ანტიკურ დასახლებას, რომელიც მდ. მდ., რიონისა და ყვირილას მარცხენა ნაპირის ტერასას მიუყვება, ასევე თხრილით განმხოლოებული და გამაგრებული (გათხრილია კომპური ნაგებობა) ცენტრი,⁴ ანუ ციხე გააჩნია და, ვფიქრობთ, აქედან უნდა გადასცემოდა ბიზანტიური წყაროების როდოპოლისს, ანუ ვარდციხის ნაქალაქარს ქა-

¹ ვ. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე, გ. გვინჩიძე. არქეოლოგიური..., გვ. 82-91.

² ვ. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე, გ. გვინჩიძე. არქეოლოგიური..., გვ. 91; ვ. ჯაფარიძე. შიდა კოლხეთის ადგილობრივი („ბარბაროსული“) ქალაქების შესახებ, – წგნ.: ურბანიზმი შავი ზღვისპირეთის არქაულსა და კლასიკურ ხანაში: Πόλις Ἑλληνικὴ და πόλις Βαρβαρὸν. თბ., 2002, გვ. 38-39; V. Japaridze. Zur Frage der Topographie und Kontinuität von vorantiken Siedlungen und Städten im östlichen Schwarzmeergebiet, – წგნ.: Der Schwarzmeerraum vom Äneolithikum bis in die Früheisenzeit (5000-500 v. Chr.). Kommunikationsebenen zwischen Kaukasus und Karpaten. Apakidze J., Govedarica B., Hänsel B. (Hrsg.). Prähistorische Archäologie in Südosteuropa 25. Rahden/Westf., 2009, გვ. 270.

³ ნ. ბერძენიშვილი. შენიშენები ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, – ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები..., გვ. 475.

⁴ ვ. ჯაფარიძე. ძველი ვარდციხე („ვარდიგორა“). არქეოლოგიური ძიებანი, – ძეგლის მეგობარი. №46, 1977, გვ. 43-50.

რთული სახელი – ვარდციხე.¹ უფრო აღმოსავლეთით, სოფ. ცხენთაროში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ასევე ანტიკური ხანის სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა ხელოვნური ბორცვი „ციხიათა“ (სადაც, განძის მაძიებელთა ნათხარში, მძლავრი, ნახანძრალი, ანტიკური ფენები შეინიშნება),² ირგვლივ თხრილის ნაშთით, რომელშიც, ჩანს, რუ შეედიწებოდა (აქედან სოფლის სახელი ცხენთარო, – გ. ცქიტვიშვილის ცნობა). ეს რაც შეეხება სახელის ფუძეში „ციხის“ და, ამდენად, ფუნქციის, განმსაზღვრელი ტოპონიმის არსებობის შემთხვევებს.

ამ სტატიაში, სამწუხაროდ, ბაშთან ალბათ ორგანულად დაკავშირებულ, რიონს გამოღმა ძეგლებს ვერ შევხვებით. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით: „მეტყველია ვანის მიდამოში „ბაში“, რიონს გაღმა, შეიძლება აქ იყო სადღაც „მიქელფონი...“;³ ზოგადად ამ მონაკვეთს (საჭილაოს) შეიძლება დაუკავშიროთ 1737წ. რუკის მინანური შორაპნის ციხის მონაკვეთთან: „საჭილაოს ნავი... შორაპნამდის: ციხემდის ამოვა“ (ვსარგებლობთ რუკის პირის გ. ცქიტვიშვილის მიერ გადმოცემული ასლით).⁴ სხვა მონაცემით ამ რუკისა „აქამდის („ვარციხემდე“ – ვ.ჯ.) მოდიდო ნავი ამოვა ღერძის“.⁵ ეს მონაცემები მეტყველ მასალას წარმოადგენს რიონზე ნაოსნობის წარმოსადგენად.⁶

სამწუხაროდ, ბაშთან, ალბათ, ორგანულად დაკავშირებულ რიონს გამოღმა ძეგლებს ვერ შევხვებით. აქ, ანტიკურ, ცნობილ ძეგლებს (ვანისა და დაბლაგომის „ქვეყნები“ და სხვ.) გარდა, ადრე შუა საუკუნეების კულტურული ფენებისა და ნაგებობების შემცველი ძეგლებიც გვხვდება; ზოგი მათგანი თხრითაც შეისწავლებოდა, მაგ. სოფ. მთისძირში (9).⁷

აქ, როგორც ანალოგიებს, შევხვები სოფ. ბაშის ამოსავლეთით, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ არსებულ რამდენიმე ხელოვნურ ბორცვს. ამათგან ინტერესს იწვევს უშუალოდ მომიჯნავე, სოფ. საყულისას გორიკა. იგი სოფლის განაპირას არის დაფიქსირებული. აქ, ადრე, დაზვერვა ჩაატარა ვანისა და ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ვარციხის მშენებლობასთან დაკავშირებით ზედაპირული დაზვერვები ჩავატარეთ ჩვენც, ხოლო XXს. 90-ან წლებში აქ არსებუ-

¹ ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1989.

² ვ. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე, გ. გვინჩიძე. არქეოლოგიური..., გვ. 83.

³ ნ. ბერძენიშვილი. შენიშვნები ლაზიკის ისტორიული..., გვ. 475.

⁴ შდრ.: შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. თბ., 1959, გვ. 195; აქ მითითებულია მხოლოდ რუსული ტექსტი: «До самого места небольшие галеры ходят».

⁵ შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა., გვ. 195.

⁶ ვრცლად ამის შესახებ: Т. Бердзэ. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989.

⁷ გ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.

ლი დაზიანებების გამო, ვაკის ნაწილში საცდელი თხრილები წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (კ. კალანდაძე). ანაკრეფ და თხრილებში გამოვლენილ მასალებში დომინირებს ადრეანტიკური (კლასიკური) ხანის კერამიკული ფრაგმენტები, შეინიშნება უფრო ადრეულიც. ამასთან, არ გამოვრიცხავთ აქ მომდევნო ხანის, პირველ რიგში ელინისტურის, მასალების გამოვლენის შესაძლებლობას (ხელოვნური ბორცვებისა და მიმდებარე ფართობების მასალების დეფინიციასა და კონკრეტული ქრონოლოგიის შემუშავების საკითხს, უკვე დღეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ზოგადად ძეგლების ქრონოლოგიისა და ძველი კოლხეთის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლისთვის).

აქ, ამ ზონის კიდევ ერთ ხელოვნურ ბორცვს უნდა შევეხოთ, რადგან იგი ყველაზე დიდია (სიმაღლე 9 მ-დე), შეიძლება ითქვას, მთელ კოლხეთში; ბორცვი და მიმდებარე ფართობი 1971 წლიდან, ვარციხჭვის მშენებლობის ზონაში მოქცევის გამო, შეისწავლებოდა ვარციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.¹ ბორცვის მონაკვეთში, თხემზეც კი, გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მასალები იყო გამოვლენილი, ძირითადი მოზენვა კი (იგულისხმება, რომ აქ, და სხვაგანაც, ხშირ შემთხვევაში, ბორცვების პერიოდულად იზვინებოდა), ისე, როგორც ბევრგან სხვაგან, ადრეანტიკურ ხანაში უნდა განხორციელებულიყო.

პატრიკეთში იტერესს იწვევს რომაული, ადრეიზანტიური და მომდევნო ხანის ფენების არსებობა. ამას ეხმაურება იქვე, პატრიკეთში, გამოვლენილი ადრეიზანტიური ხანის აბანო და შუა საუკუნეების ფენების მომდევნო ეტაპის ფენებისა და მასალების გამოვლენის შემთხვევები ბორცვის თხრილის მონაკვეთსა და თხემზეც კი. ბორცვსა და 25 მ-დე სიგანის თხრილს, წრიული მინაზვინული შემოუყვება, რაც ასე დამახასიათებელია კოლხეთის ხელოვნური ბორცვებისთვის, მაგრამ აქ, აღნიშნულ მინაზვინულზე, ბორცვს, შუასაუკუნეების წრიული ზღუდეც შემოუყვებოდა, უფრო კი მისი, ძირითადად საძირკვლის, ნაშთებია დადასტურებული. როგორც ვხედავთ, აქ ბორცვს თავდაცვითი, ანუ ციხის ფუნქცია შუასაუკუნეებშიც შეუნარჩუნებია (სამნუხაროდ აქ ვერ ვიძლევიტ კონკრეტულ თარიღებს, ბორცვის სათანადოდ შეუსწავლებლობის გამო).

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ბორცვის მიმდებარე ფართობზე, ზედაპირულად, და მშენებლების მხრივ ქ. ქუთაისის კანალიზაციისთვის გაჭრილ თხრილებში, ძირითადად, ადრანტიკური (კლასიკური) და ელინისტური ხანის მასალები იყო გამოვლენილი. კოლხეთის სხვა რეგიონებში ხელოვნური ბორცვების გავრცელებისა და შედარებით უკანასკნელი ხანების გათხრების მონაცემებზე, აქ ვეღარ შევჩერდებით.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით სოფ. ბაშის გორიკებსა და ანალოგი-

¹ გ. ლომთათიძე, ვ. ჯაფარიძე. არქეოლოგიური დაზვერვები..., გვ. 60-62; В. Джапаридзе, Д. Джамая, Т. Берадзе, К. Мелитаური. Отчет..., გვ. 79-81; ვ. ჯაფარიძე. შიდა კოლხეთის ადგილობრივი („ბარბაროსული“) ქალაქების..., გვ. 36.

ურ დასახლებებზე ფაზისის (მდ. რიონის, ყვირილათი) ერთ მონაკვეთზე და მოვიტანეთ, თან. სოფ. ბაშის არქეოლოგიური შეუსწავლელობის გამო, არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების სათანადო მონაცემები. მათი და ბაშის ბორცვ „გრძელას“ ანაკრეფი მასალის მიხედვით ამ ბორცვების მოზინვის ზოგად თარიღად ადრეანტიკური ხანა (ძვ.წ. VI-IVსს.) უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს, ზემოთ მითითებული ძეგლების წინასწარული შესწავლისა და კოლხეთის სხვა რეგიონის მონაცემების გათვალისწინებით, არ გამოირიცხება აქ სამოსახლოთა აღმოცენება უფრო ადრეული – გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანითაც განისაზღვროს. ასეთი დაშვების შესაძლებლობას გვაძლევს, ბაშთან ახლოს, გუბისწყლის პირას, ადგილ ნაციხვართავთან დადასტურებული ბორცვების ჯგუფის, ზოგადად ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისით დათარიღებული კერამიკა (ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ ზედაპირული დაზვერვის მასალები). ბაშის ბორცვების ეს ჯგუფი შეიძლება მართლაც წარმოადგენდეს სტრატეგიულ პუნქტებს, მიუხედავად მათი ნაკლებ მასშტაბურობისა და სახელისა. რადგან, სიდიდით, როგორც აღნიშნული იყო, არ გამოირჩევა ზოგი სხვა ძეგლიც, მაგ., ციხიათა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტში) და ვარციხის ანტიკური ხანის, ტერასიდან თხრილით გამოყოფილი ბორცვი. რაც შეეხება სახელწოდებას „გორიკა“, იგი მიემართება ისეთ დიდ ბორცვსაც კი, როგორიცაა პატრიკეთის გორიკა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი). ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ ბაშის ბორცვების დასავლეთით, მდ. გუბისწყლისა და რიონის შესართავთან, რუსულ ტოპოგრაფიულ რუკებზე დატანილი ტოპონიმი საჯიხასლო შეიძლება მიემართებოდეს სწორედ ბაშის გორიკებსა და მათგან აღმოსავლეთით, სავარაუდოთ, არსებულ ბორცვებს, რომელთა კვალი დღეს არ დასტურდება (ეს მონაკვეთი მომავალში საგანგებო დაზვერვებს საჭიროებს).

დავუბრუნდეთ ბაშში ვარიაგების ყოფნის დროისა და გარემოების ამბავს. არანაირი მონაცემები შუასაუკუნეების ნაშთებისა ბაშში ჯერ არავის ენახა... არც ჩვენთვის უჩვენებიათ რაიმე სოფელში და ვარციხჰესის სადერივაციო არხის მშენებლობის ადგილის დათვალეირების დროს. ეს მონაკვეთი მდ. რიონის ხრეშოვან სანაპიროს წარმოადგენდა და რაიმეს პოვნის შესაძლებლობას თითქოს გამოირიცხავდა. მოგვიანებით მოხდა მოულოდნელობა: ჰესის IV კასკადის მშენებლობის დროს ღრმა ქვაბულში ხის მორების გამოჩენის გამო საყოველთაოდ გავრცელდა ინფორმაცია რიონის კალაპოტში ძველი გემის (თუ გემების) ნაშთების აღმოჩენის შესახებ. სინამდვილეში, ადგილზე, ქვითკირის ნაგებობის მასიური ნაშთები იყო ნაპოვნი, რომელთა დიდი უმრავლესობა ძალზე ღრმა ქვაბულიდან უკვე ამოღებული დაგვხვდა ჩვენი იქ საგანგებოდ ჩასვლის დროს, როცა მოვახერხეთ ნაგებობათა ნაშთების შეკრება და ფოტოფიქსაცია. სამწუხაროდ, არ გვაქვს მონაცემები დულაბით ნაშენი ამ კედლების ფრაგმენტ-

ტების ღრმა თხრილში პოვნის დონისა და სხვა გარემოებათა შესახებ. ვფიქრობთ, ქვაბულში ხის მასიური მორების (რომლებიც ნაგებობების ნაშთებს არ წარმოადგენენ) სხვადასხვა დონეზე და იქვე ნაგებობის ნაშთების პოვნის გარემოება, მდ. რიონის ისტორიულ ხანაში არაერთხელ ადიდების, კალაპოტის შეცვლისა და აქ არსებული სამოსახლოს ნაწილის განადგურებით უნდა აიხსნას. სავარაუდოდ, თვით ნაგებობა ძველ ბაშში, სოფლის დასახლების ფარგლებში, მდინარის ძველი კალაპოტიდან არც თუ შორს უნდა ყოფილიყო აღმართული. რამდენიმე მონაცემი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ მისი რაობა და მიახლოებითი თარიღი. ჩვეულებრივ, კოლხეთის დაბლობისთვის, ისტორიულ ხანაში, ქვის არქიტექტურა დამახასიათებელი არ არის. მოგვიანებით, შუასაუკუნეების ჩათვლით, ჩვეულებრივ, ხის საცხოვრებელი ნაგებობებია გავრცელებული. ქვის კედლის ნაშთების ფრაგმენტების ზოგი მახასიათებლის მიხედვით (მასიურობა, ფასადის კირქვის ქვების წყობის ხასიათი, მკვრივი დულაბი და სხვ.) ისინი ქრისტიანული, თანაც მონუმენტური ნაგებობის ნაშთებს შეიძლება უკავშირდებოდნენ; არ გამოვრიცხავთ ამ ნაგებობის X-XI სს-ით. დათარიღების შესაძლებლობას. მასვე, შეიძლება, უკავშირდებოდა სასაფლაოს ის ნაშთები, რომლებიც მდ. რიონს ასევე გამოურეცხია (ადგილობრივი ცნობა).

ყველა მონაცემის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ძველი ბაშის მოზრდილ დასახლებასთან, სადაც უნდა დაბანაკებულიყვნენ რიონით ბაშამდე შემოცურებული ქართული წყაროების ვარანგნი. უდაოა, რომ ამ დროსაც ბაში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სანაოსნო, სტრატეგიულ და ეკონომიკურად მნიშვნელოვან დასახლებას. ის რომ დღეს ჩვენ ანტიკური და შუასაუკუნეების ნაშთები უმნიშვნელო რაოდენობით შემოგვრჩა, სამშენებლო მასალის (ითქვა, რომ ხის არქიტექტურა დომინირებს) ხასიათით და მდ. რიონის ყოვლისწამლევკავი ბუნებით უნდა აიხსნას. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი გვაქვს, მდ. რიონის შუა წელზეც კი, მაგ., ვარდციხის ნაქალაქარის მონაკვეთში, სადაც რიონისპირის ძველი (ანტიკური და ადრეზიზანტიური), აგრეთვე, სულ უკანასკნელი XX ს. 20-ანი წლების ნასახლარების, ნაშთების კვალი დღეს საერთოდ არ იქმნება ადგილზე.¹ ინტერესს იწვევს ნ. ნიკოლაძის ინფორმაცია რიონისპირის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობაში მდ. რიონის შლამიანი და ნაყოფიერი სანაპიროს აქტიური და თამამი გამოყენების თაობაზე; ხშირ შემთხვევაში, მდინარის მხრივ მნიშვნელოვანი ფართობების წალეკვის მიუხედავად, წლის მანძილზე მოსავლის რამდენჯერმე მოყვანაც იყო შესაძლებელი. ბაშის დასახლებათა ნიადაგების სამეურნეო ხასიათის ამსახველი ტოპონიმიკური მონაცემებიც, თითქოს, ასევე მიუთითებენ გარკვეულ ეკონომიკურ მახასიათებლებზე. მაგრამ, ისეთი დიდი სამხედრო კონტინგენტების რჩენა, როგორც იქნებოდა 3

¹ ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი, გვ. 132-133.

ათასი ვარანგი, თანაც ხანგრძლივი დროით, მნიშვნელოვანი პრობლემა იქნებოდა ქვეყნისა და დასახლებისთვის. პოლიტიკური ხასიათის ეს მოვლენა, ასეთი რაოდენობის სამხედრო კონტინგენტის მოწვევა, შემთხვევითი პოლიტიკური ვითარებით ვერ აიხსნება. იგი ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ტრადიციული პოლიტიკით უნდა ყოფილიყო განპირობებული და ამისთვის შერჩეული ადგილი (ამ შემთხვევაში ბაშის დასახლება), ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, წარმოადგენდა არა მარტო მნიშვნელოვან სანაოსნო, არამედ სტრატეგიულ და ეკონომიკურადაც მძლავრ პუნქტს. როცა ხელისუფლებამ პოლიტიკური მარცხი განიცადა, ეს ბალანსი დაირღვა (და სახელმწიფო მატერიალური უზრუნველყოფაც შემცირდა), დამარცხებულ ვარიანტებს პროვიანტი შემოაკლდათ. ამიტომ წყაროს ცნობა: „...მისცა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს“, ვარანგთა უკან, ლიხის გადავლით, გამგზავრებასა და მათი პროვიანტით უზრუნველყოფის აუცილებლობის გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს. სწორედ ლიხთან ახლოს, შორაპანში, მდგომ ბიზანტიელთა საჯარისო შენაერთებისთვის, აქაური მხარის ვითომ მხოლოდ მოუსავლიანობის გამო, პროვიანტით ცუდად უზრუნველყოფაზე მიუთითებენ ბიზანტიური წყაროები, როცა ჯარები ტოვებენ აღმოსავლეთ კოლხეთს.¹ ჩანს, არც ვარანგებს ჰქონდათ აღმ. კოლხეთში საკვები პროვიანტით, ამ შემთხვევაში მარცვლეულით, მომარაგების იმედი, გრძელ გზაზე, რაც არ იყო რეალობას მოკლებული.

სამწუხაროდ, რიონზე ნაოსნობის ამსახველი არქეოლოგიური მონაცემების სისრულით გადმოცემა აქ ვერ შევძელით, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ფაზისზე ნორვეგიელ ნაოსან მოგზაურთა ახალი ჯგუფის გამოჩენისა და მათი მიზნებისა (მათ შორის არქეოლოგიურის) და შედეგების მომავალში თხრობის დროს, ამ საკითხებზეც მსჯელობის გაგრძელების საშუალება მოგვეცემა.

¹ **პროკოპი კესარიელი.** De bello gothico. VIII, 13, – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა.** თბ., 1965.

VAKHTANG JAPARIDZE

TOWARDS THE QUESTIONS OF NAVIGATION ON THE RIVER OF PHAZISI-RIONI AND THE SETTLEMENT OF “VARANGS” ACCORDING TO ARCHAEOLOGICAL DATA FROM BASHI

According to the ancient written sources river Phazisi (Rioni) represented the main fluvial highway of historical Colchis and the part of international trade road. This road functioned more intensively in Hellenistic period and some of its sections even earlier – in the Early Antique period (O. Lortkipanidze).

In accordance with the archaeological data of the monuments of Rioni river middle stream, presented in this article, communicative importance of the river could have been known much earlier (in Late Bronze and Early Iron ages). In the artificial mounds (“gorikebi”) of the nearby village of Bashi archaeological material of Antique and maybe earlier periods have been found. By some sources (Vakhushti Batonishvili and etc.), Bashi represented important navigation and customs’ point on Rioni river.

In the light of one information of Georgian source “Kartlis Tskhovreba”, in approximately in 1040-ies, military troops of “Varangs” which had been used in internal wars (Variags) were located in these places. Coming out of this information significant medieval settlement is supposed to exist in Bashi. This hypothesis is supported by finding of Christian temple and cemetery during construction of one of the cascades of Vartsikhe Hydroelectrical station. As some of the hills are seemingly fortified, it is possible to suppose in Bashi existence of medieval fortification buildings as well. In this regard existence of old toponyms: “Sajikhaslo” and “Natsikhvartavi” near the river Gubistskali is interesting. Further data on Bashi settlement will be specified by the future archaeological reconnaissance.

ჩვეულებითი სამართალი არსებობდა ცარიზმის დროსაც და საბჭოთა პერიოდშიც. ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფო კანონების პარალელურად მოქმედი ინსტიტუტია დღესაც საქართველოს მთიანეთში. მისი მნიშვნელობა გაიზარდა საქართველოს ხელახალი გათავისუფლების შემდეგ (1991 წელი), რაც ორი მიზეზით იყო განპირობებული: 1) საბჭოური ათეისტური იდეოლოგიის დისკრედიტაციამ მოსახლეობის ერთ ნაწილში გარკვეული სულიერი ვაკუუმი წარმოქმნა. ამ დროს კი ქართველ მთიელებს – ტრადიციულად მოაზროვნე საზოგადოებას – ამგვარი დისკომფორტი არ განუცდიათ, **რადგანაც ძველი ქართული ფასეულობებისადმი ერთგულებას მთიელები ცარიზმისა და საბჭოური რეჟიმების არსებობის ხანაშიც ინარჩუნებდნენ;** 2) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელ ქვეყანაში გამეფებული ქაოსისა და არეულობის პერიოდში, სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან, ფაქტობრივად, უყურადღებოდ მიტოვებულ მთიანეთში ბევრი პრობლემატური საკითხი სწორედ ტრადიციული სამართლის მეშვეობით მოგვარდა და დარეგულირდა.

ტრადიციული სამართლის ანალიზი მკაფიოდ ავლენს რელიგიის უდიდეს გავლენას ჩვეულებითი სამართლის ძირითად მახასიათებლებზე. მართალია, ჩვეულებითი სამართალი საქართველოს ზოგიერთ ეთნოგრაფიულ მხარეში გარკვეული ლოკალური ნიშნებითაც ხასიათდება, მაგრამ მთლიანობაში იგი თვალსაჩინო მაგალითია ერთიანი ქართული არამხოლოდ ოფიციალური, ძველქართული კანონმდებლობის არსებობისა მთელ საქართველოში, არამედ ნათლად ასახავს ჩვეულებითი სამართლის ერთიანობასაც.

ქართული ტრადიციით, ეკლესია (ჯვარი, ხატი) იყო ის საკრალური ადგილი, სადაც ხდებოდა ტრადიციული სამართლის ამოქმედება და განაჩენის გამოტანა. ქართველი მთიელის მენტალობით, ჩვეულებითი სამართალი ღვთისაგან დაწესებული/ეკლესიისაგან ნაკურთხი წესი და ადათია, სამართლის აღმსრულებელი – მედიატორი კი ღვთის რჩეულ კაცად აღიქმება, ამიტომაც უძღვება იგი დროისა და ისტორიული განვითარების ცვალებადობას.

ჩვეულებით სამართალს საქართველოს ტრადიციულ ყოფაში ზნეობით გამორჩეული და სამართლის მცოდნე პირები აღასრულებდნენ. სვანეთში მათ მოურავები//მორევეები ერქვათ. „ფშაურ რჯულით“ ყოველგვარ საქმეს განიხილავდნენ და გადაწყვეტდნენ თემის მიერ არჩეული ხევისბერები და „რჯულის კაცები“, ხევსურეთში – „რჯულის კაცები“ და ა. შ.

მსაჯულ-მედიატორი, ხალხის რწმენით, „ღვთის კაცია“, რადგან „საღვთო საქმეს“ – მშვიდობის დამყარებას, მესისხლეობის აღკვეთას ემსახურება. განსაკუთრებით მძიმე საქმის განხილვაში 12 მსაჯული მონაწილეობს და თანამოფიცართა რიცხვიც 12 უნდა იყოს. თანამოფიცართა ეს ძირითადი რაოდენობა (იგი იზრდება 24-მდე, ან მცირდება 6-მდე) დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც. ქრისტიანულ ქვეყნებში უპირატესობა სწორედ ამ რაოდენობას ენიჭებოდა და

ტექსტები გამოსცა, შენიშვნები დასაძიებელი და ურთო ი. დოლიძემ. თბ., 1965, გვ. VI.

საკითხთან დაკავშირებით გასაზიარებელია მ. კოვალევსკის ვარაუდი, რომ იგი დაკავშირებულია ქრისტიანულ სწავლებასთან, სახარების გადმოცემებთან, ქრისტეს 12 მოციქულთან.¹

ქვეყნის ერთიანობის დაშლისთანავე, ქართველი მთიელები იწყებენ განსაკუთრებულ ზრუნვას ტრადიციული მართლწესრიგის შენარჩუნებისათვის. მაგალითად, სვანეთის საისტორიო დოკუმენტებით (XIV-XVII სს.), რომლებიც საეკლესიო სამართლის ძირითადი მახასიათებლებით არის ნასაზრდოები, ცნობილი ხდება, რომ „ერთობილი სვანეთის ხევის“ საბუთები – „დანერილები“, „ქვეყნის სამგრობლები“ და ა. შ. ქართული საეკლესიო და საერო სამართლის ნორმების განმტკიცებისა და მართლწესრიგის დამყარებისკენაა მიმართული. „სვანეთის ხევისათვის“ რელიგია წარმოადგენს ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნების უმთავრეს მექანიზმს.

სამართლებრივი ხასიათის საბუთების შემდგენელი „სვანეთის ერთობილი ხევი“ („უხედაესიც და უქვედაესიც“, „ვარგიც და გლეხიც“) „სამაგრობელი“ – საკანონმდებლო აქტების აღსრულების გარანტიად დასჯის იმ მძიმე მექანიზმს მიიჩნევს, რაც ეკლესიიდან განკვეთაში მდგომარეობდა: „შევიყარენით ხევი ხეობით და გავაჩინეთ ეკლესიისა საქმე ასრე: უშგულს და ლარველს შუა მყოფმან... რა ეკლესიისა მართებდეს, აგრე არ გაიულონ, იგი ქუყყანაი სეტის მთავარმონამისაგან და მისისა შესაუალისაგან გამოსრულ იყოს, და საუკუნოს ღმრთისგან გამოსრულ იყოს... რჯულისა და ყოველთა ებისკობოსთაგან გამოსრულ იყოს“.² სვანეთის ყოველი ტერიტორიული თემი ამის შემდეგაც თავისი მთავარი სათემო ეკლესიის გარშემო თავმოყრილი, სამართლებრივი ხასიათის პრობლემებიც ეკლესიების მეშვეობით, მათი „თავსდებობით“ და „შუვამდგომლობით“ წყდება. „დანერილები“ – „განაჩენები“ საეკლესიო წიგნებს შორის ინახებოდა, ან ამ წიგნების თავისუფალ ამიებზე ინერებოდა, რითაც „აქტებს“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა – ეს „აქტები“ უკვე ეკლესიისაგან „დამონმებულად“ ითვლებოდა და მიღებული გადაწყვეტილება, ცხადია, უპირობოდ აღსრულდებოდა. უფრო გვიან კი ქალაქის დეფიციტის შედეგად გაჩნდა ხეზე ამოკვეთილი „დანერილებიც“.

რელიგიური მუხტი მძაფრად იკვეთება ხევისურულ სამართალშიც („რჯული“), რომელიც ყველა ძირითად პრობლემას რელიგიურ წერილში განიხილავს. აქაც, ისევე როგორც სვანეთში, ცოდვა-ბრალეულობის საკითხები ერთმანეთისაგან განუყოფელია. „ფშაურ რჯულითაც“ რელიგიური მსოფლხედვით განიხილებოდა როგორც წმინდა სამართლებრივი ხასიათის პრობლემები, ასევე, საზოგადოებრივი ყოფის სხვა საკითხებიც.

¹ М. Ковалевский. Современный обычай и древний закон: *Обычное право осетин в историко-сравнительном освещении*. Т. II. М., 1886, გვ. 326.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, I. ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ. 1986, გვ.108-111.

ხევში ბოლო დრომდე შემოგვენახა „საბჭო“ გერგეტის სამების ეკლესიასთან. აქ განიხილებოდა ხევის საზოგადოებრივი ყოფისა თუ კერძო დანაშაულთა ესა თუ ის მხარე. „თემის კაცები“ – ავტორიტეტული და სამართლის მცოდნე პირები საბჭოში იღებდნენ გადაწყვეტილებას – განაჩენს, რომელიც მოდავე მხარეებს უნდა შეესრულებინათ.

ტრადიციული სამართლის აღსრულების გარანტი ეკლესია (ჯვარხატი) და იქ აღვლენილი ფიცი იყო. ანუ სამართლის წარმოება, პროცესი, განაჩენის გამოტანა და აღსრულება ეკლესიის სახელით ხდებოდა.

კანონიკური სამართლის გარკვეული ნორმების გავლენა ნათლად ჩანს ჩვეულებითი სამართლის აღსრულების პროცესშიც და მის აღმსრულებელთა მენტალობაშიც: ამ მხრივ, **აღსანიშნავია სვანეთში არსებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ყოველი სადავო საქმე ამჟამადაც ეკლესიასთან ან მის ეზოში განიხილება.** „განაჩენსაც“ იქვე აცხადებენ. განაჩენის აღსრულების გარანტად გვევლინება ფიცი და შესაბამისი „დანერილი“, რომელსაც იმავე ეკლესიაში ინახავენ.

ქართულ ჩვეულებით სამართალში შემონახულია ფიცის ინსტიტუტი. ფიცი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ქართული სამართლისთვის უძველესი დროიდანაა ცნობილი (ბექა-ალბულას სამართალი, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი). ფეოდალურ საქართველოში ფიცი ინტენსიურად გამოიყენებოდა როგორც სამოქალაქო დავებისას, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, მკვლელობისას, თუკი სხვა მტკიცებულება არ არსებობდა: ფიცი ძირითადად ეკისრებოდა მოპასუხეს, ბრალდებულს; ქონებრივი დავისას – იმ მხარეს, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას. ფიცის დანიშვნის საკითხს სასამართლო წყვეტდა და გადაწყვეტილებას „ფიცის განაჩენი“ ერქვა.¹

ძველ ქართულ სამართალში ამ სახით არსებულმა ინსტიტუტმა თითქმის უცვლელი სახით მოაღწია სვანეთის დღევანდელობამდე. ქართული ენის სავანურ დიალექტებზე ფიცს „ნაბან“-ი ჰქვია. **ტერმინიც ძველქართულია. მომდინარეობს „ნაბან“-იდან, რაც ნაკურთხ წყალში ხატის ნაბანი წყლით ფიცის დადებას გულისხმობდა.** ძველი ქართული სამართალი ცრუ ფიცს უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევდა: „**ცრუდ მფიცავი ათ წელ უზიარებელ იყოს: ორ წელ შესტიროდის, სამ წელ მსმნელთა თანა იყოს, ოთხ წელ დავრდომით აღასრულოს, ერთ წელ თანა დადგეს და მერმე ღირს იქმნას ზიარებისა**“.² ცნობილია, ცრუ მოფიცარი და ცრუ მოწმე ერთნაირ სასჯელს იმსახურებდნენ.³

¹ **გ. ნადარეიშვილი.** ფიცი როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით. თბ., 1963.

² **მცირესწილისკანონი.** გამოსაცემად მოამზადა **ე. გიუნაშვილმა.** თბ., 1972, გვ. 81.

³ **გ. დავითაშვილი.** სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში. თბ., 2002, გვ. 56.

ფიცს მნიშვნელოვანი ძალა ენიჭებოდა საქართველოს ყველა მხარეში: მაგალითად, **ფშავის** ჩვეულებითი სამართალით, უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებად ფიცი მიიჩნეოდა, არსებობდა „თანამოფიცართა“ ინსტიტუტიც. დაფიცება ხატში ხდებოდა. აუცილებელი კომპონენტები იყო სანთელი, საკლავი და სასმელი. თუ ეჭვი ჰქონდათ ვინმეზე, ბოროტება ჩაიდინაო, იგი ხატში მიდიოდა, მიიყვანდა საკლავს, მიიტანდა სანთელს და სასმელს. ჯერ ხევისბერი იხუცებდა. იგი იტყოდა: „ის, რასაც შენ გაბრალებენ, თუ მართალია, წყეული და შეჩვენებული იყავიო“. ის კაცი „ამინ“, „ამინ“ ეძახდა. მერე თვითონ იტყოდა: „თუ ამის ჩამდენი ვიყო, მოიშალოს ჩემი გვარი და სახსენებელიო“. ამ დროს ხევისბერი ჩააქრობდა სანთელს და დააქცევდა თასებს, ხოლო საკლავს თავი მოეჭრებოდა.¹ თუშეთში დამნაშავეს გამოსატყუებლად მის ნათესავებს ხატში აფიცებდნენ, ქურდს შვიდმაგად აზღვევინებდნენ ნაქურდალს;² **ლენხუმშიც** გამოიყენებოდა ხატზე დაფიცება, დამნაშავეს გამოტყუებდნენ ხატზე გადაცემით;³ **რაჭის** ჩვეულებითი სამართალით, მედიატორები საქმის განხილვის დანაშაულის წინ დებდნენ ფიცს ნიშნად იმისა, რომ საქმეს სამართლიანად გადაწყვეტდნენ; **გურიის** ჩვეულებითი სამართალით, სასამართლო მტკიცებულებად ფიცი ითვლებოდა, სცოდნიათ ხატზე გადაცემაც („გადაჯვარვა“). **იმერეთშიც** უმნიშვნელოვანეს სასამართლო მტკიცებულებად ფიცი ითვლებოდა. ფიცს დებდნენ ეკლესიებში მღვდლებისა და მონაწილეთა თანდასწრებით. მიწაზე დავის დროს კი ადგილზე იფიცებდა ის, ვინც მიწას იჩემებდა. არსებულა ე. წ. „ცოდვის მოკიდების“, „ცოდვის აღების“ წესი: დამფიცებელი სადავო მიწაზე დადგებოდა, მოდავეს ზურგზე მოიკიდებდა და იტყოდა: „შენი ცოდვა მქონდეს, თუ სამანი აქ არ ყოფილიყოს“-ო, ან – დამფიცებელი მოდავეს ზურგზე მოიკიდებდა და ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა, თან იფიცებდა (მსგავსი წესი სვანეთშიც დასტურდება). დამნაშავეს გამოტყუებდნენ „ხატზე გადაცემით“.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მთავარი მიზანი სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა: ტრადიციული სამართლის ძალით, მკვლელის საზოგადოებრივი სტატუსი დანაშაულის ჩადენისთანავე მკვეთრად უარესდებოდა, მისი სოციალური და სულიერი უფლებები მყისვე იზღუდებოდა. მაგალითად, სვანეთში მკვლელი „ორი კაცის საზოგადოებაშიც კი არ უნდა გამოჩენილიყო, მხოლოდ ერთ კაცთან ჰქონდა დალაპარაკების უფლება“,⁴ ასევე, მკვლელს კატეგორიულად ეკრძალებოდა ეკლესიასთან მიახლოებაც კი, არათუ დღესასწაულებში მონაწილეობა, იგი არ დადიოდა ქორწილებში, არ ესწრებოდა მიცვალებულთა დასაძახებელს.

¹ ქართული ჩვეულებითი სამართალი. ტ. III. თბ., 1991, გვ. 142-143.

² ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 103-104.

³ ქართული ჩვეულებითი სამართალი. ტ. III, გვ. 174-176.

⁴ რ. ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში. – მსე, VI. თბ., 1953, გვ. 170.

ბულისათვის წესის აგების რიტუალს და ა. შ. ანუ თემი ამ საშუალებებითაც ებრძოდა სისხლის ალების ადათს. თემის ანუ ხატის ღალატის უმძიმესი დანაშაულის შემდეგ მთავარ დანაშაულად ფშავში მკვლელობა ითვლებოდა. მკვლელს „მამკლავს“, „ცოდვიანს“ ეძახდნენ. მათი აზრით, მკვლელს ცოდვა საიქიოშიც მიჰყვებოდა, მას „მკვდრის მზიდავს“ ეძახდნენ, რადგან „ხალხის წარმოდგენით მკვლელი მოკლულს საიქიოში ზურგით ატარებს“.¹ მკვლელის საზოგადოებრივი პრესტიჟი მკვეთრად ეცემოდა, იგი იძულებით გადაიხვეწებოდა სხვა თემში.

უნწყვეტ სისხლისღვრას თემი აქტიურად უპირისპირდებოდა. ცდილობდა მოსისხლეთა შერიგებას. საზოგადოება ებრძოდა სისხლის ალების ჩვეულებას. ფშაური მასალით, „ნიკო ნიკლაურმა მოკლა ივანე ბოსლიაშვილი... მკვლელი... ასახლდა და გაეცალა სოფელს... მოკლულის ბიძაშვილებს და ერთ-ერთ ძმას განუზრახავთ თავსისხლი აეღოთ მკვლელზე, სათანადო თადარიგსაც შესდგომიან. ეს ცნობილი გამხდარა მოკლულის დედისათვის. მან შეყარა თავისი ვაჟი და ბიძაშვილები, მოიხადა მანდილი, დადო მათ წინ და თქვა: „ჩემი თხოვნაა, ნუ მოჰკლავთ მკვლელს, ცოდვიანის ცოდვას ნუ დაიდებთ. იგი ისე მოკვდეს, მინა არ ელირსოსო“. რა თქმა უნდა, შვილი და ბიძაშვილები შეწუხდნენ, მაგრამ სხვა რა ძალა იყო, დაემორჩილნენ დედის თხოვნას“.²

თუშეთის ჩვეულებითი სამართალით, „ზოგ შემთხვევაში სისხლის გამოსყიდვა და ამით შერიგებაც შესაძლებელი იყო. სისხლის შეფასებას და საზღაურის რაოდენობას თუშებში ხევისბერები და გვარის უხუცესები აკანონებდნენ. მსაჯულთა ეს კრებული „საბჭეოში“ სხდებოდა და იქ თათბირობდა“.³ მკვლელი ისჯებოდა თემიდან გახიზნით. იგი, ამავე დროს, სინანულის ნიშნად თმა-წვერს მოუშვებდა და თავშიშველი დაიარებოდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თემი მას შეინყალებდა და მოკლულის ოჯახიც შეირიგებდა, თუმცა სისხლის საზღაურის ალება აქ სირცხვილად ითვლებოდა. შემრიგებელი ხევისბერი იყო. იგი აცხადებდა ბჭეების გადაწყვეტილებას „სისხლის გარიგების“ თაობაზე. თუკი ქადაგი გამოაცხადებდა, **ლაშარის ჯვარი** ბრძანებს დამნაშავეს სისხლის საფასური არ გადახდესო, იგი საფასურისაგან თავისუფლდებოდა, მაგრამ ხატს მაინც მიართმევდა ლუდით სავსე ქვაბს, ხარსა და ცხვარს.⁴

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში დაფიქსირებულია და საქართველოს ტრადიციულ ყოფაში შემონახულია **„შეხვეწნის“** ჩვეულება. შეხვეწნა მონანიებითი ხასიათის სასჯელია. ეკლესია-მონასტრის წინაშე დანაშაულის ჩამდენი **„ხართა და ერთითა საპალნითა ჰურ-ღვინითა ეკლესიას შემოახუნებოდეს და მაშინლა გაიბრჭობოდენ“**.⁵ მონასტერი ორჯერ იღებ-

¹ ქართული ჩვეულებითი სამართალი. ტ. III, გვ. 34-35.

² ქართული ჩვეულებითი სამართალი. ტ. III, გვ. 76-77.

³ ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 102.

⁴ ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 103-104.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 142.

და დამნაშავეისგან საზღაურს: ჯერ „შეხვეწნისას“ – მონანიებითს, შემდეგ კი – საუპატიოს. ძველქართული სამართლის ეს წესი XIX ს. II ნახევრის სვანეთშიც ფიქსირდება.¹ სვანურ მასალის პარალელურია ხევსურული „რჯულის“ ერთი წესი: მოკლულის ჭირისუფალს (მეხელეს), რომელიც მიდის მკვლელის ოჯახის ასაოხრებლად, „მესაძმოენი რიგს დაუყენებენ. ერთს სამი წლის ბუღას, სამჩარეჟიან სპილენძის ქვაბს, ორ საკლავს გზაში მიაგებებდნენ“. ასეთივე წესით ხდებოდა დედის გვარის შეჩერებაც. საკლავები მაშინვე იკვლებოდა, ხოლო ხარს და ქვაბს მთავარ სალოცავს სწირავდნენ... „თუ მამკლავი იმავე ან მეზობელი სოფლიდანაა, საიდანაც მამკვდარი, მაშინ მეხელე მთელი თავის ოჯახით უნდა აიყაროს და ამანათად წავიდეს.. მას უცხო გვარი და სოფელი შეიხიზნავს. ხევსურული რჯულის მიხედვით, ამანათად მიღებაზე უარის თქმა არავის არ შეუძლია... თუ კი მოკლულის ჭირისუფალი მეწველესთან შერიგებაზე უარს აცხადებს, მეწველეს შეუძლია ჯვარჩი შაუჯდეს. მამკლავი შეუაკაცებთან და ხუცესთან ერთად ღამით მივა ჯვარში. თან წაიყვანს სამი წლის მოზვერს, წაიღებს სპილენძის ქვაბს. ხუცესი იხუცებს, „მამკვდრი“-ს პატრონს დილითლა გააგებინებდნენ „ხატში შამოჯდომის“ ამბავს და ისიც იძულებულია დაყაბულდეს თემის და ხუცესის მოთხოვნებს: „**ჯვარჩი შამამჯდარია და ჯვარსაც აპატიე და ჩვენც გვაპატიე**“ ... ამის შემდეგ მოსაკლავად ველარ დასდევს მისი მესისხლე“.²

ქართველ მთიელთა ტრადიციულ მენტალობაში, ამ რიტუალს უდიდესი რაციონალური დატვირთვა ჰქონდა – მოსახლეობა ჩვეულებითი სამართლის ამოქმედებით ებრძოდა სისხლის აღების წესს, ამყარებდა მშვიდობას და სამართლიანობას, კრავდა თემისა და სოფლის, ხშირად კი მთელი ხეობის ერთიან სულს. ეს კონკრეტული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთიანი ქართული ჩვეულებითი სამართლის არსებობას საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

ცნობილია, ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ზნეობრივი ნორმების დაცულობაზე. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო ნათესაობის (ხორციელი, სულიერი) დაცვის საკითხი. ქრისტიანობამ სისხლისმიერ ნათესაობას დაუმატა სულიერი ნათესაობა – ნათელ-მირონი. საქართველოში მტკიცედ იცავენ სისხლისმიერ ნათესაობასაც და ნათელ-მირონსაც. ნათესაობის წამბილწველი მთელი საზოგადოების ზიზლსა და სიძულვილს იწვევს. იგი მოიკვეთება თავისი გვარიდან და სოფლიდან, მას აძევებენ თემიდან, ხშირად კი – საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყოველივე ზემოთქმული ქართული ტრადიციული ცხოვრების წესისა და რელიგიური ფასეულობების განუყოფლობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

ტრადიციული ქართული სამართლით, სასჯელის განსაკუთრებული

¹ რ. გუჯეჯიანი. ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან (ხარით შეხვეწნის წესი). – ქართველური მემკვიდრეობა, X. ქუთაისი, 2006, გვ. 74-80.

² რ. ხარაძე. ხევსურული რჯული. – ანალები. თბ., 1947, გვ. 179-184.

ფორმა დამნაშავის//ცოდვილის თემიდან ანუ ეკლესიიდან (ჯვარ-ხატი-დან) მოკვეთა და განკვეთა იყო. ხევიდან//თემიდან//გვარიდან მოკვეთის, შერისხვის, განკვეთის, გაძევების წესი მთვარი სასჯელია დამნაშავისათვის. ფშავში სასჯელის სახე – მოკვეთა – თემისაგან გარიყვას გულისხმობდა. **მოკვეთილს რელიგიური მსახურების უფლებაც ესპობოდა:** „ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, სახვენარს არ „დაუდიდებდა“, იმისათვის წყალობას აღარ გამოსთხოვდა ხატს“.¹ დროთა განმავლობაში თემი უშვებდა მისი შემორიგების შესაძლებლობას, თუკი მოკვეთილი გმირული საქციელით ცოდვას გამოისყიდდა. შერისხვის სასჯელი თანმხლებია „მოკვეთის“ და „გაძევების“ სასჯელებისა და რელიგიური ხასიათისაა. შერისხულს ხატში „დანყევლიდნენ“, „დარისხავდნენ“. აქ აღსანიშნავია ის რომ, ფშაველთა რწმენით, შერისხულის გარდაცვალების შემდეგაც კი არ შეიძლებოდა მისი სულის ხსნისათვის ლოცვა-ვედრება და ზრუნვა. შერისხვას მოჰყვებოდა „რისხვის სამანის“ ჩადება².

ქართულ ტრადიციულ ყოფაში შემონახულია მრავალი სხვა სახის სასჯელიც. ზოგიერთი სასჯელი (მძიმე ზნეობრივი შეცოდებისათვის), რომელთა ჩამდენებს ეკლესიებთან (ლოცვის, მსხვერპლის შეწირვის, დღეობებზე დასწრების აკრძალვა) ურთიერთობა აღეკვეთებოდათ, **სათავეს კანონიკური „უზიარებლობისა“ სასჯელიდან იღებს და მის ხალხურ ინვარიანტს წარმოადგენს.** „უზიარებლობის“ და „საკანონოს“ მსგავსი გაკიცხვა და ჯარიმა ეკისრებოდა ყველას, ვინც ტრადიციული ზნეობრივ-სამართლებრივი ნორმებიდან გადაუხვევდა (მკვლელს, ქურდს, უკანონოდ (უქორწინოდ) შვილის გამჩენს, დედის საშოში ნაყოფის მომსპობს და მასაც, ვინც ქალს ამ ცოდვის ჩადენისაკენ უბიძგებდა, ნათესაობის გამტეხს, ცოლისა და ქმრის მოღალატეს, თემის, გვარის მოღალატეს და ა. შ.).

ზნეობრივი ნორმის დამრღვევს ტრადიციული საზოგადოება ნივთიერ ჯარიმასაც აკისრებდა: მაგალითად, სვანეთში XX საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა ქრისტიანული „საკანონოს“ გახალხურებული ნაირსახეობა ე.წ. **ჰიბარი/ბეგარი**, რაც საზოგადოების მხრიდან გადახდებოდა დამნაშავეს და ხმარდებოდა ეკლესიის საჭიროებას ან სასოფლო თავყრილობას. **ანუ სულიერ სასჯელთან (საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობის აკრძალვა) და ერთგვარ საზოგადოებრივ “ბოიკოტთან” (საზოგადოებრივი გაკიცხვა, სასოფლო ჭირსა და ლხინში მონაწილეობის აღკვეთა და ა. შ.) ერთად, ქართული ჩვეულებითი სამართალი ცოდვილს/დამნაშავეს ნივთიერ სასჯელსაც უწესებდა.** თემი სჯიდა ზნეობრივი ნორმის დარღვევის ყოველ ფაქტს, რადგანაც საეკლესიო სამართალი ყველაზე მკაფიოდ საოჯახო ურთიერთობების, მორალისა და ეთიკის სფეროებზე აისახებოდა.

რელიგიურ კონტექსტში გაიაზრებდა ტრადიციული ქართველი ცოდ-

¹ ვაჟა-ფშაველა. ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები. – თხზულებანი. თბ., 1986, გვ. 580.

² ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. III, გვ. 96-121.

ვისა და ბრალეულობის პრობლემატიკასაც. ამ კუთხით საყურადღებოა ქართველი მთიელების (სვანების) ტრადიციულ მენტალობაში არსებული საინტერესო დამოკიდებულება ცოდვისა და ბრალეულობის საკითხებისადმი: ხშირ შემთხვევაში „ცოდვა“ და „დანაშაული“ გაიგივებულია და სამართლებრივ განსჯას ექვემდებარება. ანუ, ტრადიციულ სვანს მიაჩნია რა, რომ ცოდვა დანაშაულია და დანაშაული იგივე ცოდვაა, ამ დროს იგი სარწმუნოებრივი პრინციპიდან ამოდის, ისევე როგორც ეს იყო ძველ საქართველოში, სადაც, ივანე ჯავახიშვილის შენიშვნით, **ცოდვა „უფრო ზნეობრივ-სარწმუნოებრივი მართლწესრიგის დარღვევას გულისხმობდა“¹.**

ტრადიციული მთიელის აზრით, შეცოდებისათვის, გარდა ამ ცხოვრებაში მისჯილი რეალური სასჯელისა, არსებობის უფრო ძვირად და დროში უსასრულოდ განელილი სასჯელი, რაც ცოდვილს იმქვეყნად მოეკითხება. სვანეთის ტრადიციულ ყოფას შემორჩა ცოდვის მონანიების ხალხური „წესებიც“: მკვლელი „სამ პატარა ქვას გამოიბამდა ხოლმე ილღიაში და სამი წლის განმავლობაში ატარებდა ცოდვების მოსანანიებლად“², ხოლო „ნათესავის უნებლიეთ მკვლელი მარჯვენა მკლავზე წვრილ, აბაზიანების ოდენა გახვრეტილი ქვებისაგან გაკეთებულ საბელს ჩამოიკიდებდა, რაც ჩადენილი დანაშაულის გამომხატველი და ცოდვის მოსანანიებელი საშუალება იყო“³, ვინაიდან მოუნანიებლად გარდაცვალების შემთხვევაში მკვლელი საიქიოს იტანჯება იმით, რომ „მოკლულის სული მუდამ უკან დასდევს... დაჰბლავის და ამითი აწუხებს სულს. მკვლელი ცდილობს დამალოს სადმე, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან ეს ქრისტეს ბრძანებაა“⁴.

ფშავშიც არსებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა (წაწლობის — ნადობ-ნაძმობობის წესების დაუცველობა, გვარში და „ნათელ-მირონობაში“ ქორწინება, „გაბიჭიანება“ (ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა...) და სხვა ცოდვაც იყო და დანაშაულიც. მათ, „ცოდვას“ ან „შეცდომას“ უწოდებენ, რაც მსგავსია სვანეთისა და ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალისა. **ცოდვისა და დანაშაულის გაიგივება კი ცხადია, ძველქართული სამართლიდან მომდინარეობს, სადაც, ასევე, გადაჯაჭვული იყო რელიგია და საზოგადოებრივი ყოფა.**

ძველი ქართული სამართლიდან მომდინარეობს ტრადიციული მთიელის მენტალობის უმთავრესი ნიშანი — თვალშისაცემი მონინება-მოკრძალება ეკლესიისა და საეკლესიო ქონებისადმი (ჯვარ-ხატი, საეკლესიო მიწა და ტყე, ეკლესიისადმი მიძღვნილი ნებისმიერი ნივთი და სხვა). ქართული ჩვეულებითი სამართლით „ეკლესიის გატეხა“ უმძიმეს, მომაკვდინებელ ცოდვად/დანაშაულად ითვლება ისევე, როგორც ეს იყო

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II. ტფ., 1929, გვ., 155-156.

² ე. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. ტფ., 1925, გვ. 138.

³ რ. ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, გვ. 170.

⁴ ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. თბ., 1962, გვ. 180.

ძველ ქართულ სამართალში: „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი გაძარცვოს, უკანონოდ ძელსა მიეცეს“¹

სვანეთის საისტორიო დოკუმენტებითაც „ეკლესიის გამტეხი“ „კლუასა და ამონყვედას“ ექვემდებარებოდა: „კრულმცა არს სული და ხორცი მისი“² ისჯებოდა არა მარტო დამნაშავე, არამედ მისი ხევი და თემი. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ის რისხვა, რომელიც „ეკლესიის გამტეხს“ თავს ატყდებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი დანაშაულის ფაქტი, სვანეთში ძალიან ცოტაა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც უმთავრეს დანაშაულად თემის ღალატი ითვლებოდა, რაც ხატის ღალატთან იყო გაიგივებული: ხატის გაძარცვა (თას-განძის მოპარვა, ხატის ტყის გაჩეხვა, ხატის მიწების მითვისება...) და სხვ.

საქართველოს მთაში შემონახულია ძველქართული ფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო სამართლიდან მომდინარე ეკლესიის „შეუვალობის“ ზოგიერთი პლასტი. ცნობილია, ეკლესია-მონასტრებს გააჩნდათ მეტ-ნაკლები მოცულობის სასამართლო შეუვალობა; შეეძლოთ დევნილისათვის თავშესაფრის მიცემა; განსაკუთრებით მკაცრად ისჯებოდა ეკლესია-მონასტრის ხელყოფა და მის მიდამოებში დანაშაულის ჩადენა; არსებობდა საგადასახადო შეუვალობის წესიც და ა. შ. ეკლესიის „შეუვალობის“ წესის ზოგიერთი დანაშრევი საქართველოს მთის ტრადიციულ ყოფაში ბოლო დრომდე ჩვეულებითი სამართლის და ტრადიციული მენტალობის აუცილებელ მახასიათებლად გვევლინებოდა, რაც მკაფიოდ მოჩანს სვანეთის სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებსა და ტრადიციულ ყოფაში; ეკლესიის (ჯვარ-ხატის) „შეუვალობის“ წესი ფიქსირდება ხევსურეთის „რჯულშიც“, ხევის ჩვეულებით სამართალშიც და ა. შ.³

ეს ტრადიცია, ბუნებრივია, მომდინარეობს ფეოდალური ხანის სამართლის ძეგლებიდან, რომლებშიც ეკლესიის „შეუვალობის“ წესი ხაზგასმით რამდენიმე დოკუმენტშია (ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის მიერ ლარგვისის მონასტრისადმი ბოძებული სიგელი, „სიგელი სასჯელის დადებისა ცხმარის ხევზე მეფისა და დადიანის ბრძანებით ცაიშელ მთავარეპისკოპოსის მიერ“, „ბიჭვინთის იადგარი) წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში მკაცრად ისჯებოდა საეკლესიო ქონების ხელყოფა. მოპარული შვიდმაგად უნდა ანაზღაურებულიყო და დამნაშავეს „საუპატიო“ სასჯელიც მოეხადა: „თუ ვინ იპაროს, შვიდ ნაწილად ეზღვიოს და მონასტრისა უპატიობა დაებრჭობოდეს“. საუპატიოს რაოდენობას კი სასამართლო განსაზღვრავდა.⁴

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1963, გვ. 393.

² სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ.109-111.

³ რ. გუჯეჯანი. ეკლესიის „შეუვალობის“ წესი საქართველოს ტრადიციულ ყოფაში. – კრებ.: მარიამ ლორთქიფანიძე-85. თბ., 2007, გვ. 257-263.

⁴ ივ. სურგულაძე. ნარკვევები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბ.,

ეკლესიის „შეუვალობის“ წესის გამოძახილია საქართველოს მთიანეთში დღემდე დაცული საეკლესიო-სახატო მინები და ტყეები, ზოგიერთი ამჟამად მოქმედი „შენიშნულობის“ და „ბეგარის“ სახეობა.

ქართული საკანონმდებლო ძეგლებით განსაზღვრული იყო ეკლესიის „შეუვალობის“ სხვა გამოხატულებაც: ერთი და იგივე დანაშაულისათვის, ბევრად უფრო მკაცრად ისჯებოდა ის პირი, ვინც დანაშაულს ეკლესია-მონასტრის მიდამოებში ჩაიდენდა: **„თუ შუელი ვინმე იკადროს და მახვილი იხადოს მონასტერსა შინა, ანუ კაცი დაჭრას ანუ კიდე სისხლი ადინოს, მისი აბჯარი ეკლესიას შეიღებოდეს და თვით იგი კაცი ცემით და ჯვლებით განიძებოდეს და რაი გინდა უმართლე იყოს, მისი სამართალი წახდეს და თუ მოკლას მისი სისხლი გაცუდდეს და მოკლულისა სრული სისხლი დაუურვოს“**.¹ ამგვარი დამოკიდებულება საკრალური ადგილისადმი ქართველთა მენტალობას ბოლო დრომდე შემორჩა და იგი ქართული ჩვეულებითი სამართლის მეტად სიცოცხლისუნარიანი ნორმაა. ქართული სამართალი ამ მხრივ გამონაკლისი არაა, იგი მსგავსებას ავლენს დასავლეთ ევროპის ფეოდალური სამართლის ერთ ძველებურ ინსტიტუტთან, რომელსაც „უმაღლეს მშვიდობიანობას“ უწოდებენ. ამ ინსტიტუტს უძველესი დროიდანვე საკრალური ხასიათი ჰქონდა. „უმაღლესი მშვიდობიანობის“ უფლებით სარგებლობდა ეკლესია-მონასტერი, მისი ეზო და სასაფლაო; ის ადგილები სადაც იმყოფებოდა მეფე; სადაც იმართებოდა სახალხო თავყრილობა, სასამართლოს კრება... ყოველი ასეთი საკრალურად მიჩნეული ადგილის „მშვიდობიანობის“ დარღვევა ბევრად უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი დანაშაული“.²

საქართველოს მთიანეთის ტრადიციულმა ყოფამ შემოგვინახა ეკლესია-მონასტრის „შეუვალობის“ წესის ის დანაშრევიც, რომელიც გულისხმობდა ჩვეულებას, რომ **ეკლესიას ჰქონდა თავშესაფრის მიცემის უფლება**.³

ჩვეულებითი სამართალი მოიცავდა ყოფითი ნიუანსების რეგულაციის მექანიზმებსაც: თემი აკონტროლებდა არა მხოლოდ სოციალურ და სულიერ, არამედ სამეურნეო ყოფასაც. მკაცრად იყო დაცული კვირის უქმეს. თემი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მეთემეთა ცხოვრებას. **ტრადიციული ნორმებიდან ყოველი გადახვევა დასჯას ექვემდებარებოდა, რადგან მამაპაპაური ფასეულობების უარყოფა ღვთისაგან დაწესებული „წესების“ უარყოფად აღიქმებოდა, რასაც, ხალხური რწმენით, ღვთის უთუო რისხვა უნდა მოჰყოლოდა, გამოვლენილი სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების სახით. ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა ყოველდღიური ყოფაც კი, არათუ ზოგადი ქცევის ნორმები.**

1963, გვ. 43-44.

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 142.

² ალ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I. თბ., 1946, გვ. 35.

³ რ. გუჯავჯიანი. ეკლესიის „შეუვალობის“ წესი საქართველოს.., გვ. 257-262.

ჩვეულებითი სამართალი ქართული ყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში კრებითი სახით წარმოდგენილია არქაული ხანის ადათობრივი სამართლის ზოგიერთი ელემენტი, ხოლო სამართლებრივ ნორმათა უდიდესი ნაწილი შუასაუკუნეების ქართული ოფიციალური სახელმწიფო კანონმდებლობიდან მომდინარეა. საქართველოს ზოგიერთ მხარეში ჩვეულებითი სამართალი დღემდე სიცოცხლისუნარიანი და პრაქტიკაში გამოყენებადია. **შეუძლებელია ქართული ჩვეულებითი სამართლის და რელიგიური შეხედულებების გამიჯვნა.** ჩვეულებითი სამართალი ქართველ მთიელთა მენტალობაში ღვთისაგან დანესებულად აღიქმება და ბუნებრივია, ყოველი სადავო საქმე ეკლესიისა და ჯვარ-ხატების მეშვეობით გადაწყდება. ჩვეულებით სამართალში თვალსაჩინოდ იკვეთება ქართული საეკლესიო სამართლის ესა თუ ის ნორმა: „ცოდვისა“ და „ბრალეულობის“ გაიგივებული აღქმა, სამართალწარმოების დანყება ეკლესიის ეზოში, დაწერილი „განაჩენის“ შენახვა ეკლესიაში, 12 მედიატორის აუცილებლობა მიძიმე საქმის გადაწყვეტისას, ფიცის პროცესი, ნათესაური და საოჯახო ყოფის წარმართვა და განხილვა ქრისტიანული მორალის ქრილში, ქრისტიანობით ნაქადაგევი ზნეობრივი ნორმების დაცვის აუცილებლობა და ა. შ. ანუ ჩვეულებითი სამართალი და ზნეობრივი ნორმები ტრადიციულ ყოფაში ისე იყო გადაჯაჭვული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა თითქმის შეუძლებელი ხდება. ქართულ ჩვეულებით სამართალში იკვეთება მცირედი ლოკალური განსხვავებები, გამომდინარე საქართველოს ამა თუ იმ მხარის ეთნოგრაფიული თავისებურებებიდან, მაგრამ ძირითადი არსი სამართლისა, ყველგანი ერთნაირია და იგი ნასაზრდოებია ძველი ქართული, ფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო სამართლით. ჩვეულებითი სამართლის შემონახულობას ქართულ ტრადიციულ ყოფაში განაპირობებელია ქართველ მთიელთა მენტალობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლით და განმსაზღვრელი ნიშნით – რელიგიურობით. ქართული ჩვეულებითი სამართლის სიცოცხლისუნარიანობას ასულდგმულებს მისი მომდინარეობა ძველქართული კანონმდებლობიდან, რომელშიც თანაარსებობდა საერო და საეკლესიო სამართალი, ვინაიდან რელიგია იყო ქართველთა მენტალიტეტის, ზნე-ჩვეულებებისა და სამართლებრივი ნორმების ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი და მარეგულირებელი მექანიზმი საუკუნეების განმავლობაში.

ROZETA GUJEJANI

RELIGION AND GEORGIAN TRADITIONAL LAW

The Georgian Traditional Law is one of the most important elements of the Georgian ethnic culture. It is preserved in its entire diversity in the form of the customary law. In parallel with the customary law the following terms are used in the scientific literature: folk law-, -customary law – and Legal Anthropology. The customary law is an important source to study the Georgian legal culture and to analyze some aspects of current processes: traditional law is in effect even today in some historical-ethnographic parts of Georgia in parallel with official legislation and it represents an integral part of the mentality of the Georgian highlanders. The customary law is an important component of the Georgian everyday life. In the collected form it combines some elements of the customary law of the archaic period and the greatest part of the legislative norms proceeds from the medieval Georgian official state legislation. In some parts of Georgia the customary law is vital even today and is in practical use as well. It becomes impossible to separate religious viewpoints/moral norms from the Georgian customary law. The customary law was apprehended in the mentality of the Georgian highlanders as endowed by God and, naturally, any disputable case was being settled through the church and crosses and icons. The norms of the church law are being vividly outlined in the customary law: identified apprehension of sin and guilt, start of justice proceedings in the church yard, preservation of the written verdict in the church, the need for 12 mediators if the cases to be judged were heavy, the process of oath-taking, management of relative and family life and its discussion from the aspect of Christian morals, the need to observe the moral norms preached by the Christianity, etc. Minor local differences are noticed in the Georgian customary law, which proceed from the ethnographic peculiarities of the Georgian regions, but the basic essence of the law is the same everywhere and is nourished by the old Georgian secular and church law of the feudal epoch. Preservation of the Georgian customary law in the Georgian traditional everyday life is conditioned by one of the main characteristic and determining signs of the mentality of the Georgian highlanders – religiousness. The vitality of the Georgian customary law is inspired and animated by its origination from the old Georgian legislation, in which secular and church laws co-existed, because religion was one of the establishing and regulating mechanisms of the Georgian mentality, habits-customs and legislative norms within the centuries.

კულტურა ირანულენოვანი ოსთა წინაპრების შექმნილია. ისტორიის მითოლოგიების შემქმნელი განსაკუთრებით ბოლო ორი-სამი ათეული წელია გააქტიურდნენ. მიზანი ნათელია: სხვათა ტერიტორიების მიტაცება ისტორიული საფუძვლებით შეამაგრონ. დაბეჯითებით ამტკიცებენ იმასაც რომ აქ, ამ ტერიტორიაზე, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში მოხდა ოსი ხალხის ჩამოყალიბება (ეთნოგენეზი).

რეალურად როდის და სად მოხდა ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება? რა ეთნიკური კომპონენტები შეერია ერთმანეთს? ამ პრობლემით დაინტერესებულ ოს და რუს მეცნიერებს პირველი კითხვაზე ასეთი პასუხი აქვთ: კავკასიაში. ეთნოგენეზის პერიოდად კი სრულიად განსხვავებულ ეპოქებს გვთავაზობენ, ერთნი მას ალანთა კავკასიაში გამოჩენას უკავშირებენ, მეორენი ამ მოვლენას უფრო აძველებენ და თანამედროვე ოსთა წინაპრებად სარმატებსა და სკვითებს მიიჩნევენ. ასე რომ, ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში სკვითების გამოჩენას ოსი ხალხის ჩამოყალიბების საწყის ეტაპად აცხადებენ. ამავე დროს, ანთროპოლოგები და ლინგვისტები ხაზს უსვამენ, რომ მოსული ირანულენოვანი მოსახლეობა ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობას დაეფინა, ე. ი. ოსური ეთნოსი მემკვიდრეა არა მხოლოდ მოსული ირანულენოვანი ალანებისა, სარმატებისა და სკვითებისა, არამედ ადგილობრივი კავკასიელებისაც. ადგილობრივ კავკასიურ ელემენტს თანამედროვე ოსური ეთნოსი უდავოდ შეიცავს, მაგრამ დასადგენია, როდის, რა ვითარებაში ხდებოდა ადგილობრივი კავკასიელების ირანულენოვან ერთობაში შეღწევა; კავკასიელთა და ირანულენოვანი მასის შერევა ახალი ეთნოსის ფორმირებას იწვევდა, თუ უბრალოდ ხდებოდა უკვე კარგა ხნის წინ ჩამოყალიბებული ერთი ეთნოსის მიერ სხვათა ასიმილაცია?

ეთნოლოგიის თეორიაში ცნობილია ეთნიკური პროცესების ორგვარი სახე: 1. ეთნოგენეზი და 2. ეთნიკური ისტორია. პირველი გულისხმობს ორი ან რამდენიმე ეთნოსის შერევის შედეგად ახალი ენობრივი ერთობის წარმოქმნას, ახალი ეთნოსის ფორმირებას. მეორე, ეთნიკური ისტორია კი მოიცავს ეთნოსის მთელ შემდეგდროინდელ ისტორიას, რომლის დროსაც ხდება ერთ ეთნოსში სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ინფილტრაცია, შეღწევა. ამ პროცესს მსოფლიოში არსებული ვერც ერთი ეთნოსი ვერ გაექცა, მათ შორის, კავკასიაში მოსული ირანულენოვანი ალანური ეთნოსიც, რომლის სრული ენობრივი და ეთნიკური მემკვიდრენი არიან ოსები. ყველა სერიოზული მეცნიერი, რომელიც ოსთა ეთნოგენეზის საკითხს შეხება, ერთხმად მიიჩნევდა, რომ ოსები იგივე ალანები, ალანთა მემკვიდრეები არიან.

ოსთა ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიასთან დაკავშირებით ჩვენი მიდგომა ასეთია: მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ალან-ოსთა ეთნოგენეზი და ოსების ეთნიკური ისტორია, ის ეთნიკური პროცესები, რომელიც ოსურ ეთნოსს ახლდა საუკუნეების განმავლობაში. რადგან მკვლევარები

იმაზე შეთანხმებული არიან, რომ ოსები ალანების მემკვიდრეები არიან, მაშინ წინასწარ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალან-ოსების ეთნოგენეზი, ისევე როგორც ყველა სხვა ირანულენოვანი ხალხისა, კავკასიაში არ მომხდარა; კავკასიაში მიმდინარეობდა შუა აზიასა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულ და აქ დამკვიდრებულ ირანულენოვან მასასთან ადგილობრივი ეთნოსების წარმომადგენელთა შერწყმა, ეთნიკური ასიმილაცია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალან-ოსებს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში არა მარტო კავკასიელები, არამედ მონღოლოიდური მოსახლეობაც შეერია (ოლონდ საკითხავია, ჰუნები, მონღოლები, თუ ნოღაელები) და ეს შერევაც არა ეთნოგენეზური მოვლენა, არამედ, ჩვეულებრივი ეთნიკური პროცესი იყო და ისიც ეთნიკური ისტორიის ჩარჩოებში თავსდება.

ალან-ოსთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესახებ ჩვენი დასკვნა, რომელიც ფუფუნება ყველა იმ წყაროს, რომელშიც ისინი არიან მოხსენიებულნი, ასეთია:

I. ირანულენოვანი ალანების, რომლებიც თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრები იყვნენ, ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. მათი თავდაპირველი განსახლების არეალი იყო ტერიტორია ჰინდიყუშიდან და ჰიმალაიდან მდინარე ვოლგამდე. წყაროებში მოხსენიებული „ალანთა მთები“ იგივე სამხრეთ ურალის მუგოჯორის მთებია. ესაა თანამედროვე ყაზახეთის ტერიტორია. რაც შეეხება აორსებს, წყაროების მიხედვით, ისინი ალანებისაგან სამხრეთით, სირ-დარიასთან ლოკალიზდებიან. ალანების ძველ საცხოვრისში დარჩენილი ნაწილი, ალანებისავე სახელწოდებით, შუა აზიაში X ს. ბოლომდე მკვიდრობდა, რომლებიც დროთა განმავლობაში გათურქდნენ. ალანთა მომთაბარე ტომები პირველად ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჩინურ წყაროებში არიან მოხსენიებულნი. ჩინური წყაროების თვალსაწიერი კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მონაკვეთს არ სცილდებოდა. კლასიკურ ავტორთა თვალსაწიერში კი ალანები პირველად მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჩნდებიან, მას შემდეგ, რაც მათ ევრაზიის სივრცის ევროპულ მონაკვეთში დაიწყეს მომთაბარეობა და გამოცალკევდნენ აზიელი ალანებისაგან.

II. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ალანები დასავლეთის მიმართულებით იწევენ და მომთაბარეობას იწყებენ დღევანდელი სამხრეთ რუსეთისა და უკრაინის სტეპებში. ახ. წ. IV ს. ბოლოდან ალანები აღნიშნულ სამომთაბარეო არეალს, ფაქტობრივად, ჰკარგავენ.

III. ალანების ისტორიაში ერთგვარი ტეხილი იყო IV ს. 70-იანი წლები, როდესაც მათ სამომთაბარეო არეალს (კასპიის ზღვის ჩრდილოეთი მონაკვეთიდან აზოვის ზღვამდე) ჰუნები შემოესივნენ. ჰუნებმა ალანები აამოძრავეს. ალანების ნაწილი დასავლეთ ევროპის მიმართულებით, ჰუნებსა და სხვადასხვა გერმანულ ტომებთან ერთად, სათარეშოდ მიდის, ნაწილი სამომთაბარეო არეალს დუნაიმდე იფართოვებს და ნაწილი

ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდება და ქმნის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რომელთანაც საქართველოს სახელმწიფოს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა. ჰუნების შემოსევის შემდეგ, ალანები არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდებიან, არამედ ჰუნების ნაწილთან – სავიარებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის მთაში, იალბუზის მიდამოებშიც. აქ ალანებს (ოსებს) უშუალოდ ქართველი მთიელები – სვანები და აფხაზები ესაზღვრებიან.

IV. ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მცხოვრები ალანები ადრე შუა საუკუნეებში თურქულენოვანი ხაზარებისა და ყივჩაყების მეზობლები იყვნენ; მკვიდრობდნენ ყირიმშიც; მონღოლთა შემოსევებამდე ემეზობლებოდნენ ყირიმსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთში მცხოვრებ გუთებსაც. ადრე შუა საუკუნეებში ალანები ზამთრობით მეოტიის, ანუ აზოვის ზღვის სანაპიროებში ბინადრობდნენ. რაც შეეხება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებას, მონღოლთა შემოსევებამდე ალანებს ჩრდილოეთით თუ ყივჩაყები ესაზღვრებოდნენ, სამხრეთით მათი მოსაზღვრე ჩერქეზები იყვნენ. იმდროინდელი ყივჩაყების საცხოვრებელი ტერიტორია სხვა არაფერი იყო, თუ არა ის მინა-წყალი, რომელზედაც I-IV საუკუნეებში (ჰუნთა შემოსევამდე) ალანები მკვიდრობდნენ.

V. ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ „დარიალი“ ალანურ-ოსური სიტყვაა და ალანთა დასახლებულ ტერიტორიაზე გასასვლელს ნიშნავს – სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში დაბლობის (სტეპების) ალან-ოსთა სახელმწიფო დარიალიდან საკმაოდ შორს, დაახლოებით ფეხით ათი დღის სავალზე იყო. „დარიალი“ ირანელთა მიერ შერქმეული სახელია, რაც, მართლაც, ალანთა ქვეყანაში გასასვლელს ნიშნავს. ეს სახელი კი იმიტიმ ეწოდა, რომ იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში ერთადერთი ხალხი ალანები იყვნენ, რომლებსაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გააჩნდათ. სხვა, ადგილობრივი კავკასიური ეთნოსები, რომლებიც უმეტესად მთებში იყვნენ ჩაკეტილი, უცხოელ ავტორთათვის ნაკლებად იყვნენ ცნობილი.

VI. ახალი ტეხილი ალან-ოსთა ცხოვრებაში მონღოლთა შემოსევების შემდეგ იწყება. მონღოლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ალანები წინააღმდეგობას დიდხანს უწევდნენ, მოახერხეს მათი დამორჩილება. მონღოლებმა დაამარცხეს ალან-ოსების ჩრდილოეთით მცხოვრები ყივჩაყებიც და ამიერიდან როგორც ერთი, ისე მეორე ეთნოსის განსახლების არეალი რადიკალურად იცვლება. XIII საუკუნეში ალან-ოსები კვლავ უწევდნენ წინააღმდეგობას მონღოლებს, თუმცა ამ საუკუნის შუა ხანებიდან ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მათი შესახლება უკვე დაწყებული იყო. ალან-ოსების ძირითადი ნაწილის კავკასიის მთიან ხეობებში შემოსახლება XIV-XV საუკუნეებში განხორციელდა (აქ დიგორელები არ იგულისხმებიან. ისინი VI-VII საუკუნეებში მთაში შემოსული ალანების შთამომავალნი არიან). ამის შემდეგ ბარის მკვიდრნი, „სტეპნიაკი“ ალან-ოსები

მთიელებად იქცნენ; აითვისეს ადგილობრივ მთიელთა – კავკასიელთა ტერიტორია, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას (კავკასიელებს), ნაწილობრივ მონღოლური მოდგმის ნოღაელებს. გამარჯვებული ირანული ჯგუფის ალანური (ოსური) ენა გამოვიდა, ხოლო ეთნიკური კულტურის სფეროში – ადგილობრივი კავკასიური. ეთნიკური პროცესები კავკასიის მთებში დასახლების შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ამის დამადასტურებელია მათ მიერ XVI-XVII საუკუნეებში ქართველი მთიელების – დვალეების ასიმილაცია. დვალეთის ზახას ხეობაში ეს პროცესი მოგვიანებითაც კი არ იყო დამთავრებული. თვით ოსი მეცნიერის ბ. კალოევი ცნობით სამი-ოთხი თაობის წინაც დვალეთის ზახას ხეობაში (ესაზღვრება თრუსოს) მკვიდრნი ორენოვანი იყვნენ – ლაპარაკობდნენ ოსურად და ქართულად.

VII. ალანებმა სისხლი ევრაზიის სივრცეში მოსახლე მრავალ ეთნოსს გადაუსხეს, შეერივნენ ევროპელებსაც და საბოლოო ნავსაყუდელი იმ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხალხის მცირე ნაწილმა კავკასიის მთებში ნახა.

VIII. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ალან-ოსები სად აღარ ბინადრობდნენ დაწყებული ამურ-დარიიდან მდინარე დუნაიმდე (გაუნგრელებული ალანების შთამომამავლები აქ დღესაც მკვიდრობენ), მაგრამ არც ერთი წყარო ალანებს საქართველოში არ ასახელებს. მონღოლთა შემოსვლამდე ალანების განსახლების უკიდურესი სამხრეთი წერტილი კავკასიის მთების მისადგომები, ანუ მთისა და ბარის მოსაზღვრე ტერიტორიები იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ის მონაკვეთი, რომელიც შემდეგ ალანებმა დაიკავეს, ადგილობრივი კავკასიური მოდგმის ხალხების საცხოვრისი იყო, რომელთა შორის ქართველი მთიელები – დვალეებიც იყვნენ, თუმცა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართველებთან ალან-ოსებს სხვადასხვა სახის ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. დადგენილია, რომ ალან-ოსები როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ გვიან გამოჩნდნენ: დვალეთში, რომელსაც XX ს. II ნახევარში ოსმა მეცნიერებმა ცენტრალური ოსეთი შეარქვეს, – XVI საუკუნეში, ხოლო შიდა ქართლის მთიანეთში – XVII ს. შუა ხანებიდან. ამდენად, არავითარი საფუძველი არა აქვს იმ მითოლოგიებს, რომლის თანახმადაც თურმე ირანულენოვანი ალანური (სარმატული) ტომები საქართველოს მკვიდრნი არიან, ქართველებმა წაართვეს მათ შიდა ქართლის ტერიტორია, რომელსაც, თურმე, სარმატია უნდა ეწოდებოდეს. მიმოხილული წყაროებით აშკარაა, რომ ალანური ტომების საცხოვრისი სამხრეთ რუსეთის სტეპები და სამხრეთ უკრაინა იყო, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებიდანაც კი საკმაოდ შორს.

IX. ჰუნების შემოსევებამდე ალანები მხოლოდ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ – არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი სახლები. თავის რჩენის საშუალებას კი მეკობრეობა, ლაშქრობა და სხვა ხალხების ძარ-

ცვა წარმოადგენდა. ამ მიზნით ხშირად მიექირავებოდნენ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალთ. იკვებებოდნენ ხორცითა და რძის პროდუქტებით. ალანებმა მინათმოქმედებაზე გადასვლა მხოლოდ IV-V საუკუნეების მიჯნიდან დაიწყეს მას შემდეგ, რაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ველების მკვიდრნი გახდნენ. როგორც სხვა მომთაბარეებს, ბუნებრივია, ალანებსაც მუდმივი სალოცავი ადგილი, ნაგებობა არ ჰქონდათ; მათი სალოცავი იყი მინაში ჩარჭობილი მახვილი. ბინადრობაზე გადასული ალანები დროთა გამწვანობაში ქრისტიანობას იღებენ, მაგრამ ფორმალურად. მთებში შეხიზვნის შემდეგ კი მათში ძველი რწმენა-წარმოდგენების ფაქტობრივი რეანიმაცია მოხდა.¹

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ სხვა ავტორთა რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ:

«Во II в. до н. э. на берегах Каспийского моря жили сарматы, а во II в. н. э. это была восточная окраина союза племен, возглавленных аланами, которых около 158 г. хунны оттеснили на запад, за Волгу».² **«Под натиском народов, двигавшихся в западном направлении (сначала гуннов, позднее монголов и других), аланы со временем были постепенно оттеснены в горные районы Кавказа, где они под именем осетин проживают до сих пор».**³ **«Аланские горы – это, по-видимому, горы Мугоджоры в степях Казахстана, естественное продолжение Южного Урала к северо-востоку от Каспийского моря. Аланорсы, конфедерация алан и аорсов, возможно с «неарийскими» народами аланами-скифами, живут севернее этой Скифии, к востоку от Волги; аорсы и их соседи асиоты, с другой стороны, обнаруживаются снова слишком далеко, около яксартов, народа у Сыр-Дарьи».**⁴

ევრაზიის სტეპების ეთნოსების შესანიშნავი მცოდნე ლევ გუმილიოვი ხაზარებისადმი მიძღვნილ ნაშრომში საუბრობს ამ უკანასკნელთა მეზობლების შესახებ VII-VIII საუკუნეებში. ორიოდ წინადადებას მასაც დავესესხებით: «Гузы на востоке, мадьяры на севере, аланы и болгары (черные) на западе не всегда были друзьями хазар. **Но эти степи были не нужны уграм... и аланам, обитавшим в роскошных злаковых степях между Кубанью и Доном».**⁵

ამრიგად, აშკარაა, რომ ოსთა ანუ მათი წინაპარი ალანების ეთნოგენეზი საქართველოდან საკმაოდ შორს – შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. თუმცა მათ მუდმივი განსახლების არეალი არ ჰქონიათ; ისინი ჯერ შუა

¹ რ. თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი. თბ., 2008; Р. Топчишвили. Осетины в Грузии: миф и реальность. Тб., 2009.

² Л. Н. Гумилев. Этносфера: история людей и история природы. С.-П.-М., 2002, გვ. 284.

³ А. Алемань. Аланы в древних и средневековых письменных источниках. М., 2003, გვ. 8.

⁴ А. Алемань. Аланы в древних и средневековых письменных источниках, გვ. 151.

⁵ Л. Н. Гумилев. Этносфера: история людей и история природы, გვ. 388.

აზიის ტერიტორიაზე, შემდეგ კი ევრაზიის სტეპებში მომთაბარეობდნენ, კავკასიელებად კი საკმაოდ გვიან, IV-V საუკუნეებში იქცნენ, მაგრამ არა მთიელ კავკასიელებად, არამედ ველის მკვიდრებად. მიუხედავად ამისა, დღესაც ოსი მეცნიერები დაბეჯითებით „უმტიციებენ“ მკითხველებს, რომ ისინი, მართალია, ირანულენოვანი არიან, მაგრამ მათი ეთნოსის ჩამოყალიბება უძველესი დროიდან კავკასიის სივრცეში მოხდა ადგილობრივი კავკასიური და ირანულენოვანი ჯგუფების შერევის შედეგად.

დღეს ოსები კავკასიელები არიან. არა მარტო იმიტომ, რომ ისინი კავკასიაში ცხოვრობენ, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც სათანადოდაა დადასტურებული, ეთნიკური კულტურაც მათ კავკასიური ჰქონდათ და აქვთ, განსაკუთრებით ის მატერიალურ კულტურასა და სამეურნეო ყოფაზე ითქმის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეთნიკური კულტურის ამ კომპონენტებს ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო აყალიბებს.

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ეთნოსისთვისაც, ოსთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ენას. დღეს ოსური ენა არაირანული ენების გარემოცვაშია. კავკასია კი არასოდეს ყოფილა ირანულენოვანი ეთნოსების ფორმირების არეალი. მათი განსახლების თავდაპირველი ტერიტორია (არა მხოლოდ ალან-ოსების, არამედ სხვა ირანულენოვანი ხალხებისაც) შუა აზია და მისი მიმდებარე რაიონები იყო. ამასთანავე განსახლების არეალი დროთა განმავლობაში იცვლებოდა, მითუმეტეს, მომთაბარე ირანულენოვანი ეთნოსებისა. საუკუნეების განმავლობაში ირანულენოვანი ტომების სამომთაბარეო სივრცე (და მუდმივი ბინადრობის ტერიტორიაც) – ევრაზიის სტეპები შეიცვალა.

ყველა მეცნიერი შეთანხმებულია იმ საკითხში, რომ ძვ. წ. II საუკუნიდან წყაროებში მოხსენიებული ალანები ოსთა წინაპრები არიან (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ასეთივე წინაპრებად განიხილავს სკვითებსა და სარმატებს). ამ თეზისს ჩვენც ვიზიარებთ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ოსები ისტორიული ალანების სრულ ასლს არა წარმოადგენენ. კავკასიაში მოსვლის შემდეგ მათ სხვადასხვა კავკასიური და არაკავკასიური ეთნოსიც დაეფინა, შეერია. ეს გარემოება მთელ რიგ მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ კავკასიურ გარემოში ახალი ეთნოსის ფორმირებაზე ისაუბრონ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ალანებს სარმატული წარმოშობის ირანულენოვან ტომებად მიიჩნევენ. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია: ალანები ევრაზიის სივრცეში მომთაბარე სარმატების უშუალო შთამომავლები არიან თუ სრულიად სხვანი, უბრალოდ, მათი მონათესავე ტომი? სარმატებისა და ალანების საერთო წარმოშობა ალბათ რეალობას უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ ალანები არ ყოფილან ერთ-ერთი სარმატული ტომი. უკანასკნელ ხანს ამ პრობლემას გამოკვლევა მიუძღვნა ე. გალკინამ. ის საერთოდ გამორიცხავს

ალანების სარმატობას.¹

ალანები თავისი სახელწოდებით შუა აზიაში ჩამოყალიბდნენ. ისინი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოვიდნენ ევრაზიის სივრცეში, თუმცა ამის შემდეგაც ალანთა ნაწილს არ შეუწყვეტია ბინადრობა შუა აზიის ტერიტორიაზე. სარმატები და ალანები თუ ერთი ეთნოსი იყო, მაშინ რაღად ატარებდნენ ისინი სხვადასხვა სახელწოდებებს? ოსების წინაპარი ალანები რომ აზიელი ურდოების ზენოლით იქნენ კავკასიაში შეტენილნი, ამას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ „ბრიტანული ენციკლოპედია“ წერდა (ავტორი ე. მინზი). ამ სტატიაში ასევე ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ალანები და შესაბამისად მათი კავკასიელი შთამომავლები – ოსები კავკასიელები არ იყვნენ და რომ სხვადასხვა ურდოების თავდასხმების შედეგად იქცნენ კავკასიელებად. ეს ურდოები კი ჯერ იყვნენ ჰუნები და შემდეგ – მონღოლები. საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიაც ხაზს უსვამს, რომ II-IX საუკუნეებში ალანები ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, ქვემო დონსა და სამხრეთ ურალს შორის მომთაბარებოდნენ.

ვ. აბაევი და ბევრი მისი წინამორბედი ოსთა ეთნოგენეზში დიდ მნიშვნელობას ნართების ეპოსს ანიჭებდა. ის წერდა, რომ ალანები კავკასიაში არა მხოლოდ თავისი ენით, არამედ ეპოსითაც მოვიდნენ“. ის ასკვნიდა, რომ ოსთა ეთნოგენეზში ორი კომპონენტი მონაწილეობდა: მოსული ირანული და ადგილობრივი კავკასიური (ჩვენ ამ მოვლენას მხოლოდ ეთნიკური ისტორიის ჩარჩოებში განვიხილავთ და არა ეთნოგენეზისის. ეთნოსი, რომელსაც სხვა ეთნოსი ერევა და ენას ინარჩუნებს, რა თქმა უნდა, ახალ ეთნოსად აღარ იქცევა. ის მხოლოდ მისი კულტურის ზოგიერთ ელემენტს იღებს).

ვ. აბაევი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ სადაც ალანები მოვიდნენ, იქ უკვე ადგილობრივი მოსახლეობა ბინადრობდა. საამისოდ სხვა ენობრივ მონაცემებთან ერთად ის ტოპონიმებსაც მოიხმობდა. ამავე დროს იმასაც აღნიშნავდა, რომ არაა არავითარი მონაცემი, რომ ეს მოსახლეობა ამონყვეტილიყო ან სხვაგან გადასახლებულიყო. თუმცა არსებობს სხვა შეხედულებაც: 1. ალანებს ადგილზე არ დახვდათ ადგილობრივი მოსახლეობა ან თუ დახვდათ, ისინი უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ და 2. ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მოსული.²

მოსული ირანული ენობრივი ერთეული ერთიან ენობრივ-ეთნიკურ მოსახლეობას დაეფუძნა, დაემყნო, თუ სხვადასხვა ენის მატარებელს, ეს საკითხიც კამათის საგანია. ვ. აბაევი ამტკიცებს, რომ ენობრივად კავკასიური ელემენტი დაქუცმაცებული და ჭრელი უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ

¹ **Е. Галкина.** «Белые пятна» этногенеза средневековых алан и этнические процессы в Центральном Предкавказье первых веков нашей эры. – *Кавказский сборник*. Т. 2 (34). М., 2005.

² **В. Абаев.** Этногенез осетин по данным языка. – *Происхождение осетинского народа*. Орджоникидзе, 1967, გვ. 21.

სუბსტრატულ ელემენტად ის დვალეებს (თუალეებს) მიიჩნევდა. უფრო სხვა ზუსტი მონაცემები ალანამდელი მოსახლეობის შესახებ არ გავაჩნიაო. ვ. აბაევის ამ თეზისის შესახებ შემდეგი კომენტარი უნდა გავაკეთოთ:

1. დვალური ელემენტი უდავოდ რომ შევიდა ოსურ ეთნოსში ეს ფაქტია. თუმცა ის ვერ გვიხასიათებს დვალეებს ლინგვისტურად. ის უბრალოდ მათ ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსად მიიჩნევდა. აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დვალეები, ყველა ქართული ნყაროს მიხედვით, ერთ-ერთ ქართულ დიალექტზე მეტყველი ქართველი მთიელები იყვნენ. მეორე და უმთავარესი: დვალეთში მოსვლისას ოსები უკვე ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთეული იყვნენ. ოსები ადგილზე დარჩენილ ქართულ ერთობას შეერივნენ, უფრო სწორედ ირანულენოვანმა ერთობამ ადგილობრივ ქართველ მთიელთა ასიმილაცია მოახდინა და ეს პროცესი – ეთნიკური შერევა – მხოლოდ ეთნიკური ისტორიის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, და არა ეთნოგენეზისა.

2. ვ. აბაევი უფრო ადრე დაბეჭდილ ნაშრომებში, კერძოდ, მონოგრაფიაში „ოსთა ენა და ფოლკლორი“ საგანგებოდ აღნიშნავდა ოსურ ენაში ქართველური სუბსტრატის არსებობას. ასეთ ყველაზე დიდ ფენად ის ზანურს მიიჩნევდა და შემდეგ, მეორე სუბსტრატულ ფენად – სვანურს.¹ ის თანამედროვე ოსურ ენაში ვაინახურ სუბსტრატს საერთოდ ვერ პოულობდა. მაგრამ, ოსთა ეთნოგენეზის საკითხებზე ქ. ორჯონიკიძეში გამართულ დისკუსიაში ვ. აბაევი ამ ფაქტებს საერთოდ აღარ ახსენებს. ამრიგად, ქართველური (ზანური და სვანური) სუბსტრატი პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ოსებს კავკასიის მთებში შემოსვლისას ქართველური ენობრივ ჯგუფები შეერივნენ. გარდა დვალეთის ტერიტორიისა, დვალეები ყველა მონაცემებით ალაგირისა და დიგორის ხეობებშიც მკვიდრობდნენ. დვალეებს რომ ბევრი საერთო ჰქონდათ ზანებთან ეს ფაქტი სათანადოდ უკვე არგუმენტირებულია.²

ოსთა ეთნოგენეზის პრობლემას შეეხო ე. კრუპნოვიც,³ რომელიც ვ. აბაევის დასკვნას, რომ „ოსური ეთნოენობრივი კულტურის ფორმირებაში კავკასიური ელემენტი მონაწილეობდა არა მხოლოდ როგორც გარეშე, უცხო ფაქტორი, არამედ შიდა, ორგანული ფაქტორი, როგორც ქვენიდაგური ფენა, რომელსაც ირანული დაეფინა“ – ოქროს სიტყვებს უწოდებდა. მაგრამ როდის მოხდა ეს დაფენება, შერევა, აი, ესაა მთავარი. როგორც ე. კრუპნოვისა და სხვა ზოგიერთ არქეოლოგს ჰგონია, ყობანური კულტურის პერიოდში? რა თქმა უნდა, არა. ეს მკვლევრები, სამწუხაროდ, მხოლოდ არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციას გან-

¹ **В. Абаев.** Осетинский язык и фольклор. М., 1949, გვ. 323-330.

² **რ. თოფჩიშვილი.** საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997, გვ. 6-72; **Р. Топчишвили.** Осетины в Грузии: миф и реальность, გვ. 44 -65.

³ **Е. И. Крупнов.** Проблема происхождения осетин по археологическим данным. – *Происхождение осетинского народа.* Орджоникидзе, 1967.

ცალკეელებულად ახდენენ და საისტორიო წყაროებს არ ითვალისწინებენ.

მთელი კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ ალანური ფენის ადგილობრივ კავკასიელებთან დაფენებასა და შერევას, ძველ არქეოლოგიურ მასალასთან არავითარი კავშირი არა აქვს და ყოვლადი კულტურის ირანულობაც სრული ნონსენსია. ე. კრუპნოვი მაგალითად აღნიშნავდა, რომ კავკასიურზე ირანულის დაფენება შედარებით ახალი, ადრე შუა საუკუნეებიდან მომდინარე მოვლენა იყო და ის ერთდროულად კი არ განხორციელდა, არამედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით ათი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, ჰუნების ეპოქიდან მონღოლთა ეპოქის ჩათვლით. მიგვაჩნია, რომ ალანების ადგილობრივ კავკასიელებთან შერევა ჰუნების შემოსევის შემდეგ კავკასიის ველებშიც უნდა განხორციელებულიყო.

ე. კრუპნოვი ზოგიერთი ოსი მეცნიერის აზრების გამზიარებელია, რომლებიც დაჟინებით აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონების ირანიზაცია დაიწყო აქ სკვით-სარმატთა პირველი შემოჭრისთანავე, ე. ი. ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში, თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს შერევა მასობრივი არ ყოფილა და, რომ ზოგიერთი კავკასიური ჯგუფის ირანიზაციას მაშინ ჩაეყარა საფუძველი. შესაძლებელია ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა მართლაც იძლევა სკვით-სარმატების ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის მტკიცების საშუალებას, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას ალანების კავკასიელებთან შერევის საკითხთან? არაფერი. ლაპარაკია იმ ალანებზე, რომლებიც კავკასიის სიახლოვეს, მის ჩრდილოეთ საზღვართან აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვის ჩრდილოეთამდე ახალი ნელთალრიცხვის დასაწყისში გამოჩნდნენ. ანდა ვინ დაადგინა, რომ ადგილობრივი კავკასიელების ირანიზაცია მოხდა? ამის დამადასტურებელი წყარო ხომ საერთოდ არ არსებობს. ამასთანავე, ცენტრალური კავკასიის მიმდებარე ველები სკვითთა და სარმატთა სამომთაბარეო არეალი საერთოდ არ ყოფილა.

ე. კრუპნოვი აგრძელებს: ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე და მოგვიანებითაც მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში გაიარეს (ჩაიქროლეს) უფრო ძლიერმა სტეპის მკვიდრთა ტალღებმა – ირანულენოვანმა სარმატებმა. მათ გაუგრძელებიათ კავკასიის ველების ირანიზაცია, რომელიც ახალი ნელთალრიცხვის I საუკუნეში ალანებს დაუმთავრებიათ და საბოლოოდ დაუსრულებიათ ეს პროცესი.¹ მაგრამ ე. კრუპნოვი თავის თავს ეწინააღმდეგება და ხაზს უსვამს, რომ ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მაშინვე და უცბად, ერთჯერადად არ მომხდარაო. ამის მაგალითად კი მოჰყავს შემდეგი: ალანთათვის დამახასიათებელი კატაკომბები მთაში, განსაკუთრებით ოსეთში VII საუკუნეზე ადრე არ ჩნდებაო. საბოლოოდ დასკვნა კი ისაა, რომ ცენტრალური კავკასიის ირანიზაცია I ათასწლეულის შუა ხანებზე ადრე არ შეიძლება მომხდარიყო.

¹ **Е. И. Крупнов.** Проблема происхождения осетин по археологическим..., გვ. 40.

ჩვენ მის ამ ნათქვამს შემდეგი კომენტარი შეიძლება დავუერთოთ: თუ კატაკომბები ნამდვილად ალანებისათვის იყო დამახასიათებელი და ცენტრალურ კავკასიაში VII საუკუნიდან ჩნდება, მაშინ პირდაპირ რატომ არ კეთდება დასკვნა, რომ ალანები დასავლეთ ოსეთში ანუ დიგორიაში (ბალყარეთის ტერიტორიასთან ერთად) VII საუკუნიდან გაჩნდნენ? რას პასუხობენ ოსი ავტორები თვით ე. კრუპნოვის დასკვნას? ის ოსი ავტორები, რომლებიც ალან-ოსურ ელემენტს საქართველოშიც ძვ. წ. VII საუკუნიდან ეძებენ. ე. კრუპნოვის ერთი პლიუსი ისიცაა, რომ ყობანურ კულტურას ის ალან-ოსურად არ მიიჩნევს. მაგრამ ყობანური კულტურის მატარებელთა ენა გადაფარა მოსული ალანების ენამო. ამაში ეძებს ის ოსთა ეთნოგენეზის გასაღებს. იგივე ავტორს მიაჩნია, რომ არ შეიძლება ვისაუბოთ ოსთა მოსულობის თეორიაზეო, რადგან, მართალია, ენობრივად ოსები ირანელები არიან, მაგრამ კულტურითა და ანთროპოლოგიით – ტიპური კავკასიელები არიან. რა ლოგიკაში ჯდება ე. კრუპნოვის ეს დასკვნა? არავითარში.

ეთნოსის ძირითადი მატარებელი თუ ენაა, თუ ირანელები მოვიდნენ (და ეს მართლაც ასეა!), მაშინ უნდა ვაღიაროთ იმ ეთნოსის მოსულობაც. რაც შეეხება ანთროპოლოგიურ ტიპს: ჩრდილოეთ კავკასიის ჯერ სტეპებში და შემდეგ მთებში მოსული ალანები ანთროპოლოგიურად ძალიან განსხვავდებოდნენ კავკასიელებისაგან? ჯერ ესაა გასარკვევი. ორივენი ხომ ევროპეიდები იყვნენ, ამ რასის ტიპური წარმომადგენლები და კავკასიაში მოსული უცხო ენობრივი ერთეული შერევის გარდა შინაგან ტრანსფორმაციას ხომ განიცდიდა? ეს შერევა ხომ ერთხელ და სამუდამოდ არ მოხდა? მთაში შემოსახლების შემდეგ მათ ხომ ხანგრძლივი ეთნოკულტურული კონტაქტები ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. კიდევ ერთი: ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ როდესაც ანთროპოლოგიურ ტიპზე საუბრობენ, მკვლევარებს ავინყდებათ ერთი რამ – ოსებს გამოკვეთილი მონღოლოიდური ნიშნები გააჩნიათ. ასე რომ, ისინი დანარჩენი კავკასიელებისაგან ამ ნიშნითაც განსხვავდებიან და მათი ანალოგიური არ არიან. დასკვნა: ალანებს მხოლოდ ენა არ მოუხვევიათ თავზე კავკასიელებისათვის. ისინი კავკასიაში მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოვიდნენ, ყოველ შემთხვევაში კავკასიელებთან შერევის ზონაში ნამდვილად ქარბობდნენ ადგილობრივ კავკასიელებს, ველი იყო ეს თუ მთა, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება იმისათვის რა ხასიათის იყო ალანების კავკასიაში შემოსახლება, გინდ ჰუნების შემოსევის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, სტეპებში და გინდ მონღოლთა შემოსევის შემდეგ ცენტრალური კავკასიის მთისა და მთისწინა მონაკვეთში. ადგილობრივი მოსახლეობა მათ წინააღმდეგობას არ უწევდა? თუ ისინი სხვა რაიმე მიზეზის გამო დემოგრაფიულად განახევრებულნი მაინც არ იყვნენ, ასე ადვილად დაუთმობდნენ ალანებს განსახლების

არეალს? რა თქმა უნდა, არა. პრეცედენტი მათი სამხრეთით წამოწევის შესახებ გვაქვს. დვალეთის მოსახლეობა ალან-ოსებმა ჯერ თარეშების, მეკობრეობის შედეგად აიძულეს მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრილიყვნენ და საქართველოს სხდასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გაფანტულიყვნენ და შემდეგ მოსახლეობისაგან გამეჩხერებულ დვალეთში დასახლკრება უფრო ადვილად მოახერხეს. იგივე სიტუაცია განმეორდა შიდა ქართლის მთიანეთში.

რაც შეეხება კულტურას; კულტურას, განსაკუთრებით მატერიალურ კულტურასა და სამეურნეო ყოფას ხომ ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და მეზობლებთან კონტაქტი აყალიბებს. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან გარემოებას მხედველობაში, ფაქტობრივად, არავინ იღებს. ასე რომ, კანონზომიერია, როდესაც მოსული თანაც ენობრივად ჭარბი ერთობა ადგილობრივ კულტურას, განსაკუთრებით მატერიალურ და სამეურნეო ყოფას ითვისებს, რასაც ნაკლებად ვიტყვით სულიერ კულტურაზე. ალან-ოსები მთაში შემოსვლისას მნიშვნელოვანი რაოდენობით რომ იყვნენ ადგილობრივ კავკასიელებზე ამას ნართების ეპოსიც ადასტურებს. სტეპებში შექმნილი ნართების ეპოსი მათ მთაშიც შემოიტანეს, ის არ დავინწყებიათ, რადგან კავკასიელებთან შერევისას ისინი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, კავკასიელები მთებში შერევისას ნამდვილად არ ჭარბობდნენ მიგრირებულ ირანულენოვან ეთნიკურ ერთობას.

ე. კრუპნოვის მითითებით, ანთროპოლოგიურად შუა საუკუნეების ოსები თითქმის არ განსხვავდებოდნენ ჩერქეზებისაგან, ყაბარდოელებისაგან და მხარის სხვა აბორიგენებისაგანო, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივად მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგანო.¹ საინტერესოა, ე. კრუპნოვი და მისი წყარო ანთროპოლოგები შუა საუკუნეების სამარხების მიხედვით როგორ, რა ხერხებით ადგენენ რომელი სამარხი რომელი ეთნოსისაა? რომ ნამარხი ძვლოვანი მასალა, კრანოლოგიური მონაცემები ოსებს ეკუთვნის, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს თუ სხვა კავკასიელებს? ძვლებს სადმე ეთნიკურობა აწერია? არავინ არ ითვალისწინებს იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეთნოსები სხვადასხვა ფაქტორთა გამოისობით საცხოვრებელ არეალებს იცვლიდნენ და, მათ შორის, ზემოთ დასახელებული ეთნოსებიც. ამასთანავე, ნებისმიერ ენციკლოპედიასა და საცნობარო ლიტერატურაში თუ ჩავიხედავთ, აღმოვაჩინთ, რომ ალან-ოსები და ადიღური მოდგმის ეთნოსები ანთროპოლოგიურად ნამდვილად ერთგვაროვანნი არ იყვნენ. ამდენად, ე. კრუპნოვი ცდება, როდესაც ოსთა ეთნოგენეზში წამყვან ელემენტად კავკასიურ ელემენტს მიიჩნევს და არა მოსულ ირანულს.

ე. კრუპნოვი იზიარებს ვ. აბაევის თეზისს, რომ ოსთა ეთნოგენეტიკური პროცესი მიმდინარეობდა კავკასიურ სუბსტრატზე დაყრდნობით,

¹ Е. И. Крупнов. Проблема происхождения осетин по..., გვ. 40-41.

რასაც ადასტურებს არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის მონაცემები, ე. ი. ოსთა ეთნოგენეზში მონაწილეობდა კავკასიური ელემენტი. მისი დასკვნა ასეთია: ერთ-ერთი სკვითურ-სარმატული ტომი – ალანები შეერია ადგილობრივ ავტოქტონურ მოსახლეობას და გადასცა მას თავისი ენა. ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ისაა როდის და რომელ ტერიტორიულ ერთეულზე მოხდა ეს? პასუხი ასეთია: ეს პროცესი დიგორიაში VII საუკუნიდან განხორციელდა, ხოლო აღმოსავლეთ ოსეთში (ალაგირი, ქურთაული, თაგაური) XIII-XIV საუკუნეებიდან. ზემოხსენებულ ავტორებს კი ეს პროცესი ისტორიის სიღრმეში გადააქვთ.

ვფიქრობთ, სერიოზულად განსასჯელია: აღნიშნული პროცესი, ანუ ირანულენოვანი ალან-ოსების ადგილობრივ კავკასიელებთან შერევა ეთნოგენეზის ფაქტად უნდა განვიხილოთ, თუ ეთნიკური ისტორიისა? ამ კითხვაზე ჩვენი წინასწარი პასუხი ასეთია – ეთნიკური ისტორიისა. იმის გამო, რომ შერევით არ მივიღეთ ახალი ენა და გამარჯვებული გამოვიდა მოსული ეთნოსი, და მოსულებზე ადგილობრივმა ეთნიკურმა ერთობამ რაიმე მნიშვნელოვანი კვალი ვერ დაამჩნია. ეთნიკური თვალსაზრისით ეს კონტაქტები მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური ისტორიის ფაქტებადაა განსახილველი.

ვ. აბაევი ფიქრობდა, რომ კავკასიური გარემო ენობრივად მრავალფეროვანი იყო. შესაბამისად, არქეოლოგები ცენტრალურ კავკასიაში ძვ. წ. I ათასწლეულისა და ახ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიურ (მატერიალურ) კულტურაში სამ ლოკალურ ვარიანტს გამოყოფენ. შესაბამისად, ასკვნიან, რომ ეს ტერიტორია სამი სხვადასხვა ტომისა თუ ტომთა ჯგუფის განსახლების არეალი უნდა ყოფილიყო.¹ არქეოლოგთა და ლინგვისტთა ეს მონაცემები და დასკვნა პირდაპირ თანხვედბა წერილობით და არქეოლოგიურ მონაცემებს. ახ. წ. I ათასწლეულის მთელ მანძილზე ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში სხვადასხვა მატერიალური კულტურა იყო, რომლებიც ოსურში სუბსტრატის სახით შევიდნენ. ეს მონაცემები პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ ოსები აქ მართლაც ახ. წ. II ათასწლეულიდან არიან მოსული (ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ცენტრალური ოსეთის მთიანი და მთისწინა მონაკვეთი იგულისხმება). ამ ტერიტორიაზე თუ ერთიანი ოსური ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, ახ. წ. I ათასწლეულში აქ უნდა გვექონოდა ერთი და არა სამი განსხვავებული მატერიალური კულტურა.

აქ კიდევ ერთ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ. ყველა მკვლევარი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ დიგორული დიალექტი ირონულ დიალექტზე არქაულია. ვ. აბაევის დასკვნით, დიგორული ძველ ირონულიდან თანამედროვე ირონულზე გარდამავალი ენობრივი ნორმების შემცველია. დიგორულისათვის დამახასიათებელია ძველი ნორმები. ამ

¹ **В. Кузнецов.** Некоторые вопросы этногенеза осетин по данным средневековой археологии. – *Происхождение осетинского народа*, გვ. 44.

გარემოებას ვ. კუზნეცოვი კავკასიაში ალანთა მიგრაციის ორი ტალღით ხსნის, რომელთაგანაც პირველი (დიგორული) იყო ადრეული, მეორე (ირონული) – გვიანდელი. ადრე მიგრირებულმა და მთებში ჩაკეტილი დიგორელი ოსების ენამ უფრო მეტი არქაულობა ამიტომაც შეინარჩუნა.¹ ამ მოსაზრების დამადასტურებელია ქართული წყაროებიც (სხვა მონაცემებიც). აღმოსავლეთ ცენტრალურ კავკასიაში მცხოვრები ოსები (ალაგირი, ქურთაული, თავაური) საკმაოდ გვიან, აქ მხოლოდ XIII საუკუნის ბოლოდან, ძირითადად XIV-XV საუკუნეებში დასახლდნენ. ალაგირელ ოსთა მეტყველება დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, განსხვავებით დასავლეთელი (დიგორელი) ოსებისაგან. დიგორელი ალან-ოსები ველებიდან VI-VII საუკუნეებში იყვნენ შემოსულები. ქართული წყაროებით, ალან-ოსებს საზღვარი ქართველებთან სწორედ ამ ტერიტორიებით ჰქონდათ (ისინი აფხაზებსა და სვანებს ემეზობლებოდნენ). ამ მონაცემებითაც საფუძველი ეცლება სხვადასხვა მეცნიერთა მტკიცებას, რომ ალან-ოსები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში. სამწუხაროდ, აღნიშნულ მონაცემებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გვერდს უვლიან ოსთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებზე მომუშავე ოსი მეცნიერები.

პრობლემის ამ თვალსაზრისით შესწავლისათვის მნიშვნელოვანია სომხური გეოგრაფიის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც დიგორიის უკან კავკასიის მთების არდოზის ოლქში ცხოვრობენ ალანები, საიდანაც გამომდინარეობს მდინარე არმნა რომელიც მიემართება ჩრდილოეთით და კვეთს დაუსრულებელ სტეპებს... შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით ჩამოთვლილია სხვადასხვა ხალხი, მათ შორის, დვალები და წანარები. ამ უკანასკნელთა მიწაზე კი მდებარეობს ალანების კარიო. ე. ი. სომხური გეოგრაფიის მიხედვითაც ალანები მხოლოდ დიგორიის მიდამოებში ცხოვრობდნენ. ცენტრალური კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში კი ისინი განსახლებულნი არ იყვნენ. რაც ყველაზე ნიშანდობლივია დარიალი წანარების (ქართველი მთიელების) მიწა-წყალზეა. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ თავაურის, ქურთაულის და ალაგირის ხეობები VII საუკუნეში ადგილობრივი კავკასიელებით იყო დასახლებული და არა ალან-ოსებით. ეს ეთნიკური სიტუაცია კი მონღოლთა შემოსევებამდე, ფაქტობრივად, უცვლელი იყო. ვ. კუზნეცოვის დასკვნით ამ მონაცემებს არქეოლოგიური მონაცემებიც შეესატყვისება. ახალი ნელთალრიცხვის I ათასწლეულში ალანები არდოზის მხარეში (სომხური გეოგრაფიით) ანუ ოსეთის ველებში, ბარის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. უფრო მეტიც: ვ. კუზნეცოვის მიხედვით, ალანები ამ დროს არა მხოლოდ არდოზის მხარეში (ოლქში) – ოსეთის ველებში უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი, არამედ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე – პიატიგორიიდან გროზნომდე.²

¹ В. Кузнецов. Некоторые вопросы этногенеза осетин..., გვ. 66.

² В. Кузнецов. Некоторые вопросы этногенеза осетин..., გვ. 66.

ამრიგად, სომხური გეოგრაფიის თანახმად, VII საუკუნეში ალანთა ტომის ორი მონათესავე ჯგუფიდან ერთი (დასავლეთისა) მთაში – ამდიგორში ცხოვრობდა, მეორე (აღმოსავლეთისა) – არდოზის ოლქში (ველებში) აგრძელებდა ცხოვრებას. ამასთანავე, ოსებში მრავალრიცხოვანი სწორედ ეს უკანასკნელი არიან, რომლებიც დიდხანს ველებში ცხოვრობდნენ და გვიან შემოვიდნენ კავკასიის მთებში.

ოსი მეცნიერები ხშირად აღნიშნავენ, რომ ისინი სკვითებისაგან მომდინარეობენ, რომლებიც ძვ. წ. VII საუკუნეში შემოიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ვ. კუზნეცივის დასკვნით კი ამ მოვლენას ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მასობრივი ირანიზაცია არ გამოუწვევია, ე. ი. ეთნიკური სიტუაცია მაშინ არ შეცვლილა.¹

ოსთა ეთნოგენეზს კავკასიაში ირანული ელემენტის ძვ. წ. VII საუკუნეში შემოჭრას უკავშირებს ი. გაგლოითი. ცნობილია, რომ ჰეროდოტეს მიხედვით, სკვითები სამხრეთ კავკასიაშიც შემოიჭრნენ. მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა უმეტესობა აღიარებს, რომ სამხრეთ კავკასიაში და აქედან წინა აზიაში სკვითები დერბენტის გზით შემოიჭრნენ, ი. გაგლოითი მაინც ასკვნის, რომ ისინი ცენტრალური კავკასიის გადასასვლელით – დარიალით შევიდნენ. და, თურმე, ამ სკვითების ნარჩენნი არიან სამხრეთ კავკასიაში, ანუ საქართველოში მცხოვრები ოსები. ი. გაგლოითი ასევე საუბრობს ამავე პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში სკვითების ბინადრობაზე (დასახლებაზე): „ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიაში სარმატულ-ალანური ტომების გამოჩენამდე უკვე ბინადრობდა სკვითი ტომების დიდი ჯგუფი. მათი შერევა ალანებთან და გათქვეფა ალანურ გარემოში მოწმობს იმას, რომ სკვითური ელემენტი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს, რომელიც შევიდა ოსური ეთნოსის შემადგენლობაში“.²

ი. გაგლოითის ეს ე. წ. დებულება მხოლოდ აკვიატებული აზრის ნაყოფია. რის საფუძველზე ადგენს ის, რომ ამ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიაში სკვითები ბინადრობდნენ ანდა იმას, რომ სკვითები ალანებში გაითქვიფნენ, გაუგებარია. ის ჯერ ვარაუდობს და შემდეგ ამ ვარაუდს აქსიომად, დადგენილ ფაქტად აცხადებს. რატომ? იმიტომ, რომ ოსი ხალხის ეთნოგენეზი, კავკასიაში მათი დასახლება რაც შეიძლება დააძველოს. ამასთანავე, ი. გაგლოითი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ალანთა გამოჩენასაც აძველებს და ამ მოვლენას ის ახ. წ. I საუკუნით ათარილებს.

ი. გაგლოითს მიაჩნია, რომ ოსთა ეთნოგენეზი, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიაში სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომების ხანგრძლივი შინაგანი განვითარების შედეგი.³ შეესაბამება თუ არა ეს რეალურ ვითარებას? რა თქმა უნდა, არა. თანამედროვე ოსები

¹ В. Кузнецов. Некоторые вопросы этногенеза осетин..., გვ. 66.

² Ю. Гаглойти. Этногенез осетин по данным письменных источников. – *Происхождение осетинского народа*, გვ. 76.

³ Ю. Гаглойти. Этногенез осетин по данным письменных источников, გვ. 87.

ნამდვილად არიან ჩრდილოეთ კავკასიაში ახ. წ. IV ს. ბოლოს მიგრირებულ ალანთა და კავკასიელთა შერევის უშუალო შთამომავალნი. ოსებს საერთო არაფერი აქვთ სკვითებთან და სარმატებთან. არავითარი წყაროთი არ დასტურდება ის გარემოება, რომ სკვითების კავკასიაში ბინადრობა მოხდა, მითუმეტეს, კავკასიის მთებსა და სამხრეთ კავკასიაში. ი. გაგლოითის ეს მოსაზრებანი მხოლოდ წინასწარ აკვიატებულ აზრებზეა დამყარებული, სასურველის რეალობად გამოცხადებაა. მიზანი კი ისაა, რომ კავკასიაში ოსური ეთნოსის მკვიდრობა დააძველონ. ზემოთ თქმულს ი. გაგლოითის კიდევ ერთი დასკვნა მოსდევს: ირანულ ტომებს ადგილზე იბერიულ-კავკასიური მოდგმის მოსახლეობა დახვდათ, რომელთა ასიმილაციაც მოახდინეს და ოსთა ეთნოგენეზში მიიღეს მონაწილეობა.¹ „გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ იბერიულ-კავკასიელთა ენობრივი ასიმილაცია დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში სკვითების გამოჩენით და ეს პროცესი ძირითადად ალან-სარმატების გამოჩენით დამთავრდა“.² ეთნოგრაფი ბ. კალოვეიც ხაზს უსვამდა, რომ თანამედროვე ოსთა ეთნოგრაფიული იერსახე ფორმირებულია საუკუნეების განმავლობაში ორი ეთნიკური და კულტურული ტრადიციის: კავკასიურის და ჩრდილო-ირანულის (სკვითურ-სარმატულ-ალანური) ურთიერთქმედებისა და ორგანული სინთეზის შედეგად. აქაც, ამ ავტორთანაც ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ოსთა ეთნოგენეზი საუკუნეების სიღრმეში მოხდა და რომ მოსულ ჩრდილო ირანულ კომპონენტში აუცილებლად იგულისხმება არა მხოლოდ ალანური, არამედ სკვითური და სარმატული.³

ოსები რომ კავკასიის მთების მკვიდრნი არ იყვნენ, ამას ნართების ეპოსიც ადასტურებს. რიგ თქმულებებში ხშირად ფიგურირებს ნართების მიერ თევზის ჭერა დიდ მდინარეებსა და ზღვაზე. დასახელებული ეთნოგრაფიული მასალით, მთიელ ოსებში არსებობდა თევზისა და მეთევზეთა ღვთაება – დონბეტირი და ისიც საყურადღებოა, რომ ამ ღვთაების მიმართ დღესასწაულს აწყობდნენ ყოველწლიურად ჩრდილოეთ ოსეთის იმ მთიან რაიონებშიც, სადაც მდინარეებიც კი არ იყო. ბ. კალოვეისავე მონაცემებით, ტოპონიმები აშკარად მიუთითებენ ოსთა ეთნოგენეზში კავკასიური კომპონენტის მონაწილეობაზე. მთიანი ოსეთის ბევრი სახელწოდება არ იხსნება ოსური ენის საშუალებით (და სხვადასხვა კავკასიური ენებითაც), რაც ძველ კავკასიურ სუბსტრატზე მიუთითებსო.⁴

თუ დავაკვირდებით კიდევ ერთ ტენდენციას აღმოვაჩინთ: არის

¹ **Ю. Гаглойти.** Этногенез осетин по данным письменных источников, გვ. 87.

² **Ю. Гаглойти.** Этногенез осетин по данным письменных источников, გვ. 87.

³ **Б. Калоев.** Данные этнографии и фольклора о происхождении осетин. – *Происхождение осетинского народа.* Орджоникидзе, 1967, გვ. 107.

შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში – XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დამდეგის დროით-სივრცით „ზონაში“ – შეიარაღებულ აჯანყებას პერსპექტივა არ ჰქონდა. ამიტომ ილიას ეროვნული პარტიის საქმიანობა კონცენტრირებული იყო ლიბერალურ-ევოლუციურ ტაქტიკაზე: ენისა და სხვა კულტურული ფასეულობების დაცვა; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; დრამატული საზოგადოება; საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება; საადგილმამულო ბანკი; პოლიტიკური ავტონომია ფედერალიზებული რუსეთის შემადგენლობაში; საერობო (საგუბერნიო, სამაზრო და სათემო) თვითმმართველობა და საქართველოს მუნიციპალიზაცია და ა.შ. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არ ნიშნავდა სამოქმედო პლატფორმიდან სამხედრო-რევოლუციური ტაქტიკის აპრიორულ გამორიცხვას.

ყოველივე ზემოთთქმულზე ნათლად მიუთითებს „სამოციანელებზე“, ილიას დასის ეროვნულ იდეოლოგიასა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკაზე ორიენტირებული ისეთი ფარული ორგანიზაციის არსებობა, როგორც იყო „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ (1889-1894წწ). თავისი ორგანიზაციული აღნაგობით ეს იყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა უნივერსიტეტში (პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის და სხვ.) მოსწავლე ქართველ სტუდენტთა სათვისტომოების კავშირი.

თავის მთავარ საპროგრამო დოკუმენტებში – 1892 წ. 26-29 ივლისის ქუთაისის პირველი გაერთიანებული ყრილობის დადგენილებაზე და ცოტა მოგვიანებით შედგენილ პროგრამაში – „ლიგაში“ განავითარა პროგრესული ნაციონალისტური დოქტრინა: საქართველო დაჩაგრულია (ე.ი. კოლონიურ მდგომარეობაშია), ერს ემუქრება ენის, წეს-ჩვეულებებისა და მინა-წყლის დაკარგვის საფრთხე... გამოსავალი ერთია – ბრძოლა რუსეთის ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად და „საქართველოს გამოსაყვანად ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე... ყოველივე ამისათვის უნდა შეიქმნას გამაერთიანებელი და საკოორდინაციო ცენტრი...“.¹

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ საყურადღებოა სხვა, წმინდა პოლიტოლოგიური თვალსაზრისით; როგორც ასაკობრივი, ისე პროფესიული მხრით, მისი საქმიანობა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც მომავალი ქართული პოლიტელიტის ბევრი წარმომადგენელი სტუდენტი იყო და „ლიგაში“ მოღვაწეობდა. ამათ შორის აღსანიშნავია გიორგი გვაზავა, ნოე ჟორდანიას, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჯაყელი, ნიკოლოზ შენგელაია, ივანე ელიაშვილი, იაკობ ფანცხავა, თედო სახოკია, შიო არაგვისპირელი, ილია ჯიშკარიანი, მიხეილ მელიქიშვილი, ივანე აბაშიძე, ნიკოლოზ ნაკაშიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ფილიპე მახარაძე და სხვები.

¹ ალ. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბ., 1980, გვ. 152-164.

ამიტომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ წარმოადგენდა ერთგვარ ელიტისტურ მატრიცას, შემდგომი ქართული პოლიტიკური სპექტრისა და პოლიტიკური ელიტის პირველად „ბუდეს“. სწორედ აქ მიიღეს ქართველმა პოლიტიკოსებმა პოლიტიკური ნათლობა და შემდგომში, მსოფლმხედველობრივი განსხვავებების კვალობაზე, ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალისტური მიმართულებების პარტიებში გადანაწილდნენ. ცხადია, რომ მთელ ქართულ ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობას იდეურად კვებავდა საყოველთაო ეროვნული ერთიანობის პლატფორმა – ილიას „საერთო მოქმედების“ თეორია (1899) და არჩილ ჯორჯაძის ინტეგრალური სოციოლოგიური კონცეფცია „საერთო მოქმედების ნიადაგი“ (1901წ.).

მაგრამ 1917-1918 წლების კონკრეტულმა სიტუაციამ და საერთაშორისო კონიუნქტურამ საქართველოს დამოუკიდებლობა განაპირობა შეიარაღებული აჯანყებისა და, ასე ვთქვათ, რეალური სამხედრო პრაქტიკის გარეშე; 1917 წ. თებერვლის რევოლუციამ დაამხო რუსეთის ცარიზმი, ხოლო პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე გერმანიის მიერ დაფინანსებული ბოლშევიკური ჯგუფის მიერ ორგანიზებულმა გადატრიალებამ და სამოქალაქო ომმა დაამხო (სამწუხაროდ, დროებით) რუსეთის იმპერია.

1918 წ. 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და შექმნა დროებითი კოალიციური მთავრობა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იყო არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენა (როგორც უაღრესად ღირებული ისტორიული მოვლენა), არამედ რეალური პოლიტიკური ტრანზიციაც: შეიცვალა ისტორიულ-პოლიტიკური წყობილება, ე.ი. 1801 წელს ანექსირებული მონარქიის აღდგენა კი არ მომხდარა,¹ არამედ დაიწყო ახალი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ტრანზიციის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ცარისტული ბიუროკრატის, თვითმყრობელური დიქტატურისა და მეფისნაცვლის ინსტიტუტის ნაცვლად შეიქმნა დემოკრატიული სახელმწიფო, ხოლო თბილისისა და ქუთაისის კოლონიური გუბერნიების ნაცვლად – საპარლამენტო რესპუბლიკა.

ამიტომ ვამბობთ, რომ ეს სამი მნიშვნელოვანი მოვლენა – დამოუკიდებლობის აქტის მიღება, ეროვნული საბჭოსათვის საპარლამენტო-საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭება და დროებითი კოალიციური მთავრობის შექმნა – სისტემურ მთლიანობაში ქმნის პროგრესული პოლიტიკური ტრანზიციის ფენომენს, პოლიტიკური წყობილებისა და სახელმწიფოებრივი მართვის ტიპოლოგიურად ახალი სტრუქტურების წარმოშობას.

26 მაისს ჩამოყალიბებული პირველი დროებითი მთავრობა შედგა ოთხი მთავარი პოლიტიკური პარტიის კოალიციის ბაზაზე; მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოდგენილი იყო ოთხი მინისტრით: ნოე რამიშვილი – პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი; აკაკი

¹ თუმცა, რესტავრაციის ტენდენციები იყო 1918 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ჩხენკელი-საგარეო საქმეთა მინისტრი; გრიგოლ გიორგაძე – სამხედრო მინისტრი და ნოე ხომერიკი – მინათმოქმედების მინისტრი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ჰქონდა ორი პორტფელი (შალვა ალექსი-მესხიშვილი-იუსტიციის მინისტრი და გიორგი ლასხიშვილი – განათლების მინისტრი). თითო-თითო პორტფელი ჰქონდათ ეროვნულ-დემოკრატიებს (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული) და ესერებს (გზათა მინისტრი იოსებ ლორთქიფანიძე). მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობითი უმრავლესობისა, ეს პარტიები მეტნაკლებად საკმაო გავლენას ახდენდნენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე. იგივე შეიძლება ითქვას დროებითი პარლამენტის ფრაქციებზეც. კოალიციონიზმის მოდელი მოქმედებდა საქართველოს ახლადარჩეული დამფუძნებელი კრების მიერ ერთპარტიული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამტკიცებამდე (1919 წ. 14 მარტი).

ასე რომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის საწყის ეტაპზე ფუნქციონირებდა მრავალპარტიული და კოალიციონიზმის პრინციპზე დაფუძნებული პლურალისტური დემოკრატია. ეს სრულებით არ გახლავთ გადაჭარბებული შეფასება, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტულად XX ს. პირველი მეოთხედის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი, ე.ი. მრავალპარტიულობისა და პლურალიზმის ხარისხი უნდა ნარმოვიდგინოთ კონკრეტულად მაშინდელი ეტალონით და არა ზოგადად დემოკრატიის თეორიის პოზიტივისტურ ჭრილში. მაგრამ საქართველოს ახალ სახელმწიფო მანქანას ჰქონდა გარკვეული თავისებურება. ამ სპეციფიკის გათვალისწინებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან მიმართებაში, რადგანაც სწორედ ის გახდა 1918 წ. 24 ივნისის გადატრიალების მთავარი, შეიძლება ითქვას, ღერძული მიზეზი. ამასთან, ეს თავისებურება პირდაპირ უკავშირდება სდრ-ის საწყისი პერიოდის პოლიტიკური სტრუქტურის ინსტიტუციურ საფუძვლებს და მთლიანად თავსდება ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილ ბინარულ მეთოდში – „პოლიტიკური სტრუქტურა-პოლიტიკური პროცესი“: გადატრიალება, როგორც პოლიტიკური პროცესი განაპირობა სახელმწიფოებრივი მანქანის თავისებურებამ, როგორც პოლიტიკურმა სტრუქტურამ.

დავშალოთ ეს ბინარულობა და ანალიტიკური აბსტაქციის სახით ცალ-ცალკე დავახასიათოთ გადატრიალების წარმომშობი პოლიტიკური სტრუქტურა და თვით გადატრიალების პოლიტიკური პროცესი. შემდეგ კი ორივე ისევ სისტემურ მთლიანობაში „მოვათავსოთ“ და გაერთიანებულ ინტერპრეტაციულ მოდელში შესაბამისი ფაქტების ჩასმით განვიხილოთ 24 ივნისის გადატრიალებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-სტრუქტურულ ცვლილებათა დინამიკა.

მაშ ასე: რაში მდგომარეობდა სდრ-ის არსებობის საწყის ეტაპზე მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სპეციფიკა? იმაში, რომ საქართველოში ეროვნული საბჭოსა (რომელმაც 28 მაისის შემდეგ შეიძინა სა-

კანონმდებლო ფუნქციები) და აღმასრულებელი პრეროგატივების მქონე დროებითი მთავრობის გარდა კიდევ არსებობდა რეალური ძალაუფლების მქონე პოლიტიკური ცენტრი – საბჭოების ინსტიტუტის სახით. ე.ი. ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 1917 წ. თებერვლის რევოლუციისა და თბილისში მეფისნაცვლის ინსტიტუტის დაცემის შემდეგ ჩამოყალიბებული ხელისუფლების პოლიტიკური სოციოლოგია: 1917 წ. მარტში შექმნილი და რამდენადმე არჩევითი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ამიერკავკასიის საბჭოების რეგიონალური ცენტრი და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საბჭო (შექმნილი მემარცხენე და ლიბერალური ელემენტების – ჟორდანია, ხატისოვი, პოპოვი) გაერთიანებით). საბჭოების ამ სისტემაში, ისევე როგორც საერთოდ ხელისუფლების კრატოლოგიურ სტრუქტურაში ცენტრალური ელემენტის ფუნქციას ასრულებდა თბილისის საბჭო თავისი აღმასკომით. ეს ინსტიტუტი ფლობდა რეალურ ფაქტობრივ ძალაუფლებას და მმართველობის ადმინისტრაციულ კომპონენტებს „ოზაკომის“ დროსაც (1917 წლის მარტი-ნოემბერი), ამიერკავკასიის კომისარიატის დროსაც (1917 წ. ნოემბერი – 1918 წ. თებერვალი) და ამიერკავკასიის სეიმის დროსაც (1917 წ. თებერვალ-მაისი).

თბილისის საბჭოს რეალური ძალაუფლების საფუძველი იყო საკმაოდ მძლავრი გასამხედროებული სტრუქტურა – სახალხო გვარდია ვ. ჯუღელის სარდლობით. როგორც თვითონ ვ. ჯუღელი, ისევე გვარდიის შტაბი მთლიანად და სავსებით ექვემდებარებოდა თბილისის საბჭოს აღმასკომსა და ამიერკავკასიის საბჭოების რეგიონალურ ცენტრს. სახალხო გვარდია, რომელიც თბილისის არსენალის აღების შემდეგ 1917 წლის 11-12 დეკემბერს შეიქმნა, არსებითად იყო პარტიულ-კორპორატიული სამხედრო შენაერთი, აგებული სამხედრო დეცენტრალიზაციის, მაგრამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაქვემდებარების (რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი) ცენტრალისტურ პრიციპებზე.

ამდენად, სახალხო გვარდიის ფენომენი თავის თავში აერთიანებდა, ერთის მხრივ, სამხედრო სტრუქტურისათვის აუცილებელი იერარქიისა და ცენტრალიზმის კომპონენტების არარსებობას და, მეორეს მხრივ, სამხედრო სტრუქტურაში აბსოლუტურად გამოსარიცხი მმართველი პოლიტიკური ძალისათვის სრული დამორჩილების არსებობას. ერთი სიტყვით, გვარდიას ჰქონდა ის, რაც არ იყო საჭირო (და რაც ეწინააღმდეგება ყოველგვარი სამხედრო სტრუქტურის თვისობრიობას) – სრული დაქვემდებარება კონკრეტული პარტიისადმი (უფრო ზუსტად პარტიის ერთი ფრაქციისადმი), და არ ჰქონდა ის, რაც საჭირო იყო – შინაგანი ცენტრალიზმი, დისციპლინა, ბრძოლისუნარიანობა.

ყველაზე მთავარი საფრთხე, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისათვის პარამილიტარული გვარდიისაგან მოდიოდა, იყო დესტრუქციული გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე და მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ან მისი ცალკეული ფრაქციის დაჯგუფებების მიერ არ ფორ-

მირების გამოყენება შიდაპოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის.

პრეტორიანიზმ¹-პარამილიტარიზმის ასეთმა სინთეზმა ერთგვარი „ჩართვის მექანიზმის“ როლი შეასრულა 24 ივნისის გადატრიალებაში (როგორც ქვემოთ ნახეთ), რომლის დროსაც გვარდიამ ფაქტობრივად ნოე ჟორდანიას ჯგუფის პოლიტიკური ჯარის ფუნქცია შეასრულა. საერთოდ კი, სდრ-ის 34-თვიანი ისტორიის მანძილზე ოფიციალურ შეიარაღებულ ძალებში არაინტეგრირებული სახალხო გვარდიის პრივილეგირებულმა მდგომარეობამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და ფაქტობრივად პრეტორიანიული მმართველობის ტიპი შექმნა. თვით რუსეთ-საქართველოს 1921 წ. თებერვალ-მარტის ომის დროსაც კი (გავიხსენოთ, მაგალითად, საომარი ოპერაციები დასავლეთის ფრონტზე ან მცხეთის ოპერაციის ჩაშლა, ან ერთობლივი ფრონტის ჩაშლა ოსიაურთან და ხაშურთან, ან კიდევ გვარდიის ზოგიერთი ნაწილის თვითდემობილიზაცია) სახალხო გვარდია გამოდიოდა არა როგორც ქართული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა, არამედ როგორც მმართველი პარტიის პოლიტიკური არმია.

დავუბრუნდეთ ისევ საბჭოების პოლიტიკური ფუნქციის საკითხს. ზემოთმოყვანილი კრატოლოგიური „კანონის“ მოქმედების საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავახასიათოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორცაა საბჭოების როლი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. ფაქტია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დადებითად გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საბჭოსა და მისი აღმასკომის პოზიციასაც. უფრო მეტიც, თბილისის საბჭოში აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა გახდა ერთ-ერთი ძირითად კატალიზატორი საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მომზადების უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ-დიპლომატიურ პროცესში (როგორც ცნობილია, ამ პროცესის მნიშვნელოვანი მოვლენებია: ბათუმის კონფერენციაზე მყოფი აკ. ჩხენკელის საიდუმლო წერილები ეროვნული საბჭოსადმი 1918 წ. 12, 14, 15 და 23 მაისს; 1918 წ. 16 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სტრუქტურაში „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებელი კომისიის“ (ე.წ. „სამთა კომისიის“- ნ. რამიშვილი, შ. მესხიშვილი, დ. ვაჩნაძე) შექმნა; ნ. ჟორდანიას საიდუმლო მოლაპარაკებები გერმანელებთან ბათუმში 1918 წ. 21-22 მაისს; ეროვნულ-დემოკრატიკ. გვარჯიას მიერ დეკლარაციის ტექსტის დაწერა და განხილვა ეროვნული საბჭოს აღმასკომში 1918 წ. 25 მაისს), რომელიც 1918 წ. 26 მაისს ეროვნული საბჭოს ისტორიული სესიით დაგვირგვინდა.

24 მაისს ნ. ჟორდანია სპეციალური მოხსენებით გამოვიდა თბილ-

¹ პრეტორიანიზმი – მმართველობის ტიპი, რომლის დროსაც ხელისუფლება ეყრდნობა თავის საკუთარ სამხედრო ძალას. პირველად შექმნა რომის იმპერატორმა ოქტავიანემ (ძვ. წ. 27 – ახ. წ. 14) „საიმპერატორო გვარდიის“ სახით (ცხრა 1000-კაციანი კოჰორტისაგან, პრეტორიის პრეფექტის სარდლობით).

ისის საბჭოს აღმასკომის ხსდომაზე. მან აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის გაერთიანებულ სახელმწიფოს პერსპექტივა არ გააჩნია, რომ საქართველოს ოსმალეთისაგან გადასარჩენად აუცილებელია დამოუკიდებლობის გამოცხადება, გერმანიასთან სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება. „ამიერკავკასია ამჯერად უკანასკნელ დღეებს ითვლის“,¹ – აღნიშნა ჟორდანიამ.

სწორედ თბილისის საბჭოს თანხმობის შემდეგ დაიწყო „სამთა კომისიამ“ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის მომზადება და ეს საქმე გ. გვაზავას და პ. საყვარელიძეს მიანდო. ისიც აღსანიშნავია, რომ თბილისის საბჭოს თანხმობის შემდეგ 25 მაისს იყო ნავარაუდები დამოუკიდებლობის გამოცხადება და მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო (25 მაისისთვის ტექნიკურად ვერ მოხერხდა თვითლიკვიდაციის გამოცხადებისათვის ამიერკავკასიის სეიმის შეკრება და ვერც დამოუკიდებლობის აქტი აღმოჩნდა ტექსტუალური თვალსაზრისით მომზადებული) გადაიდო 26 მაისისთვის. 25 აგვისტოს, გვიან ღამით გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასკომის ხსდომა,² რომელმაც დაამტკიცა კონკრეტული პროცედურა 26 მაისისათვის (სეიმის თვითდაშლა, ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირება და დადგენილი სტრუქტურით და პერსონალური შემადგენლობით დროებითი კოალიციური მთავრობის შექმნა).

ამდენად, თბილისის საბჭოს დადგომამ საქართველოს დამოუკიდებლობის პლატფორმაზე ძალიან დიდი როლი შეასრულა. მან ხელი შეუწყო დამოუკიდებლობის მომხრე კონსტრუქციული ძალების კონსოლიდაციას და სტიმული მისცა მათ პოლიტიკურ აქტიურობას. ამ პროცესის სიღრმისეული ანალიზი კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს თბილისის საბჭოს კრატოლოგიურ ფუნქციას, მის ხელში თავმოყრილი აღმასრულებელი ხელისუფლების კონცენტრაციის საკმაოდ მაღალ ხარისხს. მაგრამ 26 მაისის შემდეგ პოლიტიკური ყოფიერება რადიკალურად შეიცვალა. დროებითი საკანონმდებლო ხელისუფლებისა (ეროვნული საბჭო დამფუძნებელი კრების არჩევა-მონვევამდე) და აღმასრულებელი აპარატის (კოალიციური მთავრობა ნ. რამიშვილის მეთაურობით) შექმნის შემდეგ თბილისის საბჭო აშკარად ზედმეტი, ხოლო ამიერკავკასიის საბჭოების რეგიონალური ცენტრი (ამიერკავკასიის გაერთიანებული სახელმწიფოს დაშლის გამო) უფუნქციო სტრუქტურები გახდნენ.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით 1918 წ. ივნისში სდრ-ში პოლიტიკური პროცესის განვითარების შინაგან მექანიზმებს, ვნახავთ, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეული ხარისხის ინსტიტუციურ არასტაბილურობას და სახელმწიფო ადმინისტრაციის შიდა სტრუქტურების არაეფექტურ პარალელისტურ საქმიანობას. ეროვნული საბჭო და მთავრობა, ერთი მხრივ, და საბჭოები, მეორე მხრივ, ქმნიდნენ პოლიტიკური რეჟიმის ორპოლუსიან სტრუქტურას. შეიქმნა ხელისუფლების ინსტიტუციური გაორების

¹ სცსსა, ფ. 1844, აღწ. 2, ს. 7, ფ. 53.

² სცსსა, ფ. 1836, აღწ. 1, ს. 49, ფ. 2.

პრეცედენტი, თანაც პარამილიტარისტული ტენდენციებით, რადგან სახალხო გვარდია მხარს მხოლოდ საბჭოებს უჭერდა, წარმოადგენდა რა მათ სამხედრო დასაყრდენს. 1918 წ. 2 ივნისს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციისა და შევსების შესახებ,¹ რამაც საბოლოოდ დაადასტურა, რომ მმართველი ჯგუფი არ აპირებდა ამ პოლიტიკური არმიის დაშლას, ან მის ინტეგრირებას ოფიციალურ სამხედრო სისტემაში. ეს გარემოება უდავოდ ზრდიდა პარამილიტარისტული პრეტორიანიზმისა და გვარდიის მხრიდან სამხედრო გადატრიალების დამუქრებით პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების საფრთხეს.

საბჭოები ფლობდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ სერიოზულ სადავეებს, ამიტომ ინსტიტუციური კრიზისი განსაკუთრებით გამოვლინდა პოლიტიკური რეჟიმის ფუნქციონირების ისეთ სექტორში, როგორცაა გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის სექტორი. იმის გამო, რომ თბილისის საბჭოს ჰქონდა ბევრი აღმასრულებელი ფუნქცია, სწორედ მისმა პოლიტიკურმა სტატუსმა და პოზიციამ შესრულა დიდი როლი კრიზისის გაღრმავებისა და გადატრიალებისათვის პირობების შემზადებაში.

მთავრობისა და საბჭოების ორპოლუსიან აღმასრულებელ ვერტიკალში დამყარდა პოლიტიკური პარიტეტის რეჟიმი, ე.ი. ფაქტობრივად თანასწორი მდგომარეობა რეალური ძალაუფლების ფლობის თვალსაზრისით. ცხადია, რომ ეს პარიტეტი მიუღებელი იყო, რადგანაც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური სხეული შუაზე გაიხლიჩა: საბჭოები და მათი პოლიტიკური პატრონაჟის ქვეშ მყოფი სახალხო გვარდია² და ეროვნული საბჭო-მთავრობის ტანდემი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი საჯარისო ფორმირებებით (ყოფილი ცარისტული არმიის ნარჩენებისაგან შემდგარი ქართული კორპუსით).

მაშასადამე, 1918 წლის ივნისში შექმნილმა კრიზისულმა სიტუაციამ შექმნა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური ფუნქციონირების მექანიზმის დეფორმაციის ატმოსფერო. სახელმწიფო მართვის სისტემაში პოლიტიკური და ადმინისტრაციული კომპონენტების ურთიერთმიმართება აშკარად დაირღვა და შეიქმნა პარალელიზმის, ფუნქციური გაორების ვითარება. ამავე დროს, საბჭოების ხელში ადმინისტრაციული მართვისა და პოლიტიკური კონტროლის ფუნქციების თავმოყრა, სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით, გარკვეულ ასპექტში, აყალიბებდა მუშათა კლასის დიქტატურის საწყისებს, რაც ძირშივე ეწინააღმდეგებოდა

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. ვ. გურგენიძის რედაქციით. თბ., 1990, გვ. 86-88. საგულისხმოა, რომ სამხედრო კანონმდებლობა (კანონი სამხედრო მმართველობისა და კანონი რეგულარული ჯარის ორგანიზაციის შესახებ) მიღებულ იქნა ორთვენახევრის შემდეგ, 1918 წ. 20 აგვისტოს.

² უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვით საბჭოები იყვნენ გვარდიის სამხედრო პატრონაჟის, წმინდა ფიზიკური მფარველობის ქვეშ.

26 მაისის პოლიტიკურ იდეალებს და საერთო-ეროვნული პლურალისტული დემოკრატიის პრინციპებს.

პოლიტიკური პროცესის განვითარების შინაგანი ლოგიკა მოითხოვდა ორპოლუსიანობის ლიკვიდაციას, საბჭოების, როგორც ხელისუფლების ორგანოების გაუქმებას. სწორედ პოლიტიკური კრიზისის გადანყვეტის ეს ვექტორი გახდა 24 ივნისის გადატრიალების მთავარი მიზეზი. გადატრიალების მეორე მიზეზი, ჩვენი აზრით, მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აზრთა სხვადასხვაობასა და ამ პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელობის შიგნით ქვეყნის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური განვითარების კარდინალურ საკითხებზე კონცეპტუალურ დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ.

იდეური უთანხმოებანი ქართველ მენშევიკებში მუდამ იყო, მაგრამ უთანხმოებათა კონცეპტუალიზაცია, გარკვეული ორგანიზაციულ-ტაქტიკური სტრუქტურირება და, ასე ვთქვათ, „ქმედებათა ჯგუფების“ წარმოქმნა მოხდა 1918 წ. აპრილ-მაისში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის ინტენსიურმა პოლიტიკურმა საქმიანობამ. იმდროინდელი პოლიტიკური ცნობიერების განვითარების ანალიზი, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ამ დროისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ ბირთვში ჩამოყალიბდა ორი ოლიგარქიული დაჯგუფება – ჟორდანიას-გეგეჭკორი-ჩხეიძე-ჯუღელი და რამიშვილი-ჩხენკელი-გრ.გიორგაძე-კვინიტაძე, რომელთა შორის იდეურ-პოლიტიკურმა პაექრობამ (ხშირ შემთხვევაში ფარული შიდაპარტიული არხებით წარმართულმა და ამდენად, ოფიციალურად ნაკლებად რეპრეზენტატულმა) შექმნა პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეების განმსაზღვრელი ძირითადი სპექტრი მაშინდელ საქართველოში. შეიძლება პირდაპირ ითქვას: 24 ივნისის გადატრიალების ძირითადი მიზეზი სწორედ მმართველი პარტიის პოლიტიკურ ფრაქციებს შორის დაპირისპირებამ წარმოშვა და მისი იდეური ღერძი გახდა ბრძოლა ნ. ჟორდანიას ჯგუფის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასა და ნ. რამიშვილის მემარჯვენე ეროვნულ-სოციალისტურ დოქტრინას შორის.

ზოგადი თეორიული კონსტრუქციისა და სახელმწიფოებრივი პლატფორმის დონეზე საქართველოს მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია ავითარებდა დემოკრატიული სოციალიზმის კონცეფციას. ქართველი სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიული სოციალიზმი, როგორც ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის ალტერნატივა, შექმნილ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში წარმოადგენდა ახალი ქართული სახელმწიფოებრივობის მშენებლობის იდეოლოგიას. რა ძირითად პოსტულატებს შეიცავდა ქართული დემოკრატიული სოციალიზმი, როგორც მმართველი პარტიის პოლიტიკური ფილოსოფია და, აქედან გამომდინარე, სდრ-ის სახელმწიფო მართვის პროგრამა?

ქართული დემოკრატიული სოციალიზმი წარმოადგენდა არაბოლ-შევიკური, ევროპული ტიპის პოლიტიკურ ფილოსოფიას და ავითარებდა ევროპული ტიპის ახალი ქართული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემურ სტრატეგიას. ამ სტრატეგიაში შედიოდა კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურისა და სრული სახელმწიფო-საზოგადოებრივი საკუთრების უარყოფა; შერეული ეკონომიკისა და პლურალისტული დემოკრატიის განვითარება; ნაციონალიზაციისა და სახელმწიფო საკუთრების შერწყმა სოციალიზმთან და კერძო საკუთრების გარკვეულ ფორმებთან; პროგრესული სამემოსავლო გადასახადების დანესება; განსაზღვრული პოლიტიკური ბლოკი ეროვნულ ბურჟუაზიასთან და სხვა არაპროლეტარულ ფენებთან; მუშათა კლასის პრიორიტეტის ნაცვლად, საერთოსოციალური და საერთოეროვნული ჰარმონია და სოციალური კეთილდღეობის მაქსიმალურად თანაბარი გადანაწილება, ამასთან განსაკუთრებული ორიენტაცია ძლიერი და ორგანიზებული საშუალო ფენის შექმნის სოციალურ პოლიტიკაზე.

მაგრამ დემოკრატიული სოციალიზმის სისტემური კონცეფციის ფარგლებში ადგილი ჰქონდა სერიოზულ განსხვავებას ნ. ჟორდანიას ჯგუფის მემარცხენე და ნ. რამიშვილის თანამოაზრეთა მემარჯვენე პლატფორმებს შორის. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს განსხვავება იდეურ-პოლიტიკურ უთანხმოებაში გადაიზარდა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატიისა და მემარჯვენე ეროვნული სოციალიზმის დოქტრინებს შორის ბრძოლად წარმოჩნდა.

„რამიშვილის ხაზი“ ავითარებდა ეროვნული სოციალიზმის იდეურ პლატფორმას. მისთვის ამოსავალი იყო სოციალისტური დოქტრინის სინთეზი ეროვნულ პოლიტიკასთან, რეალური პოლიტიკური კომპრომისი ქართველი ერის ყველა ფენასთან (განსაკუთრებით არისტოკრატიასა და ეროვნულ ბურჟუაზიასთან) და ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებთან, საგარეო პოლიტიკაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების პრიორიტეტი და რუსოფილიის ყოველგვარი გამოვლინების უარყოფა.

ყველაზე არსებითი, რაც რამიშვილის ხაზს ჟორდანიას ხაზისაგან განასხვავებდა, იყო სრულყოფილ დემოკრატიულ სოციალიზმზე გადასვლის მექანიზმების სპეციფიკური გაგება. პირველ რიგში, ეს ეხებოდა გარდამავალი ეტაპის სოციალურ ბაზას. რამიშვილს შესანიშნავად ესმოდა, რომ ეროვნული სახელმწიფოს ქმნადობის პროცესის მამოძრავებელ ძალად და მთავარ დასაყრდენად არ შეიძლებოდა გამოსულიყო ერთი რომელიმე კლასი ან ფენა, არამედ მთელი ერი, როგორც ეროვნულ-სოციალურად აქტიური ელემენტი, რომ ასეთი ელემენტი გადანაწილებული იყო ერის ყველა ფენაში და არა მარტოდ მუშათა კლასში იყო კონცენტრირებული. ამიტომაც იყო, რომ ნ. რამიშვილი აქტიურად ცდილობდა პოლიტიკურ ბლოკირებას ეროვნულ-დემოკრატებთან და ცენტრისტული კოალიციის მთავრობის შექმნას (მთავრობაში ნ. ნიკოლაძის,

გ. გვაზავას და ივ. ზურაბიშვილის შეყვანას). ამიტომაც იყო აგრეთვე, რომ ნ. რამიშვილი მოითხოვდა სახალხო გვარდიის გაუქმებას და ერთიანი ეროვნული ჯარის შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ გენერალიტეტი და ოფიცერთა კორპუსი მთლიანად ცარისტული არმიიდან გამოსული ქართველი არისტოკრატიისაგან შედგებოდა.

მემარჯვენე-ეროვნული პოზიციებიდან უყურებდა ნ. რამიშვილი გარდამავალი პერიოდის ტაქტიკური ტექნოლოგიების საკითხსაც. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აუცილებელი იყო სოციალისტური გარდაქმნების ევოლუციური, თანდათანობითი, გეგმაზომიერი, დაბალანსებული განხორცილება და არა „მუშურ-გლეხური რევოლუციური ენთუზიაზმით“ მათი გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა მიიღებდა არა ევოლუციურ განვითარებას, არამედ რევოლუციურ მსხვერველს, რეგრესულ ინვოლუციას – ჭეშმარიტად დიდი ეროვნული ენერჯის მქონე ძალების – ინტელიგენციის, ეროვნული ბურჟუაზიის, სამღვდელოების, საშუალო ფენების, გენერალიტეტის – ფაქტობრივ სოციალურ კვდომას.

ნ. რამიშვილის ეროვნული სოციალიზმი, ნ. ჟორდანიას მემარცხენე ფრთის ყბადაღებული კოსმოპოლიტური ინტერნაციონალიზმის საპირისპიროდ, ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს მმართველი პარტიისა და სოციალიზმის ინტერესებზე მალლა აყენებდა. ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ალტერნატივის დროს, თუ ნ. ჟორდანია სოციალიზმს ანიჭებდა უპირატესობას, „რამიშვილის ხაზი“ პირიქით – სოციალისტურისა და ეროვნულის გარდაუვალი ალტერნატივის შემთხვევაში ეროვნულს ანიჭებდა უპირატესობას. უფრო მეტიც; ნ. რამიშვილი საერთოდ არ სცნობდა სოციალიზმის იმ თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს, რომლებიც რამენაირად ზიანს აყენებდნენ ეროვნულ პოლიტიკას.

ნ. რამიშვილისა და ნ. ჟორდანიას პოლიტიკური ხაზების შეუთავსებლობა გახდა გადატრიალების მეორე მიზეზი. პირველი მიზეზი კი, როგორც უკვე ვიცით, იყო ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური სტრუქტურის ორპოლუსიანი ხასიათი.

ამდენად სახეზე გვაქვს 1918 წ. 24 ივნისის გადატრიალების ანალიტიკური მოდელი: ერთი მხრივ, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში არსებული ძალთა და ინსტიტუციათა განლაგება, ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობა და პოლიტიკური ბიპოლარიზმი; მეორე მხრივ, საკუთრივ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიდა სივრცეში არსებული მემარცხენეობა-მემარჯვენეობის (იდეურ-პოლიტიკურად – კოსმოპოლიტური სოციალ-დემოკრატიისა და ეროვნული სოციალიზმის) ბიპოლარიზმი. უპრინაია გადატრიალების ანალიტიკურ მოდელში ასევე შევიტანოთ გადატრიალების საყოველთაოდ მიღებული შემდეგი განმარტებაც; გადატრიალება – ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების არაკანონიერი და ძალადობრივი შეცვლა, რომელიც ხორციელდება სამხედრო, პოლიტიკური თუ პარამილიტარისტული დაჯგუფებების გამოყენებით ან

ამგვარი გამოყენების დამუქრებით. რევოლუციისგან განსხვავებით, გადატრიალების შედეგი არის ერთი მმართველი დაჯგუფების მეორეთი შეცვლა ერთი და იმავე სისტემის ფარგლებში.

ამჯერად უნდა გადავიდეთ ზემოთმოყვანილი ანალიტიკური მოდელის ობიექტივაციაზე, ანუ მასში 1918 წ. ივნისის პოლიტიკური კრიზისისა და 24 ივნისის გადატრიალების შესახებ კონკრეტული ფაქტოლოგიის „ჩასმაზე“. პოლიტიკური კრიზისის ინსპირირებისა და გადატრიალების ორგანიზაციის მექანიზმი ფაქტობრივად 1918 წ. 8 ივნისს „ჩაირთო“. ამ დღეს გამართულმა თბილისის საბჭოს აღმასკომის, ამიერკავკასიის საბჭოების რეგიონალური ცენტრისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გაერთიანებულმა სხდომამ წამოაყენა აშკარად პოლიტიკური მოთხოვნები, რომელთა უმეტესობა შეეხებოდა ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხებს. არსებითად გამოიკვეთა ორი გზა – ან საბჭოებს აეღოთ მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება, ან ის მთლიანად გადაეცათ მთავრობისთვის.

სრულიად აშკარაა, რომ საბჭოების პოზიციამ და სახალხო გვარდიის მათდამი მხარდაჭერამ სათავე დაუდო რეალურ პოლიტიკურ კრიზისს. პოლიტიკური ძალების ერთი ნაწილი (სოციალ-დემოკრატების ნაწილი და ესერები) ა. ფარნიევის მეთაურობით მოითხოვდა იმას, რომ საბჭოებს სრული კომპეტენციის ფარგლებში შეენარჩუნებინათ პოლიტიკური ხელისუფლების ატრიბუტები. „რადგანაც ფაქტიური ძალაუფლება საბჭოებს ეკუთვნით, – ამბობდა ა. ფარნიევი, – დამოუკიდებელ საქართველოში მთავრობა უნდა იყოს საბჭოების წარმომადგენლებისგან შედგენილი ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობა“.¹ მაშასადამე, „ფარნიევის ჯგუფის“ აზრით, თბილისის საბჭოს აღმასკომსა და რეგიონალურ ცენტრს უნდა შეეთავსებინათ საკანონმდებლო ფუნქციებიც და მთავრობაც მათ უნდა შეედგინათ და არა ეროვნულ საბჭოს. ეს იყო, ცხადია, ორიენტაცია ხელისუფლების ორგანიზაციისა და საბჭოთა დიქტატურის დამყარების რუსულ-ბოლშევიკურ ტაქტიკაზე.

პოლიტიკური ძალების მეორე ნაწილმა (პირობითად რომ ვთქვათ, „ნ. ჟორდანიას ჯგუფმა“) კი, მთავრობისათვის აღმასრულებელი ფუნქციების სრული გადაცემის იდეა წამოაყენა. თავის მემუარებში ნ. ჟორდანიას აღნიშნავდა: „ახალ ხაზზე გადაეწყო ყველა რევოლუციონური ორგანიზაციები (საბჭოები – დ.ჯ.); მათ დაიტოვეს თავის სამუშაო სფეროში მხოლოდ საპროპაგანდო და საორგანიზაციო საქმეები, აღმასრულებელ ძალაზე უარი თქვეს“.²

რასაკვირველია, ქვეყნის აღმასრულებელი ვერტიკალის უნიფიკაციის და, საერთოდ, რესპუბლიკის შინაგანი პოლიტიკური ევოლუციის ეს პროექტი უაღრესად პოზიტიური იყო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისი განხორციელების ტაქტიკური ხაზი იყო უარყოფითი და გარკვეულწილად

¹ გაზ. „ერთობა“, 23 ივნისი, 1918.

² ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ., 1990, გვ.91.

კონფლიქტოგენური. კერძოდ: ზემოთმოყვანილი ფუნქციური ცვლილების სანაცვლოდ (საბჭოებისათვის სახელმწიფოებრივი ფუნქციების ჩამორთმევისა და ერთიანი ეროვნული მთავრობის გაძლიერების საკომპენსაციოდ) საბჭოები მოითხოვდნენ მთავრობის თავმჯდომარედ აღმასკომის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას არჩევას, აღმასკომისა და რეგიონული ცენტრის წევრების შეყვანას მთავრობის აპარატსა და სამინისტროთა უწყებრივ სტრუქტურებში, ასევე სახალხო გვარდიის დაქვემდებარებას უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარისათვის (და არა ჯართან ერთად პარლამენტისათვის, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს – უმაღლესი მთავარსარდლისადმი). ეს იყო სახელმწიფო გადატრიალებისა და 26 მაისი მოდელის რევიზიის პირდაპირი პროგრამა.

ძნელი გასარკვევია პროცესის პერსონალისტური ასპექტი და ნოე ჟორდანიას პიროვნული როლი ივნისის კრიზისში, უფრო სწორედ, ამ როლის ხარისხი, რამეთუ თვით როლი სრულიად ამკარა და ცხადია. თავის მემუარებში ის ისე წარმოადგენს სიტუაციას, თითქოს თვითონ არ სურდა მთავრობის თავმჯდომარეობა და თბილისის საბჭოს აღმასკომისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ულტიმატუმმა (რომ ნოე ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარედ არარჩევის შემთხვევაში, საბჭოები არაფრის დიდებით არ დათმობდნენ თავიანთ სახელისუფლებო პრეროგატივებს და გვარდიაც გარკვეული მოქმედებების განხორციელებით დაიშურა) აიძულა გადაეგდა ეს ნაბიჯი. კერძოდ, ნოე ჟორდანია წერს: „როცა გვარდიას ბევრი საქმეები დაურჩა, ხოლო მთავრობას ის არ ემორჩილებოდა პირდაპირ, მოხდა აღმასრულებელი ხელისუფლების გაორება... დაიბადა აზრი ამ ორი ძალის გაერთიანების შესახებ ერთი პირის, ჩემის მეთაურობით. თუ ასეთ ოფიციალურ თანამდებობას ამდენხანს გავურბოდი და რევოლუციური ორგანოების საშუალებით მთავრობის გამაგრებით კვამყოფილდებოდი, ახლა ამკარა გახდა ჩემთვის ამ ტაქტიკის მოძველება და ახალ ცხენზე გადაჯდომა... დავმორჩილდი, მე გავხდი მთავრობის თავმჯდომარედ. გვარდია დამემორჩილა პირდაპირ... ამით დაიწყო ახალი ერა, ერთი ყველას მიერ ცნობილი მთავრობის, როგორც მთელი საქმეების მმართველის და განმკარგულებლის...“¹

ამ სიტყვებში ნოე ჟორდანია ნებსით თუ უნებლიედ, წარმოგვიდგენს სწორედ პოლიტიკური გადატრიალების ორგანიზაციის პროცესს. სხვაგვარი პოლიტიკური აქსიოლოგია უბრალოდ გამორიცხულია. რას ნიშნავს ცვლილებების განხორციელების შეუძლებლობა ჟორდანიას თანამდებობრივი აღმასვლის გარეშე? რა, ჟორდანიას არ შეეძლო ეთქვა, რომ საბჭოების მიერ თავიანთი აღმასრულებელი ფუნქციის გადაცემა მთავრობისათვის უნდა მომხდარიყო მისი თავმჯდომარედ არჩევის გარეშე, ნ. რამიშვილის პრემიერ-მინისტრობის შენარჩუნებით? რა თქმა უნდა, შეეძლო. მეორე მხრივ, ავიღოთ გვარდიის საკითხი. რატომ არ შეიძლებოდა

¹ ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 90-91.

გვარდიის გადაყვანა მთავრობის იურისდიქციაში ნ. ჟორდანიას გარეშე?

ვიმეორებთ, ძნელი გასარკვევია (ყოველ შემთხვევაში, შემდგომი კვლევა-ძიების საგანია) პროცესის პერსონალისტური ასპექტის მიზეზ-შედეგობრივი პლასტი: ნ. ჟორდანიამ წინასწარ მოამზადა ვითარება და მისი მოქმედება გახდა გადატრიალების მიზეზი, თუ თვით მიმდინარე პროცესში იძულებული გახდა ჩარეულიყო და, ფორს-მაჟორული ვითარების შინაგანი ლოგიკისადმი დაქვემდებარებით და უბრალოდ დიდი ავტორიტეტით, ჩაეცხრო ვნებათაღელვა სამთავრობო სტაბილიზაციის კუთხით.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია – ჟორდანია-ჯუღელის ალიანსი. ამის შესახებ არაორაზროვნად მიუთითებს იმდროინდელი პროცესის შინაგანი ფარული ფაქტოლოგია და, სხვათაშორის, ოპოზიციური პუბლიცისტიკაც. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი რ. გაბაშვილი, მართალია, არაფერს ამბობს გადატრიალებაზე, მაგრამ იმპლიციტურად მიანიშნებს მასზე და განსაკუთრებით სახალხო გვარდიის ფაქტორზე, როდესაც ვ. ჯუღელს უწოდებს „ერთ ჟორდანიას მეგობარს და მთავრობის თავმჯდომარედ მის დამყენებელს“.¹

გვარდიის ფაქტორზე უფრო ვრცლად საუბრობს თავის მემუარებში გენერალი გ. კვინიტაძე. ნ. რამიშვილის მთავრობაში ის იყო სამხედრო მინისტრის (გრ. გიორგაძის) მოადგილე და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული არმიის ერთ-ერთი მხედართუფროსი. კვინიტაძე შესანიშნავად ახასიათებს ნ. რამიშვილის პიროვნებას და მისი მთავრობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს. „უნდა განვაცხადო, – წერს გენერალი, – რომ ნ. რამიშვილი იყო საუკეთესო პრემიერ-მინისტრი, რომელიც შესანიშნავად უძღვებოდა მთავრობის სხდომებს, იღებდა სწრაფ და მკაფიო დადგენილებებს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. მოსახლეობა პირველი მთავრობით² ზედმინევენით კმაყოფილი იყო“.³

როგორც ჩანს, გ. კვინიტაძე მხარს უჭერდა სწორედ რამიშვილი-ჩხენკელის მემარჯვენე-ცენტრისტულ დაჯგუფებას, ძირითადად ნ. რამიშვილის სწორი და ეფექტური სამხედრო პოლიტიკის გამო. ის პირდაპირ მიუთითებს გვარდიის შტაბის და პირადად ვ. ჯუღელის ობსტრუქციებზე, შანტაჟზე, მუქარაზე იმისათვის, რათა ნ. ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარედ გაეყვანათ: „ვალიკო ჯუღელი რამდენჯერმე შემოვარდა მთავრობის სხდომაზე ყვირილით, გვარდია არავითარ მთავრობას არ დაემორჩილება, თუ მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანია არ იქნებაო“.⁴

ამდენად, გვარდიის დესტრუქციული როლი სრულიად აშკარაა გა-

¹ რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. – დაბრუნება, ტ. III. თბ., 1992, გვ. 232.

² სულ 1918-1921 წლებში სდრ-ში იყო სამი მთავრობა: პირველი კოალიციური (რამიშვილი-ჩხენკელი) – 1918 წ. 26 მაისი–1918 წ. 24 ივნისი; მეორე კოალიციური (ჟორდანია-ჩხენკელი) – 1918 წ. 24 ივნისი–1919 წ. 14 მარტი; მესამე ერთპარტიული (ჟორდანია-გეგეჭკორი) – 1919 წ. 14 მარტი–1921 წ. 18 მარტი.

³ გ. კვინიტაძე. მოგონებები, I. თბ., 1998, გვ. 106.

⁴ გ. კვინიტაძე. მოგონებები, გვ. 112.

დატრიალების ორგანიზაციის პროცესში. ასევე, ცხადია ჟორდანი-ჟუ-ლელის ალიანსიც და გვარდიის მთავარი შტაბის პარაპოლიტიკური ფუნქციაც. გვარდიის ულტიმატუმი, რომ ის დაექვემდებარებოდა მხოლოდ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობის ქვეშ მყოფ მთავრობას, სხვა არაფერია, თუ არა გადატრიალების ორგანიზაცია სამხედრო ძალის გამოყენების მუქარით, რაც პოლიტიკურ გადატრიალებას სამხედრო გადატრიალების კომპონენტს ანიჭებს (მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ სამხედრო ძალის ამოქმედება არ მომხდარა).

პროცესის „შინაგან ანატომიაში“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 15-16 ივნისის სხდომას. ამ სხდომაზე ნ. რამიშვილმა წარადგინა კოალიციური მთავრობის საპროგრამო დეკლარაცია, რომლის ირგვლივაც გაიმართა მძაფრი საპარლამენტო დისკუსია. თავის მოხსენებაში ნ. რამიშვილმა ჩამოაყალიბა მისი მთავრობის სამომავლო საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის პრიორიტეტები. საშინაო პოლიტიკა უნდა აგებულიყო მემარჯვენე ცენტრიზმის პლატფორმაზე და რეფორმები უნდა გატარებულიყო ყველა სოციალურ ფენასთან კომპრომისის გზით. მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ვექტორად კი პრემიერ-მინისტრი მიიჩნევდა ოსმალეთთან 4 ივნისის კაბალური ხელშეკრულების დროებითობას და მისი გადასინჯვისათვის აქტიურ ბრძოლას და, რაც მთავარია, საქართველოს სუვერენიტეტის განუხრელ დაცვას გერმანიასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირით.¹

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ნ. რამიშვილის პოზიცია სამხედრო სტრუქტურის მშენებლობის საკითხში. მან დეკლარაციაში „ხაზი გაუსვა ევროპული წესით მონყობილი რეგულარული არმიის აუცილებლობას... რომ ხალხი უნდა გაეცნოს სამხედრო ხელოვნებას და საჭიროების შემთვევაში სახალხო მილიცია გაიწვიოს...“² მაშასადამე, პრემიერ-მინისტრს სიტყვაც არ დასცდენია სახალხო გვარდიაზე, რაც ნიშნავდა პარამილიტარიზმის უპირობო უარყოფას, ხოლო გვარდიის ჩანაცვლება „საჭიროების შემთვევაში მონვეული სახალხო მილიციით“ გულისხმობდა ჩვეულებრივი ევენტუალური მობილიზაციის რეჟიმის დაწესებას.

ნ. რამიშვილის პოლიტიკურ კონცეფციაში ღერძული მოტივი იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ზოგადსახელმწიფოებრივი მიმართულების პრიორიტეტი პარტიულ-იდეოლოგიურთან შედარებით. ეს იყო მემარჯვენე-ცენტრისტული ხაზი მმართველ პარტიაში. შეიძლება ვინმე შემოგვედაოს და გვითხრას, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ პარტიაში ბუნებრივია განსხვავებული შეხედულებები და ნორმალური შიდა-პარტიული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ „რამიშვილის ჯგუფის“ პროგრამა უბრალო ფრაქციონიზმი კი არ

¹ სცსსა,ფ.1836, აღნ.1, ს. 64, ფ.1-2.

² ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.). თბ., 2001, გვ. 105

იყო, არამედ „ჯგუფური“ იდეურ-პოლიტიკური აზროვნებით და „ჯგუფური დისციპლინით“ წარმოქმნილი მემერჯვენე-ცენტრისტული სახელმწიფოებრივი პლატფორმა.

ამასთან, 15 ივნისის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული მწყობრი, სისტემური პროგრამა (გერმანული ორიენტაცია, სუვერენიტეტის მტკიცედ დაცვა, ევროპული ტიპის სამხედრო სისტემა, ფინანსების მოწესრიგება და ეროვნული ვალუტის შექმნა, საერობო თვითმმართველობა, სასამართლო რეფორმა, დამფუძნებელი კრების მოწვევა) ნათლად ადასტურებს, რომ ნ. რამიშვილი გადადგომას არ აპირებდა და მიზნად ისახავდა კოალიციური მთავრობის სათავეში ბოლომდე ყოფნას. ნ. რამიშვილის დეკლარაციამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია „მემარცხენე ფლანგზე“. ეროვნული საბჭოს 15 და 16 ივნისის სესიაზე მთავრობა ირიბი კრიტიკის პრიზმაში გაატარეს სოციალ-დემოკრატებმა (ირ. წერეთელი, ნ. ხომერიკი, ნ. ჟორდანიას), სოციალისტ-ფედერალისტებმა (ს. ფირცხალავა, ს. მდივანი, ა. პაპავა) და ესერებმა (ი. გობეჩია, გ. ნათაძე).¹ კრიტიკა უმთავრესად კონცენტრირდა იმაზე, რომ ნ. რამიშვილის მთავრობას ბრალი დასდეს „ბურჟუაზიული კურსის“ გატარებაში, „სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევაში“ და ა.შ. სამთავრობო კრიზისი გარდაუვალი გახდა.

კრიზისული „კვანძის გახსნის“ ფუნქცია შეასრულა ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დახურულმა სხდომამ, რომელიც 23 ივნისის საღამოს გაიმართა. იმის გამო, რომ ეროვნულ საბჭოს 24 ივნისის უნდა დაემტკიცებინა მთავრობის თავმჯდომარე (ან ისევე ნ. რამიშვილი, ან ახალი კანდიდატურა) და ამ საქმეში უმრავლესობის ფრაქციას გადამწყვეტი ხმა ჰქონდა, ცხადია, რომ სწორედ ეს სხდომა იყო ყველაზე კრიტიკული. სწორედ აქ შეეჯახა ერთმანეთს რამიშვილი-ჩხენკელი-კვინიტაძისა და ჟორდანიას-წერეთელი-ჯუღელის „სამთა კავშირები“. რასაკვირველია, ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ფრაქციის თავმჯდომარის, ირ. წერეთლის პოზიციას (ნ. ჟორდანიას მხარდამჭერ პოზიციას).

აკ. რამიშვილი ასე აღწერს (რ. არსენიძის მიერ 1961 წ. ოქტომბერში პარიზში გამოცემულ ჟურნალ „ბრძოლის ხმაში“ გამოქვეყნებული სტატიის საფუძველზე) 23 ივნისის გამართული საპარლამენტო ფრაქციის სხდომას: „... სხდომას ნოე რამიშვილიც ესწრებოდა. ირაკლიმ (ირ. წერეთელმა – დ.ჯ.) მოულოდნელად, მთავრობის თავმჯდომარედ ნაცვლად ნოე რამიშვილისა, ნოე ჟორდანიას კანდიდატურა წამოაყენა. ბევრი ჯიუტობდა: სხვა თავმჯდომარეს, თუ შეცდომას ჩადენს, ადვილად გამოვცვლით, ნოე ჟორდანიას კი ვერაო“.²

სხდომამ მიიღო ირ. წერეთლის წინადადება, ნ. რამიშვილს არა-

¹ გაზ. „ერთობა“, 18, 19 ივნისი, 1918. ეროვნულ-დემოკრატების მიერ მთავრობის ტრადიციულად მკაცრი კრიტიკა ამ შემთხვევაში სცილდება საკვლევადიებო საკითხის ფარგლებს.

² აკ. რამიშვილი. ჩვენი შეცდომები. თბ., 2000, გვ. 23.

ვითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. არადა, მას ნამდვილად შეეძლო მანევრირება, რალაც მიზეზით გადადგომის საკითხის მეორე დღემდე გადავადება, მეორე დღეს კი, ეროვნული საბჭოს სხდომის დაწყებამდე, გენ. გ. კვინიტაძის კორპუსის დახმარებით გადატრიალების ორგანიზატორთა (ნ. ჟორდანიას, ირ. წერეთელი, ვ. ჯუღელი და გვარდიის მთავარი შტაბი) დაპატიმრება. მაგრამ რამიშვილმა ეს არ გააკეთა და გადადგომაზე თანხმობა განაცხადა. როგორც ჩანს, ის მიხვდა, რომ ვერ მიიღებდა მხარდაჭერას მმართველი პარტიისაგან. ამასთან, სრულიად ცხადია, რომ სახალხო გვარდიის ფაქტორმა ნ. რამიშვილი სამოქალაქო ომის, ყოველ შემთხვევაში სახალხო გვარდიისა და ეროვნული ჯარის სამხედრო დაპირისპირების პერსპექტივამ შეაშინა.

1918 წლის 24 ივნისს გაიმართა ეროვნული საბჭოს საგანგებო სესია,¹ რომელმაც სისრულეში მოიყვანა 23 ივნისის თათბირის გადაწყვეტილება და ფაქტობრივად მოახდინა სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაცია: სესიამ დაადასტურა ნ. რამიშვილის გადადგომა (ახალ კოალიციურ მთავრობაში მან შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა) და მთავრობის თავმჯდომარედ დაამტკიცა ნ. ჟორდანიას. სახალხო გვარდია გადავიდა მთავრობის იურისდიქციაში, ხოლო მისი მთავარი შტაბი დაექვემდებარა მთავრობის თავმჯდომარეს. თბილისის საბჭოს აღმასკომისა და ამიერკავკასიის საბჭოების რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი პირები თანამდებობრივად გადაანაწილეს სამინისტროების დეპარტამენტებსა და უწყებრივ სამმართველოებში, რითაც საბჭოების ელიტა შეერწყა სამთავრობო აპარატს, რამაც წარმოშვა ქართული ბიუროკრატის ახალი ფენა.

ასე განხორციელდა სდრ-ში უსისხლო გადატრიალება 1918 წ. 24 ივნისს. ამ მოვლენის შეფასება, ალბათ, უნდა დაეყრდნოს იმის მტკიცებას, რომ, მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ადგილი ჰქონდა სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს. გადატრიალების მომენტში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორია იმყოფებოდა ბიფურკაციის „წერტილში“ – შემდგომი განვითარების სხვადასხვა ვარიანტის, სხვადასხვა გზების, განშტოებების „წერტილში“, ამკარა გზაგასაყარზე. გადატრიალების საფუძველზე არჩეულ იქნა მემარცხენე-ცენტრისტული განვითარების ვარიანტი, ხოლო „რამიშვილის გზა“ დაიბლოკა. საქართველომ დაკარგა „შვეციის მოდელით“ განვითარების შანსი, დასავლური პლურალისტური დემოკრატის და შერეული ეკონომიკის სინთეზის პერსპექტივა.

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 2 ივლისი.

DAZMIR JOJUA

**OVERTURN OF JUNE 24, 1918 IN GEORGIA
AND ITS IMPACT ON THE COUNTRY'S INTERNATIONAL SITUATION**

The article presents a significant moment in the three-year history of the Democratic Republic of Georgia – Revolution of June 24, 1918: dismissal of N. Ramishvili from the position of Chairman of the Government and selection of N. Jordania for the position, also submission of paramilitary National Guard to N. Jordania (Instead of its dissolution or integration or its integrating in the Ministry of Defense). Based on the analysis of relevant sources it shows political crisis and revolution's internal mechanisms, secret fight for the power between Ramishvili-Chkhenkeli-Kvinitadze and Jordania-Tsereteli-Jugheli groups. A conclusion is made at the end of the work, which reflects that revolution of June 24 had great impact on the further history of the democratic republic of Georgia, and significantly determined many directions of the domestic and foreign political developments.

აგრესიული პოლიტიკის გასასამართლებლად.

საქართველოში არსებულ კონფლიქტებს წიგნის ავტორები უკავშირებენ XX საუკუნის 80-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში დაწყებულ ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მიუხედავად ამისა, ავტორები ცდილობენ ამ მოძრაობის დაკნინებას და მკითხველისათვის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას. ავტორების აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა სამართლებრივად არასწორი იყო, რადგან მას მხოლოდ თბილისის სტუდენტობა (თბილისская «золотая» студенческая молодежь) მოითხოვდა და არა საქართველოს მოსახლეობა. ავტორები არ ერიდებიან ისეთი ფაქტიზი თემებით მანიპულირებას, როგორიცაა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომლის დროსაც ავტორების აზრით, ქართველმა კომუნისტებმა სრული უუნარობა გამოიჩინეს და ვერ შეძლეს არაფორმალური ორგანიზაციებისა და თბილისელი სტუდენტების არასამართლებრივი მოთხოვნების აღკვეთა.¹ უფრო მეტიც, ცინიკურია ავტორების აზრი, რომლის თანახმად 1989 წლის 9 აპრილის მოვლენა იყო ქართველების დიდი სირცხვილი, რადგან თურმე დაღუპულთა შორის უმრავლესობა სუსტი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც განირეს ქართველმა ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა² და რომ საბჭოთა ჯარს არანაირი ბრალი ამ ტრაგედიაში არ მიუძღვოდა. ალბათ არ იქნებოდა ცუდი თუ ავტორების გაიხსენებდნენ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, 15-16 ივლისს, როდესაც სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი რადიკალები როგორ სასტიკად გაუსწორდნენ ქართველ მომიტინგეებს, ან უფრო ადრე 1989 წლის 1 აპრილს გუდაუთის შეიარაღებულმა ბრბომ როგორ სცადა ქართველი სტუდენტებით (სადაც უმრავლესობა გოგონა იყო) სავსე ორი ავტობუსის ჩაქოლვა. მათ შორის ერთ-ერთი ავტობუსის მგზავრი სტუდენტები თანაკურსელი გოგონას დასაფლავებიდან ბრუნდებოდნენ. ან თუნდაც როგორ დაარბიეს ქართული სკოლა, ფეხით გათელეს დიდი ქართველი მწერლების სურათები, დალენეს შოთა რუსთაველის ბიუსტი და ა. შ. საინტერესოა, სად იყო მაშინ მათი „ჩვენი“ ავტორების მიერ ნაქები პატივისცემა სუსტი სქესის მიმართ. ან სად იყვნენ ისინი 1992-1993 წლების ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის (მათ შორის ქალებისა და ბავშვების) მასობრივი დახოცვისას? სად იყვნენ სოხუმელი ქართველი პოეტესას, დიდი ჰუმანისტისა და ქართველ-აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მომღერლის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სიკვდილით დასჯის დროს?³

¹ В. А. Захаров, А. Б. Лакви́тава. Правовые аспекты..., გვ. 3.

² В. А. Захаров, А. Б. Лакви́тава. Правовые аспекты..., გვ. 3.

³ სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამ ომმა შეიწირა მრავალი ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც ომში არ მონაწილეობდნენ, უფრო მეტიც პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

„ქართულ-აფხაზური“ კონფლიქტის¹ გაღვივებაში ზახაროვი და ლაკვიტავა, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ქართველ მეცნიერებს სდებენ ბრალს.

1. ავტორები ამტკიცებენ, რომ ქართველმა მეცნიერებმა გააყალბეს აფხაზეთის ა/რ-ის იმდროინდელი მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები და არ სჯერათ, რომ 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის დროს აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 17% პროცენტს შეადგენდნენ. სინამდვილეში აღწერა ჩატარდა საკავშირო მასშტაბით და მასში ჩართული იყო საკავშირო მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოები მოსკოვიდან, შესაბამისად ქართველ მეცნიერებს არც მოსახლეობის აღწერაზე მიუწვდებოდათ ხელი და არც აღწერის შედეგების გაყალბება შეეძლოთ.

ისტორიული წყაროები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთში ნამდვილად მოხდა მთის მოსახლეობის დიდი რაოდენობით ჩამოწოლა. XV-XVI საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, საქართველომ ვერ უზრუნველყო მათი ჩამოწოლის შეჩერება და ვერც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დაცვა, რომლის ერთი ნაწილის ფიზიკური განადგურება, ან ასიმილაცია, ხოლო დიდი ნაწილის მიგრაცია მოხდა დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ისტორიულ რეგიონებში. ამ მოვლენას ქართველ მეცნიერებთან ერთად თვით აფხაზი ისტორიკოსებიც ვერ უვლიან გვერდს. მიუხედავად ამისა, ეს მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვაროვნად არ არის შეფასებული. ყველა ქართველ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ აფხაზები უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ აფხაზეთში, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს რამდენად არიან თანამედროვე აფხაზები (რომელთა თვითსახელწოდება არის „აფსუა“) იმ ძველი აფხაზების შთამომავლები?² ნაწილს მიაჩნია, რომ თანამედროვე აფხაზები ძველ ქართულ წყაროებში დასახელებული აფხაზების შთამომავლები არიან, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ დღევანდელი აფხაზები არიან ჩრდილოეთიდან XVI-XVII საუკუნეებში ჩამოწოლილი მთის მოსახლეობა, რომელიც თავის თავს „აფსუას“ და არა აფხაზს უწოდებს. მიუხედავად ამისა, არცერთ ქართველ ისტორიკოსს ეჭვქვეშ არასოდეს არ დაუყენებია თანამედროვე აფხაზი მოსახლეობის უფლება – იცხოვრონ აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ამას ცრუოებენ განსახილველი ნაშრომის ავტორები ვ. ზახაროვი და ა. ლაკვიტავა. სამწუხაროდ, ამ აზრს თავად აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფია უწევდა (და დღესაც აქტიურად უწევს) პროპაგანდას აფხაზურ საზოგადოებაში, რაც აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი გახდა,

¹ სინამდვილეში, ისტორიამ დაადასტურა რომ ეს იყო არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არამედ ომი ჩრდილოელ მეზობელთან რომელმაც ამ სახით დასაჯა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი „მომძე“ რესპუბლიკა.

² ამ ბოლო დროს ამ ეჭვს აძლიერებს მათი დამოკიდებულება აფხაზეთში არსებული ქრისტიანული კულტურის ძეგლების მიმართ.

ხოლო დღეს ამ ფაქტით ამართლებენ ქართული (და არამართო ქართული) მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილ გაუგონარ სისასტიკეს, როგორც 1992-1993 წლების ომის დროს, ასევე მას შემდეგ, რაც დღემდე გრძელდება.

2. ავტორებს აღიზიანებთ ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრის ქართული პრესა მათ „აფსუსს“, ხოლო აფხაზეთს „აფსნის“ უწოდებდნენ. საყურადღებოა, რომ ტერმინი „აფსუსა“ და „აფსნი“ აფხაზი და ზოგიერთი რუსი მეცნიერის, ასევე საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ აქტიურად იყო რეკლამირებული და აფხაზეთს „აფსნიდ“¹ მოიხსენიებდნენ მაშინაც და ახლაც. გაუგებარია რატომ არის ეს გამაღიზიანებელი?!

3. ავტორებისთვის ასევე გამაღიზიანებელია ის ფაქტი, რომ აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე თავის პუბლიკაციაში „აფხაზები და აფხაზეთი“ წერს, რომ ქართველები ყოველთვის ცხოვრობდნენ აფხაზეთში და რომ აქ მათი მიგრაცია არასოდეს მომხდარა, როგორც ამას ამტკიცებენ სეპარატისტული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები. ჩვენი აზრით, აფხაზეთში ქართველთა აბორიგენობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენება ნიშნავს აფხაზეთის შესახებ არსებული საისტორიო წყაროების არცოდნას, ან განგებ გვერდის ავლას. რომ არაფერი ვთქვათ ქართულ თუ უცხოენოვან მათიანეთა ცნობებზე, აფხაზეთში დღესაც დგას ქრისტიანულ კულტურის ძეგლები, რომლებსაც ამშვენებს მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი წარწერები.

ეჭვგარეშეა, რომ მსგავსი პუბლიკაციები ნაკარნახევია დღევანდელი სეპარატისტული კონიუნქტურით. დღეს აფხაზეთში აშკარად ჩანს, რომ სეპარატისტულ იდეოლოგიას და ანტიქართულ ისტერიულ „ბოდვებს“ თანდათან უჭირს და აშკარაა რომ მომავალში კიდევ უფრო გაუჭირდება. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ არის „გათვლილი“ მსგავსი პუბლიკაციები, რაც ბუნებრივია რუსეთის იმპერიული წრეების აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება.

ეხებიან რა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, ავტორების აშკარა სიხარულს იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ვერ გაართვა თავი იმ რთულ პოლიტიკურ პროცესებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყანაში. ჩვენ აზრით, ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ მართლაც ვერ გაართვა თავი იმ რთულ პოლიტიკურ ლაბირინთს, რაც რუსულმა სპეცსამსახურებმა დახლართეს ჩვენს ქვეყანაში და რაც მიმართული ჯერ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების, ხოლო მოგვიანებით საქართველოს ახალ რუსულ გაერ-

¹ ყველას კარგად გვახსოვს სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ქალაქებში გამოფენილი ბილბორდები «АПСНЫ – СТРАНА ДУШЫ». ტერმინი „აფსნი“ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულამდეც აქტიურად გამოიყენებოდა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე ცალკეული სახელწოდებების სახელდებაში: მაგალითად, არსებობდა აფხაზურენოვანი გაზეთი «АПСНЫ КАПШ», ჟურნალი «аПСНЫ аказара» და ა. შ.

თიანებაში (ე.წ. СНГ-ში) შეყვანის მიზნით. ფაქტია, რომ ამ მოვლენებს ბევრმა ქართველმა შეუწყო ხელი. მართლაცდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა ვერ გათვალეს ქართული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რადგან არ იყო სათანადო გამოცდილება, არ იყო პროფესიული კადრები, საზოგადოება დაიყო ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად რაც ყველაზე დიდი შეცდომა იყო, არ იყო პოლიტიკური პრაგმატიზმი, და რაც მთავარია, არ არსებობდა მექანიზმი, და არც გამოცდილება, რომელიც გაუმკლავდებოდა რუსული სპეცსამსახურების გეგმებს ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს მიმართ. საზოგადოების პოლარიზაციამ ბიძგი მისცა იმ მოვლენებს, რომელიც შემდგომ განვითარდა აფხაზეთში 1992-93 წლებში, რაც აფხაზი და რუსი ექსპერტების თუ პოლიტოლოგების დაუფარავ სიხარულს იწვევს, რადგან მათი აზრით სწორედ აქ გამოვლინდა საქართველოს „იმპერული ხასიათი“.¹

ნაშრომის ავტორები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის იდეას ამართლებენ გაყალბებული ისტორიული მოვლენების მოხმობით, სადაც საქართველო წარმოდგენელია აგრესორად და სრულიად იგნორირებულია რეალური ისტორიული ფაქტები, რაც ხდებოდა 1918-1921წწ. აღნიშნული საკითხიც წინა პლანზე წამოწეულია სეპარატისტული იდეოლოგიის გაძლიერებისა და შენარჩუნების მიზნით.

თვალშისაცემია ავტორების უპირობო, ლოიალური დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლების მიმართ. ავტორები მთელი ძალით ცდილობენ დაარწმუნონ რუსულენოვანი მკითხველი, რომ აფხაზებს არ სურდა საბჭოთა კავშირის დაშლა და ამის არგუმენტაციად მოყავთ 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმის შედეგები საბჭოთა კავშირის შენარჩუნების შესახებ, რომელიც აფხაზეთში ჩატარდა და აქ ვანყდებით ერთ საინტერესო არითმეტიკულ გარემოებას, კერძოდ, ავტორთა მონათხრობი, «Абхазская АССР участвовала в референдуме 17 марта 1991 года, в котором из 318 тыс. чел. имеющих право голоса, приняло участие более чем 166 тыс. человек (52.3% населения), за сохранения СССР проголосовало 164 231 тыс. человек т.е 98.6%».² საინტერესოა, რომელი მონაცემებით სარგებლობდნენ ავტორები და რა ფორმულით გამოიყვანეს ეს ციფრი ავტორებმა, ან რა საოცარი „ოსტატობით“ მიუსადაგეს მას ლამის ას პროცენტთან შედეგი ისე რომ სრულიად იგნორირებული იქნა 152 ათასი ადამიანის ნება?!

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ფაქტობრივად

¹ აღსანიშნავია, რომ ტერმინი «малая империя» საქართველოსთან მიმართებაში პირველად გამოიყენა საბჭოთა დისიდენტმა ანდრეი სახაროვმა, რომელსაც, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლა დაუშვებლად მიაჩნდა და მისი დისიდენტური საქმიანობა მიმართული იყო საბჭოთა იმპერიის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვისაკენ და არა ერთა თვითგამორკვევისა და მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაკენ.

² В. А. Захаров, А. Б. Лаквитав. Правовые аспекты..., გვ. 20.

ქართულ მოსახლეობას ავტორები (ამ შემთხვევაში აფხაზი და რუსი) სათვალავში არ თვლიან, მათთვის არსებობს მხოლოდ აფხაზური მოსახლეობა და მათი ინტერესები. საყურადღებოა, რომ ავტორები უპირისპირდებიან რა იმავე საბჭოთა კავშირის აღწერის ფაქტობრივ მონაცემებს აცხადებენ რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის რაოდენობა 160 ათას ადამიანს აჭარბებდა. საინტერესოა საიდან მოაქვთ ეს ციფრი, ან რომელი აღწერის მონაცემებს ეყრდნობიან? მაშინ როცა თვით მოსკოვის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საკავშირო აღწერა აფხაზეთში ამკარად და მკვეთრად განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობენ.

ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციისა და გაყალბების შემდეგ ავტორები ცდილობენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ საკითხს საერთაშორისო სამართლის ნორმები მიუსადაგონ. ჩამოთვლილია მთელი რიგი იმ საერთაშორისო დოკუმენტებისა, რომელიც მიღებულ იქნა გაეროს ეგიდით გასული საუკუნის 50-70-იან წლებში, სადაც ლაპარაკია დეკოლონიზაციის და ერებისა და ხალხების თვითგამორკვევის პრინციპებზე, ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტები შექმნილი იყო გარკვეული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, აფრიკის და აზიის ქვეყნებში ანტიკოლონიური მოძრაობის ფონზე, რათა ახლად ჩამოყალიბებულ აფრიკის ქვეყნებს ჰქონოდათ გარკვეული საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები თავინთი დამოუკიდებლობის აღიარების გზაზე. გარდა ამისა, კოლონიურ ქვეყნებს არ გააჩნდათ საერთო საზღვრები თავიანთ მეტროპოლიტთან და არც საერთო პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული წარსული.

როცა ლაპარაკია თანამედროვე შეხედულებებზე ერების და ხალხების თვითგამორკვევის პრობლემებზე იკვეთება რამოდენიმე მოსაზრება. კერძოდ, რომ ხალხების უფლება თვითგამორკვევაზე არის საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა – *jus cogens*, რომელსაც იზიარებს ერთი ნაწილი სამართლის ექსპერტებისა, მეორე ნაწილი თვლის რომ თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ ვითარებაში, როცა არ ირღვევა მეორე ერის, ან სახელმწიფოს უფლებები. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ერების და ხალხების თვითგამორკვევის უფლება არის პოლიტიკური და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე და რომ თვითგამორკვევის უფლებათა შემდგომ ესკალაციას შეუძლია გამოიწვიოს (და იწვევს კიდევაც) დესტრუქტიულ მოვლენებს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ერების და ხალხების უფლებებთან და ხდება რელიგიური და ეთნიკური სეპარატიზმის საფუძველი.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა უმრავლესობა, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, ეყრდნობა გაერო-ს 1970 წლის 2625 (XXV) რეზოლუციასა და ვენის 1963 წლის დეკლარაციებს, რომლის თანახმად მიღებულ პრაქტიკაში უფლება „გარეშე თვითგამორკვევაზე“ ეხება მხოლოდ იმ ხალხებს, რომლებიც იყვნენ კო-

ლონიური ან სხვა სახის დამოკიდებულებაში ან უცხოური ოკუპაციის ქვეშ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებას არ ძალუძს პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტრუმენტებით ამ ხალხების უფლებების დაცვა, რაც იწვევს მათი უფლებების უხემ დარღვევას. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი საკითხის ასეთი სახით (სეცესიით) დაყენება. რომელიც ყოველთვის მტკივნეული პროცესია.¹

თუ კოლონიალიზმის დროს დამონებულ ხალხებს არ გააჩნდათ პოლიტიკური და სხვა სახის უფლებები, დღეს მცირე ერებისთვის და ხალხებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ერთი სახელწიფოს შიგნით არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ენობრივ, კულტურულ და სხვა სახის განვითარებას, რაც ზოგჯერ დაკავშირებულია სხვასავე სახის და ხარისხის ავტონომიების არსებობასთან (ასეთი მეთოდი ევროპის ბევრ ქვეყანაში არის აპრობირებული). რა თქმა უნდა, ეს საკითხები დაკავშირებულია სახელწიფოს მონყობის სტრუქტურასთან (უნიტარიზმი, ფედარალიზმი, კონფედერაცია).

დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში ხალხების თვითგამორკვევის საკითხი ბადებს გარკვეულ კითხვებს, რადგან თუ კოლონიალიზმის რღვევის ეპოქაში ის გამართლებული იყო, დღეს საკითხის ამგვარი წამოწევა ყოველთვის არ ნიშნავს მის განსაკუთრებულ აქტუალობას და ხშირ შემთხვევაში ინსპირირებულია გარე ან დესტრუქციული ძალების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური ან ეკონომიური ინტერესები.

საერთაშორისო ურთიერთობებში, ერთა თვითგამორკვევის საკითხები ეფუძნება, ერთი მხრივ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, მეორე მხრივ, ეთნიკური ჯგუფების და ხალხების კონსტიტუციურ უფლებებს, რომელშიც საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, განერილია ეროვნული უმცირესობების უფლებები. ამ სახის ვალდებულებებს საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს „ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“,² „დეკლარაცია ეროვნული რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა შესახებ“, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ და ა. შ.³

1992 წლის 31 ივლისიდან საქართველო არის გაეროს წევრი-ქვეყანა. იგი არის ერთადერთი საერთაშორისო მთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ყველა სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სა-

¹ **პიტერ მალანჩუკი**. აკერჰასტის საერთაშორისო სამართალი, რედაქტორი ლალი ქადაგიძე, ანა ჭაბაშვილი, თბ. 2005, გვ. 191; **Anthony Aust**. Handbook of International Law. Cambridge University Press, 2005, გვ. 230-231.

² „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენცია, – <http://www.parliament.ge/konkursi-2013/2/con-erovn-umcire-1995.pdf>.

³ კრებ. „ეროვნული უმცირესობების უფლებათა მარეგლამენტირებელი ნორმები საერთაშორისო სამართალში და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა“. რედ. ელენე თევდორაძე. თბ. 2010.

მართლის სუბიექტს, აერთიანებს. გაეროს ფარგლებში მიღებული საერთაშორისო აქტები სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნებისათვის, მაგრამ იმავდროულად გაერო იღებს ისეთ დოკუმენტებსაც, რომლებსაც ყოველთვის არ გააჩნიათ საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებითი ხასიათი წევრი-სახელმწიფოებისათვის და ატარებს რეკომენდაციის ხასიათს. ანუ, გაეროს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისადმი მიდგომა ატარებს ზოგად და საბაზისო ხასიათს. ამ სფეროში არსებულ დეკლარაციებისა და კონვენციების უმრავლესობა შეიცავს ზოგად ნორმებს დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ, სახელმწიფოს მხრიდან მათი დაცვის გარანტიების კონკრეტული აღნიშვნის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, სადაც მოცემულია უფლებათა განსაზღვრული ჩამონათვალი და გათვალისწინებულია მათ რეალიზაციაზე კონტროლის მექანიზმი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტის მხრიდან. ჩვენი „ნაშრომის“ ავტორები არაფერს ამბობენ ამ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებზე და არც მიუთითებენ მას, მაშინ როცა, XXI საუკუნის აფხაზეთში ღიად და დაუფარავად მიმდინარეობს ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია, მათი უფლებების უგულვებელყოფა, თვით საარჩევნო უფლებების ჩათვლითაც კი. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს XXI საუკუნის აპარტიდთან, რომლის შესახებ ღია საუბარი და საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება, „აფხაზეთთან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის აღდგენის“ საფარველით, დღემდე თავშეკავებულ და შეიძლება ითქვას „ნომენკლატურულ“ ხასიათს ატარებს. ფაქტობრივად დღეს აფხაზეთში, აპარტიდის პირობებში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის დამცველი არავინაა. საქართველოს ხელისუფლება (90-იანი წლებიდან დღემდე) მხოლოდ აფხაზეთა უფლებების გარკვევითა და მათი სურვილების ახდენის ნანატრი ოცნებითაა გართული.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის სფეროში ეუთოს ძირითად დოკუმენტს 1975 წლის ჰელსინკის შემაჯამებელი აქტი წარმოადგენს. მოცემულ სფეროში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია აგრეთვე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის, ადამიანური განზომილების კონფერენციის კოპენჰაგენის 1990 წლის დოკუმენტს, რომლის IV ნაწილი (მუხლები 30-40) შეიცავს კონკრეტულ დებულებებს ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და კულტურული უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობის თაობაზე. ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ეროვნულ უმცირესობათა დარგში ოფისმა ჩამოაყალიბა რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტები, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად: ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით (1998 წ.), ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ

უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით (1996 წ.), რეკომენდაციები ტელერადიომაუწყებლობაში უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებით (2003 წ.), ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით (1999 წ.). ლუნდის რეკომენდაციების საფუძველზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა 2001 წელს ჩამოაყალიბა რეკომენდაციები საარჩევნო პროცესში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ. 2006 წლის თებერვალში კი, ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ეროვნულ უმცირესობათა დარგში ოფისმა მოამზადა რეკომენდაციები მრავალეროვან საზოგადოებაში პოლიციის საქმიანობის შესახებ. ეუთო-ში წევრობის გათვალისწინებით, საქართველომ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტმა ქვეყანამ ვალდებულებად მიიღო ეს რეკომენდაციები და ეუთოს ფარგლებში მიღებული უმცირესობათა უფლებების დაცვის სხვა სახის დოკუმენტები, უზრუნველყო მათი გამოყენება საკუთარი პოლიტიკის გატარებისას და მოახდინა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ზემოთხსენებულ დოკუმენტებთან სინქრონიზაცია. იცნობენ კი მსგავს დოკუმენტებს ჩვენი აფხაზი და რუსი ავტორები? რატომღაც ამ საკითხებზე ისინი დუმილს არჩევენ და საერთაშორისო სამართალზე საუბრის დროს კოლონიალიზმის ეპოქის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებით გვესაუბრებიან, მაშინ როცა საერთაშორისო სამართალში მას მერე ბევრი რამ შეიცვალა და თვისობრივად ახალი მიდგომები ჩამოყალიბდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში არსებობს ევროპის საბიჭოს უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტები და მექანიზმები, რომლებსაც მიერთებულია საქართველო. ესენია:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წ.;
2. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, 1995 წ.;
3. ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ, 1992 წ.;
4. ევროპის სოციალური ქარტია, 1961 წ. (შესწორებული 1996 წ.);
5. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 1985 წ.;
6. ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენცია, 1980 წ.;
7. ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1995 წ.);

8. ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი №2 (1998 წ.);

ევროპის საბჭოს ფარგლებში, სპეციალურად უმცირესობათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ მექანიზმებთან ერთად, უმცირესობათა უფლებების დაცვა წარმოადგენს ისეთი ორგანოების საქმიანობისა მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, როგორცაა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესი, ვენეციის კომისია და სოციალურ უფლებათა ევროპის კომიტეტი.

საქართველო ვალდებულია შეასრულოს ეს ნორმატივები სხვა უმცირესობების მიმართ, მაგრამ არსებობს კი მექანიზმი, რომელიც ამ დოკუმენტების საფუძველზე, აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს ამ ეტაპზე დაიცავს?

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები მიმართული ეროვნული უმცირესობების კულტურული და სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც შიდასახემნიფოებრივი აქტების სინქრონიზაციის შედეგად უნდა მოხდეს, მაგრამ აფხაზი და ოსი სეპარატისტებისათვის, პირველ რიგში კი რუსეთის ხელისუფლებისათვის, რომელიც არის რეალური „მეპატრონე“ ამ რეგიონებისა საერთაშორისო სამართლის თანამედროვე ნორმატიული აქტები მიუღებელია, შესაბამისა ისინი აპელირებენ იმ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა თავისი აქტუალობა, მაგრამ კომფორტულია სეპარატისტული პრეტენზიებისა და იდეოლოგიის რეკლამირებისათვის. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ამ ეტაპზე ნუთუ არ არის უხერხული ისაუბრო „ქართველ იმპერიალისტებზე“ და ამ დროს, შენს მიერ კონტროლირებად და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ „მონათლულ“ ტერიტორიაზე, ქართულ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე სწავლის, თავისუფალი გადაადგილების, ქონების შექენისა და გაყიდვის, და რაც მთავარია, საარჩევნო უფლებებს ართმევდე?!

ჩვენ არ უარეყოფთ, რომ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში სამწუხაროდ ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მაშინ ჩვენი სახელმწიფო არ გაგვაჩნდა. სახელმწიფო, რომელიც შეიმუშავებდა ქვეყნის ერთიანობის ფუნდამენტალურ საფუძვლებს, დაგეგმავდა ქვეყანაში მცხოვრები ერებისა და ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დაცვას, შეიმუშავებდა მათთან ურთიერთობების მექანიზმებს და აღნიშნულ ურთიერთობებში გაითვალისწინებდა ისტორიულ რეალობას, რომელიც უკვე ნაცადი და გამოცდილი იყო საუკუნეების მანძილზე. სწორედ ამიტომ ყველაფერი წარიმართა ისე, როგორც სურდა მესამე ძალას, რომელიც XX საუკუნის 90-იან წლებში,

ლამის მთელი კავკასიის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგა. სწორედ ამისთვის დასჭირდა მას „აფხაზური“ და „ოსური“ კოზირის გათამაშება, რომლის განხორციელებით შეძლო ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარება, შეძლო საქართველოს ინტეგრაციის შეჩერება დასავლურ ორგანიზაციებში და ამავე დროს აზერბაიჯანთან და სომხეთთანაც პოლიტიკური ფლირტის რეჟიმში იმყოფება.

მზა რეცეპტები ამ ურთიერთობების აღდგენისა არ არსებობს, რადგან მას სჭირდება დიდი დრო და მხარეების მზადყოფნა დიალოგისათვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კარგად გააზრებული პოლიტიკა რომელიც შეუქცევადს გახდის ამ ურთიერთობებს.

OMAR ARDASHELIA

THE CONFLICTS IN GEORGIA FROM ABKHAZIAN AND RUSSIAN POINT OF VIEW

The paper explores and criticizes, in the context of international relations, the Abkhazian and Russian vision of the conflicts existing in Georgia. On the basis of international legal documents and peace treaties, as well as on the basis of argumentation of international legal norms, the author rejects a number of regulations, which are presented in the work of Abkhaz and Russian authors – V. Zakharov and A. Lakvitava. The author justly believes that such publications are ideological and propagandist in their nature and serve to the justification of the Russian aggression against Georgia, in order to consider the Abkazs and the Ossetians as victims of Georgian aggression. Such situation does not reflect both the actual legal status and real historical picture.

НАМИК АЛИЕВ

О «ЛЕГИТИМНОСТИ НЕПРИЗНАННЫХ ГОСУДАРСТВ
НА ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ»

Несколько банальных мыслей о «**легитимности непризнанных государств на постсоветском пространстве**». В основе легитимности любого государства лежит его правовая система. Легитимный процесс формирования волеизъявления народа, основанный на нем законодательный процесс являются необходимыми и определяющими условиями государственного строительства. Лишь после этого можно говорить о легитимности государства. Попробуем разобраться с «правовыми системами» непризнанных государств постсоветского пространства. Мы докажем, что в них сегодня не существует ни права, ни правовой системы, а соответственно и их мнимая «легитимность» лишь миф.

Для обоснования **первого тезиса** нам придется обратиться к сути права вообще. В Древней Греции и в Древнем Риме содержание прав человека связывали с античным полисом, который позволил выработать и затем передать поколениям огромные духовные богатства, идеи гражданства и демократии.¹ Право вообще и права отдельных людей – членов полиса восходят, согласно античным представлениям, не к силе, а к божественному порядку справедливости.

Как право вообще, так и права отдельных людей невозможны без общей нормы поведения, выражающей одинаковую для всех субъектов меру дозволенного и запрещенного, равную меру свободы. Там, где нет равной меры (общей нормы, единого масштаба), нет и права.²

Знаменитый государственный деятель и законодатель, один из «семи мудрецов» Древней Греции Солон (ок. 638-559 гг. до н.э.) понимал закон (и его власть) как сочетание права и силы. Наряду с различием права и закона такая конструкция включала в себя и понимание полисного закона как всеобщей формы и общезначимой меры официального признания и выражения прав членов полиса. Такая всеобщность закона выражает требование правового равенства: все граждане в равной мере находятся под защитой закона и подчиняются его общеобязательным нормам.³

¹ С. Л. Утченко. Политические учения Древнего Рима. М., 1977, с. 41.

² *Права человека в международном и внутригосударственном праве*. Отв. ред. проф. Р. М. Валеев. Казань, 2004, с. 9.

³ Аристотель. Афинская политика. М., 1996, с.17-18.

Что же мы наблюдаем, например, в так называемой «НКР»? Армянская община численностью 120 тысяч человек из 180-ти тысячного населения НКАО (находящейся в составе Азербайджанской Республики) отказывается подчиняться законам признанного мировым сообществом государства – Азербайджанской Республики; при поддержке вторгшихся на территорию Азербайджанской Республики вооруженных сил Республики Армения изгоняет с территории НКАО азербайджанскую общину численностью в 60 тысяч человек; захватывает прилегающие к Нагорному Карабаху другие территории, изгоняет с них сотни тысяч азербайджанцев, а затем принимается строить «демократическое» государство с «демократической правовой и избирательной системой»? Какова же суть этой правовой системы, распространяющейся на территории, с которых изгнана большая часть коренного населения? Кстати, размер этой большей части коренного населения шестикратно превышает оставшуюся там армянскую общину. Как мы видим, **«формирование права» в «НКР» нарушает сущностные принципы права: справедливость, равенство и свободу, без которых – невозможно формирование демократической правовой системы.**

Обратимся к **тезису второму**. Любому студенту юридического факультета с первых дней учебы становится известным, что право не существует без государства, а государство без права. Очевидно, что для того, чтобы нормы, регулирующие жизнедеятельность в непризнанных государствах, были признаны правовыми, прежде всего государством следует признать сами эти «образования». В теории и истории государства и права существует множество научных учений о происхождении и природе государства. В этом многообразии современная наука выделяет две основные, наиболее популярные теории: естественно-правовая теория (иначе в литературе ее называют договорной теорией или теорией **договорного происхождения** государства и права) и теория насилия, усматривающая основную причину возникновения государства в **завоевании, насилии, порабощении другими**.¹ Следует подчеркнуть, что историческо-правовой анализ позволяет убедиться в силе аргументов сторонников той и другой теорий.

В современном мире **возникновение новых государств – процесс и явление, не поощряемые мировым сообществом**, а потому далеко не частые на практике. Подобное имело место в первой половине 90-х годов прошлого столетия, когда на 15 независимых государств развалился Советский Союз, образовались новые государства вместо Социалистической Федеративной Республики Югославии и Чехо-Словацкой Социалистической Республики, произошло объединение Германии. Несмотря на драматизм

¹ См. например: *Теория государства и права*. Курс лекций. Под ред. **М. Н. Марченко**. М., 1996, с. 23-39; *Основы теории государства и права*. Учебное пособие. Отв. ред. **С. С. Алексеев**. М., 1971, с. 38-41.

сопровождаящих эти процессы событий в основе образования новых независимых государств лежал **правовой договор** (в той или иной легитимной форме), т.е. соглашения о создании этих государств, которые были признаны мировым сообществом. Это позволило цивилизованным путем перейти от государственных образований, созданных силой оружия, путем насилия, завоевания и порабощения (СССР, СФРЮ, ЧССР), к независимым государствам, созданным на основе добровольного договора, а потому и признанным другими демократическими государствами. Так, Европейским Сообществом в связи с необходимостью регламентации происходящих процессов на основе норм международного права 16 декабря 1991 года были приняты две Декларации: «*О руководящих принципах признания новых государств в Восточной Европе и Советском Союзе*» и «*О Югославии*». Этими документами Европейское Сообщество, подтверждая свою приверженность Хельсинкскому Заключительному Акту 1975 года и Парижской Хартии для новой Европы 1990 года, выразило готовность признать государствами субъекты, которые отвечают стандартам международной практики, созданы на демократических основах, выполняют международные обязательства. При этом в Декларации «*О руководящих принципах признания новых государств в Восточной Европе и Советском Союзе*» для признания перед новыми государствами были поставлены следующие условия (требования):

1. Уважение положений Устава ООН и обязательств, вытекающих из Хельсинкского Заключительного Акта и Парижской Хартии, прежде всего, касающихся демократии и прав человека;
2. Гарантирование прав этнических и национальных меньшинств;
3. Уважение принципа нерушимости границ, которые могут быть изменены мирными средствами и путем согласия;
4. С целью безопасности и региональной стабильности принятие всех соответствующих обязательств о разоружении и нераспространении ядерного оружия;
5. Решение всех вопросов о правопреемстве и региональных споров путем согласия.¹

В этот же период имели место другие события. Определенные силы, используя демократические процессы на вышеобозначенных территориях, попытались создать, под прикрытием демократических и националистических лозунгов, насильственным путем, посредством перекройки границ (т.е. нарушая принцип территориальной целостности и нерушимости границ) новые государства (Нагорный Карабах в Азербайджане, Абхазия и Южная Осетия в Грузии, Приднестровье в Молдове, Чечня в России). Однако ни в одном из этих случаев мы не имеем место

¹ *International Legal Materials*, № 31,1992, pp. 1486-1487, at p. 1487.

с правовым договором, который был бы признан мировым сообществом. Причина очевидна: **современное мировое сообщество не рассматривает насилие в качестве способа или метода создания нового государства. Создание нового государства в современном демократическом мире возможно лишь при наличии правового договора, когда к добровольному согласию пересмотра границ приходят все заинтересованные стороны.** В этом контексте было бы уместно обратиться к Декларации Европейского Сообщества от 16 декабря 1991 года о руководящих принципах признания новых государств Восточной Европы и Советского Союза, подтверждающих среди прочего «уважение неприкосновенности всех границ, которые могут быть изменены только мирными средствами и по взаимному согласию».¹ 23 декабря 1991 года в Брюсселе состоялось заседание ЕС на уровне министров иностранных дел, где было обсуждено положение в СССР и некоторых странах Восточной Европы. В принятом на этом заседании Заявлении «Двенадцати» о будущем статусе России и других бывших республик было подчеркнуто, что не будут признаваться государства, возникающие в результате агрессии.²

Мы можем со всей уверенностью подчеркнуть, что не может иметь правовой силы договор, когда к изменению границ принуждают одну из сторон силой оружия; подобный договор является юридически ничтожным и, рано или поздно, будет нарушен и расторгнут. Он постоянно будет являться потенциальным источником нестабильности в том или ином регионе. **Факт международного признания государства, созданного путем оккупации территорий другого государства, может быть расценен в мире как прецедент, и повлечет за собой непредсказуемые последствия для мирового сообщества.** Поскольку, общеизвестно, что право создается полномочными на то органами государства, то из вышеизложенного с неизбежностью вытекает, что нормы, принимаемые в непризнанных незаконных образованиях, не являются по своей сути правовыми и, следовательно, не могут образовывать в совокупности с другими факторами правовую систему.

¹ *International Legal Materials*, № 31, 1992, pp. 1486-1487, at p. 1487.

² *Действующее международное право*. В 3-х томах. Составители **Ю. М. Колосов** и **Э. С. Кривчикова**. Том I. М., 1996, с.159-161. См. также: <http://law7.ru/base48/part4/d48ru4108.htm>.

NAMIK ALIEV

**ON THE “LEGITIMACY OF UNRECOGNIZED STATES
IN THE POST-SOVIET AREA”**

A few banal thoughts on the “legitimacy of unrecognized states in the post-Soviet area”. At the base of the legitimacy of any state is its legal system. The formation of a legitimate expression of the will of the people, based on the legislative process is the essential and defining term of the nation building. Only then we can talk about the legitimacy of the state. We can state with confidence that the treaty when forced to alter the boundaries of one of the parties by force, such an agreement is void, and, sooner or later, will be disrupted or canceled. It will always be a potential source of instability in a region. The fact that the international recognition of the state created by the occupation of the territory of another State may be regarded as a precedent in the world and will entail unpredictable consequences for the global community.

ნიკო ჯავახიშვილი

**საქართველოს და ბალტიის ქვეყნების
ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.)**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ, ახლად აღორძინებული ქართული სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად იქცა ქვეყნის არსებობის შენარჩუნებისათვის მყარი საერთაშორისო გარანტიების მოპოვება.

1919 წელს შეიქმნა მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია – ერთა ლიგა. თავდაპირველად, ამ ორგანიზაციის, როგორც ვერსალის საზავო ხელშეკრულების სისტემის ნაწილის დაფუძნების დოკუმენტს, ხელი მოაწერა 44 სახელმწიფოს წარმომადგენელმა. ერთა ლიგის ძირითად მმართველ ორგანოებს წარმოადგენდა ასამბლეა – ორგანიზაციის ყველა წევრის წარმომადგენელთა კრება და საბჭო, რომლის მუდმივი წევრები იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ოთხი დროებითი წევრი. აღნიშნული მმართველი ორგანოების ადგილსამყოფელი მდებარეობდა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში. ეს ორგანიზაცია თავიდანვე იქცა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების (განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) პოლიტიკის განხორციელების იარაღად.¹

ერთა ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ, ფრიად აქტიუალური გახდა, რომ მასში გაერთიანებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც საბჭოთა რუსეთის თავდასხმის პერმანენტული საფრთხე ემუქრებოდა. ასეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორგანიზაციაში ბალტიის ქვეყნების: ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების შესვლას, რომელთა დამოუკიდებლობასაც მსგავსი საფრთხე ემუქრებოდა.

1920 წ. ნოემბერ-დეკემბერში, ჟენევაში, ერთა ლიგაში ერთად განიხილეს საქართველოს, ბალტიის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა მიღების საკითხი, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. კოლუმბიის წარმომადგენელმა რესტრეპომ განაცხადა: „ეს სახელმწიფოები აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას, რომელთაც ჩვენ წარვუდგენთ ხოლმე ახალ წევრებს; თვით კომისია სცნობს ამას! კომისია ემყარება რაღაც „მდგომარეობას“, რომელიც ხელს უშლის ამ

¹ ერთა ლიგა. – ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტ. I. თბ., 1997. გვ. 199.

კანდიდატების მიღებას. მაგრამ, ლიგის ხელშეკრულებაში არ არის დაშვებული მიუღებლობა „მდგომარეობის“ გამო. მიუღებლობა იქნება ერთა ლიგის სისუსტის დამტკიცება!“¹

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა, განათლების მინისტრმა ფიშერმა განაცხადა: „მე ვთხოვ ამ კრების დელეგატებს, რომელთაც სერიოზული კენჭისყრა მოელოდა, დაუფიქრდნენ, მზად არიან თუ არა, მართლაც ურჩიონ თავიანთ მთავრობებს, გაუგზავნონ მატერიალური დახმარება რუსეთის განაპირას მდებარე ამ გულად, პატარა სახელმწიფოს, თუ განსაცდელი მიუახლოვდა მას“.²

16 დეკემბერს გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ აღნიშნული ქვეყნების მიღების საკითხზე გამართულიყო კენჭისყრა. მასში მონაწილეობდა 24 სახელმწიფო. ერთა ლიგაში მისაღებად საჭირო იყო ხმების ორი მესამედი ანუ 16 ხმა. საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში მხარი დაუჭირა ათმა სახელმწიფომ, ხოლო სანინალმდეგო პოზიცია დაიკავა თორმეტმა ქვეყანამ. მომხრეთა შორის იყვნენ შემდეგი ქვეყნები: ნორვეგია, შვეიცარია, იტალია, პორტუგალია, სპარსეთი, სამხრეთ აფრიკა, კოლუმბია, ჩილე, პარაგვაი და ბოლივია. ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღებას უფრო ნაკლები მომხრე – სულ ხუთი სახელმწიფო გამოუჩნდა.³

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის შედეგები უარყოფითი აღმოჩნდა, ერთა ლიგის მიერ იმავე დღეს მიღებული რეზოლუციით, საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოებს, ლიგის წევრ ქვეყნებთან ერთად, შესაძლებლობა მიეცათ დაუყოვნებლივ მიეღონ მონაწილეობა აღნიშნული საერთაშორისო გაერთიანების ისეთ პრაქტიკულ ორგანიზაციებში, როგორც იყო: ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხთა კონფერენცია, საერთაშორისო სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხთა კომიტეტი, შრომის საერთაშორისო ბიურო, მიმოსვლისა და ტრანზიტის კომისია.⁴

კუბის დელეგატმა აგუერომ, რომელიც კენჭისყრის მომზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, კულუარებში დაუფარავად განუცხადა საქართველოს წარმომადგენლებს ზურაბ ავალიშვილს და მიხეილ სუმბათაშვილს: „ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავიანთი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღონ საქართველო და ბალტიის მხარის სახელმწიფოები, რასაც მოითხოვდა სამართლიანობა! მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ასეთს საქმეებს სწყვეტს არა სამართლიანობა! ამერიკის რესპუბლიკებისათვის უხერხულია წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ საკითხში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნი-

¹ **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები. ტფ., 1929, გვ. 233.

² **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს დამოუკიდებლობა... გვ. 233.

³ **ზ. ავალიშვილი.** საქართველოს დამოუკიდებლობა... გვ. 233.

⁴ **გ. შარაძე.** საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბ., 2003, გვ. 175-182.

ერების სწორედ ამ ნაწილისათვის! ინგლისმა და საფრანგეთმა, მარტო ინგლისმა მოგცეთ ხმა და ჩვენ, როგორც ერთი კაცი, – შევეუერთდებით მას“.¹

საგულისხმოა, რომ მომდევნო, 1921 წელს გამართული განმეორებითი კენჭისყრის შედეგად, როდესაც ბალტიის რესპუბლიკები მიიღეს ერთა ლიგის წევრებად, საქართველო უკვე ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ.² აღნიშნულ მოვლენას ქართული ემიგრანტული პრესა ოპერატიულად გამოეხმაურა. მომხდარის გამო სიხარულს ვერ ფარავდნენ ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბალტიის ქვეყნების ხსნის შემდეგ, საქართველოს განთავისუფლების ჟამიც დადგებოდა.

1921 წ. 30 სექტემბერს გამოცემულ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ბეჭდვით ორგანოში „თავისუფალი საქართველო“ გამოქვეყნდა სტატია „ერთა ლიგა და ბალტიის სახელმწიფოები“, რომელშიც ვკითხულობთ: „ესტონია, ლიტვა და ლატვია მიიღეს ერთა ლიგაში უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც ენკენისთვეში მოხდა. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია საერთოდ რუსეთისათვის და კერძოდ – საქართველოსათვის. იგი ბევრი რამის მაჩვენებელია დღევანდელ ევროპის პოლიტიკურ წრეებში გაბატონებული სულიერი განწყობილების შესახებ. ცნობილია, რომ პოლონეთისა და ფინლანდიის გარდა, რომელთა ჩამოშორება ყველასათვის უდავო იყო, ევროპის სახელმწიფოები ეწინააღმდეგებოდნენ დანარჩენ სახელმწიფოებრივ ერთეულებს, რომელნიც კი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდნენ... ბოლოს ევროპა იძულებული გახდა ფაქტისათვის ანგარიში გაენია და ეს სახელმწიფოები ეცნო. ამ წლის დამდეგს ისინი საქართველოსთან ერთად აღიარებულ იქნენ იურიდიულად. ამით დაიწყო ერთგვარი პრაქტიკული გადაჭრა რუსეთის მთლიანობის პრობლემის, ხოლო ერთა ლიგაში მიღებამ ეს ნაბიჯი დაადასტურა და მას მკვიდრი ხასიათი მისცა. ერთა ლიგის წევრები, როგორც ვიცით, ერთგვარ გარანტიას აძლევენ ურთიერთს ყოველივე თავდასხმისაგან. ამიტომ, ლიგაში მიღება ამ სახელმწიფოებისა ნიშნავს იმას, რომ მათზე თავდასხმა მთელ ლიგაზე თავდასხმად ჩაითვლება და დაფარვა მათი ლიგის ყველა წევრების ვალი იქნება. ეს კი პატარა სახელმწიფოებისათვის დიდი იმედია და მათი თვითარსებობის განმამტკიცებელია. ის, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მიმართ ბოლშევიკური ოკუპანტების მხრივ, ბალტიის სახელმწიფოების მიმართ ერთიორად გაძნელებულია. ასეთი თავდასხმა ამ ახალ რესპუბლიკებზე იქნებოდა აუცილებლად ევროპული ომის გამონწვევა... ხალხთა ლიგის ნაბიჯს აქვს მეორე მხარეც. ამით რუსეთის მთლიანობის საკითხი სამუდამოდ დამარხულია!“³

¹ ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა..., გვ. 235.

² ნ. კირთაძე. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ.). თბ., 1997, გვ. 162.

³ გაზ. „თავისუფალი საქართველო“. სტამბოლი-პარიზი, №9-10, 1921.

ქართული ემიგრაციის სოციალ-დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი მიხეილ ხუნდაძე (1898-1983) შენიშნავდა: „საქართველოს სახელმწიფო და მისი სუვერენიტეტი აღდგენილი იყო და ეს საკმარისია, რომ მას მიეღო ცნობა დე-იურე, მაგრამ გარდა ამისა, მას ჰქონდა იურიდიულად უტყუარი – ისტორიული უფლება დამოუკიდებლობისათვის და ეს ცნობა საქართველომ მიიღო. 1920 წ. იანვარში ის იყო ცნობილი ფაქტიურად და ერთი წლის შემდეგ იურიდიულად – საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და იაპონიის მიერ; უკვე 1920 წელს – გერმანიისა და არგენტინის მიერ; შემდეგში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ბელგიის მიერ. არ უცვნიას საქართველო ჩრდილო ამერიკის შტატებს, ვინაიდან ვილსონი რუსეთის დანაწილების წინააღმდეგ იყო. მან საერთოდ უარი განაცხადა ლიმიტროფერების ცნობაზე, პოლონეთისა და ფინლიანდიის გამოკლებით. რესპუბლიკელების გამარჯვებამ სავსებით შეცვალა ეს მდგომარეობა: შემდეგში ბალტიის სახელმწიფოები ცნობილნი იქნენ ამერიკის მიერ. აუცილებელი იყო აგრეთვე საქართველოს ცნობა, რომ მას დამოუკიდებლობა არ დაეკარგა. იმ დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ საგანს შეადგენდა იურიდიულ ცნობის (დე-იურე) მიღწევა და მასთან საქართველოს ერთა ლიგაში მიღება. ერთა ლიგის პირველ სესიაზე 1920 წელს საქართველოს და აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოების მიღების საკითხი დასმული იყო... საქართველოს მდგომარეობა და მნიშვნელობა უფრო დაფასებული იყო, ვიდრე ბალტიის სახელმწიფოების, რასაც ჩვენ კენჭისყრიდან დავინახავთ: საქართველოს – 13 წინააღმდეგი, 10 – მომხრე, 10 – თავი შეიკავა... მაშინ, როდესაც ბალტიის სახელმწიფოებმა წინააღმდეგ მიიღეს – 24 და სასარგებლოდ მხოლოდ – 5 ხმა“.¹

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, ერთა ლიგაში მიღების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს გამოუჩნდა ბალტიის რესპუბლიკებზე ორჯერ (ანუ ხუთი ქვეყნით) მეტი მხარდამჭერი სახელმწიფო, მ. ხუნდაძემ მართებულად შენიშნავდა: „როგორც შემდეგ გამოირკვა, საქართველოს მდგომარეობა უფრო სუსტი გამოდგა“.²

ყოველივე ზემოთქმულს ისიც დაემატა, რომ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მცდელობა – საკუთარ ორბიტაში მოექცია პოლონეთი, ფინეთი და ბალტიის ქვეყნები, – 1917-1920 წლებში მარცხით დასრულდა. ამის გამო, აღნიშნული ქვეყნების დაპყრობის გეგმა საბჭოთა რუსეთის მესვეურებმა დროებით მომავლისათვის გადადეს და მთელი ძალა მიმართეს კავკასიისაკენ, სადაც 1921 წ. დასაწყისისათვის დარჩენილი იყო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

¹ მ. ხუნდაძე. საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. – ჟურნ. „კავკასიონი“. პარიზი, №1-2.1929.

² მ. ხუნდაძე. საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. – ჟურნ. „კავკასიონი“. პარიზი, №1-2.1929.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937), რომელიც საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმმა სუზდალის ციხეში გამოამწყვდია, საპრობლეში ყოფნისას დაწერილ თხზულებაში „ფიქრები საქართველოში“ აღნიშნავდა: „მოსკოვის მთავრობის პოლიტიკის ობიექტური შინაგან-ისტორიული აზრი იმაშია, რომ დამარცხებულია და ევროპის ასპარეზიდან განდევნილმა რუსეთმა სოციალური დროშით მოსკოვის ჰეგემონია შექმნას და და მით რევანში აიღოს ევროპიდან. მაგრამ... რუსეთი ამ ასპარეზზედაც დამარცხდა. უკანასკნელად რუსეთი თავის ძლიერ ინტერნაციონალურ კომუნიზმის აგიტაციას თან ურთავს საკუთარ სუსტ საომარ ტექნიკას და ამ შეზავებულ საშუალებით ეკვეთა ევროპას 1920 წელს, მაგრამ ვარშავის მიდამოებში საბოლოოდ ჩაიმსხვრა და ჩაიფერფლა ევროპაზე რევანშის იმედი. მხედრულად და პოლიტიკურად ევროპაში დამარცხებული, ევროპიდან განდევნილი, ბალტიის ზღვას თითქმის სრულიად მონყვეტილი, პეტერბურგის ევროპული პერიოდიდან მოსკოვის აზიურ ეპოქაში დაბრუნებული, ევროპისაგან გალახული და ევროპაზე გულგატეხილი რუსეთი პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებს და იწყებს აზიურ პოლიტიკას... რუსეთი, რომელსაც დაეხშო პეტრე დიდის მიერ დასავლეთისაკენ გაჭრილი ფანჯარა..., ამოცანად ისახავს საქართველოს დაპყრობას, ვინაიდან ამით ის ამოიღებს იმ ევროპეიზმის ეკალს, რომელიც ასე სჭრის მის მოსკოვურ-ბიზანტიურ თვალს“.¹

ამრიგად, საქართველოს და ბალტიის ქვეყნების მცდელობას, განევრიანებულიყვნენ ერთა ლიგაში, დიდ სახელმწიფოთა უარყოფითი პოზიციის გამო, 1920 წლის მინურულს დადებითი შედეგი არ მოჰყვა. მომდევნო წელს, როდესაც ბალტიის რესპუბლიკები ერთა ლიგის წევრებად მიიღეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ.

¹ გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. რედაქტორ-შემდგენელი პ. სურგულაძე. თბ. 1995, გვ. 203-211.

NIKO JAVAKHISHVILI

**ADMISSION OF GEORGIA AND BALTIC COUNTRIES INTO
THE LEAGUE OF NATIONS**

Georgian state and Baltic republics emerged after the disintegration of the Russian Empire, but they were soon endangered by the new, Soviet Russia. Obtaining solid international guarantees of their existence became the priority of the authorities of these new states. With that end in view, they made an attempt to join the League of Nations.

The admission of the aforesaid states was considered in Geneva, at the League of Nations, at the end of 1920; because of the opposition of the major states, they were rejected. In the following year, when the Baltic republics were admitted, the Georgian Democratic Republic was already occupied by the Soviet Russia.

ნოდარ დარსანი

ოტო ფონ ბისმარკი: პოლიტიკა მეცნიერება არაა, ეს ხელოვნებაა

„პოლიტიკა მეცნიერება არაა – ეს ხელოვნებაა“ – ამ სიტყვების ავტორია (თუ ვირწმუნებთ თანამედროვეთა სიტყვებს) გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურა, გერმანიის კანცლერი ოტო ბისმარკი, რომელმაც თავის დროზე განაცხადა რეიხსტაგის სხდომაზე.¹

ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ შიონჰაუზენ ბისმარკი (1815-1898 წწ.). ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი XIX ს. მეორე ნახევარში, ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შემქმნელი, დაიბადა ბრანდებურგის საგრაფოში, შენგაუზენის საგვარეულო მამულში, ტიპიურ პრუსიულ, იუნკერულ ოჯახში.² უშუალოდ მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული გერმანიის გაერთიანება პრუსიის ეგიდით (1862-1871), ის იყო გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი (1871-1890), სამ იმპერატორთა კავშირის შექმნის ორგანიზატორი (1873 წ.), ავსტრია-უნგრეთის ხელშეკრულებისა (1879 წ.) და სამთა კავშირის დადების ინიციატორი (1882 წ.).³

ბისმარკი გახლდათ, ევროპის რიგი რევოლუციების თვითმხილველი, თვითონ იყო მონაწილე მრავალი კლასობრივი ბრძოლისა, რეაქციის მხარეზე. ის გახლდათ თანამედროვე ყველა ომისა, რომელიც გაჩაღდა ნაპოლეონ I ბონაპარტეს დამხობიდან XIX ს. ბოლომდე. ასევე თვითონ იყო აქტიური ორგანიზატორი რამდენიმე სისხლისმღვრელი ომისა, რომლის შედეგად დასრულდა გერმანიის გაერთიანება.

ამგვარად, ოტო ფონ ბისმარკმა, გამოიარა ძალიან დიდი, პოლიტიკური მოვლენებით გაჯერებული ცხოვრება, მარტო უბრალო თხრობაც კი მისი დროის ყველა ისტორიული მოვლენების შესახებ გამოიწვევს უდავო ინტერესს. ბისმარკი იყო არამარტო თვითმხილველი, მონმე, არამედ უშუალო მონაწილე, XIX ს. II ნახევრის მრავალი პოლიტიკური ბატალიისა. მისი ისტორიული როლი მოკლედ, მაგრამ ნათლად და ზედმიწევნით ზუსტად დაახასიათა ვ. ი. ლენინმა შემდეგი სიტყვებით: „ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად პროგრესული, ისტორიული საქმე გააკეთა,

¹ ე. შვიუდი. პოლიტიკა. თბ., 2003, გვ. 16.

² ა. მენტეშაშვილი. მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. ნაკვეთი I. თბ., 2003, გვ. 171.

³ М. Н. Машкин. Бисмарк Отто Эдуард Леопольд фон Шёнхаузен, – Советская историческая энциклопедия. Т. 2, М., 1962, გვ. 467-468.

გერმანიის გაერთიანება აუცილებელად საჭირო იყო... როცა რევოლუციური გაერთიანება არ მოხერხდა, ბისმარკმა ეს საქმე კონტრ-რევოლუციონურად, იუნკრულად გააკეთა“.¹ გერმანიის ამ გამთლიანებას მან მიაღწია ომების გზით, თავდაპირველად დანიასთან (1864 წ.), შემდეგ ავსტრიასთან (1866 წ.), ბოლოს კი საფრანგეთთან (1870-1871 წ.).² თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ის ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, სიამაყით აცხადებდა, რომ მის სინდისზეა სამი ომი და 80 ათასი ადამიანის სიცოცხლე, რომელთაც თავისი სისხლით გაამყარეს გამთლიანებული გერმანული სახელმწიფოს საძირკველი. უდავოა, რომ ამ ომების ორგანიზებისა და გაჩაღებაში, მწვავე, რთული პოლიტიკური ბატალიების სარბიელზე გამოვლინდა მისი, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ტალანტი, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატისა.

პოლიტიკურ ასპარეზზე ოტო ბისმარკი გამოვიდა 1847 წლიდან ჯერ მხოლოდ როგორც დეპუტატი გაერთიანებული ლანტაგისა. 1848 წლისთვის ის უკვე გამოირჩეოდა სხვა უკიდურეს მონარქისტთა შორისაც კი თავისი მებრძოლი კონტრრევოლუციონურობით, გამოდის რა პროექტით, რომ გამოეყენებინათ გლეხობა, ერთგვარი პრუსიული ვანდეის განსახორციელებლად. XIX ს. 50-იან წლებში მას ეკავა მთელი რიგი მაღალი დიპლომატიური თანამდებობები – პრუსიის რწმუნებულისა საკავშირო სეიმზე, დესპანისა – პეტერბურგსა და პარიზში.³

ბისმარკი იყო პრაგმატული ქკუის ადამიანი, საქმოსანი, რომელიც არავითარ საშუალებასა და ხერხს არ ერიდებოდა მიზნის მისაღწევად. მას არ ეშინოდა ბურჟუაზიული „პროგრესისტებისა“⁴ და ზიზლით, დამცინავად უყურებდა მათ, არაფრად აგდებდა მათ ლაყბობას ლანტაგში. მიუხედავად ამისა, ბისმარკს მკაფიოდ ესმოდა, რომ ბურჟუაზიისადმი გარკვეული დათმობების გარეშე შეუძლებელი იყო იუნკერებისა და ჰოჰენცოლერების დინასტიისათვის პოლიტიკური სადავეების შენარჩუნება. ქვეყნისათვის ასეთ რთულ და მძიმე პერიოდში, სწორედ მას გადასცა მეფე ვილჰელმ I პრუსიის პრემიერ-მინისტრის პორტფელი, 1862 წ. სექტემბერში.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბისმარკი ნააწყდა ბურჟუაზიულ ოპოზიციისა და ხალხთა მასების აღმავალ მოძრაობას. თუმცა მან იმთავითვე სწორად წარმოიდგინა, რა სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა იუნკრობას და ჰოჰენცოლერთა დინასტიას, თუ გერმანიის გაერთიანება მოხდებოდა ქვევიდან ხალხის ძალით და რევოლუციური გზით. ბისმარკი ნათლად ხედავდა, რომ იუნკერობას შეუძლია მტკიცედ შეინარჩუნოს პოლიტიკური ძალაუფლება, მხოლოდ მაშინ, თუ ის თვითონ ჩაუდგე-

¹ ვ. ლენინი. რუსი ზიუდეკუმები. – თხზულებანი. ტ. XVIII. ტფ., 1932, გვ. 98. 110.

² М. Н. Машкин. Бисмарк Отто Эдуард Леопольд фон Шёнхаузен, გვ. 467.

³ С. Б. Кан. Объединение Германий (1864-1871). М., 1957, გვ. 18.

⁴ С. Б. Кан. Объединение Германий..., გვ. 18.

ბა ქვეყნის გაერთიანებას სათავეში, განახორციელებს ამას ზევიდან და გერმანიას გადააქცევს მძლავრ აგრესიულ, იუნკრულ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ პრუსიის წინამძღოლობით.

ამიტომ, არაა გასაკვირი რომ სწორედ ოტო ფონ ბისმარკმა, ამ პრუსიელმა მინისტრმა და მემამულემ შექმნა გერმანიის ახალი იმპერია. შექმნა მან ის თავისი ტიტანური ენერგიით, დიპლომატიური ეშმაკობის, პოლიტიკური გამჭრიახობისა და სამხედრო ძალდატანების გზით, თავის მონინააღმდეგეებთან მძიმე, ბრძოლით, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ, კონსტიტუციის დარღვევისა და სამოქალაქო ომის ურთულეს პირობებში, ასევე გერმანელი ხალხის გარკვეული ნაწილის ნების სანინააღმდეგოდაც, რომელსაც არ სურდა ნასულიყო ბისმარკის გზით. რასაკვირველია, უდიდესია ბისმარკის როლი გერმანიის ახალი იმპერიის შექმნის საქმეში თავად ბისმარკის წინ წამოწევა, დაწინაურება მოხდა იმავე იუნკერების მიერ, მათთვის ყველაზე მძიმე და კრიტიკულ დროს.

რა თქმა უნდა, ბისმარკს მოქმედება შეეძლო მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის მომწიფდებოდა შესაბამისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები, რომელთა არსებობის გარეშე ყველა მისი მცდელობები, გადანყვეტილებები და ნაბიჯები წარუმატებელი იქნებოდა, ე. ი. მთელი მისი „გენიალურობა ფუჭად და ამაოდ ჩაივლიდა“.¹

„ბისმარკი – როგორც ფ. ენგელსი წერდა, ეს – ლუი ნაპოლეონია, ფრანგი ავანტურისტული პრეტენდენტი სამეფო გვირგვინზე, რომელიც შეფუთულია პრუსიული პროვინციალური იუნკერის და გერმანული სტუდენტ-კორპორანტის სამოსლით, როგორც ლუი ნაპოლეონი, ბისმარკი – დიდი პრაქტიკული ჭკუისა და არაჩვეულებრივი მოხერხებულობის ადამიანია, ბუნებით გამოცდილი, გაქნილი საქმოსანია, რომელსაც სხვა შემთხვევაში შეეძლო გაჯიბრებოდა ნიუ-ორკის ბირჟაზე ვანდერბილტებსა და ჯეი-გულდამებს“.²

საინტერესოა, მაინც რით მოიპოვა ბისმარკმა თავისი მაღალი მდგომარეობა და რით გაითქვა სახელი იმ დროს. ამაზე შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გაიცეს პასუხი – დამუხტული, ტიტანური ენერგიით, რომლითაც ის ეწეოდა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას, მამაცი და უცერემონიო თავდასხმებით ბურჟუაზიულ პარლამენტარებზე, ურყევი შეუპოვრობით, რომლითაც ის იცავდა თავის აბსოლუტისტურ პრინციპებს, ე. ი. იმ თვისებებით, რომლებმაც ბისმარკის სახელი გახადეს იუნკრული სიმტკიცის, გამბედაობის და იუნკრული ცრურწმენის სინონიმი.

ბისმარკის ენერგია და სიბრაზე, რომელიც შფოთავდა და ფეთქავდა ყოველგვარი ე. წ. „სისუსტისა“ და კომპრომისების გამო, ისეთი მასშტაბის გახლდათ, რომ აფრთხობდა მის მეგობრებს, აცბუნებდა, თა-

¹ В. Г. Ревуненков. Приход Бисмарка к власти. Л., 1941, გვ. 5.

² Ф. Энгельс. Роль насилия в истории. М., 1937, გვ. 24.

ვის მფარველებს.¹ ჯერ კიდევ 1848 წ. ნოემბრის დასაწყისში, როდესაც, ბრანდებურგის (პრუსიის მთავრობის) მთავრობის კაბინეტის ფორმირების დროს, ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ დაინახა მისადმი წარდგენილ კანდიდატთა სიაში ბისმარკის გვარი, მან მის წინ გააკეთა ნიშანი: „წითელი რეაქციონერი, სისხლის სუნი უდის, გამოიყენეთ მოგვიანებით“ (მეორე ვერსიით, „გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე მივა ხიშტებად“).²

გიგანტური ენერგია, შეურიგებლობა, მტკიცე ნებისყოფა, იუნკერობის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში შეადგენდა ძირითად ნიშან-თვისებებს ბისმარკის პოლიტიკურ პორტრეტში. „ნებისყოფა მაგას არასდროს არ ღალატობდა, პირიქით გაცილებით უფრო ხშირად ის გადაეზრდებოდა ხოლმე მას უხემ ძალადობაში. სწორედ ამამი უპირველეს ყოვლისა, იმალება მისი წარმატებების საიდუმლოება“.³

„გააფრთხულმა იუნკერმა“ ხელისუფლებაში დაჰყო 28 წელიწადი. მან ამ ხნის განმავლობაში მოასწრო გარდაქმნა არა მხოლოდ პრუსია, არამედ მთელი გერმანია. უკვე, პირველმა მისმა გამოსვლამ გასაოცარი ზემოქმედება მოახდინა მაშინ, როდესაც ის, პირველად წარსდგა ლანდტაგის წინაშე. მეორე დღეს, საბიუჯეტო კომისიაში, ბედუკუღმართი სამხედრო კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით, მან წარმოთქვა ყოვლად ცნობილი სიტყვები: „პრუსია მეტისმეტად მძიმე შეიარაღებას ატარებს თავისი პატარა ტანისათვის, მაგრამ ეს შეიარაღება რალაცას უნდა ემსახურებოდეს. გერმანია პრუსიის ლიბერალიზმს კი არ უყურებს, არამედ მის ძლიერებას“⁴... „გერმანია სისხლითა და რკინით გაერთიანდება“.⁵

მაგრამ დაბრკოლებები, რომელიც იდგა ბისმარკის მიერ დასახულ გზაზე მაშინ, ძალიან ბლომად იყო. სტარტზე იდგა ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიც იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, რომლებიც აუცილებლად ხელს შეუშლიდნენ ბისმარკის გეგმის განხორციელებას. სწორედ ამ დროს, პირველად სრულიად ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე პრუსიელმა მინისტრმა თავისი დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა. რადგან ბისმარკს გააჩნდა თვისება, რომელიც დამახასიათებელია პოლიტიკური ხელოვნების, ყველა დიდი ხელოვანისთვის, უნარი, თანმიმდევრული წესით საკითხების დასმის და არ ჩაეჭიდოს მეორე საკითხს, სანამ არ გადაწყვეტს პირველს.⁶

პოლიტიკა, თვლიდა ბისმარკი – ეს მეცნიერებაა შესაძლებლის შესახებ. და მან მართლაც, გამოავლინა დახელოვნებული პოლიტიკოსის თვისება, პოლიტიკური ვითარების ზუსტი შეფასებისა და ამისგან მაქსიმუმი სარგებლის ამოღების უნარი. გამომდინარე მისი და მის მიერ

¹ В. Г. Ревуненков. Приход Бисмарка к власти, გვ. 7.

² Отто Фон Бисмарк. Мемуары железного канцлера. М., 2004, გვ. 53.

³ Ф. Энгельс. Роль насилия в истории, გვ. 25

⁴ Ф. А. Ротштейн. Из истории прусско-германской империи. М.-Л., 1948, გვ. 63.

⁵ ა. მენტეშაშვილი. მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები..., გვ. 174.

⁶ История дипломатий. Под. ред. В. А. Зорина. Т. I. М., 1959, გვ. 717.

წარმოდგენილი პოლიტიკური ძალების შესაძლებლობიდან. პოლიტიკაში იძულებითი ზიგზაგების პირობებშიც ის ერთი ნუთითაც არ ივინყებდა ძირითად მიზანს და ყოველი მიღწეული ახალი მიჯნის შემდეგ იყენებდა ახალ შესაძლებლობებს. სწორედ ეს აძლევდა მის მიერ გათამაშებულ, შექმნილ, შედგენილ სამხედრო-დიპლომატიურ სპექტაკლს სიმწყობრის, გამართულობის, წინასწარ განსაზღვრულობისა და ლოგიკური დაგვირგვინების გარეგნულ ფორმას. მაგალითად, ომს რომელსაც, პრუსია ავსტრიასთან ერთად ეწეოდა დანიის წინააღმდეგ და დაამარცხა, ოტო ბისმარკი მიიჩნევდა თავის ყველაზე დიდ დიპლომატიურ მიღწევად. 1865 წელს აგვისტოს კონვენციით პრუსიამ მიიღო შლეზვიგი, ავსტრიამ კი პოლშტინი. ამ ომმა განამტკიცა „კონფლიქტის მინისტრის“ (ასე უწოდებდნენ ბისმარკს)¹ პოზიციები.

გამარჯვებულების მიერ ნადავლის გაყოფის დროს წარმოიშვა შუღლი, რომელიც გახდა ავსტრიასთან ომის კარგი საბაზი. მაგრამ ეს გარემოება მოითხოვდა კარგ დიპლომატიურ მომზადებას. უფრო სწორედ ამისათვის აუცილებელი იყო საფრანგეთის ჩაურევლობის უზრუნველყოფა პრუსია-ავსტრიის ომში. მან ეს საკითხი მოაგვარა ნაპოლეონ III-სთან კერძო შერიგების გზით. 1866 წ. 3 ივლისს, ბისმარკის მიერ ავსტრიასთან მოპოვებული გამარჯვება წარმოადგენდა მისი დიპლომატიის სრულ ზეიმს. 1866 წ. 23 ივლისს, ნიკოლისბურგის საზავო ხელშეკრულებით პრუსიამ შეიერთა ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიები. ევროპის ცენტრში წარმოიშვა ძლიერი სახელმწიფო. ავსტრია გამოეთიშა გერმანიის კავშირს, მაგრამ დარჩა წინანდებურად მსხვილ სახელმწიფოდ. სრული სიმართლეა ისიც, რომ, ბისმარკმა თავის წინააღმდეგ აიძუდრა საფრანგეთის იმპერატორი – „ტიულრის სფინქსი“, რადგანაც საფრანგეთმა ვერ მიიღო სასურველი ტერიტორიები. მაშასადამე „ისტორიის ლოგიკა“ კარნახობდა ომს საფრანგეთთან.² მაგრამ იყო სხვაიც: თვითონ სამხრეთ სახელმწიფოებს, ხალხს და ხელმწიფებს არ სურდათ პრუსიის უღლის შედგმა, და სწორედ იმიტომ რომ, ისინი შეერეკათ ამ უღლის ქვეშ, საჭირო იყო დიდი ომი. ამაზე გადაკრულად მიანიშნა ბისმარკმა თავის მოგონებებში.³ ამდენად, მან დაიწყო სერიოზული სამზადისი ამ ომისთვის. შესაბამისად ვითარებაც ამ დროისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. აღმოსავლეთ საზღვარზე, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი არ იყო რაიმე გართულება. ურთიერთობა ავსტრია-უნგრეთთან, რომლის ნეიტრალიზება 1870-1871 წლისთვის ბისმარკმა შესძლო, დამაკმაყოფილებელი იყო.

პრუსიის სედანთან გამარჯვების შემდეგ (1870 წლის 2 სექტემბერი), სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მათი ჩრდილოეთ გერმანიის კავშირში შესვლის თაობაზე. ასე შეიქმნა

¹ ა. მენტეშაშვილი. მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები..., გვ.177.

² **Отто Фон Бисмарк.** Мемуары железного канцлера, გვ. 394.

³ ა. მენტეშაშვილი. მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები..., გვ.178.

გერმანიის იმპერია, რომლის მთავარი არქიტექტორი იყო თვითონ ოტო ბისმარკი. 1871 წ. 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან სასახლეში, საზეიმო ვითარებაში ვილჰელმ IV, ვილჰელმ I სახელით გამოცხადებულ იქნა გერმანიის იმპერატორად. ბისმარკმა კი მიიღო მემკვიდრე თავადის ტიტული, აგრეთვე მამული ფრიდრიხსრეში. 1871 წ. 16 აპრილს მიიღეს გერმანიის იმპერიის კონსტიტუცია, თვითონ ბისმარკი კი ღებულობს იმპერიის კანცლერის ტიტულს.

ერთხელ, როდესაც ბისმარკი შეუძლოდ შეიქნა, მან იმპერატორს სთხოვა თავისი გადადგომის შესახებ, მაგრამ ვილჰელმა უპასუხა: „თქვენი სახელი პრუსიის ისტორიაში უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფო მოღვაწისა და მე იგი უნდა დავკარგო? არასოდეს!“.¹ ვენის კონგრესის მიერ ევროპაში დამყარებული სისტემის ნგრევა დაიწყო ნაპოლეონ III-მ XIX ს. შუა ხანებში, ხოლო ბისმარკმა კი დაასრულა.

1873 წ. ბისმარკის ინიციატივით შეიქმნა სამი იმპერატორის კავშირი (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი და გერმანია). მისი გამოთქმით, მან გადო შემაკავშირებელი ხიდი ევროპასთან და ამავე დროს შეინარჩუნა ის ხიდიც, რომელიც აკავშირებდა ბერლინს რუსეთთან. მან, როგორც პოლიტიკოსმა და დიპლომატმა თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით იმთავითვე, დასაწყისშივე განსაზღვრა თუ რა უდიდეს როლს თამაშობდა რუსეთი საერთაშორისო არენაზე და რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისთვის რუსეთთან დაახლოებას. „ჩვენს კეთილ ურთიერთობებს რუსეთთან, ჩვენთვის უდიდესი ღირებულება გააჩნია“.² გერმანიას არავითარი საფუძველი არ გააჩნია იომოს რუსეთთან: ხელმეორედ განაცხადებს ბისმარკი უფრო მოგვიანებით 1890 წ. 23 მაისს, – მათ ინტერესებს შორის არ არის წინააღმდეგობები.³

ეს კავშირი ბისმარკს თავისუფლად მანევრირების საშუალებას აძლევდა, როგორც ინგლისსა და რუსეთს შორის, ისე რუსეთსა და ავსტრიას შორის მიმართებაში. ის ამბობდა: „ჩვენ ვჭირდებით ყველა სახელმწიფოს და შეძლებისდაგვარად ისინი თავს იკავებენ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში შესვლისაგან, იმიტომ, რომ დავაფუძნეთ ერთმანეთის კავშირზე“.⁴

სამი იმპერატორის კავშირმა იარსება 1875 წლამდე, როდესაც დაიწყო ბალკანეთის კრიზისი, უფრო სწორედ დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი წლების 1877-1878, ხოლო 1878 წელს ბერლინის კონგრესის შემდეგ ეს კავშირი დაიშალა. დაიშალა სამი იმპერატორის კავშირი, რუსეთსა და გერმანიას შორის პოლიტიკურ შეხედულებებში მკვეთრი შეუთანხმებლობის შედეგად, ავსტრია-უნგრეთთან დამოკიდებულების გამო. რადგან

¹ ა. მენტეშაშვილი. მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები..., გვ. 178.

² А. Ерусалимский. Бисмарк, как дипломат. М., 1940, გვ. 33.

³ В. В. Чубинский. Бисмарк, политическая биография. М., 1988, გვ. 399.

⁴ ა. მენტეშაშვილი. მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები..., გვ. 179.

გერმანია არასდროს არ დაუჭერდა მხარს რუსეთს, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის საკითხში. ავსტრია-უნგრეთი ბისმარკს სჭირდებოდა ევროპაში ძალთა წონასწორობის შენარჩუნების მიზნით. ხოლო შემდგომ ის საიდუმლო კავშირს ამყარებს ავსტრია-უნგრეთთან.

ამის შემდეგ ბისმარკი იწყებს ალიანსების შექმნას. ერთი მხრივ იმ-იტომ, რომ, გერმანიის პოტენციურმა მტრებმა და მოკავშირეებმა არ დადონ ერთმანეთს შორის კავშირი, და, მეორე მხრივ, იმისთვის რომ, კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა გერმანიის პარტნიორები. ყოველი კოალიცია ისე იქმნებოდა, რომ მასში გერმანია ყოველთვის სარგებლობდა ვეტოს უფლებით, ერთობლივი მოქმედების საკითხში. 1881 წელს ბისმარკმა თავისი დაულალავი შრომით და ერთგულებით შესძლო შეექმნა ახალი (რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი) სამთა კავშირი.

ამგვარად, ორი ათეული წლის განმავლობაში, გერმანიის იმპერიის შექმნის დროიდან, საკუთრივ მის გადადგომამდე, ბისმარკი ენეოდა დაძაბულ ბრძოლას საგარეო პოლიტიკის სფეროში. ძველი, გამოცდილი, მცოდნე იმ მრავალმხრივი, აპრობირებული მეთოდებისა, რომელიც გამოიყენებოდა ხოლმე, როგორც პოლიტიკურ, ასევე დიპლომატიურ ორთაბრძოლების გადამწყვეტ მომენტში. ის აღმოჩნდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, გამორჩეული ოსტატი პოლიტიკური კომბინაციებისა. ბისმარკმა ყველაფერი გააკეთა საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე პოლიტიკური ამბიციებისა თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამ მიზნით, მან შესძლო გერმანიის ირგვლივ სამხედრო-პოლიტიკური კავშირებისა და გაერთიანებების ფართო და რთული სისტემის შექმნა, რომლის გადაფარვა იმავდროულად უფრო წარმავალი მნიშვნელობის მქონე სხვა დიპლომატიური თუ პოლიტიკური კომბინაციებით ხდებოდა. ის ყოველთვის ცდილობდა თავის დაზღვევას ნებისმიერ სიტუაციებში, რომელიც ხშირად წარმოიშობოდა ხოლმე, მაგრამ ასევე მალე, სწრაფად ქრებოდა. მოგვიანებით ბისმარკის პოლიტიკურ ხელოვნებას, ამსგავსებდნენ გამოცდილი ჟანგლიორის ხელოვნებას, რომელიც ერთდროულად თამაშობდა ხუთი ბურთით, რომელთაგან ორი ყოველთვის ჰაერში იმყოფებოდა.¹ ბოლოსდაბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მის მიერ შექმნილმა რთულმა სისტემამ უმთავრესად გაამართლა და უდიდესი დახმარება გაუწია მას, თავისი სტრატეგიული მიზნის მიღწევაში.

„პოლიტიკა მეცნიერება არაა ეს ხელოვნებაა“. მის მიერ წარმოქმულ სიტყვებში, მას საგარეო პოლიტიკის წარმართვის ხელოვნების გარდა, მხედველობაში ჰქონდა სახელმწიფოს მმართველობის ხელოვნება, სახელმწიფო კონტროლის დანესება საზოგადოებაზე, როგორც ეს ხდება ხოლმე კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების გზით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მისი, ცხოვრების ბოლო წლე-

¹ **А. Ерусалимский.** Бисмарк, как дипломат, გვ. 30.

ბის გამოსვლები და სიტყვები.¹

მაგალითად, 1892 წ. 30 ივლისს ის სიტყვით გამოდის იენის უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა წინაშე. სადაც, რა უცნაურიც არ უნდა იყოს ისეთი მონარქისტული შეხედულებების მქონე კაცისთვის, როგორც გახლდათ ბისმარკი, მან ქვეყნის შინა საკითხებთან დაკავშირებით, თავისი თავი წარმოაჩინა, როგორც კონსტიტუციონალიზმისთვის მებრძოლმა, აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგემ, ძლიერი პარლამენტის მომხრემ. ისეთი პარლამენტისა, რომელიც აკრიტიკებს, აკონტროლებს, გარკვეულ პირობებში, კიდევ თან გაიყოლებს მთავრობას. რომელსაც „შეუძლია დაამყაროს ძალთა ისეთი წონასწორობა მთავრობასა და ხალხს შორის, როგორც ჩვენს კონსტიტუციას სურდა სინამდვილეში შეექმნა“.² ასეთი რეიხსტაგის, გარეშე მიუთითებდა ის, ქვეყნის ბედი, მათი მომავალი მასში შეშფოთებას იწვევს.

ეს სიტყვები ნამდვილად ისმოდა უცნაურად იმ ადამიანის ბაგედან, რომელიც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთელი ხნის განმავლობაში, ცდილობდა შეეზღუდა რეიხსტაგის პრეროგატივები. ალბათ, ის გრძობდა ამას და ამიტომ აღიარა კიდევ, რომ „შეიძლება თვითონაც შეუგნებლად ხელს უწყობდა იმას, რომ დაექვევითებინა პარლამენტის გავლენა ახლანდელ დონემდე“.³

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის, როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნების შესახებ, თავის დროზე აზრი გამოთქვა დიდმა ბერძენმა მოაზროვნემ დემოკრიტემ. მისი თქმით სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ყველა სახის ხელოვნებაზე მაღლა დგას. ამიტომ გვმოძღვრავს და გვიჩვენებს, „ვისწავლოთ, გავნით შრომა, რომლისგანაც იზადება დიადი სახელოვანი საქმენი ხალხისთვის“.⁴ პოლიტიკა, ამბობს ის, შემდგომ, არის უდიდესი ხელოვნება. დიდად სასარგებლოა ისწავლო ის, მიუძღვნა შენი თავი პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელიც აძლევს ადამიანის სიცოცხლეს დიდებასა და ბრწყინვალეობას“.⁵

ისტორიის წინაშე თავისი პოლიტიკის გამართლების, XIX საუკუნეში გერმანიის განვითარების პრობლემებზე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების თაობაზე, მან გადმოგვცა თავის მემუარებში. მემუარები სამიტომისაგან შესდგება და „ფიქრები და მოგონებები“-ს სახელწოდებით არის ცნობილი, რომელზეც მუშაობა მან დაიწყო თადარიგში გასვლის დღიდან.

ყოვლად ცნობილია, რომ ბისმარკის მოგონებებს, როგორც ისტორიულ წყაროს, უნდა მოვეკიდოთ ძალიან ფრთხილად. ის წინ წამოწევს ზოგიერთ ფაქტებს, დუმს სხვა დანარჩენებზე, შემდგომ იძლევა თავისუ-

¹ **Отто Фон Бисмарк.** Мемуары железного канцлера., გვ. 394.

² **В. В. Чубинский.** Бисмарк, политическая биография, გვ. 399.

³ **В. В. Чубинский.** Бисмарк, политическая биография, გვ. 400.

⁴ *Демокрит в его фрагментах и свидетельствах древности.* Под ред. и с комм. **Г. К. Баммеля.** М., 1935, გვ. 240.

⁵ *Демокрит в его фрагментах и свидетельствах древности,* გვ. 240.

ფალ ახსნა-განმარტებას, იმ მიზნით, რომ შექმნას საკუთარი კანონიკური სახე, შორსმჭვრეტელი გამჭრიახი გონების, შეუმცდარი, მხოლოდ სახელმნიფოს ინტერესებით შენუხებული პოლიტიკოსის სახე.

NODAR DARSANIA

OTTO VON BISMARCK: POLITICS IS NOT A SCIENCE, BUT AN ART

“Politics is not a science, but an art” – the author of these words is regarded to be a significant political figure, Chancellor of Germany Otto Bismark, who expressed these words in the Reichstag.

Otto Eduard Leopold von Bismark (1815-1898) was one of the greatest representatives of Europe and most prominent diplomat of the second part of the 19th century, who made a great contribution in creation of the unified Germany. According to his conception, politics is the science of possibilities and he really exposed the characteristics of perfect politician, the aptitude of exact estimation, and ability of gaining maximum profit according to his and to the political powers represented by him.

“Politics is not a science, but an art” – in the words expressed by him, besides ruling foreign politics, he also implicated the mastership of governing the state implementation of state control above the society as it is common point while making joint decision and carrying into execution.



პროფ. ჯემალ გამახარიას მონოგრაფიის პრეზენტაცია (სსუ)



პროფესორ რუსუდან გაჩაევას იუბილეზე



პროფ. ვახტანგ ჯაფარიძე და პროფ. ზურაბ შაპასხიური საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (2013წ.)



აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რაისა ქარაიასთან და პროფ. ზაურ ლომთათიძესთან ერთად (9 აპრილი, 2013წ.)



ეკონომისტთა სერთაშორისო კონფერენციის გახსნა (სსუ, 2011წ.)



აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძესთან და პროფ. მალხაზ ბარამიძესთან ერთად




სსუ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენცია, ისტორიის სექციის სხდომა (2010წ.)



კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად შოთა რუსთაველის სტიპენდიანტის პროფ. ზურაბ პაპასქირის გეგმიური ლექციის შემდეგ (სსუ, 2010წ.)



ისტორიის დოქტორ კახა კვაშილავას მონოგრაფიის პრეზენტაციაზე: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ხუბუა, სსუ-ს რექტორი პროფ. ჯონი აფაქიძე, მონოგრაფიის რედაქტორი პროფ. ზურაბ პაპასქირი და კ. კვაშილავა (სსუ, 2011წ.)



მემორანდუმის ხელმოწერა (თსუ)



საქართველოს ისტორიის დოქტორანტის იოსებ ალიმბარაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვა: პროფ. ბეჟან ხორავა, პროფ. გიორგი ოთხმეზური, პროფ. ზურაბ პაპასქირი, პროფ. ლედა ქობალია და იოსებ ალიმბარაშვილი (სსუ, 2013წ.)

ფილოლოგია, კულტურულ-ისტორიული კვლევები
PHILOLOGY, CULTURAL AND HISTORICAL RESEARCHES

ტიტა მოსია

**ღვთისმშობლის წარმოსახვისათვის
 ქართულ ჰაგიოგრაფიაში**

პირველ ქრისტიანთა და ეკლესიის მამათა მრწამსით, ღვთისმშობელი არის სულიწმინდის მინიერი გამოცხადება.¹ 431 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებამ ოფიციალურად გამოაცხადა წმიდა ქალწული მარიამი ღვთისმშობლად. უფრო ადრე კი IV საუკუნეში ქრისტიანულმა ღვთისმეტყველებამ მაცხოვრის დედა შერაცხა „ყველა წმიდად“, „მარად ქალწულად“. 1964 წელს რომის პაპმა მარიამ ღვთისმშობელი „ეკლესიის დედად“ აღიარა. IX-X საუკუნეების საქართველოში ღვთისმშობლის კულტი მთლიანი სისტემის სახეს ღებულობს. იგი განპირობებული იყო ქართველებში ეროვნული თვითშეგნების ამალღებით, ბერძნებთან მეტოქეობის იდეის აღზევებით, ქრისტიანული რელიგიის განმტკიცება-გაძლიერებასთან ერთად.

შუა საუკუნეების სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ხელოვნებაში ღვთისმშობლის თემამ თვალსაჩინო ადგილი მიისაკუთრა. იგი იყო ხელოვნების მუშაკ-ოსტატთა შთაგონების წყარო. შეუძლებელია არ მოვიგონოთ სახელგანთქმულ მხატვართა ძალისხმევა. მარად გაუხუნარი იქნება ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, ბოტიჩელის, ლორენცო კოსტას, ვან დეიკის, მურილიოს, ტიციანის და სხვათა მიერ შექმნილი გენიალური ტილოები. ქანდაკებაში სწორუბოვარია მიქელანჯელოს „პიეტა“ – მონინება. ღვთისმშობელი აქტიურ სახედ იქცა ბიზანტიურ მწერლობაში. უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ VII საუკ. ბერძნულ ენაზე შექმნილი პირველი აკათისტო (დაუფდომელი), რომელიც მაცხოვრის მშობელს მიეძღვნა. მას დაუფდომელი იმიტომ ერქვა, რომ მღვდელმსახურები თუ მრევლი ლოცვისას ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. წმინდა დედოფალს უძღვნიდნენ ჰიმნებს. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი: გრიგოლ ნაზიანზელის (IV ს.) საგალობელი „ხოტბა ქალწულს“, სვინესიოს კვირინელის ჰიმნები (IV-V სს), რომანოზ მელიოდოსის (VI ს.) კონტაკიონების ლირიკული ქადაგებანი და ა.შ.

ქართულ მწერლობაში მარიამ ღვთისმშობლის სახე პირველად გაიბრწყინებს VI საუკ. ჰაგიოგრაფიულ ტექსტში – „ევსტათი მცხეთელის

¹ ზ. გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისია. თბ., 1990.

ნამება“, რომელმაც თითქოს ტონი მისცა ჩვენს ჰაგიოგრაფებს მარადის ქალწულის ხატების წარმოსაჩენად. ქართული ჰიმნოგრაფია, შეიძლება ითქვას, „გადაყვა“ თან წმ. მარიამის პიროვნების განდიდებას. აქ დამუშავდა სწორედ ყოვლადწმინდის საინტერესო სახე – სიმბოლოები, მეტაფორული სახეები, მხატვრული სახეები.

ასევე გავეცნოთ ქართული ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშებს, სადაც მარიამ ღვთისმშობლის ხატებაა წარმოსახული: წყლით მხილება ღვთისმშობლის (ატენი, X ს. მარიამი სვამს „წყალს მხილებისას“), გელათის მოზაიკის სახე (1125-1130), ფრესკული გამოსახულება: ღვთისმშობელი ძითურთ და წმინდა ანა (იფრარი, 1096 წ.), ღვთისმშობლისა და ელისაბედის შეხვედრა (საფარის კანკელის ფილა (XI ს), ღვთისმშობლის ხატი (ზარზმა, XI ს.), ღვთისმშობლის ჭედური ოქროს ხატი (მარტვილი – X-XII სს.), ღვთისმშობელი ძითურთ (ვარძია, 1184-1186), ანჩისხატის მაცხოვრის ხატის მოჭედილობაზე გამოსახული ღვთისმშობლის მიძინება (XII ს.), ღვთისმშობელი ძითურთ (ყინწვისი, 1207), იოაკიმე და ანა ეალერსებიან ღვთისმშობელს, „ამბორის ყოფა“ (ნალენჯიხა, 1384-1396), ღვთისმშობლის ფერწერული ხატი (უბისი, XIX ს.).

როგორც შ. ამირანაშვილი მიუთითებს, ახალი თემები ღვთისმშობლის აკათისტოდან და აპიკრიფებიდან ქართული კედლის მხატვრობაში XIV საუკუნეში ჩნდება: ზარზმის, გელათის მთავარი ტაძრის და სხვა მოხატულობაში, მაგრამ ეს თემები გაბატონებული ხდება მხოლოდ გვიანი ხანის ხელოვნებაში. ხობის ტაძრის მთავარი ნავის მოხატულობაში (XVII საუკ. შუა წლები) გამოსახულია ღვთისმშობლის აკათისტო სრული სახით.¹

როგორც უკვე ვახსენეთ, ქართულ ჰაგიოგრაფიაში ღვთისმშობელს პირველად ვეცნობით „ევსტათის წამებაში“, სადაც ჩართულია სახარების ყველაზე უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი ქალწული მარიამისაგან მესიის შობის შესახებ. აქ ვკითხულობთ, რომ ღმერთი ტკბილია, კაცთა მოყვარე. მან „მოავლინა ძე თვისი ქრისტე სოფლად და შევიდა მუცელსა წმინდისა ქალწულისასა და ხორცი შეისხნა და განკაცნა წმინდისა მარიამისაგან და საშოხსაგან წმინდისა გამოვიდა და ღმრთეება ხორცითა დაიფარა. უკეთუმცა ღმრთეება ხორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა“.²

„აბოს წამებაში“ (786-790) ნათქვამია, რომ კაცთა სიყვარულის გამო ქრისტემ წმიდა ქალწულისაგან ხორცი შეისხნა, სამოთხიდან გამოძევებულ ცოდვილთ „ზეცად აღუწოდა“ და მიუწვდომელ საიდუმლოს აზიარა: „იესომ სიყვარულისათვის კაცთაჲსა ქალწულისაგან წმინდისა ხორცი შეიმოსნა წმიდითა მით ხორცითა მისითა სამოთხით გამოვრდომილსა მას კაცსა, დაცემულსა ზეცადაღუწოდა და მიუწვდომელსა მას საიდუმლოს ღირსყო“.³

¹ შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1971, გვ. 383.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. ტ. I. თბ., 1963, გვ. 38.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 52.

„კოსტანტის წამებაში“ (IX ს.) ავტორი ყურადღებას მიაპყრობს მაცხოვრის ხორცშესხმას ქალწულისაგან: „შემდგომად მოსვლისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა აღწერენ ოთხნი ესე ევანგელენი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსლვაჲ იგი უფლისა და განგებულებით მისი ხორციითა მით, რომელი-იგი მიიხუნა ქალწულისა მარიამისაგან წყალობისათვის ჩუენისა“.

„შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ წმ. შიო მიმართავს მაცხოვარს: „კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა უხრწნელისა ქალწულისა დედოფლისა ჩუენისა და დედისა შენისა მარადის ქალწულისა მარიამისითა და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა შენთათა და წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანესითა“.¹ ეს პირველი ნიმუშია ავტორის მხრიდან ღვთისმშობლის დედოფლად მოხსენიებისა, რასაც სხვაგანაც იმეორებს: „წმიდაო დედოფალო“...² ასევე მწერალი მაცხოვრის დედას ყოვლად წმიდას უწოდებს (გავისხენოთ IV ს. ქრისტიანული თეოლოგიის მიერ ღვთისმშობლის მონათვლა „ყველა წმიდად“): „ჟ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო მარიამ, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“...³

ღვთისმშობლის პიროვნება შედარებით ფართოდ არის წარმოჩენილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. წმ. გრიგოლი ხანძთის მონასტრის მშენებლობის დაწყების წინ ლოცვას აღავლენს ღმერთის წინაშე, რასაც ასე ასრულებს: „განანათლე ნათლითა სულისა შენისა წმიდისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა“...⁴ ე.ი. მონასტრის აგების დაწყება-დასრულებისას გრიგოლ ხანძთელს ღმერთთან ერთად ღვთისმშობლის შეწვევისა და მფარველობის იმედი აქვს. ამავე ნაწარმოებში მოხსენიებულია ღვთისმშობლის ეკლესია, ისევე როგორც წმ. გიორგისა: „მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთა მოქმედი, და პატივით მოიკითხეს ხელმწიფეთა მათ და თანა წარმოიყვანეს, და მოინინეს ჯმერკს და ბერთას წმიდისა ღმრთის-მშობელისა ეკლესიათა და დაბას წმიდისა მონამისა გიორგის ეკლესიასა“...⁵ გრიგოლ ხანძთელი აღტაცებას გამოხატავს შატბერდის მონასტრის აშენების დასრულებით, დიდად ემადლიერება უფალს და ღვთისმშობლის შეწევას: „მაშინ სიხარულითა აღივსო, რამეთუ მოჰმადლა უფალმან გულისაებრ მისისა საქმე იგი კეთილი მადლითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა, რომლისაც სახელსა ზედა აღეშენა წმიდაჲ იგი მონასტერი“.⁶

გიორგი მერჩულე გვამცნობს წმ. გრიგოლ ხანძთელის ეპისტოლეს, სადაც წარმოჩენილია ქრისტეს მოყვარე ან განსვენებული დედების

¹ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I, გვ. 218.

² *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I, გვ. 222.

³ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I, გვ. 222.

⁴ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I, გვ. 273.

⁵ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I, გვ. 275.

⁶ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I, გვ. 283.

ღვანლი. წმ. გრიგოლმა „დაწერა ეპისტოლე დათა მათ შესუენებულთა მიმართ ესრეთ სახედ“. გარკვეული მიზნით მოვიხმობთ ამ წერილის მოზრდილ ნაწყვეტს: „ქრისტეს მოყუარენო, წესთა მათ ამის სოფლისათა მოკლესა შინა დროსა სიყრმიტგან თქუენით ვიდრე სიკუდილამდე მალე-ქმნულნო ქრისტესთჳს... რაჟამს გამოცხადნეს ცხოვრებაჲ იგი ჩუენი, მაშინ თქუენცა გამოსცხადნეთ დიდებითა საუკუნოესა მერმისაჲთა, თქუენ ბრძენთაგან ნეტარნო. და უვიცთაგან უცნაურნო, უოხჭნოსა სიმდიდრესა კეთილთაებრ ვაჭართა სანუთროთა მომსყიდელნო, ხოლო ან მძინარენო ჴორცითა და მღჳძარენო სულითა, მკუდრად შერაცხილნო მკუდართაგან და უკუნისამდე ცხოველნო ქრისტესგან, ტაძრითა მით სულისაჲთა ქუეყანისა ცად შემცვალებელნო, ქალწულებისა ყუავილნო, მიმგავსებულნო დედასა ღმრთისასა“.¹

დამონმებული ნაწყვეტიდან ჩვენთვის კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქრისტეს მოყვარე წმ. დედების „ქალწულების ყვაილად“ წარმოსახვა, რითაც ისინი მიაგვსა მაცხოვრის დედას. საერთოდ, ყვაილს, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებას, ფართოდ ვეცნობით ქართულ ხალხურ, სასულიერო და საერო მწერლობაში. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ყვაილი ძირითადად ქრისტეს და ღვთისმშობლის სიმბოლო-მეტაფორაში გაიშალა: „გიხაროდენ, ყვაილნო უხრწნელობისაო“ („დაუფდომელი“); „შენ ხარ, უბინოო, კიდობანი დავითის ხიდული და ყუავილი, სოლომონის მოსწავებული“;² „აღმოცენებულმან ყუავილმან ქალწულმან უბინომან“;³ ერთ-ერთ იადგარში წმ. მარიამი წოდებულია „ყოლადვე დაუჭნობელ ყუავილად“.⁴

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ კიდევ ერთ ციტატას ამოვიღებ, სადაც ფიგურირებს წმ. ქალწული მარიამის სახე: „და განათებულ მზისა მისგან სიმართლისა ცათა დაუტევენელისა და ქალწულისა საშოსა დატევენულისა გამოუთქუმელად“...⁵ ამავე ნაწარმეობში ვკითხულობთ: ხოლო მათ გულისწამა-ყვეს ჟამი იგი მიცვალებისა მისისაჲ (იგულისხმება წმ. გრიგოლი) ამიერ სოფლით, რამეთუ ვითარცა მიცვალებასა წმიდისა ღმრთის-მშობლისასა, მოინია წმიდათა მოციქულთაჲ კიდეთაგან ქუეყანისასა, ეგრეთვე წმიდანი მამანი შემოკრბეს ჟამსა მას დროესა დლისა მისისასა პატივად“.⁶ ე.ი. აღსრულებისას წმ. გრიგოლს წმინდა მამებმა ისევე პატივი მიაგეს, როგორც მიცვალებულ ღვთისმშობელს წმ. მოციქულებმა.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 300-301.

² ნევემირებული ძლისპირნი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაუთო გ. კიკნაძემ. თბ., 1982, გვ. 839; შდრ.: ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. პ. ინგოროყვას გამოცემა. ტფ., 1913, გვ. 385.

³ ჭილ-ეტრატის იადგარი. აკ. შანიძის რედაქციით. თბ., 1977, გვ. 161.

⁴ უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბ., 1988, გვ. 510.

⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 317.

⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 213-214.

„წმ. ნინოს ცხოვრებაში“ ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ მარიამ ღვთისმშობელი დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია. ამიტომ იწოდება ქრისტე სახარებაში დავითის ძედ. წმ. ნინო იტყვის: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუაჲ წმიდაჲ მისი ცათა მაღალთაჲთ თვით ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად უეჭელად შობად ჳორციელად თესლისაგან დავითისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისაგან და უბინოჲსა, რომელი სათნო ეყო მას“.¹ ამავე ტექსტის „ბ“ რედაქციაში „დედაკაცის“ ნაცვლად იხსენიება წმ. მარიამი: „ჳორცითა იშვა თესლისაგან დავითისა და ქალწულისა მარიამისა“.²

უნდა ითქვას, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული პროზა ყოველდწმინდის პიროვნების ჩვენებისას ტროპიკის თვალსაზრისით მაინც და მაინც მოულოდნელობებით არ გვანებივრებს. ცხადია, იგი სახარების ტექსტთა შინაარსის ტრადიციების გამგრძელებელია, სადაც ერთობ მშრალად და სქემატურად არის წარმოსახული ღვთის დედა ესთეტიკურობის თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ჰიმნოგრაფიაზე. ეს გასაგებიცაა. როგორც სახარების ავტორების, ისე ჰაგიოგრაფების მიზანთ მიზანი იყო ქრისტიანული რელიგიის საძირკვლის – ყოველდწმინდა ქალწულის მიერ ადამიანთა მხსნელის შობის მოვლენის ჩვენება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართულ ჰაგიოგრაფიაში საქართველოს გამოცხადება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად. ეს თავისთავად მოასწავებდა ჩვენი წინაპრების ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული ღირსებისა და სიამაყის ამაღლებას. ეს იდეა დღემდე მზესავით შვენის საქართველოს ცისქვეშეთს, მზესავით განაბრწყინებს ჩვენს სამშობლოს. კ. კეკელიძის დაკვირვებით, აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ღვთისმშობლის წილხვედომილია, ჩასახულია IX საუკუნეში.³ დიდი მეცნიერისთვის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს „ილარიონ ქართველის ცხოვრება“. ულუმბოს მთის ლავრის მამასახლისმა განიზრახა ილარიონ ქართველისა და მისი მოწაფეების იქიდან გამოძევება. მის წადილს წინ გადაეღობა წმ. მარიამ ღვთისმშობელი: „უბადრუკო, რაჲსა ინებე განძებაჲ უცხოთაჲ მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათვის ძისა და ღმრთისა ჩემისა“... ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი... და რომელნი მათ არა შეინყნარებენ მტერ ჩემდა არიან, **რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყევლად მართლმადიდებლობისათვის მათისა“.**

ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, ღვთისმშობლისათვის საქართველოს წილხვედომილობის იდეის გამოძახილს VII საუკუნის ძეგლის სვიმე-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 88.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 88.

³ კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I, თბ., 1956, გვ. 80.

ონ მესვეტის „ცხოვრებაში“ ვეცნობით: „ამ ძეგლში სულიწმიდა გვევლინება საქართველოს მფარველად, სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება კი ღვთისმშობელია“.¹

როგორც ითქვა, მაცხოვრის დედის წილხვედრ ქვეყნად საქართველოს აღიარებამ განსაკუთრებით IX საუკუნეში იჩინა თავი. სწორედ მაშინ ბერძნული თხზულების – „მიმოსვლისათვის მოციქულისა ანდრეასის“ პარალელურად ჩვენს ეროვნულ მწერლობაში იქმნება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ამისი მიზეზები ახსნილი აქვს კ. კეკელიძეს.² ეს არის ბიზანტიელთა სწრაფვა ქართველების თავიანთი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოსაქცევად, რაც, ბუნებ-რივია, ვრცელდებოდა საეკლესიო სფეროზეც. IX საუკუნეში დაწერილი ძეგლით – „ანდრია მოციქულის მიმოსვლა“ წმ. ანდრია დასახულია ქართველთა განმანათლებლად, ქართული ეკლესიის მესაძირკვლედ. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, ამის გამო ჩვენში დაბადებულია აზრი ქართველთა ბარბაროსად მომნათლავი ბერძნების პრეტენზიების საფუძველთა გაბათილებისა. კერძოდ, ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული ეკლესია ანდრია მოციქულის დაფუძნებულიაო. წამოეყენებინათ სულ სხვა, ანდრიასაგან დამოუკიდებელი მისიონერი.³ ასეთ განმანათლებლად მოგვევლინა, კაპადოკიელი ნინო, რომლის სამისიონერო ღვაწლი საბერძნეთზე და სომხეთზეც ვრცელდება.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნის მემატინანის ლეონტი მროველის თხზულებაში – „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ – XVIII საუკუნის დამდეგს ვახტანგ მეექვსის მიერ შექმნილ ე.წ. „სწავლულ კაცთა კომისიას“ ჩაურთავს ტექსტი – ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში.⁴ ამ ლეგენდაში ვეცნობით, რომ მაცხოვრის ამალლების შემდეგ წილი უყრიათ მოციქულებს. მაცხოვრის დედას წილად რგებია ქართველთა გაქრისტიანება: „ჩუენებით ერუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და რქვა: „დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზუპურო“ (ე.ი. ღვთის მიერ ამორჩეული – **ტ.მ.**) უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენგან ხუედრებულსა, და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს, და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათთა უკუნისამდე ჟამთა“.⁵

ამის შემდეგ ყოვლიწმინდა დედოფალი ანდრიას მოახსენებს „ჩუენების“ შინაარსს. კერძოდ, უფლის ნაქადაგებს: „რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა ჩემდა წილხ-

¹ **ზ. გამსახურდია.** საქართველოს სულიერი მისია, გვ. 75.

² **კ. კეკელიძე.** ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 81-83.

³ **კ. კეკელიძე.** ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 81-83.

⁴ **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მათა და ნათესავთა, – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955., გვ. 39-43.

⁵ **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა.., გვ. 38.

დომილსა, რათა ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა.¹ წმ. ანდრიაჲმაც პასუხი არ დააყოვნა: „ყოვლადწმიდაო, ნება სახიერისა ძისა შენისა და შენი იყავნ ყოველსა ჟამსა“. მარიამ ღვთისმშობელმა წმ. ანდრიას ხელთ მისცა თავისი ხატი და გამოისტუმრა საქართველოში სახარების საქადაგებლად.

ეტყობა, გვიანი შუა საუკუნეების „მეცნიერნი კაცნი“ მტკივნეულად განიცდიდნენ ბერძენთა იმჟამინდელ პრეტენზიებს საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო სარბიელზე გასაბატონებლად. ამის გასაქარვებლად, წინააღმდეგ „ანდრიას მიმოსვლაში“ გატარებული შინაარსისა, წმ. ანდრია დასახეს თვით ყოვლადწმიდის მიერ თავის წილხვედრ ქვეყანაში განმანათლებლად გაგზავნილ მისიონერად. ამით გამოხატეს კიდევ თავიანთი ეროვნული თვითშეგნება და ტენდენციები, რათა შთამომავლობას სწორედ ასე აღექვა წმ. ანდრია მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში. ამით „მეცნიერთა კაცთა“ შინააშლილობის მოთავეებს და მომრავლებულ მუსლიმან აგრესორებს თვალნათლივ დაანახეს, რომ ქართველთა დამარცხება არც ისე ადვილია. რაც არ უნდა გაუჭირდეს მათ, მომავალში დიდება არ აცდება, ვინაიდან ქართველი ერი ღვთის მიერ არის ამორჩეული, იგი მაცხოვრის დედის წილხვედრია.

როგორც ცნობილია, XII საუკუნეში შეიქმნა „წმ. ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეული რედაქცია, კერძოდ, მეტაფრასული რედაქცია, რომელსაც ნითელ გვირისტად გასდევს მარიამ ღვთისმშობლისათვის საქართველოს წილხვედომილობის იდეა: „მოხედვა ყო ზეცით წყალობით ყოვლადსახიერმან დედოფალმან და მოიხსენა უფლისა მიერ და ძისა თვისისა წილხუდომილი იგი მისდა ქუეყანა და ნათესავი ჩუენი, რამეთუ ნაწილი მისა ჩუენ ვართ, ნათესავნი ქართველნი“.² აქვე ვკითხულობთ, რომ ღვთისმშობლის ხატის წინაშე მლოცველ ნინოს „გამოუჩნდა“ ყოვლადწმინდა და მოახსენა: „აჰა, ესერა, წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოსასა, ერისა მიმართ ქართველთასა, წარვედ სიმხნით და უშიშად უქადაგე ჭეშმარიტება“.³

ცნობილია „წმ. ნინოს ცხოვრების“ კიდევ ერთი მეტაფრასული რედაქცია (არსენისეული რედაქციის პერიფრაზი), სადაც გამეორებულია წილხვედომილობის იდეა: „ნეტარ ვართ ჩუენ და სამგზის სანატრელ, რამეთუ ნაწილნი ვართ ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისანი“⁴. ან კიდევ: „ღმრთისმშობელმან შეისმინა ვედრებისა მისისა და მოიხსენა წილხუდომა მისი ქართველთა ნათესავისაჲ“.⁵

პეტრიწონის სალიტერატურო სკოლის ტრადიციების მიმდევარმა

¹ **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა..., გვ. 38.

² *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. ტ. III: მეტაფრასული რედაქციები, XI-XIII სს. თბ., 1971, გვ. 16.*

³ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. III, გვ. 16.*

⁴ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. III, გვ. 55.*

⁵ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. III, გვ. 55.*

მწერალმა ნიკოლოზ გულაბერიძემ (XII ს) თავის თხზულებაში „საკითხავი სუეტიისა ცხოველისა“ საგანგებო ყურადღება მიაქცია საქართველოში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ ჩუენი ქვეყანა ქრისტეს დედის ნილხვედრია. ეს მას დასჭირდა იმის გასამართლებლად, რომ ქართლს განმანათლებლად ქალი მოველინა ნინოს სახით. ამით მან პასუხი გასცა კითხვას: უფალმა მაინც და მაინც ქალი რატომ ამოარჩია ქართველთა გასაქარისტიანებლად; „რაჟამს ღმერთმან ინება წყალობა და ცხოვრება ნათესავისა ჩუენისა, დედაკაცივე წარმოავლინა, ვითარ ვჰკონებ მე, გამოთხოვითა და ხუაიშნითა დედისა ღმრთისათა ძისა თვისისა თანა, ვინაჲთგან ნაწილიცა იყო დედისა ღმრთისა“.¹

რ. სირაძემ „წმ. ნინოს ცხოვრებას“ დიდად მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიუძღვნა, საიდანაც ამჟერად ფრიად საინტერესო თვალსაზრისს დავიმონებთ: წმ. ნინოს ჯვრის მადლი („სახე ჯვრისა“) ღვთისმშობლისგან ებოძა. გადმოცემით ვაზის ნასხლევი ნინომ საკუთარი თმებით შეკრა და ვაზის ჯვარი პირველად მაყვლოვანში აღმართა. მაყვლოვანი ღვთისმშობლის სიმბოლოა. ასე განიმარტება თვით მოსეს მიერ ხილვა „შეუნველი ბუჩქისა“. მაყვლოვანში ყოფნა ნინოსი სიმბოლოურად ეხმიანება საქართველოს ღვთისმშობლისადმი ნილხვედომილობას. ჯვრის ვაზისგან შექმნა კი მოასწავებდა ვაზის გასიმბოლოებას ქრისტიანული შინაარსით. ვაზი ხომ საქართველოში ოდითგანვე საკრალურად ითვლებოდა.²

როდესაც საქართველოს მაცხოვრის დედისადმი ნილხვედომილობაზე ვლაპარაკობთ, უსათუოდ ეს საუბარი უნდა შევავსოთ ივერიის ღვთისმშობლის ხატზე მსჯელობით. როგორც ცნობილია, ფრანსუა პიტრამ 1859 წელს დაძველებული ბერძნული ხელნაწერიდან ამოიკითხა ასეთი ლეგენდა: VIII საუკუნეში, როდესაც ხატის მებრძოლნი სპობდნენ ხატებს, ერთ ქვრივ ქალს ღვთისმშობლის ხატი გადაუგდია ზღვაში რათა ის ხატის მებრძოლთ არ ჩავარდნოდათ ხელში. ხატი არ ჩაძირულა წყალში, ჰაერში გაჩერებულა და მერე სადღაც გამქრალა. არათა მიერ დევნილ მონაზვნებს და ხატის მებრძოლთ თავი შეუფარებიათ ათონის მთაზე. აქ მონასტერი დაუარსებია ქართველ ექვთიმეს. ამ დროს ათონის მთასთან ერთხელ გამოჩენილა მოხეტიალე ხატი. ივერთ მონასტრის ბერმა სიზმრად ნახა, რომ მას ევალება ღვთის მოვლენილი ხატის მოტანა. იგი სათავეში ჩაუდგა პროცესიას, მონასტრის წინამძღვრის პავლეს ბრძანებით, გაემართა ზღვისკენ, მოიპოვა ხატი და მოაბრძანა მონასტერში. ღვთისმშობლის ეს ხატი, როგორც მონასტრის მწყალობლის ხატი, მოათავსეს მონასტრის კარიბჭის თავზე და ამიტომ ეწოდა მას პორტაიტისა.³ რ. სირ-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ს. ყუბანიშვილის გამოცემა. ტ. I. თბ., 1946, გვ. 232.

² რ. სირაძე. „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა. თბ., 1997, გვ. 182-183.

³ ლეგენდა გადმოწერილია წიგნიდან: ს. ყაუხჩიშვილი. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია. თბ., 1973, გვ. 131-132.

ადის სამართლიანი შეკითხვით, ძალზე საყურადღებოა, თუ რატომ არ აისახა ეს ლეგენდა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“. ¹ აღსანიშნავია, რომ ეს ლეგენდა მოცემულია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ტექსტში.

მართლაც, საკვირველია, ღვთისმშობლის ხატის ლეგენდა თუ რატომაა გვერდავლილი „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“. ამჯერად კი ჩვენ საყურადღებოდ გვესახება ამ თხზულებაში მოცემული ერთი ეპიზოდი. ბიზანტიის სამეფო კარზე მყოფ ექვთიმეს მშობლიური ენა დავიწყნია, რასაც დაუსწულებია კიდევ. ამ უნუგემო მდგომარეობაში მყოფს გამოცხადებია ღვთისმშობელი და ქართული ენით უკითხავს: „რად არს, რად გელმის, ექვთიმე?“

სწეულს უპასუხნია: „მოგკვდები, დედოფალო!“ ამ დროს მიახლება მას მაცხოვრის დედა და უთქვამს: „არარად არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ, და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ² ამით დაუბრუნდა ექვთიმე ქართულ ენას და ავადმყოფობისგანაც გათავისუფლდა.

ამ პასაჟში ნიშანდობლივია ის, რომ მარიამ ღვთისმშობელი ქართულად „უბნობს“ და თვითონ ექვთიმეც მშობლიური ენის წყალობით იხსნა სწეულებისაგან, გამოდის, რომ მაცხოვრის დედამ იცის მისივე ნილხვედრი ერის ენა.

ამით ამოიწურება მაცხოვრის დედის პიროვნების ჩვენება და მისი ხატების წარმოსახვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ პროზაში, რაც ზღვაში წვეთად მოჩანს ქართულ მდიდარ ჰიმნოგრაფიულ სამყაროსთან შედარებით.

TITE MOSIA

TO THE IMAGE OF VIRGIN MARY IN THE GEORGIAN HAGIOGRAPHY

The problem of the Mother of God takes an important place in the Medieval Georgian art, in ecclesiastical literary, which has begun from Georgian hagiographical prose. The face of the Virgin Mary we firstly meet in «The Martyrdom of Eustathius» (6th century AD). But in «The Life of Grigol from Khandzta» (10th century AD) this problem is widely presented. We think that is most interesting fact of presentation of Georgia as the Holy Mother's country that was a mark of rising of national self-consciousness of our ancestors. But in Georgian hagiography a presentation of person of Holy Mother is rather poor by artistic and aesthetic point of view. It is clearly, because the Georgian hagiographers as well as authors of the Gospels had been trying to get a main goal of Christianity: presentation of Preserver's birth by Virgin Mary.

¹ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია. თბ., 1987, გვ. 164.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილ. აბულაძის რედაქციის. ტ. II. თბ., 1967, გვ. 69.

ვანე-თორნიკეს, ვითარცა ივირონის ქართველთა მონასტრის ქტიტორის სახელს უდიდესი, განსაკუთრებული პატივით იხსენიებდნენ.

წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ თხზულების დაწერის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბერძნები ცდილობდნენ ქართველთა სახელის წარხოცვას, მონასტრის წართმევას, მონასტერში ბერძენთა გაბატონებას, რასაც სათავე დაედო ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვრის გიორგის დროს, რომელიც ეფთვიმეს „თვისი“ ყოფილა და რომელსაც წმ. გიორგი მთაწმიდელი მაშენებლად მოიხსენიებს.¹ ბერძენთა შუღლის შესახებ ავტორმა აღნიშნა, რომ ბერძნებმა „დიდი მოსწრაფება აჩუენეს და მთაე ყოველი, ანუ მთელი მთაწმიდა, თანაშეინიეს და საბერძნეთის დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი მიდრიკნეს,“ სამგზის დაიპყრეს მონასტერი, იქედან გამოდევნეს ქართველები და დაიტაცეს ყოველივე, რაც კი რამ ძვირფასი ჰქონდათ „მამათა ჩუენთა მოგებული“² ის იც კი განეზრახათ, „რაათამცა სახელიცა მაშენებელთაე აღმოჰხოცეს“.³

ათონელმა მამებმა საგანგებო მოსახსენებელი დაწერეს, რომელშიც მოკლედ იყო მოთხრობილი ათონის ქართველთა დიდებული ლაგერის დაარსებისა და შემდგომი ისტორია; ეს მოსახსენებელი წმ. გიორგი მთაწმიდელმა თავისი ჰაგიოგრაფიული თხზულების ბოლოში შეიტანა, როგორც ისტორიული დოკუმენტი ქართველთა მონასტრის ბერძენთაგან

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი მაშენებლის ვინაობის შესახებ გამოითქვა შეხედულება, რომ იგი არის ერისკაცობაში მიქაელ ვარაზვაჩეს ძის სახელით ცნობილი პიროვნება. ელ. მეტრეველმა გიორგის ვარაზვაჩედ მოხსენიების საფუძველად იოანე სკილიცეს ცნობა მიიჩნია (**ე. მეტრეველი**. ნარკვევები ათონის..., გვ. 103-104) და ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ მიქაელ ვარაზვაჩესძე გიორგის სახელით აღიკვეცა მონაზვნად. თუ გიორგი ოშკის ბიბლიის გადამწერი მიქაელია, ძე იოანე-ვარაზვაჩესი, მაშინ მართებულია მისი მოხსენიება ვარაზვაჩეს ძედ. როგორც წმ. გიორგი მთაწმიდელი გვამცნობს, წმ. იოვანე მთაწმიდლის სიმამრი ყოფილა ტაოელი დიდგვაროვანი ფეოდალი აბუჰარბი, ელ. მეტრეველის მოსაზრებით, შესაძლოა, ჩორდვანელის ძმა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ გიორგი დიდის, იგივე მაშენებლის მოხსენიება წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმეს თვსად. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „თვისი“ აღნიშნავს დედის ნათესავს, ზოგადად ნათესავს ქალის მხრიდან. ელ. მეტრეველმა ივარაუდა, რომ გიორგი მაშენებლის საერო სახელი უნდა იყოს მიქაელ (ძე იოვანე-ვარაზვაჩესი) (**ე. მეტრეველი**. ნარკვევები ათონის..., გვ. 87-106). მან იოვანე-ვარაზვაჩეს ძე მიქაელი და გიორგი დიდი მაშენებელი, მესამე წინამძღვარი ათონის მონასტრისა (1019-1028 წწ.), იოვანესა და ეფთვიმეს თვსად წოდებული, გააიგივა და საამისო რეალური საბუთები მოიძია (**ე. მეტრეველი**. ნარკვევები ათონის..., გვ. 87-106). მიქაელ-გიორგის პრობლემას ჩვენც შევხებთ სტატიაში „ორი მიქაელი ძველ ქართულ მწერლობაში“ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ოშკის მონასტერში მოღვაწე მიქაელი და შატბერდის მონასტერში მოღვაწე მიქაელ მოდრეკილი ორი სხვადასხვა პიროვნებაა (იხ.: **ნ. სულავა**. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ., 2003, გვ. 33-51).

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 93.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 96.

მიტაცებისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსახსენებელში გიორგი, გიორგი დიდად წოდებული, წმ. ეფთვიმეს შემდგომი წინამძღვარი ლავრისა, უარყოფითადაა დახასიათებული. თვით წმ. გიორგი მთანმიდელი კი მას „მაშენებელს“ უწოდებს და ხსნის იმ მიზეზებს, რის გამოც გაულო კარი გიორგი მაშენებელმა ბერძნებს: „კუალად ბერძენნი ფრიად რამე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რამე და უნდონი, უგულუბელს-ყვნა და შეამცირნა, რამეთუ, ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით და ამით მიზეზითა ფრიად ვაენებთ თვსთაცა სულსაცა და ადგილსაცა“.¹ წმ. გიორგი მთანმიდელი ქართველთა უარყოფით თვისებებში ხედავს ათონზე ბერძენთა გამრავლების მიზეზს. იგი არ ერიდება ქართველთა ნაკლოვანებების ჩვენებას, ამხელს საქვეყნო საქმის ღალატს, მერყეობას, გაქცევით თავის შველას და გასაჭირში ჩავარდნილის მიტოვებას, საერთო ინტერესების უგულუბელყოფას, მათში არსებულ შუღლს, ერთმანეთის გაუტანლობას.²

წმ. გიორგი მთანმიდელს მიზნად ჰქონდა დასახული ათონელ მამათა ღვანლის აღნუსხვა, წარმოჩენა და უკვდავყოფა, რათა მომავალ თაობებს მათი სახით მისაბაძი მაგალითი ჰყოლოდათ; როგორც ავტორი ამბობს, წმ. იოანე და წმ. ეფთვიმე „არარაათ უნაკლულო იყუნეს პირველგამოჩინებულთა წმიდათასა“;³ „რომელთა სახელები აღწერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა. რომელთა მეოხებითა ჩუენცა გლახაკნი ესე ღირს გუყვენინ უფალმან მობაძავ ყოფად სათნოებათა მათთა და ნაწილსა მას მარჯუენეთასა მიმთხუევად“.⁴ წმ. გიორგი მთანმიდელი თხზულების შესავალშივე გვამცნობს სოფლის წესს და გვაუწყებს, „ხოლო ვინაათგან სიგრძე ჟამთაჲ ყოველსავე დავიწყებად მოიღებს... რათა წიგნთაცა შინა აღინერნენ საღმრთონი იგი და ყოლად შუენიერნი საქმენი სოფლის-შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი“...⁵

საჭიროდ მიგვაჩნია თხზულების დაწერის ინიციატორისა და შექმნის ისტორიის შესახებ ორიოდ სიტყვის თქმაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ იოანესა და ეფთვიმეს „ცხორების“ დაწერის ინ-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 92.

² ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმაც ამხილა ქართველთა უარყოფითი თვისებები: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატთან ქართლისა“... (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. — ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, ჩგვ. 359).

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 38.

⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 39.

იციატორი შავ მთაზე მოღვანე ქართველი ბერი, წმ. გიორგი მთაწმიდელის სულიერი აღმზრდელი და მოძღვარი გიორგი შეყენებული ყოფილა; მას საგანგებოდ წარუგზავნია ათონზე გიორგი მთაწმიდელი, რათა აღწერა ათონელ წმიდა მამათა ცხოვრება. გიორგი შეყენებულმა ზედმინვნით იცოდა ათონის ქართველთა ლავრაში მიმდინარე ურთულესი პროცესები, ქართველთა და ბერძენთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები, გაითვალისწინა წმ. გიორგი მთაწმიდელის მონაცემები და სწორედ ამიტომ დაავალა მას ამ რთული და საპასუხისმგებლო საქმის აღსრულება.

გიორგი ათონზე მისვლისთანავე არ შესდგომია სამწერლო საქმიანობას, რის გამოც თავისი მოძღვრის საყვედური დაუმსახურებია. წმ. გიორგი მთაწმიდელს გიორგი შეყენებულის წერილის მიღების შემდეგ დაუწყია მზადება თხზულების დასაწერად. მან შეაგროვა მონასტერში არსებული მასალა, რაზეც მიუთითებს: „ჩუენ თავით თვსით არარაჲ აღგვწერია, არამედ რაჲ იგი ვისნავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილვენეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან და სავსე მადლითა ზეგარდამოხთა. და თვთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ხმამალლად ქადაგებენ ღუანლთა და შრომათა მათთა: ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა“...¹

ჰაგიოგრაფს ხელთ ჰქონდა, აგრეთვე, მონასტრის მოკლე ისტორია, ანუ „მოსაწესებელი“, რომელიც თავის თხზულებას დაურთო, ათანასეს ლავრის შეწირულობათა ნუსხა და იოანეს ანდერძი, რომელიც მას „აღწერით“ დაუტოვებია; სწორედ ამ ანდერძიდან ამოულია გიორგი მთაწმიდელს ეფთვიმეს ნათარგმნ თხზულებათა ნუსხა. გიორგი მთაწმიდელს რამდენიმე წელი უნდა გაეტარებინა ათონის ქართველთა მონასტერში ეფთვიმეს სიცოცხლეში. ამას ადასტურებს მისი ნათქვამი: „და მონასტერი და ჩუენ ყოველნი, რომელნი დაშთომილ ვიყვენით მას ჟამსა, დიდსა ლოცვასა და მიმოტაცებასა შთავცვენით“.² ეს სიტყვები თანადამსწრის, თვითმხილველის დაწერილია. თხზულების წყაროების სანდოობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თვითოეული ცნობა, რომელიც კი მოჰყავს გიორგი მთაწმიდელს იოანესა და განსაკუთრებით იმის შვილის ეფთვიმეს, ან ივერთა მონასტრის შესახებ, თუ უტყუელ ზეპირ გადმოცემაზე არა, უეჭველად ამა თუ იმ წერილობითსა და ნივთიერ საბუთებზე აქვს დამყარებული“.³

წმ. გიორგი მთაწმიდელს ათონის ივირონის მონასტრის დამაარ-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 93.

³ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – თხზულებანი თორმეტ ტომად. VIII. თბ., 1977, გვ. 150.

სებელთა, განსაკუთრებით წმ. ეფთვიმეს სამწერლო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა უნდა გამოეძია და შეესწავლა, ერთი მხრივ, კონკრეტული მიზანდასახულობით – მათი ცხოვრება და მოღვაწეობა უნდა აღწერა, მეორე მხრივ, იგი დიდი საქმისათვის, კერძოდ, ათონის ივირონის მონასტრის წინამძღვრობისთვის თავად მომზადებულიყო და წმ. ეფთვიმეს მიერ დაწყებული სამწერლო-მთარგმნელობითი საქმიანობა გაეგრძელებინა. მას საამისოდ უეჭველად და ზუსტად უნდა სცოდნოდა, რის გაკეთება მოასწრო წმ. ეფთვიმემ და რა დარჩა გასაკეთებელი.

წმ. გიორგი მთაწმიდელს ათონზე მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა უმთავრეს დამსახურებად მიაჩნია „ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული“... „ეკლესიანი ცათა მობაძავნი“;¹ სადაც „ანგელოზთა მობაძავმა“ ბერ-მონაზვნებმა „ალაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა, სადაჲთ-ესე ჭეშმარიტად, ვითარცა სიონით, გამოვიდა შჯული და სიტყუაჲ უფლისაჲ, ვითარცა იერუსალემით, – სიტყვსაებრ ჳმამაღლისა ესაიაჲსა“.² მათი ღვაწლი და დამსახურება თხზულების სათაურშივეა გამჟღავნებული: „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“. წმ. გიორგი მთაწმიდელი სათაურშივე გვამცნობს თავისი ჰაგიოგრაფიული თხზულების მთავარ მიზანდასახულობას: აღწეროს ნეტარ მამათა წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმეს ცხოვრება და მკითხველს აუწყოს მათი ღირსად მოქალაქობის შესახებ.

„წმ. იოანესა და წმ. ეფთვიმეს ცხოვრების“ შესავალში მოცემულია ზოგადად ათონელ ქართველ წმიდა მამათა მოღვაწეობის მნიშვნელობა, განსაზღვრულია ავტორის მიმართება ნაწარმოებში ასახული ამბებისადმი, რაც, თავის მხრივ, მკითხველის გზამკვლევადაც გვევლინება. შესავალშივე იკვეთება წმ. გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურულ-ესთეტიკური ხედვის მასშტაბები. უნდა აღინეროს „ყოვლად შუენიერნი საქმენისოფლის-შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი“ „სარგებელ კაცთა ნათესავისა“, „რომელთაცა ჰნებავს შესლვაჲ ცხოვრებასა საუკუნესა“.³

წმ. გიორგი მთაწმიდლის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ორი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: 1. კონკრეტული – ეროვნული, რითაც იგი წინარელიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს, კერძოდ, აგრძელებს იოვანე საბანისძისა და გიორგი მერჩულის თხზულებაში ნაჩვენებ იდეას ქართველი ერის სულიერი მისიის შესახებ; 2. ზოგადი – მსოფლიო კულტურულ სამყაროში ქართველი ერის ადგილის შესახებ, ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს სხვა ქვეყნებთან და ერებთან მიმართების შესახებ; ამ შემთხვევაშიც იგი წინარელიტერატურულ ტრა-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 41.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 39.

დიციათა ღირსეული მემკვიდრეა. ათონის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლა აგრძელებს ტაო-კლარჯეთის სკოლის საქმიანობას. ათონის სკოლის მოღვაწეობა ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო; ამავე დროს, მან მთელი ქართული წინარელიტერატურული მიღწევები და ტრადიციები გაითვალისწინა, რომლებიც შემუშავდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე, ისე საზღვარგარეთ არსებულ ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრებში.

წმ. გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოების ყურადღების ცენტრში არიან წმინდანები მამა-შვილი წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმიდელები, აგრეთვე სხვა ბერ-მონაზვნები, განსაკუთრებით კი იოვანესა და ეფთვიმეს თვისი იოვანე-თორნიკე, ჩორდვანელის ჩამომავალი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ კომპოზიციური თვალსაზრისით „ცენტრალურ-ციკლურია“, რომლისთვისაც „დამახასიათებელია არა ერთიანი, დროში უწყვეტი თხრობა, არამედ წმინდანის თავგადასავლის გადმოცემა მრავალი ცალკეული ეპიზოდით. ესა ჰგავს იმ ხატებს, რომელთა ცენტრში წმინდანია, ხოლო ირგვლივ მისი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები“.¹ აქედან გამომდინარე, თხზულების ცენტრალური ფიგურა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელია, სხვები – მამამისი წმ. იოვანე, იოვანე-თორნიკე, არსენი ნინოწმიდელი, იოვანე გრძელისძე და სხვანი მის ირგვლივ იყრიან თავს. მაგრამ პერსონაჟთა შესახებ მსჯელობა მაინც წმ. იოვანე მთაწმიდელით უნდა დავიწყოთ, რადგან თხზულების მთავარი მიზანდასახულობა მამა-შვილის სახისმეტყველებითი ასპექტით წარმოჩენაა.

იოვანე. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების სპეციფიკა წმინდანის სახის ჩვენებისას პრობლემათა რიგითობას ეფუძნება. ავტორმა უნდა გვამცნოს წმინდანის ჩამომავლობა, განსაკუთრებული ბავშვობა, შემთხვევა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი მომავალი საქმიანობა და ა. შ. უმთავრესი კი ისაა, რომ ყოველი წმინდანი ბაძავს მაცხოვარს, რათა ეზიაროს მას. ამიტომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში იგი იმ საფეხურებს გაივლის სულიერი განვითარებისას, როგორც მაცხოვარმა განვლო. „ცხოვრება და უწყება“, სახარების მსგავსად, გვამცნობს წმ. იოვანე მთაწმიდელის ვინაობას და საქმიანობას: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მხნე და ახოვანი და განთქმული ნყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისწმისყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ჳსენებულისა დავით კურაპალატისაჲ“.²

¹ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, ჩგვ. 168.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 42.

იოვანე მთანმიდელი უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელია. ავტორი არ გვაუწყებს მის საერო სახელსა და გვარს. კ. კეკელიძე იგი იოანე-ვარაზვაჩედ მიაჩნდა.¹ მ. ბერძნიშვილმა გაარკვია, რომ იოანე-ვარაზვაჩე და იოანე-აბულჰერიტი ორი სხვადასხვა პირია. მანვე დაადგინა მათი ურთიერთნათესაობაც.² მისივე მოძიებულია ცნობა, რომელიც იოვანეს მხედართმთავრობას მიუთითებს, აგრეთვე, სვინაქსარის მოსახსენებელიც (A-222, გვ. 359-360), სადაც მისი საერო სახელიცაა დამონმებული. მას აბულჰერიტი რქმევია. მეორე ცნობაც არის შემონახული სხვა ხელნაწერში (A-134, გვ. 424), სადაც იოვანე ისევ აბულჰერიტად მოიხსენიება ერისმთავრობისას. წმ. იოვანე მთანმიდელი იხსენიება, აგრეთვე, ივირონის ბერძნულ აქტებში.

X ს. 70-80-იან წლებში გადანერილი ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ იოვანე-ვარაზვაჩე და იოვანე-თორნიკე არიან ძმები, ჩორდვანელის ჩამომავალნი, რომელთაც ჰყავთ ბიძა აბუჰარბი;³ ეს სწორედ ის აბუჰარბია, რომელიც წმ. იოვანე მთანმიდელის, იგივე იოვანე-აბულჰერიტის სიმამრი იყო. ამიტომ წმ. გიორგი მთანმიდლის მიერ მოწოდებული ცნობა წმ. იოვანე მთანმიდლისა და იოვანე-თორნიკეს თვისობის შესახებ უნდა გავიაზროთ მათ ნათესაობად, წმ. იოვანე მთანმიდელი იოვანე-თორნიკეს ბიძაშვილის ქმარი იყო, ხოლო ეფთვიმეს იოანე-თორნიკე ბიძად მოხვდებოდა. ელ. მეტრეველის შეხედულებით კი, გიორგი I მაშენებელი, რომელიც, გიორგი მთანმიდლის სიტყვით, წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთანმიდელების „თვისი“ იყო, არის ის მიქაელ ვარაზვაჩეს ძე, რომელმაც ოშკის-ათონის ბიზლიის გადანერაში მიიღო მონაწილეობა; იგი იოვანე-თორნიკეს ძმისწულია, იოვანე-აბულჰერიტის ცოლის ბიძაშვილის შვილი, ხოლო ეფთვიმე და გიორგი I მაშენებელი ბიძაშვილების შვილები არიან.

წმ. გიორგი მთანმიდელისეულ დახასიათებაში წმ. იოვანე მთანმიდელი წარმოჩენილია წმიდანისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებებით, რომლითაც ჰაგიოგრაფიის იდეალური გმირი უნდა იყოს შემკული. მისი გარეგნული და შინაგანი თვისებები შეზავებულია, იგი უთუოდ მოგვაგონებს წმიდა გრიგოლ ხანძთელის ფრესკის დარად წარმოსახულ სახეს და კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს იმას, რომ წმიდანის ამგვარად წარმოჩენა ჰაგიოგრაფიის სპეციფიკა და შუასაუკუნეობრივი სახისმეტყველების გამოვლინებაა. თავის მხრივ, ეს ქმნის პერსონაჟის ესთეტიური ხედვის საფუძველს, ვინაიდან წმინდანთა სახეებში გაუთიშავადაა მოცემული რელიგიური და ესთეტიკური ფენომენი, ორივე ერთობლიობაში წარმოიდგი-

¹ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I, გვ. 175.

² მ. ბერძნიშვილი. იოანე-ვარაზვაჩესთვის. – ანალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სთბ., 1947, გვ. 248.

³ მ. ბერძნიშვილი. იოანე-ვარაზვაჩესთვის, გვ. 239-249; ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ საგანმანათლებლო კერის., გვ. 5-35; 107-144.

ნება, ოღონდ რელიგიურის დომინირება სრულიად ნათელი და უეჭველია.

ნმ. იოვანე გაურბის ნაცნობ გარემოს, ოჯახს, თავს არიდებს სოფლურ ინტერესებს, კაცთა ყოფისათვის დამახასიათებელ შფოთს და ეძიებს მარტოობას; ავტორი გვიამბობს, რომ მას ერისკაცობაშივე მძაფრად წაეკიდა „ცეცხლი იგი ქრისტეის სიყუარულისაჲ, ყოველი დიდებაჲ ამა სოფლისაჲ შეურაცხყო და ნაგევად შეჰრაცხა და მონაგები და სიმდიდრე და განსუენებაჲ და მეუღლე და შვილნი და ნათესავნი... სიტყვისაებრ უფლისა, აღილო ჯუარი მწართა თვსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ იწუმია და იჯმნა ყოველთაგან და მხოლოჲ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა“.¹ სულიერი სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა, ვინაიდან მალე განცხადდა მისი ვინაობა. კურთხევა მიიღო თავის ხელდამსხმელთაგან, მამა მოსესა და მამა გელასისაგან და ულუმბოს მიაშურა, სადაც ან უკვე სამშობლოს მოშორებულმა ბერმა „მონასტერსა ერთსა შინა“ დაივანა და სიმშვიდეში ყოფნას მიაღწია. სულიერი სიმშვიდის ძიების გზაზე მყოფმა „ჟამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ლუანლი აწონად თავს იღვა“, სიმდაბლით აღასრულებდა შეურაცხ და უნდო მსახურებას. მაგრამ ოლიმპზე მისი ამგვარი სულიერად ნეტარი ყოფნა დროებითი აღმოჩნდა.

ნმ. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ იმჟამად ბერძენთა იმპერატორმა დავით კურაპალატს დაუთმო „ზემონი ქუეყანანი“, სანაცვლოდ მისგან უფლისწულები და დიდგვაროვან ფეოდალთა (აზნაურთა) შვილები მოითხოვა მძევლად. მეფემაც მისცა. მძევალთა შორის იყო იოვანეს მცირეწლოვანი ვაჟი ეფთვიმე, რომელიც პაპამ, იოვანეს სიმამრმა, აბუჰარბმა, და მისმა ცოლისძმებმა მიჰგვარეს მეფეს. როგორც კი გაიგო იოვანემ სიმამრისა და ცოლისძმებისაგან მცირეწლოვანი შვილის გამძევლების ამბავი, იძულებული გახდა კონსტანტინეპოლს გამგზავრებულიყო, ბერძენთა მეფეს ხლებოდა, საკუთარი თავი გაემჟღავნებინა და შვილის ინტერესები დაეცვა. მან მკაცრად უსაყვედურა სიმამრს, რომელსაც „არა ენება მიცემად მისი. და ფრიად აბრალა მას იოვანემ, ვითარმედ: „რაჲ არს ესე? ნუჟუე შვილ არა გესწნესა თქუნ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვსთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ! გარნა უფალმა შეგინდვენ თქუნ!“.² ღვთის განგებითა და მეფეთა თანხმობით შვილი წაიყვანა და კვლავ ულუმბოს მიაშურა. ნმ. იოვანე მთაწმიდლის პიროვნების სრულყოფილად წარმოსადგენად ძალზე მნიშვნელოვანია მის მიერ სიმამრისათვის ცოდვის შენდობა, – „გარნა უფალმა შეგინდვენ თქუნ!“ – რაც ქრისტიანული ცნობიერების უმაღლესი გამოვლინებაა.

ეს ეპიზოდი აჩვენებს, თუ როგორ ებრძოდა ერთმანეთს ზესთასოფლური და სოფლური საწყისები იოვანეს პიროვნებაში. რეალობასთან

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 42-43.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43-44.

ამგვარი ჭიდილი ნეკრესის ქარებით ლოგინად ჩავარდნამდე თან სდევდა იოვანეს. იგი შვილთან ერთად ულუმბოდან ათონზე გადავიდა და წმ. ათანასეს ლავრაში დამკვიდრდა. ულუმბოს მონასტერში ყოფნისას კიდევ ერთი განსაცდელი მოუვლინა ღმერთმა იოვანეს, სიყრმისას ეფთვიმე მძიმედ დაავადდა, მამა მის გადარჩენას აღარც ელოდა, მღვდლის მოსაყვანად წავიდა, რათა უზიარებლად არ წარმდგარიყო ღვთის წინაშე; მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობით ეფთვიმე გადარჩა. იოვანე, როგორც მშობელი, ზრუნავს თავისი ხორციელი და სულიერი შვილის მომავალზე; წმ. ეფთვიმეც მამის დაავადების შემდეგ მას თავად უვლიდა და ტკივილებს უმსუბუქებდა. მამა-შვილის ამგვარი ურთიერთობა, სიყვარული და ურთიერთმზრუნველობა თხზულებაში იშვიათი სიფაქიზითა და სისადავითაა გადმოცემული, რაც ევანგელური მადლმოსილებითა და მშობლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით არის შთაგონებული. ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა იზრუნა თავის ხორციელ დედაზე – ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზე და იგი წმ. იოანე მახარებელს ჩააბარა: *„ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მონაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი! და მერმე მონაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და მიერთგან ნარიყვანა იგი მონაფემან მან თჳსთა თანა“* (იოვანე, 19, 26-27).

წმ. იოვანემ ადრევე შეიგრძნო და შეიცნო, რომ ეფთვიმეს ღვთივმიმადლებული ნიჭი ჰქონდა და მისი რჩევით იგი შეუდგა მთარგმნელობით საქმიანობას. მისი სიტყვები: *„ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაძღვებია შენდა, ან იღუანე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან“¹* – ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესებით გამსჭვალული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის ნათქვამია, რომელმაც იცის, რა სჭირდება მის ქვეყანას. მამამ ეფთვიმეს მიზნად დაუსახა ერის განათლება, სულიერი აღზრდა მისი სულიერი სიჩვილის პერიოდში, როგორც ეს წმ. ეფრემ მცირემ შეაფასა. მამა-შვილის სახეებში ევანგელური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ხატმეტყველება იკითხება: როგორც იოვანე ნათლისმცემელმა მოამზადა მაცხოვრის ამქვეყნად მოსვლის წინაპირობები, ისე მოამზადა წმ. იოვანე მთანმიდელმა წმ. ეფთვიმე ქართველი ერის მომავალი საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. მისი საბერო სახელი „იოვანე“ ღვთის მადლს გულისხმობს და, მართლაც, ღვთის მადლით განათდა მისი საქმიანობა ულუმბოზეც და ათონზეც. იოვანეს სახელის სიმბოლიკა იმაშიც იკითხება, რომ პირველი ქართული ეკლესია ათონის მთაზე წმ. იოანე მახარებლის სახელზე ააშენეს, ხოლო შემდეგ იოვანე-თორნიკეს ქტიტორობით *„ადგილსა შუენიერსა შუა მთანმიდისა“* აღაშენეს ორი მონასტერი: ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის სახელზე. წმ. იოვანე მთანმიდელი თავად აღიარებს, რომ საამქვეყნო გან-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

საცდელი მას თითქმის არ ტოვებს. ოშკის მონასტერში შემონახვნილებულ-
მა იოვანე-თორნიკემ, ჩორდვანელის შთამომავალმა, იოვანეს მეუღლის
ნათესავმა, ჯერ ულუმბოს მთაზე მოიკითხა იგი, ხოლო შემდეგ, რაკი
იქ ვერ პოვა და გაიგო მისი ადგილსამყოფელი, ათონის მთას მიაშურა.
სწორედ იოვანე-თორნიკეს მხრიდან ჩავარდა წმ. იოვანე მთაწმიდელი
შფოთსა და განსაცდელში. ამიტომ გადაწყვიტა ესპანეთის იბერიაში გამ-
გზავრება შვილთან ერთად, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორმა მას ამის
ნება არ დართო და კვლავ ათონზე დაბრუნდა. რატომ ილტვოდა იოვანე
ათონიდან, ნაწარმოებში დაზუსტებული არაა, თუმცა ის კი არის ნათ-
ქვამი, რომ წმ. იოვანე სულიერ სიმშვიდესა და სიმარტოვეს ეძიებდა, მას
ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა.

წმ. იოვანე მთაწმიდელი ავტორს აბრაჰამთან ჰყავს შედარებული,
რითაც მინიშნებულია, რომ იოვანეს უდიდესი სულიერი მისია აკისრია:
აბრაჰამ მრავალთა მამაა, წმ. იოვანე მრავალ წმიდა მამათა სულიერი
მშობელი უნდა გახდეს, გაამრავლოს წმიდა მამები ათონის მთაზე, უცხო-
ობაში, მწირობასა და სიგლახაკით ცხოვრებაში უნდა შეძლოს ქართველი
ერის სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა, რისთვისაც ღმერთმა, ვითარცა
აბრაჰამს ისააკი, ყოვლად სანატრელი და სათნოებით გამორჩეული შვი-
ლი – ეფთვიმე მიანიჭა. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი, ამისთვის
აუცილებელი იყო დიდი ლავრის შექმნა და ჩამოყალიბება, რათა ქართულ
ენაზე გადმოთარგმნილიყო მთელი ის უზარმაზარი საღვთისმეტყველო
ლიტერატურა, რომელიც ბერძნულად არსებობდა და გამდიდრებულიყო
ქართული მწერლობა, კულტურა; ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი მიუძ-
ღვის წმ. იოვანე მთაწმიდელს და მის ნათესავს, თვისს იოვანე-თორნიკეს.

იოვანე-თორნიკე. თორნიკე ერთ-ერთი უდიდესი და ცნობილი მთა-
ვარსარდალი იყო დავით კურაპალატის მმართველობის პერიოდში. იგი
ტაოელი დიდგვაროვანი ფეოდალის ჩორდვანელის ჩამომავალი იყო, ენ-
ათესავებოდა წმ. იოვანე მთაწმიდელს, ერისკაცობაში – აბულჰერითს. ამ
პერსონაჟის სახეც წმ. იოვანე მთაწმიდელის მსგავსად არის წარმორჩენი-
ლი. ისიც ცოდვებით დამძიმებული ტოვებს საერო ცხოვრებას. თუმცა
უნდა აღინიშნოს, რომ იგი ჰაგიოგრაფიული გმირისაგან, წმინდანისაგან
განსხვავებული ხატ-სახითაა წარმოსახული.

წმ. გიორგი მთაწმიდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში იოვანე-
თორნიკესთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდია მოთხრობილი: მისი
ბერად აღკვეცისა და ათონის ქართველთა მონასტერში წასვლის ამბავი,
იოვანე-თორნიკეს ადგილი და როლი ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშო-
ბაში, იოვანე-თორნიკეს ცხოვრების ბოლო წლები ივირონის მონასტერში.

ელ. მეტრეველი ვარაუდობდა, რომ თორნიკე „თვსსა ქუეყანასა“
უნდა შემონახვნილებულიყო ოშკის მონასტერში,¹ რომელთანაც არის მისი
სახელი დაკავშირებული. თუმცა წმ. გიორგი მთაწმიდელის თხზულება

¹ ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ..., გვ. 5-34

სხვას გვამცნობს. იოვანე მთაწმიდელის მსგავსად, არც მას სურდა სამშობლოში დარჩენა, მანაც უცხოობაში მწირად და გლახაკად ყოფნა აღირჩია, რისთვისაც უღუმბოს მთას მიაშურა. აქ ეგულებოდა თავისი სულიერი მეგობარი და ნათესავი, სამხედრო საქმეში თავისი წინამორბედი მთავარსარდალი იოვანე მთაწმიდელი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ათონზე იყო შვილთან – ეფთვიმესთან ერთად. იოვანე-თორნიკეც, „*თჳნიერ ცნობისა მეფეთაჲსა, იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევაჲ მონაზონებისაჲ ჳელთაგან იოვანესთა მიიღო*“¹ რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ათონზე შემონაზვნდა და ბერად აღკვეცის კურთხევა იოვანესაგან მიიღო. თორნიკეს ათანასეც, ათონის მონასტერთა წინამძღვარიც, იცნობდა და იგი დიდი პატივით მიიღეს ათონზე. სწორედ მისი მისვლის შემდეგ ააგეს ქართველებმა იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია და თავიანთი სადგომი სენაკები, სადაც ცხოვრობდნენ, „*ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი*“.²

წმ. გიორგი მთაწმიდელმა მოგვითხრო იმის შესახებ, თუ როგორ მომზადდა საფუძველი ათონის დიდებული ქართული ლავრის მშენებლობისათვის. ამ ისტორიულ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ავტორი დეტალურად გვიამბობს ისტორიული ღირებულების მქონე მოვლენას, რათა სრულყოფილად წარმოაჩინოს ქართველთა სიძლიერე და ავტორიტეტი X ს. 70-იან წლებში. იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული ერთ-ერთი ეპიზოდი სწორედ აქაა მოთხრობილი. აღმოსავლეთ ბიზანტიის მმართველი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა იმპერატორს და „*ჳმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და ინროებითა*“.³

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ბერძნებმა განიზრახეს, დახმარება დაეით კურაპალატისათვის ეთხოვათ: „*ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს*“.⁴ წმ. გიორგი მთაწმიდელი აჩვენებს იმ მიზეზს, რის გამოც უშუალოდ დავით კურაპალატს ვერ მიმართა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა, – ტაოსკენ მიმავალი ყველა გზა ბარდა სკლიაროსს ეპყრა. ათონზე, ქართველთა მონასტერში, წარავლინეს სევასტოფორი, „*კაცი წარჩინებული მათ ჟამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათა*“⁵ და მათთვის კარგად ნაცნობ წმ. ათანასეს, წმ. იოვანე მთაწმიდელსა და იოვანე-თორნიკეს სთხოვეს დახმარება; წმ. ათანასე და წმ. იოვანე ევედრებოდნენ იოვანე-თორნიკეს, რათა „*აღვიდეს მეფეთა წინაშე*“ და აღასრულოს ის უდიდესი მისია, რომელიც მას უნდა დაკისრებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის საქმეში.

იოვანე-თორნიკეს დათანხმება ადვილი არ აღმოჩნდა, რადგან ცოდვათა შესანანებლად მოსულს კვლავ შფოთსა და ომში ჩართვა არ სურ-

¹ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 44.

² *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 45.

³ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 45.

⁴ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 45.

⁵ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 45.

და, მიაჩნდა, რომ ომში ჩაბმა და ბრძოლა ბერმონაზუნური ცხოვრების წესსა და ზნეობას ეწინააღმდეგებოდა: „წმიდანო მამანო, მე ცოდვათა ჩემთათვის მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა... და ვინაფეთგან ღმერთმან ღირს-მყო და სახე მონაზონებისაჲ შევიმოსე, მე ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზე და. ან ვევედრები სინმიდესა თქუენსა, ღმრთისა სიყუარულისათვის შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათვის, რამეთუ, უკუეთუ ნავიდე, ამის სოფლისავე შფოთსა შთამაგდებენ“.¹ სოფლის შფოთს განრიდებულ თორნიკეს წმიდა მამები ათანასე და იოვანე აიძულებდნენ, წასულიყო საიმპერატორო კარზე, ვინაიდან „უკუეთუ ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვანევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“.² ბოლოს მაინც გაჭრა ერთი კვირის მუდარამ და თორნიკე მეფეთა წინაშე წარდგა.

მცირეწლოვანი ობოლი უფლისწულები ბასილი და კონსტანტინე ფეხთ ჩაუვარდნენ იოვანე-თორნიკეს დედოფლის ბრძანებით. იოვანე-თორნიკემ „შინა-გამოლებით მრავალფერთა საქმეთათვის ამხილა დედოფალსა“, რომელიც ევედრა დავით კურაპალატთან შუამდგომლობას. იოვანე-თორნიკეს მხედართმთავრობით ქართველთა ლაშქარმა აოტა სკლიაროსი, სპარსეთამდე მისდია მას³ და გადაარჩინა ბიზანტია სპარსთა თარემს. იოვანე-თორნიკემ მოიპოვა „ნატყუენავი დიდძალი“, რომლის ნაწილი ჯვარს გაუნაწილა, ხოლო ნაწილი თავად წაიღო ათონზე ივირონის მონასტრისათვის შესანიშნად.

წმიდა მამებმა დიდი პატივით მიიღეს ათონზე დაბრუნებული იოვანე-თორნიკე და ჰმადლობდნენ ღმერთს, რომ მშვიდობით დააბრუნა იგი წმიდა მთაზე. იოვანე-თორნიკემ ათონზე „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“ წაიყვანა, ვინაიდან სურდა, რომ ქართველთა ლავრაში მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ დამკვიდრებულნი, თუმცა ეს შეუძლებელი იყო და იძულებულნი გახდნენ ბერძნებიც შემოეყვანათ გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. ათონის ქართველობა გაიზარდა, რის გამოც მხოლოდ იოვანე მახარებლის ეკლესია მათ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდა, ამიტომ „აქა ყოფად ჩუენი შეუძლებელ არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ“.⁴ ამიტომ გადაწყდა კიდევ ერთი მონასტრის აშენება. თუმცა წმ. იოვანე მთაწმიდელს უმძიმდა ეს საქმე, მაგრამ „ქართველთა განსუენებისათვის და უფროჲს ხოლო თორნიკის აშენებისათვის თავს-იდვა ამისი ჴელ-ყოფად“.⁵

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.

³ აგრეთვე, ბიზანტიის ომის შესახებ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მოგვიტხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე (გიორგი კედრენე. ისტორიული მიმოხილვა. – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. V. თბ., 1963, გვ. 30-32).

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 48.

⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 49.

სკლიაროსზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული განძით ქართველმა ბერებმა ათონის მთაზე შეისყიდეს „ადგილნი მრავალნი“ და ააგეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიები. დავით კურაპალატს კი მის სიცოცხლეში საგამგებლოდ ერგო „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“, კურაპალატობის ხარისხიც ამასთან დაკავშირებით ებოძა.

წმ. გიორგი მთაწმიდელმა დეტალურად აღწერა ყოველივე, რაც იოვანე-თორნიკესთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან სწორედ მისი ქტიტორობით, მისი მოპოვებული განძეულით აიგო ათონის ქართული მონასტერი: „ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი, ცათა მობაძავნი, და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა“.¹ წმ. იოვანე მთაწმიდელმა, წმ. ეფთვიმემ და იოვანე-თორნიკემ „მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და დასაყუდებულონი და განუნესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და ჴელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის-მსახურთა მეფეთანი“.²

ნაწარმოების დასაწყისშივე წარმოდგენილი „ცათა მობაძავნი ეკლესიანი“ ის ადგილია, საიდანაც საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა წარმართოს წმ. ეფთვიმემ. საგანგებოდაა მოთხრობილი იოვანე-თორნიკეს მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხების ამბავი, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდია და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიებისათვის ცალ-ცალკე, ისე საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობისათვის, რელიგიური ცხოვრების მონესრიგებისათვის. ფაქტობრივად ამ ამბავმა განსაზღვრა ქართველთა მონასტრის, ივირონის დიდი ლავრის დაარსება ათონზე.

ყურადღებას იქცევს ლავრის მშენებლობის დრო-სივრცული პოეტიკა. ტოპოსის თვალსაზრისით ლავრა გაშენდა „ადგილსა შუენიერსა“: „და ღმრთისა მომადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთის-მშობელისა სახელსა ზედა და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისასა ფრიადითა ოფლითა და ლუანლითა. და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოჲს დიდისა მონასტრისა, ვიდრე იმერად ზღუადმდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი-იგი შუენიერ არიან და სანადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“.³ ყოველივე ეს აჩ-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II, გვ. 49.

ვენებს ერის სახეს, მის მეობას, ერში გამოჩინებული განსაკუთრებული და გამორჩეული პიროვნებების როლს და ადგილს მის სულიერ ცხოვრებაში. ტოპოროვმა წმინდა ადგილებისა და იქ მოღვაწე ბერმონაზვნების ერთიანობას „ლოკუსი“ უწოდა.¹

ივირონში მოღვაწე წმინდა მამები – წმ. იოვანე მთაწმიდელი, იოვანე-თორნიკე, წმ. ეფთვიმე, წმ. ბერი გაბრიელი... – გამოკვეთილი ინდივიდები არიან. მათი ამქვეყნიური ცხოვრება ისტორიულად, რეალურად არსებულია, ზესთასოფელში გადანაცვლების შემდეგ თითოეული მათგანი წმინდანის სახეს იღებს, მათ მიერ განეული ღვანლი განზოგადდება, რაც ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების შესავალსა და თეორიულ ნაწილებში იჩენს თავს. თითოეული მათგანი, – იოვანე მთაწმიდელი, იოვანე-თორნიკე, ეფთვიმე, გაბრიელი და სხვანი, – ცხოვრობს მონასტერში, ხოლო მთელი მონასტერი აღასრულებს ტიპიკონით განსაზღვრულ განგებას. მონასტერში მცხოვრები, ლავრული ცხოვრების მიმდევარი ბერები, მართალია, ტიპიკონის კანონებს ასრულებენ, მაგრამ აქვე ცხოვრობენ გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი ინდივიდუალური ცხოვრება.

ამგვარია იოვანე-თორნიკე, რომლის შესახებ წმ. გიორგი მთაწმიდელი გვაუწყებს, რომ იგი ცდილობდა თავისი ინდივიდუალობის დაძლევას. ამიტომაც გადასცა მთელი განძი თავის სულიერ მამას, წმ. იოვანე მთაწმიდელს, და „თავი თვისი სრულიად უარ-ყო და არცა ჟთუ მცირედი რაჲმე დაუტევა ჴელმწიფებასა ქუეშე თვისსა, არამედ ეგვეითარმან მან განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თვისი მოიკუეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“.² „ნებაჲ თვისი მოიკუეთა“ გულისხმობს ნება-სურვილთა დათმენას, რაც, ევანგელური სწავლებით, სათნოებათა ყოველთა თავად არის მიჩნეული მორჩილებასთან ერთად. იოვანე-თორნიკე აღიჭურვა ყოველივე სათნოებით, სიმდაბლით, სინაფოებით, უმანკოებით და მთლიანად გადასცა საკუთარ სულზე მზრუნველობა დიდ იოვანეს შემდეგი სიტყვებით: „მამაო, თვთ იცი, რომელ დიდად ცოდვილ ვარ და სიკუდილი მოახლოებულ არს და უნებელი სინმიდისა თქუენისაჲ არა ვარ, არამედ ნებაჲ ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია, ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი“.³

წმ. მამა იოვანე მთაწმიდელი პატივისცემით ეპყრობოდა მის სიბერეს და ზრუნავდა მის სულიერ მომავალზე. საგულისხმოა იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელსაც, აგრეთვე, რელიგიურ-აღმსარებლობითთან ერთად, დიდი მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება. ავტორი მოგვითხრობს: „ხოლო ვინაჲთგან დიდი თორნიკე წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ეს-

¹ В. Н. Топоров Святость и святые в русской духовной культуре. Т. II. М., 1998, გვ. 20.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.

ვეითართა პირთათჳს უბნობად და ჰამბავი უყუარდა“.¹ მონასტერში მყოფს მაინც არ ასვენებს თავისი დიდი წარსული, განუწყვეტლივ ეხმიანება მას, ვინაიდან მის პიროვნებაში ისტორიულ მოვლენათა ხსოვნა ძლიერია; ამ თვალსაზრისით იოანე-თორნიკე ჰაგიოგრაფიული გმირისაგან განსხვავებულია; მიუხედავად იმისა, რომ ფიცხელი მონაზვნური ცხოვრებით, მორჩილებით და თავმდაბლად ზრუნავდა სულზე, მაინც წარსულის ტყვეობაში მოექცა; ჰაგიოგრაფის სიტყვით, ომებში გამობრძმედილი და დაბერებული იოვანე-თორნიკე გარს შემოისხამდა ბერ-მონაზვნებს და მათ იშვიათი ენაწყლიანობით, გატაცებით უყვებოდა განცდილისა და ნანახის შესახებ.

ცხადია, ეს ბერმონაზვნურ ეთიკას, ტიპიკალურ კანონებს ენინააღმდეგებოდა. მისი სულიერი მოძღვარი წმ. იოვანე მთაწმიდელი ამჩნევდა თვისიანის სისუსტეს, ბერისათვის შეუფერებელს. წმ. გიორგი მთაწმიდელი ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის თვისებებით ამკობს მას, როგორც თავის დაკარგულ ცხოვართა ღირსეულ მწყემსს, და წარმოაჩენს, როგორც უდიდესი ტაქტის მქონეს და ადამიანური დამოკიდებულებების ღრმად მცოდნეს. მართალია, მან გაუგო მრავლის მომსწრე მოხუც ბერს, რომელსაც თავისი დიდი წარსული, გადატანილი ომების ექო მონასტრის მყუდრო წიაღშიც არ ასვენებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ იოვანე-თორნიკეს, დიდი სურვილის მიუხედავად, გაუჭირდა „ნებისა თვისისა განკვეთა“, რასაც თავადაც გრძნობდა. წმ. იოვანე მთაწმიდელი ერიდებოდა მას, რათა არ ეწყენინებინა. იგი იშვიათი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ მთლიანად აკრძალვა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, გაეფრთხილებინა, რომ სხვა ბერებისათვის ეს სულის საზიანო იქნებოდა და ამიტომ ნება დართო მხოლოდ გაბრიელ ბერთან საუბრისა, რომლისგან „*მსოფლიო სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოდ და სულიერი*“.²

მწერლის უტყუარმა ალლომ შენიშნა, თუ როგორ უნდა განეცადა მოხუცს ეს დელიკატური საყვედური, მითითება, რის შემდეგაც იშვიათად, მხოლოდ ახალმოსულებთან თუ წაიცდენდა ორიოდ სიტყვას და „*ესევით-არსა სულიერსა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თვისნი და ღმრთისა მივიდა*“.³ ამ ეპიზოდის მხატვრული ფუნქციის განსაზღვრა ნაწარმოებს ჰაგიოგრაფიული ტრადიციების გაგრძელებად აღგვაქმევიანებს, მაგრამ ამავე დროს, პარალელურად, მასში ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ჩანასახებსაც დაგვანახებს. ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი პერსონაჟის სულიერი მოძრაობის ჩვენება კი თვით მწერალს იშვიათი სამწერლო ღირსებების მქონედ, მხატვრული აზროვნების გამომხატველად მიგვაჩვენებებს.

წმ. გიორგი მთაწმიდელმა არაერთგზის აღნიშნა, რომ იოვანე-თორნიკეს გამო ივირონის მკვიდრთ ბევრი უსიამოვნება და უკმაყოფილება

¹ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 51.

² *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 51.

³ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. II, გვ. 51.

შეხვედრიათ, მაგრამ კონკრეტულს არაფერს ამბობს. წმ. იოვანე მთაწმიდელის სიტყვებიდან გამომდინარე, ესპანეთის იბერიაში გამგზავრებაც იოვანე-თორნიკეს გამო ამტყდარმა შულმა და შფოთმა გადააწყვეტინა. მან ბიზანტიის მეფეთა წინაშე თავად განაცხადა „სპანიად“ წასვლის სურვილის მიზეზი: „ღმრთის-მსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! გლახაკი ესე ერისკაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისაჲ და მენება, რაჲთა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვრო და გლახაკებით ვიყოფებოდი. და თუ ვითა მოჰხდა, არა უწყი; მოვიდა თვისი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულთა შთავეარდი და ერის-კრებასა და მნებას, რაჲთა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე“.¹ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ეპიზოდი საკმაოდ არის შესწავლილი. ასეთი აზრიც კი გამოითქვა ალ. ჯანელიძის მიერ: იოვანე „გაუდგა გზას უკეთესი სამშობლოს საძიებლად“.

მიუხედავად ამისა, წმ. იოვანე მთაწმიდელმა იოვანე-თორნიკეს ჯეროვანი პატივი მიაგო. თითქოს იოვანე-თორნიკე აკავებდა მას ათონზე, ვინაიდან მისი გარდაცვალების შემდგომ მალევე განიზრახა ესპანეთს წასვლა, რაც უშედეგოდ დამთავრდა, ავიდოსიდან მოაბრუნეს. იგი კვლავ ათონს დაუბრუნდა და ამიერიდან აღარსად წასვლა აღარ უცდია. იგი ღვთივბოძებული სამშობლოს სულიერი აღორძინებისათვის ზრუნვას შეუდგა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობაში, მან თავისი არსებობის აზრი ეროვნული იდეალების სამსახურში პოვა, ქართული მწერლობის გამდიდრებაზე, ქართული კულტურის აღორძინებაზე ფიქრობდა. თვით იოვანე-თორნიკე ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოამაგეა, რომლის ინიციატივით, ათონურ ხელნაწერთა კოლოფონების მიხედვით, მომზადდა ბიბლიის პირველი სრული ხელნაწერი, ოშკის მონასტერში გადაწერილი, ოშკური „სამოთხე“, „განძი“, რომლებიც შემდეგ ათონზე გადაიტანა; იგი მუდმივად ზრუნავდა ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი წმ. გიორგი მთაწმიდლის ჰაგიოგრაფიული თხზულების უმთავრესი პერსონაჟია, რასაც თხზულებისავე სახელწოდება ადასტურებს. ელ. მეტრეველმა ტექსტზე დაკვირვებით გამოთქვა მოსაზრება, რომ „ათონის კრებულის“ (A-558) შემდგენელ-რედაქტორის მიქაელ დალალისონელის ანდერძისა და წმ. გიორგი მთაწმიდელის ცნობის საფუძველზე თხზულების ავტორისეული სახელწოდება უნდა იყოს „ცხოვრებაჲ განმანათლებელისა ჩუენისა ეფთვიმე ქართველისა, ახლისა ოქროპირისა“. აქ სათაურშივეა განსაზღვრული წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის რამდენიმე პიროვნული ღირსება: 1. იგი განმანათლებელია, რითაც, ფაქტობრივად, მოციქულებრივი მისია აქვს დაკისრებული; 2. იგი ქართველია, რაც მას ავალდებულებს ქართული სამოციქულო ეკლესიის ღირსეულად მსახურებას, ქართველი ერის

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 55.

სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას; 3. იგი ახალი ოქროპირია, რომელმაც „განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა“, „რომლისა ნამუშაკვევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობება, ვითარცა ნესტვ ოქროსაჲ ჳმა-მაღალი, ოჯრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაჳვარი და აბუკურა და სხუანიცა რაოდენნიმე წერილი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად“.¹ „ეგვეთარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჳგონებ, თუ არცალა გამოჩინებად არს“.²

იგი შედარებულია იმ პირველ მთარგმნელებთან, რომელთაც ბიბლიური წიგნები უთარგმნიათ ქართულად, და მისი ღვანლი მათს ღვანლთანაა გათანაბრებული. ბასილი მთანმიდელმა თავის საგლობლებში იგი „ახალ მოციქულად“ მოიხსენია და აპოსტოლური სახისმეტყველების კვალობაზე „სვეტი და სიმტკიცე“ უწოდა. გარეგნულად ისევეა დახასიათებული, როგორც ჩვეულებრივ წმიდა მამები. ესაა წმ. ეფთვიმეს სახის იდეალიზებული ნარმოჩენა თხზულებაში, რაც წმ. ეფთვიმეს სახეს ესთეტიურად აღაქმევენებს მკითხველს.

ცხადია, წმ. ეფთვიმე ღვთის რჩეულია, ვინაიდან მასზე გადადის მადლი ღვთისა და ერთ პიროვნებას აკისრებს თითქმის ერთი მონასტრის ბერ-მონაზვნების აღსასრულებელ საქმეს. მისი სახელის ეტიმოლოგია მისი ოღვანეობის ხატოვანი გააზრების საშუალებას იძლევა. იგი ნიშნავს ქველს, სიკეთით აღსავსეს, სიკეთით და სალი სულიერებით გამორჩეულს, მონყალეს, კეთილმწყალობელს. მისი რჩეულობა არაერთგზისაა ნაჩვენები თხზულებაში. პ. ფლორენსკი წერდა, რომ ადამიანის სახელი მის არსებას გამოხატავს, ზოგ შემთხვევაში იგი განსაზღვრავს მის სულიერ და ინტელექტუალურ სახესაც.³

პ. ფლორენსკიმ რამდენიმე ნაშრომში განიხილა სახელის არსის პრობლემა. მისი აზრით: „სახელი არის საიდუმლო, რომელიც სახელდება. რომ არა საიდუმლო, ის არა მხოლოდ უსიცოცხლოა, არამედ სულაც არაა სახელი – მხოლოდ ცარიელი ბგერაა... სახელი, აი, რა უხსნის სამყაროს საიდუმლოს“.⁴ სახელმა საგნის არსი უნდა წარმოაჩინოს და საგნის გარეგნული სახე მის შინა-არსს უნდა შეესაბამებოდეს. მისი სიტყვით: „გარეგნული სახე არის თვალთ ხილული, ხოლო სახელი – მოსმენილი სახე (გარეგნობა)“.⁵

აღ. ლოსევის აზრით, სახელი საგნის არსის არსობრივი გამოხატვაა: „სახელის გარეშე ადამიანი საკუთარი თავის მარადიული ტყვეა, არსობრი-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 41.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

³ П. Флоренский. Тайна имени, М., 2007.

⁴ П. Флоренский, Тайна имени, გვ. 50.

⁵ П. Флоренский, Тайна имени, გვ. 319.

ვად და პრინციპულად ანტისოციალურია, არაკომუნიკაბელურია, არატაძრულია და, აქედან გამომდინარე, არაინდივიდუალურია, არაარსობრივია, ის მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმია; თუ კიდევ ადამიანი, გონებისაგან დაცლილი ადამიანია“.¹ მან ახსნა, რომ სახელში აკუმულირებულია საგნის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ონტოლოგიური, ფსიქიკური, ფენომენონოლოგიური, ლოგიკური სფეროები,² აქ ერთმანეთს ხვდებიან აღმქმელი და აღსაქმელი, შემცნობი და შესაცნობი, ყოფიერების რეალური და შესაძლებელი გააზრებები. სახელი საგნის არსის აზრობრივი ენერგიაა, სიმბოლურ-აზრობრივი, გონებრივ-სიმბოლური ენერგია.³ ი. ლოტმანისა და ბ. უსპენსკის აზრით, „სახელწოდებისა და სახელდებულის გაიგივება განსაზღვრავს მათ ონტოლოგიურ არსს, წარმოდგენას საკუთარ სახელთა არაკონვენციურ ხასიათზე“.⁴

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ წმიდა ეფთვიმეს ბავშვობა, იგი გამძევებულ იქნა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, საიდნაც ღვთის ნებით მამამ – წმ. იოვანე მთაწმიდელმა გამოიხსნა იგი და ჯერ ულუმბოს მთაზე, შემდეგ ათონზე წაიყვანა და განვრთნა, განსწავლა ქართულ და ბერძნულ ენებზე. აქედან დაიწყო მისი მზადება ახალი ოქროპირობისათვის. მეორე შემთხვევა წინასწარმეტყველური და ცხოვრების გზის განმსაზღვრელია. მოულოდნელად ეფთვიმე ავად გამხდარა, მოგვითხრობს ჰაგიოგრაფი, ხმაც წაერთვა და სიტყვის წარმოთქმის ძალაც გამოეცალა. მამას, იმედგადაწურულს, მღვდლის მიყვანა და შვილის ზიარებალა დარჩენოდა, მან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს შეავედრა თავისი შვილი. სენაკში მობრუნებულს იგი გამომჯობინებული, ლოგინში წამომჯდარი, დაუხვდა. ეფთვიმემ უამბო თავისი ხილვის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა მისი მომავალი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნათქვამი: „არარაა არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“;⁵ არ არის ოდენ ქართულად თავისუფლად მეტყველების მიმანიშნებელი, მას ღრმა და ფარული შინაარსი აქვს მინიჭებული. ღვთისმშობლის მეოხებით ღმერთმა ეფთვიმეს მიანიჭა სულიერი თვალი და ხედვა, მიჰმადლა ენა, როგორც ლოგოსი, ანუ ღვთის სიტყვა. აქ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია გზის მიმთითებელი და ამ თვალსაზრისით სწორედ ამ ეპიზოდში შეიძლება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წარმოსახვა ოდიგიტრიის ხატის სახით, რომელიც ყოველ ადამიანს მის სავალ სულიერ გზას მიუთითებს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმპერატორის მძევლობიდან წაყვა-

¹ **А. Ф. Лосев.** Философия имени. – Из ранних произведений. М., 1990, გვ. 38.

² **А. Ф. Лосев.** Философия имени, გვ. 25.

³ **А. Ф. Лосев.** Философия имени, გვ. 135.

⁴ **Б. А. Успенский, Ю. М. Лотман.** Миф – имя – культура. – Труды по знаковым системам, VI. Тарту, 1973; Ученые записки Тартуского университета, вып. 308, გვ. 282-303, 529.

⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

ნილ მცირეწლოვან ეფთვიმეს ბერძნული უკეთ სცოდნია, ვიდრე ქართული; მამამ ხელმეორედ ასწავლა ქართული. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, აუცილებელი იყო დიდი განსაცდელის გადატანა, რათა ღვთის ძალა, მადლი, განგება უფრო ნათლად გამოვლენილიყო; მშობლიური ენის დავინწყებამ გახადა ეფთვიმე ავად და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით აუნყა ღვთის განგება, რომ „ენაჲ დამარხული და კურთხეული“ (იოანე-ზოსიმე) აღუდგინა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხილვასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ჰაგიოგრაფი „ევანგელური ლაზარეს აღდგინების მსგავსად აღწერს ამ ამბებს. ლაზარე აღადგინა ქრისტემ, ექვთიმე – ღვთისმშობელმა. მაგრამ თვით ლაზარეს აღდგინება ქრისტეს აღდგომას მოასწავებდა. ექვთიმეს აღდგინება სიმბოლურად სიტყვალოგოსის აღდგინებას ემსგავსება“.¹

ამ ეპიზოდში კიდევ ერთი ანალოგიაა დანახული იმავე მკვლევრის მიერ: „წარმოდგენილია შუასაუკუნეობრივი ოდიგიტრიის (გზის მაჩვენებელი ღვთისმშობლის) მსგავსი სურათი. ოდიგიტრიის კომპოზიციებს თავიანთი შინაარსი აქვთ. დედობა გააზრებულია, როგორც ყრმისათვის ცხოვრების გზის ჩვენება. ყრმა არის ქრისტე, ანუ „სიტყვაჲ ღმრთისაჲ“, ლოგოსი. ოდიგიტრიის კომპოზიციებზე ღვთისმშობელი მას ხელს შეამველებს და ამითაა გამოხატული გზაზე დაყენება. ასეა აქაც: ღვთისმშობელმა „უპყრა ხელი“ ექვთიმეს და გზაზე დააყენა, ლოგოსურ გზაზე. ეს მოასწავებდა, რომ ექვთიმეში დაისადგურა სიტყვა-ლოგოსმა („*მიერთგან დაუყენებლად, ვითარცა წყარო, აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა*“²). ამავე ეპიზოდში იმდროინდელი სახისმეტყველებითი ასპექტია წარმოჩენილი: „ადამიანში მისი წილხვედრი ლოგოსი არსებობს მშობლიური ენის წყალობით, რომ ენა მხოლოდ სულიერი ძალა კი არაა, არამედ ხორციელი ბუნების მასულდგმულელებელიცაა, ე. ი. ადამიანის სულით-ხორციელი სიმრთელის საფუძველია“.³

წმ. იოვანე ათონელმა უჩვენა გზა ეფთვიმეს, დაარიგა და ურჩია, ეზრუნა ქართულ მწერლობაზე, ლიტერატურაზე: „*შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. ან ილუანე, რაათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან*“⁴, რის შემდეგაც ეფთვიმე „*მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად და ყოველნი განაკვრვნა*“.⁵

ამიერიდან წმ. ეფთვიმეს მოღვაწეობა სამწერლო-მთარგმნელობითი საქმიანობით განისაზღვრა, რაც ქართველთათვის უაღრესად მნიშვნე-

¹ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია, გვ. 184-185

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 185.

³ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია, გვ. 185.

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

ლოვანი იყო. თავად წმ. ეფთვიმე „არა სცემდა განსუენებასა თავსა თვსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თავფლსა ნიგნთა საღმრთოთაჲსა შურე-ბოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და ეკლესიაჲ“.¹ მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა წმ. ეფთვიმე, იგი დასწეულებულ, ნიკრისის ქარები-საგან ლოგინად ჩავარდნილ მამას ემსახურებოდა და უძღვებოდა ლავრის ძმობას. ამით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ავტორმა ღვთისაგან ბოძებუ-ლი ათი მცნებიდან ერთ-ერთის – „პატივი ეც მამასა და დედასა შენსა“ – მიყოლის შესანიშნავი ჰიპოდიმურ-პარადიმული ხატ-სახე. თოთხმეტი წელი წინამძღვრობდა ათონის ქართველთა მონასტერს, მოუცვლელო-ბისა და საზრუნავთა სიმრავლის გამო ძირითადად ღამით თარგმნიდა.

წმ. ეფთვიმეს სახე მისი საქმიანობის გათვალისწინებით ორი მიმარ-თულებით წარმართა: 1. პრაქტიკული – საწინამძღვრო საქმეთა გაძლო-ლით და 2. სულიერი და ინტელექტუალური, ანუ სამწერლო-მთარგმნე-ლობითი მოღვაწეობით. წმ. ეფთვიმეს, ვითარცა ჭეშმარიტ წმინდანს, არ იზიდავდა პატივი და დიდება, მას ორჯერ შესთავაზეს ეპისკოპოსობა, მაგრამ უარი განაცხადა, რაც წმ. გრიგოლ ხანძთელის სულიერ მემკვიდ-რედ გვაგულვებინებს მას. წმ. ეფთვიმე „ველტოდა დიდებასა კაცთასა და მფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკობდა“.

ეფთვიმეში ორი რამ არის ერთმანეთთან შეზავებული: კანონი და მადლი. ამიტომაც გვევლინება ათონის ლავრის სჯულმდებლად და ქარ-თველთა განმანათლებელ ოქროპირ თარგმანად. კანონი ძველი აღთქმის საფუძველია, მადლი – ახალი აღთქმისა. წმ. ეფთვიმე ათონის ქართველ-თა ლავრის კანონმდებელია, მან შექმნა ტიბიკონი, რომლის დიდი ნაწილი წმ. გიორგი მთაწმიდელმა ჩართო თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში. მის მოღვაწეობას წარმართავს ევანგელური მადლი, რომელიც იდეალუ-რი პიროვნების, იდეალური გმირის ქმედებას უდევს საფუძვლად: „იყვე-ნით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათე, 5, 48). სწორედ ღვთის მადლით აღვსილი თარგმნის უზარმაზარ საღვთის-მეტყველო ლიტერატურას, რომლის ნუსხაც, თუმცა არასრული, მოაქვს წმ. გიორგი მთაწმიდელს.

ეს ნუსხა მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ღირებულებისა არ არის, იგი ეფთვიმეს სულიერ ინტერესებს, სულიერ რაობას, ინტელექტუალურ შე-საძლებლობებს გვამცნობს. ჩამონათვალზე დაკვირვება აჩვენებს, რომ წმ. ეფთვიმეს უმეტესად ასკეტური თხზულებები უთარგმნია, რაც იმ ას მოწმობს, რომ ეფთვიმეს ქართველი მკითხველის უპირველეს სული-ერ საზრდოდ ქრისტიანული ეთიკურ-ზნეობრივი კოდექსების მიწოდება სურდა, ეს მიაჩნდა აუცილებელ და გადაუდებელ სულიერ საჭიროებად. მან დიდი გავლენა მოახდინა ქართულენოვან ასკეტურ ლიტერატურა-ზე, რომელიც წმ. ეფთვიმეს შემდეგ შეიქმნა. წმ. ეფთვიმეს ასკეტური ინტერესები უპირველესად მაშინ წარმოჩნდა, როდესაც მამის, წმ. იოვა-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 62.

ნე მთანმიდელის, თაოსნობით გადანყვიტა ესპანეთის იბერიაში წასვლა. მისი ასკეტური ინტერესების გამოვლინება იყო ტიპიკონის, ანუ ათონის წეს-განგების შექმნა, რომელიც, წმ. გიორგი მთანმიდელის თქმით, „დიდ სვინაქსარს“ ემყარებოდა. ვარაუდი გამოითქვა, რომ მას კავშირი უნდა ჰქონოდა „კონსტანტინეპოლის სტუდიერის მონასტერთან, რადგან ივირონიც, სტუდიერის მსგავსად, ძირითადად მნიგნობრულ-საგანმანათლებლო მიზნით იყო დაარსებული“.¹ ქართულ ენაზე ტიპიკონის შექმნის შესახებ ცნობა ადრეც გვხვდება ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კერძოდ, გიორგი მერჩულის ცნობით, წმ. გრიგოლ ხანძთელმა შექმნა „სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინებული“ წეს-განგება, რომლის დებულებათა ნაწილი თავის თხზულებაში შეიტანა გიორგი მერჩულემ. წმ. ეფთვიმეს მიერ ტიპიკონის შედგენა უფრო ნათლად გამოკვეთს მის სახეს, როგორც წინამძღვრისა და როგორც მთარგმნელისა. წმ. ეფთვიმე მთანმიდელის მადლმოსილ სახეს წინ უძღვის წმიდა გრიგოლ ხანძთელის უკვდავი სახე, რომლის სულიერ მემკვიდრედაც შეიძლება იგი მივიჩნიოთ.

წმ. გიორგი ათონელმა თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. ეფთვიმეს წეს-განგებიდან 42 მუხლი შეიტანა და ეს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ იგი თხზულების ორგანულ ნაწილად გვევლინება, თითოეული მუხლი კი წმ. ეფთვიმესთან არის დაკავშირებული, ვინაიდან თითოეულის შემოტანისას წმ. ეფთვიმეს ახასიათებს, მონასტერში მის ქცევას აჩვენებს, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს წმ. ეფთვიმეს იდეალურ სახეს. ჰაგიოგრაფიული თხზულების პრინციპებთან ტიპიკალური კანონების შეხამება-შეზავება თვით ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და მის პერსონაჟებს სიახლის ელფერით მოსავს. ასეთი იყო გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულებაც. ეს კანონები მეტწილად აკრძალვებს შეიცავს, რომელიც ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნას ეფუძნება. თავად წმ. ეფთვიმე იძლეოდა მაგალითს იმისა, თუ როგორი ქცევა ჰმართებდათ ბერ-მონაზვნებს ტაძარში ყოფნისას. ჰაგიოგრაფი აღნიშნავს: „რამეთუ იგინიცა მას ნეტარსა ჰბაძვიდეს მსგავსად ძალისა“.²

ნიმუშად შეიძლება ერთი დებულების დამონშება, კერძოდ პირველი დებულება ეხება იმას, თუ როდის უნდა მივიდეს ბერი ტაძარში, ან როგორ უნდა იდგეს, განსაზღვრულია აუცილებლობის შემთხვევაში გასვლის წესიც. ყოველივე ამის მაგალითს თვით წმ. ეფთვიმე აძლევს: „და მარადის ევედრებინ ძმათა, რაჟთა მოსწრაფე იყვნენ მისლვად ეკლესიად და წესიერად დგომად და მჭურვალედ ლოცვად. და თვით მის ნეტარისა საყოფელი სიმალლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა, და ვერვინ ვერ მიუსწრის ცისკრისა ლოცვასა, და თვნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა დგან იგი ეკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა. და ოდეს მცირე რაჟმე საქმე არნ, მონაფესა თვისსა საიდუმლოდ

¹ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია, გვ. 186.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 70.

უბრძანის, და იგი წარვიდის... ეკლესიასა კულა შინა ყოლადვე უბნობასა ვერვინ იკადრებდა“.¹

წესდება საკმაოდ მკაცრი იყო, იგი ბერების დასჯასაც ითვალისწინებდა საჭიროებისას. წმიდა მამას წინ ვერავინ გაუვლიდა ისე, რომ მის წინაშე მუხლი არ მოეყარა, ვინაიდან თავად ამას აკეთებდა და ყველას ასე ხვდებოდა. წირვის მიტოვებას ვერავინ გაბედავდა, აუცილებლობის შემთხვევაში ეპიტორიტისს აფრთხილებდა და ისე გადიოდა. ლავრის ეზოში ბერების ჯგუფ-ჯგუფად დგომა და საუბარი „რეცა განცხრომით“ აკრძალული იყო, ტრაპეზისას საუბარი, ზრუნვა პირის გემოსთვის და საკუთრად კერძის მომზადება, ერთმანეთისათვის სილალით ხელის მიყოფა დაუშვებელი იყო. ეფთვიმე ტკბილი და ჰამო სიტყვით დაელაპარაკებოდა ყველას და აფრთხილებდა: „შვილნო! უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად სულთა თქუენტა წარწყმედთ და მერმე მონასტერი უწესოდ გავა, ვინაფთვან ეგრე მოჰჰდა, რომელ ღმერთმან მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებლად, უკუეთუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ დაისჯებით. უკუეთუ კულა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღმრთისაგან, ვითა მის საუკუნოხსა განკითხვისაგან განერებით“.²

ეფთვიმე ზრუნავდა თავისი მონასტრის ბერ-მონაზონთა სულიერ და ხორციელ საზრდოზე. თუ მზარეულთა ნახელავი არ დააკმაყოფილებდა, შენიშვნას მისცემდა. მისი მრწამსი ასეთი იყო: „ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო, რომელ შეკრებაა ჩუენი ამას წმიდასა ადგილსა ცუდად იყოს, არცა ამოდ იქმნას განსვლაა ჩუენი ამიერ სოფლით“.³ წმ. ეფთვიმე ითვალისწინებდა ბერის ასაკს, ხანდაზმულობას, უძღურებას და შესაფერისად ეპყრობოდა, განუწესებდა განსხვავებულ წესებს. კ. კეკელიძის თქმით, წმ. ეფთვიმეს მსგავსი ჰუმანისტი ბიზანტიურ ასკეტიკურ პრაქტიკაში არ ყოფილა.⁴ დიდი ათანასეს ლავრის სხვა წინამძღვრები ხშირად, თითქმის ყოველდღე ეახლებოდნენ წმ. ეფთვიმეს მრავალფერ საქმეთა განსასჯელად, თვით ათანასეს მიენდო მისთვის „საურავი და დახედვაა და განგებაა მისი“.⁵ ყოველი წეს-განგების აღსრულება ყველას ევალებოდა, რათა ანგელოსური ცხოვრებით ეცხოვრათ, სული და ხორცი ეწვრთნათ, სულიერი სანყისი აღეზევებინათ და ხორციელი ნდომანი დაეთრგუნათ.

თხზულებაში წმ. ეფთვიმეს წეს-განგება წარმოდგენილია, როგორც ევანგელურ-აპოსტოლური სწავლებით ნასაზრდოები და გაჯერებული, რომელიც ქრისტიანული სახისმეტყველებითაა ასახული.

წმ. ეფთვიმეს მრავალი სასწაულებრივი ეპიზოდი უკავშირდება,

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 69-70.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 72-73.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 77.

⁴ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ., 1960, ჩგვ. 161.

⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 81.

სხვაგვარად წმინდანის სახე სრულყოფილი ვერ იქნება. ნაწარმოებში ყურადღება ექცევა წმ. ფთვიმეს ფერისცვალებას. ეს ეპიზოდი ევანგელური სახისმეტყველებითაა ნასაზრდოები. ამბავი ფერისცვალების, მონაფეთა წინაშე უფლის განცხადების დღეს მოხდა. ათონელთა წესის მიხედვით, ქართველი ბერები ღამისთევის ლოცვით მთაზე ავიდნენ. ცხადია, აქ იყო წმ. ფთვიმე. ღამის გათენების შემდეგ, დილით ყველამ იხილა იგი, „ვითარცა ცეცხლი მგ ზებარე“. ყველა იქ მყოფი შიშის ზარმა შეიპყრო, თავად წმ. ფთვიმემ დაამშვიდა ისინი. ესაა პირდაპირი ანალოგია სახარებისეულ მონათხრობთან, თაბორის მთაზე მაცხოვრის ნათელმოსილად, ამაღლებულად წარმოსახვასთან. ამავე დროს, შეიძლება ძველი აღთქმისეული ალუზიის დანახვაც, კერძოდ, პირველი თეოფანიის იპოდიგმური ხატ-სახის გააზრება. ვინაიდან მოსე წინასწარმეტყველის მიერ აღმოდებული მაცვლის ხილვაში მაცხოვრის მოვლინება მოიაზრება, ცეცხლი მაცხოვრის სიმბოლოა. ქართულ ჰაგიოგრაფიაში მას წინასახედ წმ. გრიგოლ ხანძთელი ჰყავს. გავიხსენოთ ხანძთელი ბერის მონათხრობი წმ. გრიგოლის სენაკიდან გამომავალი ნათლის შესახებ, რომელიც მას ცეცხლი ეგონა.

წმ. ფთვიმეს ცხოვრება განსაცდელით აღსავსე ჩანს, რაც მისი სულიერი სიფხიზლისათვის აუცილებელ კომპონენტად მიაჩნია ჰაგიოგრაფს. ბავშვობაში გადატანილ რამდენიმე განსაცდელს (გამძევლება, მძიმე სნეულება) ათონზე მოღვაწეობისას კიდევ რამდენიმე დაემატა, კერძოდ, მისი სიცოცხლის ხელყოფის ცდა. მართალია, ეს მცდელობა წმ. ფთვიმეს გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ორი ბერის სიცოცხლე შეინირა, რომლებიც „გკრგვნითა ნამებისათა შემკულნი მიიცვალნეს წინაშე ღმრთისა“.¹ ღმერთი იფარავდა წმ. ფთვიმეს მაშინაც, როდესაც მონასტრის მებოსტნემ მის მოსაკლავად ხელი აღმართა, მაგრამ ხელი „მეყსეულად უქმ იქმნა და დაშთა ვითარცა შემაჲ განხმელი“.² ცოდვის აღიარების შემდეგ იგი წმ. ფთვიმეს ლოცვით განიკურნა, რაც ღვთისაგან მიტევების გამობატულება იყო. ყოველივე ამის საფუძველზე წმ. ფთვიმეს შედარება შეიძლება წმ. გრიგოლ ხანძთელთან, რომელსაც სარკინოზთა ერთგული ცქირი ებრძოდა,³ ე.ი. ეს ორი დიდი წმინდანი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებითაა წარმოჩენილი.

წმ. ფთვიმე იყო ყოველთა სათნოებათა შესაკრებელი, რომელშიც გარეგნული ნიშნები და შინაგანი სულიერი სამყარო ერთი მთლიანობა იყო, წმინდანისათვის დამახასიათებელი. როდესაც წმიდა გიორგი მთანმიდელი წმ. ფთვიმეს გარეგნობასა და სულიერ სამყაროს გადმოგვცემს, ყოველივე სახისმეტყველებითადაა გასააზრებელი. „პირი და თუაღნი მისნი იყ-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 87.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 88.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (V-X სს). ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ., 1964, გვ. 305-307.

ვნიან ქუეყანად მიმართ მხედველ“,¹ რაც მის ყოვლისმხილველობას ადასტურებს, ხოლო სამოსლად ძაძების და მასზე მძიმე ჯაჭვის ტარება ღვთაებრივი ნათლით მოსავს ეფთვიმეს, ვითარცა წმინდანის, სახეს. სინმიდე, შუუხებელი ქალწულება, უბინოება ამშვენებს მას, „ვითარცა ანგელოზსა ღმრთისასა და ცათა შინა მყოფსა“.² ყოველი სათნოების გვირგვინი კი მისი მთარგმნელობა იყო, რითაც განმანათლებლად მოეველინა ჩვენს ქვეყანას.

მთარგმნელობით საქმიანობას ხანდაზმულობაში უფრო მეტ დროს უთმობდა, ვინაიდან წინამძღვრობა, მამის ანდერძისამებრ, თავის ნათესავს გიორგის გადააბარა.

წმ. ეფთვიმე მთანმიდელი ათონის ქართველთა მონასტრის, ივირონის ერთ-ერთი სულიერი ხატია, რომელმაც სინმიდით, ფიცხელი შრომით, მშვიდობისმოყვარეობით, სათნოებით და, რაც მთავარია, რწმენით, სასოებითა და სიყვარულით „განავრცო ენაჲ ჩუენი“, თავისი ღირსად მოქალაქობით ააღორძინა და განავითარა ქართული მწერლობა. წმ. ეფთვიმე მთანმიდელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ ქართველი მეფეები და ბიზანტიელი იმპერატორები.

წმ. ეფთვიმეს გარდაცვალება, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, მაინც მოულოდნელი იყო. ქართველთათვის ეს უდიდესი უბედურება იყო, რასაც წმ. გიორგი მთანმიდელი გულში ჩამწვდომი სიტყვებით გადმოგვცემს: „ქართველთათჳს კულა რაჲ ვინ თქუას? რამეთუ ყოლადვე განუშორებელ იყვენეს ანგელოსთა მობაძავსა მას გუამსა მისსა და ტყეობითა ფრიადითა ეგლოვდეს სიობლესა თჳსსა“.³

წმ. გიორგი მთანმიდელის მიერ წარმოდგენილი წმ. ეფთვიმე მთანმიდელი მსოფლიო მნიშვნელობის ანგელოსთა მობაძავ იმ ქრისტიან მამათა სახითაა ნაჩვენები, რომელთა შესახებ თხზულების დასაწყისშივე, თეორიულ ნაწილში გვესაუბრება.

წმ. გიორგი მთანმიდელის თხზულება იშვიათი სისადავითა და მწერლური ოსტატობითაა დანერილი, იგი ერთდროულად არის ჰაგიოგრაფიული და მათიანურ-ქრონოგრაფიული. ავტორის გამჭვირვალე სტილი, წერის მანერა, პერსონაჟთა ხატვის პრინციპები ჰაგიოგრაფიულია, ენა – ლაპიდარული, ღრმად მეტყველი, ფრაზა – დახვეწილი, სათქმელის გამოსახატავად შერჩეული სიტყვა ზუსტია; არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა არ არის ზედმეტი. იშვიათად გვხვდება ტროპული მეტყველება, სიტყვაკაზმულობა; წმ. გიორგი მთანმიდელმა შექმნა ქრისტიანული სახისმეტყველებით შემკული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც თავისი ღრმა შინაარსითა და ფაქტოლოგიით იჭერს მნიშვნელოვან ადგილს როგორც თვით წმ. გიორგი მთანმიდელის შემოქმედებაში, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მასში წარმოჩენილი წმინდა მამათა სახეები

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 88.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 88.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 91.

კი ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი ხატ-სახეთა ხატვის პრინციპების კვალობაზეა ასახული, რაც ნმ. გიორგი მთანმიდელს ამ ჟანრის წარმომადგენელთა ღირსეულ მემკვიდრედ წარმოგვიდგენს.

NESTAN SULAVA

THE LITERARY ASPECTS IN THE LIVES OF SAINT IOANE AND SAINT EFTVIME BY ST. GIORGI MTATSMINDELI

There are two main direction in the hagiographical story of Saint Giorgi Mtatsmindeli: 1. Specific – national, from which it continues the preliterate traditions, for example about the spiritual mission of Georgian nation as it is shown in the stories of Ioane Sabanisdze and Giorgi Merchule. 2. General – about the place of Georgian nation in the space of world culture; about the place of Georgian nation and Georgian state with comparison of another nations. Even in this case it is also the heritage of precultural traditions. Literary-theological school of mount Athos continues the activities of the school of Tao-Klarjeti. The activities of school of Athos begins from Tao-Klarjeti. Also it was the school of whole pre-literate Georgian traditions, which were developed as in Georgian territory also in foreign centres of literature and theology. In the centre of the story of Saint Giorgi Mtatsmindeli are the Saints father and son Saint Ioane and Saint Eftvime Mtatsmindelis, also another monks, especially the kinsman of Ioane and Eftvime, Ioane-Tornike, the descendant of Chordvaneli. The main aim of the story is to show the symbols of father and son. The Saint Eftvime Mtatsmindeli shown by Saint Giorgi Mtatsmindeli is described like a christian priests as a world meaning angels about whom in the very beginning of the story were given the information by the author. In the story there are given several characters of Saint Eftvime Mtatsmindeli: 1. He is the illuminator and it means he is like the apostle. 2. He is Georgian, it is obligation for him to serve Georgian church and to improve the spiritual and intellectual level of Georgian nation. 3. He is new Oqropiri (orator) who „illuminated Georgian language and country“.

The story of Saint Giorgi Mtatsmindeli is written in a rare simplicity and literary excellence. It is in the same time hagiographical and historical. The writing style of autor, principles of making characters are hagiographical, language is deeply impressive, phrases – correct, no excessive words or phrases. We rarely meet poetries. Saint Giorgi Mtatsmindeli created the story with symbols from the Bible, which by its deep content takes important place as in the creativity of Saint Giorgi Mtatsmindeli also in the history of Georgian literature. The holy fathers given in this story are described by the principles of hagiography. For this the saint Giorgi Mtatsmindeli is the worthy descendent of this genre.

რუსუდან ფიფია

იონა მინჩის საგალობლები და ქართული
ლიტურგიკული აზროვნება

მედიევალური ხელოვნების მკვლევარნი ერთხმად მიგვანიშნებენ ამ კულტურის სწორხაზოვან მიმართულებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ორიგინალობის პრობლემა შუასაუკუნეების ესთეტიკური აზროვნებისთვის უცხოა. ამ პერიოდის ესთეტიკა ყოველგვარ ინდივიდუალურს ცოდვად აღიქვამდა.

